ჯემალ გამყლია

წლები
და
ადამიანები

2009

·ᲣᲐᲯ 94 (479.22.22) გ.124

მთავარი რედაქტორი	როლანდ თავაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე:	ვაქა ჭანუყვაძე
რედაქტორები:	ოთარ კვაჭაძე მანანა სიხარულიძე
კონსულტანტი	მარინა კვაჭაძე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მხატვარი	თამაზ დარჩია
კომპიუტერული გრაფიკა	დავით სამსონაძე თენგიზ ჩიჩუა

ISBN 978-9992-84305-5
გამომცემლობა „ალიონი“ 2009

შესავალი

ცხოვრებისეული აუცილებლობიდან გამომდინარე, თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, კაცობრიობამ პრაქტიკული მოთხოვნილების მიხედვით მრავალგვარი პროფესია ჩამოაყალიბა, რომელთა წარმომადგენლები, დაოსტატებულნი ერთ რომელიმე დარგში, ძალზე სასარგებლო კონკრეტულ ღონისძიებებს ატარებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალიზაციის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი სპეციალისტის საქმიანობა ესოდენ საჭირო და აუცილებელია (მითუმეტეს დღევანდელ ვითარებაში), მათ შორისაც არსებობენ განსაკუთრებულად გამორჩეულები და საჭირონი როგორც ცალკეული პიროვნებებისათვის, ასევე საზოგადოებისთვისაც.

ასეთთა შორის კი, უპირველესად უნდა დასახელდეს მართლაც უნიკალური პროფესიის ადამიანები: ექიმები, პედაგოგები და სამართალდამცველები, ანუ პროკურორები, მოსამართლეები და რა თქმა უნდა, პ ო ლ ი ც ი ე ლ ე ბ ი.

დიახ! სწორედ ისინი გახლავთ იმ სამსახურის წარმომადგენლები, რომელთა მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერი ყოველდღიური ზრუნვის გარეშე, ადამიანებს იმდენი რამ დააკლდებოდა, რომ კაცობრიობის არსებობა, აზრსაც კი დაკარგავდა. მართლაცდა რაგინდ მოწესრიგებული, წარმატებული არ უნდა ჩანდეს საზოგადოებრივი ცხოვრება, მასში ათასნაირი მძიმე სენის შემოჭრა, საყოველთაო გაუნათლებლობა, მძიმე კრიმინალური დამნაშავეობის მასობრივი გავრცელება და საერთოდ, იურიდიული თუ მორალური ნორმების უხეში დარღვევა, ისეთ ამაზრზენ სიტუაციას შექმნიდა, რომ ადამიანები მგლებივით, ინსტინქტით მოქმედი ველური ნადირები გახდებოდნენ და მათ საბოლოო გადაშენებისაგან ვეღარაფერი იხსნიდა. მედიკოსი პედაგოგი და სამართალდამცველები კი სწორედ ასეთი გლობალური ანომალიების თავიდან ასაცილებლად არიან მოვლენილნი.

ხოლო როცა ამ სამი პროფესიის წარმომადგენელთა ფუნქციებზე ელაპარაკობთ, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კანონიერების დამცველთა საქმიანობა გაცილებით უფრო რთული (და ხშირ შემთხვევაში სახიფათოც) არის, ვიდრე მკურნალისა და მასწავლებლისა. ამ მხრივ კი განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პოლიციელი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ პროფესიათა წარმო-

მადგენლებისაგან განსხვავებით, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ხშირად საკუთარ სიცოცხლესაც კი აგდებს საფრთხეში.

ამიტომაც, თუკი ვინმე იმსახურებს გაწეული შრომისათვის აღიარებასა და პატივისცემას, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი პოლიციელი გახლავთ.

სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტეთ, ჩვენი ეს უპრეტენზიო ნაშრომი მიგვეძღვნა გურიაში მოღვაწე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებისადმი რომლებიც გონიერებით, სისხარტით, შინაგანი ენერგიითა და გმირობის ტოლფასი გამბედაობით, მართლაც რომ ყურადღების ღირსნი არიან.

ადამიანის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, ყოველთვის გადაუდებლად აუცილებელი იყო წესრიგისა და არსებული კანონიერების დამცველთა არსებობა, რადგანაც ადამის შთამომავლობა, ჩვენი პლანეტის ყველა სხვა ცოცხალი წარმონაქმნისაგან განსხვავებით, მოაზროვნეა და ამდენად, მრავალისმომცველ სიკეთესთან ერთად, დიდი ბოროტების ჩადენაც ხელეწიფება.

მართლაცდა თუ ჩავუკვირდებით კაცობრიობის მიერ განვლილ იმ ხანგრძლივ მონაკვეთს, რომლის მეტნაკლებად დამაჯერებელი სეპირსიტყვიერი თუ წერილობითი დოკუმენტები ამჟამად გაგვაჩნია, დავინახავთ, რომ დღევანდელ სამართალდამცავთა ანალოგი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით, უხსოვარი დროიდანვე არსებობდა.

გამონაკლისს, ამ მხრივ, როგორც ყველა სხვა დადებითს საქმეში, არც ჩვენი ღვთითკურთხეული საქართველო წარმოადგენს.

უფრო მეტიც: როგორც სათანადო ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, მკვლევართა ერთი ნაწილი ამტკიცებს, დამნაშავეობასთან ოფიციალური სახელმწიფოებრივი ბრძოლა, ისევე როგორც პროფესიული მკურნალობის (გავიხსენოთ კოლხი მედეა, რომლის საკუთარ სახელთანაა დაკავშირებული დღევანდელი მსოფლიოს ყველა ენაში დამკვიდრებული ტერმინი – მედიცინა), განათლების სისტემის, დამწერლობისა და ბევრი სხვა სოგადსაკაცობრიო მიღწევის დამწყებნი და განმავითარებელნი ქართველები ვყოფილვართ.

ამ მხრივ საჭიროა დასახელდეს ასეთი ფაქტები: 1118 წელს, დიდმა დავით აღმაშენებელმა, პირველად საქართველოს ისტორიაში, შექმნა რეგულარული საჯარისო შენაერთები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-დაცვასთან ერთად, შიგაკონფლიქტების (ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგეთა

თავხედობის) დარეგულირებას, სავაჭრო საქარავნო გზებზე მომრავლებულ ყაჩაღ-მძარცველთა ალაგმვასა და საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა-განმტკიცებას ემსახურებოდნენ.

ცოტა მოგვიანებით, 1179 წელს, აღმაშენებლის ღირსეულმა შთამომავალმა მეფემზე თამარმა, სახელმწიფო დარბაზის (დღევანდელი გაგებით — პარლამენტის) სხდომაზე მიიღო საგანგებო კანონი, რომლის ძალითაც მეკობრეები, ყაჩაღები, ქურდები და სხვა ჯურის ქვეგამხედვარე ელემენტები „ძელსა ზედა ჩამოხრჩობით“ ისჯებოდნენ. ბუნებრივია, ქვეყანაში შექმნილი იყო სპეციალური შეიარაღებული რაზმები, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებდნენ ზემოაღნიშნულ დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის კანონს.

ამდენად, ახალი ამერიკის აღმოჩენად არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვით, რომ სულმნათი მეფეების მიერ გატარებული მაშინდელი დროისათვის მართლაც რევოლუციური ხასიათის ღონისძიებები, რაც საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის მებრძოლი მუდმივმოქმედი შეიარაღებული ძალების შექმნაში გამოიხატა, სხვა არაფერია, თუ არა ქართული სამართალდამცავი ძალოვანი სტრუქტურების (იგივე პოლიციის) ჩამოყალიბება.

შორს წაგვიყვანდა ისტორიის ქარტეხილებში იმის ძიება და დეტალურად დაზუსტება, რომელ საუკუნეში რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებდნენ თანამედროვე ქართველ ძალოვანთა წინამორბედები. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ქართული პოლიცია, ძირითად სასიცოცხლო არტერიას რომ წარმოადგენს დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ორგანიზმში, სულაც არ გახლავთ ცარიელ ნიადაგზე აღმოცენებული და აგერ, თითქმის ათასი წლის ისტორია აქვს.

ღრმად სიმბოლური გახლავთ ის ფაქტი, რომ მესამე ათასწლეულს, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქვეყანა, დამოუკიდებლობას დაფნის გვირგვინით შუბლდამშვენებული ხვდება. გარკვეული ღვთაებრივი კანონზომიერებაა ჩადებული იმაშიც, რომ ოთხიათასწლოვანი ისტორიის მქონე საქართველო, ყოველი ახალი ათასწლეულის დასაწყისს დამოუკიდებელი, თავისუფალი და მძლავრი სახელმწიფოს სტატუსით ეგებებოდა. ასე იყო ვახტანგ გორგასალის დროს (პირველ ათასწლეულში), ასე იყო დავით აღმაშენებლის დროს (მეორე ათასწლეულში) და ასეა ამჟამადაც.

ახლა ქვეყნის ხელისუფლების, ყველა მისი სტრუქტურის, ხალხის, თითოეული ქართველის უპირველესი და ყველაზე ფასეული ამოცანაა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის ზრუნვა. ამ ყოვლისგანმსაზღვრელი საღვთო პრობლემის გადაწყვეტაში კი, მთავარი როლი და როგორც იტყვიან

ლომის წილი, სწორედ პოლიციას, ძალოვან სტრუქტურებს ეკისრებათ.

ამიტომაცაა, რომ ჩვენი ორმოცსაუკუნოვანი არსებობის მთელს პერიოდში, საქართველოში მუდამ მოქმედებდა სამართალდამცველობითი სისტემა და თანაც სხვადასხვა პროფილებისა, რომელთაგან დღევანდელი პოლიციის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს ე.წ. „მპარავთმძებნელთა“ ორგანო, რომლის ხელმძღვანელი, სამეფო კარის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ფიგურას წარმოადგენდა.

დღევანდელი გაგებით პოლიცია, გურიაშც, ისევე როგორც მთელს საქართველოში, 1918-21 წლებში ჩამოყალიბდა, რომლის მაშინდელი სახელწოდება, რუსული ენის სეგავლენით, მილიცია გახლდათ.

ამავე სახელწოდებით მოქმედებდა წესრიგის დამცველთა ეს უნიკალური ორგანო, საბჭოთა კავშირის არსებობის მთელს პერიოდშიაც და ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არა მარტო აღნიშნულ დროს, არამედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის ყველა მონაკვეთში, ძალზედ აქტიურად მოღვაწეობდნენ და საკმაოდ პოპულარულები იყვნენ.

აღნიშნული კუთხით საკმარისია დასახელდნენ მეფის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა შეფი მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, მიხეილ ლორის - მელიქიშვილი და რუსეთის პირველი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი (კაკი) წერეთელი.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით 2001 წელს გამოცემულ წიგნში – „ერთგულება, თავდადება, პროფესიონალიზმი“ – არის დაფიქსირებული, 1923 წელს, რესპუბლიკის მილიციის მაშინდელმა შეფმა გ. ქაფთარაძემ, სპეციალურ ბრძანებაში, მეტად ნაყოფიერად შეაფასა ოსურგეთის მაზრის მილიციის მიერ 1922 წელში ბანდიტიზმის, ყაჩაღობის, გამოუსწორებელი ქურდ-ბაცაცობის წინააღმდეგ გაწეული ბრძოლა, ოფიციალური მადლობა გადაუხადა და ათ-ათი მილიონი მანეთით დააჯილდოვა აღნიშნული ორგანოს უფროსი მახარაძე და მისი თანაშემწე ჯიბუტი, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას, მოკლულ იქნა 12 ბანდიტი და 18 ქურდი, შეიპყრეს 164 სხვადასხვა კატეგორიის კრიმინალი. იმავე 20-იან წლებში, დამნაშავეთა წინააღმდეგ შეტაკებაში, გმირულად დაიღუპა ოსურგეთის მილიციის უფროსი ვ. ჩხაიძე.

გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მაგალითი აჩვენა მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში ჩვენმა თანამედროვემ,

ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძის) რაიმილიციის უფროსმა ი. სიორიძემ.

სხვა მრავალ ვაჟკაცთან ერთად, ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ, საკუთარი სიცოცხლე დათმეს ზურაბ ბერიძემ, აეთანდილ გობრონიძემ, ოთარ ტუღუშმა, ნუგზარ ჭელიძემ, ტიტე ჩხაიძემ...

შინაგან საქმეთა ოფიციალურ დოკუმენტებში დამსახურებული ქება-დიდებით არიან მოხსენიებული პოლიციის გურული თანამშრომლები: ვ. ჩხარტიშვილი, ა. თოიძე, შ. კიღურაძე, ა. ურუშაძე, ლ. სოსელია, ვ. ბაქრაძე, ნ. კეჭაყმაძე, ვ. ჯაში, ქ. გოგიბერიძე, უ. მგელაძე, ზ. შევარდნაძე, ტ, თალაკვაძე, შ. სურგულაძე, გ. ვაჩეიშვილი, ჟ. გოგიბერიძე...

როცა გურულ პოლიციის მუშაკებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ ერთ დროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, შემდგომში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ოზურგეთში დაიწყო აქტიური მოღვაწეობა და წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი ხელმძღვანელთაგანი გახლავთ ზურაბ ჩხაიძე, რომლის შესახებ (ისევე, როგორე ბევრ სხვა გურულ სამართალდამცავზე), ჩვენს წიგნში კონკრეტულად გვექნება საუბარი.

ამჯერად კი, როგორც აღვნიშნეთ, მკითხველს წარვუდგენთ მხატვრულ-დოკუმენტური და პუბლიცისტური ჟანრის რამდენიმე თხზულებას ჩვენი მხარის წესრიგის დამცველთა განსაკუთრებულად გამორჩეულ პიროვნებებზე. იმის გამო, რომ ჩვენი წიგნი უფრო ბუნებრივი და დამაჯერებელი ყოფილიყო, მოვიშველიეთ გურიის სამხარეო პოლიციასთან, წინა წლებში არსებული გაზეთის „პოლიცია და საზოგადოების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებიც.

თუმცა ერთ წიგნში, რა დიდი მოცულობისაც არ უნდა იყოს იგი, მაინც ვერ მოხერხდება ყველა იმ პიროვნებაზე საუბარი, რომლებიც ამას იმსახურებენ, მაგრამ შევეცდებით კვლავაც გავაგრძელოთ აღნიშნული უნიკალური ისტორია და რაც შეიძლება მეტი ბრწყინვალე პიროვნება წარვუდგინოთ პატივცემულ მკითხველს.

როლანდ თავაძე

ავტორისეული წინათქმა

საუკუნეთა მანძილზე დამნაშავეობასთან ბრძოლა ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესთან. ასეა დღესაც.

პოლიციელთა ყველა თაობა ღირსეულად იხდის თავის პროფესიულ, სამსახურებრივ და მამულიშვილურ ვალს. ბევრი მათგანის გმირობა და თავდადება ლეგენდად გადაეცემა თაობიდან თაობას. ათობით თანამშრომელმა საკუთარი სიცოცხლე შესწირა მკვლელების, ბანდიტების, ყაჩაღებისა და სხვა მოძალადეებისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენას, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას.

განსაკუთრებით დიდია პოლიციის დამსახურება იმ კრიმინალური ქაოსიდან ქვეყნისა და მოსახლეობის გამოხსნაში, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა 90-ან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად. ქვეყანაში მართლწესრიგის აღდგენამ და სტაბილურობის დამკვიდრებამ უდიდესი როლი შეასრულა ახალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ისტორიული გეოპოლიტიკური პოტენციალის რეალიზაციასა და დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებაში.

სამოქალაქო ომისა და ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში პოლიცია აქტიურად იყო ჩაბმული. ვფიქრობთ, არავინ ისე არ დაზარალებულა, იმდენი ტკივილი არ გადაუტანია, რამდენიც პოლიციას. რა ვქნათ, ეს ჩვენი ტკივილია, ჩვენი მხრებით გადატანილი ტკივილი.

გურიის რეგიონში მოღვაწე პოლიციელებმა, ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე, არეულობის წლებში, ბევრ სიძნელეს გაუძლეს. უკანდაუხევად და შეუპოვრად იბრძოდნენ დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ. ამასთანავე, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობისათვის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში.

ჭეშმარიტი პოლიციელის ცხოვრების გზა, ბეწვის ხიდია, ყოველდღიურად მივდი-მოვდივართ მასზედ და სად წამოგვეწვება სიკვდილი არავინ უწყის.

ასე იყო უწინ, ასეა ახლაც და მომავალშიც ასევე იქნება უდავოდ. სიამაყეს უნდა ვგრძნობდეთ, რომ პოლიციის მუნდირთან, მის სახელთან შედუღაბებული და შენიეთებულია უდიდესი ვაჟკაცობის, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამის

მაგალითები კი, საბედნიეროდ გურიის სინამდვილეში, მრავალზე მრავალია.

ტელევიზიით ხშირად გვიჩვენებენ უცხოურ ფილმებს, რომლებშიც ასახულია პოლიციელების რთული და დაძაბული ცხოვრება. ჩვენდა უნებურად ვხდებით ამ რთული პროფესიის ადამიანთა თანამგრძნობნი და მრავალი მათგანის პატიოსანი, კაცთმოყვარეობითა და სიკეთით გაჯერებული სახე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენზე.

იბადება კითხვა: ნუთუ ჩვენში არ არსებობენ მსგავსი თვისებებით შემკული პროფესიონალი პოლიციელები და თუ არსებობენ, რატომ არაფერი იქმნება მათზე (თითოოროლა გამონაკლისის გარდა).

აღნიშნული წიგნი გვინდა იყოს გარკვეული ცდა ამ მიმართულებით, რომელშიც შეულამაზებლად აღვწერთ გურიის რეგიონში მოღვაწე პროფესიონალი პოლიციელების (მილიციელების) ცხოვრებას, მათთვის დამახასიათებელი ადამიანური სიძლიერეებითა და სისუსტეებით.

წიგნში მოთხრობილი იქნება სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელებსა და უხილავი ფრონტის იმ ჯარისკაცების საქმიანობის შესახებ, რომლებიც ღირსეულად იხდიდნენ და იხდიან მხედრულ ვალს ქვეყნის წინაშე.

წიგნის გმირებიდან ბევრს ვიცნობდი, მრავალი მათგანის ეაუკაცობის შესახებ სხვებისაგან მსმენია, ხოლო ზოგიერთის თავგანწირვის მოწმე პირადად ვყოფილვარ, სამწუხაროდ ჩვენი რიგებიდან საუკეთესონი არიან წასულები.

ღღეს, როცა ქვეყნის მთლიანობისათვის თუ დამნაშავეობასთან ბრძოლაში დაღუპულთა ბევრი ოჯახი უკიდურეს გასაჭირს განიცდის, იქნებ ამ წიგნში ერთად დაგროვილმა მამაცობამ, სევდამ და მონატრებამ დააფიქროს და შემოაბრუნოს ისინი, იმ ობლად დარჩენილი ოჯახებისაკენ, რომლებსაც ისეთი პიროვნებები თაყვანცემდნენ, უპირველეს მოვალეობად, საქვეყნო საქმის კეთება რომ მიაჩნდათ. და რაც ყველაზე ძვირფასი იყო ამქვეყნად, საკუთარი სიცოცხლეც კი, ქვეყნის საკურთხეველზე მიიტანეს. ხოლო საკუთარი ოჯახები კი, ღვთის ანაბარად დარჩათ მიტოვებული. და იქნებ, იმ უთავკაცოდ დარჩენილთა ოჯახების მიმართ, მცირედი თანადგომა და თანაგრძნობა მაინც გამოიჩინონ იმათ, ვისაც ეს ხელეწიფებათ.

თუ საქართველოსთვის ზეცად ამაღლებული გმირები დაეიწყებული არ იქნებიან, გვწამს, რომ ქართველ პოლიციელთა თავგანწირვა კვლავაც სამაგალითო იქნება, რამეთუ მათი მთავარი

დანიშნულება მამულის დაცვა და ყველაზე დიდი ბედნიერება, სამშობლოსათვის თავის დადებაა.

წიგნში შევეცადე წარმომეჩინა ის ადამიანები, რომლებიც დამნაშავეთა სამყაროს განეკუთვნებიან და მკითხველისთვის დამენახვებინა, თუ რაოდენ ადვილია დაუდევრობითა და ნებისყოფის სისუსტის გამო ამ სამყაროში მოხვედრა, იქიდან გამოსვლა კი — საკმაოდ ძნელი, ან თითქმის შეუძლებელი.

წიგნი — "წლები და ადამიანები" ყველა თაობის მკითხველს ჩააფიქრებს საკუთარი ქცევის, მოქმედების, განსჯის სურვილს აღუძრავს.

ახალგაზრდობას დაეხმარება ცხოვრების მიზნის გამოკვეთასა და მისი განხორციელების გზების ძიებაში, მამულიშვილური გრძნობების გაღვივებასა და კეთილი საქმის კეთების გზაზე შემხვედრ წინააღმდეგობათა გადალახვაში, ხოლო დაღუპულთა ოჯახებისათვის ეს წიგნი ერთგვარი ნუგეში იქნება.

წიგნს, რა თქმა უნდა, ვერ ექნება სრულყოფილობის პრეტენზია, რადგან ეს პირველი ცდაა. შეიძლება ვინმე გამოგვრჩეს, ვიღაცას გულიც დაწყდეს, მაგრამ ჩვენ ყველა შენიშვნას მივიღებთ და მომავლისათვის გავითვალისწინებთ. ვფიქრობთ, მაინც კარგ საქმეს გავაკეთებთ, წარმოვაჩენთ ჩვენი კოლეგების მიერ განვლილ გზას. ამით ახალგაზრდებსაც მაგალითს მივცემთ.

ყველა ნარკვევს აერთიანებს დაუშრეტელი ენერგიის მარადიული წყარო — ერისა და ქვეყნის სიყვარული, რომელსაც ნამდვილად სჭირდება მოვლა და მოფრთხილება. თუ როგორ შეეძლოთ ყოველივე ეს, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია.

მორწმუნეთა სიკეთით მეომრობლონი

„ამმ ამამენის თავი შეეფინოთ
სამეფოსად, გამოსაცხენოსად.
თუ მინთვის ყოველთვიერად,
ჩვენ ის გვეყოფა სახელოსად.“

იგორეს ფაქიანაძე

„ის ცხოვრობს ეკლეზიის იმას, ვინც სიკეთის,
სიკეთის, სიკეთის თესავს!“

ბერეფოლოგი ბერეგი

ყველა თავის წილ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს...

შოთა ჭანუყვაძე

ნებისმიერი ადამიანი, როდესაც განელილ გზას თვალს გადაავლებს, აუცილებლად გააკეთებს ანალიზს, ადვილად დაინახავს დაშვებულ შეცდომებს თუ კეთილსინდისიერად შესრულებულ მოვალეობებს. ბედნიერია ის, ვინც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს ქვეყნისა და ხალხის სიყვარულში. მთავარია იცხოვრო ისე, რომ უკან მოხედვისა არ შეგრცხვეს და კაცური სახელი დატოვო ცხოვრებაში. ქართველი კაცი ხომ ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი ვაუკაცური, რაინდული სულით, და საკუთარი ერის დიდი სიყვარულით. ღირსეული წინაპრების ფესვებზე აღმოცენებული თაობა არც შეიძლება სხვანაირი იყოს.

35 წლის პოლიციის პოლკოვნიკი შოთა ჭანუყვაძე გურიის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი გახლავთ. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მის ცხოვრებას ერთფეროვანს ვერ უწოდებ.

დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის ფილიალი, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი. 1995 წელს, გამონაკლისის სახით, მინისტრის მაშინდელი მოადგილის, ბატონი ჯიმი მიქელაძის ბრძანებით. დაინიშნა ოზურგეთის რაიონში რიგით პოლიციელად. სწორედ იქ, მშობლიურ რაიონში ჩაიწერა შოთა ჭანუყვაძის შინაგან საქმეთა ორგანოებში დიდი და შინაარსიანი მოღვაწეობის ისტორიის თავფურცელი. იქედან დაიძრა ის კაცური შუქი და სიკეთესთან შერწყმული რაინდობა, რომელიც შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და ქ. თბილისის გარნიზონში მოღვაწეობისას, მის ვაუკაცურ ცხოვრებასა და საქმიანობაში განვითარდა.

მე მას კარგახანია შორიდან ვიცნობდი, სხვებისგანაც მესმოდა და მისი საქმიანობიდანაც ვხედავდი, რომ პროფესიონალიზმითა და კეთილსინდისიერებით ბევრისგან გამოირჩეოდა. პირადად მაშინ გავიცანი, როცა გურიის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილედ დაინიშნა და მასთან თათბირზე მივედი.

– იმედი მაქვს, წესრიგის დასამყარებლად ყველა გვერდით დამიდგებაო – მშვიდი ტონითა და თბილი ღიმილით თქმულმა ამ სიტყვებმა მე დამარწმუნა მის მტკიცე ხასიათში, იმაში, რომ მას მართლა შეეძლო საზოგადოებრივი საქმისთვის თავგანწირვა.

არ უყვარს შოთას საკუთარ თავზე ლაპარაკი და ეს მარტო თავმდაბლობით როდია გამოწვეული, რადგან გმირული თავგანწირვა ამ ადამიანისათვის ჩვეულებრივი, პროფესიული მოვალეობის ასრულებაა ისევე, როგორც ქირურგისათვის ოპერაციის ჩატარება. უამრავი შესაშური თვისება ახასიათებს. არის გულისხმიერი, კეთილი, გაჭირვებაში უფრო საიმედო თანამდგომს ვერ იპოვით.

შოთა და მისი მეგობრები ზემო აფხაზეთში ერთ-ერთი ოპერაციის დამთავრების შემდეგ

ზემოთ გმირობა და თავგანწირვა ვახსენე... სიტყვები – რაც უნდა ბევრის მთქმელი და ბევრის მომცველნი იყვნენ – თავისთავად არარაობად იქცევიან სათანადო ფაქტებისა და არგუმენტების გარეშე. ასეთები კი იმდენია შოთა ჭანუყვაძის ისტორიაში, რომ ჩვენი სქელტანიანი წიგნიც კი ვერ დაიტევს. რამდენიმე მათგანს მაინც გამოვიტან მკითხველის სამჯავროზე.

1999 წლის შემოდგომაზე ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმებისა და რეალიზაციის მიზნით, თითქმის ერთი კვირა იმყოფებოდა პანკისის ხეობაში. ეს ის პერიოდია, როდესაც ფაქტიურად ხეობას აკონტროლებდნენ ე. წ. „ბოევიკები“. მიუხედავად ამისა მოხერხდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება, რის შედეგადაც დაკავებულ იქნა ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი ნარკობარონი ბადაკაშვილი. მისგან ამოღებული იქნა 300 გრამი „ჰეროინი“, ასევე აღმოაჩნდა ორი ცალი პისტოლეტი.

თითქმის ერთი თვე მოანდომეს შოთა ჭანუყვაძემ და მისმა მეგობრებმა ქ. როსტოვიდან ჩამოსული ეროვნებით სომეხი ქალის, ე.წ. „ბარიგის“, გვარად ესტოიანის მხილებას. იგი მაშინ დააკავეს როდესაც სარეალიზაციოდ გამზადებული ჰქონდა 400 გრამამდე „ჰეროინი“.

შოთა განსაკუთრებით დაუნდობელია ე.წ. „კანონიერი ქურდების“ მიმართ. მის ანგარიშზეა ათობით ასეთი კრიმინალის დაკავება. მათ შორის მან რამდენიმე მათგანი გაიხსენა: აეროპორტში დაკავებულ იქნა ქუთაისელი ქურდი მამალაძე, რომელიც ქ. ტოლიატში „მოღვაწეობდა“ სხვადასხვა გვარით. ქობულეთში – ვინმე მორჩილაძე, მეტსახელად „პიტკინა“. კახელი ქურდი ელიკაშვილი, მეტსახელად „ლურსმანა“, ხაჩიძე, მეტსახელად „რიეა“, არჩვაძე, რაზმაძე, ირემაშვილი... ამ უკანასკნელს დაკავებისას აღმოაჩნდა 42 გრამამდე “ჰეროინი”, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ეს არცაა გასაკვირი. შოთა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში ხელმძღვანელობდა იმ განყოფილებებს, რომელთა უშუალო მოვალეობა იყო ბრძოლა ამ მეტად საშიში ბოროტების წინააღმდეგ.

თავად შოთა ღირსეულ ოჯახში აღიზარდა. მამამისი ბატონი ილია (ალეკო) წლების განმავლობაში მუშაობდა რაიკავშირის სისტემაში, დედა კი, ქალბატონი ეთერი სპეციალობით ფარმაცევტია, – საქმიანობს ოჯახში, სადაც პატიოსნება, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და ღირსება პირველ პლანზეა წამოწეული. „არ დაგვიწყდეს ვისი გორისა ხარ“, ეს იყო მთავარი წესი, რითაც შოთა აღიზარდა, და მას ეს არასოდეს ავიწყდება. ეუსმენდი ჩემს რესპოდენტს და აღტაცებას ვერ ვმალავდი. საქართველოს ბევრი ჰყავს ასეთი შვილი, რომლებიც ყველაფერს გაიღებენ ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. როგორც მისი საქმიანობიდან ჩანს, მაქსიმალურად შეისისხლხორცა და შეიყვარა თავისი პროფესია. ადვილად აუღო ალღო პოლიციურ მუშაობას და დღეს იგი უკვე პროფესიონალის ამპლუაში გვეელინება.

– ბატონო შოთა, სანამ უშუალოდ თქვენდამი დაქვემდებარებულ სამხარეო სტრუქტურაზე ვისაუბრებდეთ, გთხოვთ საერთოდ ქართულ პოლიციაზე, მის დღევანდელობაზე გვითხრათ ორიოდე სიტყვა:

– პოლიციის არსი, ძირითადი დანიშნულება მისი სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს. ეს ტერმინი მოგეხსენებათ ბერძნული გახლავთ და სახელმწიფოს მართვას, ადმინისტრაციას ნიშნავს. იგი მეტად საჭირო და აუცილებელი ორგანოა ნებისმიერი პოლიტიკურ – ეკონომიკური წესრიგისა და მიმართულების ქვეყანაში. ცხადია ანალოგიური მიდგომაა პოლიციის მიმართ საქართველოშიც. და მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის რთულ გზაზე შემდგარი საქართველო სულ რაღაც თხუთმეტიოდე წელს ითვლის, თამამად შეიძლება ითქვას, ქართული პოლიცია მყარ ნიადაგზე მდგომი

მობილური და ტექნიკური ორგანოა, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ბედ-იღბალი.

ასე, რომ პოლიცია მოწოდების სიმაღლეზე დგას. რაც შეეხება ოპერატიულ სამსახურს, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო მეტად სანერვიულო და სარისკო სამსახურია. თუ განსაკუთრებული მონდომება და უნარი არ გაგაჩნია, ამ ორგანოში ვერ იმუშავებ. ოპერმუშაკი სულ მოძრაობაში, სულ ძიებაში უნდა იყოს.

— როგორც არაერთხელ დაფიქსირდა, გურიის სამხარეო პოლიცია ქვეყნის ძალოვანთა ერთ –ერთ ავანგარდად ითვლება. რამ განაპირობა, რით დაიმსახურეთ. ესოდენ საპატიო ტიტული?

— თქვენს მიერ მოხმობილი ტერმინი — „ავანგარდი“ და „საპატიო ტიტული“ ცოტა პომპეზურად მეჩვენება. ჩვენ ქართული პოლიციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ვართ, სიძნელეებიც ბევრი გაგვაჩნია და წარმატებებიც საკმაოდ ეფექტური გვაქვს უკვე მოპოვებული. ვერ ვიტყვი ყველაზე კარგები ვართ მეთქი, მაგრამ სხვებზე ნაკლები ნამდვილად არა ვართ. უფრო მეტიც: ზოგიერთ მხარესთან შედარებით, ჩვენთან სტაბილური მდგომარეობაა. საერთოდ ქვეყანაში არსებული სიტუაციის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ დღეს გურიაში წესრიგია.

როცა გურულ ძალოვანთა ნაღვაწს ვაფასებთ, ამ მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები, გეოგრაფიული მდებარეობა, დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და უამრავი ის მნიშვნელოვანი ნიუანსიც უნდა გავითვალისწინოთ, რომლებიც გარკვეულ სიძნელეებს გვიქმნის. მხარის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო თუ საავტომობილო ტრასები. გურული კაცის ფიცხი ხასიათი და ცნობილი მეამბოხე სული, ჩვენს ისედაც რთულ ყოველდღიურ საქმიანობას, უარკვეულწილად აძნელებს და მეტისმეტად ფაქიზ მიდგომას მოითხოვს. მაგრამ იგივე გურული კაცის თანდაყოლილი სამართლიანობა და წესრიგის სიყვარული, ჩვენს საერთო ძალისხმევასთან ერთად, სტაბილიზაციის მიღწევის საშუალებას გვაძლევს და ვცდილობთ აღნიშნული შანსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

— ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით გურია ტერიტორიული თვალსაზრისით არ ითვლება მაინცდამაინც დიდ რეგიონად. ხომ ვერ დაგვიხასიათებდით მის თითოეულ რაიონს ცალ-ცალკე?

— როგორ გითხრათ, რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავება ჩვენს სამ რაიონს შორის, რა თქმა უნდა არ არის. ისევე, როგორც მთლიანად მხარეში, ჩოხატაურშიც, ლანჩხუთშიც და ოზურგეთშიც მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობაა.

რაც შეეხება მათ ცალ-ცალკე დახასიათებას, სტატისტიკური მონაცემებით რომ არ გადაგღალოთ, მოკლედ ვიტყოდი:

ჩოხატაურში ტრადიციულად ნორმალური სიტუაციაა ჩვენი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. მდგომარეობის ყოველ-დღიურად სრულყოფისა და გაუმჯობესების აქ არსებული ტენდენცია წარმატებით ვითარდება და ყოველი მომდევნო წელი, წინამორბედთან შედარებით, უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება.

ლანჩხუთში მდგომარეობას, ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები სააუტომობილო და სარკინიგზო ტრასები ართულებს. მაგრამ ად-გილობრივი ძალოვნებისა და მათი თაეკაცების თავდაუზოგავი მცდელობით, საერთო მდგომარეობა აქაც სტაბილურია.

შედარებით უფრო რთული რეგიონია ოზურგეთი. აქ მთელი რიგი ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების გამო (მათ შორის იმის გამოც, რომ იგი მხარის ცენტრს წარმოადგენს და აქ ყველა კატეგორიის ადამიანთა ინტენსიური კონცენტრაცია ხდება), ნების-მიერ დროს, ნებისმიერი დანაშაულია მოსალოდნელი. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ოზურგეთში განუკითხაობაა. აქ ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, ბევრიც კეთდება, მაგრამ გაცილებით მეტია საჭირო. თანაც როცა ამას ვამბობ, უბრალოდ სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესებას არ ვგულისხმობ, არამედ საქმის რეალურ მოგვარებაზე მაქვს საუბარი. გასაკეთებელი და მოსაწესრიგებელი კი, როგორც საერთოდ მხარეში, ოზურგეთშიც ჯერ კიდევ ძალზე ბევრია.

— რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც პოლიცია, ოპერატიული სამ-სახური?

— ყველა ადამიანი გზას თავისი სურვილით ირჩევს. მე მინდოდა დამოუკიდებლად გამეკვლია გზა და ჩემი ადგილი და ჩემი „მე“ დამემკვიდრებინა. დღეს პოლიციის მუნდირი მაცვია და სალხის სიმშვიდის სადარაჯოზე ვდგავარ. ვფიქრობ, ჩემი გზა ვიპოვე ცხოვრებაში და უფლება არ მაქვს ეუღალატო ამ არჩევანს, ჩემს საქმესა და ჩემს კოლექტივს.

— ვხედავ, მართლაც თქვენი ადგილი იპოვეთ ცხოვრებაში.

— დიახ, ბედნიერი ვარ, როცა გაჭირვებულ ადამიანს ვეხ-მარები, როცა საზოგადოებას კიდევ ერთ კრიმინალს ავაცილებ, როცა მკვლელს, მძარცველს, ქურდს, თაღლითს საკადრისს მივ-უსდავ... განა ეს არ არის ბედნიერება?

— ბატონო შოთა, ვინ იყვნენ თქვენთვის ისეთი მისაბაძი პო-ლიციელები, ვისგანაც საქმის სიყვარული და ოპერატიულობა ისწავლეთ?

— ზურაბ ჩაფურიშვილისა და ირაკლი ქადაგიძისგან, ამ ორი მართლაც პროფესიონალ ჩეკისტისაგან მე ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. საერთოდ, ყველგან, სადაც კი ვმუშაობდი, ვცდილობდი მესწავლა ჩემი პროფესიის ყველა დეტალი, ნიუანსი. როცა საქმე

არ ვიცოდი ან არ მესმოდა ვკითხულობდი, შეკითხვისა არ მრცხვენოდა. სირცხვილი ისაა, რომ არ იცი და შენი უცოდინარობით საქმეს აფუჭებ. ძალიან ვაფასებ პროფესიონალიზმს, გამოცდილებას. იცით, მესიამოვნება ჩემზე რომ თქვან, პროფესიონალიაო.

— ყველა ჯარისკაცი გენერლობაზე ოცნებობს...

— მიგიხვდით, მაგრამ ყველა გენერალი როდი ხდება. ჩემოვის მთავარია მუშაობა, საყვარელი საქმის კეთება, რაც უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ხალხს და ჩემს ქვეყანას, მით უფრო ბედნიერად ჩავთვლი თავს.

მე, პირადად, კმაყოფილი არა ვარ ჩემი მუშაობით, რეალური სინამდვილე მეტს მოითხოვს.

ვეთანხმებით ბატონ შოთას და ჩვენც დავსძენთ რამდენიმე სიტყვას: უკმარისობის გრძნობა, შემდგომი წინსვლის საფუძველია. თუ ჯარისკაცი გენერლობაზე უნდა ფიქრობდეს, პოლკოვნიკი ხომ უფრო ახლოა ამ მიზანთან?!

დღეს ჩემი „ლაშქრობის“ ობიექტი ახალგაზრდა ოპერმუშაკი, 35 წლის პოლიციის პოლკოვნიკი შოთა ჭანუყვაძე გახლავთ. ახალგაზრდა, რომელმაც თავისი გზა უკვე აირჩია ცხოვრებაში და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა.

— „მთავარია შენი განუმეორებელი კვალი დატოვო, ვაუკაცურად გააკეთო ის საქმე, რასაც ემსახურები, რომ შემდეგ უკან მოხედვის არ შეგრცხვეს, ყველა თავის წილ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს“—გზაში ვიმეორებდი შოთას სიტყვებს.

ვფიქრობ მას უკან მოხედვისა არ შერცხვება, რადგან არასდროს უღალატებს თავის არჩევანს, თავის საქმეს, ოჯახის ავტორიტეტსა და პოლიციელის ღირსებას. ყველა ადამიანი ბედნიერია, როდესაც ცხოვრებაში საკუთარ გზას იპოვის.

ჩემი წვრილი გურიის რეგიონის პირველ პოლიციელზეა, რომელსაც ჩვენი სიმშვიდე აბარია. პოლიციელზე, რომელსაც გააჩნია ოცნებები და იმედები, სიხარული და სიყვარული.

— უახლოესი პერსპექტივები როგორ გესახებათ?

— ჩვენს მიერ განელილი გზა, მიღწეული შედეგი და სამხარეო სტრუქტურაში არსებული ფიზიკური თუ სულიერი პოტენციალი იმის სრულ გარანტიას გვაძლევს, რომ მომავალს ოპტიმისტურად შევხედოთ.

ამაზე მეტყველებს ბოლო პერიოდში ქვეყანაში მომხდარი სასიკეთო ცვლილებები, აღნიშნული დაეტყო ჩვენს სისტემასაც.

პოლიციაში მოდის განათლებული და გონიერი ახალგაზრდობა. ეს მისასალმებელია და შელახული პრესტიჟის გამოსწორებაზეც მეტყველებს. სადაც კი მიმუშავია ყველგან თბილი

ატმოსფერო იყო, არასოდეს მქონია კონფლიქტური სიტუაცია თანამშრომლებთან. ენერგიულ, საქმესე შეეყარებულ ადამიანებთან მიადეილდება ურთიერთობა, ამ მხრივ ბედნიერი კაცი ვარ, კონკრეტულად თუ მოინდომებ და საქმეს კეთილსინდისიერად მოეკიდები, შეუძლებელს გააკეთებ, მარტო არ დარჩები, ყველა გვერდით დაგიდგება. თუმცა, ყველა'სე დიდი ბედნიერება ჩემთვის ოჯახია, ერთი წლის ილია, ეს რა თქმა უნდა ლირიკული გადახვევაა... რას იზამ, გულჩვილი მამა ვარ.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის 3000 წლოვანი ისტორია სავსეა იმის დამადასტურებელი მომენტებით, რომ საქართველოს ბევრი უფრო უარესი და საშიში პრობლემებისთვისაც გაუძლია, ვიდრე დღეს გვჭირს.

ასე, რომ ხვალინდელი დღის დიდი იმედი გვაქვს!

– მოდი ამ ოპტიმისტური განწყობით დავამთავროთ ჩვენი შეხვედრა.

– მადლობა საინტერესო საუბრისათვის. წარმატებებს გისურვებთ სამსახურებრივ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

– გმადლობთ!

რასაც ვაკეთებთ, სიყვარულით ვაკეთოთ

შალვა ბოლქვაძე

გურიის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში დამსვდურთა ხალისიანმა განწყობამ გამაოცა. ისიც კი ვიფიქრე, ალბათ თითო თვის ხელფასით დაუჯილდოებიათ მეთქი. მაგრამ შეეცდი. მათი სიხარული არ ყოფილა მატერიალური მიზეზით გმოწვეული. იგი უფრო ჭეშმარიტი იყო და ამაღლებული... ჩინოსანი თუ უჩინო, დიდი თუ პატარა, ყველა ერთმანეთს ულოცავდა მთავარი სამმართველოს უფროსად ადგილობრივი კადრის ბატონი შალვა ბოლქვაძის დანიშვნას. ალბათ იშვიათად თუ რგებია რომელიმე ხელმძღვანელს ახალ ამპლუაში დანიშვნისთანავე ქვეშევერდომთა ასეთი საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

სავიზიტო ბარათი: შალვა ბოლქვაძე – გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსი პოლიციის კაპიტანი.

დოსიე: დაიბადა 1971 წლის 1 იელისს, ოზურგეთის რაიონის სოფ. ბახვში. დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და უშიშროების აკადემია. შს ორგანოებშია 1998 წლიდან. ღირსეულად განვლო დიდი და რთული გზა.

უშიშროების სამინისტროს ოზურგეთის განყოფილების უფროსი ოპერატიული თანამშრომელი, ამავე განყოფილების უფროსი, 2008 წლის 14 იანვრიდან შსს გურიის სამხარეო მთ. სამმართველოს უფროსი, 2008 წლის 1 სექტემბრიდნ შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს მთ. სამმართველოს უფროსის მოადგილე.

შტრიხები პორტრეტისათვის: პრინციპული და ობიექტური, გულისხმიერი, ხრდილი, გამტანი, უღალატო მეგობარი, მიმტე-ევებელი, კონფლიქტური? არა. ემოციური, მაგრამ არა აფექტური, სიმღერის, ნადირობისა და თევზაობის ტრფიალი. საყვარელი ფრაზა: "ჩემო ძმაო."

ზოდიაქოს ნიშანი: კირჩხიბი – ზოგჯერ ფიქრიანი თვალები, მაგრამ გამჭოლი მზერა, უტეხი ნება – სულიერი და ფიზიკური სიძლიერის ნაზავი. საუბარი მოზომილი, ქცევა – რაინდული, იერი – ვაჟკაცური, ურთიერთობაში უშუალო, ადვილად არ ბრაზდება, მაგრამ...

„ყველაზე დიდი გმირობა ისაა, რომ ადამიანს შეუძლია იხუმროს მძიმე წუთებში" – წერდა ნიცშე. ვინც ბატონ შალვა ბოლქვაძეს იცნობს, ცხადია დამეთანხმება, რომ იგი ამ მიმართებითაც გამორჩეულია. ერთი სიტყვით, ასეთი კაცი არა თუ შს ორგანოებს – ნებისმიერ სტრუქტურას და ჩინს დაამშვენებდა. მან კი ოპერატიული სამსახური არჩია.

– ბატონო შალვა, თქვენზე ამბობენ „სუფთა კაციაო", ამ ბინძური თამაშების ეპოქაში როგორ შესძელით სუფთად დარჩენა? საუბარია 1998-2003 წლებზე?

– „მოაყარია არ დაუშვა, რომ შენი სინდისი კომპრომისზე წავიდეს ადამიანის ყოფით სისუსტეებთან და მაშინ, როგორც თქვენ ბრძანეთ, „სუფთად" დარჩენა არც თუ ისე ძნელია.

– ერთი დიდი ფილოსოფოსი ამბობდა – „სურვილში შეიცნობა კაციო". ყველა ჯარისკაცი რომ გენერლობაზე ფიქრობს ვიცით, კაპიტნები რაზე ოცნებობენ?

– (ღიმილით) დავეთანხმოთ სპინოზას... თუმცა ჩემი, როგორც ჯარისკაცის ოცნება ქვეყნის გამთლიანება, ერთიანი და ძლიერი საქართველოა.

– არის ასეთი ანდაზა: „მომეცი დრო და გავხდები პრინცი" შეიძლება ითქვას, უკვე „პრინცი" ხართ. ამ გადასახედიდან რას

იტყოდით ოპერატიული მუშაკის ამპლუაში განელილ 10 წელზე, რაიმეს თუ შეცვლიდით?

— დროის აღნიშნული პერიოდი არც ძალიან დიდია და არც მცირე, საკმარისია იმისათვის, ოპერატიულმა მუშაკმა, როგორც ადრე იტყოდნენ— ოპერმა, თავისი სიტყვის თქმა მოასწროს... სიხარულიც იყო, ტკივილიც, წარმატებაცა და დაბრკოლებაც, პრობლემებიც, შექებაც, საყვედურიც, მაგრამ ალბათ არაფერს შევცვლიდი, რადგან ვთვლი ყველა ეს საფეხური კაცურად განვლილ, გვერდით ყოველთვის იყვნენ ჩემთვის საყვარელი და ძვირფასი ადამიანები.

— „ქვეყანაშია ფერები მუქი“ — როგორ მოვიქცეთ?!

— (სერიოზული სახით) ნიღბიანმა თუ უნიღბომ, ყველამ უნდა ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი და ჯანღის გაფანტვა ვცადოთ. იქნებ შევძლოთ ჩვენმა შვილებმა მაინც იცხოვრონ ისეთ ქვეყანაში, სადაც ღია ფერები იქნება მოჭარბებული.

— „სი ვის პაცე, პარა ბელუმ“ — „თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის“ — თქვენი კომენტარი.

— ასეა, ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყოს მოულოდნელი დარტყმისა თუ პრობლემის გადასალახავად, თავად ცნება „მშვიდობა“ ხომ არ იარსებებდა ომიც რომ არ იყოს.

— როგორც კაცი და როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე ვისთვის და რისთვის გასწირავდით თავს უყოყმანოდ?

— ხომ არ მოგატყუებთ, როგორც კაცი, საკუთარ სიცოცხლეს უყოყმანოდ ვანაცვალებ შვილების კეთილდღეობას. ხოლო როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, თუკი ჩემი თავგანწირვა რამეს შეცვლიდა— სამშობლოსა და ხალხის ნათელ მომავალს. მუნდირიან კაცს სხვა უფლება არც გააჩნია.

— ბატონო შალვა, შვილს თუ დათანხმდებით, თქვენს გზას რომ გაჰყვეს?

— თუ ეს შეგნებული გადაწყვეტილება იქნება კი, ბატონო... მაგრამ ისინი ჯერ პატარები არიან. კიდევ რამდენიმე წელია საჭირო იმისათვის, რათა გადაწყვიტონ რას დაუკავშირონ თავიანთი მომავალი.

— ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით ზედმიწევნით დადებითად ხასიათდებით. რა, ნაკლი არა გაქვთ?

— (იცინის) უნაკლო ადამიანი გინახავთ სადმე? ისე მე თუ მკითხავთ ალბათ არცაა აუცილებელი ერთმანეთის თვალებში ბეწვის ძებნა, იქნებ აჯობებს კაცის დანახვასა და აღმოჩენას შევუწყოთ ხელი, ეს ალბათ შორს გამიზნული ქმედება იქნება. და კიდევ: სასურველია რასაც ვაკეთებთ, სიყვარულით ვაკეთოთ, პრო-

ფესიონალები ვიყოთ. ერთი სიტყვით, ყველას წარმატებას ვუსურვებ თავის საქმეში.

სასაუბრო ბევრი იყო, მაგრამ მილოცვის მსურველთა ვიზიტებისა თუ ზარების გამო, აუდიენციის შეწყვეტა გადავწყვიტე. ამ დროს, ერთმა თანამშრომელმა, ღიმილით შემომაგება: — ის სხვებისათვის გახდა მაღალჩინოსანი, თორემ როგორც პიროვნება, ჩემთვის ყოველთვის მისაბაძი იყოო.

მართლაც რომ ხალხის ნდობა, სიყვარული და პატივისცემაა ყველაზე მაღალი ჯილდოც და ჩინიც.

გახსოვთ რა სიტყვებით მიმართა ნაპოლეონმა გოეთეს?! — „შენა ხარ კაცი!“ დიახ, კაცობით მოიპოვა ბატონმა შალვა ბოლქვაძემ ყოველივე, რაც გააჩნია. ისიც რეალობაა ოპერატიული მუშაკის ცხოვრება იავარდით რომ არაა მოფენილი, მაგრამ ვაუკაცობაც ხომ ისაა, რომ ეკლიანი გზით იარო და ვარსკვლავებს მისწვდე. ბატონმა შალვამ ისიც კარგად იცის, რომ ბრძოლა სწორედ გამარჯვების შემდეგ იწყება. მართლაცდა მისი აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა რეგიონში. ამის საილუსტრაციოდ, რაგინდ მოსაწყენიც არ უნდა იყოს, მაინც სტატისტიკას მოვიშველიებ, რადგან ციფრების ლოგიკა უტყუარია.

ცხრა თვის მანძილზე კრიმინალური პოლიციის ხასით გურიის მხარეში რეგისტრირებულია 492 დანაშაული, გაიხსნა 235 ანუ 47,8%, საგრძნობლად შემცირდა მძიმე დანაშაულთა რიცხვი. ამასთან გაიზარდა მათი გახსნის მაჩვენებელი.

აშკარად იგრძნობა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა კლების ტენდენცია. თუ 2007 წლის 9 თვეში, რეგისტრირებული იყო განსრახ მკვლელობის 4 ფაქტი და გაიხსნა მხოლოდ 1 — 2008 წლის შესაბამის პერიოდში, რეგიონში 3 მკვლელობის ფაქტიდან სამივე გახსნილია, სხვადასხვა დანაშაულისათვის მიმალვაში მყოფი 78 ბოროტმოქმედიდან, მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარებული ოპერაციების 'შედეგად, უკვე დაკავებულია 32—მდე ძებნილი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძებნილთა აბსოლუტური უმრავლესობა შეპყრობილია ყოველგვარი გართულების გარეშე.

ბუნებრივია, გაწეული მუშაობა მარტო რეგიონული პოლიციის სამმართველოს მხრებზე არ გადადის. კრიმინალური სიტუაციის განმუხტვაში ლომის წილი მიუძღვის ოსურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოებს, რომელთაც უნარიანი ხელმძღვანელები ჰყავთ და რომელთა შერჩევა მოხდა უშუალოდ ბატონი შალვას მიერ.

ის-ის იყო საუბარი უნდა დაგვემთავრებინა, რომ ტელეფონმა გაიწკრიალა. თაყისი მაშინდელი მოადგილე, შოთა ჭანუყვაძე მოახსენებდა, – ბიჭები ოპერაციიდან დაბრუნდნენ და დატყვევებული ორი ძებნილიც მოიყვანესო!

ორი ძებნილი, ორი ყაჩაღი. ეინ იცის, რამდენი ოჯახი გააუბედურეს ამ ავაზაკებმა – ჩაილაპარაკა და შედეგით კმაყოფილმა გადმომხედა.

მისი სისარული მეც გადმომედო, რადგან ვიგრძენი, კიდევ ორი გარეწრის თარეშს დაესვა წერტილი გურიაში.

ბატონმა შალვა ბოლქვაძემ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რვა თვე დაჰყო სამხარეო პოლიციის უფროსის თანამდებობაზე. ეს დრო ძალიან ცოტაა კოლექტივში ძირფესვიანი გარდაქმნების განსახორციელებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მან ბევრის გაკეთება შესძლო.

დავრწმუნდი, რომ ბატონი შალვა განსჯის უნარით დაჯილდოებული ადამიანია, თითქმის ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებს. მას ხანდახან უნებლიედ გაჰკრავს სინანულის, უკმარისობისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა – იქნებ რაღაც დამრჩა გასაკეთებელი, გადასაწყვეტი, ბოლომდე მისაყვანიო.

ღმერთმა გადღეგრძელოთ ბატონო შალვა! ის თვეები თქვენ რომ გურიის სამხარეო პოლიციაში გაატარეთ, ყოველთვის სასიამოვნო მოგონება იქნება თქვენი ყოფილი კოლეგებისათვის, ვისურვებთ – ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა პოლიციელები!



ელგუჯა ჩაელეშვილი

მას თავის კაბინეტში შევხვდი, III სართულზე, სადაც მოწყობილ ოთახს მოწესრიგებული ადამიანის ხელი ეტყობოდა. შემოსასვლელის პირდაპირ კედელზე დიდი, ბზისგან გაკეთებული ჯვარი ეკიდა, სწორედ ისეთი, შინაგანი ტკიეილის ელფერი რომ დაჰკრავს ხოლმე. საკარძლის თავზე წმინდა გიორგის, როგორც მებრძოლთა შემწის ხატი აძლიერებდა მის ისედაც უტეხ ნებისყოფას. გვერდზე მდგარ კარადაში კი, შინაგან საქმეთა მინისტრთან გადაღებული სურათი იყო გამოფენილი, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ჩემს წინ ჭკვიანი, ენაწყლიანი, გამოცდილი ოპერმუშაკი იდგა – თავისი ირონიულად მიმზიდველი ბევრისმთქმელი იდუმალი ღიმილით. და ეს პიროვნება, გურიის შსს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, დეტექტივების სამმართველოს უფროსი ელგუჯა ჩაელეშვილი გახლავთ.

ამბობენ, სიმართლის თქმა ძნელიაო, მაგრამ ეს უფრო ადვილი რამაა, ვიდრე ყოველდღიური ცრუობა, ვისაც არ სჯერა, სცადოს!

ადამიანები მეტწილად სიმართლის სახეცვლით არიან დაკავებულნი, მის სტილიზებასა და შეფერადებას ლამობენ, თორემ წმინდა წყლის სიცრუის შეთხზვა სადღა შეუძლიათ.

მცირეოდენი შტრიხი პორტრეტისათვის:

დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფ. ჯუმათში, 1957 წლის 20 მარტს, მოსამსახურის ოჯახში, დედა – ეთერ სოსელია, პროფესიით ეკონომისტი, ამჟამად პენსიონერია.

მამა – გენო ჩაელეშვილი, წლების განმავლობაში მუშაობდა ჯუმათის კოლმეურნეობაში ბუღალტრად. ელგუჯა სოფელში იზრდებოდა. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ სოფლის ახალგაზრდებმა, იგი თავიანთ წინამძღოლად აირჩიეს. სოფლის კომკავშირის კომიტეტის გათავისუფლებულ მდივნად მუშაობდა. შემდეგ, სამხედრო – სავალდებულო სამსახურში, ნახევარი წელი ლენინაკანში დაჰყო. დანარჩენი კი – გალის რაიონის სოფელ მეორე გუდავაში. ჯარი-

დან დაბრუნებული კელაე სოფლის ახალგაზრდობის ლიდერი გახლდათ.

იმ პერიოდში უშიშროების სამინისტროში პარტიის წევრების „ეტაპირება“ ხდებოდა. პერსპექტიული ახალგაზრდა, აღნიშნულ სამსახურში მიიყვანეს. უშიშროების სამსახურში მიღებას, ძირითადად ხელი შეუწყო იმან, რომ მას რეკომენდაცია მისცა გურიის რეგიონის უშიშროების უფროსმა, შესანიშნავმა პროფესიონალმა, ბატონმა ირაკლი კოპაძემ. როგორც ყველა ახალგაზრდას, მასაც აინტერესებდა თავისი შესაძლებლობების ზღვარი, თანაც ეკონომიკური თვალსაზრისით. აღნიშნულ სამსახურში, ძალზე ხელსაყრელი პირობები იყო. უშიშროებაში მიღებისთანავე ხელფასი იმდენი დაუნიშნეს, რამდენიც რაიკომის მდივანს.

თუმცა, ბატონი ელგუჯა კატეგორიულად უარყოფს მხოლოდ მატერიალურ დაინტერესებას. უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს საკუთარი თავის გამოცდის სურვილზე.

როდესაც დავინტერესდი, თუ როგორ ხდებოდა შერჩევა, ბატონმა ელგუჯამ მიპასუხა:

– იმ დროს შერჩევის გზა უფრო რთული იყო, ვიდრე დღეს და საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა...

შერჩევა გრძელდებოდა, როგორც წესი 6 თვიდან ერთ წლამდე. მოთხოვნები ძალიან მკაცრი იყო. თუ რაღაც ხელმოსაჭიდს იპოვნიდნენ არავითარ შემთხვევაში არ მიგიღებდნენ.

პირველ რიგში, ფიზიკურად ჯანმრთელი და გონებრივად განვითარებული უნდა ყოფილიყავი. შემდეგ, იწყებოდა პიროვნების შესწავლა, ვინ არის მის გარშემო, ვინ არიან მისი და-ძმები, საცოლე თუ ცოლი, საზოგადოების რომელ ფენასთან არის დაკავშირებული და სხვა.

— და ეს თქვენ ყველაფერი გაიარეთ...

— დიახ, ერთ მშვენიერ დღეს, დამიძახეს და მითხრეს, თქვენი საქმე გამზადებული გვაქვს და მინსკში გაგგზავნითო (მინსკში რესპუბლიკიდან მხოლოდ 3 კაცი იგზავნებოდა). დავამთავრე თუ არა აღნიშნული კურსები, დუშეთში დამნიშნეს ოპერწმუნებულად. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ოპერწმუნებული ვიყავი, ოპერატიულად ვემსახურებოდი საქართველოს სამხედრო გზას, ანანურის ციხე-სიმაგრიდან დაწყებული, გუდაური-ფასანაურის ჩათვლით და ყაზბეგის რაიონს მთლიანად. აღნიშნულ რეგიონში ჩემი მუშაობა იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მოვახერხე უცხო ქვეყნის მოქალაქის გადმობირება. ასევე წარმატებით ჩავაბარე პირველი საბრძოლო ნათლობა. უფრო კონკრეტულად, უშიშროების კომიტეტიდან მივიღე დავალება იმასთან დაკავშირებით, რომ ე.წ. ლეჩკომბინატიდან გაიქცა ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც დაპატიმრებული იყო განსაკითრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და აპირებდა ქალაქ ორჯონიკიძეში გადასვლას, სადაც მას დიდი საძმო ჰყავდა. საჭირო იყო გზის გადაკეტვა. აღნიშნული დავალების შესახებ არ უნდა სცოდნოდა პოლიციას. მაშინვე დავუკავშირდი ფასანაურის მეურნეობის დირექტორს და ვთხოვე დახმარება. მისი ხელშეწყობით, ასეულობით სული ცხვარი გადმოვადენინე. გზა ჩაიკეტა და მოხდა გაქცეული პირის დაკავება. რისთვისაც უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მადლობა დავიმსახურე.

ერთი პერიოდი, წალკაში მუშაობდა. იქედან ქალაქ ფოთში გადაიყვანეს უფროს ოპერატიულ თანამშრომლად. ამ დროისათვის ფოთი ფაქტიურად ე.წ. ზვიადისტების პოლიგონი იყო. მუშაობა მოუხდა უაღრესად რთულ პერიოდში. 90-იანი წლების დასაწყისში, ეროვნული მოძრაობის აღზევებას თან სდევდა საყოველთაო დაუმორჩილებლობა, კრიმინალის პოლიტიზაცია. ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილმა დამნაშავე ელემენტებმა, დრო იხელთეს და აქტიური მუშაობა დაიწყეს ოპერატიული სამსახურების დისკრედიტაციისათვის. ჩვენი ორგანოები ვერ მოერგნენ შექმნილ ვითარებას, გახშირდა მათზე თავდასხმები, იარაღის წართმევა, წი-

ნასწარი დაკავების ადგილებიდან სერიოზული (მძიმე) დანაშაულზე დაკავებულთა გათავისუფლება. ოპერატიულ სამსახურებს ტოვებდნენ კვალიფიციური კადრები, მათ ადგილს იკავებდნენ სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული პირები. პროფესიონალთა იგნორირებამ არნახული მასშტაბები მისცა დამნაშავეობას, მათი აზრის უგულვებელყოფამ კრახით დაასრულა რამდენიმე ოპერატიული ღონისძიება, შეიწირა ადამიანთა სიცოცხლე.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პერიოდში, დიდი მოცულობისა და რთული ხასიათის ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებები იქნა ჩატარებული ქალაქ ფოთში იმ კრიმინალურ–ბანდიტური ჯგუფების დასაკავებლად, რომლებიც 1990 წლის ზაფხულში თავს დაესხნენ და გადაწვეს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილება.

ეს წლები, როგორც მთელი ქვეყნისათვის, ისე ოპერატიული სამსახურებისთვისაც ძნელბედობის ხანა იყო, განუკითხაობის დრო, როცა ჩვენს ქვეყანაში დათარეშობდნენ სხვადასხვა შეიარაღებული ე.წ. ფორმალები და არაფორმალები. სხვა არ ვიცი როგორ ფიქრობს, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ეს იყო ნამდვილი ტრაგედია, ჩვენი ერის დიდი სირცხვილი, რომელმაც წარუშლელი კვალი დაასვა ქვეყანას. აღნიშნულ პერიოდში ოპერატიულ სამსახურებში მუშაობა გმირობის ტოლფასი იყო და დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

სწორედ გმირობის და თავგანწირვის მაგალითი იყო ფოთში მუშაობისას ბატონი ელგუჯას მოქმედება. უფრო კონკრეტულად, მან მიიღო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთი უკანონო შეიარაღებული ფორმირების მეთაურმა მიიტაცა ჩაით დატვირთული ვაგონი და აპირებდა გემით მის უკრაინაში გაგზავნას და იქედან სანაცელოდ იარაღის შემოტანას. ელგუჯასთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ რადგანაც გემს არ ჰქონდა საწვავი, ერთი ცისტერნა ვაგონი აჭარიდან გამოაგზავნეს. ბატონმა ელგუჯამ იმდენი გააკეთა, რომ ჩაით დატვირთული ორი ვაგონი, მიაბეს საწვავით დატვირთულ ცისტერნას და გააგზავნა თბილისში. მეორე დღეს, განაწყენებული შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელი, თავისი რაზმით შემოვიდა და დაიკავა ქალაქი ფოთი. მათ ჰქონდათ დასახვრეტ პიროვნებათა 25 კაციანი სია და ამ სიაში მე-5 იყო ბატონი ელგუჯა.

მან იცოდა აღნიშნულის შესახებ და 18 დღე იმალებოდა მეგობრის სახლში. მე-19 დღეს, თავის მეგობართან ერთად, თავი ამოყო გემში, რომელსაც აფხაზეთიდან ფოთში გადმოყავდა ლტოლვილები. პირველ დღეს გემი ვერ აამუშავეს. მეორე დღეს, როგორც იქნა, ბათუმისაკენ აიღეს გეზი. მაგრამ იქ უარი

უთხრეს მიღებაზე. რადგანაც იმ დღეს, ბათუმში ცნობილი მომღერლის საბრინას კონცერტი ტარდებოდა... არ იცოდნენ რა ექნათ, ეკიპაჟის წევრები შეშინებულები იყვნენ. უკან დაბრუნების შემთხვევაში, ქობალიას რაზმის წევრები მათ დახვრეტდნენ. გემის კაპიტანი რაციით დაუკავშირდა ნავსადგურის მორიგეს, აუხსნა შექმნილი ვითარება, მიაწოდა ინფორმაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ გემზე იმყოფებოდა ორი უშიშროების თანამშრომელი. იმ დღეს მორიგე აღმოჩნდა ყინმე გეარად გურგენიძე, რომელიც კარგად იცნობდა ელგუჯას, მან ქველა შეაწუხა და ბოლოს გემს დართეს ნება შესულიყო ნავსადგურში. ასე აღმოჩნდა თითქოსდა სამშვიდობოს, ბატონი ელგუჯა. იმავე დღეს ჩამოვიდა იზურგეთში. შესაბამისი ინფორმაციები გადასცა ცენტრს. მერე გაემგზავრა სოფელ ჯუმათში მშობლებთან. უმძიმესი მდგომარეობა იყო მაშინ გურიაში. მანქანები ფაქტიურად არ დადიოდნენ. ტრაქტორს გამოპყვა სოფ. ოზურგეთამდე. იქ მას შეხვდა ერთი ნაცნობი, რომელმაც პკითხა, თუ სად მუშაობდა. როდესაც ელგუჯამ უშიშროების სამსახური უხსენა, ნაცნობმა მას მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთში ლოთი ქობალიას შემოსვლის შესახებ. ელგუჯამ მიიღო გადაწყვეტილება უღელტეხილის გავლით თბილისში გამგზავრებულიყო, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ფორმირების წევრებმა დატოვეს რაიონი. იგი ისევ დაბრუნდა ფოთში და გააგრძელა მუშაობა. იმ პერიოდში, პირადად მის მიერ ამოღებულ იქნა 30-მდე ავტომატური იარაღი და რამდენიმე პისტოლეტი. შემდეგ გადმოიყვანეს ოზურგეთის რაიონში უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილედ. საშინელი არეულობა იყო. მთელი კრიმინალების თავშეყრის ცენტრი იყო გურია.

ძალზე თბილი ურთიერთობა ჰქონდა გენადი გიორგაძესთან. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ურეკში ჩატარებული ოპერაცია. – რა დროსაც ცენტრალური აპარატისა და ფოთის საქალაქო განყოფილების თანამშრომლებთან ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დაკავებულ იქნა, ჩენენი მოქალაქე ლოკუშენკო, ცნობილი ამფეთქებელი ტერორისტი, ბესლანის მოვლენების მონაწილე.

აჭარის მოვლენების დროს ოზურგეთის უშიშროების სამსახურის უფროსად მუშაობისას, ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, ქობულეთის რაიონის სოფ. ცეცხლაურში, ამოიღეს ორი ნაღმტყორცნი და 33 ავტომატური იარაღი, ამავე რაიონის სოფ. აჭში კი – 11 ავტომატი და 1 ტყვიამფრქვევი.

უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანების შემდეგ, 2005 წელს, დაინიშნა ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსად. 2006-ში გადაიყვანეს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში უფროსის მოადგილედ კრიმინალური პოლიციის ხაზით, შემდეგ ვანის რაიონში გადაჰყავთ პოლიციის უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი ჩოხატაურის რაიონში, იგივე თანამდებობაზე. 2008 წლის სექტემბერში კელავ სამხარეო სამმართველოში ბრუნდება.

მშენებლობისას შენების პროცესია მთავარი და არა აშენებულით ტკბობა. ასეა ოპერატიულ სამსახურშიც. პროფესიონალი ოპერატიული მუშაკისათვის მთავარია ძებნის პროცესი, საქმის გახსნა და არა თავისი ნამოქმედარით კვეხნა. პროფესიული ღირსება მყვირალა ფრაზებს არ უნდა ვანაცვალოთ. მით უმეტეს, არც ერთი ოპერატიული მუშაკი არ იბრძვის მის მიერ მხილებული ბოროტმოქმედის უმკაცრესი სასჯელისათვის. ოპერმუშაკის ტკბობა დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის მხილებაშია.

იყო ოპერატიული დანაყოფის ხელმძღვანელი ნიშნავს, იყო ორგანიზატორი ამ რთულ საქმეში და ოპერატიული მუშაკების საქმიანობა წარმართო საჭირო მიმართულებით. არ მოაცდინო ისინი მეორეხარისხოვანი წვრილმანი საქმეებით.

როდესაც საუბარი ე. წ. "კომუნისტურ რეჟიმზე" ჩამოვარდა, ბატონმა ელგუჯამ აღნიშნა: ადამიანისათვის განგებას არ მიუცია იმის უფლება, რომ აირჩიოს დაბადების დრო, სივრცე და ეპოქა. ეს უბრალოდ ბედისწერის ამბავია. ამდენად მე არ ენანობ, რომ განგებამ მარგუნა მეცხოვრა კომუნისტური რეჟიმის დროს. თუ კაცი არ ხარ, სამოთხეში ვერ იცხოვრებ. ასეთია მკაცრი რეალობა.

ბატონ ელგუჯას დიდი სამეგობრო წრე ჰყავს. თვითონ ყოველთვის მათ შუაგულში ტრიალებს. იგი ყველას მასპინძელი და ჭირისუფალია. ყველა სასიკეთო საქმის ინიციატორი და თაეკაცია. ის ყველას უნაწილებს თავისი გულის სითბოსა და სიყვარულს. ერთი სიტყვით, იგი აღიარებული ლიდერია. მისთვის მეორეხარისხოვანი საქმე არ არსებობს. ყველაფერი გულთან მიაქვს, საოცრად განიცდის ხალხისა და რაიონის ბედს. მის წინაშე ყოველთვის დიდი თუ პატარა პრობლემების უკან, სამშობლო დგას. და ამიტომაც, სადაც ყველაზე უფრო საჭიროდ მიაჩნია, ყოველთვის იქ იმყოფება, განურჩეველად ვითარების სირთულისა.

შრომაში, ძიებაში გავიდა წლები. ჭერმაღალი გახდა ელგუჯა ჩაველეშვილის ოჯახი. სამი შვილის აკვანი დაირწა. ქალიშვილები — თათია და ნათია ქალაქ თბილისში სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, ეაკი კი ოზურგეთის № 2 საშუალო სკოლის

მოსწაელლეა, ჯერ მხოლოდ 12 წლისაა, მაგრამ იურისტობაზე ოცნებობს, ძალიან მოსწონს პატრული–პოლიციელი.

ბოლო პერიოდში კრიმინოგენური სიტუაცია შედარებით სტაბილური იყო და ხანდახან ბატონ ელგუჯას მეგობრები დროს პოულობდნენ, რომ დაესვენათ. დასვენებას კი მუდამ ელგუჯასთან არჩევდნენ. ამის მიზეზი იყო მათი მეგობრობა და დიდებული ქართველი ქალის, სასიქადულო დედისა და მეუღლის – ქალბატონი ნინოს შუბლგახსნილი შეხვედრა სტუმრებთან, მისი კეცზე გამომცხვარი უგემრიელესი ხაჭაპურები.

ქალბატონი ნინო უაღრესად დიდბუნებოვანი ქალი იყო და მისი შემხედვარე კაცი აუცილებლად იტყოდა – ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო.

ბედნიერები იყვნენ მშობლები, მაგრამ ბედისწერამ ბატონ ელგუჯას ერთგული და სათნო მეუღლე გამოაცალა ხელიდან. ქ. თბილისში ქალიშვილების სანახავად წასული, როცა ოსურგეთში ბრუნდებოდა, მოულოდნელად მგზავრობისას გარდაიცვალა.

29 მარტი უსაშინელესი დღეა თითოეული ჩვენთაგანისათვის, ვინც შენ შემოგციცინებდით, გეფერებოდით, გელოლიავებოდით, თავს გველებოდით... ნუთუ ამიტომ დაგაყოლა ბუნებამ ასეთი სათნო ხასიათი და მშვენიერი სული, რომ ასე ცოტახანს გეცოცხლა...!

ნინო დაიღუპაო – დავმუნჯდით, დავყრუვდით, გაეოგნდით... შენმა დაკარგვამ აგვრია. ხომ იცოდი, როგორ გვილამაზებდი სიცოცხლის დღეებს, მე ისღა დამრჩენია, ჩვენი შვილები აღვსარდო ისეთი, როგორიც ორიეეს გვინდოდა.

შენ კი ჩვენს გვერდით ხარ, სიზმრით გეეწვეეი და გვაფრთხილებ ხოლმე. ნუთუ იმქვეყნადაც ვერ ისვენებს შენი თბილი, მოსიყვარულე გული და ჩვენზე დარდობ...

– მიუხედავად გადატანილი ბევრი ტკივილისა და მწუხარებისა, ცხოვრებას არჩეული გზით დავიწყებდი. – გვითხრა ბატონმა ელგუჯამ – მე სხვა კოლექტივში მუშაობა ვერ წარმომიდგენია. ოცნება რეალობად ვაქციე. კმაყოფილი ვარ, ოპერატიულ სამსახურში მუშაობა ვაუკაცური საქმეა, მაგრამ აუცილებელია იყო პროფესიონალი და გაგაჩნდეს საჭირო ავტორიტეტი, ვინმემ ხელმეტი არ უნდა გაკადროს.

– დეტექტივ-გამომძიებლებისა და მათი თანაშემწეების გამართულ ოპერატიულ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომაც, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე ვდგავარ. ხშირ შემთხვევაში ცხელ კვალზე დანაშაულის გახსნა ჩვენი თავდაუზოგავი ძალისხმევის შედეგია. ჩვენი მუშაობა იმდენად მრავალმხრივი და შრომატევადია, მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სამმართველოში პოლიციელებს შორის კარგი ატმოსფერო

სუფევს. თანაგრძნობა და კარგი დამოკიდებულება იგრძნობა. პოლიციამ რთული და მძიმე დღეები გამოიარა. ჩვენს რიგებს ბევრი შესანიშნავი პოლიციელი და ნამდვილი მეგობარი გამოაკლდა. დღეს მდგომარეობა სტაბილურია. დანაშაულმაც იკლო. ეს პირველ რიგში მოწინავე მუშაკების დამსახურებაა. სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოს ახალგაზრდა მუშაკი და პროფესიონალი, ბატონი შოთა ჭანუყვაძე უდგას სათავეში. მე პირადად, განსაკუთრებული სითბო მაკავშირებს რეგიონის პოლიციის ყველა ხელმძღვანელთან, რომლებმაც ჩემი გასაჭირი კაცურად გაიზიარეს და ძმასავით ამომიდგნენ მხარში.

ელგუჯა ჩაველეშვილს პოლიტიკური და კრიმინალური თვალსაზრისით უაღრესად რთულ პერიოდში მოუხდა მუშაობა. მაგრამ საქმისადმი თავდადებული და ენერგიული მუშაკი წარმატებით ართმევდა და ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით არაერთი რთული და საპასუხიხმგებლო ოპერაციები იქნა ჩატარებული, რა დროსაც მხილებული და დაკავებული იქნა ათეულობით საშიში ბოროტმოქმედი.

მართლაცდა, საქმისათვის თავდადებული და ენერგიული კაცია ელგუჯა ჩაველეშვილი, ეს ღრმად იგრძნობა მასთან ურთიერთობაში. ის ჩვეული რიტმით მუშაობს, დღე და ღამეს ასწორებს კანონიერებისა და მართლწესრიგის სამსახურში.

ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ყოველი ქმედება, რასაც სიკეთე და გულკეთილობა ჰქვია სათავეს სიყვარულიდან იღებს.

თქვენი ცხოვრების მეგზური ეს ცნებები იყო, რასაც დიდი, კეთილი გულის წყალობით აღწევდით. ამ გულის წყალობით მოვიდა თქვენთან ის დიდი აღიარება და სიყვარული.

ნათქვამია – „დიდი გონების წინაშე თავს დაბლა ვხრი, დიდი კეთილშობილური გულის წინაშე – მუხლებს ვიყრი“.

თუკი დიდი ადამიანებიც კი მუხლს იყრიან დიდი კეთილშობილი გულის წინაშე, ალბათ არც ჩვენ უნდა ვიდგეთ შორს ჩვენს გვერდით მყოფი იმ გამორჩეული ადამიანებისაგან, რომელთა გულებს, მზის სითბოს ძალა აქვს და რომელსაც ჩვენივე კეთილდღეობის გამო ხარჯავენ, ვიყოთ მადლიერები მათ მიმართ და ნუ მოგვერიდება, თუნდაც სიცოცხლეშივე, მუხლი მოვიყაროთ, ხალხის სამსახურში დაღლილი, ამ დიდი, კეთილშობილური გულის წინაშე.

თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ.



ტარიელ ცერცვაძე

„როგორიც უფროსია ისეთიუკა კოლექტიკიც“ – ხშირად გაიგონებთ ასეთ მოარულ გამოთქმას და ეს მოსაზრება რომ აბსოლიტურად სწორია, ამას ერეკის განყოფილების მაგალითიც შესანიშნავად ადასტურებს.

„ვაი იმ ხალხს, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასათვის. არ ფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ – ხშირია და „ჩვენ“ – იშვიათი!“ (ი. ჭავჭავაძე)

აღარ გვიცდია იმის დასუსტება, პირველად ვის დაებადა იდეა პოლიციის მაიორ ტარიელ ცერცვაძის ამ ექსტრემალური მნიშვნელობის ობიექტის ხელმძღვანელად დანიშვნის თაობაზე და კაცმა რომ თქვას, არც აქვს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია, რომ გურიის რეგიონისა და ოსურგეთის რაიონის შესაბამისი სამსახურების პირველი ხელმძღვანელები, ერთსულოვნები აღმოჩნდნენ ამ კანდიდატურის მიმართ.

ტარიელ ომარის-ძე ცერცვაძე.

მართლაც რამდენი რამის თქმა შეიძლება ამ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღ, გულთბილ და სათნო ადამიანზე.

„ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლაც რომ ახირებული და მიუწედომელი რამ არის, მეტად ნიჭიერი, შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გაიკვლიო გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყვანოს – იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შემდგარია ეს ხასიათი, თითქო ათასფეროვანი ჩუქურთმა არისო.“ /ი. ჭავჭავაძე/.

ნებისმიერ დაწესებულებაში, რა რანგისა ან მიმართულების არ უნდა იყოს იგი, მიმსვლელის პირველ შთაბეჭდილებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საიმისოდ, ენდობა თუ არა იგი დამხვდურ ფუნქციონერებს, მოისურვებს თუ არა მათთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელებას.



გიორგი ცერცვაძე

მითუმეტეს, ეს ითქმის ისეთ განსაკუთრებულად გამორჩეული დანიშნულების ორგანოზე და მის თანამშრომლებზე, როგორიც პოლიციაა, სადაც დალხინებული, ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანი იშვიათად მიდის ხოლმე.

ურეკის განყოფილებაში მოსული პიროვნება პირველივე წუთებიდანვე რწმუნდება, რომ ნორმალურ დაწესებულებაში, ნორმალურ ადამიანებთან ექნება საქმე. ეს კი ნებისმიერ მიმსვლელს არა მარტო ოპტიმისტურად, არამედ დამსვდურთა მიმართ სიმპათიითა და პატივისცემით განაწყობს ხოლმე.

თავაზიანი შესვედრა, უაღრესად საქმიანი დამოკიდებულება, მართლაც წუნდაუდებელი საერთო ატმოსფერო, რაც აქ ადამიანს ხვდება, ხომ თავისავად მრავალისმეტყველი ფაქტია. მაგრამ, უფროსის სამუშაო ოთახში შესულს, მაინც ელის ერთი საინტერესო მომენტი, რასაც გარკვეულწილად სიურპრიზიც შეიძლება ეწოდოს. გასამხედროებული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი წესისამებრ, აქ აკურატულად განლაგებულ კომუნიკაციის ტექნიკურ საშუალებასთან, პროექტორებთან, უნიფორმის რამდენიმე კომპლექტთან, საძილე ტომრებთან და საველე პირობებში საჭირო სხვა ნივთებთან ერთად, ყურადღებას იქცევს უფროსის მაგიდაზე დალაგებული მდიდარი ლიტერატურა – სპეცდანიშნულების იქნება იგი, მსატვრული თუ სხვა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ამ კაბინეტის პატრონის სახით, თქვენ საქმე გაქვთ უაღრესად საქმიან, ყოველმხრივ მოწესრიგებულ და ფართო დიაპაზონის მქონე განათლებულ ადამიანთან.

დიახ, საუბარია ოსურგეთის რაიონული სამმართველოს ურეკის განყოფილების უფროსის, პოლიციის მაიორ ტარიელ ცერცვაძის შესახებ.

ტარიელ ცერცვაძე – სულიერად და ფიზიკურად ყოველმხრივ მოწესრიგებული კაცი. დაიბადა 1972 წლის 1 იანვარს, ოსურგეთის რაიონის სოფ. გურიანთაში, კოლმეურნე გლეხის ოჯახში. 3 წელი სწავლობდა ციხისფერდის 8 წლიან სკოლაში. შემდეგ გადაიყვანეს ქ. თბილისის მეორე ექსპერიმენტულ სკოლაში, სადაც

მხოლოდ გამორჩეული ნიჭისა და მონდომების მოსწავლეები შეჰყავდათ ხოლმე. დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტი. 1995 წელს, ოზურგეთის პოლიციის მაშინდელი უფროსის ვიქტორ გობრონიძის ხელდასმით, მუშაობას იწყებს აღნიშნულ ორგანოში, არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორად.

კადრების შერჩევა-გადანაწილების საქმეში ბუნებით თანდაყოლილმა უტყუარმა ალღომ, არც ამჯერად უმტყუნა ბატონ ვიქტორს. ტარიელი, 1997 წლიდან, სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორია, 1999 წლიდან უფროსი ინსპექტორის პოსტს იკავებს. 2003 წლის მაისიდან, კელავაც ბატონი ვიქტორის ინიციატივით, ბახვის ქვეგანყოფილების უფროსია.

და მაინც, როგორია ტარიელ ცერცვაძის მიერ განვლილი, ჯერ კიდევ არც თუ ისე ხანგრძლივი სამსახურებრივი გ'სა?

ჯერ ერთი, თავად ის ფაქტი, რომ მოკლე დროის განმავლობაში იგი ახალ, უფრო რთულსა და საპასუხისმგებლო უბნებ'ზე გადაჰყავთ, ბევრის მეტყველი გახლავთ. თანაც საკმარისია გამოეს აუბროთ მის მიერ უკვე ნამსახური დანაყოფების ხელმძღვანელობასა თუ კოლექტივის წევრებს, თქვენს ცნობიერება'ში წარმოისახება საქმიანი, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი, სინდისიერი, მოვალეობისადმი ერთგული პროფესიონალი, (მან ხომ ოზურგეთში ჩამოსულის შემდეგ იურიდიული განათლებაც მიიღო).

ბახვის ქვეგანყოფილებაში როგორი ავტორიტეტი ჰქონდა? ამაზე ნაწილობრივ უკვე ვთქვით და ამიტომაც, ერთ მომენტს აღვნიშნავთ მხოლოდ: მოსახლეობის მოთხოვნით, კელავ მოუხმეს ალალ-მართალ პროფესიონალს და ბახვის ქვეგანყოფილების უფროსობა დააკისრეს. ქვეგანყოფილების ყველა მუშაკი ერომანეთის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. ქვეგანყოფილება'ში „ჩემი" და „შენი" საქმე არ არსებობდა, არც ერთი გაგებით. ქვეგანყოფილების ინსტიტუტი, ქართულ პოლიციაში საერთოდ და გურიაშიც, არც ახალი და არც ი'შვიათობა იყო.

ყველა ქვეგანყოფილება განყოფილებად გადაკეთდა, თითქოს ასეთივე ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო ბახვის შესაბამისი სტრუქტურაც. სადაც, მუშაობა მარტო იმით კი არ იყო საპასუხისმგებლო, რომ მთელი რაიონის ნახევარს მოიცავდა, არამედ უპირველესად იმიტომ, რომ თავად ბახვი, ცხემლისხიდი, ვაკიჯვარი, ასკანა, ნაგომარი, ძიმითი თუ სხვები, მდიდარი ისტორიული წარსულისა და სოციალური თანამედროვე ავტორიტეტის სოფლებია, ამ უბნებში წესრიგის დამყარება კი რიგითი საქმე ნამდვილად არ გახლავთ.

მარტო ის ფაქტი, რომ ბახვში დარწეულა აკვანი გაბრიელ ეპისკოპოსის, გერონტი და შალვა ქიქოძეების, დავით ანდღულაძის, ვახტანგ ჭელიძისა; რომ დღესაც ბევრი ბახველი ჭეშმარიტად დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რომ ბახვისა და ბახველთა ბედზე ფიქრობენ საქვეყნოდ ცნობილი მოდელიორი ავთო ცქვიტინიძე, ქართული პოლიციის აღმაველობაში თვალსაჩინო წელილის შემტანი ზურაბ ჩხაიძე, სახელმოხვეჭილი მეწარმენი ძმები ჩხაიძეები, ახლაც მათ მიერ აგებულ ეკლესიაში ანთებენ სანთელს, თვით გურიის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე ეროდი გორდელაძე ბახველი გახლავთ, ყოველივე ეს აქაურ პოლიციელებს ორმაგი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს.

ბატონ ტარიელის ბახვში მუშაობის პერიოდში, რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა გაიზარდა გახსნის მაჩვენებელი. აღარაფერს ვამბობთ დაკავებული ბანდიტური დაჯგუფებების, ცალკეული რეციდივისტების, მხარისა თუ ქვეყნის მასშტაბით ძებნილი საშიში დამნაშავეების დაკავების თაობაზედაც.

ერთს დავასკვნით მხოლოდ: აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ როცა სამოქმედო ტერიტორიაზე დანაშაულობა მცირდება, ეს უპირველესად, ადგილობრივი პოლიციის დამსახურებაა. ეს ხომ მაღალკვალიფიციური პროფილაქტიკური საქმიანობის შედეგია.

ელემენტალური ლოგიკაა – დანაშაულობათა ზრდისთვის თუ პოლიციის შესაბამის სამსახურს საყვედურს ეუბნებიან, რატომ არ უნდა ეუთხრათ მათ მადლობა, დანაშაულთა კლებისათვის?

და ეუბნებოდნენ კიდეც გულწრფელ მადლობას ამ შესანიშნავ ბიჭებს ასკანლები, ბახველები და ა.შ, თუმცა, მათი მადლობა და მოთხოვნა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ბახვში პოლიციის ქვეგანყოფილება დარჩენილიყო. არ ვიცი ვის მოუვიდა აზრად ქვეგანყოფილების გაუქმება, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ნაბიჯი მცდარი იყო და ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ გაანალიზებთ იმ დროს რეგიონში შექმნილ მდგომარეობას.

ბატონი ტარიელი, ერთი წლის შემდეგ, რაიონის სამძებრო სამსახურის უფროსად გაამწესეს, ბოლოს კი სამხარეო პოლიციაში დეტექტივ-გამომძიებლად გადაიყვანეს, სადაც 2008 წლის ივნისამდე იმუშავა.

შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ურეკის განყოფილების უფროსია.

სულით ლამაზ ვაჟკაცს, ოჯახიც ლამაზი და ჭეშმარიტად ქართული ჰყავს. მეუღლე – თამარ რევაზიშვილი, სამართალმცოდნე, დროებით უმუშევარია. ჰყავს ერთი ვაჟიშვილი გიორგი,

რომელიც ჯერ მხოლოდ 14 წლისაა, მაგრამ გარკვეული წარმატებების მოპოვება უკვე შესძლო. გიორგი ნორჩ დინამოელში თამაშობს და პერსპექტიული მოზარდია. ამაზე მეტყველებს მის მიერ მიღებული სიგელები და ჯილდოები. უფრო მეტიც, საბერძნეთში ჩატარებულ ტურნირზე, ნორჩმა დინამოელებმა, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს, გიორგი კი საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს. როცა გიორგის მამამისის სამსახურზე ჩამოვუგდეთ საუბარი, ჩანდა, რომ ამით, სამართლიანად ამაყობს კიდეც.

ტარიელი არაერთგზის შებმია მძარცველებს, ქურდებს, ყაჩაღებს, მკვლელებს და მათთან ბრძოლაში ყოველთვის გაუმარჯვნია.

2000 წლის გაზაფხულის ერთ წყნარ საღამოს, ცენტრალური სააუტომობილო მაგისტრალის ჭანიეთის მონაკვეთზე, მიზნობრივ რეიდზე მდგომმა ოსურგეთელმა წესრიგის დამცველებმა, საეჭვოდ მოძრავი ტაქსი შენიშნეს. პოლიციელთა ყურადღება პირველად იმან მიიქცია, რომ ქალაქის მხრიდან მომავალმა მანქანამ ჯერ გეზი სოფ. ჭანიეთისაკენ აიღო, მაგრამ შესახვევში ხეირიანად შესული არც იყო, უცბად შებრუნდა და კვლავ ტრასაზე გააგრძელა გზა. ხოლო როცა რეიდის მონაწილეებს მიუახლოვდა, მოძრაობის მიმართულება მკვეთრად შეცვალა იქვე ხელმარცხნივ, პლანტაციაში გადაუხვია. ეკალ-ბარდებით დაფარულ ოღრო-ჩოღრო საურმე გზას სწრაფი სვლით გაუყვა და თვალს მიეფარა.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ტაქსის მძღოლის ამ უცნაურ მანევრებს მგზავრები (როგორც შორიდან ჩანდა სამი ახალგაზრდა) აიძულებდნენ.

ოსურგეთის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორი ტარიელ ცერცვაძე სამორიგეო მანქანაში ჩაჯდა, რათა საეჭვოთა კვალს მიჰყოლოდა, მაგრამ იმავე წუთში უკან მობრუნებული ცარიელი ტაქსი დაინახა, ჩანაფიქრი შეცვალა, ოაკის კოლეგებთან – გურამ ცქიტინიძესთან და ბესიკ მექვაბიშვილთან ერთად, გაკვირვებულ მძღოლს მანქანაში ჩაუჯდა და ყოველგვარი წინასწარი გამოკითხვის გარეშე წასულებს დაედევნა.

აჩქარებით მიმავალ სამ ხელჩანთიან ახალგაზრდას უმალვე დაეწივნენ. მანქანის ხმაზე ბიჭებმა „თავიანთი“ ტაქსი, რომ დაინახეს ხელჩანთები ძირს დაყარეს და მოახლოვებულ მანქანას წყნარად დაელოდნენ.

ტარიელ ცერცვაძის ტაქტიკურმა სვლამ გაამართლა. ეჭვმიტანილები დააკავეს. ხელჩანთაში ორი გადაჭრილი თოფი, მაღაროელთა ღამის ფანარი, ე.წ. ხიშტ-დანა, შავი მაისურის

სახელოდან დამზადებული ნიღბები და ბნელი საქმისათვის აუცილებელი ბევრი სხვა მოწყობილობაც აღმოჩნდა.

ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუ პოლიცია ფხიზლობს, ბოროტმზრახველთა ყველა გზა ციხისკენ მიდის.

დაკავებულები კონჭკათელები ძმები მახარაძეები აღმოჩნდნენ. მათ შორის ერთ-ერთი ძმა მეტსახელად „ჩორნა" კრიმინალურ სამყაროში საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. იგი დაუკავშირდა მეზობლად მცხოვრებ ადრე ქურდობისთვის ნასამართლევ გვარად კოსტავას, მოიმარაგეს ზემოთ აღნიშნული აღჭურვილობანი და გადაწყვიტეს სოფ. ჭანიეთში ყაჩაღური თავდასხმა მოეწყოთ ერთი ფრიად კეთილშობილი, ავტორიტეტიანი პიროვნების ოჯახზე, რომლის თავკაცი, მართალია კონკრეტულ საქმიანობას ეწევა, მაგრამ არც თუ ისეთი მასშტაბებით.

მაშ, კონჭკათიდან ჭანიეთში სწორედ ამ კაცის (სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) სახლ-კარი რატომ შეარჩიესო – გაჩნდება ალბათ სავსებით ლიგიკური კითხვა.

საქმე ის გახლავთ, რომ ყაჩაღთა თავდასხმისათვის შერჩეული ოჯახის მეთაურს ოზურგეთის აგრარულ ბაზარში ერთი პატარა მაღაზია აქვს, რომელშიც გამყიდველად მისივე მეზობელი ქალბატონი – არშემდგარი ყაჩაღური ოპერაციის ერთ-ერთი მთავარი „გმირის" მამიდა მუშაობდა გამყიდველად და ალბათ შინაურული საუბრისას, უნებლიეთ ყური ჰქონდა მოკრული, რომ აღნიშნული კომერსანტი უახლოეს დროში, კიდევ ერთი მაღაზიის ყიდვას აპირებდა თურმე. ეს იყო და ეს. ამ ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა „საბრძოლო" გეგმა და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ახალგაზრდა კაცმა, ასეთი „აუწონელი" პატიჟი მიაგო, და საშვილიშვილოდ „აუმაღლა" ავტორიტეტი, საკუთარ მამიდას.

რახან დაკავებულებმა ყველაფერი დაფქვეს და კაცმა რომ თქვას, საძიებელი ბევრი არაფერი იყო, ცხადია საქმე სასამართლომდე მივიდა. როგორც წესი, ერთხელ კიდევ დაიკითხა მოწმეები: გაანალიზდა, შეჯამდა და სათანადო დადგენილებაში ჩამოყალიბდა მთელი ისტორია, რომელსაც პირობითად „არშემდგარი ყაჩაღური თავდასხმა" ეუწოდეთ.

ურეკის განყოფილებაში მის ხელმძღვანელს როგორი ავტორიტეტი აქვს, ამაზე ნაწილობრივ უკვე ვთქვით და ამიტომაც ერთ მომენტს აღვნიშნავთ მხოლოდ: განყოფილების ყველა მუშაკი ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გამზიარებელია. აქ „ჩემი" და „შენი" საქმე არ არსებობს, არც ერთი გაგებით. ეს კი პოლიციის მაიორის ტარიელ ცერცვძის დიდი დამსახურებაა.

თავისი საქმის პროფესიონალი – ასე შეიძლება ითქვას ტარიელზე. ვაუკაცურ პროფესიას, ვაუკაცები ირჩევენ. ჰოდა, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ძნელად სავალ, აღმართიან გზებს ვაუკაცურად მიუყვება.

P.S. ბედნიერია ის დამიანი, ვისიც ესმით და აფასებენ. თქვენ ბატონო ტარიელ ნამდვილად გაფასებენ და პატივს გცემენ. ამის ნათელი დადასტურება, სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელის ბატონ შოთა ჭანუყვაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახლავთ თქვენი დაწინაურების შესახებ, სამხარეო მთავარ სამმართველოში უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროსად დაინიშნეთ. ნდობა და პატივისცემა დამსახურებისამებრ მოდის. თქვენ კი ეს დაიმსახურეთ კეთილი საქმეებით, ერთგულებითა და პატივისცემით. ნდობა და სიკეთე ორმხრივია.

დაგლოცავთ ბატონო ტარიელ, წარმატებებს გისურვებთ იმ საქმეში, რასაც სამშობლოს სიყვარული და დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია.

ქალი პოლიციელის ცხოვრების კრედო

ხათუნა ჭანუყვაძე

ცნობილი ლოზუნგი – „კადრები წყვეტენ ყველაფერს" – ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი ავტორი, ცხოვრების მიერ დადასტურებული ჭეშმარიტებაა. მართლაცდა ნებისმიერი რანგის წარმოებადაწესებულების, ორგანიზაციის შრომითი თუ შემოქმედებითი კოლექტივის წარმატება-წარუმატებლობა მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციური, უნარიანი და კეთილსინდისიერი კადრებითაა იგი დაკომპლექტებული.

განსაკუთრებით იზრდება და ორმაგდება ყოველივე ზემოთ თქმულის მნიშვნელობა, როცა საქმე ეხება სამართალდამცავ ორგანოებს და განსაკუთრებით პოლიციას.

იმხანად, გურიის სამხარეო პოლიციის ახალშექმნილი სამმართველოს ხელმძღვანელობა, კადრების ინსპექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე შესაფერის კადრს ეძებდა,

რომლის შერჩევაშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურიც იყო ჩართული.

საბოლოოდ არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულზე–ხათუნა ჭანუყვაძეზე შეჩერდა. 1996 წლის თებერვლის თვეში, ხათუნა ჭანუყვაძე შინაგან საქმეთა ორგანოებში მიიღეს და კადრების ჯგუფის ინსპექტორად დანიშნეს.

მაშინ ხათუნა მხოლოდ 22 წლის იყო. 22 წელი – ეს ხომ მართლაც ისეთი ასაკია, ადამიანი ოცნებით ვარსკვლავებს რომ ეთამაშება, იმედითა და რწმენით რომ უყურებს მომავალს, სიძნელეთა გადასალახავად უშრეტი ძალა და ენერგია რომ გააჩნია. რვა წელზე მეტი დაჰყო აღნიშნულ თანამდებობაზე ხათუნამ. ჩუმად, უპრეტენზიოდ აკეთებდა თავის საქმეს. ჭეშმარიტი პროფესიონალის და ენერგიული მუშაკის, ახალგაზრდა პოლიციელის მონდომება და საქმისადმი სიყვარული სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია. 2004 წლის ნოემბერში ხათუნა ჭანუყვაძე გადაჰყავთ ამავე სამმართველოში კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის ქვეგანყოფილების უფროსად. 2006 წლის თებერვლიდან კი – გურიის სამხარეო პოლიციის კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსია.

კადრების სწორად შერჩევა უდიდესი ხელოვნებაა და დიდი კონსტანტინესი არ იყოს „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფარად და თუ მას მთელი ჯანი არ შეალიე, არაფერი გამოგივა ხელიდან“. ეს დიდებული სიტყვები დაუსახავს ქალბატონ ხათუნას თავისი ცხოვრების კრედოდ. უბადლოდ გასცემს სიკეთეს, „სთესავს კეთილად, ყოთარცა ფეტვი“. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. კადრების მუშაკი, თუ იგი ჭეშმარიტი მსახურია უფაქიზესი დარგისა, მოწოდებულია ადამიანს მისცეს სულიერი საზრდო, თესოს სიკეთე, სათნოება, სიყვარული. ქალბატონი ხათუნა თანდაყოლილ სპეციფიურ ნიჭთან ერთად, უხვადაა დაჯილდოებული აღნიშნული სფეროს ღირსეული წარმომადგენლისათვის ესოდენ აუცილებელი თავმდაბლობით, უანგარობით, საქმისადმი ფანატიკური სიყვარულით, დიდი შინაგანი კულტურით, სულიერი სიწმინდითა და თუ გნებავთ, დიდი მოთმინების უნარითაც.

კადრებთან მომუშავე პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი უნდა იყოს ამ სიტყვის ფართო გაგებით. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, ხოლო ორმაგი პასუხისმგებლობაა, როდესაც ამ კეთილშობილურ საქმეს უძღვება ქალი პოლიციელი. ოზურგეთისა და გურიის მასშტაბით საზოგადოების ერთ-ერთი ღირ-

სეული წევრის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკის — ბატონ ფრიდონ ჭანუყვაძისა და სათნოებით აღსავსე მანდილოსნის — ქალბატონ ანჟელა არსენიძის ქალიშვილი კი სხვანაირი პიროვნება არც შეიძლება ყოფილიყო. ქალბატონი ხათუნა ჭანუყვაძე პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა გურიის სამხარეო პოლიციის კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი — სწორედ ის პიროვნება გახლავთ, ვისთვისაც უყოყმანოდ შეიძლებოდა ასეთი განსაკუთრებული საქმე მიენდოთ. მიანდეს და არც შემცდარან. .

აქსიომაა, რომ კადრების შემრჩევი პიროვნება თვითონ უნდა იყოს კოლექტივში ავტორიტეტული და პოპულარული, შეეძლოს ნებისმიერი რანგის ადამიანთან საერთო ენის გამონახვა და საყოველთაო ნდობას უნდა იმსახურებდეს. ქალბატონი ხათუნა, თავისი პიროვნული მონაცემებითა თუ ღირსეულ ადამიანებთან ურთიერთობისას შეძენილი უნარ-ჩვევებით, ასევე სრულად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებსაც.

ხათუნა ჭანუყვაძე მეგობრობის უბადლო და სამაგალითო ოსტატია. ეს არის ქალი, რომელიც მთელი თავისი არსებით მხოლოდ სიკეთისათვის ცხოვრობს. უხარია მეგობრის სიხარული, აწუხებს მისი ტკივილი. საკმარისია პატარა სიკეთე გააკეთოს, რომ ბავშვივით ბედნიერი და კმაყოფილია.

პირად შემადგენლობასთან მუშაობისას, ხათუნა ჭანუყვაძე, მკაცრი და მომთხოვნია. ამავე დროს, გამუდმებით ზრუნავს მათი კეთილდღეობისათვის. იგი ყოველთვის ცდილობს კარგი მაგალითის მიმცემი იყოს ხელქვეითთათვის. თანამშრომლებში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

ნებისმიერი კოლექტივის ან მისი ცალკეული სამსახურის ხელმძღვანელს ოჯახური გარემოც ისეთი უნდა ჰქონდეს, რომ იურიდიულთან ერთად მორალური უფლებებიც გააჩნდეს ადამიანებთან ურთიერთობისა თუ მათი აღზრდისათვის. ქალბატონი ხათუნა, ამ ყველაზე ადამიანური კრიტერიუმების მიხედვითაც ამაყი და წელგამართულია, რაც სულაც არ არის შემთხვევითი. მისი მშობლები ახალგაზრდობის საუკეთესო დამრიგებლები არიან. უხვად გასცემენ ღვთისაგან ნაბოძებ ადამიანურ სულიერ სიმდიდრეს, სისპეტაკეს, ჰმოსავენ ზნეობის მადლით. კადრების კურატორმა კონკრეტული საქმითაც უნდა დაამტკიცოს თავისი კომპეტენტურობა. ქალბატონი ხათუნა რომ საქმის ნაღდი პრაქტიკოსი სპეციალისტია, ეს რეგიონის პოლიციაში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ გლობალურ საკადრო ცვლილებაშიც ნათლად ჩანს. ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს

უფროსად დანიშნულია გია ურიდია, ამაეე სამმართველოს უფროსის მოადგილეებად – ირაკლი შაეიშვილი და ლაშა ბაკურაძე. ლანჩხუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად – ბესარიონ ტაბიძე, მოადგილედ – ლაშარელა ჩხაიძე, სამხარეო პოლიციის ერთ-ერთ სამმართველოს უფროსად – ტარიელ ცერცვაძე, ჩოხატაურის შს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილეებად – გოჩა თავაძე და რამაზ ჯინჭარაძე...

ბუნებრივია მიმდინარეობს აღნიშნული სამსახურების ხელახალი დაკომპლექტების სრული პროცესი, რომელშიაც გადამწყვეტი სიტყვა კადრების ხელმძღვანელზე ვიცე– პოლკოვნიკ ხათუნა ჭანუყვაძეზე მოდის.

მაშ წარმატებები ვუსურვოთ ქალბატონ ხათუნასა და გურიის სამხარეო პოლიციის ახალ უფროსს ბატონ შოთა ჭანუყვაძეს, რომელიც ცხადია იმ მრავალპლანიანი ორკესტრის მთავარი დირიჟორი და ორგანიზატორი გახლავთ, რომელსაც გურიის სამხარეო პოლიციის მდიდარი ტრადიციების მქონე კოლექტივი ჰქვია.

პოლიციელისათვის აუცილებელია პროფესიონალიზმი

გია მამკაიშვილი

არიან ადამიანები, რომლებიც წყნარად და მშვიდად, ყოველგვარი რეკლამირებისა და აფიშირების გარეშე აკეთებენ თავიანთ საქმეს. ისინი არც ჯილდოსათვის, არც წახალისებისა და თავის გამოჩენისათვის არ მუშაობენ. უბრალოდ ემსახურებიან საქმეს, რომელიც თავის ნება – სურვილით აირჩიეს წლების წინ და დღესაც ერთგულად დგანან ხალხისა და ქვეყნის სადარაჯოზე. თუმცა, მათ არც დაფასება, არც წახალისება და არც ნდობა აკლიათ – ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის მხრიდან.

ბატონმა გიამ თავიდანვე მოკრძალება და რიდი გამოხატა ჩემს მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე. ხომ არ აჯობებდა ცოტა მოგვეცადა, სხვა დროს გაგემახვილებინათ ჩემზე ყურადღებაო... ამ ფაქტიურმა უარმა მასთან შეხვედრის სურვილი უფრო გამიმძაფრა, არც შევმცდავარ. თუმცა, გარკ-

ვეული პროფესიული ეჭვი მაინც მაწეალებდა... ძალზე თბილმა და გულისხმიერმა ურთიერთგაცნობამ, მის სამუშაო ოთახში შექმნილმა ატმოსფერომ იმთავითვე საქმიანი და გულახდილი დიალოგისათვის განმაწყო. დავრწმუნდი, რომ „ახი ფუთი მარილის შეჭმა“ ამ გაწონასწორებულ, მშვიდ და მტკიცე ხასიათის მქონე ახალგაზრდა კაცთან ნამდვილად არ დამჭირდებოდა... თანდაათან საუბარიც გახურდა და ბუნებრივმა ემოციებმაც რესპოდენტის უპირველესი საზომი – ადამიანურობა უფრო მკაფიო და თვალნათელი გახადა. როგორც იტყვიან, ერთმანეთს გავუშინაურდით.

გიორგი სერგოს-ძე მამაკაიშვილი, სოფ. შემოქმედში დაბადებული. ამ ერთ-ერთ ცნობილ და ჭრელ უბანთან ბევრი რამ გახლავთ დაკავშირებული: ყველანაირი ჯურის თანატოლთან ურთიერთობამ, ბავშვობის დროინდელმა ქუჩამ ანუ ე.წ. „ქუჩის ცხოვრებამ“, შაივ სამყაროს ერთგვარ ფსიქოლოგიაშიც ჩაახედა და სამერმისოდ საკუთარი გზა და ადგილი აპოვნინა. ბავშვობიდანვე შაივ სამყაროსადმი მისი უარყოფითი განწყობა – დამოკიდებულება არ ყოფილა კაცთმოძულეობისა და ზიზღის გამოხატულება, ეს იყო პრინციპი, ცხოვრებისეული კრედო, ებრძოლა ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ამდენად, პოლიციელის მისიაც გააზრებული ჰქონდა და სამართალდამცავ ორგანოში სამსახურიც მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ორი წელი გიორგიმ მშობლიური რაიონის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებაში იმუშავა უფროს ეკონომისტად. შემდგომ მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 232-ე ნაწილში უფროსის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში. სხვადასხვა დროს მუშაობდა საგადასახადო სამსახურში განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1987 წლიდან კი შინაგან საქმეთა ორგანოშია. იყო უფროსი ოპერწმუნებული, უბნის უფროსი ინსპექტორი, ქვეგანყოფილების უფროსი. ერთი პერიოდი კვლავ საგადასახადო სამსახურში დააბრუნეს. 2004 წლიდან კი დღემდე გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს საფინანსო – სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსია.

48 წლის კაცის კვალობაზე, ბატონმა გიორგიმ, მართლაც რისკიანი და საინტერესო ცხოვრება განვლო. უნდა აღინიშნოს, რომ სარისკო სიტუაციებში ჩართვა მისი პროფესიული „ჰობიც“ გახლავთ. თუმცა, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ...

„უწინარეს ყოვლისა, – ბრძანებს ბატონი გიორგი, – პოლიციელისათვის აუცილებელია პროფესიონალიზმი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეკონომიური სიდუხჭირის მიუხედავად, ჩვენი

სახელმწიფო რაც შეიძლება მაქსიმალურ მსრუნველობას იჩენს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისადმი. ეს უნდა ვაღიაროთ, სიმართლე უნდა ითქვას. ეფიქრობ ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიერებასთან ერთად, რაც უსათუოდ ეტაპობრივად მიიღწევა, მოსალოდნელია ძირეული ძვრებიც ყველა სფეროში. ერთი სიტყვით, სამართლებრივი ბაზა თუ განვამტკიცეთ, კანონის უზენაესობა თუ დავამკვიდრეთ და მთელი საზოგადოება პრინციპულად თუ მოეკიდა ამ საჭირბოროტო საკითხს, უახლოეს მომავალში ყველაფერი უკეთესობისაკენ შეიცვლება. გულზე ხელების დაკრეფა, ყალბი პატრიოტიზმი და ნიჰილიზმი გაჩანაგებულ ქვეყანას ვერ ააშენებს. „ძალა ერთობაშიაო", – ნათქვამია. ჩვენ კი დავნაწევრდით და მტრის გასახარად დავიქსაქსენით. ოდითგანვე ციხე რომ შიგნიდან ტყდება, სწორედ ამან მიგვიყვანა ჩვენ ეროვნულ სირცხვილამდე"...

შს სამინისტროს ხელმძღვანელობის გააზრებულმა, გონივრულმა საკადრო და სტრუქტურულმა ცვლილებებმა, ახალ ეტაპზე აიყვანა კრიმინალურ სამყაროსთან ურთულესი ბრძოლის მეთოდები. უფრო დახვეწილი და მობილური გახადა იგი.

მოგეხსენებათ, ცხოვრებას კურიოზებიცა და ხიფათიც ახლავს თან. სარისკო საქმეებსაც განზრახ არავინ ეძებს. რისკის ფაქტორს ესა თუ ის გამოუვალი სიტუაცია წარმოშობს. ყველას ერთნაირად როდი ხელეწიფება რისკის გაწევა, საკუთარი სიცოცხლის ყოფნა – არყოფნის პინაზე დადება. ბატონ გიორგის რისკზე წასვლა უკვე ჩვევად, პროფესიულ ატრიბუტად ექცა. ამიტომ ვამბობდი წელან: რისკი მისთვის ერთგვარი „ჰობიც" კია – მეთქი.. ის, რაც მან მოგვითხრო, გამაოგნებელიცაა და შთამბეჭდავიც, როგორც თვითონ ამბობს, სიკვდილამდე ემახსოვრება. ამიტომ ასეთი აზარტითა და ემოციით ჰყვება ხოლმე: „ის რაც აფხაზეთში დატრიალდა ბოროტების უმძაფრესი გამოვლინებაა, ასეთი საშინელებით შეძრული ხალხი, საშველს წარსულის სიმართლეში (დაგვიანებითაც) დაეძებს. რა იქნება ხვალ, გაიმარჯვებს გონიერება და ჯანსაღი აზრი?" – ამას მომავალი გვიჩვენებს. დღეს კი – იმის შესახებ, რაც საკუთარი თვალით ნახა გია მამაკაიშვილმა:

რა დიდი გულითხედვა უნდოდა იმას, რა დღეშიც ქართველი მოსახლეობა ყოფილა – სანამდე ვიყოთ ასე უპატრონოდ, სანამ ვითმინოთ დამცირება და შეურაცხყოფა? თურმე საშინელება გველოდა, ორთავე მხარე საშინელ ჭორს ავრცელებდა.

ომი რომ საშინელებაა, ეს აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. აფხაზებსა და ქართველებს, საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე, გარდა

ისტორიული თანაცხოვრებისა და მეგობრობისა, სისხლისმიერი ნათესაობაც აკავშირებთ ერთმანეთთან. მაგრამ ომი არ ცნობს არავითარ კავშირს. ომი სასტიკად დაუნდობელია. იგი მშვიდობიანობის დროს არსებულ მეგობრულ და ჰარმონიულ ურთიერთობას საფუძველს აცლის და ასე იქნება მანამდე, ვიდრე ადამიანები ხელში იარაღს აიღებენ ურთიერთ შორის არსებული პრობლემების გადასაჭრელად, თუმცა... ძნელია, როცა შენს მიწაწყალზე სტუმრად მოსული, ხვალ-ზეგ სამკვიდრებელს შემოგვდაგება, ფეხქვეშ გაგითელავს წინაპართა ტრადიციებს და შეგიგინებს ყოველივე წმინდას, რისთვისაც ღირს ამ ქვეყნად სიცოცხლე. მაშინ იარაღს უნდა მოჰკიდო ხელი და ჩვენი წინაპრებისა არ იყოს, სულ აღმა უნდა შეუბრუნო, რაც შენთვის ტანჯვა მოუყენებია. ამ გრძნობით იყვნენ აფხაზ ექსტრემისტებთან ბრძოლაში ქართველი პოლიციელები და ამ მრწამსისათვის არასოდეს უღალატნიათ.

ჩემს გვერდით ავტომატური იარაღიდან გასროლით, კისრის არეში დაჭრეს სოფ, ნატანებში მცხოვრები ემზარ ნადირაძე. იგი სისხლისაგან იცლებოდა. ამ დროს სოხუმში უმართავი სიტუაცია იყო. არ ვიცოდი რა მექნა. ვის არ ვთხოვე დამხმარებოდა დაჭრილი მეგობრის საავადმყოფოში წასაყვანად, რამდენი გულქცა ადამიანი ცხოვრობს თურმე ჩვენს გვერდით. როგორც იქნა სასწრაფო დახმარების მანქანა გავაჩერე, ვთხოვე დაჭრილის გადაყვანა საავადმყოფოში, რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს აფხაზურად, შემდეგ მითხრეს მიმეყვანა დაჭრილი. ემზარის გარდა კიდევ ორი დაჭრილი ქართველიც მოვათავსეთ. მთავრობის სახლთან აფხაზები გადაგვიდგნენ, მანქანა დალეწეს, მძღოლს სცემეს, ქართველებს ავტომატები მოგვიშვირეს, ჩვენი ჩაცხრილვა უნდოდათ. ეროვნებით აფხაზი სანიტარი ქალი გადაგვეფარა, აფხაზურად რაღაცას ეუბნებოდა შეიარაღებულ პირებს, უყვიროდა, შეიარაღებულთა შორის იყო ერთი სიმპათიური მამაკაცი, ისიც წინააღმდეგი იყო ჩვენი დახოცვისა. მძღოლმა იმარჯვა და ბრბოს თავი დააღწია. მერე საავადმყოფოში მიგვიყვანეს. ქართველები ხომ არ არიანო – იკითხა მორიგე ექიმმა. არც მიგვიღეს. ეშინოდათ: გაიგებენ ქართველებს დახმარება აღმოვუჩინეთ და დაგვხოცავენო. იმ ქალმა, რომელიც ჩვენ ყოველნაირად გვიცავდა, ექიმებს ფიცი შეახსენა. პირველ საავადმყოფოში გადაგვიყვანეს. დახმარება აღმოუჩინეს, ავადმყოფი გონს კარგავდა, მაგრამ ისევ იმ ქალმა იაქტიურა.

იქ იწვა მიმღები კომისიის წევრი ლექტორი შამათავა, რომლისათვის თავი გაეტეხათ. მის სანახავად მოსულმა გია გეაზავამ დიდი სიკეთე გაგვიკეთა – წავიდა და ქირურგი მოიყვანა.

არად ჩააგდო, რომ ქუჩებში ისევ ბრძოლა იყო. მეორე სართულზე ეიწექით, მაგრამ შენობა ისეთ დაქანებულ ადგილას იყო აგებული, რომ პალატის ფანჯარა თითქმის მიწას ეხებოდა. შუაღამით სროლა ატყდა – იცოდნენ, რომ აქ ქართველებს მკურნალობდნენ და თავდასხმა მოაწყვეს. მეც გავისროლე, საპასუხოს არ ელოდნენ და გაგვეცალნენ. მალე ორი ჯარისკაცი მოვიდა დამცველად. არადა, რამდენჯერ დაერეკე შინაგან საქმეთა სამინისტროში, ვთხოვეთ ჯგუფის მეთაურისათვის ეთქვათ სად ვიყავი, არავის უკითხავხართო!.. გვპასუხობდნენ.

ჩვენმა ბიჭებმა მტერსაც დაამახსოვრეს თავი და მოყვარესაც. ტარიელ მდინარაძეს წნევამ აუწია და რომელიღაც ოჯახში შევაფარეთ. საავადმყოფოში, რომელსაც ჩვენ ვიცავდით, ავადმყოფისათვის პირველი ჯგუფის სისხლი იყო აუცილებელი. ყველამ გაიკეთა სინჯი, პირველი ჯგუფი მარტო ჯონი კვასტიანს აღმოაჩნდა. მაშინვე გაიღო.

დამტვრეული ავტობუსით და გაბზარული გულებით ჩამოვედით. დახვედრამ სულ აგვიბნია თავგზა. ყველა გვეხვეოდა, ტიროდა, გელოცავდა, იქ ვიბრძოდით, აქ ვტიროდით. თურმე როგორ ვყვარებივართ ხალხს! ღმერთო, აუცილებლად სისხლია საჭირო, რათა ერთმანეთის სიყვარული ვიგრძნოთ?!“

გიორგი მამაკაიშვილმა ადვილად აუღო ალღო საპასუხისმგებლო საქმეს. მას აქვს რთულ სიტუაციებში სწრაფად გარკვევის უნარი, კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. თავი არასოდეს შეურცხვენია. ამართლებს მისთვის გამოცხადებულ დიდ ნდობას. უშიშარი ვაუკაცი უკან არასოდეს იხევს. მასში გაერთიანებულია ქართველი ვაუკაცისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება. უფროსი თაობის მუშაკები ყველაზე მეტად მასში აფასებენ უფროსებისადმი პატივისცემის უნარს, ახლის ძიებას. გამოცდილების გაზიარება, პროფესიონალიზმის ყოველდღიური დახვეწა გიას ცხოვრების წესს წარმოადგენს. „მე მაოცებს მისი უდიდესი ოპტიმიზმი, საბრძოლო განწყობა, სიმამაცე, მას არ შეუძლია სხვისი გასაჭირი გულთან არ მიიტანოს, – აღნიშნავს თამაზ კუნჭულია, – აფხაზეთის სისხლიან ტრაგედიას გადაურჩა, მაგრამ არაკაცმა არ დაინდო, თუმცა სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს”.

1995 წლის შემოდგომა იყო, ოზურგეთის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა გიორგის მეგობარი გოდერძი ქურიძე. იქნებოდა საღამოს 11 საათი, გიორგიმ გადაწყვიტა შეევილი თენგიზთან და ერთად წავალთ სახლშიო. ის იყო მიეიდა პოლიციაში, რომ დაინახა ფეხშიშველი მამაკაცი,

რომელიც იტყობინებოდა ლიხაურის ჩაის ფაბრიკის ბინებში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტის შესახებ. შეტყობინებისთანავე შემთხვევის ადგილზე გაეიდა ოპერატიული ჯგუფი. ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელობა გიორგიმ საკუთარ თავზე აიღო. ბნელ ღამეში ჭირდა ყაჩაღების ადგილსამყოფელის დადგენა. მალე ჯგუფის წევრებს გამოეყო გიორგი, აამუშავა მანქანა და წაეიდა იმ მიმართულებით, სადაც სავარაუდოდ უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედები. ყაჩაღებმა დაინახეს თუ არა მათკენ მომავალი ავტომანქანა. სიბნელიდან პირდაპირ გაუხსნეს ცეცხლი. პოლიციის მუშაკებმა ცეცხლს ცეცხლით უპასუხეს. გიამ მარჯვენა ბეჭში იგრძნო ტკივილი. „პირველი რაც გაეაკეთე, ჩაეისუნთქე – აღნიშნა გიორგიმ – სელა არ შემინელებია, ბიჭები ახორციელებდნენ ბოროტმოქმედების აყვანის ოპერაციას. იქვე ახალგაზრდა მუშაკი მიხეილ კიკვაძე შევნიშნე, ავუხსენი დაჭრილი ვარ, საავადმყოფოში წამიყვანე – მეთქი. საჭესთან ის დაესვი, თუმცა, რომ ნახა დაჭრილი ეიყავი, დაიბნა კიდეც. ორსამჯერ ჩაუქრა მანქანა. მივედით საავადმყოფოში. ტყვია ამომიღეს. პოლიციის თანამშრომლები შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ საავადმყოფოში მოვიდნენ. არაკაცებმა სასიკვდილოდ გამიმეტეს, მაგრამ ღვთის წყალობით გადავრჩი“.

ურთიერთდამშვიდობებაც რაღაცნაირად უშუალო და გულთბილი იყო.

იმ დღეს ძალზედ ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. სუფსაში მობრუნებულმა ერთხელ კიდევ გულდასმით გადავიკითხე მოპოვებული მასალა და წერილის მოსამზადებლად მოვხალეათდი; თან გუნებაში ამეკვიატა იოსებ ნონეშვილის ერთი პატარა ლექსი: სწორედ ამ ლირიკულ ნოტზე მინდა დავასრულო ეს პუბლიცისტური ნარკვევი:

„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი, ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი.

წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდი, თურმე ესეც გმირობაა დიდი“.

პოლიციელი საქმით პროფესიონალი უნდა იყოს, გულით კი ადამიანი

გიორგი ურიდია

ოზურგეთის რაიონულ პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს, – პოლიციის კაპიტანი გიორგი ურიდია. სიტყვა ახლის ხსენება უმალ ქართული ანდაზის „ახალი ცოცხი კარგად გვისო“ ასოციაციას იწვევს. ანდაზის ტენდენციისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბატონი გიორგი, რომ მოსვლის დღიდანვე (2008 წლის თებერვლიდან) უდიდესი მონდომებით და გულიანად შეუდგა საქმეს, ცხადზე უცხადესია. სამმართველოს ცხოვრებაში ახალმა ნიავმა დაბერა, მის მუშაობას უკეთესობა დაეტყო. საშუალება მომეცა კაბინეტში ვხლებოდი, დილის ოპერატიული თათბირის შემდეგ, ოზურგეთის პოლიციის უფროსს ბატონ გიორგი ურიდიას. ჩვენი საუბარი ძირითადად, ოზურგეთის რაიონთან დაკავშირებულ სისხლხორცეულ საკითხებს შეეხებოდა.

– ბატონო გიორგი, რამ განაპირობა თქვენი ამ თანამდებობაზე მოსვლა?

– ამ თანამდებობაზე მოსვლამდე მე ვიყავი ოზურგეთის რაიონული განყოფილების ურეკის ქვეგანყოფილების უფროსი. უფრო ადრე, გამომძიებლად ვმუშაობდი გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში. მანამდე კი ვიყავი სხვა თანამდებობებზე: ბათუმში – ქალაქის შს სამმართველოში გამომძიებლად, სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში უფროს გამომძიებლად.

– როგორ ფიქრობთ, როგორც პიროვნება, რამდენად შეგცვალათ თქვენმა სამსახურმა?

– (იცინის) ზნეობრივად არა, ხასიათებით შესაძლოა.

– ხასიათის თვისებებში კერძოდ რას გულისხმობთ?

– მე უფრო მომთხოვნი გავხდი ჩემი თავის მიმართ და იმ ადამიანების მიმართაც, რომლებიც ჩემს გარშემო არიან. პროფესია მაიძულებს, რომ მეტად მობილიზებული ვიყო. რომ ვთქვა, ყველას და ყველაფერს ვენდობი მეთქი, გამორიცხულია. ნდობის ფაქტორი, რასაკვირველია, არის, მაგრამ ჯერ განსაკუთრებული ყურადღებით

ვარკვევ (ვსწავლობ) ყველაფერს, ვსწავლობ თვით სიტუაციას, პიროვნებას და აშ.

— ბატონო გიორგი – ოზურგეთის რაიონი კრიმინოგენური თვალსაზრისით, ძალიან რთულია და რამდენად ართმევთ თავს დაკისრებულ მოვალეობას, მხედველობაში მაქვს, თქვენი ახალგაზრდული ასაკი და თანამდებობა?.

— უნდა შეგეძლოს კოლექტივის მართვა. რამდენად მობილიზებული აღმოჩნდები, იმდენად მობილიზებულია კოლექტივიც. თქვენ თვითონ განსაჯეთ, მარტო 2008 წელს 800-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმეზე მივიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება. 253 ერთეულით შემცირდა რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი, 33% გაიზარდა მკვლელობების, ხოლო 39%-ით განსრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტების გახსნის მაჩვენებელი. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის დავაკავეთ 64 პირი. გატარებულ ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ასევე დაკავებულია მიმალვაში მყოფი 39 პირი.

— ბატონო გიორგი, თქვენ კოლექტივი ახსენეთ. ამ კოლექტივს რას ეძახით, სენიეთ მოდებულ „გუნდურომანიას“?

— მე არ ვიცი „გუნდურში“ რას გულისხმობთ, მაგრამ გუნდში აუცილებლი არ არის ყველა ახლობელი იყოს. გუნდი იქმნება თუნდაც დაბალ რგოლებში. მაგ: ჩვენთან არსებობს 2-3 კაციანი გუნდი, ესენი არიან დეტექტივები, მათი თანაშემწეები, უბნის ინსპექტორ – გამომძიებლები, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულის ფაქტების გახსნისას ან სისხლის სამართლის გამოძიებისას, ერთად მუშაობის სურვილს გამოთქვამენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მეორეს ენდობა. ეს არის დაწყვილებული სამსახური. გამოდის, რომ ესეც „გუნდური“ პრინციპია. მაგრამ, ეს ასე არ არის. ამას პოლიციაში სხვა მხარე აქვს. ჩვენი პროფესია არაორდინალურია და განსაკუთრებული. უფროსი როცა ახალ სამსახურში მიდის და სხვა დანაყოფიდან მოპყავს კადრები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ რაღაც ანგარებაა. მათ ერთმანეთთან მუშაობის რაღაც გარკვეული სტილი აქვთ, ან აკავშირებთ ნდობის ფაქტორი, სტაჟი და ა.შ.

— თქვენ წელან ნდობის ფაქტორი ახსენეთ. როგორი განწყობა გქონდათ მაშინ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიით გამოსვლისას, საჯაროდ მადლობა გამოგიცხადათ და აღნიშნა, რომ გიორგისნაირი უნდა იყოს პოლიციელი?

— ნებისმიერი ადამიანისათვის ყველაზე დიდი ჯილდო მის მიერ გაწეული შრომისა და პიროვნული თვისებების დაფასებაა

და როდესაც ეს ხდება ქვეყნის პირველი პირის მიერ, უკვე დიდად საპატიო და ამავე დროს საპასუხისმგებლოცაა. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მარტო ჩემი დამსახურება კი არ იყო, არამედ იმ კოლექტივისაც, რომლის წევრებიც ჩემს გვერით იყვნენ. თავიდან არც კი ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ მოვახერხებდით „კალაშოვი – მდინარაძის“ ალიანსის დამარცხებას. თუმცა, როდესაც გარკვეული თანხა შემომთავაზეს, რათა აღნიშნული ალიანსის საქმიანობისათვის ხელი არ შემეშალა, მე მაშინვე ჩავთვალე საჭიროდ ამის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია მიმეწოდებინა შს სამინისტროს ხემძღვანელობისათვის, ხოლო, „კალაშოვი-მდინარაძის“ დანაშაულებრივ ჯგუფში, ჩაგვენერგა საიდუმლო თანამშრომელი. გატარებული ოპერატიული კომბინაციების შედეგად ქრთამის გადაცემის ფაქტზე ვამხილეთ დაჯგუფების ერთ-ერთი აქტიური წევრი. შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა როგორც ჩავიფიქრეთ. აღნიშნული დაჯგუფების წევრებს, კანონის შესაბამისად, ჩამოერთვათ უკანონოდ მიტაცებული 5 სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მთელი მისი ქონებით. პოლიციამ დაიბრუნა თავისი ადმინისტრაციული შენობა და მიწის ნაკვეთი. ასევე სახელმწიფოს დაუბრუნდა ის მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ისინი უკანონოდ ფლობდნენ. აღნიშნული მიწის ნაკვეთები, ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, გადაეცა შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, ინვალიდებისა და ვეტერანების სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობის მიზნით.

მართლაცდა, დაიგეგმა და განხორციელდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მრავალი კომბინაცია, რომელთა უმეტესობა ამ ოპერაციის მონაწილე თითოეული თანამშრომლის არა მარტო დიდ პასუხისმგებლობასთან, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით სიცოცხლის რისკთანაც იყო დაკავშირებული. ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ამ ოპერაციის ხელმძღვანელობა, საკუთარ თავზე აიღო ბატონმა გიორგიმ. მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელებულმა ერთმა, ფრიად არაორდინალურმა „მინი ოპერაციამ“ საბოლოოდ დაუსვა წერტილი – „კალაშოვი მდინარაძის“ ბანდის არსებობას.

– თქვენი უახლოესი მიზანი რა არის?

– ჩემი მიზანია ვიმოქმედო ისე, როგორც გამოადგება ქვეყანას. არის ხოლმე ზოგი რამ, რაც ძველიდან ასაღებია და ახალშია გადმოსატანი. არის საკანონმდებლო საკითხები, რომლის გადაწყვეტაზეც მუშაობენ სათანადო ორგანოები.

– რა სახის დანაშაულთან გაქვთ ყველაზე მეტად შეხება?

— ჩვენი რაიონი, ძირითადად, მაინც ეგულისხმობთ ქალაქ ოზურგეთს, გამორჩეულია თავისი ვნებათაღელვით, მიმდინარე პროცესებითა და ა.შ.

ისევე, როგორც მთელ რეგიონში, აქაც ანალოგიური ვითარებაა. ხდება თითქმის ყველა სახის დანაშაული, დაწყებული სხვისი ქონების ქურდობიდან, დამთავრებული მკვლელობით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ამ კატეგორიის დანაშაულთა კლების ტენდენცია.

— თქვენს ცხოვრებაში თუ ყოფილა ისეთი მომენტი, რასაც გადაუჭრელი პრობლემა ჰქვია?

— ყველაზე დიდი პრობლემა, საერთოდ რაც მე კი არა, ყველა ქართველს აწუხებს და მტკივნეულია, ეს არის საქართველოს მთლიანობა და პასპორტი, რომელსაც აწერია საქართველო.

— კიდევ რაიმე მნიშვნელოვანს ხომ არ გვეტყოდით იმის თაობაზე თუ როგორ მოხვედით პოლიციაში, რა გზა გაიარეთ?

— მე ვიტყოდი, რომ ადრე იყო საბჭოთა მილიცია და ამ ტრადიციებიდან გადმოსულები ვართ. თითქმის 8 წელი ვიმუშავე ჩოხატაურის რაიონის სასამართლოში ადმინისტრაციული წარმოების ინსპექტორად. პარალელურად ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. მამაჩემი წლების განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, შემდეგ კი რამდენიმე წელი იყო, ჩოხატაურის რაიონში სასამართლოს თავჯდომარე, ოზურგეთის — რაიონში მოსამართლე. დედა-ქეთევან იუანეს ასული დოლიძე, პროფესიით ექიმი-თერაპევტია და მუშაობს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ქვენობანის ამბულატორიაში ექიმად.

— ჩემს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. დაობდნენ სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით და ყველაფერი ეს იმდენად სინტერესო იყო, რომ მეც გამიჩნდა სურვილი დამეწყო მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოებში. 2002 წლის თებერვალში, ბატონი იოსებ გობრონიძის ინიციტივით, რომელიც მაშინ სამხარეო მთავარ სამმართველოში საგამოძიებო სამსახურს ხემძღვანელობდა, დავიწყე გამომძიებლად მუშაობა. დღესაც მახსოვს პირველი გამოძიებული საქმე, ეს ეხებოდა არასრულწლოვანს, ვინმე გვარად ქოჩიშვილს, რომელიც იმხილებოდა გეგიაძის სახლის გაქურდვაში. ოპერმუშაკებთან ერთად ამოვიღეთ ნაქურდალი ნივთები და დავუბრუნეთ თავის პატრონს.

ასევე ორჯერ მომიხდა ნარკორეალიზატორის ტონია პაპისმელოვას საქმის გამოძიება. პირველად 2000 წლის ივნისში, როდესაც იგი სისხლის სამართლის მთავარი სამმართველოს თანამ-

შრომლებთან ერთად, ვამხილეთ რეალიზების ფაქტ'ს. მეორედ კი ისევ რეალიზაციის ფაქტ'ზე ავიყვანეთ 2005 წელს. მაშინ მე სპეციალურ – ოპერატიულ დეპარტამენტ'ში ვმუშაობდი უფროს გამომძიებლად. იმავე წელს, სოფ. ჯურუყვეთში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 55 კილოგრამი მარიხუანა ამოვიღეთ.

ვიტყოდი, რომ ადრე სამუშაო ბაზაც მეტი იყო, დიდი საქმეები კეთდებოდა.

უფრო მეტი პროფესიონალები იყვნენ.

– რას გულისხმობთ პროფესიონალიზმში?

– კიდევ ერთხელ გაიმეორებ: პოლიციელი საქმით პროფესიონალი უნდა იყოს, გულით კი ადამიანი. გულით ადამიანი უნდა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანი გქვია, თანაც პოლიციელი და უნდა იბრძოლო ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

– პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ რას იტყვით?

– კარგი შეკითხვა დამისვით. გულისტკივილით მინდა განვმარტო, რომ საზოგადოებისაგან ხ'შირად გადაჭარბებული კრიტიკა გვესმის. პოლიციის მუშაკის მიერ, თუნდაც ერთი მცირედი დარღვევაც დაუსრულებელი მიოქმა – მოთქმის თემად გადაიქცევა ხოლმე და ასი კარგი, რომ გააკეთო, ერთ მადლობასაც არავინ გეტყვის. ნუთუ ვერავინ უნდა დაინახოს, რამდენ სიძნელესთან უხდება ბრძოლა პოლიციელს? სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ისინი ხომ საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ. რამდენი მაგალითი ვიცით იმისა, რომ ბოროტმოქმედებთან შერკინებისას, პოლიციელები გმირულად დაიღუპნენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა'ზე მეტი თანამშრომელი ჩვენს რაიონშია დაღუპული. ამის დაუნახაობა საზოგადოების მხრიდან დიდი უმადურობა იქნებოდა. როცა უკანასკნელ პერიოდში მომხდარი 13 მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობიდან 12 საქმე გახსნილია, ეს ცოტაა? ყოველივე ამას კი, ჩვენ ვაკეთებთ, ურთულეს პირობებში. პოლიციელი ხომ ჩვეულებრივი ადამიანია და მისი უფლებებიც ისე უნდა იყოს დაცული, როგორც სხვა ნებისმიერი პიროვნებისა. ასე, რომ პოლიციის მუშაკებს კრიტიკის ქარცეცხლში გატარება კი არა, საზოგადოების მხარდაჭერა და თანადგომა უფრო სჭირდებათ.

ბესარიონ ტაბიძე

სულ რამდენიმე დღე. და შემოგრძანდება ახალი წელი. ახალი იმედებითა და განწყობილებით სავსე. დაგვიბედებს კაცთა შორის სიკეთეს და სათნოებას. გვაცილებს ცუდსა და ბოროტს. უამრავი საფიქრალი მოგვძალებია ამ საზეიმო დღეებში. განსაკუთრებით ეს პოლიციის მეშაკთა შორის იგრძნობა. ისინი ხომ ადამიანთა სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან. გვეიმედებიან წინასაახალწლო დღეებშიც, როცა ორმაგად ფხიზლად უნდა იყვნენ და დაგვიცვან ყოველივე ავისაგან.

სწორედ ამ საღღესასწაულო განწყობით ვეწვიეთ ლანჩხუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს, ბატონ ბესარიონ ტაბიძეს და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

– რით იყო მნიშვნელოვანი 2008 წელი, პირადად თქვენთვის და თქვენი კოლექტივისათვის?

– დავიწყებ იმით, რომ ჩემთვის ყოველი წელი კი არა, ყოველი ახალი დღეც კი, მნიშვნელოვანია. თუნდაც იმიტომ, რომ ცოცხალი ვარ. იმდენი რამ გადამხდენია თავს. კოლექტივისათვის, გასული წელი იმით იყო აღსანიშნავი, რომ ლანჩხუთის პოლიციის საქმიანობაში მთლიანად გარდატეხა მოხდა. ხალხს ნორმალური ცხოვრების საშუალება მიეცა. კეთილმა სძლია ბოროტს. გამოცდილება დიდი მივიღეთ და სანამ ლანჩხუთში ვარ, არ დავუშვებ ოპერატიული ვითარების გართულებას. ჩანასახშივე ამოვშანთავ მის ნებისმიერ გამოვლინებას. მე ასე მესმის: კოლექტივი კოლექტიურ შრომას ნიშნავს და ამიტომ, გარკვეულწილად შეკეთელი შემომეკრიბა ხალხი, რომელსაც უყვარს თავისი საქმე. გააჩნია შესაბამისი პროფესიონალიზმი და სათანადო პასუხისმგებლობის გრძნობა.

ბესარიონ ტაბიძე პოლიციაში სამუშაოდ 1995 წელს მივიდა. ეს მოხდა, ლანჩხუთის შს რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მაშინდელი უფროსის, ერთ-ერთი გამორჩეული პროფესიონალისა და ჩეკისტის, ბოროტმოქ-

მედებთან შეტაკებისას დაღუპული ბატონ თენგიზ ცინცაძის ინიციატივით. რომლის ვაუკაცობაზე ლეგენდები დღესაც დადის. როგორც ბატონი ბესო აცხადებს: „თენგიზ ცინცაძე იყო ჯერ ვაუკაცი და მერე პოლიციელი. სწორედ მან დამარწმუნა იმაში, რომ ჩემისთანა ახალგაზრდა სჭირდებოდა პოლიციას. დავფიქრდი ამაზე. თუმცა მუშაობა დავიწყე მოგვიანებით, მას შემდგ, რაც ჩემი მეგობარი თენგიზ ცინცაძე არაკაცებმა მოკლეს. ამან ძალზე იმოქმედა ჩემზე და მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება, მებრძოლა ბოროტების წინააღმდეგ“.

მუშაობა ახალდაწყებული ჰქონდა, როდესაც პასუხისმგებელმა მორიგემ შეატყობინა, რომ რომ ღამით უცნობმა ბოროტმოქმედებმა რუსთაველის ქუჩაზე გაქურდეს მოქალაქე თ. კ-ს ბინა. წინასწარი მონაცემებით გატაცებულია დიდძალი რაოდენობის საოჯახო ნივთები და ფული. მილიციის უბნის ინსპექტორი და მისი თანაშემწე შემთხვევის ადგილს იცავდნენ.

— ხომ გაიგე რაც გითხარი? — შეეკითხა მორიგე ბესოს.

— დიახ გავიგე.

— სამძებროში თქვენი დანიშნის შესახებ, ბრძანების ამონაწერი უკვე მივიღეთ. აქ ძამა, საბავშო ბაღი კი არ არის, სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურია. ჰოდა კეთილი ინებე, ხელი მოკიდე ბინის გაქურდვის საქმეს, შენი ზონაა და გახსენი.

გაუკვირდა ბესოს, რატომ უნდა მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის და გაეხსნა, როცა შემთხვევის ადგილიდან აცნობეს, რომ პოლიციის მუშაკები ადგილზე არიანო? მან ჯერ კიდევ არაფერი იცოდა მოვალეობათა ფუნქციური განაწილებისა. პოლიციის უბნის ინსპექტორები და მისი თანაშემწეები ძირითადად შემთხვევის ადგილს იცავდნენ. თუ მიიღებდნენ ოპერატიულ ინფორმაციას, მოახსენებდნენ სამძებრო სამსახურის ხელმძღვანელობას, და საქმის გახსნით, ძირითადად სამძებროს მუშაკები იყვნენ დაკავებული.

თავიდანვე ცუდი კოლეგა შეხვდა ბესოს. სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ოპერრწმუნებულს, რომელსაც ევალებოდა მისთვის ოპერატიული მუშაობა ესწავლებინა, თავი ისე მოჰქონდა, თითქოსდა უიმისოდ ოპერატიული სამსახური ვერ იარსებებდა. ყველას ზემოდან დასცქეროდა, რადგან სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც კარგ მაძებარს. ახალი კადრები მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ აი, პოლიციის რიგებში მოვიდნენ გამოცდილი, პროფესიონალი მუშაკები. ერთ-ერთი იყო შესანიშნავი ჩეკისტი, რაიონული განყოფილების უფროსი გოდერძი ქურიძე — კაცი, რომელმაც თითქმის ყველა გაუხსნელი საქმე ზეპირად იცოდა. ღამეებს ამ საქმეებზე ფიქრში ათენებდა.

დღეებს — მათი გახსნისათვის ღონისძიებების დასახვასა და ადამიანების საქმიანობის ამ მიზნისაკენ წარმართვაში აღამებდა. ღიმილი არ ეკარებოდა მის სახეს, თითქოს საამისოდ არა სცალიაო. ხოლო როცა მოიცლიდა, მთელი გულით იღიმებოდა. ბესოს სჯეროდა, რომ გოდერძიმ არა მარტო ყველა თანამშრომელის თითოეული ნაბიჯი იცოდა, არამედ იმასაც კი ჭვრეტდა თუ ვინ რას ფიქრობდა.

ერთხელ ბესომ და მისმა ოთხმა ამხანაგმა საეახშმოდ კაფეში შეიარეს, ქალაქის ცენტრში. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ. მეზობელ მაგიდასთან ექვსი კაცი ქეიფობდა. ჯიბეებიდან რევოლვერის ტარები მოუჩანდათ. პოლიციის მუშაკებს არ მოეწონათ მათი ლაპარაკი. სისხლის სამართლის დამნაშაველებად მიიჩნიეს. გადაწყვიტეს შესაფერისი მომენტი შერჩიათ და დაეპატიმრებინათ. ხალხმრავალ ადგილზე დამნაშაველების შეპყრობას ჯერჯერობით ერიდებოდნენ, მაგრამ არც ასეთი დაყოვნება მოსწონდათ. მაინც დაელოდნენ, ვიდრე ხალხი კაფედან გაიკრიფებოდა. მერე საჭვეო პირები მოხერხებულად შეიპყრეს. ისინი მართლაც, სისხლის სამართლის დამნაშაველები აღმოჩნდნენ.

მეორე დღეს დილით, თანამშრომლები გოდერძი ქურიძის კაბინეტის წინ შეიკრიბნენ. მოვიდა გოდერძიც, მიესალმა მათ და კაბინეტში მიიპატიჟა.

— აბა მომახსენეთ, რა გმირობა ჩაიდინეთ წუხელ კაფეში?

ყველაფერი დაწრილებით მოახსენეს.

— ბედი თქვენი, რომ არ მეცალა, თორემ იქ თავად მოვიდოდი და სუყველას ყურით გამოგათრევდით!

— რათა. რა დავაშავეთ ასეთი?!

— დამნაშაველთა შესაპყრობად მე სხვა ოპერატიული ჯგუფი მყავდა გაგზავნილი. თქვენ მათ უშლიდით ხელს, ისინი კი თქვენ, რადგან ერთმანეთს არ იცნობდით... როგორ ვერ მოისაზრეთ და ტელეფონით არ დამიკავშირდით? რა დაშავდებოდა, ერთი თქვენთაგანი ჩემთან, რომ წამოსულიყო? მაშინ ოპერაცია ბევრად უფრო იოლად ჩატარდებოდა.

წუთით დაფიქრდა გოდერძი. თითებს შუა საწერკალამი ნერვიულად შეათამაშა და დაუმატა.

— ჩემი ბრალია, ალბათ... წესიერად ვერ გაგანაწილეთ და დაგარიგეთ, როგორ უნდა მოქცეულიყავით ასეთ შემთხვევაში.

უყვარდა გოდერძის მოკრძალებული, საქმის მოყვარული მუშაკები. არცერთ შემთხვევას არ უშვებდა, რომ მათდამი პატივისცემა არ გამოეხატა. ბაქიები კი საშინლად ეჯავრებოდა.

პოლიციის მუშაკთა სული და გული იყო თამაზ კუნჭულია. გამჭრიახი, ოპერატიული მუშაკი, რომელმაც ბევრი საიდუმლო-

ებით მოცული დანაშაული გახსნა. ასეთივე სანაქებო მუშაკები იყვნენ ვიქტორ გობრონიძე, გურამ ჩხაიძე, სულიკო ჯიმშელეიშვილი და სხვები. მათ და ათეულობით მათმა მსგავსმა მუშაკებმა გაუადვილეს ბესო ტაბიძეს პოლიციის ოპრატიული მუშაკის მძიმე მოვალეობათა შესრულება წლების მანძილზე და უსაზღვრდ შეაყვარეს კიდეც ეს საქმე.

თავდაპირველად ბევრი გაუხსნლი საქმე დაუგროვდა ბესოს წარმოებაში. გამოცდილება არ ჰყოფნიდა. ზოგჯერ წვრილმანებზედაც კი კონსულტაცია სჭირდებოდა, რათა ოპერატიული მუშაობის ლაბირინთებში გზა არ აბნეოდა. მცოდნე კაცისაგან ეს კონსულტაცია მხოლოდ მცირე დაფიქრებასა და ორ-სამწუთიან პასუხს მოითხოვდა. ამიტომ საზღვარი არ ჰქონდა ბევრის გაკვირვებას, როცა ერთ-ერთ გამოცდილ ოპერს, პირველად რჩევა დარიგებისათვის მისულს, არც კი მოუსმინა და ცივად უთხრა: – რადგან თანამდებობა გიკავია და მუშაობ, ასეთი რამეებიც უნდა იცოდე! უფრო მეტად აღშფოთდა განყოფილების უფროსი, როცა მის ყურამდე ამ ამბავმა მიაღწია.

აბა მითხარი, როგორ გიპასუხა ძველმა ჩეკისტმა შეკითხვაზე? – ჰკითხა მან ბესოს.

– არც მიპასუხა და არც რამე მასწავლა. . .

უფროსმა სტაჟიანი ოპერი გამოიძახა:

– სამარეში ხომ არ გინდათ წაიღოთ თქვენი ცოდნა ბატონო მაძებარო? რატომ არ მიეცი ამ ყმაწვილს რჩევა-დარიგება საქმის თაობაზე? – მღელვარებას ვერ იკავებდა უფროსი. – როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ შეგვიძლია ვიქონიოთ იმის იმედი, რომ ზურგში ტყვიას არ დაგვახლით?! წაბრძანდით ახლა. თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდება, იცოდეთ ტყვიის სროლას თქვენ ვერ დაგვასწრებთ.

ოპერი თავდახრილი გავიდა. გოდერძი ქურიძე ახლა ბესოს მოუბრუნდა:

– თქვენ, ბატონო ბესარიონ, წარსულის ამ გადმონაშთს შეიძლება პირისპირ პირველად შეხვდით, მე კი მასთან ბევრი მიომია. შეუპოვარი ბრძოლა მოგველის მომავალშიც. იმ დღიდან, რაც სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის მებრძოლები გავხდით, ჩვენი გზა ცეცხლის ხაზზე გადის. ამიტომ დიდი სიფრთხილე და სიმამაცე გვმართებს.

ამ სიტყვების სიმართლეში ბესო მალე დარწმუნდა. „პირველად ოპერაციაზე წავედი, როცა მუშაობა ახალდწყებული მქონდა შს გურის სამხარეოში ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფლებაში. ოპერატიული ჯგუფი გაგეიშვეს ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი, ქორიძის დასაკავებლად.

სანამ წაეიდოდით, 200 გრ. არაყი დაელიე. გამბედაობა, რომ მოეცა და წაეედით. ატყდა სროლა. ყველამ დაიკავა საბრძოლო პოზიციები. ზოგი ამოეფარა რაღაც შენობებს, ხეებს, მე გაშლილ მინდორში ვიდექი ავტომატით ხელში. ამის შემდეგ შეეჩვიე და ყოველთვის პირველი მიედიოდი ოპერაციებზე."

საკოლმეურნეო ბაზრის წინ რამდენიმე კაცი შეჯგუფებულიყო. შუაში ვილაც ჯმუხი ახალგაზრდა იდგა.

— ამაზე იაფად როგორ გაეყიდო ოქროს საათი მოპარული კი არა მაქვს! ეუბნებოდა იგი შეჯგუფებულთ.

არ მოეწონა ბესოს ეს ყმაწვილი. თვალებს ქურდივით აცეცებდა.

— აბა წამობრძანდით ჩემთან, მე სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკი ვარ. — უთხრა მას და წინ გაიგდო. — გვარი და სახელი მითხარი შენი!

— რად გინდა ჩემი გვარი და სახელი, ხომ არაფერი დამიშავებია? გამიშვი ხელი... — გვარი და სახელი მითხარი შენი! — გაუმეორა ბესომ კითხვა და ავი თვალით გადახედა.

— მუაეია ვარ, რა გინდა ჩემგან?

— „მუაეია, ბესოზე ასაკით უფროსიც იყო და ტანადიც. მან მარჯვენა ხელის იდაყვი აიქნია და ორი-სამი კაცის წინ აღმოჩნდა. წამიც და თვალს მიეფარებოდა. ბესო ვეფხვივით გადახტა და გაქცეულს მარცხენა ხელით საყელოში სწვდა.

— წინ იარე! როგორც კი შემობრუნდები ტყვიას დაგახლი! ამის თქმა და ყურის ძირში ტყვიის გაზუზუნება ერთი იყო... ბესო მარჯვენა ხელში ჩახმახშემართული მაკაროვით ისე შემობრუნდა იმ მხარისაკენ, საიდანაც სროლის ხმა შემოესმა, რომ „მუაეიასათვის" მარცხენა ხელი არ გაუშვია... სულ რამდენიმე ნაბიჯზე დაინახა გოდერძი ქურიძე, რომელიც ნაცრისფერპიჯაკიან ოც-ოცდახუთი წლის ბიჭს ზურგზე შეახტა, მარჯვენაში სწვდა, გადაუგრიხა, ძირს დასცა და პისტოლეტი გააგდებინა.

— ამას მე მოვუელი ბესო. შენ ეგ არ გაგექცეს! დაუძახა მან ბესოს და უკვე დამორჩილებულ დამნაშავეს დაუყვირა: — ადექი!.

შეპყრობილი დამნაშავეები მილიციის სამორიგეოში მიიყვანეს. ბესო მხოლოდ ახლა შეეკითხა გოდერძის:

— საიდან გაჩნდი ჩემდა ბედად?

— როგორ ხარ ბესო, ხომ არ დაგჭრა ამ გარეწარმა?

— იქვე მაღაზიაში ვიყავი, შენი ხმა გავიგონე თუ არა, გამოვედი. ჩემს წინ, ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით, ეს მოდიოდა, ჩაციებით გიყურებდა. შევატყვე კარგს არ ფიქრობდა. გასროლა მაინც მოასწრო..."

შეპყრობილი დამნაშავეები გაჩხრიკეს. „მეავია“, გაქნილი ბინის ქურდი აღმოჩნდა. გაჩხრიკეს მისი საცხოვრებელი ბინა. მის მიერ მოპარული ნივთების გადმოზიდვას, ორი მანქანა დასჭირდა.

მალე შეიპყრეს დაკავებულ დამნაშავეთა თანამონაწილე სხვა ქურდებიც. გაზეთში მოკლე ცნობა გამოქვეყნდა. „სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებმა შეიპყრეს ბინის ქურდები. აღმოჩენილია ბევრი ნაქურდალი ნივთი.

ნივთების ამოსაცნობად და მისაღებად დაზარალებულნი უნდა გამოცხადდნენ ბატონ ბესო ტაბიძესთან.“

ეს იყო ბესოს მიერ გახსნილი პირველი საქმე. ამან ახალგაზრდა ოპერატიულ მუშაკს, საკუთარი თავისადმი რწმენა ჩაუნერგა და ახალი საბრძოლო საქმისათვის აღაფრთოვანა. ხელმძღვანელობამ იგი უფროს ოპერრწმუნებულად დააწინაურა და სერიოზული საქმეების გახსნა მიანდო. მისი სამუშაო არენა კიდევ უფრო გაფართოვდა. იგი ყველა საქმის გახსნას მაღალ-პროფესიულ დონეზე უდგებოდა. მიდიოდა დრო და ბესო ყოველ-დღიურად იზრდებოდა, როგორც პროფესიულად ისე პიროვნულად. მისგან შორს იყო ყოყოჩობა. გამოირჩეოდა თავმდაბლობითა და სიფხიზლით. თავის გასაკეთებელს, სხვას არასოდეს დაავალებდა. პირიქით, ხშირად თვითონ ხელმძღვანელობდა ამა თუ იმ ოპერაციას.

მრავალთაგან, მაღალკვალიფიციურობისა და საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომის კიდევ ერთი მაგალითი გაიხსენა:

“2006 წლის ნოემბერში, ლანჩხუთის რაიონში მცხოვრებ უშანგი დვალიშვილს, საკუთარ ავტომანქანაში ორი უცნობი ახალგაზრდა გადაადგილების მოტივით ჩაუჯდა. როგორც კი რაიონის ცენტრს გასცდნენ, მათ მძღოლი ავტომანქანიდან გადმოიყვანეს, მრავალმხრივი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ცოცხალ-მკვდარი საბარგულში ჩააგდეს და გზას გაუდგნენ. დაახლოებით 7-8 კილომეტრის გავლის შემდეგ, ავტოსაგზაო შემთხვევა მოუვიდათ, მიატოვეს ავტომანქანა და მიიმალნენ. ბოროტმოქმედთა დადგენა-დაკავების საქმეს პოლიციის უფროსი, ბესიკ ტაბიძე თავად ჩაუდგა სათავეში. პირველი რაც გააკეთეს, დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. სადაც მას გაუკეთ-და ოპერაცია, ცალი თვალი ამოუღეს. მეორე ჯგუფი, პოლიციის უფროსის ხელმძღვანელობით, დაედევნა დამნაშავეებს, რომლებიც საყანე ფართობისაკენ გარბოდნენ და ასე ცდილობდნენ მიმალვას. ძალ'ზე ცუდი ამინდი იდგა. დაახლოებით 5 კილომეტრის დევნის შემდეგ, საყანე ფართობში შესაძლებელი გახდა დანაშაულის ჩამდენი პირების დაკავება. ისინი ქალაქ სამტრედიაში მცხოვრები

თენგიზ თაბაგარი და თბილისელი როლანდ თაბაგარი აღმოჩნდნენ.“

— რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?

— ჩემი ოცნება იყო გავმხდარიყავი პოლიციელი და პოლიციის უფროსი. მინდოდა ვყოფილიყავი ისეთი, როგორიც იყო გურამ ჩხაიძე, რომელიც გამოირჩეოდა ეაჟკაცობით, კრიმინალებთან შეურიგებლობით, კაცი რომელზეც ლეგენდები დადის. გავიხსენოთ თუნდაც გახმაურებული ოპერაცია ვანში, სადაც მაშინ .ის პოლიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მაშინდელ გაზეთ „კომუნისტში“ სტატია ასეთი სათაურით დაიბეჭდა „გასროლა ყურუმის მთებში“. გურამ ჩხაიძემ მარტომ დაიჭირა 5 ძებნილი პირი და ასეთი რამდენი შეიძლება გაიხსენო მასზე, თუნდაც საქონლის ქურდების — თელიების საქმე, რომელზეც მან თავისი ოპერატიული ინტუიციით მიიღო ინფორმაცია და დააკავა ისინი. დადიოდა ფერმებში ცხენით, აბაშისა და გურიის სა'ღვარ'ზე, ზოგჯერ მწყემსივით ჩაცმულიც დადიოდა და ასე აგროვებდა ინფორმაციებს.

ახალგაზრდა მუშაკებიდან გამოეყოფდი ჩემს მოადგილეს, ლაშარელა ჩხაიძეს, რომელსაც ჩემნაირი მანერები გააჩნია. იგი ამბობს, რომ „კრიმინალები ციხეში უნდა იყვნენ და საზოგადოებას, ჩვენს ხალხს, ჩვენი რაიონის მოსახლეობას უნდა შევუქმნათ მუშაობის დასვენების და ცხოვრების ნორმალური პირობები“. ამ კაცს ეს აქვს მიზნად დასახული, მონდომებულია და როცა კაცს ინტერესი აქვს, საქმე ყოველთვის გამოუვა.

იცით, ამ ბოლო პერიოდში, პოლიციაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ახალგაზრდა კადრების დანიშვნის კარგი ტენდენცია დამკვიდრდა. გულახდილად გეტყვით, ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია მონდომება, შრომისმოყვარეობა, საქმის ცოდნა და სიყვარული.

— ბატონო ბესარიონ! ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეგძლებოდათ, როგორ იცხოვრებდით?

— დავიწყებდი ისე, როგორც დავიწყე და ვიცხოვრებდი ისე, როგორც ვიცხოვრე.

— როგორი განწყობილებებით ეგებებით, ახალ წელს?

— რა გითხრათ. მიუხედავად ყოველგვარი გაჭირვებისა, მაინც გვეხარია ახალი წლის შემობრძანება. განსაკუთრებული მობილიზება გვმართებს ამ დღეებში, რათა ადამიანებს მივცეთ იმის საშუალება, რომ ყველა ოჯახმა, ბედნიერად გაითენოს ახალი წელი. ვისურვებდი, ლანჩხუთს ისევ დაბრუნებოდეს ის სიმდიდრე და ფუფუნება, რაც, არც თუ შორეულ წარსულში ჰქონდა. გა-

უმჯობესებულიყოს ქართველი კაცის ეკონომიკა და მალე გვენახოს „საქართველო, ამირანიეთ დეეგმირ'ული“

ყველა კეთილი ჩანაფიქრი უკლებლივ აგსრულებოდეთ, ბატონო ბესო!

გულთმისან ვასაძე

სიტყვისა და ფიცის კაცი

იყო დრო, როცა გურიის რეგიონის ყველა რაიონში რთული კრიმინოგენური ვითარების გამო, ხალხს გარეთ გამოსვლისა ეშინოდა. რიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, დღისით თუ ღამით, თავისუფლად დათარეშობდნენ და მოსახლეობას პირწმინდად ძარცვავდნენ. ჩოხატაურის რაიონში, სადაც ყაჩაღობები თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, მილიციაში მომხდარი საკადრო ცვლილებების შემდეგ, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. შესამჩნევად იკლო დანაშაულთა და დამნაშავეთა რიცხვმა. მილიციის მუშაკთა თავდაუზოგავმა შრომამ საბოლოოდ დაამყარა სიმშვიდე. ძველებურად აღარ იძარცვება ოჯახები. შემცირდა მძიმე დანაშაულთა რიცხვი. მოიხსნა შიშის სინდრომი. რაიონის კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელმა მილიციის უფროსმა, გულთმისან (ავთო) ვასაძემ. ამ ღირსეულმა ადამიანმა, პერსპექტიულმა ახალგაზრდა მუშაკმა, თავის საქმეზე შეყვარებულმა ხელმძღვანელმა შესძლო კოლექტივის ერთ მუშტად შეკვრა.

მეტად რთულ პერიოდში მოუხდა პირველად გულთმისან ვასაძეს, კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე დგომა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯიც კი, გამოუსწორებელ შედეგს გამოიწვევდა. ქაოსი და განუკითხაობა ყაჩაღების წისქვილზე ასხამდა წყალს. რაიონის მოსახლეობას ხან ადგილობრივი და ხან იმერეთიდან შემოსული ბანდიტები აწიოკებდნენ. გულთმისანი ყველა ჯურის მოძალადეს ვაუკაცურად უმკლავდებოდა. კოლექტივიც ყოველთვის მობილიზებული იყო. მას ყველაზე მეტად აწუხებდა ის ფაქტი, რომ მოსახლეობა

"ისტებად" იყო დაყოფილი. მათი ძირითადი ნაწილი კი ტყეს აფარებდა თავს. გულთმისანი მათაც ხედებოდა. ბევრი მათგანი შემოირიგა კიდეც. მრავალი იხსნა და გადაარჩინა. ის კატეგორიული წინააღმდეგი იყო საზოგადოების " ფორმალებად" და "არაფორმალებად" დაყოფისა.

"ვერ გამიგია რატომ უნდა შეეაქციო ზურგი ისეთ პიროვნებას, რომელიც შენს მოსაზრებას არ იზიარებს. ან პირიქით, სხვა რატომ უნდა მოიქცეს ასევე ჩვენს მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საერთო ეროვნულს ეხება". – იტყოდა ხოლმე.

იგი დიალოგის მომხრე იყო. კონსოლიდაციის, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გზად კონსტრუქციული დიალოგი და ორმხრივი კომპრომისი მიაჩნდა და მიაჩნია დღესაც. აუცილებლად თვლის ემოციების მოთოკვას, პროვოკატორთა ინფორმაციის აუჩქარებელ გადამოწმებას და გონებით მოქმედებას, რათა გამოუსწორებელი ზიანი არ მიადგეს ერს.

"ყველას გვიჭირს, ყველას დიდი ტვირთი გვაქვს მხრებზე, – ამბობს გამოცდილი ჩეკისტი ბატონი გულთმისანი, – საზრუნავი ერთი გვაქვს, ასეთ, ძნელბედობის ჟამს, ბუნებრივია ერთად ყოფნა, ერთად დგომა და ერთად ბრძოლა გვმართებს.

ყველგან, სადაც უხდება მას მუშაობა, გამოირჩევა შესაშური ერუდიციით. მრავალმხრივი განათლებითა და დიდი ინტელექტით. გულთმისან ვასაძე რიგით პოლიციელად მივიდა ჩოხატაურის პოლიციაში, იგი პატიოსანი, მშრომელი ოჯახიდანაა და თვითონაც თავდადებით გაჰყვა პატიოსან შრომაზე დაფუძნებულ გზას. მან პოლიციის თითქმის ყველა ინსტანცია გაიარა სახელოვნად და ერთი წლის წინ, ჩოხატაურის მთელი შს რაიონული სამმართველოს საჭე ჩაბარდა. სხვადასხვა დროს, ხელმძღვანელობდა ჩოხატაურისა და სამტრედიის რაიონების პოლიციას.

მიუხედავად ექსტრემალური სიტუაციებისა, რომელშიც მას ხშირად უხდება მუშაობა, სასოწარკვეთილი და დაბნეული არავის უნახავს. ყოველთვის და ყველგან იჩენს ხასიათის სიმტკიცეს, მოქმედებს სხარტად და გონივრულად. ამიტომ იყო, რომ ყველა ის რთული ოპერაცია, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობდა, როგორც წესი, სასურველი შედეგით მთავრდებოდა. არასოდეს მორიდებია საშიშ ბოროტმოქმედებთან პირისპირ შებმას, რომლის დროსაც არ გამორიცხავს გონივრულ რისკს და ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირებთან და გზასაცდენილებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ამ ნიჭმა და მისმა დიდმა გამოცდილებამ

სიცოცხლე შეუნარჩუნა, როგორც ოპერაციაში მონაწილე ბევრ თანამშრომელს, ასევე დამნაშავე პირებსაც.

ბატონი ავთო გულწრფელად უყვართ თანამშრომლებს და უყოყმანოდ ასრულებენ მის ყოველ ბრძანებას, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ყოველთვის ყველაფერი როდია წესრიგში. ზოგჯერ ხმის აწევაც არის საჭირო, გულთმისანს კი, მაგიდაზე მუშტის დარტყმა ხელმძღვანელის სისუსტედ მიაჩნია და სწორ გამოსავალს პოულობს: „ჩემს სამ შვილს ეფიცავარ, თუ ვინმეს რამე ვაპატიო“, – რომ იტყვის, მოთხოვნა კულმინაციამდეა ასული, რადგან კარგად იციან, როგორ უყვარს ბატონ გულთმისანს გოგო და ვაჟიშვილი – პოლიციის ლეიტენანტი ტატო. რძალს იგი მესამე შვილად თვლის. იციან რომ ბატონ გულთმისანს სწამს ფიცი, და სიტყვის კაცია.

გულთმისანს არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, და ეს მარტო თავმდაბლობით როდია გამოწვეული, რადგან გმირული თავგანწირვა ამ ადამიანისათვის, ჩვეულებრივი, პროფესიული მოვალეობის აღსრულებაა.

უამრავი საშური თვისება ახასიათებს. არის გულისხმიერი, კეთილი, გაჭირვებაში უფრო საიმედო თანამდგომს ვერ იპოვით.

აგონდება ათიოდე წლის წინანდელი, საკმაოდ გახმაურებული „გორაბერეჟოულის“ ოპერაცია, როცა რვაკაციანი საშიში ბანდა, ერთი კარგად ორგანიზებული გასვლით, უმსხვერპლოდ იქნა აყვანილი. ბანდიტებმა თხუთმეტამდე ყაჩაღური თავდასხმის შემთხვევა აღიარეს. ბოროტმოქმედთა აყვანის ოპერაციას ბატონი გულთმისანი ხელმძღვანელობდა. მაშინ იგი კრიმინალური პოლიციის უფროსი იყო.

– იარაღი არ უნდა გავარდეს – დაბეჯითებით თქვა ოპერაციის დაწყებამდე ბატონმა გულთმისანმა და დასძინა: „არა კაც კვლა“, ოდითგანვე ასე გვასწავლის მართლმადიდებლობა. ჩვენი მიზანია სისხლისღვრის გარეშე ჩავატაროთ ურთულესი ოპერაციაც კი, გასროლა – უკიდურეს შემთხვევაში.

სოფელი შუაგანახლება. ერთ-ერთ ოჯახში კერიასთან ჩაცუცქული მცირეწლოვანი ბავშვები მოუთმენლად შესცქერიან ცეცხლზე შედგმულ ქვაბს.

– ბებია, რძეი ჩაასხი ამ ფაფაში რძეი, გეხვეწები, – ემუდარება პატარა გოგონა ხანშიშესულ ქალს.

– მოგიკვდეს თქვენი ბებიე, სადაა შვილო რძე და სად გვყავს ძროხა, ღმერთმა შეაჩვენოს და შხამად შეერგოს ჩემი ობოლი ბაღნების ლუკმა, ვინცხამ ჩვენი საქონელი წეიყვანა – ხელაპყრობით იწყევლება შაოსანი ქალი.

რამდენიმე წელი ასეთ წყეველა-კრულვას უგზავნიდნენ შუა განახლება-ზომლეთის მცხოვრებნი ქურდ-ყაჩაღებს, რომლებმაც თითქმის მთლიანად დაცალეს მოსახლეობა რქოსანი პირუტ-ყვისაგან.

მილიციის რაიონული განყოფილების უფროსმა, გულთმისან ვასაძემ, მიიღო ინფორმაცია მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ყაჩაღთა ადგისამყოფელის შესახებ. მაშინვე საქმის კურსში ჩააყენა პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსი, ბატონი ვიქტორ გობრონიძე.

მილიციის უფროსის, გულთმისან ვასაძის კაბინეტში, უსწრაფესად დაიწყო დამნაშავეთა შეპყრობის ოპერატიული გეგმის შემუშავება. შეიქმნა სამი მებრძოლი ჯგუფი 4-4 კაცის შემადგენლობით. პირველ ჯგუფს, თავად პოლიციის უფროსი ჩაუდგა სათავეში და ყველაზე საპასუხისმგებლო – ზომლეთის ზონაში მოქმედება იკისრა. შუა განახლების ფლანგი მეორე ჯგუფს მიენდო კრიმინალური პოლიციის უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ რამაზ ბარამიძის ხელმძღვანელობით. ტოლების გადასასვლელების ჩაკეტვა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსს რამაზ ჯინჭარაძეს დაეევალა.



ტარიელ (ტატო) ვასაძე

ოპერაცია დაიწყო.

ჯგუფებს შორის თავდაპირველი მან-ძილი 2-3 კილომეტრს შეადგენდა. ავ-შირი რაციით და მობილური ტელეფო-ნებით ხორციელდებოდა. ჯგუფები, მეგ-ზურთა დახმარებით, მთელი სისწრაფით მიიწევდნენ წინ და მალე ერთმანეთის თვალსაწიერზე აღმოჩნდნენ. მაგრამ, შე-დეგი არ ჩანდა ...შემოსული ინფორმა-ციის სისწორე ეჭვის ქვეშ დგებოდა.

ოპერაციის ხელმძღვანელმა გულთ-მისან ვასაძემ ბრძანება გასცა ჯგუფიდან თითო მზვერავი გასულიყო წინა ხაზზე. ცენტრალური ჯგუფის მზვერავს მოაქვს ცნობა, რომ ხის ძირას, ცეცხლის ირგვლივ იმყოფება სამი შეიარაღებული კაცი... კიდევ ერთი ფრთხილი გადაადგილება მინიშნებული ადგილისაკენ და შეიარაღებული ბანდიტები სამიზნეზეა. მებრძოლები უფროსის ბრძანებას ელოდებიან. პოლიციის უფროსი გასროლის გარეშე „აყვანის“ გზებს ეძებს და გაისმა მოწოდება: ალყაში ხართ, დაყარეთ იარაღი!!! ყველა ერთს ფიქრობს, რა რეაგირება მოჰყ-

ვება ამ მოწოდებას. მოხდა ის, რომ ბანდიტებმა გახსნეს ავტომატური იარაღებიდან ხანგრძლივი ცეცხლი. ფეთქებადი ტყვიები ცელავდა ყველაფერს.

ოპერაციის ხელმძღვანელი გააზრებით აყოვნებს საპასუხო „ცეცხლს“. იგი უკავშირდება სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსს და უპატაკებს, რომ დამნაშავეთა ცოცხლად შეპყრობის შანსი იწურება. იმოქმედეთ სიტუაციის შესაბამისად — იყო პასუხი. კიდევ ერთი ცდა უმსხვერპლოდ გასვლისა — სამიკვე ჯგუფის ყველა მებრძოლის ერთობლივი გამაფრთხილებელი ხანგრძლივი გასროლა ჰაერში და განმეორებითი მოწოდება დანებებისაკენ. ამას მოწინააღმდეგეთა მხრიდან მოჰყვა კიდევ უფრო გამძაფრებული შემოტევა.

და ბოლო ბრძანება, პირდაპირ „ცეცხლისაკენ“! რამდენიმე წამში ოპერაცია დამთავრდა.

ადგილზე ლიკვიდირებული იქნენ ძმები მდინარაძეები, რომლებიც იძებნებოდნენ სსკ 117-ე, 236-ე მუხლებით, საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა ბანდის მესამე წევრი გვარად სვანიძე.

ბანდიტებისაგან ამოღებული იქნა 2 ავტომატი, 2 ხელყუმბარა, 3 ნაღმი.

სროლის ხმასე, მთელი მოსახლეობა მთას მოაწყდა პოლიციელთა დასახმარებლად. როცა შედეგი იხილეს, ხიზღით აღვსილები დამნაშავეთა გვამის ჩაქოლვას შეეცადნენ. ახლა პოლიციელები გამოვიდნენ მტრის „დამცველთა“ როლში. პოლიციის უფროსმა ხალხს ციეილიზებული წესის აღსრულებისკენ მოუწოდა.

ბულთმისანი მუდამ პირველი იყო იქ, სადაც ყველაზე რთული, კრიტიკული სიტუაცია იხლართებოდა. მისმა მონდომებამ, პროფესიონალიზმმა, არაერთი მძიმე კატეგორიის დანაშაულის გახსნამ, მრავალჯერ გააკვირვა კოლეგები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

მდინარე სუფსაში, ზემო სურების ტერიტორიაზე, ადგილობრივი მცხოვრებლები შემთხვევით წააწყდნენ უცნობი მამაკაცის გვამს, რომელსაც ყელსა და გულმკერდის არეში, ციეი იარაღით მიყენებული ჭრილობები ემჩნეოდა. შემთხვევის ადგილზე მთელი სოფელი შეიკრიბა. მიცვალებული ადგილობრივი მცხოვრები არ აღმოჩნდა.

ჩოხატაურის რაიონის პოლიცია იმ დღესვე შეუდგა საქმეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგენილიყო დაღუპულის ვინაობა. ეს ისედაც მეტისმეტად რთული ამოცანა, განსაკუთრებულად ძნელი ჩანდა იმ პირობებში, როცა ადგილობრივ პრესაში,

ტელევიზიასა თუ რადიოქსელში, განცხადებების გამოქვეყნება ფიზიკურად შეუძლებელი იყო ელექტროენერგიის ქრონიკული დეფიციტის გამო.

სახელდახელოდ შექმნილი ოპერატიული ჯგუფის წევრები სასწრაფოდ დაიგზავნა სუფსის ზემო წელის მიმდებარე სოფლებში, თუ დასახლებულ პუნქტებში. დასაზუსტებელი იყო, თუ ვინ გაეიდა ოჯახებიდან უკანასკნელი 4-5 დღის წინათ. (გვამის ფიზიკური მდგომარეობა სწორედ ამდენი დღის ვარაუდის უფლებას იძლეოდა), რათა შემდგომში დაზუსტებულიყო, სად შეიძლება ყოფილიყვნენ ისინი მოცემულ დროს. განსაკუთრებით ძნელი იყო ამის დადგენა საფხულის საძოვრებზე ხანგრძლივი „მიყლინებით" წასული მომთაბარე მწყემსების მიმართ.

... და დაიძრა ზემოაღნიშნული კატეგორიის პიროვნებათა ჭირისუფალი სალსი რაიონული საავადმყოფოს მორგისაკენ.

მეტისმეტად მძიმე ასატანი, საეჭვო პერსპექტივიანი საქმე იყო ყველაფერი ეს. მოდიოდნენ, ნახულობდნენ, თავისიანად ვერ სცნობდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ რაიონის თითქმის მთელი მოსახლეობა ჩაერთო ფაქტიურად ამ ოდიოზურ პროცესში. მონდომებამ მაინც გაიტანა თავისი. ბოლოს და ბოლოს, მდინარეში ნაპოვნი ადამიანი აღმოჩნდა ოთარ ახალაძე, სოფ. კოხნარის მკვიდრი, ექვსი შვილის მამა, ეკონომიურად არც ისე უზრუნველყოფილი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ საძოვარზე გაიდენა ხარები და ცხენი.

და აი, ამ მომენტიდან დაიწყო ნამდვილი ძიება. იდგა 2000 წლის ივნისი. პოლიციის უფროსის, გულთმისან ვასაძის უშუალო ხელმძღვანელობით, ძიებაში ჩაება ჯგუფი მაიორ რამაზ ბარამიძის, უფროსი ლეიტენანტის მამუკა ბარამიძისა და კაპიტან ვეფხვია ვაჩეიშვილის შემადგენლობით.

აქვე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისევე, როგორც გვამის ამოცნობისას, ძიების პროცესშიაც არა თუ განყოფილების ყველა მუშაკი, რეგიონის თითქმის მთელი მოსახლეობა იყო ჩაბმული.

შორს წაგვიყვანდა თუნდაც ფრაგმენტული ჩამოთვლა, იმ მრავალისმომცველი და საშინლად დამღლელი სამძებრო პროცესებისა, რომლებიც ნებისმიერი დიდი დეტექტივის ბიოგრაფიას დაამშვენებდა. ვიტყვით მხოლოდ ერთს: სულ მოკლე დროში, დაიკითხა ასეულობით ადამიანი.

მკვლელები აღმოჩნდნენ ლანჩხუთელი მურთაზ არველაძე და ვანელი ომარ თვალაბეიშვილი, რომლებმაც ერთი ჯაგლაგი ცხენის გულისთვის ჩაიდინეს აღნიშნული საზარელი დანაშაული. როგორც ძიებით დადასტურდა, ბოროტმოქმედებმა ჯერ ცხენის

წართმევა მოუნდომეს ოთარ ახალაძეს, მაგრამ როცა პრინციპულ წინააღმდეგობას წააწყდნენ, არაფრად ჩააგდეს მოყვასისადმი ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლის ხელყოფის მომაკვდინებელი ცოდვა („არა კაც ჰკლა!"); მრავალსულიანი, წყრილშეილიანი ოჯახის უმარჩენალოდ დატოვება; კანონი, სამართალი, ადამიანობა და...

სხვადან უკვე დიდი ხანია „რაინდები", სადაც ჯერ არს. მაგრამ არ იფიქროთ სინანულის ან უხერხულობის გრძნობა აწუხებდეს რომელიმეს. ისე მშვიდად და დეტალურად ყვებიან ჩადენილი დანაშაულის პერიპეტიებს, გეგონებათ რაიმე საქვეყნო საქმის თაობაზე ჰქონდეთ ლაპარაკი.

ფათერაკებით სავსე ცხოვრებაზე საუბრისას იკვეთება ბატონ გულთმისანის პიროვნება. მასთან მუშაობა, პროფესიონალურად აყალიბებს ადამიანს. აკი ვთქვი, იგი შესაშური მონდომებით, საღი აზროვნებით, პატრიოტიზმით, ქართველობით გამორჩეული ადამიანია. მას თავისი შეხედულებები აქვს დროებით დაკარგული ტერიტორიების თემასთან დაკავშირებითაც. ყველა ნიუანსი გათვალილი აქვს. სჯერა, რომ ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალს დაეიბრუნებთ. მისი ინტელექტი, პროფესიონალიზმი და რაც მთავარია, ქვეყნისა და ხალხის უღალატო სამსახურისადმი ერთგულება, იმის გარანტიაა, რომ პოლიციის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდება. გულთმისანის მსგავსი პროფესიონალები გვიმრავლოს ღმერთმა.

მართლაც, რომ პოლიციისათვის დაბადებული კაცია გულთმისან ვასაძე. ეს ღრმად იგრძნობა მასთან ურთიერთობაში. მიუხედავად ასაკისა, ის ჩქარული რიტმით მუშაობს, კეთილსინდისიერად ასრულებს ზემდგომი ორგანოების დავალებას. დღე და ღამეს ასწორებს კანონიერებისა და მართლწესრიგის სამსახურში.

მოპოვებულ წარმატებათა საიდუმლოების ახსნა, პოლიციის უფროსს გულთმისან ვასაძეს ვთხოვე. მან განაცხადა: შედეგებს კადრები განაპირობებს. საბედნიეროდ, ჩვენი კადრების უმრავლესობაზე დადებითის მეტი არაფერი მეთქმის. ახალგაზრდული კოლექტივია, მისი წევრების 80%-ზე მეტი 3-4 წლის სტაჟის მქონეა, რაც გამოცდილების მხრივ, ერთგვარად დამაფიქრებელია, მაგრამ იმდენად დიდია მათი მონდომება, რომ ჩვენი პოლიციის ახლო მომავალი უფრო საიმედოდ მეჩვენება. ამის გარანტი ისიც არის, რომ შემადგენლობაში გვყავს ნაწრთობი მუშაკები, რომლებიც თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას უანგარიოდ გადასცემენ ახალგაზრდა თანამშრომლებს. ამას გარდა, ცალკეული სამსახურების მიხედვით, შემოღებულია სწავლების ფორმები, რომლებ-

შიც ხდება ზემდგომი ორგანოების ბრძანებების, სადირექტიო დოკუმენტების გაცნობა-შესწავლა. შემადგენლობა გადის ტაქტიკურ მომზადებას.

კიდევ ერთ საკითხზე – თუ რას შეიცავდა მისი უძრავ-მოძრავი ქონება – გავამახვილე ყურადღება. უძრავი ქონებიდან, როგორც ავთომ აღნიშნა, გააჩნია ჩვეულებრივი ოდა-სახლი და კარმიდამო, სადაც მისი მშობლები ცხოვრობენ. აქ კი, პოლიციის შენობის გვერდით, აქვს სამოთახიანი ბინა. – "მოძრავი ქონებიდან" გამაჩნია მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი – ჩვეული იუმორით მოჭრა პოლიციის უფროსმა.

გულთმისან ვასაძის ვაჟკაცმა ტატო ვასაძემ დაამთავრა პოლიციის აკადემია, მამის კვალს გაჰყვა, შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად მუშაობს. როგორც ამბობენ, პოლიციური მოვალეობისადმი სიყვარულში მამამისს ეჯიბრება.

მე ერთ რამეს დაკქენ: თუ გულთმისან ვასაძე ეკონომიურად მდიდარ კაცად არ იწოდება, სამწუხარო არაფერია. სამაგიეროდ მას გააჩნია აურაცხელი სულიერი სიმდიდრე – უსაზღვრო სიყვარული სამსახურში, საზოგადოებაში, ოჯახში და თუ ვინმეს ხალხური თქმისა არ სჯერა, ცნობილი მოაზროვნის სიტყვებს მოვაგონებ: „საქმის სიყვარული, თავაზიანობა ყველაზე ძვირფასი, პატიოსანი თვალია", რომლის საუკეთესო მაგალითს იძლევა ჩოხატაურის პოლიციის უფროსი, გულთმისან ვასაძე. სიყვარული და თანადგომა, საქმის დროს პრინციპული მომთხოვნელობა არის სწორედ ჩოხატაურელ პოლიციელთა წარმატების ამჯერად გამეღაენებული საიდუმლო.

და ერთიც, რაც ასევე ხაზგასასმელია: თქვენ ისეთი სახელი დაგანათლეს, სხვანაირი ცხოვრებით ვეღარ იცხოვრებდით, ბატონო გულთმისან. თქვენ ხომ თქვენი გულთმისნობით გრძნობდით, თქვენი გულთმისნობით აგნებდით და ხსნიდით კრიმინალების შაებნელ საქმეებს, ყველა ცხრაკლიტულს თქვენი მისანი გულის წყალობით აღებდით. ამ მისანი გულის წყალობით მოვიდა თქვენთან ასეთი დიდი აღიარება და შეჭირვებული ხალხის სიყვარული, რაც მათთვის გაწეულმა, თავგანწირულმა ბრძოლამ მოგიტანათ და არა დაგროვილმა ქონებამ.

ხალხის სიყვარული, შეჭირვებული ადამიანების იმედად ყოფნა და ქვეყნის სამსახურში დგომა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ბატონო გულთმისან!

ლაშა ბაკურაძე

ოპერმუშაკის პროფესია მრავალი ისეთი უცნობი ამოცანის ამოხსნას მოითხოვს, რომლებიც ოპერატიულად და რაც მთავარია, შეუცდომლად უნდა გადაწყდეს. აღნიშნული პრინციპები კარგად აქვს შეგნებული პოლიციის ახალგაზრდა მუშაკს, პოლიციის კაპიტანს, ლაშა ბაკურაძეს.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ამ დაუხარელმა ჭაბუკმა.

დაიბადა 1978 წლის 28 თებერვალს, ქ. მახარაძეში. დაამთავრა სოფელ ოზურგეთის საშუალო სკოლა, შემდეგ კი – ოზურგეთის ინდუსტრიალ-პედაგოგიური კოლეჯი და ქ. თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ერთი პერიოდი მსახურობდა შინაგან ჯარში. 2001-2004 წლებში მუშაობდა ოზურგეთის რაიონული განყოფილების ბახვის ქ/განყოფილების ინსპექტორად, შემდეგ – უფროს ინსპექტორად. იყო ამავე ქ/განყოფილების უფროსი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში, ურეკის განყოფილებაში, ოზურგეთის შს რაიგანყოფილებაში უფროს ინსპექტორ-გამომძიებლად, განყოფილების უფროსის მოადგილედ, დეტექტივების განყოფილების უფროსად. პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო 1998 წელს გალის რაიონში მიმდინარე საომარ ოპერაციებში. ორივე ფეხში დაჭრეს ტყვიაფრქვევიდან გასროლის შედეგად. დაჭრილის გადმოყვანა მოახერხეს გენერალ გ. გულუას სახელობის სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა. თითქმის 3 თვე დაჰყო საავადმყოფოში.

2000 წლის 26 ივლისს, ქ. ოზურგეთში, ერთ-ერთ მაღაზიაში 4 ნიღბოსანი შეიჭრა, შენობაში მყოფ ნიკოლოს და დალი თაეაძეებს, რომლებიც ის-ის იყო მაღაზიის დაკეტვას აპირებდნენ, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის მუქარით ფულისა და ავტომანქანის წართმევა დაუპირეს როცა დამხვდურთაგან აქტიურ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უმოწყალოდ სცემეს და ვინ იცის კიდევ რა ბოროტებას ჩაიდენდნენ, რომ მამაკაცის ყვირილზე და ქალის შეკივლებაზე მაღაზიასთან ხალხს არ მოეყარა თავი. მერე საიდანღაც სროლის ხმა გაისმა და ყაჩაღები მიიმალნენ.

29 სექტემბერს ყაჩაღებმა ოზურგეთელებს კიდევ შეახსენეს თავი. ლესელიძის ქუჩაზე, იუსა მამულაშვილის ოჯახში ამჯერად 6 ნიღბიანი შეიჭრა. ავტომატური იარაღითა და პისტოლეტებით შეიარაღებულებმა სახლის ბინადარნი სადისტურად აწამეს, სხვადასხვა საოჯახო ნივთები და ავტომანქანა "ვაზ 2107" გაიტაცეს და გაუჩინარდნენ. 8 ოქტომბერს კი, ოზურგეთის რაიონის სოფ. ოზურგეთში, ლია ტაბაღუას ოჯახს 3 ბოროტმოქმედი პირი „ეწვია". მომსვლელებმა ამჯერად ცეცხლსასროლ და ცივ იარაღთან (ხიშტ-დანასთან) ერთად, გაეარეარებული უთოც ჩართეს და დამსდურები არაადამიანურად აწამეს.

11 ოქტომბერს იმავე რაიონში ბოროტმოქმედები შეეცადნენ სანდრო ჩხაიძის ოჯახის დაყაჩაღებას. მაგრამ ოჯახის წევრების მხრიდან ძალზე აქტიურ წინააღმდეგობას წააწყდნენ და მიიმალნენ. ორი დღის შემდეგ ქ. ოზურგეთში ცისანა ნინიძის ოჯახი იქნა შერჩეული, სადაც სამმა ყაჩაღმა ავტომატის, ხიშტ-დანისა და უთოს გამოყენებით, ავტომანქანა „ეოლეო", მობილური ტელეფონი და ოქროულობა გააყოლეს ხელს.

როგორც ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო და ღამის „გმირებმაც" კვლავ შესამჩნევად გაზარდეს თავდასხმის ტემპი. ამჯერად, უკვე 15 ოქტომბერს, „სამასკარადოდ" გამოწყობილი სტუმრები, სოფელ ჯუმათში, მისეულ ეექვაბიშვილის „გასაბედნიერებლად" მიბრძანდნენ. მაგრამ, რადგანაც დიდი ვაუკაცობით არ გამოირჩეოდნენ (ვაუკაცი ხომ ასეთ არაკაცობას არ ჩაიდენს), წააწყდნენ რა აქტიურ წინააღმდეგობას, მიიმალნენ...

ერთი სიტყვით, ჩატარებული ღამის სერიალები შინაარსით, სიუჟეტით, სისასტიკით, არაადამიანური ციინიზმითა და ბოროტი დაუნდობლობით ტყუპის ცალიკეთ ჰგავდნენ ერთმანეთს და რაიონის მცხოვრებთა შორის მასობრივი შიშის ფსიქოზს აღვიძებდნენ.

როგორც ასეთ შემთხვევებს ხშირად მოსდევს ხოლმე, დაიწყო მითქმა-მოთქმა, გამოითქვა ვარაუდი, ზოგჯერ სრულიად აბსურდულიც კი. მაგრამ, კონკრეტულად ცხადია ვერავინ ვერაფერი გააკეთა. საქმე კი მეტისმეტად სერიოზულ სახეს იღებდა... და ჩვენს მოქალაქეებს არაერთხელ აღმოხდებოდათ ლოგიკური საკვედური: სად არის პოლიცია! ხომ არ მეორდება არცთუ ისე შორეული წარსული?

პოლიცია კი, როგორც ყოველთვის, თავის ადგილზე იდგა. რეგიონის პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა მობილიზებული იყო. ასეთი საქმეები ან შემთხვევის წყალობით უნდა გაიხსნას, ან კიდევ ხანგრძლივი დროის მანძილზე გათვლილ, მისხალ-მისხალ გაანგარიშებულ მიდგომას მოითხოვს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში, მთელი ამ დროის განმავლობაში, ცხადია, ოსურგეთის შს სისხლის სამართლის სამძებრო ქ/განყოფილების ბიჭები იყვნენ. ლაშა ბაკურაძე და მისი მეგობრები უმკაცრესი გამოცდის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ ორადორი გზა ჰქონდათ დარჩენილი: ან უნდა დაემტკიცებინათ, რომ ნამდვილი პროფესიონალები არიან, ან უბრალოდ დაეხურათ ქუდი და სახლში წასულიყვნენ. სხვა ალტერნატივა არ გააჩნდათ. ოპერმუშაკები საქმეს შეუდგნენ. საქმე კი მართლაც არაორდინალური რომ იყო, ეს ზემოთ აღწერილი ეპიზოდებიდანაც ნათლად ჩანს. ყველა და ყველაფერი, რაც ჩატარებულ ყაჩაღობებს ეხებოდა (ან თითქოს არ ეხებოდა), თვით ყველაზე უბრალო ნიუანსიც კი, ძალზედ მნიშვნელოვანი იყო და სერიოზულ ანალიზს საჭიროებდა.

ყველაზე მთავარი კვალზე გასვლა გახლდათ, როგორმე ხელთ უნდა ეგდოთ, თუნდაც ყველაზე უსუსური, მაგრამ რაღაცით მაინც ამ საქმესთან დაკავშირებული ძაფი.

ლაშამ და მისმა მეგობრებმა მთელი რეგიონი აიყვანეს უჩინარ კონტროლზე. ინტენსიურად იმუშავა ინფორმაციის მოძიება-მოპოვების რთულმა და მრავალისმომცველმა ქსელმა. მდგომარეობას გასაკუთრებით აძნელებდა ის გარემოება, რომ ყველაფერი მოკლე დროში უნდა მოგვარებულიყო, რათა გეომეტრიული პროგრესიით არ გაზრდილიყო „დაუთოვებულთა“, ნაცემთა, დასახიჩრებულთა და საერთოდ ფიზიკურ – მორალურად შეურაცხყოფილთა რიცხვი. კარგა ხანს საქმე არცთუ საიმედო ჩანდა. იყო მომენტები, როცა ქ/განყოფილებაში მიაჩნდათ, რომ არსაიდან არავითარი პერსპექტივა არ ისახებოდა. მაგრამ, იმავდროულად, იყო რწმენა და იმედი იმისა, რომ მონდომება, სწრაფვა და რუდუნება თავის შედეგს გამოიღებდა... და გამოიღო კიდეც. ლაშამ თავისი მეგობრების თანადგომით (განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქვეგანყოფილების უფროსის ბატონ კახა კუტუბიძის მონდომება და შემართება), გამოცდა ხუთიანზე ჩააბარა. თუ როგორ განვითარდა მოვლენები ეს კარგად ახსოვს პოლიციის კაპიტანს ლაშა ბაკურაძეს.

პირველი ყურადსაღები ინფორმაცია, რითაც ფაქტიურად კონკრეტული მოქმედება დაიწყო, ერთი შეხედვით თითქმის უმნიშვნელო დეტალი – იმ ავტომანქანის მიახლოებითი ფერი გახლდათ, რომლითაც ყაჩაღები გადაადგილდებოდნენ ხოლმე. მერე ისიც დაზუსტდა, რომ ავტომანქანა ჟიგულის მარკისა იყო. სამხილი კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა, როცა დადგინდა, რომ ყაჩაღები თვალის ასახვევად „თავიანთ“ ტრანსპორტზე ტაქსის ნიშანს ამაგრებდნენ.

თუმცა, აღნიშნულ ინფორმაციებს, ბუნდოვანი მხარეებიც მრავლად გააჩნდათ. სახელდობრ, დაუდგენელი იყო „ჟიგულის" კონკრეტული მარკა („01" თუ „011"). არც ის გახლდათ დასუსტებული, ყაჩაღები ტრანსპორტის სხვა რომელ საშუალებას იყენებდნენ. მათი საკარაუდო მარშუტების თაობაზე ხომ სრული ვაკუუმი სუფევდა. მაგრამ, მოსახდენი მაინც მოხდა.

16 ოქტომბერს, ყაჩაღობის ფაქტიურად ბოლო შემთხვევის მეორე დღეს, მდინარე სუფსის ხიდზე, ჯუმათის მხრიდან „ჯიგულის" მარკის ავტომანქანა შემოვიდა. მძღოლიცა და ბავშვებიც ავტომანქანაში ხაზგასმული სიმშვიდით ისხდნენ და საკმაოდ გრძელი ხიდის თითქმის მთელი მონაკვეთი ნორმით გათვალისწინებული ნელი სიჩქარით გამოიარეს. ის იყო ავტომანქანა „ჟიგულს" ხიდი უნდა გადაევლო, რომ ბაილეთის ჩაის ფაბრიკის მხრიდან, თითქოს შემთხვევით, მისკენ შემხვედრი მიმართულებით, მსუბუქი ავტომანქანა გაემართა, რომელშიაც მხოლოდ მძღოლი იჯდა. გამოუცდელი თვალიც აშკარად გათვლიდა, რომ მანქანები ერთმანეთს იმ მომენტში შეხვდებოდნენ და შეუვლიდნენ გვერდს, როცა „ჟიგულს" ხიდი ის-ის იყო, ახლად გადმოკვლილი ექნებოდა.

ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ შემხვედრმა მანქანამ „ჟიგულს" გვერდი კი არ აუქცია და ხიდზე კი არ შევიდა, უეცრად საჭე მკვეთრად მარცხნივ შებრუნა და გზა მთლიანად ჩაკეტა. „ჟიგულში" მსხდომნი ალბათ იმის გაცნობიერებასაც ვერ მოასწრებდნენ, თუ რა ხდებოდა, რომ ხიდის ორივე მხრიდან, მოაჯირს ამოფარებული, ავტომატმომარჯვებული ორ-ორი პოლიციელი გადმოხტა, მკვეთრად დამუხრუჭებულ „ჟიგულს" მიაშურეს, ოთხივე კარი ერთდროულად გამოაღეს და „მგზავრებს" გადმოსვლა უბრძანეს.

ოპერაცია ისე სწრაფად და მოულოდნელად ჩატარდა, რომ დაკავებული ეკიპაჟის წევრები უკიდურესი განცვიფრებისაგან გაყვეყჩებულები, ერთმანეთს უყურებდნენ მხოლოდ. როცა პოლიციამ მკაცრი ბრძანება კიდევ ერთხელ გაიმეორა, „მგზავრები" მანქანიდან ზანტად გადმოვიდნენ და ხელები ზევით აიშვირეს.

ეს იყო და ეს. დანარჩენი უბრალოდ „ტექნიკის" საქმე გახლდათ. მაშ ასე: მთავარი საქმე უკვე გაკეთებულია, ყაჩაღთა ჯგუფის ხელმძღვანელი ანთაძე, მისი წევრები: ართილაევა, შანიძე, ბილიხოძე, ჩოჩიშვილი, აბულაძე, ჩხარტიშვილი და სვანიძე, თითქმის მთელი შემადგენლობით, აყვანილია. შემდგომში გატარებული ოპერტიული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაკავებულ იქნა დაჯგუფების სხვა წევრებიც.

კიდევ ერთი ოპერაცია გაიხსენა ლაშამ: გურიის რეგიონში მოქმედი ერთ-ერთი ყაჩაღური დაჯგუფების ხელმძღვანელს გვარად

ცხომელიძეს, მეტსახელად „ხიპიშას“, რომელიც მხილებული იყო ათეულობით ეაჩაღური თაყდასხმის ჩადენაში, დაგეგმილი ჰქონდა პოლიციის მუშაკთა ლიკვიდაცია. ამ მიზნით მან სოფელ მულექედურში, გადასასვლელი ხიდის ქვეშ, ორჯერ განალაგა თავისი დაჯგუფების წევრები, რომლებიც კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულნი. მათ ოპერაციის ჩატარება დაგეგმილი ჰქონდათ მაშინ, როდესაც პოლიციის თანამშრომლები უკან ბრუნდებოდნენ და უნდა გაეელოთ აღნიშნული ხიდი. ლაშა ისსენებს: “ არ ვიცი წინათგრძნობა იყო თუ რაიმე სხვა, ორიეეჯერ ვარჩიეთ სხვა გზით ოზურგეთში დაბრუნება. ფაქტიურად ორჯერ გადავრჩით. ჩასაფრებისა და ჩვენი ლიკვიდაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ჩვენთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც დავაკავეთ აღნიშნული დაჯგუფების ერთერთი წევრი.

მრავალი ასეთი და სხვა ფაქტის მოყვანა შეიძლება ლაშა ბაკურაძის მუშაობის პრაქტიკიდან. მას შს ორგანოებში მუშაობის პერიოდში, მიღებული აქვს მრავალი მადლობა და საპატიო სიგელი. მოწინავე მუშაკი, რამდენიმე თვის უკან, სამმართველოს უფროსის მოადგილედ დააწინაურეს. დაუსარელი, ენერგიული, კეთილსინდისიერი – ასე ახასიათებენ გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში ლაშა ბაკურაძეს, რომელიც ისე მუშაობს, როგორც გამოცდილ, კვალიფიციურ ოპერატიულ მუშაკს შეეფერის. ლაშა ბაკურაძე ხშირად იტყვის ხოლმე: „მე მიყვები დიდი ჩეკისტის ტარიელ სოფერიას გზას.“

იგი რწმენით, მხურვალე გულით დგას მართლწესრიგის სადარაჯოზე. მის მახვილ თვალს არაფერი გამოეპარება.

წინ დიდი გზაა... ახალი საქმეებია; გვჯერა, რომ პრინციპული მებრძოლი, შეუპოვარი ჩეკისტი სასახელოდ გაიელის ამ გზას.

ლაშარელა ჩხაიძე

შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის სტაჟი – ხუთი წელი და ხუთი თვე.

– ასეთი მცირე მონაკვეთი მუშაობისა?

შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს უფროსი წერილისათვის კანდიდატურას გვთავაზობს.

– ლაშარელა ჩხაიძე. ლანჩხუთის შს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე. – გაეცნობი და... სიტყვას აღარ ამთავრებს ბესარიონ ტაბიძე.

ახალბედა მუშაკი! რა გამოცდილება უნდა ჰქონდეს, ან რით უნდა დაგვაინტერესოს?

ეგებ პირველმა შეკითხვამ განსაზღვროს ჩვენი საუბრის სიღრმე. უნდა ვკითხო ვინ იყო ის, ვისი დანაშაულის გამოც მოუხდა პირველი ძიება?

– სამწუხაროდ ქალი ყოფილა და თანაც 66 წლისა.

ვიგრძენი, ხმა გაებზარა. ახალბედობის შედეგია თუ ზედმეტად ემოციურია? მგონი – ორთავე ერთად. თანაც ქალი და როგორი ასაკისა. ბებია და შვილიშვილად წარმოვიდგინე განსასჯელი და განმსჯელი. მოხუც ქალს ცრემლები ჩამოსდის, ეს რა დამემართაო – მოსთქვამს, რამდენ ვერსიას იშველიებს, რომ თავისი მოქმედება გაამართლოს. მაგრამ, კანონი კანონია, მუხლი სწორად უნდა მიუყენოს. არადა, დანაშაული ითვალისწინებს ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას. საკალდებულო აქციზური მარკის გარეშე საქონლის რეალიზაცია, თანაც დიდი ოდენობით.

რა ხდება შემდეგ? გამომძიებელი საქმეს ამთავრებს. სამმართველოს უფროსი ეცნობა მას. ყველაფერი სანიმუშოდაა შესრულებული. პროკურატურა საქმეს მსველელობას აძლევს და სასამართლო ამბობს საბოლოო სიტყვას.

სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ თავისი უფლებები გამოიყენა. ბევრი რამ იყო გასათვალისწინებელი. პატიმარს მიუსაჯეს ხუთი წლით პირობითი სასჯელი. თითქოს მძიმე ტვირთისაგან გავთავისუფლდი. ზოგჯერ მოდის ჩემთან, „ჩემო

შეილოო“ მეძახის. ვიცი მისი ოჯახური პირობები. სიბრალული და სინანულიც ამიტომ მომეძალა.

ტკივილიანი ხმით ლაპარაკობს ლაშარელა, არადა, როგორ შეიძლება დაამთავრო საქმე, საქალალდეში მოაქციო პიროვნება თავისი წარსულით, საქმით, ფიქრით და შეებით ამოისუნთქო. კი, სამსახურებრივად ეს კარგია. ძიებისას ხომ დროის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თუ არ გაგყვა დამნაშავეზე ფიქრი, ეს ნიშნავს, რომ გულში ყინული ჩაგისახლდა, და ეს მაშინ, როცა უნდა მოქმედებდე ცივი გონებით და ცხელი გულით.

რა დაავიწყებს ლაშარელას, გამომძიებლად დანიშვნის წინ, მაგიდა გაუშალეს მეგობრებმა. მომავლის გზა დაულოცეს. მათგან ერთ-ერთმა, პროფესიით ქირურგმა, ხუმრობით უთხრა: ბატონო გამომძიებელო, შეეცადე დამნაშავეში მხოლოდ შავი წერტილები არ დაინახო.

როცა დამნაშავესთან პირისპირ ზის, ხშირად ესმის ეს ხმა. ეგებ ამან შეაძლებინა დაენახა ბარამიძეში მოსიყვარულე მამა, მეუღლე. მთვრალმა ქურდობა ჩაიდინა საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე. დანაშაული აღიარა და თანაც როგორი სინანულით. სიყვარულით წარმოსთქვამდა ცოლ-შვილის სახელს. გამომძიებელს წერილიც დაუტოვა მეუღლისათვის გადასაცემად.

ძმები მასხულიების შესახებაც ტკივილით ლაპარაკობს. განსაკუთრებით უმცროს ძმას გამოჰყოფს. თითქოს არაფერი ჰქონდათ ამ ბიჭებს გზის ასაცდენი. ჰყავთ პატიოსანი, მშრომელი მშობლები, მაინც მიიტაცა ქუჩამ უფროსი, შემდეგ მან უმცროსი ძმაც აიყოლია და... რაიონის მშრომელებს რა დააავიწყებთ... სამარშრუტო ავტობუსის დაყაჩაღების ფაქტს. ამ ბიჭების მოქმედებით რამდენს გაუჩნდა საწუხარი.

დაამთავრებს საქმეს და მაინც არ თავისუფლდება დამნაშავეზე ფიქრისაგან. ერთი საქმე დაწყებულიც არაა, მეორე, მესამე რომ ეწერება. ისევ თავიდან იწყება ყველაფერი: როგორი კატეგორიის საქმეა, როგორი პიროვნება შესვდა ამჟამად, ჰქონდა თუ არა მსგავსი საქმე? ასე ახდენს პრაქტიკის განზოგადებას, და

რამდენი ვინმეს კმაყოფილია ლაშარელა. პლატონ ფოფხაძეს, ლანჩხუთის №2 საშუალო სკოლის დირექტორს იხსენებს უპირველესად. აკი, ეუბნებოდა, შენ იმდენად გიყვარს სიმართლე, მარტო იურისტობისთვის მემეტებიო.

ლანჩხუთის რაიონის პროკურორს შოთა ჩხაიძეს დრო ვერ წაშლის მეხსიერებიდან. მასთან პრაქტიკას გადიოდა ლაშარელა. ბევრი სასიკეთო შესძინა ამ ადამიანმა.

— ჩვენი სამმართველო კარგი ბიჭებით არის დაკომპლექტებული. მათი დიდი იმედი მაქვს, ბევრჯერ

ჩაგვიტარებია რთული ოპერაციები: 2006 წლის აპრილის თვეში, განყოფილებაში შემოსული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ლაშარელამ დაიწყო წინასწარი გამოძიება ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე. საქმის გახსნის, რეალიზატორების გამოვლენისა და დაკავების პროცესში, გამომძიებელთან ერთად, ჩაერთვნენ ოპერატიული სამსახურის მუშაკები. მოხდა შემოსული ინფორმაციების შეჯერება. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დადგენილი იქნა ის ავტომანქანა, რითაც მოძრაობდნენ ნარკორეალიზატორები. სოფელ ჯაპანაში მოხდა აღნიშნული ავტომანქანის შენერება და მასში მყოფ ქალბატონს, ჩხრეკის შედეგად, აღმოაჩნდა 22 ჩეკი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც პოლიციის მუშაკებმა ამოიღეს ფეხსაცმლის ქუსლში სპეციალურად მოწყობილ სამალავიდან. თავდაპირველად ქალბატონთან მყოფი მამაკაცი უარყოფდა დანაშაულში მონაწილეობას და თავს ტაქსის მძღოლად ასაღებდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მათ შორის ახლო „მეგობრული“ კავშირი დაადგინეს და მამაკაცის სახელზე გაცემული რამდენიმე დოკუმენტი ქალბატონის საცხოვრებელ სახლში იპოვეს, ორივე იძულებული გახდა მთლიანად ეღიარებინათ ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტი. სასამართლომ მათ 18-18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კიდევ ერთი ეპიზოდი გაიხსენა პოლიციის კაპიტანმა ლაშარელა ჩხაიძემ:

2007 წლის აგვისტოს თვეში, სოფ. ჭანჭათში აიყვანეს პისტოლეტებითა და გადაჭრილი თოფით ე.წ. „აბრეშით“ შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა ხუთკაციანი ჯგუფი, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა ჩოხატაურის რაიონში სხვადასხვა სახის მძიმე დანაშაულის ჩადენა. შემთხვევის ადგილზე მისულმა გურიის სამსარეო მთავარი სამმართველოს უფროსის (მაშინდელმა და ამჟამინდელმა) მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა ელგუჯა ჩაელეშვილმა, ძალიან მოუწონა ოპერაციის მაღალ დონეზე და უნაკლოდ ჩატარება. რეგიონის სხვა სამმართველოების თანამშრომლებს მოუწოდა მიებაძათ ლანჩხუთის რაიონის პოლიციის მუშაკებისათვის. აღნიშნული დიდი სტიმული გამოდგა როგორც ლაშარელას, ასევე მისი კოლეგების შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ლაშარელას არასოდეს დააკვიწყდება ერთი უჩვეულო, მაგრამ საინტერესო ოპერაცია: ლანჩხუთის შს რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილებაში მივიდა შეტყობინება – ხონის კოლონიიდან გაქცეულ პატიმართაგან ერთი ლანჩხუთში, რუსთაველის ქუჩაზე, ერთ-ერთ ბინაში იმალებაო. სასწრაფოდ გამოიყო ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც თავად ლაშარელა

ხელმძღვანელობდა. შეისწავლეს სახლის მიმდებარე ტერიტორია, მოსაზღვრე სახლები, საით გადიოდა ფანჯრები... ერთი სიტყვით ყველა დეტალი გათვლილი ჰქონდათ. მოეწყო ჩასაფრება. სახელ-დახელოდ შედგა გეგმა. მთავარი კარით შესვლა გამორიცხეს, შეიძლება გართულება მოჰყოლოდა. ბინაში ეზოს მხრიდან შეიძლებოდა შესვლა რკინის დახვეული კიბით. ლაშარელა უჩუმრად აუყვა ამ კიბეს, მეორე სართულის ლოჯია შემინული იყო. ლაშარელამ მოსინჯა მინა, შეიძლებოდა მისი ამოღება და ბინაში შელწევა. გია (ბომბორა) ჭანტურია იხმო. ბრტყელტუჩა ამომიტანეო სთხოვა. მინები გარეთა მხრიდან იყო დამაგრებული ლურსმნებით. ცივი ღამე იყო... ყინავდა. საშინლად ისუსხებოდა ქარი. სწორედ ამ ქარისა და საშინელი ყინვის გამო გაუთვალის-წინებელი რამ მოხდა. ზედმეტი სიფრთხილისა თუ გაყინული თითების ბრალი იყო, ლაშარელას ბრტყელტუჩა ხელიდან გაუ-სხლტა და რკინის კიბეზე საშინელი გრიალით ჩახრიალდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა – ღამეულ სიჩუმეში თითქოს რაღაც აფეთქდაო. რა ხდება ამ დროს ლაშარელას გონებაში? დახანება კატასტროფის ტოლფასი იყო. წამის მეათასედში უნდა გადაწყვეტილიყო შემდგომი მოქმედების მონახა'სი.

წიხლი ისეთი სიძლიერით მიარტყა ლოჯიის კარს, ჩარჩოიანად შეიტანა ოთახის სიღრმეში და თვითონაც შეჰყვა. როგორც მერე გაიგო, რამდენიმე ქვევით მყოფმა თანამშრომელმა, დამფრთხალმა მიატოვა იქაურობა. მას კი, იმ წუთს, მხოლოდ "ბომბორა" გაჰყვა უკან... როცა დამნაშავეს ხელბორკილები დაადეს, იგი ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილის ბურანში იყო.

– რა ხდება? – იკითხა მან შიშით.

– არაფერი! – უთხრა მშვიდად ლაშარელამ. – უბრალოდ კარები გვინდა შეგიცვალოთ.

ეს იყო და ეს.

ლაშარელას ახსოვდა მისი გაუპარსავი სახე და ორი ცეცხლოვანი ბუდიდან ამოსროლილი მზერა. გაურკვეველობა, მუდარა და შიში იკითხებოდა იმ გამოხედვაში. რამდენი ასეთი სახე უნახავს ლაშარელას. ასე გალიიდან გაქცეული მხეცი იყურება, რომელსაც უადგილო ადგილას მიუსწრეს და არ უნდა უკან დაბრუნება.

ბატონი ლაშარელა თვლის, რომ სწორად აირჩია პროფესია და კმაყოფილია იმით, რომ თავის მეგობრებთან: გიგა ჯაფარიძესთან, ლევან, მალხაზ, კახა და ინგა ჩხაიძეებთან ერთად მოკრძალებული წვლილი შეაქვს რაიონში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში. ჩემი, როგორც პოლიციელის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშეს იმ პირებმა, რომელთა

ხელმძღვანელობით მიხდებოდა და დღესაც მიხდება მუშაობა. რომ არა ბატონების გელა გიგინეიშვილის, ბადრი ტრაპაიძისა და ბესიკ ტაბიძის რჩევა-დარიგებები, ძალიან გამიჭირდებოდა პოლიციაში მუშაობა და მითუმეტეს სამსახურებრივი წინსვლა.

მართლაცდა, როდესაც საუბარია სამსახურებრივ წინსვლაზე, უნდა აღინიშნოს, რომ 27 წლის ახალგაზრდისათვის რაიონის პოლიციაში მე-2 კაცის სტატუსი, ვფიქრობ პატარა თანამდებობა ნამდვილად არ არის და ამას ბატონმა ლაშარელამ მიაღწია პოლიციაში მუშაობის დაწყებიდან 5 წლის თავზე. თუმცა მანამდე იყო პატრულ-ინსპექტორი, გამომძიებელი, განყოფილების უფროსი.

უპირისპირდება დამნაშავეთა სამყაროს ჯერჯერობით შედარებით გამოუცდელი, მაგრამ მონდომებული ახალგაზრდა პოლიციელი, უპირისპირდება კანონის სიწმინდით, რწმენით. საინტერესოა მუშაობის არეალი, რთულიც, დამქანცველიც, მაგრამ არამოსაბეზრებელი. იფიქრებდა კი, რომ ოდესმე უდროობაზე დაიჩივლებდა?

არადა ვარდისფერი იყო სტუდენტური წლები, წარჩინებით სწავლასაც ასწრებდა, აკადემიურ ჯგუფსაც ხელმძღვანელობდა. 2001 წელს ლანჩხუთის რაიონიდან არჩეული იყო პროექტ „საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის“ წევრად.

ახლა თავის თავს სტაცებს წუთებს, დიდებულ გალაკტიონს დაუბრუნდება, მის ლექსებში გაირინდება. დაისვენებს...

მშობლებზე ფიქრიც მოეძალება. იშვიათად ჩავდივარო მათთან.

– კვლავ, რომ არჩევანის წინაშე დადგეთ?

– მხოლოდ და მხოლოდ იურისტობას ავირჩევდი.

თვალებში სიამაყის გრძნობა გაკრთა, სასიამოვნო ხმა. ოდნავ გაუმკაცრდა, თითქოს საკუთარ თავს სთხოვდა რაღაცას.

იყო ამ წამიერ ცვლილებაში სიყვარული და პატივისცემა არჩეული პროფესიისადმი. ამან განაპირობა ამ წერილის მომზადება და ჩვენი მკითხველებისათვის პოლიციის კაპიტნის ლაშარელა ჩხაიძის წარდგენაც.

იყოს ეს გაცნობა სამომავლო ლამაზი მუშაობის დასტური.

რამაზ ჯინჭარაძე

ოპერატიული სამსახური... როცა საუბარია ოპერატიულ მუშაკებზე, მათ სახელს უკავშირებენ სიტყვებს – უშიშარი, მამაცი. ბევრჯერ მოგვისმენია, რომ ამ სამსახურის თანამშრომლებისათვის არც შიში ასებობს და არც უკან დახევა. ვერ ვიტყვი, რომ ეს სიტყვები გაზვიადებულია, მაგრამ შიში ნებისმიერ ადამიანს თან ახლავს. ოღონდ გულში არ უნდა ჩაიდო და ნება არ უნდა მისცე დაგჯაბნოს.

ჩემი დღევანდელი რესპოდენტის თქმით, შიშს თამამად უნდა ჩახედო თვალებში და ნებისმიერი სიტუაციიდან იპოვი გამოსავალს, ნებისმიერ სიძნელეს გაუმკლავდები. როცა გადიხარ ოპერაციაზე და სიკვდილს თვალებში უყურებ, გამარჯვების სურვილმა უნდა აჯობოს შიშს. ოპერატიული მუშაკის ყოველდღიური ცხოვრება დაძაბულობასთან და ხიფათებთანაა დაკავშირებული. როცა ჩვენ მშვიდად გვძინავს, ისინი ჩვენ სიმშვიდეს და უსაფრთხოებას იცავენ. ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი, მაგრამ ჩვენ მათთვის ბევრჯერ მადლობის თქმაც გვავიწყდება. თუმცა ისინი არც ჯილდოებისთვის და არც მედლებისთვის არ მუშაობენ. უბრალოდ თავიანთ საქმეს აკეთებენ. ეს მათი არჩევანია. მათი პროფესიული მოვალეობაა.

34 წლის პოლიციის კაპიტანმა რამაზ ჯინჭარაძემ, თავისი არჩევანი 13 წლის წინ გააკეთა და დაიწყო მუშაობა ჩოხატაურის პოლიციაში რიგითად. იმავე წელს – მოეწყო სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. სანამ პოლიციაში დაიწყებდა მუშაობას, ორი წელი იმსახურა საქართველოს ეროვნულ გვარდიაში. 1996 წელს ინიშნება მძღოლ მილიციონერად. 1997 წელს კი აწინაურებენ სისხლის სამართლის სამეძბროს ინსპექტორად. 2001 წლის 17 ნოემბერს ნიშნავენ აღნიშნული სამსახურის უფროსად. თითქმის 4 წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე. შემდეგ მუშაობდა ლანჩხუთის რაიონში სამეძბროს უფროსის მოადგილედ, 2007 წელს კვლავ ჩოხატაურის რაიონში აბრუნებენ და პოლიციის უფროსის მოადგილედ ნიშ-

ნაკეენ. 2008 წლის ივლისის თვეში კი გურიის შს სამხარეო მთავარ სამმართველოში, დეტექტივ-გამომძიებლად გადმოჰყავთ.

დღეს რამაზ ჯინჭარაძე გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილეა. ჰყავს მეუღლე, ქალბატონი ნათელა ცინცაძე და ორი შვილი ქალ-ვაჟი. ნიკა ჯინჭარაძე ჯერ მხოლოდ 12 წლისაა, მაგრამ იმაზე ფიქრობს, თუ როდის დაამთავრებს სკოლას, პოლიციის აკადემიას, რომ გახდეს პოლიციელი. ხშირად მამამისს ეუბნება, შენზე უკეთესი პოლიციელი გავხდებიო. მამამისს კი უხარია ყოველივე ეს. ნათქვამია – „ის ურჩეენია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

რამაზს კარგად ახსოვს, პოლიციაში მუშაობის დაწყების პირველი დღეები. მაშინ პატარა ბიჭი იყო, 21 წლისა. რამდენიმე თვის მისული იყო, როცა პირველ ოპერაციაზე მოუწია წასვლა. საღამოს 21 საათი იქნებოდა, როდესაც ჩოხატაურის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილის ბატონ გ. ვასაძის კაბინეტში შეიკრიბა ოპერატიული ჯგუფი, სადაც შემუშავებულ იქნა ერთ-ერთი საშიში ბოროტმოქმედის დაკავების მიზნით გასატარებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გეგმა. „დილის 5 საათზე ოპერატიული ჯგუფის წევრები, დათქმულ ადგილზე შეეიკრიბეთ და წავედით სოფ. სიდისთავის მიმართულებით. საშიში დამნაშავე, სხვისი ქონების ყაჩაღობისათვის მიმალვაში მყოფი გვარად სიხარულიძე, იმ დროს დავაკავეთ, როდესაც იგი თავისი ახლობლის საცხოვრებელი სახლის ფანჯრიდან გადახტა და იქვე, ტყის მასივისაკენ გაიქცა. ოპერაცია იმით დამამახსოვრდა, რომ მაშინ პირველად ავიღე იარაღი ხელში და მახსოვს ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა: თუ ახლა არ აიღებ იარაღს, ჩათვალე, რომ ვერასოდეს წახვალ დამნაშავის დასაკავებლად. ეტყობა ჩემში შენიშნა გაკვირვება“. კიდევ რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა ბატონმა რამაზმა„ 1998 წლის შემოდგომა იყო. სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების თანამშრომლები, პოლიციის უფროსის, ბატონ ა. ვასაძის დავალებით, გასული ვიყავით მიმალვაში მყოფი ერთ-ერთი პირის კავშირების დასადგენად. ამ დროს დაგვიკავშირდა კრიმინალური პოლიციის უფროსი ბატონი გიგლა ხაბულიანი და ყველა ოპერატიული მუშაკი პოლიციაში დაგვიბარა. ორი ეკიპაჟის შემადგენლობით გავემართეთ ბახმაროში. ერთ ეკიპაჟს ხელმძღვანელობდა გიგლა ხაბულიანი, ხოლო მეორეს– სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი მალხაზ მამალაძე. მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, მკვლელობისა და ყაჩაღური თავდასხმისათვის ძებნილი ზ. ირემაძე თავს აფარებდა კუ-

რორტ ბახმაროში ერთ-ერთ მიტოვებულ სააგარაკო სახლს. აქედით თუ არა კურორტის ტერიტორიაზე, იქ დაგვხვდა პოლიციის უფროსი ბატონი გულთმისან ვასაძე. მისი ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა მოქმედების გეგმა. როდესაც ე.წ. „ფაფარას“ დასახლებაში აქედით, მიიღეთ დამატებითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის გარჩევის დროს, დაჭრილი იქნა ძებნილი ზ. ირემაძე. ასევე ჩვენთვის ცნობილი გახადა, რომ ზ. ირემაძეს თან ჰქონდა ავტომატური იარაღი და ორი ცალი ხელყუმბარა. იგი ისე მძიმედ იყო დაჭრილი, გაქცევა არ შეეძლო. ერთ-ერთი კარვის მეპატრონესთან იმალებოდა. ჩვენ მას ისე დავადექით თავზე, რომ ვერ მოასწრო ავტომატური იარაღის გამოყენება. თუმცა ხელყუმბარა ხელში ეჭირა, რომელიც საბრძოლო მგომარეობაში იყო მოყვანილი და ხელის გაშვებისთანავე აფეთქდებოდა. ბოროტმოქმედის დაჯაბნა შეეძელი. მისი ყუმბარიანი ხელი, მუჭში მქონდა მოქცეული. იქვე ხრამთან ყუმბარა გავაგდებინე ხელიდან. სამწამიერი დეტონატორი მოძრაობაში ჰაერშივე მოვიდა და ყუმბარა ხრამში დაშვებისათანავე აფეთქდა. აყვანის ოპერაცია 45 წუთი გრძელდებოდა. მთის მოსახლეობამ გაიგო თუ არა ირემაძის დაკავების შესახებ, მისი ჩაქოლვა და ლინჩის წესით გასამართლება მოითხოვა. თუმცა პოლიციის უფროსმა, ბატონმა გულთმისანმა შესძლო მათი დაწყნარება, ბოროტმოქმედი ჩამოვიყვანეთ ჩოხატაურის პოლიციაში და გადაეიყვანეთ დროებითი მოთავსების იზოლატორში.“

ეს ამბავი ოზურგეთში მოხდა: „ალიკა, შეაჩერე ბიჭო ავტომანქანა, ვერ დაინახე, რანაირი გერიტები გვთხოვდნენ გაჩერებას, იქნებ კარგ ფეხზე ვართ ამდგარიო,“ სხაპასხუპით უთხრა საჭესთან მჯდომ მეგობარს, ოზურგეთელმა სიპიტო ხინთიბიძემ. მძღოლმა ელვის სისწრაფით ჩართო „ზადნი ხოდი“ და ყოფილი ცხრაასხუთი წლის ქუჩის დასაწყისში, ტროტუარზე მდგომ გოგოებს მანქანა პირდაპირ ფეხებთან დაუსვა.

ქალიშვილები მაცდურად უეუეუნებდნენ თვალებს. ჯერ იუარეს მიპატიუება, მეგობრებს ველოდებით, თქვენთვის არა გვცალიაო, მაგრამ ბიჭების აცრემლებულმა თვალებმა ბოლოს და ბოლოს „გული მოულბო“ უცხო ამორძალებს და მოკრძალებით მოკალათდნენ უკანა საავარძელზე.

ასე იყო თუ ისე, ახალგაზრდები მალე გაუშინაურდნენ ერთმანეთს. ამასობაში სასურველმა ღამემაც შემოაბიჯა გორაბერეულის სანახებში და ტკბილი საუბრით, რომ გული იჯერეს, მერე გახშირებული მაჯის გასინჯვაც დაუწყეს ერთმანეთს. თაფლობის დაწყების მოახლოებული წუთები რომ იგრძნეს, ყმაწვილებს მანქანიდან გადასვლა სთხოვეს, თქვენი თანდასწრებით

ვერ გაეიხდითო. ბიჭებმა უსიტყვოდ შეასრულეს განკარგულება და მორიგი სასიამოვნო ბრძანების მოლოდინში, მოშორებით სიგარეტი გააბოლეს. უეცრად ავტომანქანა ამუშავდა და მოსხლეტით, დიდი სისწრაფით მოწყდა ადგილს. „კარგად იყავით, ბამბაში გაახვიეთ, არ გაგიციოდეთო“! გადმოსძახეს ავტომანქანიდან და სიბნელეში გაუჩინარდნენ. გაოცებულმა ყმაწვილებმა ჩოხატაურის პოლიციას მიაკითხეს. – საჯაყი საქმე კი დაგვემართა, მარა რას იზამ, ჩვენი ბედი ყოფილა და გვიშველეთო. „უშველეს“ რამაზმა და მისმა ბიჭებმა. იმავე ღამეს, „ცხელ კვალზე“ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, იპოვეს ავტომანქანაც და გოგოებიც, რომელთა გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ, რომ მათ მშობლებსა და ახლობლებს საჯაროდ გული არ ვატკინოთ. ისე კი ერთი ცხემლისსიდელი იყო და მეორე დვაბზუელი.

„კანონიერი ქურდის“ ბათუმელი დავით მოისწრაფიშვილის, მკვლელობისა და სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის იძებნებოდა თბილისელი გენო ქართველიშვილი. ბოროტმოქმედებს ეძებდა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიცია, სამტრედიის რაიონული პროკურატურა, ლანჩხუთის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება. ბოლოს საქმეში ჩოხატაურელი სამართალდამცავებიც ჩაერთნენ, რადგანაც რამაზ ჯინჭარაძის ინფორმაციით, დანაშავე ამ რაიონში უნდა ყოფილიყო მოკალათებული. გენო ქართველიშვილის ავკაცობის ისტორია 1999 წლის 27 დეკემბრიდან იღებდა სათავეს. ამ დღეს მან თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, მოქალაქე ჩირაღლიშვილის კუთვნილი ავტომანქანა „გაასუფთავა“ და თავისი დაბადების დღე (18 წელი შეუსრულდა) შესაფერისი ლხინით აღნიშნა. პირველი წარმატებული ოპერაციის შემდეგ, 2000 წლის 21 ნოემბერს, სამტრედიის რაიონის სოფ. ჭოგნარში, მორიგი „ბრძოლა“ გადაიხადა და ეგრეთწოდებულ „კანონიერ ქურდს“ მოისწრაფიშვილს მოუსწრაფა სიცოცხლე. (ეტყობა რაღაც ვერ გაიყვეს). შემდეგ ლანჩხუთში გაინავარდა და სოფელ აკეთში, ნოდარ მგელაძის ავტომანქანას გამოუყვანა წირვა. ეს დანაშაულიც ხახვივით რომ შერჩა, ორ თანამზრახველთან ერთად, სოფელ ჭანჭათში მცხოერებ რამაზ წულაძის ოჯახზე მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა და იარაღის მუქარით საკმაოდ სოლიდური თანხა და ოქროს სამკაულები გაიტაცა. და აი, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკთა ერთობლივი ძალისხმევით, ჩოხატაურის რაიონის სოფ. ჩაისუბანში, უმსხვერპლოდ აიყვანეს ნაგანის სისტემის რევოლვერით, გადაჭრილი შაშხანითა და ნარკოტიკებით შეიარაღებული საშიში დამნაშავე.

რამაზ ჯინჭარაძე თავს ბედნიერ ადამიანად თვლის, რომ საყვარელ საქმეს ემსახურება. ჰყავს კარგი ოჯახი. ჩინებულ კოლექტივში მუშაობს, –კოლექტივში, სადაც, ადამიანის შრომა დაუფასებელი არ რჩება.

– რამაზ რა არის თქვენთვის პოლიცია?

– პოლიცია ჩემთვის სიმართლის, სამართლიანობის სიმბოლოა. პოლიცია ჩემი ცხოვრებაა, რომლის უმეტესი ნაწილი სამსახურში მაქვს გატარებული.

– როგორი ხელმძღვანელია თავად რამაზ ჯინჭარაძე?

– მომიტევეთ, უხერხულია საკუთარ თავზე საუბარი. აი, რომ გეკითხათ, როგორი პიროვნებაა რამაზი ჯინჭარაძეო, -გიპასუხებდით–ჩვეულებრივიო. ჩემი სურვილით მოვედი პოლიციაში სამუშაოდ. ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ჩემია და ძალიან მიყვარს. უსამართლობას და არაკომპეტენტურობას ვერავინ დამაბრალებს, დანარჩენი კი... შეაფასოს იმ ხალხმა, ვინც მიცნობს და ვის გვერდითაც წლების მანძილზე მიმუშაავია.

– ოპერმუშაკი, მეტსახელად „გაბულო“, ვინ შეგარქვათ ეს მეტსახელი, რომელიც მთელმა დანაყოფმა აიტაცა?

– რა თქმა უნდა მეგობრებმა შემარქვეს, ნამდვილად არ მწყინს. ვიცი, რომ ამ სიტყვაში დიდი სიყვარული და სითბოა ჩაქსოვილი..

– თქვენ ნამდვილად უყვარხართ და პატივს გცემენ... იმიტომ ხომ არა, რომ ბევრი ჩიტი გააბით მახეში?

– იცით, ცხოვრებაში ნებისმიერი ადამიანის უდიდეს მიღწევად კაცური კაცის სახელი ითვლება. დიდ ილიას უთქვამს: „სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება“. პატიოსანი სახელი შეიძლება მოიხვეჭო მხოლოდ სიკეთით, ადამიანობით და კეთილსინდისიერი მუშაობით, სულ ესაა.

– რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად ამ წლების მანძილზე?

– დასამახსოვრებელია მთელი ჩვენი სამსახური. ყოველ დღეს, თვეს, წელს სიახლე მოაქვს. ასაკიც გემატება, სიბრძნეც, გამოცდილებაც, უცვლელი კი ჩვენი სიყვარული და არჩეული საქმისადმი ერთგულება რჩება.

– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

– თავისუფალ დროს, თუ რა თქმა უნდა საერთოდ მაქვს, ოჯახში ვატარებ. ნიკასთან „დროსტარება“ მიყვარს. ახლახან ბახმაროში ვიყავით. ჩვენ, მამაკაცებს კარგად გვესმის ერთმანეთის.

– რამაზ, რა კრიტერიუმებით აფასებთ თანამშრომლებს?

–კოლეგიალობას ვაფასებ. პრინციპულობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, დღევანდელი გასაკეთებელი საქმე, ხვალისთვის არ უნდა გადადო.

– თქვენ ახალგაზრდა კოლეგებს რას უსურვებთ?

– ვუსურვებდი, რაც შეიძლება მეტი გამოცდილება შეეძინოთ და უფროსი თაობიდან ღირსეული თვისებები აეთვისებინოთ.

– თქვენ კარგად იცით, რომ გამოდის წიგნი „წლები და ადამიანები“ რას უსურვებდით ამ წიგნის ავტორს?

– პირფერობაში არ ჩამომართვათ და გეტყვით, რომ დიდ საქმეს აკეთებთ. მისასალმებელია თქვენი ყურადღება ყველა თანამშრომლის მიმართ. გისურვებთ, რაც შეიძლება მეტი თანამშრომლის თავდადება და პროფესიონალიზმი წარმოგაჩინოთ.

დიდი მადლობა, სიმშვიდის ერთგულო გუშაგო. ღმერთი გფარავდეს მუდამ!...

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲡᲯᲘᲠᲓᲔᲑᲐ

გოჩა თავაძე

„პოლიციის კაპიტანი გოჩა თამაზის ძე თავაძე, დაბადებული 1973 წელს, ქართველი, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლების მქონე, მუშაობს ჩოხატაურის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

იგი შინაგან საქმეთა ორგანოების რიგებშია 2002 წლიდან, ხოლო დაკავებულ თანამდებობაზე – 2008 წლის ოქტომბრიდან.

მუშაობის პერიოდში გ. თავაძემ თავი გამოიჩინა როგორც დისციპლინიანმა და შრომისმოყვარე მუშაკმა, მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებას ეკიდება პასუხისმგებლობით, შესწავლილი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაშვებული ბრძანებები, რასაც იყენებს ყოველდღიური მუშაობის დროს. არის თვითკრიტიკული და პრინციპული. რაიონის მოსახლეობასა და პირად შემადგენლობას შორის სარგებლობს კარგი ავტორიტეტით. სამაგალითო მუშაობისა და ოპერატიულობისათვის არაერთხელ იქნა წახალისებული გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და შს სა-

მინისტროს ხელმძღვანელობის მიერ. იჩენს ოპერატიულობასა და საზრიანობას დამნაშავე ელემენტების დაკავების დროს.

გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა გ. თავაძეს ახასათებს დადებითად."

ამ სამსახურებრივ დახასიათებას ხელს აწერს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი შოთა ჭანუყვაძე.

თითქოს აქ უნდა დაგვესვა წერტილი, რადგან ვფიქრობთ, ხელმძღვანელობის ესოდენ დიდი შეფასება საკმაოდ საკმარისია რიგითი თანამშრომლისათვის. თუმცა ეს დახასიათება ერთ-ერთი უტყუარი საბუთია დოკუმენტების ნაირსახეობისა, რომელიც პიროვნების გასაცნობად არის შედგენილი და საქმეში ჩასაკერებლადაა განკუთვნილი, მაგრამ "საქმეში ჩასაკრავად" ნამდვილად ვერ გავიმეტეთ, რაშიც მისი ადრესატის „საქმენმან საგმირონმა" „შეგვიშალა ხელი". მითუმეტეს, საკმაოდ ფორმადაცულ საბუთში არაფერია ნათქვამი, რომ იგი ფათერაკებიანი კაცია! ბარემ აქვე ვიტყვით: ყოველგან, ყოველგვარ სიტუაციაში, ყოველ დროს, მაინცდამაინც იგი არის იქ, სადაც საქმეა გასახსნელი, ძებნილია დასაკავებელი, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მიზეზია გასარკვევი, შეხლა-შემოხლა, ჩხუბი მოხდება თუ მეზობლური დავაა გადასაწყვეტი... ეს ისე, თავისთავად მოდის, ყოველგვარი დაგეგმვა-დაკანონება — გაგზავნის გარეშე, უნდა თუ არ უნდა, ასეთ სიტუაციებში „ეჩხირება", მისკენ კი არ მოდის წესრიგის დამცველის აუცილებლობა, არამედ იგი მიდის მასთან შესახვედრად. მიდის და ათიდან ათივე შემოხვევაში იმარჯვებს კიდეც! ამის გამოა, რომ ასეთი მოუსვენარი მებრძოლი თანამშრომელი ეამაყება მის მეგობრებს. პოლიციის კაპიტან გ. თავაძის მიერ მოპოვებული ოპერატიული მასალების რეალიზაციის შედეგად, გაიხსნა ათეულობით სისხლის სამართლის დანაშაული და დაკავებულ იქნა არაერთი საშიში დამნაშავე. პირველი საქმე გოჩასათვის პირადი ქონების ქურდობისათვის ბოროტმოქმედის დადგენა — დაკავება გახლდათ.

იყო ერთი ელექტროშემდუღებელი, სამტრედიის რაიონის სოფ. საჯავახოში მცხოვრები კობა დიდია. იგი დიდი ნიჭის ხელოსანი გამოდგა. ადუღებდა რკინას რკინაზე და რკინისებური სიმაგრის ნაგებობებს ქმნიდა. განსაკუთრებით გაიწაფა ხელი მაღაზიაჯიხურებზე. დიდიამ დიდხანს იფიქრა და დაადგინა, რომ რკინის კარ-ფანჯრებიან ჯიხურებში დიდი ფული ტრიალებდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ჩოხატაური-ოზურგეთის ტრასაზე კუკურიას მაღაზიას დაადგა თვალი, რომელიც რკინა-ბეტონში საიმედოდ იყო ჩასმული.

2002 წლის 14 ივლისს ჩანაფიქრი განახორციელა, ღამის საათებში, ელექტროშემდუღებლით გამოჭრა რკინის კარები და მაღაზიიდან გამოიტანა 600 ლარამდე ღირებული სხვადასხვა დასახელების ფართო მოხმარების საქონელი. მაგრამ, მიტაცებული საქონელის მოხმარება ვეღარ მოასწრო. კობა დიდიაზე დიდი ჭკუისა და მაღალპროფესიონალები აღმოჩნდნენ გ. თავაძე და მისი მეგობრები, რომლებმაც დიდია, მეორე დღესვე მიაბრძანეს პოლიციაში. ბრალდებულმა ქურდობის ფაქტი აღიარა, თუმცა არ დაასახელა „პადელნიკები“.

კიდევ რამდენიმე ფაქტი გაიხსენა გოჩა თავაძემ:

ეს ამბავი კი დაბა ჩოხატაურში მოხდა: სოფელ წიფნარში მცხოვრები შავაძე, ერკეთელი ვადაჭკორია, დაბლაციხელი ჯინჭარაძე დაამობიდნენ და გაუდგნენ გზას, რომელიც მეფარიშვილისა და ჯინჭარაძის პირუტყვების სადგომისაკენ მიდიოდა.

გზაზე ერკეთელი მანდილოსანი მეფარიშვილი შემოხვდათ.

— საით გაგიწყვიათ ძმებო? — შეეკითხა იგი გზადმიმავალ სამეულს.

— სამი ძმა ვართ, დის საძებნელად მივდივართ.

— და აი, მეც აქა ვარ. — მიუგო ქალბატონმა.

— ახლა რა ექნათ, — გადახედეს ერთმანეთს, — საით წავიდეთ?

— სადაც მიდიოდით, მეც იქ მივდივარ. — მიუგო ერკეთელმა მანდილოსანმა და მიადგნენ ერთ მშვერიერ ბოსელს. მოაბეს თოკი მეფარიშვილის მარჩენალ ძროხას, შემდეგ კი გააგრძელეს გზა ჯინჭარაძის ეზოსაკენ. პირუტყვი რის პირუტყვია, ეროი კი დაიზმუილა ჯინჭარაძის „ლამაზამ“, მაგრამ მერე პირი ისე აუკრეს, რომ ყელში დანის გამოსმამდე ხმა აღარ ამოუღია.

პირველი ნადირობა სარფიანად რომ ჩატარდა, ახლა ერკეთელმა ქალბატონმა მარტო გაიწია, მეზობელ ჩანტლაძეს აწაპნა ძუძუმოკითხული ძროხა. მოხერხებულად გაასხვისა კიდეც, ე.ი. გაყიდა და ლარებით ხელდამშვენებული დაბრუნდა სახლში.

ეს რა კარგ საქმეს მივაგენიო, — თქვა საქონლის ქურდობაში დაოსტატებულმა ქალბატონმა, თავის მეზობლად მცხოვრებ ხიზანიშვილის ძროხას გამოღადრა კისერი და ძმაკაცების დახმარებით, ქ. ბათუმის მცხოვრებლებს ჩააკოკლოზინებინა ყელი.

შემდეგ უფრო ფართო გეგმები შეადგინა. გადაწყვიტა მოპარული პირუტყვისათვის საღგომი აეშენებინა და სოფელ ერკეთის სახერხი ქარხნიდან 16 ცალი ფიცარი გააქანა შინისაკენ ცუნცულით.

ერთი სიტყვით, ისე გაიწია ერკეთელმა ქალბატონმა, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი მონაგონი იყო, მაგრამ პოლიციის ძალას ვეღარ სძლია, გოჩამ და მისმა მეგობრებმა, კვალიფიციურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მიაბრძანეს იგი დროებითი მოთავსების იზოლატორში და უყურებს ახლა ლამაზმანი ცის პატარა ნაჭერს გისოსებიანი სარკმელიდან. ცაზე ზოგჯერ ღრუბელი გამოჩნდება, რომელიც ზოგი ძროხას, ზოგი ხარს, ზოგიც დეკეულს ჰგავს და სიამის ჟრუანტელი დაუვლის ტანში სოფლის „მენახირეს", რატომ გარეთ არა ვარო.

იყო კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც ასევე დიდი რეზონანსი გამოიწვია:

ბათუმის ავტოსადგურში, „იკარუსის" მარკის ავტობუსი, მგზავრებით შეიესო. მძღოლმა საგზური გააფორმა და ის იყო გეზი ე. წ. „ერგნეთის" ბაზრობისაკენ უნდა აეღო, რომ კაბინასთან უცნობი მამაკაცი მივიდა, მძღოლს საუბარი გაუმართა, მერე კმაყოფილი სახეებით ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და უცნობი, ავტობუსში წინა სავარძელზე მოკალათდა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, საუბარი ასეთ შინაარს ატარებდა:

ჩოხატაურის რაიონის სოფ. კოხნარში უცნობ მამაკაცს და მის კომპანიას დამზადებული ჰქონდათ ჩაის მზა პროდუქცია, რომელიც ერგნეთის ბაზრობაზე უნდა ჩაეტანათ სარეალიზაციოდ. ჩაის ტრანსპორტირებისათვის მძღოლი სათანადო გასამრჯელოს ადგილზე მისვლისთანავე მიიღებდა.

ავტობუსი დაიძრა. უცნობმა მობილური ტელეფონით ასეთი საუბარი გააბა:

— ჰო, მე ვარ, გამოვედი ბათუმიდან, საქონელი გზაზე გამოტანილი დაგვახვედრეთ. თან პურმარილი არ დაგავიწყდეთ. ღვინო? სარდაფში მეორე თაროზე რომ სანთლით თავმოგლესილი ბოცაა — ის წამოიღეთ. სანთლის არაყი კარებთანაა, ტკეჩიან ბოთლში, აბა, თქვენ იცით...

ოსურგეთს გამოვცდით. ორმოცამდე მგზავრია ავტობუსში. კიდეც მოგვშივდა. ანოიმოზას და კაკოიას უთხარით მეორე თიკანსაც წააძროს თავი, მაი ერთი არ იქნება საკმარისი. დროზე მოაწყვეთ ყველაფერი".

ავტობუსში ზოგიერთს ნერწყვიც კი მოადგა პირზე. ავტობუსი კი ჯანჯღარით მიიკვლევდა გზას, უმთვარო ღამეში.

სოფელ წიფნარის გადასახვევთან ავტობუსი გაჩერდა, მძღოლმა კარები გააღო, დამხვდურები სწრაფად შეცვივდნენ სალონში და ავტომატების ლულებმა გაიელვეს სინათლის

მკრთალ შუქზე. მერე ავტობუსი მიყრუებულ სასოფლო გზაზე გადაიყვანეს და დაიწყო ცოდვის ტრიალი...

ერთი სიტყვით, ყაჩაღებმა მგზავრები ერთიანად გაძარცვეს, წაიღეს ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა და მიიმალნენ.

როგორც კი შემთხვევის შესახებ ცნობილი გახდა, ხოხატაურის პოლიციაში შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ცხელ კვალზე“ დააკავეს ბოროტმოქმედი, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის მცხოვრები კახა ბარათელი. გაირკვა, რომ მას გვერდს „უმშვენებდა“ ჭიათურელი, ნასამართლევი და მეორედ შეწყალებული ხვიად ყაველაშვილი. ასევე დადგენილი იქნა ყაჩაღური ბანდის დანარჩენ წევრთა ვინაობაც.

გოჩას რომ ჰკითხოთ თუ რა სჭირდება დღევანდელ პოლიციას ყველაზე მეტად, დაუფიქრებლად გიპასუხებთ: დღევანდელ პოლიციას მეტი ინტელექტი და პროფესიონალები სჭირდება.

საქმეში ნაღდი, მეგობრობაში უბადლო

ნოდარ ქინქლაძე

არა მარტო სოფელ თხინვალში, არამედ მეზობელ სოფლებშიც რომ გეკითხათ, არსენ ქინქლაძეს თუ იცნობთო, პირველივე შემხვედრი გიპასუხებდათ:

ვიცნობ რომელია, ღმერთმა მაგისთანა კაცები უმრავლოს სოფელსო და ზოგი არსენის ხელით დამყნილ მანდარინს, ან ლიმონის ნახელავს შეაქებდა. ზოგიერთისთვის კაი ღვინითა და პურმარილით იყო გამორჩეული. საერთოდ ყველასთვის კი – ტკბილი და თბილი ქართული ოჯახით.

ამიტომაც იყო, რომ თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა მილოცვები, როცა ციალასა და არსენს ვაჟი შეეძინათ. ბიჭს ნოდარი დაარქვეს. მეგობრები ხუმრობდნენ: ახლა არსენას ჰგონია მისი ნოდარა ახალ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ დაწერსო. მაგრამ ბიჭს ლექსი და რომანი კი უყვარდა, თუმცა დაწერისა რა მოგახსენოთ, დღე და ღამე შოფრობა ელანდებოდა და ახლაც ენატრება

ის დღე, კოლმეურნეობის „პალტარატონკა“ პირველად რომ ააგრიალა თხინვალის აღმართზე.

ამასობაში სამხედრო სამსახურის დროც მოვიდა. თბილისიდან დაძრული მატარებელი, რომელშიც ახალწვეულები ისხდნენ, უსაშველო გრძელი გზის შემდეგ, უკუნ ღამეში, სადღაც გაჩერდა.

— მიწაზე ფეხი, რომ დავადგი — იგონებს ნოდარ ქინქლაძე — ღამე იყო. ყინვა არტახებივით შემომეკრა ტანზე. დიდხანს ვერ გავარკვიე, მზე საერთოდ თუ იყო იმ ქვეყანაში, თურმე სადღაც ჩრდილოეთში, მურმანსკის ოლქის დასალიერში, ნორვეგიის საზღვართან ვიყავით.

მოტომსროლელი პოლკის ავტოპარკში ორი წელი იმსახურა ჯარისკაცმა ქინქლაძემ. ჯერ იყო და სამხედრო ნაწილის დროშასთან სურათის გადაღების პატივი და ღირსება დაიმსახურა. სამხედრო და პოლიტიკური მომსადების ფრიადოსანთა დაფასაც ამშვენებდა მისი სურათი, რისთვისაც მოკლევადიანი შვებულება დაიმსახურა, რაც, ფაქტიურად, მოკლე კი არა, ერთთვიანი იყო. შემდეგ წარჩინებული მძღოლის სამკერდე ნიშნითაც გაილამაზა ჯარისკაცის გიმნასტურა და ასე ღირსეულად ვალმოხდილი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. შრომითი საქმიანობა 1976 წელს დაიწყო. კოლმეურნეობაში გაეცნო მშრომელი კაცის ბუნებასა და მის ხასიათს. 1979 წლიდან ნოდარ ქინქლაძე შინაგან საქმეთ ორგანოებშია. ერთი პერიოდი საკუთრების დაცვის პოლიციაში მუშაობდა რიგითად.

1979 წელს, ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების არასაუწყებო დაცვის მაშინდელი უფროსის, პოლიციის მაიორ რესო ჟღენტის რეკომენდაციით, პოლიციელის მუნდირი ჩაიცვა და მსედრულ წროობაგაყლილ ჯარისკაცს მალე მოუწია პირველი საბრძოლო გამოცდის ჩაბარება. პოლიციაში ღამით შეტყობინება მოვიდა. ერთ-ერთ ობიექტს გაქურდვის საფრთხე ემუქრებაო. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გავიდნენ ოპერატიული ჯგუფის წევრები, რომელთა შორის ნოდარ ქინქლაძეც იმყოფებოდა და ბოროტმოქმედები „ცხელ კვალზე“ შეიპყრეს. შემდეგ სისხლის სამართლის ქვეგანყოფილებაშიც გამოიჩინა თავი. თითქმის 8 წელი მუშაობდა შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სს ქვეგანყოფილებაში მძღოლ-პოლიციელად. 1998-2002 წლებში კი, მუშაობდა დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსად. ამჟამად, სამსარეო პოლიციაში ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის სამსახურის უფროსია.

ოთხი წელი სამხარეო სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსი იყო. იგი ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც უხმაუროდ, თვითრეკლამის გარეშე აკეთებენ

ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ მეტისმეტად საჭირო საქმეს და საბედნიეროდ ასეთები ათასობით გეხვდებიან ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე.

სამსახურებრივად ნოდარს წინასწარ პატიმრობაში მყოფთა მეთვალყურეობა, გადაყვან-გადმოყვანა, მათი უფლებების დაცვა, მათთვის კანონით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო პირობების უსრულველყოფა ევალებოდა. ვინ მოთვლის, რამდენი წვრილმანი თუ მსხვილმანი ნიუანსის გათვალისწინება უხდებოდა მას ყოველდღიურად. ძალიან ფაქიზ, აწონ-დაწონილ მიდგომას მოითხოვდა ეს სპეციფიური საქმე. არც კანონი უნდა დარღვეულიყო და არც ადამიანურ გრძნობებს ეღალატებოდა. ამ ორი მცნების შეთანწყობა, მის მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის, არც თუ ისე ადვილი იყო. მაინც ახერხებდა ხალხიც კმაყოფილი ყოფილიყო და ხელმძღვანელობაც. ერთი ასეთი ეპიზოდი გაიხსენა ნოდარმა: „2005 წლის ივნისის თვეში, ლანჩხუთის რაიონის სოფ. გვიმბრალაურიდან, მოიყვანეს ფსიქიურად დაავადებული მეტსახელად „გიუა". იგი სხვისი ქონების ქურდობაში იყო ეჭვმიტანილი, რომელმაც დროებითი მოთავსების იზოლიტორში (ძველი შენობა იყო), გამოანგრია კარები, დაამტვრია დროებით დაკავებულის მოთავსების, მოსაცდელი ოთახი ე.წ. „აბიზიანკა", შემდეგ ჩაკეტა კარი, მაგრამ თან გვქონდა უკანა კარების გასაღები, კარი გავაღეთ და ოპერატიული ჯგუფის წევრების დახმარებით გადავიყვანეთ ბათუმის ციხის საავადმყოფოში".

პოლიციისადმი სიყვარულის ტალღამ ნოდარის მეუღლე ქალბატონი მარინაც აიყოლია და ახლა ოზურგეთის დაცვის პოლიციაში მის სახელს, როგორც კეთილსინდისიერი თანამშრომლისა, პატივისცემით წარმოსთქვამენ.

შვილებითაც ამაყობს ბატონი ნოდარი. მისი უფროსი ქალიშვილი ქეთევანი უცხო ენების სპეციალისტია, დაოჯახებულია, ჰყავს 3 წლის ანასტასია, სიძე იური იურისტია. მეორე ქალიშვილი ანა ქინქლაძე სტუდენტია, კომპიუტერული ცენტრის პროგრამისტია.

ასე, რომ საქმეში ნაღდი და მეგობრობაში უბადლო კაცის სახელით ამაყად მოაბიჯებს პოლიციის უფროსი სერჟანტი ნოდარ ქინქლაძე ცხოვრების გზაზე.

თენგიზ რუსიეშვილი

გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი გამომძიებელი თენგიზ რუსიეშვილი შუაღამისას გააღვიძეს.

– გურიის რეგიონში მოქმედი ბანდის წევრები შეპყრობილია. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან ჩამოსული არიან ხელმძღვანელები, რომელთა ძალისხმევით მოხერხდა მათი დაკავება. სამხარეოს უფროსი ბატონი გელა გიგინეიშვილი გთხოვთ, ახლავე მიიღოთ საქმე წარმოებაში. – უთხრა სამხარეო პოლიციის მორიგემ.

ხუთ წუთში თენგიზი უკვე მანქანაში იჯდა და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ეცნობოდა საქმის ვითარებას.

პირველად როდი უხდებოდა ასეთი ღამისთევა. რა არ გადახდენია თავს ამ ორმოცდარვა წლის კაცს.

თენგიზ რუსიეშვილი – დაიბადა 1960 წლის 10 იენისს, ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაურში. 1985 წელს დაამთავრა შსს მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი.

ამჟამად პოლიციაში სამსახურის ოც წელს ითვლის. მე კი სამი წლის უკან მომხდარ ამბავსე მინდა მოგითხროთ.

საქმის გაცნობის შემდეგ გამოირკვა: როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელმა დირექტორმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ირაკლი ქადაგიძემ გვიამბო, მაისის ბოლოს, გურიაში რამდენიმე მძიმე დანაშაული სერიასავით გადაება ერთმანეთს, რომლებიც სისასტიკითა და სხვა საერთო ნიშნებით ერთმანეთს ჰგავდა. ბოროტმოქმედნი დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავს ყოველთვის ტყეს აფარებდნენ.

შემოვიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ აჭარის, გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში მოქმედებდა კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომლებიც როგორც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით, ასევე პისტოლეტებით, ხელყუმბარებით იყვნენ შეიარაღებულნი. ჯგუფის წევრები წარსულში ნასამართლევი პირები იყვნენ: ძარცვის, ყაჩაღობის, მკვლელობისა და სხვა დანაშაულებებისათვის ძებნილნი, ისინი მოქალაქეთა პირადი ქონების ძარცვითა და ყაჩაღობებით იყვნენ დაკავებულნი..

მინისტრის ბრძანებით შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობა მთლიანად კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებით დაკომპლექტდა. დაიწყო ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ამ პირთა დადგენის მიზნით. გამოიკვეთა ჯგუფის წევრები, ლიდერები და შეიქმნა აუცილებლობა, რომ ოპერატიული ჯგუფი ოთხ რეგიონში (აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო) მიელინებულიყო.

„ცხელ კვალზე" ინტენსიური მუშაობის შედეგად, დაეადგინეთ დამნაშავე პირები და მათი ახლო კავშირები. დამუშავდა კარტოთეკა, მოვიპოვეთ ფოტოსურათები. ეჭვმიტანილთა ჯგუფის წევრები ფაქტიურად მათი ქმედებიდან გამომდინარე, უკვე ჩვენი თვალთახედვის არეში იყვნენ. 1 ივნისს, მივიღეთ ოპერატიული ინფორმაცია, რომ ჯგუფის წევრები და უშუალოდ ლიდერები ნაყაჩაღარის სარეალიზაციოდ თბილისში უნდა ჩამოსულიყვნენ. ამიტომ ოპერატიულმა ჯგუფმა მთლიანად თბილისში გადაინაცვლა. მძიმე, შრომატევადი სამუშაო გაგრძელდა.

2 ივნისს, ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაეკავეთ შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფის წევრები.

ირაკლი ქადაგიძე: – ზუსტად გაეთვალეთ მათი მასშტაბი. 14 საათზე, ბარათაშვილის ხიდთან, დაეიწყეთ მათი აყვანის სპეცოპერაცია. დიდ რისკზე წავედით, რადგან ვიცოდით, რომ ამ ტიპის ადამიანები შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაგეიწევდნენ. ჩვენს უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ოპერაცია ისე ჩაგვეტარებინა, რომ მათი მხრიდან ბრძოლა არ დაწყებულიყო და გარეშე პირები არ დაშავებულიყვნენ. მათ მანქანაში ქალიც იმყოფებოდა. თავიდან მის სახეს ვერ ეხედავდით. დაკავებისას კი მათი ჯგუფის წევრი – დარეჯან შენგელია ამოვიცანით. სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა ნაყაჩაღარი ნივთების რეალიზაცია და მისივე სახლიდან ამოვიღეთ დიდძალი ოქროს ნივთები.

რაც შეეხება დამნაშავეთა ჯგუფს, მასში საზოგადოებისათვის საში ბოროტმოქმედები იყვნენ გაერთიანებული.

ამაზე დაკავებულ დამნაშავეთა ჯგუფის წევრების კრიმინალური ბიოგრაფია და შეიარაღებაც მეტყველებს.

2005 წლის 26 მაისი, დილის 9 საათი – დაჯგუფების წევრები 'შეიარაღებულები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებითა და პისტოლეტებით, ქობულეთი-სამტრედიის მაგისტრალის დაბა შეკვეთილის ტერიტორიაზე, თავს დაესხნენ მურთაზ ჩიხლაძეს. იარაღის მუქარით გაიტაცეს ავტომანქანა "ოპელ-ომეგა" ტრანზიტული ნომრებით, 1800 ევრო და მობილური ტელეფონი. დამნაშავეებმა თავი ტყეს შეაფარეს.

2005 წლის მაისი, შუაღამე – დაჯგუფების წევრები ყაჩაღურად თავს დაესხნენ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში მცხ. გელა მურვანიძის ოჯახს, იარაღის მუქარით გაიტაცეს ოქროს ნივთები, ფული და ტყეს მისცეს თავი...

2005 წლის 30 მაისი – დაჯგუფების წევრები თავს ესხმიან ოზურგეთის რაიონის სოფ. შრომაში მცხ. ძმების ავთანდილ და ელგუჯა კუგასიანების ოჯახს, ავთანდილის ცხელი უთოთი წამების შემდეგ, მათ გაიტაცეს 470 ევრო, ოქროს სამკაულები, ორლულიანი თოფი, მობილური ტელეფონი და ავთანდილ კუგასიანის ავტომმანქანა "კია"-ს ტიპისა.

დამნაშავეებს დიდი ორიგინალობა არ გამოუჩენიათ და თავი ტყეს შეაფარეს. ეს ხელწერა კი ოპერატიული თანამშრომლებისათვის უკვე ცნობილი იყო.

გათენებას ცოტაღა აკლდა, თენგიზი სახლში რომ დაბრუნდა. ძილის დრო აღარ იყო, სასადილო ოთახში გავიდა, შეამოწმა თუ რა ჰქონდა მეუღლეს საუზმისათვის მომზადებული. მერე ნინოს და თამარს გადახედა. ტკბილად ეძინათ.

– ადექით შვილებო, რა ხანია გათენდა, – უთხრა თავის ქალიშვილებს და თავზე ხელი გადაუსვა.

გოგონები შეიშმუშნენ. ადგომა დაეზარათ.

– წუხელ სად იყავი მამიკო? ალბათ, დანაშაული მოხდა რამე.

– აგერ საჭმელი მოგიმზადეთ და ისაუზმეთ, მამაშენს სალაპარაკოდ არ სცალია, სამუშაოზე უნდა წავიდეს. – უთხრა შვილებს ლელამ.

დანაშაულის ფაქტებზე შეპყრობილი ყაჩაღების საქმეების გამოძიებას რა დიდი ამბავი უნდა. საკმარისია შემთხვევის ადგილზე გაყვანა, ნივთების ამოცნობის ჩატარება, დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვა, საბრალდებო დასკვნის დაწერა და საქმე სასამართლოში ამოყოფს თავს. მაგრამ თენგიზ რუსიეშვილი ასე იოლი გზით მიმავალი გამომძიებელი როდია. .

ვიდრე სამუშაო კაბინეტში შევიდოდა, გელა გიგინეიშვილთან შეიარა.

– რამ შეგაწუხათ ბატონო თენგიზ?

– თქვენთან აზრთა გასაზიარებლად მოვედი.

– ეიცი, ეიცი... ჩაჰყვები ახლა მაგ ყაჩაღებს და სანამ ყველა ცოდვას არ წამოჰკიდებ ზურგზე, არ მოეშვები.

გელამ მარჯვენა თვალი მოჭუტა და თენგიზს გამომცდელად შეხედა.

– მაგათ გასასამართლებლად ის ცოდვებიც კმარა, რაც გამომჟღავნებულია. უცოდველნი მანამდეც არ იქნებოდნენ. პირველი გამოლაპარაკებისთანავე მიეხვედი, გამოცდილი დამნაშავეები რომ

იყენენ. მათი თანამონაწილენი ჯერ კიდევ გარეთ არიან სასწრაფო ზომებია მისაღები, მათ დასაკავებლად, თორემ ისინი კიდევ ბევრს გაამწარებენ. ეს კითხვები მაწუხებს. ბატონო გელა გთხოვთ დაავალოთ ოპერატიულ მუშაკებს, დაინტერესდნენ აღნიშნული პირებით, ვისთან აქონდათ ურთიერთობა დაკავებამდე.

ასეთი დავალება უკვე მიცემული მაქვს თანამშრომლებისათვის, ბატონო თენგიზ. თქვენთან ერთადერთი სათხოვარი მაქვს — ცოტა დაისვენეთ, უძინარი ხართ, მერე კი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ ყველა დეტალი და თქვენებური ოპერატიულობით შეუდექით გამოძიებას.

ყველაფერი გასაგები იყო.

თენგიზი თავის კაბინეტში შევიდა. ცნობების შედგენა დაიწყო. შემდეგ იზოლატორში გადარეკა.

— გამარჯობათ! — უთხრა მორიგეს. — პატიმრები ხომ ცალ-ცალკე საკნებში გყავთ მოთავსებული? არამცდაარამც ერთმანეთთან დალაპარაკების საშუალება არ მისცეთ.

კაბინეტის კარები გამოიხურა. დეტექტივ-გამომძიებელ ტარიელ ცერცვაძესთან შეიარა.

— ახალი ხომ არაფერია, ბატონო ტარიელ?

— საყურადღებო ცნობები მივიღეთ ბატონო თენგიზ, ახლა ვამთავრებ მათ დაზუსტებას და მინდოდა თქვენთვის გამეცნო. ხომ არ გადახედავთ.

ტარიელმა საქაღალდე გაუწოდა.

თავისუფლებააღკვეთილმა ზ. ზამთარაძემ, იხდიდა რა სასჯელს ქ. რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, განიზრახა ჯგუფური გაქცევა მოეწყო, რისთვისაც დაუკავშირდა იქვე მყოფ მსჯავრდებულებს. ისარგებლეს რა ოპერატიული მორიგის ზ. დემურაძის სარეჟიმო მოთხოვნათა უხეში დარღვევით, კარცერში მოთავსებული მსჯავრდებულები შეხვდნენ ერთმანეთს. რა დროსაც ზ. ზამთარაძემ და სხვებმა სცემეს ზ. დემურაძე. ამის შემდეგ ავტომატური იარაღით შეიარაღებულები თავს დაესხნენ დაცვის №9 საგუშაგოს და მძიმედ დაჭრეს ილია ჯავაშვილი. გაიტაცეს მისი ტაბელური ავტომატური იარაღი. ასევე მძიმედ დაჭრეს იქვე შემთხვევით მყოფი მახარაძე და მოახდინეს ჯგუფური გაქცევა.

აღნიშნულ დაწესებულებიდან გაქცევის შემდეგ, თავს დაესხნენ რუსთავი-გარდაბანის მიმართულებით მოძრავ მოქ. თ. აბულაძის კუთვნილ „ფორდ-ტრანზიტის“ მარკის მიკროავტობუსს და იარაღის მუქარით გაიტაცეს იგი.

2005 წლის 30-31 მაისს, ი. კუგასიანის ოჯახზე თავდასხმის შემდეგ, ლანჩხუთის რაიონის სოფ. შუხუთში გამავალ ცენტრალურ საავტომობილო ტრასაზე, შეამჩნიეს პატრულის მანქანა და გადაუხვიეს გზის მარცხენა მხარეს შემავალ ჩიხში, სადაც მათ პატრულიც მიჰყვა. ბოროტმოქმედები გადმოვიდნენ მანქანიდან და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს.

— დროებითი მოთავსების იზოლატორში მიმელიან, ძალზე მაინტერესებს ეს მასალები... სულ მალე დაებრუნდები... განაგრძეთ მუშაობა — უთხრა თენგიზმა კოლეგებს.

სამხარეო პოლიციაში სიმშვიდე სუფევდა. თანამშრომლები საქმეზე წასულიყვნენ. მხოლოდ ტარიელ ცერცვაძე იჯდა საწერ მაგიდასთან და ქაღალდებს ჩასჩერებოდა. თენგიზი, რომ დაინახა წამოდგა, ქაღალდები გაუწოდა. გამომძიებელმა გულდსმით გადაათვალიერა ყაჩაღური ჯგუფის წევრთა შესახებ მიღებული ცნობები, რომლებშიაც ახალი პიროვნების სახე ამოტიეტიედა..

— ყაჩაღური ჯგუფის წევრები ჩვენს ხელთ არიან, ახლა მთავარია გაეიგოთ ვინ არის და რა კავშირი აქვს მას აღნიშნულ პირებთან.

— ყველფერს გავაკეთებთ ბატონო თენგიზ, მალე სურათსაც წარმოგიდგენთ, — უპასუხა ტარიელ ცერცვაძემ.

მოსაღამოვდა. თენგიზმა გადაწყვიტა სახლში წასულიყო. კარებში გელა გიგინეიშვილი შემოვიდა. შედგა. ისევ უკან გაბრუნდა.

— მობრძანდით ბატონო გელა, რატომ გაბრუნდით?

გელა შემობრუნდა.

— საოცარი ადამიანი ხართ ბატონო თენგიზ... მეგონა მაგიდაზე ჩაგეძინათ და გავებრუნდი, ხელი რომ არ შემეშალა. სინათლე რატომ არ აანთეთ? გიგინეიშვილი ბათუმის ციხეში ყოფილიყო და საინტერესო ამბები ჩამოეტანა.

დილით თენგიზმა კიდევ ერთხელ გადაიკითხა ბათუმის ციხიდან მოსული წერილი. ერთ-ერთი პატიმრის მ. ჟორდანიას მიერ პირის ამოკერვის ფაქტთან დაკავშირებით. თუმცა, მისთვის მთლად გასაგები არ იყო, თუ რატომ ეძახდნენ ციხის ადმინისტრაციაში. ამ შემთხვევაში გამომძიებელს რა უნდა გაეკეთებინა, ქირურგი ხომ არ იყო. მაგრამ მაინც პატიმარ მ. ჟორდანიასთან პირისპირ შეხვედრა გადაწყვიტა.

ამოიყვანეს საკნიდან 25 წლის ჭაბუკი.

— თუ ერთ შეკითხვაზე სწორად მიპასუხებ, აღმკვეთ ეონისძიებას შეგიცველი მეთქი ვუთხარი. ისიც დამთხმდა. პიროვნება, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა იყო საქმეში,

როგორც გაირკვა იმ მომენტში ავტომანქანა რაფით მიდიოდა ქ. თბილისში. აღნიშნულის შესახებ სასწრაფოდ მოვახსენე კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხემძღვანელობას. დაიგეგმა სპეცოპერაციის ჩატარება „ნატახტარის“ საგუშაგოსთან. რადგანაც მას სახეზე არავინ იცნობდა, საჭირო გახდა ოზურგეთის პოლიციიდან თანამშრომლის მიელინება. დრო კი არ ითმენდა. ეეფხო ჩხაიძე 2 საათსა და 40 წუთში ჩავიდა დანიშნულების ადგილზე. მისი ჩასვლა და რაფის გაჩერება ერთი იყო. დაკავებულს აღმოაჩნდა ნარკოტიკებიც, რომელიც გადაპქონდა ბათუმიდან ქ. თბილისში.

ღრმად, რომ ჩაიხედო თენგიზ რუსიეშვილის ცხოვრებაში, რომელიც ხალხისადმი თავდადებული სამსახურის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, თითოეული მის მიერ გამოძიებული სქმე უნდა შეისწავლო. ადამიანის ცხოვრება მის საქმეში ნივთდება ხოლმე.

2008 წლის 23 აგვისტოს, ოზურგეთის შს რაიონულ სამმართველოში, შეტყობინება შევიდა: ალექსანდრე პილგუევის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე. დაიწყო წინასწარი გამოძიება, რომელიც სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის პოლიციის პოლკოვნიკის ელგუჯა ჩაველეშვილის განკარგულებით გადაეცა დეტექტივების სამმართველოს, დეტექტივის თანაშემწეს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ თენგიზ რუსიეშვილს.

ეაკიჯვარში თენგიზ რუსიეშვილი პირადად გაემგზავრა.

დაზარალებულის ახლობლებმა დაკითხვის დროს განაცხდეს: 24 აგვისტოს, გვიან ღამით, გავიგეთ ყოველივე და არ ვიცით რა მოხდაო.

თენგიზმა მთელი სოფელი მოიარა ფეხდაფეხ. ათეულობით ქაცი დაკითხა, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახა. შემდეგ იმ ოჯახის წევრები დაკითხა სადაც ბოლოს იმყოფებოდა დაზარალებული. ყველამ ერთხმად უჩვენა, რომ იმ საღამოს ჩვენი სახლიდან წავიდა და მერე თუ რა მოხდა არ ვიცითო. დაზარალებულმა კი განუცხადა, გზაზე მივდიოდი და უცნობმა პირებმა დამჭრესო. მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ დამაჯერებელი არ იყო მისი ნათქვამი.

თენგიზ რუსიეშვილი მეორე მიმართულებითაც მუშაობდა – ოჯახის მთელი ავკარგის შესახებ გამოპკითხა მეზობლები.

აი რა გამოარკვია მან:

იმ საღამოს, კობა დიდმანიძის ოჯახში სტუმრად იყო ქარელში გამოთხოვილი ვინმე მზია დიდმანიძე, რომელმაც გამოაცილა დაზარალებული. შემდეგ თუ რა მოხდა არავინ იცოდა.

— როგორ ფიქრობთ, მკვლელობის მცდელობასთან რაიმე კავშირი ხომ არ აქვს ამ ქალს? — ჰკითხა თენგომ სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილეს.

— არ ვიცი, რა ვიფიქრო — უპასუხა პოლიციის პოლკოვნიკმა, — არ არის გამორიცხული. ვნახოთ შევამოწმოთ.

სანამ რაიმე ხელმოსაკიდებელ საბუთს არ მოვნახავთ, ამ ქალისაგან არაფერი გამოვაო, იფიქრა.

საბუთიც მალე გამოჩნდა. გამომძიებელი და ამ სტრიქონების ავტორი, დილის 12 საათზე ,ქარელის პოლიციაში ვიყავით. იქ პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე გველოდებოდა.

მათ გავაცანით ჩვენი ჩამოსვლის მიზეზი და ვთხოვეთ მზია მოეყვანათ პოლიციაში.

პოლიციის სამმართველოს უფროსის ოთახში მზია შემოვიდა. შეკითხვის მიცემა მან დაასწრო.

— რაზე დამიბარეთ, პატივცემულო გამომძიებელო?

გამომძიებელმა დაკითხვის ოქმი გვერდზე გადადო.

— ნუთუ თქვენ არაფერი იცით, თუ რა მოხდა დიდმანიძის ოჯახში? მაინც ვის უნდა დაეჭრა პილგუევი?

— არ ვიცი.

— თქვენ გააცილეთ ოჯახიდან დაზარალებული? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— გაცილებით მე გავაცილე, მაგრამ მერე თუ რა მოხდა არ ვიცი.

დიდ დახლართულ გორგალზე, ძაფის რაღაც ერთ თავს ჩასჭიდა ხელი გამომძიებელმა. ძაფი ხან თავისუფლად იხსნებოდა, ხან ათას წვერს ამოიყოლებდა. საჭირო ოყო ცხრასოთხმოცდაცხრამეტი წვერის ჩამოცილება, გამობურდვა, რომ ძაფის გაგრძელება გამოჩენილიყო. ძალით ამოქაჩვა არ შეიძლებოდა — ძაფი წყდებოდა და გაწყვეტილი ადგილი იკარგებოდა. მისი მონახვა და ხელახლა გადაბმა მოთმინებას, გულის გამაწყალებელ, ხანგრძლივ შრომას მოითხოვდა.

მიეყვეთ ამ ძაფს გამომძიებელთან ერთად.

დამნაშავეებს სხვა უმეცრებასთან ერთად, მიუხედავად სამსჯავროს წინაშე მრავალჯერ დგომისა, ერთი ჭეშმარიტება ვერ გაუგიათ, „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს.“

ხელში მობილური ტელეფონი დაუნახა.

თენგო შეეცადა „დედამიწა“ გვერდზე გაეწია. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა მისი მხრიდან შესაბამისი შეკითხვის დასმა.

— თქვენ და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს, თქვენს ახლობელს სერგო სანთელაძეს დაჭრის შემდეგ ოცდარვაჯერ

ელაპარაკეთ ტელეფონით, სადაც იგი გთხოვდა არავისთვის გეთქვათ მომხდარის შესახებ, და აქაც კი ჩამოგაკითხათ.

ფერი ეცვალა. თენგო მიხვდა, რომ სასწორი მისკენ გადმოიხარა.

— საოცარი ადამიანები ხართ გამომძიებლები. როგორ გაიგეთ ასე დაწვრილებით ყველაფერი? ტელეფონის მოსმენით ალბათ? — უთხრა.

— მთელი სამხარეო პოლიცია ამ საქმეზე მუშაობდა. თქვენთან ხელცარიელი ხომ არ მოვიდოდით. შენს ახლობელსაც მალე დავიჭერთ და ისეთ უტყუარ მამხილებელ საბუთებს წარვუდგენთ, რომ იძულებული გახდება ყველაფერი აღიაროს.

— დანის დამალვა ვინ დაგავალა? შენ ეს არ გითქვამს?

— დანაშაულის კვალის დასაფარავად და ძიებისათვის გზის ასაბნევად არ გამიკეთებია ეს მთხოვა და მის რძალს გადავეცი შესანახად.

— ასეთი წვრილმანები როგორ გაიგეთ, აი: სერგომ თქვენი გულისათვის დაარტყაო დანა პილგუევს?

ეს ეუთხარით დაზარალებულს და ყველაფერი აღიარა, რადგან მეტი გზა არ ჰქონდა.

— დანას როგორღა მიაგენით?

— ეს რომ მოგიყვეთ, დიდ დროს წაგართმევთ, ხომ გითხარით დანა ნინოს გადავეცი, მეთქი.

თენგიზი მორჩა დაკითხვას. აშკარად ეტყობოდა, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. თუმცა ისიც არ აძლევდა მოსვენებას, თუ რას იტყოდნენ ხვალზეგ ოჯახის წევრები, ამოიღებდა თუ არა დანას.

აღნიშნულის შესახებ მოახსენდა სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილეს, რომელიც კმაყოფილი ჩანდა გამომძიებლის მუშაობით. — დააიმედა გამომძიებელი ამ საქმისათვის საინტერესო პირები თქვენს ჩამოსვლამდე პოლიციაში იქნებიანო.

შემოვედით თუ არა სამხარეო პოლიციის შენობაში, აღნიშნული პირები გამომძიებელს კაბინეტთან ელოდებოდნენ.

თავიდან არ გასჭრა გამომძიებლის შეგონებამ, თუმცა როცა მზია დიდმანიძე ვუხსენეთ, სანთელაძის ერთ-ერთი ახლობელი იძულებული შეიქნა სიმართლე ეთქვა.

„მხოლოდ დიდბუნებოვან კაცთა თვისებაა ერთხელ რწმუნებული და აღიარებული გაიხადონ, თავისი სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ მთელი ცხოვრება“.

მალე გაასმართლებენ სერგო სანთელაძეს.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენის ხვედრი, დამსახურებული სასჯელია.

„ცხოვრება – ეს არის ბრძოლა შუქისა და წყვდიადის, მდაბლისა და დიადის, მშვენიერებისა და უხამსის. უგონიერესი ისაა, ვინც ამ ცხოვრების რიოშიდან ყველაზე მეტ მშვენიერებას გამოიტანს“.

და, ბატონი თენგიზიც ბრძოლის ყველაზე რთული, პატიოსნების გზით მავალი ცდილობს, ცხოვრების მართლაცდა ამ რიოშიდან სიმართლის მაძიებელი კაცის სახელი გამოიტანოს. რომელიც ასევე ახლოს დგას მშვენიერებასთან.

სულის გამოცდა

მიშიკო კიკვაძე

ჩემს წინაა მკვრივი აღნაგობის, მკვირცხლი და აზრიანი გამომეტყველების ახალგაზრდა კაცი, პოლიციის კაპიტანი, 15 წელი შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობით დამაშვრალი მიხეილ (მიშიკო) კიკვაძე. მისთვის 15 წელი შრომის, მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის, სიკეთის თესვის, დაძაბული წლებია. ამჟამად, ბატონი მიხეილი გურიის მთ. სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელია. ამ თანამდებობაზე მისი დამსახურებისა და დიდი გამოცდილების, მაღალი პროფესიონალიზმის გამო დანიშნეს. საუბრისას ერთგვარი მოუსვენრობა, შინაგანი დაძაბულობა ეტყობა. იგრძნობა, რომ კაბინეტურ საქმიაობასთან ცოტა “მწყრალად” არის. ძველებურად ჩვეული ძიებისა და მოძრაობისაკენ უბიძგებს გული. ამ მხრივ ბევრი რამ აქვს მოსაგონარი ბატონ მიხეილს, უკან ხომ ხიფათითა და განსაცდელით სავსე წუთებია...

გურიის სამხარეო მთ. სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი ეროდი გორდელაძე აღნიშნავს:

„მიხეილ კიკვაძემ, მუშაობის პერიოდში, თავი გამოიჩინა, როგორც დისციპლინიანმა და შრომისმოყვარე თანამშრომელმა. მასზედ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ეკიდება პასუხისმგებლობით. შესწავლილი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაშვებული ბრძანებები, რასაც იყენებს ყოველდღიური მუშაობის დროს. არის თვითკრიტიკული და პრინციპული საკუთარი თავისადმი. რაიონის მოსახლეობასა და პირად შემადგენლობას შორის სარგებლობს კარგი ავტორიტეტით. სამა-

გალითო მუშაობისა და ოპერატიულობისათვის, არაერთხელ იქნა წახალისებული. იჩენს სიფხიზლესა და საზრიანობას დამნაშავე ელემენტების დაკავების დროს. მიხეილ კიკვაძე პატიოსანი, სპეტაკი პოლიციის მუშაკის განსახიერებაა. იგი მოწინავე უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი გახლავთ. გვერდით უდგას ახალგაზრდა თანამშრომლებს და უანგაროდ გადასცემს მათ თავის გამოცდილებას."

პოლიციის მუშაკის ასეთი დახასიათების წაკითხვის შემდეგ თითქოს აქ უნდა დაგვესვა წერტილი, რადგან ეფიქრობთ, სამხარეო პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ესოდენ მაღალი შეფასება საკმაოდ საკმარისია რიგითი თანამშრომლისათვის. მიხეილს არაერთ უმძიმეს ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა. არაერთი საქმის გახსნის ინიციატორი იყო. საქმეები კი იმდენია, რომ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ვაკიჯვარში, ადამ დოლიძის ოჯახს ყაჩაღურად თავს დაესხა 5 შეიარაღებული პირი, მათ შორის ორი გვარდიელი. დაზარალებულმა შესძლო მათი საქვაბეში ჩამწყდევა. მეზობლებმა ატეხეს ყვირილი. გამთენიისას დააკავეს ხუთივე ბოროტმოქმედი. ნაყაჩაღარი ავტომანქანაც ამოიღეს, რომელიც გარდაბნიდან პყაედათ გატაცებული. ხუთივე ბოროტმოქმედი მოთავსებულ იქნა ოზურგეთის წინასწარი დაკავების იზოლატორში. ერთ-ერთი დაკავებულის შემთხვევის ადგილზე გაყვანისას მოხდა კურიოზი. უფრო სწორად, იმ მომენტში, როდესაც დაპატიმრებული კილაძე უჩვენებდა საქვაბეს, ოჯახის პატრონმა დოლიძემ რეგისტრირებულ „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან 5-6 ჯერ გაისროლა პაერში ეჭვმიტანილის შეშინების მიზნით, კილაძემ დაიჩოქა და ყვიროდა ნუ მომკლავ, კუსა ბიძიაო. ცოტა არ იყოს შემეშინდა. შემდგომში დანარჩენი პირების გაყვანას რაიმე გართულება არ მოჰყოლია.

ჭიათურელი დავით ჯოხაძე პატიოსან შრომას გულს ვერ უდებდა. თვალი სულ ავკაცობაზე ეჭირა. კიდეც გააფრთხილეს, სამუშაოც შესთავაზეს, იქნებ გონს მოვიდესო, მაგრამ... იგი მაინც მგლისა არ იყოს, ტყისკენ იყურებოდა. ბოლოს ჭიათურიდან ოზურგეთში გადაინაცვლა. გული გულს იცნობსო, ნათქვამია და მანაც ნახა ამფსონები – ბეჟან მელუა და კახა ჩავლეიშვილი. მელუას სამოქმედო არენად ჭიათურა აერჩია, მაგრამ ჯოხაძემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

დანარჩენ ძმადნაფიცებს ოზურგეთში ასე იყო თუ ისე მოეთათბირნენ. ძმაკაცებმა საბრძოლო მუზეუმის წინ გენერალ–პოლკოვნიკების კ. ლესელიძისა და პ. ჩანჩიბაძის ძეგლებს დაადგეს თვალი. ჯერ ეს ორი ავიღოთ და თუ საქმე სარფიანად წარიმართა, შემდეგ სხვებსაც მივხედოთ,– უთხრა ჯოხაძემ თანამზრახველებს და მარტის სუსხიან ღამეს შეეჭიდნენ კონსტანტინე ლესელიძისა და პორფილე ჩანჩიბაძის ძეგლებს. სათანადო ხელსაწყოებით შეიარაღებულებმა ძეგლები კვარცხლბე-

კიდან მოხსნეს, მანქანაზე დააგდეს და გზას გაუყენეს. მაგრამ ასი მეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, ლესელიძე არ „დაემორჩილა“ და მანქანიდან „გადმოუხტა.“ ჩანჩიბაძის ძეგლი მაღაროთა სამმართველოს ტერიტორიაზე, ავტომანქანების ძველ ფარეხში მიიტანეს. თითო ჭიქა არაყიც გადაჰკრეს და ისევ იბრუნეს პირი კონსტანტინე ლესელიძისაკენ. ძეგლთან ავაზაკებს პოლიციელები დახვდნენ და ამიტომ იქაურობას გაეცალნენ.

მე და ჩემი მეგობრები გიეი მათითაშვილი და კახა კუტუბიძე ემუშაობდით აღნიშნული საქმის გახსნაზე. შემოვიდა რამდენიმე ოპერატიული ინფორმაცია. დავადგინეთ, რომ ბოროტმოქმედებმა პორფილე ჩანჩიბაძის ძეგლი დაამტვრიეს, ბათუმში ჩაიტანეს და 240 ათას რუსულ რუბლად გაყიდეს. ჯართის მიმღებმა ლითონის ნამტვრევებს შორის გენერალ-პოლკოვნიკის სამხრეები გაარჩია და ბათუმის პოლიციას აცნობა.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, სამივე ბოროტმოქმედი დავაკავეთ.

დღესაც კარგად ახსოვს მიხეილ კიკვაძეს 1993 წლის სექტემბერი: მორიგედ იყო განყოფილებაში, რა დროსაც სამორიგეო ნაწილს, თაეს დაესხა 30-მდე კბილებამდე შეიარაღებული მხედრიონელი, მიაყენეს მას ფიზიკური შეურაცხყოფა, გააღეს საკნები და გამოუშვეს პატიმრები. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ათამდე ბოროტმოქმედი დაკავებულ იქნა. ასევე დააკავეს გაქცეული პატიმრები.

2007 წლის 19 ივლისს, დაახლოებით 10 საათსა და 30 წუთზე, “სახალხო ბანკის” ოზურგეთის ფილიალის თანამშრომელმა ნათელა გულიაშვილმა ბანკიდან გამოიტანა ოზურგეთის რაიონის სოფ. ბაილეთის პენსიონერთათვის განკუთვნილი თანხა 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით და თავისი მეუღლის ავთანდილ ჩხარტიშვილის კუთვნილი “ვაზ-2103” მოდელის ავტომანქანით წავიდა ოზურგეთის რაიონის სოფ. ჯუმათის მიმართულებით. მას თან გაჰყვა უსაფრთხოების მიზნით შს ოზურგეთის რაიონული განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი მიხეილ კიკვაძე მასზე გაპიროვნებული „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და ტაბელური “მაკაროვის” სისტემის პისტოლეტით. ავტომანქანაში ასევე იჯდა ოზურგეთის რიონის სოფ. ბაილეთში მცხოვრები თამაზ ჩხარტიშვილი. ავტომანქანას უკან გაჰყვა ნუკრი ჩხარტიშვილი თავისი კუთვნილი “ვაზ-2106” მარკის ავტომანქანით. ოზურგეთის რაიონის სოფ. ბაილეთის ტერიტორიაზე მსვლელობისას, ავტომანქანას თაეს დაესხა ხუთი ნიღბიანი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი, რომლებმაც ზემოხსენებულ “ვაზ-2106” მარკის ავტომანქანას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუხსნეს ცეცხლი. ავტომანქანას დაუზიანდა წინა მარცხენა და უკანა მარცხენა საბურავი, რის გამოც ეეღარ შეძლეს გადაადგილება, რის შემდეგაც

მიხეილ კიკვაძემ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს ბარძაყის არეში და ძალადობით გაიტაცეს პენსიონერთათვის განკუთვნილი თანხა 10000 ლარის ოდენობით, მიხეილ კიკვაძეზე გაპიროვნებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი, ნუკრი ჩხარტიშვილის კუთვნილი "ვაზ-2106" მარკის ავტომანქანა, რომელიც შემდეგ, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, აღმოჩენილი იქნა ლანჩხუთის რაიონის სოფ. გულიანის ტერიტორიაზე. დაჭრილი მიხეილ კიკვაძე სასწრაფოდ გადაიყვანეს ჯერ ოზურგეთის რაიონულ სავადმყოფოში, შემდეგ ქუთაისში. მას გაუკეთდა სამი ოპერაცია და შესაძლებელი გახდა მისი სიცოცხლის შენარჩუნება. თუმცა ფეხი დამოკლებული აქვს სამი სანტიმეტრით. ღღესაც ჩაესმის ბოროტმოქმედის სიტყვები: „ეს ვინ ყოფილა ბიჭო!" – ამ სიტყვების შემდეგ არც უფიქრია გადარჩენაზე, ფაქტიურად სიკვდილს უყურებდა თვალებში.

მიხეილის მთავარი ამოცანაა ბოროტმოქმედთა მხილება – ღღესაც არ ასვენებს აზრი იმის შესახებ, თუ ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ.

თავისი კარგი კაცობით და სიკეთით ყველასათვის ახლობელი და საყვარელია ბატონი მიხეილი. პატიოსნად დადის იგი ცხოვრების რთულ გზაზე. მან გულმართლად უერთგულა თავის ქვეყანას შრომაშიც და ბრძოლაშიც. ეს კი, პირველ რიგში, მისი დიდი ოჯახის, განსაკუთრებით, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებში მცხოვრები ბებიის, 85 წლის ღვაწლმოსილი, მოკრიმანჭულე, ლოტბარის, ამაგდარი ქალბატონის – ლუბას დიდი დამსახურებაა.

ზოგჯერ ისმება შეკითხვები, რომლებსაც მოვლენები უფრო განსაზღვრავს, ვიდრე პასუხები.

მიხეილისთვის არავის უკითხავს, ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, ისევ ამ გზას აირჩევდი თუ, არაო. მაგრამ ეს შეკითხვა მას ცხოვრებამ დაუსვა და მწარე გაკვეთილიც ჩაუტარა.

როცა ყაჩაღის მიერ დაჭრილი, დაფლეთილი სხეულით საავადმყოფოში მიიყვანეს, მისი გადარჩენის იმედი აღარც იყო. სიკვდილიც მზაკვრულად იღიმებოდა. მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლის სასწორი სიკეთისაკენ გადაიხარა, ეს მეორედ მოსვლას ჰგავდა.

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კი მიხეილ კიკვაძემ იმ ფეხით, რომელზეც სამი ოპერაცია გაუკეთდა და რომელიც სამი სანტიმეტრით დაუმოკლდა, ისევ პოლიციაში შეაბიჯა, თუმცა მშვენიერად იცოდა, რომ მსგავსი შემთხვევები არც შემდეგ იქნებოდა გამორიცხული.

ეს მისი სულის ერთგვარი გამოცდაც იყო. შიში სუსტების იარაღია. ძლიერებს ის არ სჭირდებათ.

ასეა ცხოვრება: მწარეს ტკბილი ახლავს, ჭირს – ლხინი. ზღაპრის ბოლო კეთილია.

ბოლომდე კეთილი ნაბიჯებით გეელოთ, ბატონო მიხეილ!

ძლიერი სულის პატრონი კაცი

გოჩა ფერსაშვილი

ნეტავ რომელი დედა ზრდის შვილს პოლიციელად? ნეტავ რომელი მასწავლებელი ამზადებს აღსაზრდელს მუდმივ ჯარისკაცად ყოფნისათვის? გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ სიმართლე: ალბათ ყველა არა! მაგრამ უძლიერესი ვაუკაცები ფსიქოლოგიური გამძლეობით ზოგჯერ სჯობნიან დედას, მასწავლებელს, ყველას და ნებისმიერი საბედისწერო შემთხვევისაკენ პირველები მიეშურებიან ისეთი თავგამეტებით, თითქოს იქ საფრთხისა არა იყოს რა.

მუდმივად პოლიციელთა ცხოვრებით უნდა ცხოვრობდე, რომ ყველაფერი სწორად გააცნობიერო, გახსნა ნასკვი და გააგებინო საზოგადოებას, თუ რატომ ჩაიარა იმ ღამემ ჩვენთვის მშვიდად და პოლიციელთა იმ საგუშაგოსათვის, სადაც მაიორი გოჩა ფერსაშვილი ჩვენს სიცოცხლეს იცავდა – ფათერაკიანად.

ზემოთ ვთქვი, რომელი დედა ზრდის შვილს პოლიციელად, მეთქი, დიახ ასეთი მშობელი გოჩა ფერსაშვილის დედაა – მასწავლებელი, ამაგდარი პედაგოგი.

გოჩა გიორგის-ძე ფერსაშვილი დაბადებულია 1974 წლის 29 მარტს, ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში. ერთი წლის იყო გოჩა, როდესაც მისი მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ დაბა ლაითურში. ფაქტიურად მისი მეორე სამშობლო გურიაა. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1993-1995 წლებში არმიაში მსახურობდა მე-11 ბრიგადაში. შესანიშნავი ჯარისკაცი იყო. სთხოვეს იქ დარჩენა, მაგრამ მაინც ეს პროფესია აირჩია და... 1993-1994 წლებში იმყოფებოდა აფხაზეთში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა საომარ ოპერაციებში. 1995 წლიდან, გურიის სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრია. 1996 წელს კი საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის შტაბშია. 2004 წელს, გაიარა პატრულის კურსები და დაინიშნა საპატრულო პოლიციის მე-8 განყოფილების პატრულ–ინსპექტორად, შემდგომ ოცმეთაურად, გურიის ტრასის უფროსად. 2005 წელს საპატრულო

პოლიციის გურიის სამმართველოს უფროსია. 2006 წელს გადაჰყავთ სამხარეო საუბნო ჯგუფის კორდინატორად, შემდეგ საუბნო ჯგუფის უფროსად.

საღამოს ბინდიბუნდია, პოლიციის საგუშაგოსთან არასაიმედო წყვილი შეამჩნია. მარტომ იტვირთა საქმე.

– დაწექით ახლავე! – ტყვიის გასროლას ჰგავდა ღამის მყუდროებაში მის მიერ გაცემული უმტკიცესი ბრძანება. ერთი მოწყვეტით დაეცა, მეორე გაქრა. ბოროტმოქმედი დაკავებულ იქნა.

– რა თქმა უნდა, ორივეს ვერ ვაჯობებდი, საქმე ჩემს სასარგებლოდ წარიმართა – ამბობს გოჩა.

გიორგი ფერსაშვილი

დიახ, პოლიციელის დიდოსტატურმა ხელოვნებამ განმუხტა უმძიმესი სიტუაცია, მაგრამ, აშკარა საფრთხის რეალური განცდა მაინც სულ სხვაა, ენით გამოუთქმელი მძიმე ფსიქოლოგიური აქტია. ამ წამების ჩაწედომა მომაკვდავთაგან არავის არ ძალუძს და აფერუმ თქვენს გამძლეობას, გოჩა ფერსაშვილო. ძნელი დასაჯერებელია, იმ ღამით ძილი მოკიდებოდეს მასწავლებელ დედას.

2008 წლის 1 იანვრიდან დღემდე გოჩა საუბნო განყოფილების უფროსია, მის დაქვემდებარებაში 60 უბნის ინსპექტორგამომძიებელია.

გოჩას კარგად ახსოვს წყალწმინდის ტერიტორიაზე ჩატარებული ოპერაცია. მისმა ოპერატიულობამ და საზრიანმა მოქმედებამ შესაძლებელი გახადა დაეკავებინათ ადამიანის გამტაცებელთა ჯგუფი და ამოეღოთ იარაღები. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია რომ მიიღო, ფაქტიურად მარტო იყო. დრო კი არ ითმენდა. ბოროტმოქმედები რესტორანში ქეიფობდნენ. დამხმარე ძალები გამოიძახა, იყითხონ კი დროს გაყვანის მიზნით, ყველა მათი საბუთები გადაამოწმებინა. ფაქტიურად ისე წყნარად და ოპერატიულად მოეწყო მათი აყვანა და იარაღის ამოღება, რომ ვერც მიხვდნენ თუ რა ხდებოდა.

სიკეთითა და სიყვარულით გამორჩეული პიროვნებაა გოჩა, იუმორით აღსავსე, ლამაზი, მხარბეჭიანი, ალალმართალი, თბილი და მოსიყვარულე, რომელიც უანგაროდ უნაწილებს ადამიანებს გულის სითბოს. ფიზიკური და სულიერი სილამაზით გამორ-

ჩეულს, გაჭირვებული ადამიანის დახმარება თავისი ცხოვრების მრწამსად აქვს გადაქცეული. და კიდევ ერთი დეტალი: იშვიათად შემხვედრია ადამიანი, ისეთი მოსიყვარულე და ყურადღებიანი ყოფილიყოს საკუთარი ოჯახის მიმართ როგორიც გოჩაა. ოჯახური კერა – ეს რაღაც ღვთაებრივი სახატეა მისთვის.. ეს ალბათ მისი მეუღლის, ლია ცელაძის დამსახურებაცაა. გოჩას უფროსმა ქალიშვილმა ნონამ 4 წლის უკან შექმნა ოჯახი და ერთი შვილი ჰყავს ლუკა ხალვაში. გოჩას ვაჟი, გიორგი კი პატარაა, მაკვანეთის საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეა.

მოგეხსენებათ, შვილებისთვის მამა, ყოველთვის ავტორიტეტია. ისინი ამაყობენ მამის ვაჟკაცობით, სამსახურით და ხშირ შემთხვევაში, მამის გაკვალულ გზას ირჩევენ. ჩემი პატარა რესპოდენტიც მომავალი პოლიციელი გახლავთ. გიორგი ფერსა-შვილი ჯერ მხოლოდ 9 წლისაა. დადის ჭიდაობაზე, უყვარს ფეხბურთი, ხალხური სიმღერები, კომპიუტერთან თამაში, მეგობრებთან ურთიერთობა და ქათმის ხორცი.

– გიორგი, როგორი ბავშვი ხარ?

– მე ცელქი ბავშვი არა ვარ, დედიკოს და მამიკოს არ ვაბრაზებ.

– იცი, მამიკო სად მუშაობს?

– როგორ არ ვიცი, მამიკო პოლიციელია, ქურდებს და ყაჩაღებს იჭერს, ის სულ სამსახურშია, მენატრება კიდეც.

– მამიკოსთან სასეირნოდაც არ დადიხარ?

– მამიკო? მამიკო ჩემთვის ვერ იცლის. ორი წელია მპირდება „ციცინათელაში“ წაყვანას თუმცა მამიკო სულ მუშაობს. გვიან ღამით მოდის სახლში. დედიკო ამბობს, მორიგეობაზეაო, არ იფიქროთ, რომ არ ვამაყობდე მამიკოთი, მიხარია, რომ ცუდ ბიჭებს იჭერს და ჩემი თანატოლების სიმშვიდეს იცავს.

– შენ ძალიან ჭკვიანი ბიჭი ხარ.

– მინდა მამიკო და დედიკო ჩემით ამაყობდნენ. მე პოლიციელი გავხდები,(იცინის) ან მოჭიდაველ (ფიქრობს)... არა ნამდვილად პოლიციელი ვიქნები.

მეგობრებთან როგორ ერთობი?

– კომპიუტერს ვთამაშობთ, ფეხბურთს, დაჭერობანას.

როცა გაიზრდები, ნამდვილ დამნაშავეებსაც დაიჭერ არა?

– როგორც საჭირო იქნება.

დიახ, ასეც იქნება, პოლიციელის ოჯახში, როგორც წესი, ერთ-ერთ მემკვიდრეს ყოველთვის უჩნდება პოლიციელად გახდომის სურვილი. ამ შემთხვევაში არც გიორგი დაარღვევს ტრადიციას. მას ჭიდაობა და პოლიციელობა აინტერესებს. თუმცა, ვინ იცის, ცხოვრება ხომ წინ არის. ბატონ გოჩას და ქალბატონ ლიას

კი საამაყო ნამდვილად აქვთ, რომ ასეთ კარგ და წესიერ ვაჟს უზრდიან საქართველოს.

დღეისათვის თითქოს სიტუაცია სტაბილურია, მაგრამ გოჩა ფერსაშვილი ყოველთვის იმ ცხელ ადგილებში აღმოჩნდება ხოლმე, სადაც ყველაზე უფრო საჭიროა ქვეყნის სამსახური და ყველა ქართული ოჯახის იმედად ყოფნა.

თავისი საქმის პროფესიონალი

გურამ ასათიანი

არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი გულის სითბოს ისე გინაწილებენ, თითქოს მისი ტყუპის ცალი იყო. ირგელივ სიყვარულს, სითბოს თესავენ. შენგან მცირედითაც კმაყოფილდებიან, თვითონ კი უხვად გასცემენ ღვთისგან ნაბოძებ ადამიანურ, სულიერ სიმდიდრეს, სისპეტაკეს. გმოსავენ ზნეობის მაგალითით. ერთი ამათგანი არის პოლიციის კაპიტანი ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი გურამ ასათიანი, რომელიც ბუნებრივად ჩამოყალიბდა პროფესიონალად და ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი რჩეულთა შორის იმ პიროვნული თვისებების გამო, რითაც უხვად დაჯილდოვა განგებამ. წიგნიერი, სათნო, კეთილმოსურნე, ხალისიანი, მომღიმარე, უბოროტო, სამართლიანი. გურამისთვის არ არსებობს მარტივი და რთული საქმე. საფრთხე არაერთხელ დამუქრებია მის სიცოცხლეს, მაგრამ მან არ იცის რა არის შიში, ყოველთვის ჯიქურ, პირდაპირ ასრულებს თავის მოვალეობას.

გურამი სისხლითა და ხორცით ჩეკისტია, ჩეკისტური ცხოვრების მრავალფეროვნება ყველგან დაჰყვება და არ ასვენებს. გურამი ჭაბუკობიდანვე გამორჩეული იყო... ხანდახან გვიკვირს კიდეც როგორ უნაწილებს იგი ყველას უშურველად გულის სიკეთეს, როგორ არის ყოველთვის მზად გვერდში დაგიდგეს და უკან არ დაიხიოს. „დამნაშავეთა სამყაროსადმი“ შეურიგებლობამ ბევრი მტერიც შესძინა, ავყიები მოუმრავლა. რას იზამთ, ჭრელია ქვეყანა.

მართლაც იშვიათია ასეთი ადამიანები. გურამ გიგლას-ძე ასათიანი, დაიბადა 1969 წლის 27 დეკემბერს, ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში. წარჩინებით დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. 1978 წელს სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში საღამოს სწავლების ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად მუშაობდა ქ. ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში მუშად, 1980-1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1986 წლიდან ოზურგეთის რაიონშია და მუშაობას იწყებს №8-ე სამშენებლო ტრესტში ინჟინერ-მექანიკოსად. 1987 წელს კი, გადაჰყავთ ტრესტ „კულტმყოფრემშენ"-თან არსებულ პანსიონატ „მოსკოვის" მშენებლობაზე ინჟინრად, მოგვიანებით – დირექტორის მოადგილედ.

მშობლიურ რაიონში, ეროვნული გვარდიის ბატალიონის შექმნის დღიდან, აღნიშნულ ბატალიონის ჯერ ქიმიური სამსახურის უფროსი, შემდეგ კი ბატალიონის უფროსის მოადგილე იყო ზურგის დარგში. აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყების დღიდან იმყოფებოდა ბრძოლის ველზე.

გურამმა ჩემთან საუბარში გაიხსენა რამდენიმე ეპიზოდი:

„1992 წლის 13 სექტემბრის საღამოს, ეროვნული გვარდიის სამმართველოდან მივიღეთ ბრძანება, რომ რკინიგზის დაცვის მიზნით უნდა განლაგებულიყავით აფხაზეთის ტერიტორიის სხვადასხვა ობიექტებზე. გურულებმა იმდენი ვიმარჯვეთ, რომ სოხუმში, პირველები შევედით. გვესროდნენ, ჩვენ კი გაოგნებულებმა პოზიციები ძლივს დავიკავეთ და... ომშიც ჩავებით. მესამე დღეს მოგვცეს ბრძანება ქ. სოხუმის ტერიტორია გაგვეველო და მეორე მხარეს პოზიციები გაგვემაგრებია. ბრძანება შევასრულეთ, ქალაქი გავიარეთ, მდინარე გუმისმთის ხიდზე ტანკი დაგვიზიანეს და სამივე მხრიდან ალყაში მოგვაქციეს. მხოლოდ უკან დასახევი გზა დაგვიტოვეს. მაგრამ ოზურგეთის ბატალიონს, დიდგორის ბატალიონთან ერთად, უკან არ დაგვიხევია. სამი დღის შემდეგ გადაგვიყვანეს სოფელ ცაგერასთან, სადაც ერთ-ერთ ჩატეხილ ხიდთან ვპატრულირებდით. იქ ერთი თანამებრძოლი მოგვიკლეს, ერთი კი დაგვიჭრეს. მახსოვს ჩვენი მებრძოლები (ცაგარეიშვილი, სანიკიძე და დოლიძე) ტენტგადახდილი „ვილისის" მარკის ავტომობილით პატრულირებდნენ. მოულოდნელად ავტომანქანას ჩასაფრებულმა სეპარატისტებმა ესროლეს „მუხა". მძღოლი ცაგარეიშვილი დაიბნა და წავიდა იმ მიმართულებით, საიდანაც ესროლეს, რა დროსაც გაუხსნეს ცეცხლი. სროლის ხმაზე მისაშველებლად გავიქეცით, ავტობუსიდანვე დავინახე როგორი თავგანწირვით ებრძოდნენ დოლიძე და სანიკიძე სეპარატისტებს. პირველმა მივირბინე მანქანასთან და ბრძოლა

ჩემს თავზე აეიღე. ცაგარეიშვილი უკვე ხროტინებდა, სანიკიძე კი მარცხენა მკლავში იყო დაჭრილი. ალბად აზრი არ მეკითხებოდა, რადგან სამგორის ბატალიონის ტანკს, რომელსაც მართავდა „გიუნა“, წინ ვედექი, ეუთითებდი ერთერთ სახლზე, საიდანაც გვესროდენ და ვუკვიროდი ესროლეო. ბოლოს ტანკიდან გაისროლეს, ცეცხლის ალში გაეცხვიე, არაფერი მესმოდა. ეტყობა, მექანიკურად აღნიშნული სახლის მიმართულებით მიერბოდი, მაგრამ ბედად ერთ-ერთი თანამებრძოლი დამეწია და შემაჩერა. მაშინ პირველად მიეიღე კანტუსია. თუმცა, საავადმყოფოში არ დავწოლილვარ, რადგან სამაგისოდ არ გვეცალა, ცაგარეიშვილი გვეაედა გარდაცვლილი. ის თბილისში გადავასვენეთ. ორი ჯგუფი ტყვარჩელის მიმართულებით გაგვამწესეს. ბოლო ქართულ სოფელთან მოსახლეობას გზა ჭქონდა გადაკეტილი. აგვიხსნეს, რომ ისეთი გზები გვქონდა გასავლელი, სადაც რამდენიმე სეპარატისტს შეეძლო მხოლოდ ხელეუმბარებითა და ავტომატით მთლიანად გავენადგურებინეთ. უკან დავბრუნდით, მაგრამ გადამცემების არარსებობის გამო, მეორე ჯგუფს ვერ დავუკავშირდით. გადავწყვიტეთ მათ დავწეოდით და უკან ღაგვებრუნებინა. ამ დროს, ოზერგეთიდან ჩამოვიდნენ ჩვენი თანამებრძოლები და წავედით მეორე ჯგუფის დასაწყვეად. სოფელ ლაბრაში სომეხი ეროვნების მოსახლეობასთან პატარა ინციდენტი მოგვიხდა. გზა გაეგრძელეთ. ომის წესია, თუ შემოვლითი გზა არსებობს, გაეალილ გზაზე უკან არ უნდა დაბრუნდე, რისკი ნაკლებია. ჩვენც გადავედით აფხაზურ სოფლებში და უკან შემოვლითი გზით დაებრუნდით. მაგრამ, რომ დავაგვიანეთ, ადგილზე დატოვებული თანამებრძოლები აღარ დაგვხვდნენ. ჩვენს დასახმარებლად წამოსულიყვნენ. ამ დროს, ვიღაცამ ჭორი გააერცელა, რომ ცაგარეიშვილი გადარჩაო. სიხარულით ბიჭებმა ავტომატები ისროლეს, ხოლო ბერდია ცეცხლაძემ, რომელიც ჩემს უკან რამდენიმე მეტრში იდგა, „გრანატამეტი“ ისროლა ისე, რომ არ გაეუფრთხილებიკარ. ცეცხლის ალის დარტყმით რამდენიმე მეტრში გადაეარდი. ეურებში რაღაც წეოდა, ფეხზე ძლივს დავდექი. ალბათ მაშინ მეორეჯერ მიეიღე კანტუსია. მაგრამ მაგისთვის ვის ეცალა. ამბავი მოგვეიტანეს, რომ ბიჭები, რომლებიც ჩვენს დასახმარებლად იყვნენ წამოსულები სოფელ ლაბრაში ალყაში მოუქცევიათ და ჩაუცხრილავთო. სოფელ ლაბრის მიმართულებით დაეიძარით. გზაში დიდგორის ბატალიონის „ბეტეერი“ შემოგვხვდა, დაჭრილები მოჰყავდათ, ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, ვერ გავარჩიე ვინ იყო და ჯონი ვასაძე, გოჩა შილაკაძე მეგონა. როცა მითხრეს გოჩა და სხვა გარდაცვლილი ბიჭები სოფელში დაეტოვეთო, მთლად გავეიყვანე.

მანქანაზე დაეჯექი და სოფლის მიმათულებით წავედი, ყველანი გამომყვნენ, მხოლოდ რომელიღაც შენაერთის ოთხმა „ბეტეერმა“ ლუქები ჩაკეტეს, შემობრუნდენ და გაიქცნენ. აღარ გვინახავს, თორემ ალბათ ეკიპაჟს, ბრძოლაში მიტოვებისათვის, ჩვენი ბიჭები დახვრეტდნენ. სოფელში გიუივით შევიჭერით. იმ ადგილას, სადაც ჩვენ ინციდენტი მოგვიხდა, დაცხრილულ მდგომარეობაში ჩვენი ბატალიონის „ზილ-130“ იდგა. ძარაზე შეეხტი. პირველად ჩემი ძმაკაცი და თანამებრძოლი დიმა თალაკვაძე დაეინახე, კაბინაზე მიყრდნობილიყო. მოულოდნელობისაგან უკან ჩამოვხტი, გავიძახოდი დიმაც აქ ყოფილა, მეთქი. შემდეგ ძარაზე კელავ ავხტი, მარჯვენივ გოჩა შილაკაძე და ჯამბული ვასაძე იყვნენ ჩაცხრილული. დიმა ჯერ კიდევ თბილი იყო. ცოცხალი მეგონა, ვიფიქრე შოკში არის–მეთქი, ღილები ჩამოვაგლიჯე, ნატყვიარი არსად აჩნდა. ბოლოს თავი წინ გადმოუვარდა და სისხლიც კეფიდან მკერდზე გადმოეღვარა. მეორე მანქანაზე გადმოვასვენეთ დაღუპულები, საჭესთან მე დავეჯექი, გვერდით გელა ბაქანიძე დამიჯდა. ძარაზე დიდგორის ბატალიონის ორი „პულიმიოჩიკი“ დადგა. უკვე დაღამდა კიდეც. სახიფათო იყო, მაგრამ, სოხუმის მორგამდე უნდა ჩავსულიყავით. შუქების გარეშე ჩავედით სოხუმში. გზაზე რამდენჯერმე მოგვიწია სეპარატისტებთან შეხვედრა, მაგრამ „მეტყვიამფრქვეველების“ წყალობით სოხუმამდე ჩავაღწიეთ. გამთენიისას ოჩამჩირეში წავედი, იქ საავადმყოფოდან ერთი გარდაცვლილი და ერთიც დაჭრილი თანამებრძოლი უნდა გადმომეყვანა აეროპორტში, სადაც სოხუმის მორგში დატოვებულ თანამებრძოლების ცხედრებს დამახვედრებდნენ ოზურგეთში გადასასვენებლად. სოხუმის აეროპორტში უაზრო სისწრაფით შევედი. თურმე ყერტმფრენის ფრთებს კინაღამ წამოვედე. ასე გავიცანი პოლკოვნიკი მაისურაძე, რომელიც მართლაც ბრწყინვალე მფრინავი და მებრძოლი იყო. მისი ყერტმფრენით გადმოვასვენე 5 თანამებრძოლის ცხედარი. გზაში გარდაცვლილებზე ეფიქრობდი, რაინდებად მიმაჩნდა, საქართველოს ერთიანობას რომ შეეწირნენ. იმ დროს, სიცოცხლე ნამდვილად არ მინდოდა. ეხლა კი, ყველაფერი სხვაგვარად ჩანს.

სოხუმში ხშირად ჩავდიოდით, დავალების შესრულების შემდეგ კი, უკან ბატალიონის დისლოცირების ადგილზე ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში ვბრუნდებოდით. ჩემი წასვლის შესახებ მშობლებმა არაფერი არ იცოდნენ.

ერთ-ერთი ასეთი წასვლის დროს, გვარდიის სამმართველოს ხელმძღვანელობის ბრძანებით, "მთის უბანში" გაგვანაწილეს. „მთის უბანში“ რთული ვითარება დაგვხვდა, 200 მებრძოლიდან, რომლებიც პოზიციების გასამაგრებლად ტყეში შევიდნენ, უკან

მხოლოდ 25 იყო დაბრუნებული. ისინი ჩვენ უნდა ჩაგვეენაცვლებინა, თორემ ის მონაკვეთი დაუცველი დარჩებოდა. სხვა გზა არ იყო, დაკალება უნდა შეგვესრულებინა. ბიჭები „მთის უბანში" ავიყვანეთ, უკვე ღამდებოდა. ადგილზე გავაცანით სიტუაცია და პოზიციებზე გავანაწილეთ. პაროლს ვეუბნებოდი და ეაფრთხილებდი, ღამით ჩემს გარდა, სხვა არავინ უნდა მოსულიყო და თუ ვინმე მაინც გამოჩნდებოდა, პაროლის თქმის გარეშე არავინ არ გაეტარებინათ. ერთ-ერთმა თანამებრძოლმა მითხრა, პაროლის თქმას როდემდე ველოდო, გთხოვ დილამდე არავინ მოვიდეს, თორემ შეიძლება შემეშალოსო. პირველი დღე იყო და ეტყობა შიში ვერ დაეძლია. იმ ღამეს მის გარდა ყველას ვეხმაურებოდი. ბათუმის ბრიგადაში ერთი კარგი, სიცოცხლით სავსე მებრძოლი იყო, ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურში მცხოვრები გვარად დუმბაძე, რომელიც „ნავოდჩიკს" დაყვებოდა. ერთ-ერთი ასეთი გასვლის დროს, როდესაც „ნავოდჩიკი" შენიღბულ ადგილზე დატოვა და უკან ბრუნდებოდა, გზაში სეპარატისტები შეხვდნენ. დუმბაძემ მოასწრო და ცეცხლი გაუხსნა, ერთ-ერთი მოკლა, მეორემ გაასწრო. რამდენიმე დღეში, ზუსტად იმ ადგილზე მოკლეს დუმბაძე.

ჩასვლიდან დაახლოებით 20 დღის შემდეგ, ოზურგეთის ბატალიონის ბიჭები ჩამოვიდნენ. მაშინ ბატალიონის მეთაური ყოფილი პარლამენტარი ვიტალი ჯაში იყო. მან მითხრა: ოზურგეთში ჩადი დუმბაძის ქელეხის საკითხებს მიხედეო. ის არ უთქვამს, რომ ვიღაცას ჭორები გაუვრცელებია გურამი ტანეზე დაწვესო, თურმე ამ ჭორის შესახებ მშობლების გარდა ყველას სცოდნია და მგლოვიობდნენ. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, როდესაც მოულოდნელად ცოცხალს დამინახავდნენ. მანქანებს აჩერებდნენ, მაღაზიებიდან გამორბოდნენ. ერთი სიტყვით, ვინც მხედებოდა ყველა მკოცნიდა, გულში მიკრავდა და დაბრუნებას მილოცავდა. მაშინ მივხვდი, როგორ ვუყვარდი მათ. "

1995 წელს შეიქმნა გურიის სამხარეო მთავარი სამმართველო, რომლის უფროსადაც დაინიშნა პოლიციის მაიორი გენადი გიორგაძე, ამ ლეგენდარული პიროვნების რეკომენდაციით გურამ ასათიანი დანიშნეს სს სამძებრო განყოფილებაში, რომლის უფროსადაც მუშაობდა გამოცდილი ოპერატიული მუშაკი გიგლა ხაბულიანი. ამ უკანასკნელის გარდა, არცერთს არ ჰქონდა მილიციაში მუშაობის გამოცდილება. სწორედ გიგლა ხაბულიანისა და მაშინდელ სამხარეო სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილის ლაკეარდი ბოლქვაძის დამსახურებაა, რომ იგი ასე თუ ისე გაერკვა ოპერატიული საქმიანობის ნიუანსებში.

პირველი ოპერაცია ღღესაც კარგად ახსოვს. თვენახევრის დანიშნული იყო როდესაც დაიგეგმა და განხორციელდა ე. წ. „ქორიძის“ ჯგუფის აყვანა.

1998 წლის 22 აპრილს, გურამმა და მისმა მეგობრებმა ერთ-ერთი ოპერაციის წარმატებით დამთავრება აღნიშნეს. ცოტა დალიეს კიდეც. გურამი რაციით რამდენიმეჯერ შეეხმიანა სამეზობლო განყოფილების ხელმძღვანელობას. სწორედ მათგან გაიგო, რომ სამხარეთს უფროსმა მოიკითხა. ღილით ადრე ადგა. საშინელ პახმელიაზე იყო, მაგრამ მაინც წავიდა სამსახურში. შეამჩნია, რომ მისი მანქანის წინ ახალგაზრდამ გადაირბინა. სარკეში გაიხედა და ჩედავს, ძებნილი სახლში შედის. იმ ძებნილის სახლი რამდენჯერმე ჰქონდა შემოწმებული და იცოდა, ეზოს უკანა მხარეს რამდენიმე გადასასვლელი ჰქონდა, ამიტომ ეზოში შესვლას აზრი არ ჰქონდა, თანაც ადრე ახლოს იცნობდა და უხერხულიც იყო. სამორიგეოს დაუკავშირდა, სს სამეზბროდან ვინც ადგილზეა დამსვდესო. რომ მივიდა, იმ დროს, სსს ქ/განყოფილების უფროსი ბ. მდინარაძე და ამავე ქ/განყოფილების ინსპექტორი ფუტკარაძე დახვდა. გურამის მანქანით წასვლა არ გამოდიოდა, ამიტომ მდინარაძის მანქანით წავიდნენ. ძებნილის სახლის შორიახლოს გაჩერდნენ. აღნიშნული სახლიდან ახალ-გაზრდა მამაკაცი გამოვიდა. გურამმა იცნო ყაჩაღობისა და სატრანსპორტო საშუალების გატაცებისათვის ძებნილი დ. ღუმბაძე, რომელმაც გადაკვეთა ქუჩა და იქვე სახლებს შორის გაუჩინარდა. პარალელურ ქუჩაზე გავიდნენ. შეიპარნენ იმ ეზოში, სადაც დუმბაძეს უნდა გამოეელო. გურამს სახლისათვის მარჯვენა მხრიდან უნდა შემოეელო, ჯუმბერი კი სადარბაზოს კარების გაელით უკანა მხარეს უნდა გასულიყო. ჯუმბერი ფიზიკურად დაბალი ტანის იყო, მაგრამ ის ადრე მოჭიდაეე იყო. სადარბაზო რომ გაიარა და კარები გააღო, უცებ გურამმა ჯუმბერის ყვირილის ხმა გაიგონა, ეძახდა ჩქარა მოდიო. მიირბინა. ჯუმბერს ამოდენა კაცი ძირს დაეგდო, მაგრამ მერე ველარ აჩერებდა. იგი მხრებზე ეჯდა, თუმცა მიწინააღმდეგე მაინც დგებოდა. გურამმა იარაღი დატენა და ღუმბაძეს კეფაზე დაადო.

გურამს სამხარეოს უფროსმა ბატონმა ვიქტორ გობრონიძემ საყვედურის ნაცვლად მადლობა გამოუცხადა.

1999 წლის ივნისის თვეში, გურამ ასათიანი და და ჯუმბერ ფუტკარაძე მუშაობდნენ ერთ-ერთი ძებნილის, ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში მცხოვრებ ნოდარ ირემაძის ადგილსამყოფელის დადგენასა და მის დაკავებაზე. საიდუმლო თანამშრომლისაგან მიიღეს ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ, თუმცა ისიც გახდა ცნობილი, რომ იგი მალე დატოვებდა

იმ ადგილს სადაც ეახშმობდა. აღნიშნული სახლში შესვლა სარისკო იყო. მოსალოდნელი იყო ინფორმატორის გაშიფრვა, თუმცა დრო არ ითმენდა. ჯუმბერმა გადაწყვიტა მასკა გაეკეთებინა და შესულიყო. სახლში სამი მამაკაცი და ერთი ქალბატონი დახვდათ, წინაღმდეგობაც გაუწიეს, მაგრამ ნოდარი ისე წამოიყვანეს, რომ ვერ მიხვდნენ მასკიანი ჯუმბერი რომ იყო. არადა, ჯუმბერის მასკას იმხელა თვალის ჭრილები ჰქონდა, რომ იმათ კი არა ბრმის გარდა ყველას უნდა ეცნო.

კიდევ ორი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა ბატონ გურამმა:

„ერთხელ მე და ჩემი მეგობრები ახლობელთან ექეიფობდით. ჩემს გვერდით ნაცნობი გოგონა და მისი დაქალი ისხდნენ. ამ გოგონასთან შორი საუბრები მქონდა. ეტყობა ამ საუბრებში გოგონას, ჩემს მიმართ სიმპათიები ჩამოყალიბებია და ცოტ-ცოტას მეპრანჭებოდა. ამას მეც ვამჩნევდი და კომპლიმენტებით უფრო მეტად და მეტად ვანებივრებდი. ბოლოს გოგონას დაქალმა წაიტრაბახა, იცი თუ არა გურამ, რომ გუშინწინ სოფელ ძიმითში ვიყავით და ერთმა ბიჭმა, რომელიც რამდენიმე წელია თურმე იქ იმალება, კინაღამ მოგეტაცა ეს ჩემი დაქალიო. მე ბანზე ავუგდე ეს სიტყვები და ვუთხარი როდის იყო ძებნილები გოგონებს იტაცებდნენ, მეთქი. ის გაბრაზდა და მითხრა, როგორ არა, ბებური მოისწრაფიშვილი იყო და საშველი არ მისცა, გინდა თუ არ შემხვდიო. 1999 წლის 27 ივლისს, დილით, თავისი ნათესავის სახლში დაკავებულ იქნა 1993 წლიდან საქართველოს სსკ-ის 203 მუხლით ძებნილი, ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში მცხოვრები ბებური მოისწრაფიშვილი.

ვეძებდით მამაშვილს, ხობის რაიონის სოფელ I ხორგაში მცხოვრებ, ირაკლი გიორგის ძე კაკულიასა და მის შვილს. დავადგინე, რომ ისინი იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში. ჩავედი დედაქალაქში, დავადგინე მათი ადგილსამყოფელი და ნაძალადევის შს რაიონული განყოფილების თანამშრომლებთან ერთად ჩავუსაფრდით. საღამოთი მამა-შვილიდან ერთ-ერთი მოვიდა სახლში და დავაკავეთ. ის და მისი „ხასეიკა“ იძახდნენ მამამისი გადაირევა, შვილს რომ ვერ ნახავსო, არადა მამამისიც ძებნილი იყო, მაგრამ დაცდა მაინც ვერ გავრისკე, სამაგიეროდ დავიბარე, რომ მამამისს გადაეცით ოზურგეთში გურიის სამხარეო შს სამმართველოში მომაკითხოს და იქ ვანახვებ შვილს, მეთქი. მეორე დღეს, დილით ადრე მომაკითხა მამამისმა. მატარებლით ჩამოსულიყო. მეც ვანახე შვილი, მაგრამ სამწუხაროდ თვითონაც იქვე დაეტოვე. კიდევ კარგი, შვილი მალევე გაათავისუფლეს.“

მრავალი ასეთი და სხვა ფაქტების მოყვანა შეიძლება გურამი ასათიანის მუშაობის პრაქტიკიდან. იგი რწმენით, მხურვალე გულით დგას მართლწესრიგის სადარაჯოზე. მის მახვილ თვალს არაფერი არ გამოეპარება.

წინ დიდი გზაა... ახალი საქმეებია. გვჯერა, რომ თავისი საქმის პროფესიონალი, პრინციპული, შეუპოვარი ჩეკისტი ღირსეულად გაივლის ამ გზას.

ფესიერი, პროფესიის ერთგული

გოჩა ჟღენტი

— არის წესიერი კაცი, თავისი პროფესიის ერთგული, კარგი მუშაკი, ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, — მოკლედ ასე დაახასიათა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა ბატონმა ბესო ტაბიძემ სუფსის განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი გოჩა ჟღენტი.

მე მას ადრე არ ვიცნობდი. იგი ღრმაღელვაში დაბადებული და გაზრდილი. უკვე მეორმოცე წელში გადაბიჯა. მოიხადა თუ არა საბჭთა ჯარში სამხედრო სამსახური, ეს იყო 1990 წელი, სამუშაოდ მივიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. შემდეგ დაამთავრა ქ. თბილისის პოლიციის უმაღლესი სკოლა და უკვე კვალიფიციური მუშაკი, ლანჩხუთის შინაგან საქმეთა განყოფილებაში დამკვიდრდა. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე.

"სამძებრო სამსახურში და ისიც გურიაში 10 წელი... — ღიმილით ეუბნები გოჩას და ისიც ღიმილითვე მიბრუნებს პასუხს, — სიკვდილზე სულაც არ მიფიქრია. მთავარია ვყოფილიყავი ვიქტორ გობრონიძის თანამებრძოლი. ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავდა.

გოჩა სამძებრო სამსახურის მადლიერია.

— 2008 წელს ცუდად არ გვიმუშავია. მაგრამ ვიცით, რომ თვითკმაყოფილებას სამომავლო საქმის გაკეთებაში ზიანი მოაქვს და მეტი შემართება გვმართებს. — ესეც გოჩას სიტყვებია.

ისევ მე ვეკითხები, როგორ უყურებს ფრთიან გამოთქმას "მე მიყვარს ჩემი პოლიცია!"

ბატონ გოსა ულენტს მიანნია, რომ ასეთი ა'ხრი აქვს ყველა იმ ადამიანს, რომელიც პატიოსნად ცხოვრობს და შრომობს.

— იმასაც ხომ ამბობენ, პოლიციასთან ღმერთმა ნუ მოგაცეს საქმეო.

— ჩვენთან ურთიერთობა არ ხერთ იმათ, ვისაც ბნელი წარსული და ცუდი რეპუტაცია აქვთ. — მიპასუხა მან.

— პირიენების ნაკლისა და მშვენიერების შეცნობაში, ალბათ არ ცდებით. მით უფრო კარგად გექნებათ შესწავლილი საკუთარი თავი

— გინდათ პირადი დადებითი და უარყოფითი თვისებები მათქმევინოთ სმამაღლა?— სიტყვა ჩამომართვა ბატონმა გოსამ და განაგრძო — შემიძლია დიდი სიყვარული და მიყვარს კიდეც მამული, ენა, სარწმუნოება. გამაჩნია პატივისცემის გრძნობა ქართული ტრადიციული ოჯახისადმი. პირიენებაში, თუ გინდ იგი დამნაშავე იყოს, უპირველესად სიკეთის მარცვალს ვეძებ. მახასიათებს პრინციპულობა, ზოგჯერ გადაჭარბებულიც, ისეთი, სიჯიუტეში რომ გადადის. პატარ-პატარა რადაცეებთან ერთად. ამას ჩემს ნაკლად ვთვლი.

თუმცა გოსამ ისეთი ბრძოლები გადაიტანა სამაჩაბლოში და აფხაზეთში, არცაა გასაკვირი ემოციური იყოს. პოლიციის აკადემიის მე-2 კურსის სტუდენტი იყო, როდესაც წაიყვანეს გაგრაში ერთ-ერთი ოპერაციის დროს, იგი ტყვიამფრქვეველიდან გასროლილი ტყვიით დაიჭრა. დამწვარი იყო სახეზე. „ასკოლკები“ ჰქონდა ყველგან, რომლებიც დღესაც აქვს შემორჩენილი. მასთან ერთად დაიჭრნენ მისი მეგობრები ბარნაბიშვილი და ნანილა-შვილი. თითქმის ნახევარი საათი გაგრძელდა ე.წ. “პერესტრელკა”. ჭრილობა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი გაითიშა. შემდეგ მოახერხა ავტობუსიდან გამოსვლა. 700-800 მეტრი ფეხით იარა. სამხედრო პოლიციელებმა გამოიყვანეს დაჭრილები, —შეტაკების დროს დაიხოცა რამდენიმე აფხაზი.

კურსანტი იყო. როდესაც ფოთში მიამგრეს. იქ გადიოდა პრაქტიკას. მასთან ერთად იყო თემურ ტატალიშვილი. მათ მიერ მიღებულ იქნა ოპერატიული ინფორმაციები ყაჩაღურ ჯგუფზე.

შეაჯერეს აღნიშნული ინფორმაციები, დასახეს შესაბამისი ღონისძიებები და აიყვანეს ყაჩაღური ჯგუფის წევრები, რომელთა ხელმძღვანელი იყო გვარად ჭაჭუა. ამოიღეს ჩიღბები, ავტომატური იარაღები. ისინი იმსილებოდნენ რამდენიმე ყაჩაღური თავდასხმის ჩადენაში, მათ შორის რუსეთის სამხედრო რაზმიდან ტყვია-წამლის გატაცებაში. სწორედ ამ დროს მიიღო გოსამ, ყადაზე ადრე, მაიორის წოდება.

შინაგან საქმეთა ორგანოში მუშაობის პერიოდში ნათლად გამოვლინდა გოჩას სანიმუშო თვისებები. — სამსახურებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, თავმდაბლობა, პატიოსნება. მან ენერგიული, დაკვირვებული და გაბედული მუშაკის სახელი მოიპოვა. დღეს პოლიციის მაიორი გოჩა ჟღენტი ლანჩხუთის შს სამმართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

შემთხვევითი არაა, რომ გოჩა რიგით პოლიციელად მუშაობის პერიოდშიც, სისხლის სამართლის მუშაკებთან ერთად ხშირად იგზავნებოდა რთული და საპასუხისმგებლო დავალების შესასრულებლად. ის მუდამ გამოირჩეოდა სიდინჯით, გონიერული, საზრიანი მოქმედებით.

გოჩა სამიოდე წლის მისული იყო პოლიციაში, როდესაც მიიღო ოპერატიული ინფორმაცია ყაჩაღობისათვის ძებნილი, ვინმე ჩხარტიშვილის ადგილსამყოფელის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მოახსენა მაშინდელი პოლიციის უფროსს, ბატონ თამაზ კუნჭულიას. უკანასკნელის ბრძანებით შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი. გოჩამ კიდევ ერთხელ გადაამოწმა აღნიშნული ინფორმაცია. დადგინდა, რომ ყაჩაღი თითქმის სამი წელი იმალებოდა რუსეთში. რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა იქედან და თავს აფარებდა ერთ-ერთი მეგობრის, კრიმინალურ სამყარო'ში ცნობილი აუტორიტეტის ბინაში. ჯგუფის წევრების მიერ, რომელშიც ყველაზე მეტად აქტიურობდა გოჩა ჟღენტი, გატარებული ოპერატიულ— საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღი დააკავეს.

ბატონი გოჩა ჟღენტის დასახასიათებლად, კიდევ ერთი ფაქტზე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო.

მაგალითი, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, პოლიციის დღევანდელი საქმიანობისათვის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს. ამიტომ უფრო დეტალურად შეეჩერდები მასზე:

2002 წლის 9 აპრილს, თბილისი —ბათუმის მატარებელში, ლანჩხუთი-სუფსის გადასარბენზე, შეიარაღებულ მძარცველებთან შეტაკებისას დაიღუპა სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომელი თ. მამარდაშვილი. უმწეო მგზავრების სადისტურად დამყაჩაღებელმა და გულუშშარი რაინდის ვერაგულად მკვლელმა ბანდიტმა მიმალვა მოახერხა.. ცოტა უფრო ადრე, 2001 წლის 31 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან შემოსული საქმე რუსთავის №2 სპეცდაწესებულებიდან გაქცეული სოფ. ნიგვზიანის მკვიდრის ნუგზარ მურვანიძის თაობაზე. ტერიტორიული დაქვემდებარების პრინციპის შესაბამისად, ლანჩხუთის შს რაიონულ განყოფილებას დაეწერა — გოჩა ჟღენტსა და მის კოლეგებს, რომლებიც ინტენსიურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ატარებდნენ, სერიოზული საფუძველი გააჩნდათ

იმის საეარაუდოდ, რომ ზემოაღნიშნული ორი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის "ავტორი", ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო.

ჰოდა, ერთ ჩვეულებრივ დღეს, ორგანიზებულად გათვლილ-გაანგარიშებული ოპერაცია მართლაც სკურპულოზული სიზუსტით ჩატარდა და ორმხრივი სროლის მიუხედავად, ძალოვანთათვის ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ბანდიტი კი ლიკვიდირებულ იქნა

ოპერატიული ჯგუფის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში იყო გოჩა ჟღენტი, ერთხელ კიდევ მიიტანეს საკუთარი სიცოცხლე მართლწესრიგის დაცვის სამსხვერპლოზე. რაც საბედნიეროდ, კელავ მშვიდობიანად დამთავრდა.

გოჩას ჰყავს შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე, მომხიბვლელი ქალბატონი თამარ მეაეია და ორი მშვენიერი ვაუკაცი: 12 წლის რომანი და 6 წლის ლუკა.

რომანი სუფსის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეა. იზიდავს ბუნების საოცრება. კომპიუტერული თამაშები. სწავლობს ინგლისურ ენას, ცეკვავს, კარატეს წრეშიც დადის. ოცნებობს გახდეს დიდი ბანკირი. ცელქი ბავშვია, მაგრამ თვითონ არ ეთანხმება მშობლების ასეთ დახასიათებას. თვლის, რომ მეგობარი უნდა იყოს კეთილი, სამართლიანი და დამჯერი. პატარა ძმის დაჩაგვრის უფლებას არავის მისცემს.

— რომან, მამიკო სახლში არ არის?

— მამიკო სამსახურშია. რა, არ იცით, რომ ის პოლიციელია?

— ხომ არ გინდა იმის თქმა, რომ მამიკო ოჯახში იშვიათი სტუმარია?

— ზოგჯერ გვიან ღამით მოდის სახლში, როცა მე და ჩემს ძმას გეძინავს და ადრე მიდის სამსახურში. მამიკო მართლა გვენატრება, მაგრამ რას იზამ, სამსახური აქვს ასეთი.

— შენ ამაყობ მამის სამსახურით, არა?

— კი, ძალიან. ის ხომ ქურდებს, ყაჩაღებს იჭერს. ისინი ცუდები არიან.

— რას გრძნობ, როდესაც შენს გვერდით პოლიციელს ლანძღავენ?

— ძალიან ებრაზდები. მე ხომ ვიცი, რომ პოლიციელები კარგები არიან. მათაც რომ ჰყოლოდათ პოლიციელი მამიკოები, დარწმუნებული ვარ, ასე არ მოიქცეოდნენ.

— როგორც ვატყობ, მამიკოს სამსახური მოგწონს, მაგრამ პოლიციელი არ გინდა გახდე, რატომ?

— მამიკოს სამსახური ნაწილობრივ მომწონს. მომწონს იმიტომ, რომ პოლიციელს იარაღთან აქვს შეხება. იარაღი მეც მიყვარს,

ოლონდ ჯერ სათამაშო იარაღებს ეაგროვებ. მაგრამ არ მომწონს გეამები. პოლიციელი კი გეამებსაც ითვალიერებს და მკვლელებსაც დასდევს.

– რომან, როგორი უდა იყოს პოლიციელი?

– როგორიც მამანემია – უშიშარი, კეთილი, მ'ხრ'ენველი.

– შენც კეთილი ხარ, პატარა ძამიკო'ხე, მეგობრებ'ხე ზრ'ენაე, იარაღი გიყვარს... შენგან ნამდვილი პოლიციელი დადგება.

– კარგი ვნახოთ. ჯერ ყველაფერი წინა მაქვს. ასე არ არის?

ნამდვილად, 12 წლის რომანს ყველაფერი წინა აქვს. შეიძლება იგი მომავალ'ში პოლიციელი გახდეს, შეიძლება ბანკირიც, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი ხა'ხოგადოების ღირსეული წევრი იქნება და თავის ადგილს დაიმკვიდრებს ცხოვრებაში.

რომანისაგან განსხვავებით, უფრო გამოკვეთილი პო'ხიცია აქვს პატარა ლ'უკას. მას ძალიან 'უყვარს პოლიცია. იგი პოლიციელობა'ხე ოცნებობს. ნი'შანდობლივია ის ფაქტიც, რომ პატარა ლუკა სწორედ პოლიციის დღეს, 10 ნოემბერს არის დაბადებული.

ბატონ გოსას და ქალბატონ თამარს კი საამაყო ნამდვილად აქვთ, რომ ასეთ კარგ და წ'ესიერ ვაუკაცებს უ'სრდიან სამ'შობლოს...

ვეფხვია ჩხაიძე

თითქმის ჩვეულებრივი ბიოგრაფია აქვს ვეფხვია ჩხაიძეს, მაგრამ ბევრი მისი თანამემამულისაგან მაინც განსხვავებული. მისი ცხოვრების გზასე ვერ ნახავთ ცარიელ ადგილს, რომელიც ზოგჯერ გზის არჩევისას, სახალიო ნაბიჯის გადადგმისას, ყოყმანით ჩნდება თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. რა თქმა უნდა მომავლის არჩევანს განსჯის გარეშე არ ჩაუვლია ჭაბუკისათვის, მაგრამ მაშინაც იგი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით სუნთქავდა, შრომობდა, სწავლობდა, შინაგან ჯარში მსახურობდა

1997-98 წლებში, ვეფხვია ჩხაიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მივლინებული იქნა გურიის რეგიონში. აქედან იწყება მისი ჩეკისტური, მძიმე საპასუხისმგებლო და საინტერესო ცხოვრება. ეს გამოცდილი ახალგაზრდა თანამშრომელი ყოველთვის ფხიზლადაა, მკვირცხლი, ცეცხლივით მუშაკია, ყველა დავალებას დროულად და კეთილსინდისიერად ასრულებს. ამ დაუზარელ კაცს ყველგან ნახავთ. მისი მონაწილეობის გარეშე არ ტარდება თითქმის არცერთი ოპერაცია. გამტანი და სანდო თანამშრომელია. ამიტომაც განსაკუთრებით აფასებენ კოლექტივში.

–ვის თვლით თქვენს მასწავლებლად? – ვეკითხები მას. წამიერი ფიქრის შემდეგ ნაღვლიანად გვითხრა:

–ვიქტორ გობრონიძემ არამარტო პროფესიონალად გამზარდა და გამომაწრთო, კაცური კაცობის შესანიშნავი მაგალითიც მომცა. მასთან მუშაობის წლები ჩემთვის ნამდვილი სკოლა იყო... ამასთან, არ შემიძლია დავივიწყო დამსახურებული ჩეკისტის აკაკი ნაკაიძის ამაგი პროფესიონალად ჩემს ჩამოყალიბებაში. ისე კი, პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ საუკეთესო მასწავლებელი თვით ცხოვრებაა, მისი გაკვეთილები ყველამ გონივრულად უნდა შეისწავლოს და გამოიყენოს.

მოვალეობის შესრულებისას მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ გაწონასწორებული ოფიცერი, იუმორის გრძნობით, კოლეგებთან და ნაცნობებთან გულღია დამოკიდებულებით გამოირჩევა.

წაქცეულის, გაჭირვებულის ჭირსა და ლხინში თანაგრძნობა მისი ღვთისგან მომადლებული თვისებებია.

მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა რთულ ოპერაციაში და არასდროს შეურცხვენია პოლიციის მუშაკის საპატიო სახელი.

ვეფხვია მუდამ ერთ-ერთი პირველი იყო იქ, სადაც ყველაზე რთული კრიტიკული სიტუაცია იხლართებოდა, სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთის პირისპირ იდგა. მისმა ოპერატიულობამ, ვაუკაცობამ არაერთხელ გააკვირვა კოლეგები.

1997 წლის 4 აგვისტოს, ოსურგეთის რაიონში შექმნილ კრიმინოგენური სიტუაციიდან გამომდინარე, შემოვლები ტარდებოდა. ერთ-ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ქ/განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი აკაკი ნაკაიძე. ჯგუფის წევრები იყვნენ პოლიციის ლეიტენანტები: გიორგი შეყილაძე და ვეფხვია ჩხაიძე, პოლიციის კაპიტანი ვიქტორ ხიზანიშვილი. იქნებოდა ღამის 3 საათი, როცა ბახვის ტერიტორიზე შენიშნეს კრემისფერი "ვაზ-2107" მარკის ავტომანქანა, რომლის დანახვისას გიორგი შეყილაძემ აღნიშნა, რომ ასეთი მარკისა და ფერის ავტომანქანა დღეს მოიპარეს ქალაქ ოსურგეთში კაფე-ბარ „ნიკალას" მიმდებარე ტერიტორიიდან. „ჩვენ მოეტრიალდით. მაგრამ ამ მომენტში ავტომანქანა მოსახვევს მოეფარა და წავიდა სოფ. ბახვის მიმართულებით და გზის გადასახვევიდან რამდენიმე მეტრში არსებული ჩიხისაკენ, სადაც შედიოდა პატარა სამანქანე გზა. დავინახეთ, რომ ავტომანქანა გაჩერებული იყო. ჩვენც გადმოვედით მანქანიდან და დავიკავეთ პოზიციები. ამ დროს ბოროტმოქმედებმა გახსნეს ცეცხლი. ისროდა დაახლოებით 4-5 კაცი ავტომატური იარაღებიდან. სხვა გამოსავალი არ იყო, ჩვენც სროლითვე ეუპასუხეთ, გიორგი შეყილაძე იმყოფებოდა ჩვენი ავტომანქანის წინა მხარეს, მე კი ავტომანქანის უკან მქონდა დაკავებული პოზიცია. ჩემსა და გიორგის შორის იმყოფებოდა ვიქტორ ხიზანიშვილი. კაკო ნაკაიძე კი, ავტომანქანის მარცხენა მხარეს, ორმოდან ისროდა. ამასობაში ვიქტორმა დაიძახა, ტყვიები დამიმთავრდაო და გზის მარჯვენა მხარეს, ნაძვების მწკრივში გადაირბინა. კაკო ნაკაიძე კი რაციით იბარებდა დამხმარე ჯგუფს. გიორგიმ დაიძახა დამჭრესო და იქვე საბურავთან დაეცა, მასთან რომ მივხოხდი, იძახდა მი"შველეთ დაჭრილი ვარო. ბოროტმოქმედებმა იფიქრეს, პოლიციის მუშაკები დახოცილები არიანო და მიიმალნენ. რამოდენიმე წუთში მოვიდა პოლიციიდან დამმხმარე ჯგუფი. გიორგი დაჭრილი იყო მარჯვენა მხარში, გავიხადე მაისური და ჭრილობა შევუხვიე, შემდეგ ჩავსვით ავტომანქანაში და საავადმყოფოში წავიყვანეთ.

მე ისევე შეტაკების ადგილზე დავბრუნდი. ერთი ყაჩაღი ადილზე იყო ლიკვიდირებული, საკარაულიდ იყენენ დაჭრილებიც.“

საერთოდ, ყველა სახელმწიფოში, დამნაშავეს ებრძვის ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დამცველი პოლიცია და რაოდენ სამწუხაროა, როდესაც ზოგჯერ სწორედ პოლიციელები აღმოჩნდებიან ხოლმე ბოროტმოქმედის როლში. ბატონ ვეფხვიას დღემდე ახსოვს და არასოდეს დავიწყებია ბოროტმოქმედთა 24 კაციანი ბანდის მხილება, რომლის რიგებშიც აღმოჩნდნენ პოლიციის მუშაკები. აღნიშნული ბანდა, 3-4 წლის განმავლობაში მოქმედებდა. მისი წევრები ძირითადად თავს ესხმოდნენ ავტომანქანებს, სახელმწიფო საწარმოებსა და მოქალაქეთა ოჯახებს. ბანდის მეთაური იყო ნ. სვანიძე. პირველად მოხერხდა აღნიშნული ბანდის ცხრა წევრის დაკავება. მათ შორის იყვნენ: თენგიზ ჩაველეიშვილი, ზედმეტ სახელად „ჩოფჩოფა“, კახაბერ თევდორაძე – ჩოლოყაშვილის ბატალიონის ყოფილი მებრძოლი, რომელიც აფხაზეთის ომში დაჯილდოებულია საბრძოლო მედლით „მამაცობისთვის“, ბადრი ცეცხლაძე, გიორგი მეფარიშვილი, სამტედიის შს რაიგანყოფილების პოლიციელები, 2-ჯერ ნასამართლევი მამული ვაშაყმაძე, კახაბერ კვაჭანტირაძე და მერაბ ანდღულაძე. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ლიკვიდირებულია 2 პიროვნება: ართილაევა და მამალაძე – მეტსახელად „სკვინჩა“. მაშინ გაიხსნა 60-მდე დანაშაული, მათ შორის, ადამიანის გატაცების 3 ფაქტი.

პიროვნებაზე დაწერილი დადებითი ხასიათის სტატია – ინტერვიუს, როგორც წესი, საზოგადოებისათვის ადამიანის გაცნობის ფუნქცია აკისრია, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ალბათ არც არის საჭირო. ჩვენი ნარკვევის გმირის, ოსურგეთის შს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ – გამომძიებელს, ბატონ ვეფხვია ჩხაიძეს თავისი ნაყოფიერი საქმიანობით ისედაც ყველა იცნობს რაიონში. ნაშრომ – ნაღვაწი და საერთოდ ცხოვრებისეული ბიოგრაფია კი მართლაც სანიმუშო აქვს.

დაიბადა 1972 წელს. დაამთავრა რუსთავის მეტალურგიული ტექნიკუმი, პოლიციის აკადემია. პირველი საბრძოლო ნაოლობა, 1993 წელს გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის წევრის რანგში მიიღო. იბრძოდა აფხაზეთში, ტამიშის მისადგომებთან. პოლკის უფროსი იყო ბაჩუკი ბასირაშვილი. შემდგომში, 1997 წლიდან, ოსურგეთში იცავს საზოგადოებრივ წესრიგს.

> რატომ გადაწყვიტეთ პოლიციელი გამხდარიყავით?
> მე უბრალოდ სხვა ადგილის ძებნა არ მიცდია.
> მერე ეს ცოტა სახიფათო ხომ არ არის?

სახიფათო როგორ არ არის. რთული და მძიმეა ჩვენი საქმიანობა. მხატვრული გამოთქმა რომ მოვიშველიოთ იგი ცეცხლთან თამაშს ჰგავს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სწორედ ცეცხლს არ უნდა უფრთხოდეს ადამიანი.

მტრებს ხომ არ ინენს კაცი პოლიციაში მუშაობით?

არც უმაგისობაა, მაგრამ ეს არ მაფიქრებს, რადგანაც მტრებისა არ მეშინია.

როგორ მიგაჩნიათ, რა ძირითადი თვისებები უნდა გააჩნდეს პოლიციელს?

უპირველესად, ვაუკაცური შემართება, ოპერატიული მოქმედების თანდაყოლილი უნარი და რაც მთავარია, მართალი უნდა იყოს როგორც ხალხის, ისე საკუთარი თავის წინაშე.

„მზრუნველი“ დედის გულგრილობამ განაპირობა, ნათია „მზრუნველ“ მამინაცვალთან ყოფილიყო...

მაია ოთხმეზური

ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსმა, რედი დვალმა, მოგვითხრო ერთი არასრულწლოვანი გოგონას ამბავი: იგი ინსპექციის თანამშრომელს, მაია ოთხმეზურს წაუყვანია სახლში და თავად ზრდის 4 წელია.

ეს გოგონა ნათია ფრუიძე გახლავთ.

იგი ახლა 15 წლისაა. 5 წლის ყოფილა, როცა დედასთან ერთად ოზურგეთში ჩამოსულა და დასახლებულა. ნათიას ღვიძლი მამა არ უნახავს; დედის შეცდომამ განაპირობა, რომ იგი მამინაცვალთან ყოფილიყო, როგორც მოსამსახურე. ძნელი, აუტანელი იყო პატარა გოგონასათვის უცხო გარემოსთან და მით უფრო, ცხოვრების ამ უმძიმეს პირობებთან შეჩვევა. რაც უფროსების გულცივობისა და უზნეობის შედეგი იყო. მისთვის არც სკოლა არსებობდა და არც საბავშვო ბაღი. მამინაცვალი ძალიან ავყია და ლოთი გამოდგა. გაუჭირდა დედას და... დატოვა ნათია. მარტოდ – მარტო ამ უცხო ოჯახში. თვითონ კი წავიდა, თავს უშველა!

კეთილმა მეზობლებმა შეიბრალეს საწყალი გოგონა. მივიდნენ არასრულწლოვანთა ინსპექციაში, განაცხადეს ბავშვის გასაჭირი.

არასრულწლოვანთა ინსპექციის თანამშრომელმა მაია ოთხმეზურმა, წაიყვანა ბავშვი თავის სახლში. ჩაიხუტა. გული გაუთბო და სასწავლებლად ჩოხატაურის რაიონის კოხნარის სკოლა-ინტერნატს მიაბარა, მაგრამ უიმისოდ ბოლომდე მაინც ვერ გასძლო. არდადეგებზე შინ წაიყვანა და ახლა ნათია, მაია დეიდას დიდ ოჯახში ცხოვრობს.

„ჩვენ ახლა ორი შვილი გვყავს – ანა და ნათია. ნათიას არ უყვარს ლაპარაკი. თავიდანვე არ გვეკონტაქტებოდა, მაგრამ შემდეგ, როცა სითბო დაინახა, მოვიდა უფრო ახლოს ჩვენთან. თანდათან შეგვეთვისა და შეეუყვარდით. ძალიან მეცოდება, – არც ბიძებს, არც დეიდებს, არც ბებია-ბაბუას არ აინტერესებს ამ საბრალო გოგონას ამბავი," – გვიყვება მაია.

– როცა არავინ გყავს, მაშინ არც ვინმეს ნახვის სურვილი გაქვს, მაგრამ როცა გყავს და არავინ არ გაკითხავს, ეს ძალიან ძნელია... – ჩუმად, თვალებაცრემლებულმა მითხრა ნათიამ.

„მისი სურვილი ერთია, – გამანდო მაიამ, – როცა დიდი გავი'ზრდები და კარგ ოჯახს შევქმნი, ჩავალ რაჭა'ში, ჭრებალოში – დედაჩემის სოფელში და ყეტყვი ჩემიანებს, რომ მე მოსაძულებელი და გადასაგდები ქალი არ ვიყავიო"

– რომ არა მაია დეიდა, – ამბობს ნათია, – ვინ იცის, რა მელოდა!

ახლა ესენი – მაია დეიდა და მისი ოჯახი, ჩემი საფიცარი ხალხია.

ამას წინათ, 5 წლის უნახავი დედაც სტუმრებია ნათიას. ტირილით შეხვედრიან ერთმანეთს. უკითხავს ამბავი, უსაუბრიათ და ისევ წასულა.! ვინ იცის, კიდევ როდის ჩამოვა, ან ჩამოვა კი?.

* * *

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ძნელად გასაძლის სინამდვილეში, ამ გართულებულ ცხოვრებაში, ნათიას ბედში მყოფი ბავშვები ბევრნი არიან. მათ უნდა მივეთბოთ, მიეუალერსოთ, გავუთბოთ გაყინული და გაბ'სარული გულები და ისევ უნდა მოვახედოთ ამ ცხოვრებისაკენ.

ეს ჩვენი უპირველესი და უმთავრესი ადამიანური მოვალეობაა.

გაზეთი "ალიონი"
იანვარი. 2004 წელი

ოპერაცია წარმატებით დასრულდა

ირაკლი შავიშვილი

2008 წლის 24 ივლისს, სს „სახალხო ბანკი"-ს ქუთაისის ინკასატორები იმედა მაღლაფერიძე და ნიკოლოზ კურტანიძე ამ ფილიალის მართვის ქვეშ მყოფი „სახალხო ბანკი"-ს კუთვნილი ბრონირებული „ფორდტრანზიტი"-ს მარკის, (სახ. ნომერი „აეე-602"), ავტომანქანით წავიღნენ სამტრედიისა და ოზურგეთის მიმართულებით საქართველოს რკინიგზის სამტრედიისა და ოზურგეთის სალაროებიდან თანხის აკრეფის მიზნით. დაახლოებით 10 საათსა და 45 წუთზე, იმედა მაღლაფერიძემ და ნიკოლოზ კურტანიძემ სამტრედიის რკინიგზის სალაროდან აიღეს თანხა 3990 ლარი, რომელიც მოათავსეს ავტომანქანაში და წამოიღნენ ქ. ოზურგეთის მიმართულებით. ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალის ტერიტორიაზე მგზავრობისას, დაახლოებით 12 საათსა და 10 წუთზე, ზემოაღნიშნულ ავტომანქანას წინ გადაუდგა თეთრი ფერის „ვაზ 2121" მარკის ავტომანქანა, (სახ № „ბარ-343"), რომლიდანაც გადმოვიდა ორი ნიღბიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული პირი, რომელთაგან ერთ-ერთმა გაისროლა მძღოლის მიმართულებით, რაც მოხვდა წინა საქარე მინას, ხოლო მეორემ გაისროლა ინკასატორის მიმართულებით, რაც მოხვდა გვერდითი კარის მინას, მაგრამ გასროლილი ტყვიები ავტომანქანის სალონში არ შეხვედა. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა ფიზიკური განადგურების მუქარით აიძულეს ინკასატორები გაეღოთ ავტომანქანის კარები, გაიტაცეს სს „სახალხო ბანკი"-ს კუთვნილი თანხა 3990 ლარის ოდენობით, იმედა მაღლაფერიძეზე გაპირავნებული მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ნომრით „გე-1101" და ნიკოლოზ კურტანიძეზე გაპირავნებული მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ნომრით „კპ-8212" და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

შეტყობინების მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გავიდნენ ოზურგეთის რაიონის პროკურორი ილია ჯალადანია, პროკურორის მოადგილე მალხაზ სირაძე, საქართველოს შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ოზურგეთის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლები და ექსპერტ კრიმინალისტები.

პაატა სადრაძე

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი ოთხი ცალი მასრა. „ვაზ-2121“ მარკის ავტომანქანა სახ. № „ბარ-343“, რითაც მოძრაობდნენ ბოროტმოქმედები, ნაპოვნი იქნა ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის ტერიტორიაზე დამწვარ მდგომარეობაში. ამოძიებით დადგენილ იქნა, რომ „ვაზ-2121“ მარკის ავტომანქანა ეკუთვნის დაბა ჩოხატაურში მცხოვრებ დავით შარაშიძეს, რომლისგანაც ავტომანქანა გაიტაცეს 2008 წლის 13 თებერვალს.

წინასწარი გამოძიება დაიწყო ოზურგეთის რაიონის დაბა ნახაკირალში სს „სახალხო ბანკი“-ს ქუთაისის ფილიალის ინკასატორებზე ექსალური თავდასხმის, ამ უკანასკნელთა განზრახ მკვლელობის მცდელობისა და მათი კუთვნილი ტაბელური იარაღის გატაცების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19.109-ე მუხლის 1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ, გ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით, 237-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის, მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ნიკოლოზ მკავია

იმავე დღეს შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში, სამხარეო პოლიციის უფროსთან ჩატარდა საგანგებო შეკრება, სადაც დაიგეგმა ამ დანაშაულის გახსნისა და ბოროტმოქმედთა დადგენა-დაკავების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

2009 წლის 1 თებერვალს, ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმავე რაიონის სოფელ შრომაში მცხოვრებ ვახტანგ ტატურაშვილს თავს დაესხა ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული რამდენიმე პირი და გაიტაცეს მისი კუთვნილი „ვაზ-2108“ მარკის ავტომანქანა.

მომხდარის შესახებ სამწუხაროდ პოლიციას მაშინვე არ შეატყობინეს. რამდენიმე საათის შემდეგ პოლიციამ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია და დაიწყო გამტაცებლების ძებნა. გადაიკეტა საეარაუდო მარშრუტის გზები.

მომხდარი დანაშაულის გახსნა პირად კონტროლზე აიყვანა სამხარეოს პოლიციის უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა შოთა ჭანუყვაძემ. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში ჩაერთვნენ სამხარეო დანაყოფის თანამშრომლები და მათი ხელმძღვანელები.

სათანადო ღონისძიებების განხორციელებით დადგინდა, რომ ყაჩაღები მოძრაობდნენ ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაილეთის ტერიტორიაზე. გამომდინარე აქედან აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება დაეევალა ერთ-ერთი ოპერატიული ჯგუფის წევრებს, რომლებსაც სოფელ ბაილეთის ტერიტორიაზე ცეცხლი გაუხსნეს ბოროტმოქმედებმა. საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ მათ მიატოვეს გატაცებული აეტომანქანა და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

2009 წლის 26 აპრილს, დაახლოებით 22 საათსა და 15 წუთზე, ოზურგეთის რაიონის სოფელ ხცემლისხიდში მხცოვრებ სონია კონსტანტინეს ასულ ჩერნიშოვას საცხოვრებელ სახლში ყაჩაღურად თავს დაესხნენ პისტოლეტითა და და აეტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირები, რომლებიც ფიზიკური ძალის გამოყენებისა და დაუთოების მუქარით ითხოვდნენ ოქროულობას, ფულსა და ავტომანქანას, (იყვნენ საქმის კურსში, რომ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა რამდენიმე დღის უკან შეიძინა ავტომანქანა).

მათ ვერ აღმოაჩინეს ფასეული ნივთები, ავტომატური იარაღიდან გასროლით დატოვეს სონია ჩერნიშოვას საცხოვრებელი სახლი და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

იგივე მეოთხედით მათ მიერ რამდენიმე ოჯახი იქნა დაყაჩაღებული.

ბანდიტური ჯგუფის ამგვარი თავხედური „გასეირნება" ოზურგეთში საოცრად წააგავდა რამდენიმე წლის წინ გურიის რეგიონში მოთარეშე შეიარაღებულ ჯგუფის ქცევას. სწორედ აქ ამოქმედდა გურიის სამხარეო და ოზურგეთის რაიონის პოლიციის მუშაკთა მიერ შემუშავებული სისტემა. თითქმის ერთი წელი დასჭირდა ბანდიტური ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების საქმეს.

მიღებულ იქნა ოპერატიული ინფორმაცია, რომ დანაშაული შესაძლოა ჩადენილი იყოს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაღდადში მცხოვრებ გიორგი მუაევანაძის მიერ. 2009 წლის 01 მაისს ჩატარდა გიორგი მუაევანაძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა. ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა უკონდახო ავტომატური ცეცხლსასროლი იატრაღი № 2666871 ერთი მჭიდითა და 22

საბრზოლო ვაზნით, რომელიც გადაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში ბალისტიკურ ექსპერტიზაზე, საიდანაც მიღებული დასკვნის თანახმად, აღნიშნული ავტომატური იარაღი ფიგურირებდა ჩერნიშოვას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დროს.

2009 წლის 23 მაისს, ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოში შემოსული ოპერატიული ინფორმაციების შეჯერების შემდეგ, დაიგეგმა ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი მჟავანაძის აყვანის ოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აღნიშნული რაიონის პოლიციის უფროსი გიორგი ურიდია. მოხდა ოპერატიული ჯგუფის წევრების ჩასაფრება სოფელ ცხემლისხიდის ხიდთან, სადაც ბოროტმოქმედს უნდა გამოეელო დაახლოებით 19 საათსა და 00 წუთზე.

გამოჩნდა „ფორდის" მარკის მიკროავტობუსი, რომელშიც იმყოფებოდა გიორგი მჟავანაძე, რომელმაც ცეცხლი გაუხსნა თანამშრომლებს, მაგრამ მისი დაკავება ოპერატიულად მოხერხდა და მსხვერპლიც არ მოჰყოლია. დაკავებისას გ. მჟავანაძეს აღმოაჩნდა „ნაგანის" სისტემის უნომრო რევოლვერი 6 საბრძოლო ვაზნით, ერთი ცალი რგდ სისტემის ხელყუმბარა და მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ნომერი კპ 8212, რომელიც გატაცებულ იქნა 2008 წლის 24 იულისს დაბა ნასაკირალის საავტომობილო გზასე საინკასაციო ავტომანქანაზე ყაჩაღური თავდასხმის დროს.

რეგიონში მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის აყვანის ოპერაცია წარმატებით დასრულდა, თუმცა პოლიციის მუშაკებს კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი იმისათვის, რომ მოხდეს დაჯგუფების სხვა წევრების დადგენა-დაკავება და მათი მხილება ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, საქმეში გამოჩენილი საზრიანი, გაბედული მოქმედებისათვის, სამმართველოს უფროსს გიორგი ურიდიასა და მის მოადგილე ლაშა ბაკურაძეს, ირაკლი შაეიშვილს, განყოფილების უფროსს გოჩა ფერსაშვილს, უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს პაატა სადრაძეს მიენიჭათ რიგგარეშე წოდებები, ასევე წახალისებულ იქნა კიდევ ერთი მონაწილე ნიკოლოზ მჟავია.

ერთი დღეც არ მამყოფოს პოლიციის გარეშე

ოთარ გაბაიძე

ოთარ გაბაიძე, 18 წლის ასაკში გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. მას შემდეგ დაიწყო მისი დამოუკიდებელი ცხოვრება ოჯახის გარეშე. როცა მშობლებმა ოთარი ჯარში გააცილეს, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმაზე, რომ მათი შვილი შუაგულ ომში მოხვდებოდა, უცხოეთის მიწაზე... ეს არც ოთარმა იცოდა. ჯერ უზბეკეთის რესპუბლიკაში მოუწია სამხედრო სამსახური. სამი თვის შემდეგ კი, ავღანეთში გადაიყვანეს. კარგად ახსოვს, ღამით ჩასვეს თვითმფრინავში ბიჭები. არაფის უთქვამს სად და რისთვის მიჰყავდათ. მათ ბედს სხვები სწყვეტდნენ... ასე ჩაებნენ ავღანეთის ომში, აბსოლუტურად გამოუცდელი ბიჭები.

ადვილი მოსაშუშებელი არ დარჩა ის ჭრილობები და სულიერი ტრავმა, რაც მან ავღანეთის ომში მიიღო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ოთარმა სწავლა ბათუმის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გააგრძელა. შემდეგ კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სწორედ აქ გაიცნო თავისი მომავალი მეორე ნახევარი, ლალი კილაძე, რომელთანაც ერთწლიანი სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ, მშობლების ჩარევითა და ორმხრივი ურთიერთშეთანხმებით, ბედნიერი ოჯახი შექმნეს და ორი ვაჟკაცი გაუზარდეს საქართველოს.

1995 წელს ოთარმა მუშაობა დაიწყო გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილის უფროსის თანამდებობაზე. ის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. გამოიარა მძიმე დღეები. ბევრჯერ გადაურჩა განსაცდელს...

პოლიცია ხომ, პირველ რიგში, უნდა იყოს იქ, სადაც დაძაბულობა და ცხელი წერტილია.

სამსახურის სპეციფიურობიდან გამომდინარე, ოჯახისათვის ნაკლებად ეცალა. მაგრამ თავისუფალ დროს მაინც სახლში, მეუღლესთან და შვილებთან ურთიერთობაში ატარებდა.

ქალბატონი ლალის თქმით, ოთარი იდეალური მეუღლეა. ოჯახის ერთგულია. შვილებთან ხან მკაცრი, ხანაც მეგობრული ურთიერთობა აქვს. „პატარები როცა ვიყავით, ყველაზე მეტად მა-

მიკოს დანახვა გვიხაროდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ბაღში მოგვაკითხავდა და სახლში ჩვენთან ერთად ბრუნდებოდა. მერე ვეკითხებოდით, თუ რამდენი პატიმარი ჰყავდათ, ღამის განმაელობაში თუ იყო მშვიდობა... ახლა კი სხვა რაღაცეები გვაინტერესებს. არ გვინდა მამაჩვენმა სიგარეტი მოსწიოს, ღვინო დალიოს. მის ჯანმრთელობაზე ეზრუნავთ". – ჰყვებიან ისინი.

უფროსი – მამუკა გაბაიძე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. მირიანი კი, სკოლას ამთავრებს. პროფესის არჩევისას მამის რჩევასაც გაითვალისწინებენ. მამუკას და მირიანს მამისგან ქორეოგრაფიული ცეკვის ნიჭიც გამოჰყვათ.

ბატონ ოთარს სამსარეულო ძალიან ჰყვარებია. „როცა სახლში არა ვარ, – ამბობს ქალბატონი ლალი– მას კარტოფილის შეწვა უყვარს. ბავშვებსაც ძალიან მოსწონთ შემწვარი კარტოფილი და სიამოვნებით მიირთმევენ. ისე ყველანაირი კერძის გემრიელად გაკეთება ეხერხება.

ბატონი ოთარი კმაყოფილია თავისი მეუღლითა და შვილებით. მას მიაჩნია, რომ ლამაზი, ქრისტიანული ოჯახი ჰყავს, სადაც ყოველთვის მიუხარია. მხოლოდ გული იმაზე წყდება, რომ ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, იმდენს ვერ ახერხებს, რაც მის ოჯახს სჭირდება. ოთარი ემოციური ადამიანია. ძალიან განიცდის თუ ვინმე პოლიციაზე ცუდს იტყვის. ის ამას პირად შეურაცხყოფად იღებს. შეიძლება ითქვას, რომ სამსახურს ოჯახსე მაღლა აყენებს...

კურიოზი მის ცხოვრებაში უამრავი იყო, მაგრამ ყველაზე სასაცილოდ მაინც იმას იხსენებს, როცა ბათუმში, ბაზრიდან გამოსული, იქვე მდგომ ისეთივე ფერის ავტომანქანაში ჩაჯდა, როგორიც მისი იყო და რომელშიაც უცხო ქალი იჯდა. გაკვირვებულმა გვიან გააცნობიერა, რომ ის, მისი მანქანა არ იყო.

რაც შეეხება მის პროფესიას, იმდენად შეუყვარდა, რომ სხვაგან მუშაობა ვერ წარმოუდგენია. „ერთ დღესაც არ მამყოფოს პოლიციაში სამსახურისა და ჩემი ოჯახის გარეშე. პოლიცია ხომ ჩემი მეორე ოჯახია". – ამბობს ბატონი ოთარი.

შენს სამსახურში ყოფნა, და ოჯახური ბედნიერება ნუ მოგაკლოს ღმერთმა, ბატონო ოთარ!

პაველ თევზაძე

„ხვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, – ეს სიბრძნე სალსერია და მას, როგორც ცნობილია, ბავშვობიდანვე ეერება საფუძველი. შრომას მიჩვეულ ადამიანს უქმად ყოფნა არ შეუძლია. მეშაობა მისთვის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა.

შინაგან საქმეთა ორგანოებში, პაველ თევზაძეს, თან მოჰყვა შრომის მტკიცე ხვეულები. ჯერ კიდევ მოსწავლეობისას, გაკვეთილების შემდეგ, ასევე კვირაობით, შრომობდა კოლმეურნეობაში ფიზიკურად. სამტრედიის რაიონის სოფ. ორმოდალას საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ისევ კოლმეურნეობას მიაშურა. შემდეგ სწავლობდა ქუთაისის ავტოტექნიკურ ტექნიკუმში. ამასობაში სამხედრო სამსახურის დროც მოვიდა. საბრძოლო და პოლიტექნიკური მომზადების ფრიადოსანთა დაფას ამშვენებდა მისი სურათი. ღირსეულად ვალმოხდილი დაბრუნდა. ქუთაისის ფეხსაცმლის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ერთი პერიოდი, სკოლაში ასწავლიდა სამხედრო საქმეს.

1988 წლიდან კი შინაგან საქმეთა ორგანოებშია. 20 წელზე მეტია რაც ემსახურება მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საქმეს. თავიდან მუშაობა დაიწყო ქუთაისის სატრანსპორტო პოლიციაში – უმცროს ინსპექტორად კოპიტნარის აეროპორტში. 1991 წელს მიიღო ოფიცრობა. შემდეგ გადაიყვანეს სამძებროში უფროს ინსპექტორად. 1993 წლის იანვრიდან გადაიყვანეს საგზაო პოლიციის მე-7 განყოფილებაში სამძებრის ინსპექტორად. 1996-1998 წლებში მუშაობდა სუფსის ქვეგანყოფილების უფროსად, შემდეგ – ლანჩხუთის რაიონულ განყოფილებაში. სხვადასხვა დროს სამჯერ იყო ნარკომანიის სამსახურის უფროსი. 2001 წელს კი ურეკის ქვეგანყოფილებაში გადაჰყავთ საპატრულო საგუშაგო სამსახურის უფროსად. 2004 წელს კვლავ სუფსის ქვეგანყოფილების უფროსია. შემდეგ ურეკში სამძებრის უფროსი ინსპექტორია, ბოლოს სუფსაში უბნის ინსპექტორ-გამომძიებელია. 1995 წელს დაამთავრა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი.

მეუღლე – მანანა სანიკიძე გომის საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელია. შესანიშნავი ოჯახის პატრონი, შვილებითაც ამა-

ყობს ბატონი პაელე. ნინო თევზაძე – გათხოვილია. ეაკი გიორგი თევზაძე – გომის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა. მოცეკვაეეა. ხშირად მარტო მოდის სამტრედიიდან მამამისთან გრიგოლეთში. პაელეს გურია ისე შეუყვარდა, რომ აქ დაფუძნდა და "კარენოი გურული" ვარო ამბობს". ამას ემატება ისიც, რომ მისი გვარის წარმოშობა ჩოხატაურთანაა დაკავშირებული, იმ კუთხესთან, სადაც "კრიმანჭულს" უბადლოდ მღერიან და " მარადისობის კანონით" ცხოვრობენ.

ბატონ პაელეს დღემდე კარგად ახსოვს პირველი გახმაურებული საქმე:

„ახლად შექმნილი საგზაო პოლიცია ბოლომდე არც კი იყო დაკომპლექტებული – მე და ჩემი მეგობარი გივი გაგოშიძე, რომელიც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაიღუპა და რომლის შვილი ვანის პოლიციის უფროსი იყო, ეკონტროლებდით ლანჩხუთი-ჩიბათის სააეტომობილო გზის მონაკვეთს. 1993 წლის თებერვლის თვე იყო. ჩვენთან ახლოს გაჩერდა ავტობუსი, იქედან გადმოვიდა პოლიციელი და შეგვატყობინა, რომ ყაჩაღობას ადგილი ჰქონდა საჯავახოს ტერიტორიაზე. დაზარალებული დაგვხვდა დაფნარის საგუშაგოზე. დღესაც კარგად მახსოვს გვარად იყო თენეიშვილი, აჭარაში ერთ-ერთი სამინისტროს ხელმძღვანელი. მისთვის ბოროტმოქმედებს წაურთმევიათ "ვაზ-2410" მარკის ავტომანქანა, ტყავის ქურთუკი და ფული. ოროტმოქმედები სამტრედიაში ან ჩოხატაურში უნდა წასულიყვნენ, თუმცა როგორც გავარკვიეთ საგუშაგო არ გაუვლიათ. ჩავთვალეთ, რომ ჩოხატაურში არიან წასული. სოფ. ბერძნისწყაროსთან იდგნენ სამტრედიის პოლიციის მუშაკები, მათ ავუხსენით მდგომარეობა. ამ დროს, შემთხვევით შემხვდა ერთ-ერთი ნაცნობი და მითხრა, რომ ყაჩაღობის დროს დამნაშავენი უნიმრო „06-ით" იყვნენ. წინ კი ვაზ-2410 ჩქარა მიდიოდაო. ისევ მივედით პოლიციელებთან. ერთ-ერთმა გაიხსენა, რომ თედო ნინიძეს მძღოლი ვარო, განაცხადა და ტყვეებიც კი გვთხოვაო. საბუთები არ მოგვითხოვია, ეჭვი არ შეგვპარვია. ამის შემდეგ წავედით ჩოხატაურში, სადაც დაგვხვდა განყოფილების უფროსის მოადგილე, გივი მათითაიშვილი. მას ავუხსენი ყოველივე. ამ დროს მასთან იყო საგზაო პოლიციის უფროსი, ამის შესახებ მასაც სცოდნია. ეს მანქანა გამოართვეს ვინმე „ტარზანას", ავტომანქანაში იყვნენ ბიძაშვილი წიტაიშვილები და ბერაძე. აღწერილობა რომ ვუთხარი, თან ერთი კოჭლი იყო მეთქი, ამ დროს კაცის დაჭერა საშიში იყო, მაგრამ გიკიმ თქვა სამიეეს დავიჭერ, მაგრამ საქმე უნდა მივიყვანოთ ბოლომდეო /ისინი კბილებამდე შეიარაღებულები არიან, და მერე ჩვენ შეგვექმნება პრობლემებიო. რამდენიმე ჯგუფი წავედით ჩოხატაურში. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბოროტმოქმედებს, რომლებსაც ჩვენ ვეძებდით, გართულებული

სიტუაცია ჰქონდა ჯაბა იოსელიანთან /გიეიმ სამიეე ბოროტმოქმედი დაგვახვედრა. ერთ-ერთი, უფრო სწორად ბანდის მეთაური, ჩემი მანქანით წამოვიყვანეთ, იხდიდა დიდ თანხას. მე ციხეში ვერ შევალ მომკლავენო, მხედრიონის ეშინოდა. იმაზეც თანახმა იყო, გამაქციეთ და მესროლეთო. ბოროტმოქმედები იძულებული გახდნენ ელიარებინათ დანაშაული — ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნიდან ამოვიღეთ დასა-ხელებული ავტომანქანა. ბერაძის სახლიდან ავტომატური იარაღი ჩემს მიერ იქნა ამოღებული. ერთმა ბოროტმოქმედმა თავი მოიკლა. ეს იყო ჩემი პირველი საქმე ტრასაზე.

კოპიტნარის აეროპორტში მუშაობის პერიოდში, ჩემს მიერ მხილებული და დაკავებული იქნა არაერთი ნარკომანი. იმ დროს კოპიტნარიდან ხორციელდებოდა რეისები ოდესის, ლვოვის, მოსკოვის მიმართულებით. ყველა ნარკომანი იკრიბებოდა აეროპორტში, თუმცა არც ერთი არ ბრუნდებოდა უკან. მივიღე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი ბათუმში ჩაელენო. უფროსმა მითხრა როგორც გინდა დაადგინე როდის ჩადიანო. დილით ადრე გამომიძახეს სამსახურში. იქ დამხვედნენ სამძებროს მუშაკები და წავედით ბათუმის აეროპორტში. მივედით სატრანსპორტო პოლიციაში და დაიგეგმა ღონისძიება. მოფრინდა რეისი ოდესა-ბათუმი. ფაქტიურად ოპერაციის ინიციატორი მე ვარ. ავედი ტრაპზე და ყველას ვუმოწმებ პასპორტებს. განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევ ქუთაისელებს. 6 ქალი დავაკავე. ამათ მაინც ვამხელ სააშკარაოზე მეთქი, ამ დროს გაიღო მფრინავის კაბინა, იქედან გამოვიდა ჩემთვის ნაცნობი პიროვნება, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკების რეალიზაციაში. მას ხელში ეჭირა შეფუთული ყუთი. შემომხედა. მიცნო. ყუთი დააგდო. მე იგი დავაკავე და ყუთთან ერთად მივიყვანე პოლიციაში. ეს იყო 1996 წელს. ყუთში აღმოჩნდა 4 კგ. ყაყაჩოს ნამჯა /მაკი/, ალიარა დანაშაული, ცელოფნებში "ტავარი" დაფასოებული იყო, გვარებიც იყო მითითებული. საქმე გამოსაძიებლად გადაეცა ბათუმის შესაბამის სამმართველოს.

ახალი დაწყებული მქონდა სუფსაში მუშაობა. მიმაგრებული ვიყავი გრიგოლეთის ტერიტორიაზე. 1995 წლის ზაფხულია. გვიან ღამით სერგო ტულუშმა მოიყვანა უცხოელი და აღნიშნა, რომ დაყაჩაღებულიაო. მიხედეთ, თორემ პრობლემები შეგვექმნებაო. როგორც აღმოჩნდა ის შოტლანდიელი ჩარლი ნიუტონი იყო. იგი ყველაზე მეტად თავისი "ჯიპის" მარკის ავტომანქანის გასაღებზე ჯავრობდა.

მე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ახალბედა თანამშრომელი ვიყავი. მაგრამ სერგო გამოცდილი მუშაკი იყო. მას ხლვა ინფორმაცია ჰქონდა. თითქმის ყოველთვის იცოდა, ვინ რისი ჩამდენი იყო. მომცა რამდენიმე პიროვნების გვარი და სახელი,

რომელთაც შეეძლოთ ასეთი კატეგორიის დანაშაულის ჩადენა. ერთ-ერთი იყო გვარად კარგობაშვილი, რომელიც იმ დროს დააფიქსირეს რკინიგზის გადასასვლელთან ფეხით მისული. იგი სერგოს მიერ მოცემულ სიაში იყო და მივიყვანე პოლიციაში. ეჭვმიტანილი უფროსის კაბინეტში შეეყვანე და წყნარი ტონით ვუთხარი: "ბიჭო ეს რა გიქნიათ, უცხოელი როგორ დააყაჩაღეთ", მთელი სამინისტრო ფეხზე დგას, მე რა ვქნა, როგორ გიშველოთ, მეთქი. ისე შემომხედა, მიეხვდი მისი გაკეთებული იყო. დაბნეული ჩანდა. აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა. რომ დარწმუნდა თავს ვერ დაიძვრენდა, რა ეშველება ამ საქმესო. შემთხვევის ადგილზე დააგდე გასაღები, მერე რაღაცას მოვახერხებ, მეთქი. გამიშვით და დავაგდებო. შენ რომ დაგინახონ, მერე ვერ დაგეხმარებით მეთქი. მაშინ წადით ჩემთან სახლში და მოგცემენო. მივედი სახლში, მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. რა მექნა, წერილი დავაწერინე, წავიყვანე გამომძიებელი და ოფიციალურად ამოვიღეთ საათი და ჯიპის გასაღები".

აღნიშნული ყაჩაღობის ფაქტის გახსნის საქმეში გამოჩენილი საზრიანობისა და ოპერატიულობისათვის ისეთი მადლობის წერილი გააგზავნა პოლიციის მაშინდელმა უფროსმა გურამ ჩხაიძემ, რომ მინისტრს ბატონ შოთა კვირაიას უკითხავს, ვინ არის პაელე თევზაძეო.

იურისტობაზე ოცნებობს პაელეს ვაჟი, რომელიც ჯერ მხოლოდ 13 წლისაა. თუმცა ხშირად აკითხავს მამას პოლიციაში. მისი ჰობი წიგნების კითხვაა, განსაკუთრებით ისტორიულ ჟანრს ირჩევს. უყვარს ზღვის ფერი, "მარადისობის კანონი" და ლამაზი მუსიკა.

პაელეს განსაკუთრებით უყვარს თავისი შვილიშვილი კონსტანტინე, რომელიც ჯერ მხოლოდ 4 წლისაა. იგი ხშირად იმეორებს: "ბაბუ დიდი კაციაო". ეს უხარია პაელეს ყველაზე მეტად. მართლაც, რომ დიდი კაცია პაელე თევზაძე, თავისი საქმის პროფესიონალი, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძალზე რთული პიროვნებაა, ძალიან განიცდის როდესაც პირადად მას ეხებიან, უფრო სწორად შენიშვნებზე რეაგირებს მტკივნეულად. თუმცა ეს მას ხელს არ უშლის გააკეთოს საქმეები საქმე.

20 წელი იმსახურა ამ სისტემაში და გადაწყვეტილი ჰქონდა პენსიაში გასვლა, მაგრამ ყურად იღო ჩვენი რჩევა იმასთან დაკავშირებით, რომ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეუძლია.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონო პაელე!

ხვალინდელი დღის რწმენითა და იმედით

მიხეილ წიქარიძე

ჩოხატაურის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს უფროსმა პოლიციის პოლკოვნიკმა ბატონმა გულთმისან ეასაძემ ისე დამაჯერებლად დაახასიათა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსი მიხეილ წიქარიძე, რომ მარტო ის ჩანაწერი კმაროდა წერტილი დამესვა წერილისათვის, მაგრამ მოვალეობამ მიკარნახა პირადად გამეცნო იგი.

სამმართველოს უფროსის მოადგილემ გოჩა თავაძემ დროებითი მოთავსების იზოლატორამდე ჩამაცილა.

– ზემდეგი წიქარიძე!

– არის! – გამოეჭიმა პოლიციის კაპიტანს სხარტი ახალგაზრდა, რომელსაც კოხტად შემოსხლეტილი ფორმა და მოპრიალებული სამხრეები ამშვენებდა.

– გაიცანით, – თქვა სამმართველოს უფროსის მოადგილემ.

დროებითი მოთავსების იზოლატორში სწრაფი საქმიანი მოძრაობა იგრძნობოდა.

რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელმა ნუკრი უჯმაჯურიძემ დაკავებული შემოიყვანა დროებითი მოთავსების იზოლატორში. ზემდეგი წიქარიძე აღრიცხვის წიგნში რაღაც ჩანაწერს აკეთებდა. დეტექტივ-გამომძიებელი გაისტუმრა თუ არა, და ჩემი ნარკვევის გმირი ის იყო მოვიხელთე, რომ სატელეფონო ზარის ხმა გაისმა, ოზურგეთიდან მისი კოლეგა ურეკავდა და რაღაც მონაცემებს სთხოვდა.

მიხეილი მაშინვე კოლეგის თხოვნის შესასრულებლად გაექანა.

– მიშა, პატიმარი ხმაურობს, გაიგე რა უნდა!

მიხეილი დროებითი დაკავების იზოლატორში შევიდა.

ერთი სიტყვით ჩემს იქ ყოფნაში რამდენიმეჯერ დაურეკეს ტელეფონზე, ხან ერთი რეკავდა, ხან მეორე, ხან სამორიგეოში ეძახდნენ, ხან ზევით, ხან ქვევით და მიხეილიც ვერცხლისწყალივით მოძრაობდა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე.

ტყუილა არ ამბობენ დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსობა მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეაო. ბიჭები

დილიდან-დილამდე ჯარასავით ტრიალებენ და ასე გრძელდება ყოველ დღე-ღამე.

ჩემს რესპოდენტთან შეხვედრა მეორე დილით მოხერხდა. მისი მორიგეობის დამთავრების შემდეგ.

— რამ გაიძულა ბიჭო, ასეთ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში რომ დაგიდგია თავი? — ვკითხე უნებლიედ.

— ვერ გეტყვით, ვიცი მხოლოდ ერთი რამ, სამხედრო სამსახურში ისე მიეცეცვიე ბრძანების შესრულებას, რომ მოთხოვნილებად მექცა. ამაში დაგარწმუნებთ იქედან ჩამოტანილი უამრავი მადლობა, სიგელი, სამკერდე ნიშანი. პოლიცია ეცანი ამ მოწოდების ხორცშესხმის ადგილად და არმიიდან დემობილიზაციისთანავე გადავწყვიტე მუშაობა დამეწყო აქ. მამაჩემი, რომელიც წლების განმავლობაში ხოხატაურის პოლიციაში მუშაობდა და იცოდა თუ რა რთულ, საპასუხისმგებლო საქმეს ვკიდებდი ხელს, ჩემი საიმედო მეგზური გახდა, ბევრი რამ მასწავლა და სათანადო რჩევა-დარიგებებიც მომცა.

მინდა მადლიერების გრძნობა გამოეხატო ერთ-ერთი გამორჩეული პოლიციელის, აწ განსვენებული გორერი თედორაძის მიმართ, რომელმაც მირჩია პოლიციაში დამეწყო მუშაობა. იგი მომეელინა პატრონად და ჭკუის დამრიგებლად. მისი მაღალსინდისიერი მოპყრობა მეხსიერებაში დღესაც შემომრჩა. სწორედ ამან მომცა ბიძგი იმ გზამდე გავსულიყავი, რომელსაც ჯერჯერობით ჩემი მომავალი ცხოვრების საწყისად ვთვლი.

ჩემს პოლიციელად ჩამოყალიბებაში ყველაზე მეტად დამეხმარა სამმართველოს უფროსი, ბატონი გულთმისან ვასაძე, რომელმაც გულდასმით მომისმინა, გამოცდის მიზნით გამესაუბრა და დროებით საკუთრების დაცვის პოლიციაში გამიშვა.

გულთმისან ვასაძე იყო და დღესაც რჩება რაიონის მოსახლეობისათვის სამართლიანობის ეტალონად. იგი ახალგაზრდა თანამშრომლებზე და მთელ კოლექტივზე ისე ზრუნავს, როგორც საკუთარ ოჯახის წევრებზე. უდიდესი პროფესიონალიზმი, პრინციპულობა, და გაჭირვებული ადამიანისადმი თანაგრძნობა, არასრული ჩამონათვალი გახლავთ იმ ღირსებათაგან, რომელიც მას გააჩნია.

ალბათ გავამართლე მისი ნდობა და რამდენიმე თვის შემდეგ სამორიგეო ნაწილში მორიგის თანაშემწედ გადამიყვანეს. თითქმის 4 წელი ვიმუშავე აღნიშნულ თანამდებობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბაბუაჩემი ნესტორი ბიძაჩემი — ნიკოლოზი, მამაჩემი — მურმანი მაშინდელი მილიციის თანამშრომლები იყვნენ და ჩემთვის უცხო არ იყო ის ატმოსფერო, რაც პოლიციაში სუფევდა, მუშაობის დაწყება და პოლიციელად ჩამოყალიბება

მაინც რთული აღმოჩნდა. ყველა დამწყებმა პოლიციელმა უნდა იცოდეს, რომ შორიდან დანახული ლამაზ ფორმებში ჩაცმული და საპატრულო მანქანებში ჩამსხდარი პოლიციელები მხოლოდ წინა ფასადია იმ მძიმე სწავლისა, ფიზიკური დატვირთვისა, უძილო ღამეებისა, ზოგჯერ იმედგაცრუებისა და დამსახურებული თუ დაუმსახურებელი საყვედურებისა, რასაც მთლიან ერთიანობაში პოლიციური ცხოვრება ჰქვია.

— რაიმე ეპიზოდს ხომ არ გაიხსენებდით? — ვკითხე.

— ჩემი მოკრძალებული საბრძოლო ეპიზოდებიდან ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი იყო 2005 წლის თებერვალში, ჩოხატაურის რაიონის სოფ. საჭამიასერში, ჩატარებული ოპერაცია, რომელსაც გულთმისან ვასაძის ვაჟი ხელმძღვანელობდა. მასში აგრეთვე მონაწილეობდა ძებნის ინსპექტორი გოჩა თავაძე. ოპერაციის მიზანი იყო წლების განმავლობაში ქურდობისათვის ძებნილი პირის დაკავება. თავისებური რელიეფის გამო შეუძლებელი იყო პოლიციელთა დიდი რაოდენობით ამ ოპერაციაში ჩართვა, ვიცოდით, რომ ძებნილი ზოგჯერ მიდიოდა თავის სახლში და სწრაფადვე ტოვებდა მას. ამ მცირე პერიოდით უნდა გვესარგებლა. ჩვენ მოვახერხეთ და ღამით შევედით დასახლებულ პუნქტში. ყველასთვის უჩუმრად დავიკავეთ ერთ-ერთი მისი მეზობლის სამეურნეო შენობა. დღესაც ღიმილით ვიხსენებთ, როგორ ვახერხებდით დამალვას იმ შენობაში, როცა მისი მეპატრონე მას ინტენსიურად იყენებდა სამეურნეო საქმიანობისათვის. ორი დღის ლოდინის შემდეგ, როცა იმედი გადაგვეწურა, გამოჩნდა „ჩვენი ძებნილი“ და უნდა გითხრათ მისი გამოჩენა ისე გაგვიხარდა, როგორც დიდი ხნის უნახავი ახლო ნათესავისა. ყველაფერი რამდენიმე წუთში დამთავრდა, ოჯახის წევრებმაც კი ვერ მოახერხეს ვერანაირი რეაგირება, ისე ავიყვანეთ აღნიშნული პიროვნება.

— წიგნთან და სწავლასთან რა განწყობილებითა ხართ?

— კითხვა მიყვარს ძალიან, საკუთარი ბიბლიოთეკაც გამაჩნია. ჩაისუბნის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ტექნიკური სასწავლებელიც დავამთავრე. რაც შეეხება პოლიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის გაგრძელებას, ეოცნებობდი, მაგრამ ძნელად მისაღწევად მიმაჩნდა. ამას დაემატა 2004 წელს უბედური შემთხვევის შედეგად მამაჩემის დაღუპვა. თანაც დედა მყავს ავად. — ისე სევდიანად თქვა, რომ მომზადებული მორიგი კითხვა გადამავიწყდა და დავემშვიდობე.

მთხოვა, ნურაფერს დაწერთ ჩემზე, უკეთესი ბიჭები არიან, დამსახურებულნიც, მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებო.

როცა კიბეებზე აჩქარებული ჩარბენის ხმა მომესმა, ფიქრმა წამიღო: რისთვის მუშაობს ეს კაცი ასე გულმოდგინედ, როცა

მისი ხელფასი თითქმის არ ყოფნის საკუთარი ოჯახისა და აეად-მყოფი დედის შესანახად? და პასუხიც იქნე გამიჩნდა – მხოლოდ და მხოლოდ ხვალინდელი დღის რწმენითა და იმედით. სწორედ ასეთი რიგითი მებრძოლი გახდება მომავალი მაღალჩინოსანი და პოლიციის დასაყრდენი.

რამდენიმე დღის შემდეგ გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე ფელიქს დონაძესთან ერთად, საქართველოს მოლიანობისათვის გმირულად დაღუპული ზურაბ წიქარაძის ოჯახი მოვინახულე... საახლობლო წრეში მიშა მოვიკითხე, როგორი ბიჭია, მეთქი.

– ღმერთმა ქნას, რომ ასეთი ბიჭი ყველა ოჯხს ჰყავდეს – თქვა ერთმა.

– ჩვენი საგვარეულოს თვალია. ჭირსა და ლხინში გამორჩეული. – დასძინა მეორემ.

უყვართ და აფასებენ ჩოხატაურლები პოლიციის ახალგაზრდა მუშაკს, მიხეილ წიქარიძეს.

წინ კიდევ დიდი გზაა გასაველელი...

საკალ გზებს დაგილოცავთ ბატონო მიხეილ!

სიმონ ვასაძე.
ისიც: მოყვარული ბაბუა

ერთი ჭაბუკი ბევრს ოცნებობდა პოლიციელობაზე. ფიქრობდა, სწონიდა არჩევანის სისწორეს. თითქოს რაღაცა ძალა საწინააღმდეგო აზრსაც მიაწოდებდა, მაგრამ ბოლოს გულის ნაოცნებარმა გაიმარჯვა და სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, მაშინდელი მილიციის უფროსს, ბატონ იური სიორიძეს ეახლა და მორიდებით თავისი სურვილი გაუზიარა. თხოვნა დაკმაყოფილდა და ეს ჭაბუკი გახლავთ უკვე ჭარმაგობაში შესული მაკვანეთელი ბატონი სიმონ ვასაძე. მაშინდელი რიგითი მილიციელი, დღეს პოლიციის მაიორი, უბნის უფროსი ინსპექტორ-გამოძიებელია.

ცოტა რამ მის შესახებ:

ბატონი სიმონი 1955 წელს დაიბადა. 1972 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1977 წლიდან პოლიციის რიგებშია. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და აი, უკვე 31 წელია, მეგობარ პოლიციელთა მხარდამხარ ეწევა მძიმე ჯაპანს. "მიუხედავად გადატანილი ბევრი ტკივილისა და მწუხარებისა, საჭირო რომ დარჩეს, „ცხოვრებას არჩეული გზით დავიწყებდი – გვითხრა ბატონმა სიმონმა – მე სხვა კოლექტივში მუშაობა ვერ წარმომიდგენია. ოცნება რეალობად ვაქციე. კმაყოფილი ვარ, მაგრამ აუცილებელია იყო პროფესიონალი და გაგაჩნდეს საჭირო ავტორიტეტი, ვინმემ ზედმეტი არ უნდა გაკადროს. უბნის ინსპექტორ-გამომძიებელთა გამართულ ოპერატიულ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომაც, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე ვდგავართ. ხშირ შემთხვევაში, ცხელ კვალზე დანაშაულის გახსნა, ბოროტმოქმედთა დადგენა-დაკავება ჩვენი მუშაობის შედეგია. ჩვენი საქმიანობა იმდენად მრავალმხრივი და შრომატევადია, მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სამმართველოს სიდიდის მიუხედავად, პოლიციელებს შორის კარგი ატმოსფერო სუფევს, თანაგრძნობა და ძმური დამოკიდებულება იგრძნობა. პოლიციამ რთული და მძიმე დღეები გამოიარა. ჩვენს რიგებს ბევრი შესანიშნავი პოლიციელი და ნამდვილი მეგობარი გამოაკლდა. დღეს მდგომარეობა სტაბილურია, დანაშაულმაც

იკლო, რაც რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელობის დამსახურებაა.

შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახურისათვის, ბატონი სიმონ ვასაძე მრავალჯერ იქნა წახალისებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოსა და ოზურგეთის რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ. საგულისხმო და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ბატონი სიმონი, არა მარტო სახელმწიფო სამსახურში გამოირჩევა წესრიგითა და დისციპლინით, არამედ ოჯახიც მოწესრიგებული და ორგანიზებული აქვს. ერთი შვილიშვილი ჰყავს, ხუთი წლის მარიამი, რომელსაც ყველაზე მეტად, თავისი ბაბუა უყვარს. ბაბუასაც არ შეუძლია მის გარეშე, პატარა მარიამი ხშირად ურეკავს ბაბუას პოლიციის სამმართველოში, შეეკითხება ხოლმე საქმეები როგორ მიდისო, სახლში როდის მოდიხარო. მარიამი ყველაზე მეტად განიცდიდა სიმონის მეგობრის მიხეილ კიკვაძის დაჭრის ფაქტს. მიშიკოს იგი თავის მეგობრად თვლიდა, დღეში რამდენიმეჯერ რეკავდა და კითხულობდა მიშიკო როგორ არისო, რატომ დაჭრესო. სიმონმა ისიც გაიხსენა, თუ როგორ დაურეკა მარიამმა ბაბუას სამსახურში და უთხრა მიშიკოს უთხარი მაინც ტყუილად ხარ სამსახურში, არაფერს აკეთებო, ამოვიდეს და მე გამართოსო. სიმონს ძალიან უყვარს, როდესაც მას სახლში მეგობრები და კოლეგები სტუმრობენ. თითქმის ყოველთვის, პოლიციის დღეს მასთან აღნიშნავენ. ყოველიეე ეს კი ყველაზე მეტად უხარია პატარა მარიამს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიმონის სიძემ მირზა კილაძემ, სიმამრის რეკომენდაციით, დაამთავრა პოლიციის აკადემია და სამი წელია ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად მუშაობს.

პატარა მარიამი ზოგჯერ ორიეეს ერთად ეძებს – თუმცა სიმონმა აღიარა, რომ მამამისზე უფრო მეტად მე მეძებსო. „ყველაზე მეტად, სიმონი ბაბუა მიყვარსო“ – ამბობს და ამაში საეჭვო არაფერია.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია სიმონ ვასაძეს, უზარმაზარი ავტორიტეტი და სიყვარული აქვს მოხვეჭილი, არა მარტო მეგობრებსა და თანამშრომლებს შორის, არამედ რამდენად პარადოქსურადაც არ უნდა ჟღერდეს, იმ ხალხს შორისაც, ვისაც მთელი შეგნებული ცხოვრება წარმატებით ებრძოდა, ასევე მათ ახლობლებსა და ოჯახის წევრებს შორისაც პოპულარულია.

ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ერთ მაგალითს: მას დღემდე ახსოვს პირველი გახმაურებული საქმე, რომელიც პირადად მოიკვლია. ეს იყო 90-იანი წლები, დაძაბული კრიმინოგენური

სიტუაცია რომ სუფევდა ქვეყნის მასშტაბით. გამონაკლისს არც ოზურგეთის რაიონი წარმოადგენდა. თქვენ თვითონ განსაჯეთ, იყო პერიოდი, როდესაც ყოველდღიურად ათეულობით ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ხდებოდა. სწორედ ბოროტმოქმედთა ერთ-ერთი ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტს იკვლევდა ბატონი სიმონი. ჯგუფის წევრების ანგარიშზე იყო რამდენიმე ქურდობის ფაქტი. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულ იქნა 5 ბოროტმოქმედი.

"ქურდობის ერთ-ერთი მონაწილე – იხსენებს, პოლიციის მაიორი სიმონ ვასაძე, – სასჯელს იხდიდა რუსთავის საპყრობილეში. პატიმრობის პერიოდში იგი გარდაიცვალა და ჩამოასვენეს. სამძიმარზე და მით უმეტეს გასვენებაზე, თავისთავად ცხადია ვერ წავიდოდი. გასვენების დღეს, ჩემთან სამუშაო ოთახში შემოვიდა განსვენებულის მამა ორი თანხლები პირით და მთხოვეს, რომ წავყოლოდი მათ და მეტირა მიცვალებული. მე, ცოტა არ იყო,ს დავიბენი. მიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, გარდაცვლილის მიმართ კანონსაწინააღმდეგო არაფერი მქონდა ჩადენილი და დავთანხმდი. ჩვეულებრივი წესით მივაგე პატივი. დატირების შემდეგ განსვენებულის ოჯახის წევრებმა მთხოვეს, რომ სასაფლაომდე მიმეცილებინა ცხედარი და შემდეგ ბოლომდე მეცა პატივი, ე.ი. მონაწილეობა მიმეღო ქელეხში. მიუხედავად ათასნაირი ფიქრისა, რაც მიტრიალებდა თავში, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა."

კიდევ ერთი ეპიზოდი გაიხსენა სიმონ ვასაძემ: კერძოდ ის ფაქტი, როდესაც მის წინ იდგა ბოროტმოქმედი, მაგრამ იგი არ გასწირა, უფრო სწორად, მისცა საშუალება კეთილსინდისიერი შრომით გამოესყიდა თავისი დანაშაული. ენდო მოზარდს და არ შემცდარა. „იქნებოდა დაახლოებით დღის 14 საათი. სახლისკენ მივდიოდი. ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან მომესმა ქალების კივილი „დაიჭირეთ, დაიჭირეთო". დადგინდა, რომ ვიღაც ახალგაზრდას ავტობუსში მოუპარავს საფულე, ხოლო მას შემდეგ, რაც დაედევნენ მგზავრები, დაუგდია საფულე და გაქცეულა ქალაქის ცენტრისაკენ. შორიდან შევნიშნე, რომ მოზარდი გარბოდა აბაშიძის ქუჩის მიმართულებით, მე მას მივეევი უკან და როგორც კი გადაუხვია საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელისაკენ, მოვიმარჯვე ტაბელური იარაღი და გადავუდექი წინ. მოეუწოდე დანებება და ავტომანქანაში ჩაჯდომა. მიხვდა რაშიც იყო საქმე, დამიწყო ხვეწნა, მუდარა, არა ვარ ქურდი, შეცდომით მომიყიდა ეს ყველაფერიო. წამოვიყვანე განყოფილებაში. შევიყვანე ჩემს სამუშაო კაბინეტში. აღმოჩნდა, რომ იყო ვინმე გვარად სალუქვაძე, დაერწმუნდი რა მის გულწრფელობაში,

მე ის გავუშვი და ავუხსენი, რომ ამჯერად არ ავიყვანდი აღრიცხვაზე, მაგრამ ვაძლევდი გარკვეულ დროს, რათა დაეწყო მუშაობა და აღნიშნულის შესახებ მოეტანა შესაბამისი ცნობა. როგორც შემდგომ გაირკვა, მან მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. იმუშავა თითქმის ორი წელიწადი. მერე მოიხადა საკალდებულო სამხედრო სამსახური. 1991 წლის დასაწყისში, მივლინებული ვიყავი ქ. თბილისში. მე და ჩემი მეგობარი შევედით ერთ-ერთ კაფეში და ოპერაციის წარმატებით ჩატარებას აღვნიშნავდით. იქვე ახლოს, ახალგაზრდა ბიჭები ისხდნენ სუფრასთან. როცა ანგარიში მოვითხოვე, ოფიციანტმა მითხრა, რომ თქვენი სარჯი გადახდილიაო და მიმანიშნა ერთ-ერთ ახალგაზრდა'ზე, რომელიც მეგობრებთან ერთად იჯდა ჩვენს გვერდით მაგიდასთან. აღნიშნული პიროვნება აღმოჩნდა ჩემს მიერ პატიებული სალუქ-ვაძე. კარგად აუწყვია ცხოვრება. მადლობაც გადამიხადა, იმისათვის, რომ მე იგი ავაცდინე მრუდე გზას".

სიმონ ვასაძე დიდ გულისხმიერებას იჩენს ახალგაზრდა კადრების მიმართ. სიამოვნებით უ'სიარებს მათ თავის ცოდნას და გამოცდილებას. ახალგაზრდებმა კი, ასეთი პროფესიონალე-ბისაგან, რაც შეიძლება ბევრი უნდა ისწავლონ, რათა მომავალში შეძლონ იმ სახელოვანი და მაღალი ტრადიციების გაგრძელება, რომელიც გააჩნდა ქართულ პოლიციას და რომელიც აუცი-ლებლად წაადგება ჩვენი სამშობლოს ნათელ მომავალს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონმა სიმონმა გაიარა გზა რიგითი მუშაკიდან მაიორამდე. იყო რიგითი უბნის ინსპექტორი, უბნის უფროსი ინსპექტორი, ქვეგანყოფილების უფროსი, ერთი პერიოდი მუშაობდა ბახვის ქვეგანყოფილების უფროსად, სადაც 12-მდე სოფელი იყო გაერთიანებული და ფაქტიურად 12 სოფლის პოლიციის უფროსი იყო.

ყველაზე საინტერესო ეპიზოდი იყო ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში შეტაკება პოლიციასა და ბანდიტებს შორის ე.წ. გაგნიძის ჯგუფის აყვანის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედები კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულნი, მაშინდელი სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ვიქტორ გობრონიძის მიერ სწორად და მაღალი პროფესიულ დონეზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, მოხერხდა აღნიშნული ჯგუფიდან რამდენიმე წევრის აყვანა.

ვაქკაცური შემართების, უღალატო კოლეგა და მეგობარი, საქმეში პრინციპული, საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ მომთხოვნი, ობიექტური... ერთი სიტყვით – ყველა აუცილებელი პარამეტრით, მართლაც შესაფერისი პიროვნება გახლავთ

დღევანდელ პირობებში საკმაოდ რთული სამუშაოს შესასრულებლად.

სიმონი თავისი პიროვნების დინჯი, დამაჯერებელი წარდგენით, მომაჯადოებელ ზეგავლენას ახდენს ყველა კატეგორიის წესრიგის დამრღვევებზე, რომლებიც უყოყმანოდ ღებულობენ მის შენიშვნებს, რჩევა-დარიგებას. იგი ყველაზე მეტი მუშაობის სტაჟის მქონეა ოზურგეთის რაიონულ სამართველოში, არის თანამშრომელთა საყვარელი მეგობარი და ახალბედა მუშაკთა დამრიგებელი.

სიმონ ვასაძე, პოლიციის დღესთან დაკავშირებით, დამსახურებულად მოხვდა წახალისებულ მოწინავეთა რიგებში. მომავალ წარმატებას ვუსურვებთ მას, ახალი ა'ხროვნების დღევანდელ ეპოქაში.

ერთგული, დისციპლინიანი, საქმის მცოდნე

გელა მუჯირი

გელა მუჯირი 1991 წლიდან შინაგან საქმეთა ორგანოების რიგებშია. გავლილი აქვს თითქმის ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა. მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, ბავშობის დროინდელი ოცნება მაინც აისრულა ბატონმა გელამ და თავისი პროფესიის ბოლომდე ერთგულიც დარჩა.

22 წლის ასაკში კი, თავისი ბედი, ქალბატონ ნანა ხმელიძეს დაუკავშირა, ლამაზი ოჯახი შექმნა. ბატონ გელას ძალიან ჰყვარებია სტუმრები, თამადობა და სიმღერა. „სამსარეულოში ყოფნა ნაკლებად უყვარს, არანაირი კერძის დამზადება არ ესერხება, მაგრამ როცა სტუმრებს ველოდებით, კარგი მოხმარება იცის“ – ამბობს ქალბატონი ნანა.

ბატონი გელა, სამსახურში განსაკუთრებული თვისებების მატარებელი, თავდაუზოგავი და შრომისმოყვარეა.

გელა ზურაბის-ძე მუჯირი დაიბადა 1970 წლის 1 ივლისს, ოზურგეთის რაიონის სოფ. გურიანთაში, მოსამსახურის ოჯახში. მამამისი წლების განმავლობაში წყალთა სამმართველოში მუშაობდა ინჟინრად. გელამ დაამთავრა ოზურგეთის №2 საშუალო სკოლა, ორი წელი მსახურობდა გერმანიაში, დაკავებული იყო

სპორტით, რომაულ-ბერძნულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. იყო საქართველოს 18 წლამდე ჭაბუკთა ნაკრების წევრი. 1990 წელს დაბრუნდა ჯარიდან და აწგარდაცვლილი იური სიორიძის რჩევით, მუშაობა დაიწყო პოლიციაში. ერთი პერიოდი მუშაობდა საპატრულო საგუშაგო სამსახურში. შემდეგ გადაიყვანეს სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილებაში უმცროს ინსპექტორად. დაამთავრა ნოდარ დუმბაძის სახელობის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სამხარეო პოლიციაში, სამძებროს უფროს ინსპექტორად, გურიის რეგიონში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილედ, გამომძიებლად, 2008 წლის თებერვლიდან დეტექტივ-გამომძიებლია.

ბატონი გელა სიტყვაძუნწი პიროვნება გახლავთ, არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი. ჩემზე ჩემი გამოძიებული და გახსნილი საქმეები მეტყველებენო – ამბობს იგი. იხსენებს ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში გამომძიებლად მუშაობის პერიოდში პირველ გამოძიებულ საქმეს, რომელიც ერთ-ერთ ოჯახზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე იყო აღძრული. "მაშინ განუკითხაობის წლები იყო, მაგრამ 10 დღეში საქმე მაინც გავხსენით. ყაჩაღობაში ვამხილეთ ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფების წევრები, მათ შორის ერთი იყო გვარად ვასაძე. ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილიდან ამოვიღეთ ავტომატური იარაღი, დამნაშავეების მიმართ გამოტანილი იქნა შესაბამისი სასჯელი."

ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო იგი, როდესაც დამნაშავეებთან პირისპირ დგომა მოუწია.

ქალაქს ღრმა ძილით ეძინა, ღამის მყუდრობას შეგვიანებული მგზავრები ან კანტიკუნტად გამონჩენილი ტრანსპორტის ხმა თუ არღვევდა. სიწყნარე იყო გელა მუჯირის საგუშაგოზეც. მაგრამ, მორიგი შემოვლისას, გუშაგი გასისხლიანებულ ახალგაზრდას წააწყდა. უცნობ პირებს დანით დაეჭრათ იგი და ოქროს მაჯის საათი წაერთმიათ. გელა სასწრაფოდ გაიქცა შემთხვევის ადგილისაკენ. „ცხელ კვალზე" გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, გელამ ორი ბოროტმოქმედიდან, ერთ-ერთი, გვარად სალუქვაძე დააკავა. პირველ წარმატებას მოჰყვა მეორე, მეორეს-მესამე და გელას პირად საქმეში მომრავლდა მადლობები, სხვადასხვა წახალისებანი.

ერთი საინტერესო ეპიზოდიც გაიხსენა: „ოზურგეთის რაიონის სოფ. მაკვანეთში, გვარად ცეცხლაძეების საცხოვრებელ სახლში, ოჯახის უფროსი უკანონოდ ინახავდა შაშხანას. დამიბარა პოლიციის უფროსმა და მომცა ასეთი დავალება: წახვალ ოზურ-

გეთის რაიონის სოფ. მაკეანეთში, მიხვალ ცეცხლაძეების ოჯახში, ეზოში არ შეხვიდე, ჭიშკრიდან დაელაპარაკე ზრდილობიანად ოჯახის უფროსს და უთხარი გამოგვყვეს პოლიციაში. მოპკიდე ხელი და ჩამოიყვანე განყოფილებაში, სხვა არაფერი გეკალებაო. გასაგებია მეთქი ვუთხარი. თუმცა ბოლომდე არ ვიყავი გარკვეული რას ნიშნავდა ყოველივე, რატომ არ უნდა შევსულიყავი სახლში და არ ამომეღო შაშხანა. შევეკითხე, სხვა ხომ არაფერი მეკალებოდა. უფროსი ცოტა გაბრაზდა, რაც გოხარი ის გააკეთეო მიბრძანა. რა მექნა, წავედი მაკეანეთში და როგორც უფროსმა დამიბარა, მივედი ჭიშკართან, დავუძახე. გამოიხედა ფანჯრიდან. ავუხსენი, რომ ვიყავი პოლიციის მუშაკი და გადავეცი, რომ უფროსი იბარებდა. როგორც ნაბრძანები მქონდა ეზოში არ შევსულვარ, კიდევ ერთხელ გავუმეორე, უნდა წამომყვე მეთქი. წვერგაპარსავი ვერ წამოვალ და დამელოდეო. ველოდები ჭიშკართან. დაახლოებით ნახვარი საათის შემდეგ გამოიხედა და მეუბნება, წვერი კი გავიპარსე, მაგრამ ჩასაცმელი ფეხსაცმელები არ მაქვს, მე და ჩემს მეზობელს საზიარო ფეხსაცმელი გვაქვსო. რა მექნა, მივედი მეზობელთან და მასაც ავუხსენი თუ რა დავალება მქონდა მიღებული. გამოვართვი ფეხსაცმელი და მივუტანე, უფრო სწორად დედამისის ხელით შევუგზავნე, შეეიდა სახლში, ჩაიცვამ და გამოვალო. მე კი ველოდები ჭიშკართან, გავიდა 20-30 წუთი. შევწუხდი, არ ვიცოდი რა მექნა. დედამისი გამოჩნდა ეზოში და ვკითხე, არ მოდის მეოქი? შვილო არ ვიცოდი თუ მას ელოდებოდი, მან ჩაიცვა ფეხსაცმელი, ფანჯრიდან გადახტა და ტყეში გაიქცაო. რა მექნა არ ვიცოდი, ცეცხლი წამეკიდა. ეყიჭრობდი რა ვუთხრა უფროსს. კაცი უნდა მიმეყვანა მასთან, ის კი გაიქცა. თუმცა, მე უფლება არ მქონდა ეზოში შევსულიყავი და მომეძებნა შაშხანის პატრონი. დიდი ხნის ფიქრისა და ლოდინის შემდეგ, ვეახლე უფროსს და ავუხსენი ყოველივე. ჯერ ვუთხარი ცეცხლაძე მოვიყვანე მეთქი, მაგრამ როდესაც მითხრა სად არისო, ვაღიარე სიმართლე, თქვენი დავალება ვერ შევასრულე, ცეცხლაძე გაიქცამეთქი. მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა მადლობას გიცხადებო. მე დღესაც ვერ მივხვდი თუ რაში მიხდიდა მადლობას. თუმცა, იტყვიან უფროსი ყოველთვის მართალიაო. „ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა და ვერ მივხვდი რა ოპერატიული კომბინაცია იყო ჩაფიქრებული. მეგონა საყვედურს მეტყოდა, მაგრამ მოხდა პირიქით. ეს ჩემთვის პირველი მადლობა იყო, ამან დადებითად იმოქმედა ჩემს ჩეკისტად ჩამოყალიბებაში.“

კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებდი: გელა მუჯირი, აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა იმ ოპერაციაში, სადაც საშიშ

კრიმინალთან შეიარაღებულ დაპირისპირებისას თანამშრომელთა ცოცხლად გადარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

2000 წლის 7 მაისს, ხულოს რაიონის სოფ ჭახაურის ცენტრში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ოლეგ მესხიძემ დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა იქვე, მეზობელ სოფელ ღორჯომში მცხოვრებ თამაზ ირემაძეს. მას დაუსწრებლად წაეყენა ბრალი სსკ-ის 105-ე მუხლით და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. 2000 წლის 25 მაისს იგი დააკავეს და განაწესეს ქ. ბათუმის №3 საპყრობილეში.

ოლეგ მესხიძე იხდიდა რა სასჯელს ქ. რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, თავის თანამზრახველებთან ერთად, თავს დაესხა გარე დაცვის №9-ე სამეთვალყურეო კომკურაზე მდგომ გუშაგს ათაქაშვილს. წაართვეს მას ავტომატური იარაღი, რომლის გამოყენებითაც მოკლეს მეორე გუშაგი ალიევი და მიიმალნენ. შექმნილი არეულობით ისარგებლა 126-მა პატიმარმა და დატოვეს დაწესებულება. 2003 წლის 11 სექტემბრს ოლეგ მესხიძის მიმართ, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, საქ-სსკ-ის 378-ე და 379-ე მუხლებით და გამოცხადდა ძებნა. ვინაიდან ოლეგის მამა ნოდარ მესხიძე ცხოვრობდა ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურში, ტერიტორიული დაქვემდებარებით, სამძებრო საქმე გადმოიგზავნა ოზურგეთის შს რაიონულ განყოფილებაში. 2007 წლის 1 ოქტომბერს, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მოეწყო ჩასაფრება მამის საცხოვრებელი სახლის ირგვლივ. რადგანაც, ინფორმაციის თანახმად, იგი კბილებამდე იყო შეიარაღებული, მისი მხრიდან მოსალოდნელი იყო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. გამოძახებულ იქნა ქ. ბათუმიდან სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები. 2 ოქტომბერს, დილით ალყაში მოაქციეს ძებნილის საცხოვრებელი სახლი. მას მიეცა წინადადება დაეყარა იარაღი და ჩაბარებოდა სამართალდამცავ ორგანოებს. მიუხედავად ამისა, მან ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გახსნა პოლიციის თანამშრომლების მისამართით. ასევე გამოიყენა რამდენიმე ხელყუმბარა, რა დროსაც მძიმედ დაიჭრნენ შსს გურიის სამსარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე მურმან ცირდავა, სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ცეცხლაძე და თავართქილაძე. ხელყუმბარის აფეთქების შედეგად მსუბუქი დაზიანებები მიიღეს შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ ზურა ასანიშვილმა და სპეცდანიშნულების რაზმის წევრმა რუბიკ გრიგორიანმა. პოლიციის მხრიდან, საპასუხო სროლის შედეგად, ადგილზე იქნა ლიკვიდირებული ოლეგ მესხიძე.

დიახ, შთამბეჭდავია ბატონი გელას მიღწევები. როგორც პოლიციელისა და სპორტსმენისა. ბუნებით თანდაყოლილი თავმდაბლობა რომ არა, მისი ბიოგრაფიის პატრონი, ალბათ გაციდებით უფრო პოპულარული და გახმაურებული იქნებოდა. ის კი ამ პატარა ნარკვევსაც ექვით შეურეს – სედმეტი ხომ არ იქნებაო!

საუბარში ოხურგეთის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, დეტექტივების განყოფილების უფროსი ლაშა ბაკურაძე ჩაგვერთო: – „როგორ შეიძლება დავახასიათო გელა მუჯირი? იგი ერთგული, დისციპლინირებული, საქმის მცოდნე პრინციპული პიროვნებაა. მას შეუძლია დამეები თეთრად ათენოს და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. არ სწყვია მეგობრის დალატი."

ყველაზე მშვიდად ოჯახში ვგრძნობ თავსო, ამბობს ბატონი დეტექტივ-გამომძიებელი გელა მუჯირი.

ღმერთმა გიმრავლოთ და გიდღეგრძელოთ თქვენი ოჯახი, ბატონო გელა. პოლიციას კი თქვენნაირი შეუდრეკელი ძალის მქონე პიროვნებები უმრავლოს.

ბავშვობიდან გამომძიებლობაზე ვოცნებობდი

აკაკი სადრაძე

„ბავშობიდან გამომძიებლობაზე ვოცნებობდი, ვკითხულობდი წიგნებს, რომლებშიც გამოძიებაზე ეწერა. მოხდა ისე, რომ იმ წელს, როდესაც სკოლა დავამთავრე, იურიდიული ფაკულტეტის მისაღებ გამოცდაზე, მხოლოდ პროფილიანი აბიტურიენტები გაუშვეს. გადავწვიტე მონათესავე სპეციალობაზე ჩამებარებინა. მაგრამ ჯერ საჯალდებულო სამხედრო სამსახური ვარჩიე. შემდეგ მუშაობა დავიწყე საპატრულო-საგუშაგო სამსახურში რიგით პოლიციელად. ხოლო ბავშვობის დროინდელი სურვილი ცოტა მოგვიანებით შევისრულე. 1995 წელს დავამთავრე პოლიციის აკადემია.

გამომძიებელი რომ გავმხდარიყავი, შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის დიდი პრაქტიკა გავიარე, ვმუშაობდი იმ თანამდებობაზე, საიდანაც მოკვლეულ მასალებს გადასცემენ გამომძიებელს, ამდენად უკვე მზად ვიყავი გამომძიებლად მუშაობისათვის."

როგორია თქვენს მიერ რიგითი პოლიციელიდან დღემდე განელილი რთული და მეტად საპასუხისმგებლო გზა?

- „რიგითი პოლიციელიდან დღემდე განელილი გზა ჩემთვის მართლაც რთული იყო. მუშაობა მომიხდა ისეთ პერიოდში, როდესაც გურიის რეგიონში რთული კრიმინოგენური ვითარების გამო, სალხს სახლიდან გარეთ გამოსვლისა ეშინოდა. კბილებამდე შეიარაღებული შავი სამყაროს წარომადგენლები, დღისით თუ ღამით, თავისუფლად დათარეშობდნენ და დაუნდობლად აწიოკებდნენ მოსახლეობას. იმ საეალალო პერიოდში 14 თანამშრომელი დაეკარგეთ. მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენ მაინც ყველაფერს ვაკეთებდით სიმშვიდისა და წესრიგის აღდგენისათვის. დღეს კი ვიბრძვით იმისათვის, რომ არცერთი დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩეს. მე სრულებითაც არ ვცდილობ და არც მსურს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის სამსახურის რომელიმე მუშაკის შეურაცხყოფა, მაგრამ დღეევანდელ პირობებში ნებისმიერმა უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა და ხელმძღვანელმაც უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ კანონმდებლობაში შესული ცელილებების გათვალისწინებით, მკეეთრად აიმაღლოს პროფესიული ცოდნის დონე, მუშაობის საერთო კულტურა, და ინტელექტი. – საკუთარ თავზე ბევრი მუშაობა მიწევს, მაგრამ ვგრძნობ იგი არ არის საკმარისი. მართალია, გამოცდილება ასაკთან ერთად მოდის, მაგრამ თუ ასაკს სათანადო ცოდნა არ შეაგებე, გამოცდილებაც დაუნანებლად აგიყლის გვერდს. რაც უფრო მეტს ვსწაელობ, ვრწმუნდები, რომ ბევრი რამ არ ვიცი. მართალია დროით ძალზე შეზღუდული ვარ, მაგრამ მაინც უნდა მოეძებნო საკუთარ თავზე მუშაობისათვის თავისუფალი საათები თუ არა, წუთები მაინც."

აკაკი ნოეს - ძე სადრაძე დაიბადა 1970 წლის 7 ოქტომბერს, ქ. ოზურგეთში. დაამთავრა ოზურგეთის რაიონის სოფ. ნატანების საშუალო სკოლა. 1988-1990 წლებში მსახურობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის შინაგან ძალებში. 1991 წლის მაისის თვეში, მუშაობა დაიწყო ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საპატრულო საგუშაგო სამსახურში, რიგით პოლიციელად. 1992-1995 წლებში სწავლობდა პოლიციის აკადემიაში. 1995 წელს ინიშნება ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ძებნის ჯგუფის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე, რა დროსაც დაკავებული ჰყავს 70-მდე სხვადასხვა დანაშაულისათვის ძებნილი პირი. ყოველთვის გამოირჩეოდა მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად, მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებით, რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის. პოლიციის კაპი-

ტანი აკაკი სადრაძის საქმისადმი სიყვარული და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 2004 წლის დასაწყისში მას გამომძიებლად ნიშნავენ, ხოლო შემდეგ გადაჰყავთ უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე,

აფხაზეთში, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლებში უმაღლესი სკოლის კურსანტთა და ოფიცერთა დიდი ჯგუფი. მათ შორის იყო ჩვენი ნარკვევის გმირი, აკაკი სადრაძე: „26 აგვისტოს "ლაზის" მარკის სამი ავტობუსით გავემგზავრეთ ქალაქ ფოთში. მთელი ღამე ფოთის პორტში, ღია ცისქვეშ გავატარეთ და მეორე დღეს, 27 აგვისტოს, 12 საათსა და 40 წუთზე, კატარღა „ფაჩულიათი"კურსი გაგრისკენ ავიღეთ. იმავე დღეს, ღამის 11 საათზე, უკვე დანიშნულების ადგილზე მივედით.

იმ ღამეს, მთელი შემადგენლობა (107კაცი), გაგრის სასტუმრო აფხაზეთში მოგვათავსეს, რადგან მეორე დღეს (რომელიც ჩვენთვის მეტად მძიმე გამოდგა) გაგრის ზონის სოფელ კოლხიდაში საბრძოლო პოზიციებზე გავლა გველოდა.

28 აგვისტოს, როდესაც მთელი საქრისტიანო ბრწყინვალე დღესასწაულის-წმინდა მარიამ ღვთისმშობლის დღეს აღნიშნავდა, მიღებული ბრძანების შესაბამისად, დილის 7 საათზე, უკვე მზად ვიყავით თავდაუზოგავად გაემკლავებოდით ყველა ჯურის შეიარაღებულ მომხდურს".

გასახსენებელი ბევრი აქვს ბატონ აკაკი სადრაძეს, შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის მანძილზე, არაერთი საშიში დამნაშავე, მიმალვაში მყოფი პირი დაუკავებია და წარმატებით გამოუძიებია მრავალი საქმე. მრავალ საგამოძიებო ჯგუფში ჩაურთავთ. რამდენიმე შემთხვევა გვიამბო: 2003 წლის 5 ივლისს ერთი ცნობილი ბიზნესმენის ოჯახს თავს დაესხა 3 კაციანი ყაჩაღთა ჯგუფი. მათ ოჯახიდან წაიღეს დიდძალი ოქროულობა და საოჯახო ნივთები. ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა, იმავე ღამეს აიყვანეს ეჭვმიტანილები. წინასწარმა გამოძიებამ გაარკვია, რომ დაკავებულები დაზარალებულის ნათესავები იყვნენ. ორი თავდამსხმელის დაკავება მოხერხდა. მესამე ბოროტმოქმედი მეტსახელად „სკვინჩა", თავს აფარებდა ვინმე სალუქვაძის, მეტსახელად „ყინვას" ბინაში. ესეც წინასწარი გამოძიებით გახდა ცნობილი. მესამე ბოროტმოქმედიც აიყვანეს ოპერატიული სამსახურის ბიჭების დასმარებით. მან აღიარა ჩადენილი დანაშაული. სამივე დამნაშავეს 11-11 წელი მიუსაჯეს. ნაყაჩაღარის ძირითადი ნაწილი დაუბრუნდა დაზარალებულებს.

დამნაშავეები გამოვავლინეთ და პასუხისგებაში მივეცითო, იგონებს ბატონი აკაკი. ზოგიერთმა მათგანმა უკვე სასჯელიც მოიხადა. ამიტომ მათი დასახელება დღეს მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

2008 წლის 1 თებერვლიდან დღემდე, იგი ‘ებნის უფროსი ინსპექტორ– გამომძიებელია. ჰყავს მეუღლე ნინო ლომაძე. რომ არა გამომძიებლობა, ვინ იცის იქნებოდა თუ არა დაოჯახებული აკაკი სადრაძე. ოზურგეთის რაიონის სოფ. ოზურგეთში გაქურდეს კორნელი ლომაძის ოჯახი. შემთხვევის ადგილ’ზე გავიდა გამომძიებელი აკაკი სადრაძე. ის-ის იყო მორჩა შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, დაკითხა ოჯახის წევრები, მეზობლები და აპირებდა სამსახურში წამოსვლას, რომ მისი ყურადღება მიიპყრო სიმპათიურმა გოგონამ, რომელიც, როგორც შემდგომ გაირკვა, დაზარალებულის ქალიშვილი აღმოჩნდა. საგამოძიებო მოქმედებების პარალელურად, გამომძიებელი ყოველნაირად ცდილობდა თავი მოეწონებინა დაზარალებულის ოჯახის ·წევრებისათვის. ისეთი ყურადღება და მონდომება გამოიჩინა საქმის მიმართ, რომ მიუხედავად საქმის გაუხსნელობისა, დაზარალებული მხარე კმაყოფილი იყო მისი მუშაობით. უფრო· მეტიც: როდესაც მათთვის ცნობილი გახდა სადრაძისა და თავიანთი ქალიშვილის სიყვარულის ამბავი, გაგებით მოეკიდნენ ყოველივეს.

კიდევ ერთი ფაქტი გაიხსენა აკაკი სადრაძემ: 1998 წლის 11 მარტს (მაშინ გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო ვიქტორ გობრონიძე), ღამის პირველ საათზე, ა. სადრაძემ და მისმა მეგობარმა გურამ ასათიანმა, რომელიც ასევე ‘ებნის ხაზით მუშაობდა, მიიღეს ინფორმაცია ოზურგეთის რაიონის სოფ. ჯუმათში მცხოვრები თამაზ ქალდანის შესახებ, რომელიც ყაჩაღობისათვის იძებნებოდა და თითქმის 5-6 წელი სახლში ნამყოფი არ იყო. ინფორმაციის თანახმად, ‘ებნილი სატვირთო მატარებლით ჩამოვიდა სადგურ ჯუმათში და სახლის მიმართულებით წავიდა. აღნიშნულის შესახებ მოახსენეს სამხარეო პოლიციის უფროსს, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა დაემუშავებინა ‘ებნილის აყვანის გეგმა. რომლის თანახმად, ორი ეკიპაჟისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ აკაკი სადრაძე და გურამი ასათიანი, ისე შეიპარნენ ქალდანის საცხოვრებელ სახლში, რომ ლოგინში მძინარემ ვერც გაიგო რა მოხდა. „გამთენიისას მივედი სახლში, ·ბიძამ დამინახა და მისი ჩაშვებული ვიქნებიო“, არადა ბიძამისს საერთოდ არ იცნობდნენ, ინფორმატორი სხვა იყო.

„28 აგვისტოს, შუაღამისას, ჩვენი ძალებით სოფელ კოლხიდის მანდარინის ბაღებიდან უკუგდებულ იქნა მტრის დაჯგუფებები. მთა, რომელ’ზედაც ჩვენი ასეული გამაგრდა, დაბალი იყო. სტრატეგიული თვალსაზრისით, არასახარბიელო მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. უფრო მაღალ მთაზე განლაგებული მტრისათვის ჩვენი პოზიციები, კარგ სამიზნეს წარმოადგენდა. მიუხედავად

ამისა, ბიჭებს წარბიც კი არ შეუხრიათ. ღამე ძალზე მძიმე გამოდგა. მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა. ორმხვრივი ბრძოლები გრძელდებოდა.

მთელი ღამის განმავლობაში მოწინააღმდეგის პოზიციებიდან მანქანის გუგუნი ისმოდა. დავადგინეთ, რომ მოწინააღმდეგე ამ ადგილებში ძალების კონცენტრაციას ახდენდა.

მოვიდა საშინელი ამბავი, რომ ბიჭები მტრის მოულოდნელი თავდასხმის მსხვერპლი გამხდარან. იმ დღეს 6 დაღუპულის გამოყვანა შეეძელით, დანარჩენი ოთხის გამოყვანა კი ჯავშანიანი მანქანის დაზიანების გამო ვერ მოხერხდა. ისინი მხოლოდ მესამე დღეს გამოვიყვანეთ. "

ქალაქი გაგრის დაცემის დღეს, 2 ოქტომბერს, მხოლოდ რამდენიმე შენაერთი იბრძოდა ქალაქის დასაცავად. ქალაქს ყოველი მხრიდან უტევდნენ. მალე ჩვენს მებრძოლთა რიგებში დაბნეულობამ დაისადგურა. საბრძოლო ოპერაციები ცალკეული ჯგუფების მებრძოლთა პირადი ინიციატივით ხორციელდებოდა. მათ თვითშემოქმედებაზე იყო დამოკიდებული შედეგიც. „ჩვენი რიგები, გაგრის დაცემის დღეს, საკმაოდ შეთხელდა. შეესება აღარ მოდიოდა. უცებ ჩვენს „ბმპს" კოშკურას მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მანქანიდან გასროლილი ჭურვი მოხვდა. მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია. ჩვენმა ჯგუფმა, ტყვიების წვიმის ქვეშ, მოახერხა ცეცხლმოკიდებულ მანქანასთან მისვლა და მძიმედ დაჭრილი თანამებრძოლების გამოყვანა." თვითონაც მსუბუქად დაიჭრა, კანტუსიაც მიიღო, მაგრამ ბოლომდე იბრძოდა აფხაზეთში. ბატონი აკაკი დარწმუნებულია იმაში, რომ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება, რუსული ოკუპანტების ხიშტებზე დგას. მაგრამ როგორც ნათქვამია, „ხიშტებზე ვერ დაჯდებიო „სეპარატისტთა პარპაშს დიდი დღე არ უწერია. ისტორიული სიმართლე გარდაუვლად აღდგება. გაცა დრო და აფხაზეთი დაბრუნდება. ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში. ჩვენი შვილები და შვილიშვილები დაუბრუნდებიან მშობლიურ ბუდეებს. მოღალატეებს და მედროვეებს ისტორია გამოუტანს საკადრის განაჩენს და თავისას მიუსღავს. „კოლხთა ღეთით – რჩეულ ბებერ მიწაზე კვლავ იჯეჯილებს ჯიში ქართული."

ოზურგეთის შს რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი აკაკი სადრაძე, ჩვეული შემართებით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, პროფესიული ცოდნით, კვლავ მართლწესრიგის სადარაჯოზე დგას. და გვჯერა, რომ არ უღალატებს ერთხელ არჩეულ გზას, ბოლოდე კეთილსინდისიერად მოიხდის თავის მოვალეობას – ემსახუროს ხალხის სიმშვიდეს, მშობლიურ ქვეყანას.

კაცი გამორჩეული

სერგო ფასეიშვილი

კაცი, რომელიც ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრობს, ვისთვისაც დიდი და პატარა არ არსებობს მეგობრობისათვის, ვისაც სხვისთვის შეცდომების პატიება დიდსულოვნად შეუძლია, ვისაც წმინდა გიორგის, როგორც მებრძოლთა შემწის ხატი კაბინეტში უკიდია და ვისაც ამ ქვეყნად აღარაფრის ეშინია (რა დროს ჩემი შიშიაო, გვიპასუხა) – ეს ლანჩხუთის შს სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი, პოლიციის მაიორი სერგო ფასეიშვილი გახლავთ, დაბადებული 1961 წლის 3 მარტს.

მშობლიური მხარე – ლანჩხუთის რაიონი, სოფ. გვიმრალაური. დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1982-1984 წლებში მსახურობდა აეღლანეთში. დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის სელოვნებისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა მუშაობა დაეწყო ლანჩხუთის რაიონის პოლიციაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ლოგიკური იყო თუნდაც იმიტომ, რომ ის პროფესიით იურისტი გახლავთ.

და აი, ლანჩხუთის რაიონის კრიმინალური პოლიციის მაშინდელი უფროსის ბატონ თამაზ კუნჭულიას რეკომენდაციით, სერგო ფასეიშვილი სისხლის სამართლის სამძებროს უმცროს ოპერატიულ მუშაკად ინიშნება.

მას შემდეგ 15 წელი გაეიდა. ეს კი, არც თუ ისე დიდი, მაგრამ არც მთლად მცირეა. სერგომ მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად. ჭეშმარიტად უნივერსალური გამოცდილება შეიძინა. მას არც თუ ისე გრძელი, მაგრამ სიძნელეებით აღსავსე გზა აქვს გავლილი. იყო ეკოლოგიის პოლიციის უფროსი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილე. სუფსის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი. შემდეგ სამძებროში იმუშავა ჯერ მოადგილედ, რეორგანიზაციის შემდეგ კი ინსპექტორ-გამომძიებლად. 2002 წლის თებერვლიდან დღემდე დეტექტივ-გამომძიებელია. ყველაზე მძიმე წუთებში იდგა კოლექტივის გვერდით. ყოველთვის იყო და არის მობილიზებული დამნაშავეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნუ გამოვედევნებით ასეთ შემთხვევაში ძალზე გავრცელებულ ფორმებს, ციფრებსა და საერთოდ, სტატისტიკას. თუმცა ამ მხრივ, ცოტა როდია სათქმელი. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის პერიოდში. მის ანგარიშზეა ათეულობით გახსნილი საქმე, მრავალი ბოროტმოქმედის დაკავება.

ერთ-ერთ მოქალაქეს, რომელიც კბილის ტექნიკოსად მუშაობდა, ბოროტმოქმედები ფულს სძალავდნენ. მათთვის ფულის გადაცემა უნდა მომხდარიყო ოზურგეთი-ლანჩხუთის ავტობუსში. უფრო კონკრეტულად, მძღოლისათვის უნდა მიეცა დაზარალებულს 1000 დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წერილიდან ჩანდა, ისინი დაზარალებულის ოჯახს ემუქრებოდნენ აფეთქებით. ერთ-ერთი გამომძალველი სოფელ აცანის ტერიტორიაზე დააკავეს, როდესაც მას მძღოლმა გადასცა აღნიშნული თანხა. პოლიცია დარწმუნებული იყო, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

— დილით ისევ მოდის დაზარალებული და აცხადებს: ისევ შემომიგდეს წერილი ეზოში, რომელსაც ახატია ჯვარი და სისხლი. — გვიყვება სერგო — ამ დროს პოლიციის უფროსი იყო გურამ ჩხაიძე. მისგან მივიღეთ დავალება, დაზარალებულის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩასაფრების მოწყობის შესახებ. გამოვედით თუ არა პოლიციის უფროსის კაბინეტიდან, იქვე პოლიციის შენობის წინ ერთი ახალგაზრდა ბიჭი შევნიშნეთ. რატომღაც დავინტერესდით მისი ვინაობით. ვთხოვეთ გამოგვყოლოდა. როდესაც დავრწმუნდით, რომ ის თავისი მეგობრის ბედით იყო დაინტერესებული, სხვათაშორის ვკითხეთ, რატომ დაამძიმეს დაპატიმრებულის მდგომარეობა, რა საჭირო იყო კიდევ ერთი წერილი. შევატყვე, რომ აშკარად დაბნეული იყო, არ იცოდა რა ექნა, გამოგვიტყდა, ჩემი დაწერილიაო, თუ არ გჯერათ ნახეთ თითი გავიჭერი და სისხლით ჯვარი გავაკეთეო, ეს იმიტომ, რათა გამოეშვათ ჩემი მეგობარიო. ამის შემდეგ უფროსს მოვახსენეთ ყოველივე. რომ ეუთხარით წერილის დამწერიც დაკავებულიაო, სიხარული ვერ დამალა და ორივეს გადაგვეხვია. შემდეგ დაზარალებული არავის შეუწუხებია.

ერთი კურიოზიც გაიხსენა ბატონმა სერგომ: „სანამ დავინიშნებოდი ეკოპოლიციის უფროსად, მანამდე ამ თანამდებობაზე მუშაობდა ჩემი მეგობარი დავით ფირცხალაიშვილი. ერთხელ იგი წავიდა სუფსაში მდინარე ჩერბალკაზე, დაინახა მეთევზე, რომელიც უკანონოდ აწარმოებდა თევზის რეწვას. როდესაც მასთან მივიდა ნახა, რომ დიდი თევზი ყავდა დაჭერილი და ამ თევზს მეორე თევზი ჰქონდა ნახევრად გადაყლაპული — დათომ უთხრა მეთევზეს ამოდი ნაპირზეო — ის კი დახედავს თევზს, მერე გად-

ახედავს დათოს და იცინის, დათომ იფიქრა მასხრად ამიგდოო და უფრო აუწია ხმას, მკაცრად უთხრა ამოდიო, თუმცა მეთეეზე არც აპირებს ნაპირზე ამოსვლას. დახედავს თეეზს და ისეე გაიხედავს დათოსკენ. შემდეგ კი უთხრა, ეს თეეზი შენა ხარ, გადაყლაპული კი მე ვარო. დათოს გაეცინა და გადაურჩა მეთეეზეც ჯარიმას."

ლანჩხუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, პოლიციის ეიცე-პოლკოვნიკმა, მედიკო გვარჯალაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: "სერგო გარდა იმისა, რომ სულით და გულით პოლიციელია, უაღრესად კეთილშობილი ადამიანია. ადვილად შეუძლია ინფორმაციის მიღება, დამუშავება და რეალიზაცია. გვერდში მდგომი კაცია. მუშაობის რთული და საპასუხისმგებლო წლები კეთილსინდისიერად განვლო. იგი ჩამოყალიბდა საქმის მცოდნე, პროფესიონალ მუშაკად. მის ანგარიშსეა ათეულობით გახსნილი საქმე და დაკავებული ბოროტმოქმედი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წარმატებები საქონლის ქურდობის ფაქტების გახსნის საქმეში. მაგრამ, ეფიქრობ უფრო უპრიანი იქნება ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ბატონი სერგო არა მარტო წარჩინებული ოპერატიული მუშაკია, არამედ უნარიანი და გულისხმიერი სელმძღვანელიც გახლავთ."

სწორედ კარგმა მუშაობამ გახადა ავტორიტეტულ პიროვნებად. ამას კი უპირველესად ისიც განაპირობებს, რომ იგი საუკეთესო ადამიანი და სამაგალითო ოჯახის უფროსია. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე – მარინა ჩხაიძე და სათაყვანებელი ორი შვილი, ქალ-ვაჟი: ია და რემი ფასეიშვილები.

რემიმ დაამთავრა ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მამის გზის გაგრძელებაზე ფიქრობს. სერგოს ყველაზე მეტად თავისი შვილიშვილი პატარა დავითი უყვარს, რომელიც ჯერ მხოლოდ ერთი წლისაა, მაგრამ ბაბუას კარგად ცნობს.

ერთი სიტყვით, ბატონ სერგო ფასეიშვილის სახით, არა მარტო ქართულ პოლიციას, არამედ ფართო საზოგადოებას ჰყავს ერთი გამორჩეული, ყოველმხრივ ღირსეული წევრი.

ᲬᲘᲜ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲐ

პაატა ნოზაძე

ყველა ადამიანს აქვს ცხოვრების თავისებური მიზანი, სურვილი – აკეთებდეს იმას, რაც ხელეწიფება. მაგრამ, შენეულ არჩევანს, თუ ძლიერი ნებისყოფა, ნიჭისა და უნარის მაქსიმუმი არ შესწირე, საჭვოა გაგიმართლოს ფორტუნამ. მოაზროვნე, საქმიანი, მიზანსწრაფული პიროვნებები კი მუდამ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ და ადამიანთა საკეთილდღეოდ იღვწვიან.

დამნაშაევთა სამყაროსთან მებრძოლი პროფესიონალების ხვედრი მეტად მძიმეა და თვალით უხილავიც. პოლიციელთა ვაუკაცურ სულზე, ბრძოლის უნარზე და კეთილსინდისიერებაზეა დაფუძვნებული სახელმწიფოს სიძლიერეცა და დაცემაც – მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, არაერთი ადამიანის ბედი.

ჩვენი ნარკვევის გმირი, თავისი საქმის უბადლო პროფესიონალი, ახალგაზრდა პერსპექტიული მუშაკი, ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს სუფსის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი პაატა ნოზაძეა. იგი დამოუკიდებელი უნივერსიტეტის აჭარის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. 2003 წელს დაიწყო პოლიციაში მუშაობა. იყო სუფსის ქვეგანყოფილებაში უბნის ინსპექტორი, ურეკის პოლიციაში მორიგე ინსპექტორი. 2006 წლის აგვისტოდან კი, კვლავ ბრუნდება ლანჩხუთის პოლიციაში და იწყებს მუშაობას სუფსის ქვეგანყოფილებაში, სამძებროს ინსპექტორად. 2007 წლის თებერვლიდან დღემდე, აღნიშნულ განყოფილებაში, უბნის ინსპექტორ-გამომძიებელია.

რამდენიმე კითხვით მივმართე პაატას:

– ბატონო პაატა, როგორ მოხვედით პოლიციაში, იქნებ გაიხსენოთ თქვენი გაკეთებული საქმეები. როგორია კრიმინოგენური მდგომარეობა თქვენს სამოქმედო ტერიტორიაზე?

– დავიბადე 1980 წლის 22 სექტემბერს, ქ. ჭიათურაში. 1998 წელს დავამთავრე იქაური ქართული გიმნაზია. ბავშვობიდან მოყოლებული გადაწყვეტილი მქონდა გავმხდარიყავი პოლიციელი. ჩემი სურვილი გამოწვეული იყო ჩემი ოჯახური ტრადიციით: მამა, ძმა და ბიძები, პოლიციის თანამშრომლები იყვნენ. ბავშვობაში

ხშირად მიწევდა მათ გვერდით ყოფნა. ჩემს ძმას ხშირად ეპარავდი ფორმის ტანსაცმელს, ეიცვამდი და სარკის წინ საათობით ვიდექი, თან გულში ვფიქრობდი, როდის წამოვიზრდებოდი, რომ მეც გავმხდარიყავი პოლიციელი. მაშინ ალბათ ვერ ვაცნობიერებდი თუ რაოდენ რთული იქნებოდა პოლიციის მუნდირის ტარება და აი, 2003 წლის ზაფხულზე, დამიდგა ის ნანატრი დღე, როდესაც ჩავიცვი პოლიციის ფორმა. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა გურია, სოფელი სუფსა და გადავწყვიტე მუშაობა დამეწყო სუფსის პოლიციის ქვეგანყოფილებაში. დასანიშნად წარვსდექი გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის ვიქტორ გობრონიძის წინაშე. მას შემდეგ 6 წელი გავიდა და ახლაც მახსენდება ბატონი ვიქტორის სიტყვები: „შეძლებ კი, პოლიციის სამხრეების ტარებას"-ო. მაშინ ცოტათი მეწყინა მისი ეს სიტყვები, მოგვიანებით კი მივსვდი, რომ მართლაც მძიმეა პოლიციის სამხრეების ტარება..

სუფსის პოლიციის ქვეგანყოფილებაში, სულ რაღაც 4-5 თვის დანიშნული ვიყავი, როდესაც ჩემი პირველი ინფორმაციის რეალიზაცია შეეძელი. მაშინ ვმუშაობდი სისხლის სამართლის სამძებროში ძებნის ინსპექტორად. ერთ-ერთი ოჯახის წევრმა (მე ხშირად მიწევდა ძებნილის ოჯახებში სიარული და ოქმების შედგენა) მომაწოდა ინფორმაცია, რომ ქვეგანყოფილების მიერ, ორი წლის მანძილზე ძებნილი პიროვნება ჩუმად სტუმრობდა ხოლმე თავის სახლს. ორთვიანი მუშაობის შედეგად აღნიშნული ძებნილი გამთენიისას დავაკავეთ, საკუთარ სახლში, სადაც სულ რაღაც 5 საათის მისული იყო და უდარდელად ეძინა.

2004 წლის აპრილის თვეში კი გავხსენი მაღაზიის გაქურდვის საქმე. დავგეგმეთ ღონისძიება დამნაშავეთა დასაკავებლად. დამნაშაევის პოლიციაში მიყვანამდე, გადავწყვიტეთ მიგვეყვანა ის ორი თვითმხილველი, რომლებიც შეესწრნენ აღნიშნულ ფაქტს. მაგრამ ყველაფერს ის ართულებდა, რომ ეს თვითმხილველებიც ე.ი. მოწმეები, აღნიშნული დამნაშავის მეგობრები იყვნენ. ჩვენს მიერ გაკეთებული ზუსტი გათვლებით, დამნაშავეც და მოწმეებიც ერთდროულად მივიყვანეთ პოლიციაში. მათ დერეფანში დავანახეთ ერთმანეთი და ცალკ-ცალკე ოთახებში დავსვით. როდესაც ეჭვმიტანილს ვუამბეთ დეტალურად ის, რაც მან ჩაიდინა 3 წლის წინათ, იგი თავსარდაცემული, გაოგნებული იჯდა სკამზე და მის თვალებში იკითხებოდა ერთი რამ, "3 წლის შემდეგ საიდან გაიგეთ?! როგორ მომაგენით?!" მაგრამ, ყველაზე უფრო თავზარდამცემი ჩვენთვის პოლიციელებისათვის ის იყო, რომ აღნიშნული ქურდობა ჩაიდინა, დამნაშავის ტყვიისაგან გარდაცვლილი პო-

ლიციელის შვილმა. მან თავისი საქციელით მამა კიდევ ერთხელ მოკლა!"

აგვისტოს ერთ მცხუნვარე დღეს გრიგოლეთში, ზღვის სანაპიროზე, ერთი აყალ-მაყალი ატყდა. შემთხვევის ადგილზე მაშინვე პაატა ნოსაძე გაჩნდა. მოჩხუბრები დაამშვიდა, დაარიგა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ერთ-ერთის, რომელიც ოსურგეთელი აღმოჩნდა, მისამართი ჩაიწერა.

ორი დღის შემდეგ სუფსიდან ურეკავენ, — ჩვენთან ისეთი უწესრიგობაა, თქვენს ჩარევას საჭიროებსო. იგი თანამშრომელ ჯუმბერ კვაჭაძესთან ერთად, მივიდა და ამჯერადაც დაუყვავა, თან მკაცრად გააფრთხილა ისინი და ის ის იყო წამოსვლას აპირებდნენ, რომ ერთმა ნაცნობმა პაატა გვერდით გაიხმო და ჩურჩულით უთხრა: — მაგ მოჩხუბრებიდან ერთ-ერთი მგონი ძებნილიაო.

პაატამ რაღაც მოიმიზეზა, ჯუმბერი მეთვალყურედ დატოვა, ხოლო თვითონ დარეკა იქ, სადაც საჭირო იყო. აცნობეს, რომ მკვლელობის მცდელობისათვის ვეძებთ, ჩვენს მოსვლამდე თვალთახედვის არედან არ დაკარგოთო.

იმ ღამით, მართლაც დააკავეს საშინში ბოროტმოქმედი, რომელიც ძებნილი აღმოჩნდა, სწორედ ის ოსურგეთელი, ვისი მისამართიც ორი დღის წინ ჩაიწერა.

— „გასულ წლებთან შედარებით, დანაშაულთა კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ჯერ კიდევ ხშირია სხვისი ქონების ქურდობის ფაქტები რაც ისევ და ისევ გამოწვეულია დღევანდელი სოციალური პრობლემებით.

ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე დათარეშობდა მძარცველთა 3 კაციანი ჯგუფი, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული გაუხსნელი იყო. ჩვენი ბიჭების უძილო ღამეების შედეგად ამ ჯგუფის ყველა წევრი დაკავებულია.

ძირითადად აღინიშნება მობინადრეთა სარდაფებისა და აგარაკების გაქურდვა. ეს არამარტო მოზარდების მიერაა ჩადენილი, არამედ საკმაოდ ასაკიანი ხალხიც კი მიდის ასეთ ქმედებაზე. და თანაც იქვე თავისივე სოფელში, თავისსავე გვერდით მცხოვრებ მეზობლებსაც კი არ ინდობენ.

რაგინდ მძიმეც არ უნდა იყოს არსებული სოციალური პრობლემა, როგორ უნდა გაიწყვიტო ადამიანმა შუბლზე ძარღვი და მეზობელს, რომელსაც ყოველდღე ხედები, ესალმები და მასთან ურთიერთობა გაქვს, არაკაცურად ექცევი? ასეთ ხალხთა კატეგორიას ვერავითარ გამართლებას ვერ ვაძლევ."

— თქვენთან რამდენად აღინიშნება ნარკომანიის ფაქტები?

— მართლაც, რომ საშინელი ფაქტის წინაშე დგას ქართველი ხალხი. ნარკომანია ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომელსაც არა მარტო პოლიცია, არამედ თითოეული მოქალაქე უნდა ებრძოდეს, რათა ჩვენი ერი და ქვეყანა არ გადაშენდეს.

ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე რეალიზატორი არ გვყავს, რადგან ჩვენთან მატერიალურად დაბალი ფენა ცხოვრობს. შამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვი მომხმარებელზე. მათი რიცხვი თითქმის ყოველდღიურად მატულობს.

ჩემი აზრით, პირველ რიგში, რეალიზატორების გამოელენა უნდა მოხდეს. მათ მიმართ უნდა მოქმედებდეს უმაღლესი სასჯელი.

— რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ნარკოტიკების მომხმარებლელთა მხოლოდ დაჯარიმება და არა პასუხისგებაში მიცემა?

— მე წინააღმდეგი ვარ ნარკოტიკების მომხმარებლების დაჯარიმებისა. იმის მაგივრად, რომ ვებრძოლოთ ამ საშინელ სენს და მკაცრი ზომები მივიღოთ, ჩვენ კვლავ შანსს ვაძლევთ მათ.

ჩვენი დღევანდელი კანონმდებლობის შეცვლა ჩემი აზრით არამართებულია. როგორც რეალიზატორს ვებრძვით, ისე უნდა ვებრძოლოთ მის მომხმარებელსაც. და არა ისე, რომ რაღაც გარკვეული თანხა გადაიხადონ და კვლავ განაგრძნონ ნარკოტიკების მოხმარება..

ეს საკმაოდ ყურადსაღები საკითხია, თუ გვინდა, რომ ქართველი ერი ჩვენივე ხელით არ მოესპოთ...

— ბატონო პაატა, იმ უამრავ პრობლემებს, რომელიც დღეს სუფსის პოლიციას (და არა მარტო სუფსის) გააჩნია, მის მოგვარებას მარტო ერთი კაცი ვერ შესძლებს...

— მართალი ბრძანდებით. თუ არა ბატონი ბესო ტაბიძე, მისი მტკიცე და ეაუკაცური ხასიათი, ისე მართლაც რომ გაგვიჭირდებოდა მუშაობა. იგი თითოეული თანამშრომელის დამცველია და იმასაც დაეძენდი, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ბატონი ბესოსნაირი პიროვნებები უნდა ინიშნებოდნენ..

— დღევანდელი გადასახედიდან როგორ გესახებათ საქართველოს მერმისი?

— ქართველი კაცი ოდითგანვე გამოიჩეოდა თავისი ოპტიმისტური ხასიათით და ალბათ, ყოველთვის ეს გვშველოდა. თუ კაცს ხვალინდელი დღის იმედი არა აქვს, მაშინ მისი ცხოვრებაც უაზროა.

წინ სიმართლის ძიების გზებია, — კეთილსინდისიერი მუშაობის, ადამიანის ბედზე დაუღალავი ზრუნვისა და თვალყურის დევნების გზები. პაატა ნოსაძეს ყველა თვისება გააჩნია, რომ ეს

გზები სასახელოდ გაიაროს. ამიტომაც' ახალგაზრდა პერსპექ-ტიულ მუშაკს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

წერილს ვამთავრებთ როლანდ თაყაძის ლექსით მოძღვნილს სუფსის პოლიციისადმი

მაშ, რა ეგონათ!?

სუფსის ჭალაში „ბილიკით“,
ბარდ-ეკალ გადაბურულით,
გამოძვრა სამი უცნობი
ფრთხილი ნაბიჯით, ტურულით.
შევიცან, იყვნენ „შავები“,
პირს ნიღაბჩამოხურულნი,
მომიახლოვდნენ, შეჩერდნენ,
შიშისგან ტანაწურულნი.
ეჭვით მიყურეს კაიხანს,
უსიტყვოდ და დაბღურული.
მიხვდნენ ვინც ვიყავ, ატეხეს.
ფაცური, თვალთმაქცურული.
იშიშელეს იარაღები
მათ რისხვით, ცრუფაფხურულით.
მიბრძანეს ხელის აწევა,
სიტყვებით არცენზურულით . . .
და როს ეგონათ, რომ მქონდა
იმედი გადაწურული,
მაშინ დავაძვრე "ნაგანი",
პრიალა ტანაჟურული.
უმალ ავღეკვეთე ლაჩართა
მცდელობა შავ-მაცდურული,
მოვახდევინე ნიღბები,
ოფლისგან მთლად გაწურული.
წინ გავირეკე ნაცემნი
და სისხლით პირმოდუღრული,
ვაჩვენე სიმხნე, სიმკვირცხლე
პოლიციელი გურულის.

პოლიციას მძიმე დანაშაულის გახსნაში „ჯულბასი“ დაეხმარა

2000 წლის 22 აგვისტოს, დაახლოებით 07 საათსა და 40 წუთზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული 5 ნიღბიანი პირი შეეიდა ოზურგეთის რაიონის სოფ, შრომაში მცხოვრებ სულიკო მამფორიას კუთვნილ სასურსათო მაღაზიაში, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანებში მცხოვრებ ეიოლეტა მამარდაშვილსა და შალვა გოგოტიშვილს, ამავე რაიონის სოფ. შრომაში მცხ. სიმონ გუკასიანსა და მაღაზიის მეპატრონეს სულიკო მამფორიას. რის შემდეგაც, ბოროტმოქმედები ყაჩაღურად თავს დაესხნენ მიხეილ მჟავანაძის ოჯახს და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, გაიტაცეს ფულადი თანხა 1800 ლარის ოდენობით, ოქროს ნივთები და მიიმალნენ სოფლის ტერიტორიაზე.

ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ ბოროტმოქმედებმა შეამჩნიეს სოფელ შრომის საკრებულოს შენობასთან მდგარი ღამის დარაჯი ავთანდილ გულიაშვილი. თვითმხილველი მოწმის თავიდან მოშორების მიზნით, ერთ-ერთმა ყაჩაღმა, რამოდენიმეჯერ ესროლა ავტომატური იარაღიდან ავთანდილ გულიაშვილს, რომელიც მძიმედ დაიჭრა. თუმცა დროული სამედიცინო დახმარების შედეგად იგი გადაურჩა სიკვდილს. ამის შემდეგ ყაჩაღური დაჯგუფების წევრებმა გადაწყვიტეს მეორე მოწმის, ამავე სოფელში მცხოვრები გოჩა კოპაძის მოკვლა. რა მიზნითაც მას დაედევნენ და მისი მიმართულებით რამოდენიმე გასროლა მოახდინეს. თუმცა გოჩა კოპაძემ მოახერხა გაქცევა, ერთ-ერთ ოჯახში შესვლა და დამალვა.

ამ ინფორმაციის მიღებისთანავე, სამხარეო მთავარ სამმართველოში გამოცხადდა განგაში. სასწრაფოდ შეიქმნა რამდენიმე ოპერატიული ჯგუფი, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ სამხარეო მთავარი სამმართველოს იმდროინდელი უფროსი შალვა ბოლქვაძე, სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე შოთა ჭანუყვაძე, ოზურგეთის პოლიციის სამმართველის უფროსი გიორგი ურიდია, ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე ლაშა ბაკურაძე. დაისახა სამოქმედო გეგმა ყაჩაღების კვალის დასადგენად და მათ შესაპყრობად. იმავედროულად, ოპერატიული შეტყობინებები დაეგზავნათ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის შს სამმართველოებს. ძებნა მთელი დღე გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. ყოველი წუთი ძვირფასი იყო. ღამის სიბნელე ბანდიტების წისქვილზე ასხამდა

წყალს. მათი ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების ოპერაციის ხელმძღვანელის ბატონი შ. ბოლქვაძის ყარაულით, ბანდიტები სოფელში დიდხანს არ დაიმალებოდნენ, ისინი ტყიანი მასივისკენ წავიდოდნენ და იქ შეაფარებდნენ თავს.

გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში შემუშავდა ბოროტმოქმედთა გამოვლენისა და დაკავების ოპერატიული კომპლექსური გეგმა, რომლის ორგანიზებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში აქტიურად ჩაებნენ სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს ყველაზე საუკეთესო დეტექტივ-გამომძიებლები. ფართო ფრონტით გაიშალა ვერსიების დამუშავება, ინფორმაციის მოპოვება, მათი ანალიზი. განისაზღვრა, მოქმედების მთავარი მიმართულება, დამუშავდა უამრავი ოპერატიული კომბინაცია. იმ ფაქტმა, რომ მკელელობის მცდელობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ყაჩაღური თავდასხმა ოზურგეთის რაიონში, კერძოდ სოფ. შრომაში მოხდა, ახალგაზრდა ოპერმუშაკებს აფიქრებინა, რომ დამნაშავეთა ჯგუფის წევრები სწორედ იქ უნდა ეძებნათ. თუმცა იყო სერიოზული სიძნელე, სოფელში ყველა ერთმანეთს იცნობდა და საეჭვო ოყო, რომ ვინმე ვინმეს გასთქვამდა.

მიუხედავად ამისა, მიშა დარჩიამ და მიშა ფოცხვერაშვილმა სხვადასხვა კომბინაციების გათამაშების გზით შესძლეს ასეთი პიროვნების აღმოჩენა, მასთან "დაძმაკაცება" და ფრიად ყურადსაღები ცნობების მიღება. მათ უკვე შეიტყვეს ბანდის ერთ-ერთი წევრის ვინაობა და ისიც, რომ ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ, ბოროტმოქმედები ფეხით გაემართნენ სოფელ ოხინვალის მიმართულებით.

გამომდინარე აქედან გადაწყვიტეს საქმეში სასამსახურო ძაღლის ჩართვა.. სწორედ მისი მეშვეობით დაადგინეს ის ოჯახი, სადაც იმყოფებოდნენ და ტანსაცმელი გამოიცვალეს ყაჩაღური დაჯგუფების წევრებმა. სწორედ აღნიშნული ტანსაცმელი, რომელიც თოკზე იყო გადაკიდებული ი. ხურციძის ოჯახში, გახდა ოზურგეთის რაიონის შს სამმართველოს ურეკის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელ რევაზ მოისწრაფიშვილისათვის საეჭვო გარემოება. ამას დაემატა ისიც, რომ ირაკლი ხურციძის ოჯახში, სადაც პოლიციის მუშაკი "ჯულბასამ" მიიყვანა, ყაჩაღებმა შორიდან დაინახეს თუ არა პოლიციელი იცნეს იგი და სწრაფად გაეცალნენ იქაურობას.

ერთ-ერთმა მოწმემ დაკითხვისას აჩვენა, რომ ხუთი ბოროტმოქმედიდან ერთ-ერთი იყო სოფ. შრომაში მცხოვრები დავით ქადეიშვილი, ხოლო დანარჩენი პირები მისთვის უცნობი იყო. აღნიშნა, რომ ერთ-ერთს მხრებზე ჰქონდა დრაკონისა და ჩირაღდნის

გამოსახულების სვირინგი. ორივე იყენენ დაბა ურეკში მცხოვრებნი.

მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, იმავე დღეს, გადამოწმებულ იქნა ანალოგიური დანაშაულისათვის ნასამართლევი ქ.ოზურგეთისა და დაბა ურეკის მცხოვრები ყველა პიროვნება. ასევე, ფორმა 17-ების მეშვეობით გადამოწმდა ყველა ის პირი, რომელსაც განმასხვავებელი ნიშანი – სვირინგი ჰქონდა. კომპიუტერულ ბაზაში შემოწმებისას დადგინდა, რამდენიმე საეჭვო პიროვნება. ფოტოსურათის წარდგენის დროს, მოწმეთა მიერ ამოცნობილ იქნა ერთ-ერთი ყაჩაღი, დაბა ურეკში მცხოვრები მიხეილ ხოშტარია.

ასევე ამოცნობილ იქნა სვირინგის მქონე მამაკაცი, დაბა ურეკში მცხოვრები ედიშერ ბარდაველიძე. თუმცა კომპიუტერულ ბაზაში ნაჩვენები იყო მხოლოდ ერთი სვირინგი ჩირაღდნის გამოსახულებით. ფოტოსურათის წარდგენის დროს, მოწმეებმა ის პირიც ამოიცნეს და რაც ყველაზე საინტერესოა, დაჟინებით მიუთითებდნენ, რომ ამ ბოროტმოქმედს მეორე სვირინგიც ჰქონდა.

სამხარეო პოლიციის მუშაკებს უკვე მყარი ნიადაგი ჰქონდათ მომზადებული, რომ ბოროტმოქმედთა ერთ-ერთი აქტიური წევრი ედიშერ ბარდაველიძე დაეკავებინათ, რომელიც დღე-დღეზე აპირებდა ქვეყნის დატოვებას

ოზურგეთის პოლიციის მუშაკებთან ერთობლივად გატარებული ოპერატიულ საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, მოხერხდა მისი დადგენა-დაკავება.

დასადგენი დარჩა კიდევ სამი ბოროტმოქმედი. დამატებით გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ერთ-ერთს ყურები ჰქონდა დაზიანებული, როგორც ეს მოჭიდავეებისათვის იყო დამახასიათებელი. ვინაიდან დაჯგუფების ლიდერი და ორგანიზატორი დავით ქადეიშვილი მოჭიდავე გახლდათ, იგი აქტიურად იყო ჩაბმული სპორტულ ცხოვრებაში. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად შესაძლებელი იყო, მას ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობის მიღების მიზნით, წამოეყვანა ძლიერი ფიზიკური ძალის მქონე სპორტსმენები, რომელთა იარაღით აღჭურვას თვითონ უზრუნველყოფდა. აღნიშნული ვერსიის გადამოწმების მიზნით, დაკითხულ იქნა დ. ქადეიშვილის მეგობრები, რომლებმაც ჩამოთვალეს ყველა ის ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელიც დ. ქადეიშვილის დროს ვარჯიშობდა და ყური ჰქონდა დაზიანებული. ამის შემდეგ, ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრიდან ამოღებულ იქნა მათი საპასპორტო მონაცემები და ყველა სურათი წარედგინა საქმეზე მოწმედ დასახელებულ პირებს.

ფოტოსურათით მოწმეებმა კიდევ ორი ბოროტმოქმედი ამოიცნეს: ქ. ოზურგეთში ლესელიძის ქ. №35-ში მცხ. კახაბერ მექვაბიშვილი, ზედმეტსახელად „პიდბულა". (სწორედ მას ჰქონდა ყური დაზიანებული) და ოზურგეთის რაიონის სოფ. ოზურგეთში მცხოვრები აკაკი კიღურაძე. ერთ კვირაში ყველაფერი ნათელი იყო. საგამოძიებო მოქმედებით დადგინდა ყაჩაღური ჯგუფის ყველა წევრი.

ქ. ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ პირველი ედიშერ ბარდაველიძე გაასამართლა, რომელსაც 28 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო დანარჩენებს: მ. ხოშტარიას 30, დ. ქადეიშვილს 22, აკაკი კიღურაძესა და კახაბერ მექვაბიშვილს 21-21 წელი შეუფარდა დაუსწრებლად.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ბოროტმოქმედთა დადგენა-დაკავებისა და მათ მძიმე დანაშაულთა ფაქტებში მხილების საქმეს, ძალიან შეუწყო ხელი შსს გურიის სამხარეო პოლიციის თანამშრომელთა საზრიანმა და გაბედულმა მოქმედებამ, მთავარი სამმართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის შალვა ბოლქვაძის ხელმძღვანელობით.

ჩვეულებრივი რიგითი დეტექტივ-გამომძიებელი.



თედო ჭანუყვაძე

დოსიე: – თედო ჭანუყვაძე – დაიბადა 1982 წლის 16 აგვისტოს, ოზურგეთის რაიონის სოფ. შემოქმედში. ძოდიაქოს ნიშანი – ლომი, ზოგჯერ ფიქრიანი თვალები, მაგრამ გამჭოლი მზერა, უტეხი ნება, – სულიერი და ფიზიკური სიძლიერის ნაზავი. სიმღერის, ნადირობისა და თევზაობის ტრფიალი, ურთიერთობაში უშუალო. ადვილად არ ბრაზდება. – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ამჟამად მისი სამსახურებრივი ტიტული ასე იკითხება – შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი. მისი სალოცავი წმინდა გიორგია. ხასიათი – კომუნიკაბელური და ნაკლებად ფეთქებადი. უყვარს გალაქტიონ ტაბიძის პოეზია და ნოდარ დუმბაძის შემოქმედება. აღმერთებს ტრადიციებს, სამშობლოს და პროფესიას. ადამიანს სამეგობროდ იმ კუთხით ირჩევს, თუ რამდენად სანდოა იგი. როგორც თვითონ ამბობს – სამწუხაროდ ნდობის ფაქტორის დეფიციტიაო. ეერ იტანს ღალატს და უდიდესი სურვილი აქვს საქართველომ მალე დაიბრუნოს სამაჩაბლო და აფხაზეთი. მისთვის იდეალური პიროვნება ბადრი ტრაპაიძე გახლავთ. როგორც თავად თედომ გვითხრა, მან ბატონი ბადრისგან ძალიან ბევრი ისწავლა, როგორც პროფესიული, ისე ცხოვრებისეული თვალსაზრისით. უყვარს ტრადიციული ქართული სუფრა, მეგობრობის სადღეგრძელო, ადესის ღვინო და შემწვარი კარტოფილი. მისი უდიდესი სურვილია მშვიდობა იყოს მთელ მსოფლიოში.

ოჯახი – მეუღლე და ერთი შვილი. თუმცა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ორი ოჯახი აქვს: ძირითადი შემოქმედში, მეორე პოლიციაში, სადაც ხვდებიან მისი სათაყვანო ადამიანები. განსაკუთრებით გამოყოფს უფროს მეგობარს, კოლეგას ბატონ მიშიკო დარჩიას, რომლის ყოველდღიური მზრუნველობით ყალიბდება მისი პროფესიული მომავალი.

– რას მოიცავს თქვენი სამსახური?

— მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების გამოვლინებას, მათ გახსნას, დამნაშავეთა დადგენა-დაკავებასა და საქმის სრულყოფილად გამოძიებას.

— თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

— მოვდივარ სამსახურში და მერე ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც საქმე მოითხოვს.

— ხართ თუ არა აზარტული და რა სფეროში?

— პროფესიულ საქმეში და სპორტში, საერთოდ კი ცხოვრება აზარტია და თუ მოდუნდი, დაიღუპები.

— ბედისწერისა გჯერათ?

— ზოგჯერ კი.

— რა გახარებთ და რა გწყინთ ყველაზე ძალიან?

— ყველაზე ძალიან მახარებს ჩემი პატარა ანასტასია და მისი კარგად ყოფნა. მწყინს ახლობელი ადამიანის დაღუპვა.

— თქვენი დადებითი და უარყოფითი თვისებები?

— ეს ჩემგან ძალიან ძნელი სათქმელია, მოდით ეს კითხვა უპასუხოდ დავტოვოთ.

— რა მიგაჩნიათ ადამიანის საშინელ თვისებად?

— სიძულვილი.

— დაჩეული ფრაზა?

— „ჩემო კარგო“.

— ვის უმალავთ „აქილევსის ქუსლს“?

— თუ „აქილევსის ქუსლი“, — ამ შემთხვევაში სუსტი წერტილი — მნიშვნელოვანია, რაც არ უნდა ვეცადოთ, თავს არ დამალავს. ეფიქრობ ასეთი პრობლემა არ მაქვს და არც დამალვას ვცდილობ.

— რა არის წინა საუკუნიდან გადმოყოლილი ადამიანთა უკურნებელი სენი?

— ასეთ სენს (რა თქმა უნდა ბრჭყალებში) “ჩვენს ადათ-წესებს” დავარქმევ, ღმერთმა არ ქნას ამ “სენისაგან” განვიკურნოთ და ჩვენი ტრადიცია დაეკარგოთ.

— გიმართლებთ ცხოვრებაში?

— მეტნაკლებად.

— რა მიგაჩნიათ წარმატების საზომად?

— მონდომება, ნიჭი, იღბალი და ყველაფერი ერთად.

— რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით?

— როგორ არა. მე და ჩემი კოლეგები ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ვიმყოფებოდით ერთ-ერთ სოფელში, სადაც მიტოვებულ სახლში თავს აფარებდა მიმალვაში მყოფი პირი. გამთენიისას ალყაში მოვაქციეთ აღნიშნული სახლი. ერთ-ერთი ფანჯარა დაუცველი მომეჩვენა და მისკენ გავემართე. მოყინული იყო, ფეხი დამიცურდა და მოწყვეტით ჩავვარდი

დაახლოებით 2,5 მეტრი სიღრმის წყლით ამოესებულ ჭაში. რომ არა ჩემს თავს ზემოთ მოტიეტიეე „პაპკა“, ყერც ვერავინ მიპოვნიდა.

— რას დარქმევდით საკუთარ თავს?

— ჩვეულებრივი, რიგითი პოლიციელი ვარ.

— კითხვა, რომელსაც სიამოვნებით გასცემდით პასუხს?

— რომ მკითხონ ვის არის შენი ცხოვრების მაღალი მწვერვალიო? — ვუპასუხებ — ეს პირველ რიგში ჩემი შვილია, რომელიც ჩემზე მეტს გააკეთებს მომავლისათვის.

— რა სახსოვარს გაიმეტებთ მკითხველისათვის?

— მოგეხსენებათ, ბატონი ელგუჯა ჩავლეშვილი ჩვენი კურატორია. იგი ბრწყინვალე თამადა გახლავთ. ერთ-ერთ სუფრასთან მან ქალის სადღეგრძელოს ასეთი ლამაზი ამბავი მოაყოლა: — ღმერთმა ამ ქვეყნად ყველა ფერის ულამაზესი ყვავილები გააჩინა, მიუხედავად იმისა, რომ ყვავილები ერთმანეთზე მშვენიერები იყვნენ, მაინც გაჩნდა ყვავილთა შორის პირველობის ამბიცია და ქიშპი ჩამოაგდო — ვინ უფრო ლამაზი იყო? ამ შუღლის განსაქარვებლად ღმერთმა მათ ქალი მოუვლინა. ქალი იმდენად ლამაზი იყო, როცა მან ყვავილებში გაიარა, ყვავილებიც კი განცვიფრდნენ ამ მომხიბლავი არსების დანახვაზე, ჩხუბი შეწყვიტეს და ჭკნობა ღაიწყეს. ამ ლამაზ სადღეგრძელოს გჩუქნით. მკითხველს კი მშვიდობას და ულევ სიხარულს ვუსურვებ.

ჩვენც ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ბატონო თედო. თქვენი შემოქმედების ყველაზე მაღალი მწვერვალისათვის მიგეღწიოთ. ხოლო თქვენი შვილი, თქვენზე კიდევ ბევრად უფრო წარმატებული ყოფილიყოს.

მძიმე დანაშაულს მხოლოდ პროფესიონალები ხსნიან

მიშა დარჩია

2008 წლის 18 დეკემბერს, დაახლოებით 23 საათსა და 40 წუთზე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ტერიტორიაზე გამავალ თბილისი-ბათუმის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, თბილისიდან ბათუმისკენ მომავალ სამგზავრო მიკროავტობუსს „ფორდ-ტრანზიტს," რომელსაც მართავდა მძღოლი გივი ფაღავა, თავს დაესხა 5 ნიღბიანი, ავტომატური იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც ძალადობის გამოყენებით აიძულეს მძღოლი გადაეხვია გზიდან. მანქანა შეიყვანეს საყანე ფართობში, სადაც 16 მგზავრს გასტაცეს მობილური ტელეფონები, ფული, სხვა პირადი ნივთები და მიიმალნენ ავტობუსში იმყოფებოდა ერთი პიროვნება, რომელმაც გააჩერებინა ავტობუსი, შეუერთდა ბოროტმოქმედებს და მათთან ერთად მონაწილეობა მიიღო მგზავრების დაყაჩაღებაში.

ჩვენს რეგიონში (და არა მარტო ჩვენთან), სასიცოცხლო მნიშვნელობის ავტომაგისტრალებზე მომხდარ ამგვარ მძიმე დანაშაულის გახსნაზე კონტროლს, როგორც წესი, პირადად შინაგან საქმეთა მინისტრი, ივანე მერაბიშვილი აწესებს.

მიშა ფოცხვერაშვილი

იმავე საღამოს, გურიის პოლიციის სამხარეო მთავარ სამმართველოს უფროსთან, პოლიციის პოლკოვნიკთან შოთა ჭანუყვაძესთან, შედგა საგანგებო შეკრება, სადაც დეტექტივების სამმართველოს უფროსთან ელგუჯა ჩავლეშვილთან და ლანჩხუთის შს სამმართველოს უფროსთან ბესიკ ტაბიძესთან ერთად, დაისახა სამოქმედო გეგმა ყაჩაღების კვალის დასადგენად და მათ შესაპყრობად. ფეხზე დადგა ყველა

სამსახური. ძებნა მთელი ღამე გაგრძელდა. მეთაურს თუ რიგითს თვალი არ მოუხუჭავს. სამხარეო პოლიციის უფროსის მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, დეტექტივ-გამომძიებლები უკვე მუშაობდნენ ერთ-ერთი კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის გამოვლენაზე. არ იყო გამორიცხული იმერეთის რეგიონში მომხდარი ყაჩაღური თავდასხმებიც სწორედ ამ ჯგუფის წევრებს ჩადენილათ.

ყაჩაღები ძირითადად თავს ესხმოდნენ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მომავალ ავტობუსებს, რომლებშიც ისხდნენ ლილოს ბაზრობიდან მომავალი მოქალაქეები, და რომლებსაც ცხადია, თან ჰქონდათ ნავაჭრი საქონელი, ოქროულობა, ფული და მობილური ტელეფონები. ვითარებას ართულებდა ის გარემოებაც, რომ ყაჩაღები არასოდეს მოქმედებდნენ ერთსა და იმავე ადგილზე, თანაც იყენებდნენ თავდასხმის სხვადასხვა მეთოდს. ამასთან, შესანიშნავად ჰქონდათ დამუშავებული კონსპირაციის, ერთმანეთთან კავშირის დამყარების მექანიზმი.

ზოგჯერ, ყაჩაღები ღამით, გზის პირას, ბუჩქებში ჩაუსაფრთებოდნენ ლილოს ბაზრობიდან მომავალ ავტობუსს. ავტობუსის გაჩერებისთანავე გადმოცვივდებოდნენ ბუჩქებიდან და იარაღის მუქარით პირწმინდად ძარცვავდნენ მგზავრებს. ნიღბებთან ერთად ისინი ხმარობდნენ ხელთათმანებსაც, რომ არსად დაეტოვებინათ თითის ანაბეჭდი. ზოგჯერ კი, ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, ავტობუსს თბილისიდან მოჰყვებოდა, მობილური ტელეფონის საშუალებით გადასცემდა ყველა ინფორმაციას თავის მეგობრებს, რის შედეგადაც, ყაჩაღური ჯგუფის წევრებისათვის ცნობილი ხდებოდა მიკროავტობუსის მოძრაობის გრაფიკი. იგი იმ ადგილას აჩერებდა ავტობუსს, სადაც მას მეგობრები ელოდებოდნენ. გაჩერებულ ავტობუსში შეცვივდებოდნენ ავტომატმომარჯვებული მძარცველები და რამდენიმე წუთში სისრულეში მოჰყავდათ თავიანთი ბოროტი განზრახვა.

კონკრეტული პირების დასადგენად ოპერატიულ საგამოძიებო ღონისძიებების გატარება დაეკისრა ორ ახალგაზრდა დეტექტივ-გამომძიებელს, მიშიკო დარჩიას და მიშიკო ფოცხვერაშვილს. ორივენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არიან, ორივენი – ოპერატიული აღღოთი დაჯილდოებული, ფაქტიურად ძლიერი და გაბედული. მიცემული დავალების შესრულებას მათ ერთგვაარად უმსუბუქებდა ამ საქმეში ფრიად გამოცდილი ხელმძღვანელების – სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის ელგუჯა ჩაელეშვილისა და ლანჩხუთის პოლიციის შეფის ბესიკ ტაბიძის თანადგომა.

მართალია, ყაჩაღური თავდასხმა მოხდა ლანჩხუთის რაიონში, მაგრამ ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე ანალოგიური დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი იმერეთის რეგიონში, კერძოდ იგივე ფორმით, მათ მიერ 6 ნოემბერს სამტრედია-ქუთაისის საავტომობილო გზაზე დაყაჩაღებულ იქნა თეიმურაზ ჯაფახაძის მიკროავტობუსი. ასევე ინფორმაციაში დაფიქსირებული იყო "კოპიტნარის" სამხედრო დასახლება და ვინმე სახელად ვალტერი. ამან ახალგაზრდა ოპერმუშაკებს აფიქრებინათ, რომ დამნაშავეთა ჯგუფის წევრები სწორედ იქ უნდა ეძებნათ. თუმცა იყო სერიოზული სიძნელე, კრიმინალური ტრადიციებით განთქმულ კომპაქტურად, მჭიდროდ დასახლებულ უბანში ყველა ერთმანეთს იცნობდა· და ნაკლებად საეარაუდო იყო, რომ ვინმე, ვინმეს გასთქვამდა.

ოპერატიული ჯგუფის წევრებისათვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე, სახელად „ვალტერი", 2008 წლის 19 დეკემბერს, 15 საათზე, უცნობ ქალბატონს უნდა შეხვედროდა ქ. ქუთაისში, ტექნიკური უნივერსიტეტის შენობის შესასვლელთან. რადგანაც მოწმის ჩვენებიდან გამომდინარე, პოლიციისათვის ცნობილი იყო მისი აღწერილობა, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საუბნო სამმართველოს 4 ეკიპაჟის მიერ, გურიის სამხარეო პოლიციის ერთ ეკიპაჟთან ერთად, მოხდა აღნიშნული ტერიტორიის ოპერატიული გადახურვა. ფეხოსანი პოლიციელები, რომლებიც გადაცმულნი იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში, აკონტროლებდნენ უნივერსიტეტის ორივე შესასვლელს, თუმცა უშედეგოდ. დამატებით მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ბოროტმოქმედები ემზადებოდნენ მორიგი ყაჩაღური თავდასხმისათვის, ვინაიდან მათ წაგებული ე.წ. „თავანის" ფული ესაჭიროებოდათ. ვინაიდან ოპერატიული ჯგუფის წევრებისათვის ცნობილი იყო ვინმე „ვალტერი" და კოპიტნარის სამხედრო დასახლება, საჭირო იყო ოპერატიულად გადამოწმებულიყო წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 22 სასტუმროში მცხოვრებ პირთა ვინაობები. იქ ჩასახლებული იყვნენ აფხაზეთიდან ·იძულებით გადაადგილებული პირები. ფაქტიურად, ერთ დღეში გადამოწმდა ყველა სასტუმროში მცხოვრებნი და დადგინდა, რომ ერთ-ერთ მათგანში იმყოფებოდა საინტერესო პიროვნება ვალტერ ფირცხალავა. მოპოვებული იქნა მისი ფოტოსურათი, რომლის წარდგენის დროს მოწმემ ამოიცნო ბოროტმოქმედი და მიუთითა, რომ ამ პიროვნებამ გაიკეთა ნიღაბი და სხვა პირებთან ერთად განახორციელა ყაჩაღური თავდასხმა. მოპოვებული ინფორმაციების შეჯერების შემდეგ აღნიშნულ საქმეზე მომუშავე თანამშრომლებმა დაადგინეს ყაჩაღური თავდასხმის სხვა მონაწი-

ლეებიც. მიუხედავად ბანდის „შემოქმედებითი არსენალის“ მრავალფეროვნებისა და სიფრთხილისა, გურიისა და იმერეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბოლომდე „გაშიფრეს“ მათი ყოველი ნაბიჯი. სამმართველოს ხელმძღვანელების შოთა ჭანუყვაძის, მამუკა დათიაშვილის, მათი მოადგილეების ელგუჯა ჩაველეშვილის, მამუკა ჭყოიძის, ლანჩხუთისა და წყალტუბოს პოლიციის სამმართველოების უფროსების ბესიკ ტაბიძის, ბიჭია ჩხაიძისა და სხვა ოპერატიული თანამშრომლების მონდომებისა და პროფესიული ოსტატობის წყალობით, დანაშაულის გახსნას საბოლოოდ 27 დეკემბერს დაესვა წერტილი.

იმ დღეს, როცა შეიარაღებული, ყაჩაღური დაჯგუფების წევრები მორიგი თავდასხმისთვის ემზადებოდნენ, წყალტუბოს ზონის ტერიტორიაზე დაიგეგმა და გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნა ვალტერ ფირცხალავა და როლანდ ჩხეიმიანი. რამდენიმე დღის შემდეგ კი, აიყვანეს კიდევ ორი ყაჩაღი: ჭიჭიკო მასხულია და რამაზ გაზდელიანი. ვალტერ ფირცხალავა თავიდან კატეგორიულად უარყოფდა დანაშაულს, მაგრამ, როცა პოლიციელებმა წარუდგინეს უტყუარი სამხილები და მისი „საახლობლოდან“ ამოიღეს გატაცებული ნივთები, იგი დარწმუნდა, რომ დანაშაულის უარყოფას აზრი აღარ ჰქონდა. კრიმინალი მაინც კრიმინალია, დანაშაული კი აღიარა, მაგრამ შეეცადა გამოძიება მცდარ გზაზე დაეყენებინა და ამით ეხსნა თავისი „მეგობრები“. თუმცა უტყუარი საბუთების წარდგენით, მისი ეს მცდელობაც კრახით დასრულდა.

ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის ჭიჭიკო მასხულიას დაკავებაში განსაკუთრებით იმარჯვა ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლანჩხუთის პოლიციის სამმართველოს უფროსი, პოლიციის ეიცე-პოლკოვნიკი ბ. ტაბიძე, მას მხარში ედგნენ ამავე სამმართველოს ეფროსის მოადგილე ლ. ჩხაიძე და სუფსის განყოფილების უფროსი გ. ულენტი.

გურიისა და იმერეთის რეგიონში მოქმედ ბოროტმოქმედთა ჯგუფის შეპყრობა, შესაძლებელი გახდა, აღნიშნული რეგიონის პოლიციის ხელმძღვანელების შეთანხმებული, გააზრებული მოქმედების შედეგად. რასაც, ასევე შეუწყო ხელი იმერეთის სპეცდანიშნულების ჯგუფის ხელმძღვანელის, გენო დანელიას ოპერატიულმა და საზრიანმა მოქმედებამ.

ყაჩაღური დაჯგუფების წევრები მალე წარსდებიან სასამართლოს წინაშე და მიიღებენ დამსახურებულ სასჯელს.

წინ კიდევ დიდი გადასახედია

ზვიად ივანიაძე

პატარა ბიჭუნა, დედასთან ერთად, ხელჩაკიდებული მიუყვებოდა ქუჩას. უცებ მოსახვევიდან პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი ბრგე ვაჟკაცი გამოვიდა. პატარამ დედა სახელოზე მოქაჩადა ყურში უჩურჩულა: – „დედიკო, დედიკო, იცი, მე რომ გავიზრდები, პოლიციელი უნდა გამოვიდე“... ეს სიტყვები პოლიციელმაც გაიგონა. გახარებულმა ბიჭუნა ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა.

ეს ნამდვილი ამბავი, იმ პერიოდს დაემთხვა, როცა 9 აპრილით გამოწვეული მღელვარება ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი. მაშინ ხომ გაერთიანდა ქართველი ერი და ქართული პოლიცია. ისინი, იმ ღამეს, ერთმანეთის სიცოცხლეს იცავდნენ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ის პატარა ბიჭიც გაიზარდა. ზვიად ივანიაძემ დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2001-2003 წლებში მსახურობდა ფოთის საზღვაო დივიზიონში. გული აქტიური მუშაობისაკენ მიუწევდა. ბავშვობიდანვე იტაცებდა პოლიციელის მეტად საპასუხისმგებლო და რთული პროფესია. მალე აისრულა ნაოცნებარი და ბიძის, უშიშროების სამსახურის ღვაწლმოსილი მუშაკის ბათუმის საპატიო მოქალაქის, შოთა ივანიაძის რჩევით, მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში გამომძიებლის თანაშემწედ – გამოსაცდელი ვადით.

მუშაობის დაწყებისთანავე მან თავი შეაყვარა ყველას, როგორც გულისხმიერმა, პატიოსანმა და ზნეკეთილმა ახალგაზრდამ. ნათლად გამოვლინდა ზვიადის სანიმუშო თვისებები – სამსახურებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, თავმდაბლობა და პატიოსნება.

– ზვიად, რა მოგცა პოლიციაში მუშაობამ?

– მან მაპოვნინა საკუთარი გზა ცხოვრებაში. პოლიციის მუშაკში ვაფასებ ერთგულებას საქმისადმი, მეგობრებისადმი. ვერავითარ წარმატებას ვერ მივაღწევდი ერთგულების გარეშე.

იგი მუდამ გამოირჩევა სიდინჯით, გონიერული, საზრიანი მოქმედებით.

2006 წელს ოჯახი შექმნა. ბედი თავის გულისწორს, ნინო ჭანტურიას დაუკავშირა. გაჩნდა პირველი სიხარული ქეთევანი, – რომელიც ჯერ მხოლოდ ორი წლისაა. ყველაზე დიდი ბედნიერი იყო მაშინ, როცა მამა გახდა.

– ჩემი კრედოა, – მითხრა ზვიადმა – დაიცვა მართალი და კეთილსინდისიერი ადამიანი, შეეებრძოლო ბოროტებასა და სატანას, ეს ეაუკაცთა და მებრძოლი სულის ადამიანთა უპირველესი მოვალეობაა და რაც მეტი უშიშარი, მებრძოლი რაინდი იქნება ქვეყნად, სიკეთე და სიყვარული იზეიმებს.

აღნიშნული თვისებები ზვიადს ოჯახიდან გამოჰყვა. მშობლებს თეიმურაზ ივანიაძეს და ნასიბროლა ლომაძეს ადამიანური ბედნიერების პირველ წყაროდ შრომა და პატიოსნება მიაჩნიათ. შვილებიც ასე გაზარდეს.

ზვიადი რამდენიმე თვის მოსული იყო პოლიციაში, როდესაც მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, ერთ-ერთი მოქალაქის დაყაჩაღების ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნულის თაობაზე მოახსენა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს ბატონ ნოდარ გეიმრაძეს. ამ უკანასკნელის ბრძანებით შეიქმნა ოპერტიული ჯგუფი ყაჩაღობის ფაქტის გახსნის მიზნით. ზვიადმა კიდევ ერთხელ გადაამოწმა მიღებული ოპერატიული ინფორმაცია. ორგანიზებულად და საზრიანად გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგენილ იქნა ერთ-ერთი ბოროტმოქმედი – გვარად რუხაია, რომელიც მიმალვაში იმყოფებოდა. რა დროსაც არ უნდა მომხდარიყო დანაშაული, იგი წუთსაც არ კარგავდა, ოპერატიულ მუშაკებთან ერთად, დაუყოვნებლივ მიემგზავრებოდა შემთხვევის ადგილზე. სწრაფ, ოპერატიულ სასწრაფო რეაგირებას ახდენდა ფაქტზე.

სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ზვიადმა გამოიძია, ეხებოდა 4-ჯერ ნასამართლევ, გაიძვერა, პროფესიონალ ქურდს მეტსახელად „კასიო ეასოს“, რომელიც ცდილობდა როგორმე დაეძვრინა თავი პასუხისმგებლობისაგან. ზვიადი პროფესიონალ ქურდ „კასიო ეასოს“ ხრიკებმა ვერ შეაშინა, ოპერატიული მუშაკების ერთობლივი შეთანხმებითა და დახმარებითა, შედგენილი გეგმის თანახმად, ჩაატარა დაკითხვები, ამოცნობები, მოიპოვა ქურდობის დამადასტურებელი უტყუარი ნიეთიერი მტკიცებულებანი, რის შემდეგაც გამოცდილი ქურდი იძულებული გახდა ელიარებინა ჩადენილი დანაშაული.

როდესაც დანაშაულსა და დამნაშავეს ეა საუბარი, აქაც თავისი გამოკვეთილი პოზიცია აქვს: „როგორც ავადმყოფს

სჭირდება სწორი დიაგნოზი, აუცილებელი მკურნალობა და საჭირო წამალი, ასევე სჭირდება დამნაშავესაც ისეთი კანონი, რომელიც მის ფსიქიკაში დაზიანებულ უჯრედებს აღადგენს, საზოგადოებისაკენ შემოაბრუნებს და სრულფასოვან ადამიანს გახდის და არა ისეთი კანონი, რომელიც ბუსიეით დააჯდება და წუწნის მისი სხეულის ანოებულ ნაწილს".

ვეთანხმებით ამაში ბატონ ზვიადს, თანაც ასევე ეეთანხმებით იმაში, რომ ახალგაზრდობა უღეინოდ სიმთვრალეს წააგაეს. მაგრამ ეს „ბახუსი" დიდი ხანი არ უნდა გაგრძელდეს, „პახმელიიდან" ახალგაზრდა დროზე უნდა გამოვიდეს, რამეთუ ახალგაზრდული ასაკი ყველა'ზე ძლიერი და ყველაზე საშიში იარაღია, საიდანაც დროზე უნდა ისროლო, თანაც 10-ანს არ უნდა ააცილო, რასაც ვერ შეძლებს ის ახალგაზრდა, რომელიც მუდმივ სიმთვრალეშია.

საქმისადმი სიყვარული, პრინცუპულობა, მაღალი ზნეობა, ჰუმანურობა და ობიექტურობა — აი, ის თვისებები, რაც ამ პერსპექტიულ ახალგაზრდას ახასიათებს.

„პოლიციელებს ხშირად გვაქვს ისეთი დღეები, რომლებიც ჯოჯოხეთს უტოლდება, — ამბობს ზვიადი — ზოგჯერ დაძაბული მუშაობა თვეობით გრძელდება. ერთმა ბოროტმოქმედმა ქურდობის მთელი სერიალი ჩაატარა. 2 თვე ვსწავლობდით და ვამუშავებდით საქმეს. დაზარალებულები ყოველმხრივ გვიწყობდნენ ხელს, რათა სწორ გზაზე დავმდგარიყავით. ჯერ ერთ ქურდობაში ვამხილე, მერე მეორეში... კარგა ხანს ჯიუტობდა „ვაუკაცი", მაგრამ გაიხსნა მის მიერ ჩადენილი 4 ფაქტი.

ჩვენს მძიმე საქმიანობაში საზოგადოების გვერდში დგომა გვჭირდება".

— მერე, არის თუ არა ეს თანადგომა?

— ისეთი ჯერ კიდევ არაა, როგორსაც წესრიგისათვის ბრძოლა მოითხოვს. ძალიან გვიფუჭებს გუნებაგანწყობილებას, უფრო მეტიც, საშინლად გვაღიზიანებს, როცა დაზარალებული ან მოწმე განზე გადგება, როცა მათი დახმარებით დამნაშავის დადგენა და მისთვის საკადრისი პასუხისგება შეიძლება, ისინი კი არაგულწრფელობას იჩენენ. ჩვენ არაფერსაც არ ვიტყვითო, და მთელ პასუხისმგებლობას პოლიციის მუშაკს აკისრებენ.

ერთი ამბავი აუცილებლად უნდა მოგიყვეთ: გრიგოლეთის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცეს ავტომანქანა. აღნიშნული ფაქტის შესახებ 'შესაბამისი შეტყობინება შემოვიდა სუფსის პოლიციაში. გატარდა მთელი რიგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დანაშაულის გახსნის მიზნით. „ცხელ კვალზე" დადგენილ იქნა ბოროტმოქმედი. შემუშავდა

ოპერატიული კომბინაციები ყაჩაღის დაკავების მიზნით. მოეახერხე ყაჩაღის დაკავება. იგი მანქანით მოძრაობდა. დაზარალებულს ეთხოვე ჩვენება მოეცა.

თავიდან დაზარალებული შეეცადა ეთქვა, თითქოსდა მან ათხოვა მანქანა და ამდენად მის მიმართ პრეტენზია არ გამაჩნიაო. რაც შეეხება პოლიციას, ამით შეიძლება პოლიციის მუშაკებს ეაწყენინე, მაგრამ ბიჭს ხომ სიკეთეს ეუკეთებ, რომ არ ეაჭერინებო.

ცდება ეინც ასე ფიქრობს. სიკეთეს ნუ დავარქმევთ დამნაშავეზე ხელის დაფარებას.

ლანჩხუთის შს სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ – გამომძიებელი, ერთ-ერთი გამოჩენილი პროფესიონალი, მედიკო გვარჯალაძე ასე ახასიათებს ზვიად ივანიაძეს.

„იგი ოპერატიული, ალღოთი დაჯილდოებული და გაბედული მუშაკია. უაღრესად კეთილი, კაცთმოყვარე და რაც მთავარია, არის ჭეშმარიტი პატრიოტი. ზვიადი არაერთხელ შებმია ქურდებს, მძარცველებს, ნარკომანებს, ყაჩაღებს და მათთან ბრძოლაში ყოველთვის გაუმარჯვენია.

ზვიადის კიდევ ერთი უპირატესობაა, რომ იგი ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, ბეჯითი და დავალებათა სანიმუშო შემსრულებელია. სწორედ ასეთმა ახალგაზრდებმა უნდა შეგეცვალონ ჩვენ, ძველი თაობის წარმომადგენლები“.

უყვართ და აფასებენ ლანჩხუთის რაიონში ახალგაზრდა ოპერატიულ მუშაკს, დეტექტივის – თანაშემწეს ზვიად ივანიაძეს.

წინ კიდევ დიდი გადასახედია....

ომარ მარგველიანი

შინაგან საქმეთა სისტემას, ძირითადად დეტექტური ფილმებისა თუ ლიტერატურული პერსონაჟების საზრიანობითა და შეუპოვრობით მოხიბლული ახალგაზრდები ირჩევენ და ზოგჯერ პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეს, მათი მოწოდება არ ყოფილა.

ლანჩხუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელი, ომარ მარგველიანი კი პირიქით, არ ნანობს, პედაგოგობა შინაგან საქმეთა ორგანოში მუშაობაზე რომ გასცვალა. იგი ალბათ, ისე კარგად ვერასოდეს დაეუფლებოდა პროფესიას, რომ მის სულში ადამიანის დაცვისა და დახმარების მარცვალი არ დებულიყო, რომლის გაღვივებაც უკვე სხვა მრავალი ფაქტების შეზავებითაც მოხდა.

დიახ, პოლიციის უფროსი ლეიტენანტის შრომითი ბიოგრაფია სკოლის მასწავლებლობით დაიწყო. ამიტომაა რომ იგი ახლოს იცნობს ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს, უადვილდება ამ კონტიგენტთან ურთიერთობა. თითოეულ მოზარდს უყურებს როგორც კარგ ადამიანს. ცდილობს ყველაზე ცუდშიც კი მოძებნოს რაღაც დადებითი, რომ დაინახოს გზასაცდენილის გამოსწორების შესაძლებლობა.

ომარ მიხეილის ძე მარგველიანი დაიბადა 1961 წლის 1 თებერვალს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში. დაამთავრა საშუალო სკოლა. მერე მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური. დაამთავრა კვების მრეწველობის ტექნიკუმი. მუშაობდა მშობლიური სოფლის ჩაის ფაბრიკის მექანიკოსად. შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. მოსკოვში. დაამთავრა პუშკინის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა მამათის საშუალო სკოლაში პედაგოგად. დამწყები, ენერგიული პედაგოგის საქმიანი თვისებები მალე შეამჩნიეს და 1992 წელს დაინიშნა სუფსის ქვეგანყოფილების უფროსად (გამგეობის რეკომენდაციით). მუშაობდა 1995 წლამდე. 1995 წელს მძიმედ დაიჭრა აცანაში 3 კაცის, მათ შორის პოლიციის მუშაკის უროტაძის მკვლელის დაკავების დროს. ბოროტმოქმედები შეიარაღებულები იყვნენ ავტომატური იარაღებითა და ტყვიამფრქვევით. შემდეგ მკურნალობდა. 2003 წელს, ისევ პოლიციაში დაბრუნდა. ჰყავს მეუღლე

და ორი შვილი. უფროსი მიხეილ მარგველიანი სწავლობს ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, უმცროსი-რუსლანი კი მამათის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეა.

1994 წლის მაისის თვე იყო, ომარ მარგველიანი და მისი მეგობარი გია ბოლქვაძე გასული იყვნენ საქმეზე სუფსის ტერიტორიაზე. ამ დროს მათთან გაჩერდა „ვაზ-2106" მარკის ავტომანქანა. მძღოლმა მათ აცნობა, რომ დაახლოებით 300-400 მეტრში თურქეთიდან მომავალ ავტობუსს აყაჩაღებენ., ეს ის პერიოდია, როცა სუფსის ხიდს აკონტროლებდნენ ქუთაისის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები. „გია ბოლქვაძეს ვთხოვე წასულიყო განყოფილებაში და წამოეყვანა თანამშრომლები – იხსენებს ომარი. მე კი მივედი ხიდთან და სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს დახმარება ვთხოვე. მათ აამუშავეს ტექნიკა /ბეტეერი/ და წავედით იმ მიმართულებით, რომელსაც მოქალაქემ მიგვითითა. შეეამჩნიეთ, რომ ერთ-ერთ გორაზე ბოროტმოქმედებს გაჩერებული ჰყავთ ავტობუსი, ნიღბიანებს ავტობუსიდან გადმოჰყავთ მოქალაქეები და ძარცვავენ. ბიჭებს ვთხოვე გამყოლოდნენ, მაგრამ არ დამიჯერეს და სხვა მიმართულებით წავიდნენ. როგორც ჩანს ყაჩაღებმაც შეგვამჩნიეს და ტყვიამფრქვევიდან გახსნეს ცეცხლი. ტყვიამფრქვევის ტყვია მოხვდა ბეტეერს და მოწყვიტა წინა ბორბალი, მე და ორი სპეცრაზმელი ამ დროს ბეტეერზე ვიჯექით. დარტყმის ძალამ დაბლა გადაგვაგდო. მე ეხედავდი ყაჩაღების მოძრაობას. ისინი მოქალაქეებთან ერთად იყვნენ. ცეცხლის გახსნას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდებოდა. მიუხედავად ამისა, რამოდენიმეჯერ გაეისროლე ჰაერში. მათ ტყვიამფრქვევიდან განაახლეს სროლა. ამ დროს, მოვიდნენ ჩვენი ბიჭები და ჰაერში ატეხეს სროლები – დაეინახე 2 თუ 3 ყაჩაღი რომ გარბოდა. გორას ამოეფარნენ. ავტობუსი დაიძრა. მათ ტყვედ აიყვანეს მგზავრები. მე მოვახერხე გამოვსულიყავი ცენტრალურ გზაზე და დავუკავშირდი წყალწმინდის საგუშაგოს, ოზურგეთის პოლიციას. მიეყვევი ავტობუსს. იგი სოფელ გომისკენ, ოზურგეთის მიმართულებით მიდიოდა. როგორც ჩანს, ყაჩაღებმა იცოდნენ ეს ადგილები. მერე დაგვეხმარა სამხარეო პოლიციისა და ოზურგეთის პოლიციის თანამშრომლები. ავტობუსი ვერ ვიპოვეთ, გაირკვა, რომ ყაჩაღებს ორი გოგონა ტყვედ წაეყვანათ. სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობამ გაგვანაწილა ჯგუფებად. შემოგვიერთდნენ მონადირეები, დავედევნეთ ყაჩაღებს, რომლებსაც საბედნიეროდ მძევლები გზაზე მიეტოვებინათ. გვიან მოხერხდა მათი დაკავება.

ვინც კარგად არის ჩახედული შინაგან საქმეთა ორგანოს სტრუქტურაში, მისთვის ნათელი იქნება, თუ რაოდენ მძიმე და სა-

პასუხისმგებლო მისია აკისრია სისხლის სამართლის სამძებროს ოპერმუშაკს. სწორედ აღნიშნულ სამსახურში მუშაობდა ბატონი ომარ მარგველიანი, სანამ მძიმედ დაიჭრებოდა კბილებამდე შეიარაღებული ბოროტმოქმედების აყვანის დროს. უძილო ღამეები, დაუნდობელი ბოროტმოქმედების დევნა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, მისი ცხოვრების ყოველდღიური წესი იყო, რადგან იცის, რომ ბოროტმოქმედი არასოდეს თელემს, იგი ყოველთვის მზად არის თავისი ზრახვის განსახორციელებლად.

თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად, ბატონი ომარი, თითქმის ყველა ოპერაციაში გვერდით უდგას დეტექტივისა და უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის სამსახურის მუშაკებს. თავისი ვაუკაცობით და იუმორით ამხნევებს მათ ყველაზე ძნელ წუთებში.

მისი სიტყვებით, რომ ვთქვათ, „არ არსებობს დიდი და პატარა საქმე, ყველა თითქმის ერთნაირ პროფესიონალიზმსა და სიფაქიზეს მოითხოვს. ხშირად ჩვენთან ადამიანების ბედი წყდება, და არ უნდა შეილახოს მათი ღირსება და უფლებები“.

ომარ მარგველიანს განსაკუთრებით უყვარს თავისი რაიონის მოსახლეობა. კითხვაზე თუ რას უსურვებდა იგი ლანჩხუთელებს – მან მიპასუხა: „მშვიდობას, მეტ გულწრფელობასა და სიახლოვეს პოლიციასთან, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს რწმენა, რომელიც შეარყია რამდენიმე წლის წინ განუკითხაობამ, პოლიცია საზოგადოების გარეშე ან პირიქით – წარმოუდგენელია“.

როცა ამ წერილს ვწერდი, ერთი ფაქტის დასაზუსტებლად პოლიციაში მივედი, ომარი მოვიკითხე. ოპერაციაზეა გასულიო, მითხრეს. მეორე დღეს გავიგე, ბიჭებს ოსტატურად ემუშავათ, საშიში ძებნილი დაეკავებინათ.

ყოველი ოპერაცია წარმატებული ყოფილიყოს თქვენი და თქვენი თანამშრომლებისათვის, ბატონო ომარ!

გამომძიებლობა რჩეულთა ხვედრია

ავთანდილ ხვიჩია

ოსურგეთი უდიდესი კულტურისა და ტრადიციების რაიონია. ვინ მოთვლის რამდენი მეცნიერი, მწერალი, სცენის დიდოსტატი, სახელოვანი სპორტსმენი და საზოგადო მოღვაწე აღიზარდა ამ რაიონში. არავისთვის დასამალი არ არის, რომ ერთ დროს ოსურგეთი ქურდული ტრადიციების მქონეთა ქალაქადაც იყო მიჩნეული. პროკენტულად, ოსურგეთი პირველობდა კანონიერი ქურდებითა და დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებით.

დღეს ოსურგეთი წესრიგით გამოირჩევა. ეს უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევითა და მეცადინეობით გახდა შესაძლებელი. საგრძნობლად იკლო საშინაო დანაშაულთა რიცხვმა. დაიხვეწა სამართალდამცავი ორგანოების სტილი და მეთოდები. კარგი შედეგებია დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების საქმეში. ამაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა, ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა პოლიციის მაიორმა ავთანდილ ხვიჩიამ.

ავთანდილ აკაკის - ძე ხვიჩია დაიბადა 1960 წლის 12 იანვარს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ოსურგეთის საბუღალტრო ტექნიკუმი, შემდეგ სამხედრო-საავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. მისი სურვილი იყო იურისტი გამხდარიყო, მეტადრე გამომძიებლობა იტაცებდა. დეტექტურ თემაზე დაწერილ არც ერთ წიგნს არ ტოვებდა წაუკითხავს. სამხედრო სამსახურიდან ლიმიტი წამოიღო და სურვილი ჰქონდა გორკის იურიდიულ ინსტიტუტში გაეგრძელებინა სწავლა. მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მოახერხა წასვლა. საბუთები შეიტანა მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე. ოთხივე გამოცდა ჩაბარა, მაგრამ ქულები არ ეყო. დროს უქმად ხომ არ დაკარგავდა. გადაწყვიტა, რომელიმე ტექნიკუმი დაემთავრებინა ფრიადზე და ერთი გამოცდა ექნებოდა ჩასაბარებელი. 26-ე სამშენებლო ტექნიკუმი კი დაამთავრა წარჩინებით, მაგრამ კანონი შეიცვალა და ერთი გამოცდით უმაღლესში მოხვედრა შესაძლებელი იყო, თუ პროფილის მიხედვით მოხდებოდა საბუთების შეტანა. ამიტომ კვლავ ოთხივე გამოცდის

ჩაბარება მოუწია. ამჯერად ყველა გამოცდა წარჩინებით ჩააბარა. როცა სიაში ამოიკითხეს ეს იყო მისთვის ყველაზე ბედნიერი დღე ცხოვრებაში. მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ოზურგეთის საგამოძიებო სარაიონთაშორისო განყოფილებაში გამომძიებლად. ამ დროს პოლიციის უფროსი იყო გერმანე თალაკვაძე, სოლო გამოძიებას ხელმძღვანელობდა გიორგი სირაძე. თითქმის 4 თვე, როგორც ახალგაზრდა გამომძიებელი, მუშაობდა ოზურგეთში დასაქმებული გამომძიებლების — ბ. კიკნაველიძისა და ი. განუგრავას მეთვალყურეობის ქვეშ. დიდი მადლიერებით იხსენებს მათ.

ამჟამად, ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს სუფსის განყოფილების დეტექტივ-გამომძიებლის თანაშემწეა.

გასახსენებელი ბევრი აქვს ბატონ ავთანდილს, შინაგან საქმეთა ორგანოში მუშაობის 32 წლის მანძილზე მრავალი საქმე გამოუძიებია, მრავალ საგამოძიებო ჯგუფში ჩაურთავთ. რამდენიმე შემთხვევა გვიამბო:

„მახსოვს ჩემი პირველი გახსნილი საქმე, სულ ორი თვის დაწყებული მქონდა მუშაობა, როცა ავტოინსპექციიდან შემოვიდა მასალები საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტზე, ვინმე გორგოშიძის სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით. მასალების მიხედვით, ავტომანქანა შეეჯახა ხიდს, რის გამოც მძღოლმა მიიღო დაზიანება და მოთავსებული იყო ოზურგეთის ცენტრალურ საავადმყოფოში. მძღოლმა გამოკითხვისას დაადასტურა აღნიშნული ფაქტი და განმარტა, რომ ავტომანქანაში, მის გარდა, სხვა არავინ იჯდა. მე უკვე მეორე დღეს დავადგინე, რომ ადგილი ჰქონდა ორი მანქანის ერთმანეთთან შეჯახებას. მიეაგენი მეორე „მოსკვიჩის“ მარკის ავტომანქანას, რომელიც მძღოლს ავტომანქანის სადგომში ჰყავდა ჩაკეტილი, თუმცა ამ უკანასკნელს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევაში ბრალი არ მიუძღოდა. დავადგინე გოგონას ვინაობაც, რომელიც ავტოავარიის დროს იჯდა გორგოშიძის მართვის ქვეშ მყოფი „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანაში, და რომელიც (თუმცა ავტოავარია მომხდარიყო ოზურგეთის ტერიტორიაზე), ლანჩხუთის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი სადაც, სამწუხაროდ, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ჩემგან გამოძიებული ამ კონკრეტული საქმით ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩემი უფროსი გ. სირაძე, რომელმაც რაიონულ თათბირზე ილაპარაკა ჩემს მიერ გახსნილი საქმის შესახებ. მე კი როცა საბრალდებო დასკვნითი საქმე შევუტანე კაბინეტში, მითხრა, რომ ჩემგან კარგ გამომძიებელს გამოიყვანდა. თუმცა, იმის გამო, რომ ლანჩხუთში გაათავისუფლეს ერთ-ერთი გამომძიებელი, მე როგ-

ორც ლანჩხუთელი, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ გადამიყვანეს.

1988 წლის დეკემბერში, ლანჩხუთში ავტოავარია მოხდა, და ახალგაზრდა ბიჭი დაიღუპა. იმ დღეს, ჩემს გადასვლასთან დაკავშირებით, პურმარილზე ცოტა დალევა მომიწია. თუმცა ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია, რომ დამეთვალიერებინა შემთხვევის ადგილი და ჩამეტარებინა ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება. მიუხედავად ამისა, იმ დღეს მივეცი საკუთარ თავს პირობა იმისა, რომ არასოდეს სამსახურში ნასვამ მდგომარეობაში არ გავჩერდებოდი, რასაც დღემდე ვასრულებ.

ლანჩხუთში მუშაობის პირველ წელს საგამოძიები ჯგუფის უფროსი იყო რობერტ ღლონტი, რომელიც მალე გადავიდა თბილისში. გარკვეული პერიოდი მარტო დავრჩი. საქმეების აღძვრასა და გამოძიებას ვერ ვუთავდებოდი. ჩემს დასახმარებლად, საგამოძიებო დეპარტამენტიდან, მოვლინებულ იქნა ბადრი ტრაპაიძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჩემი როგორც გამომძიებლის ჩამოყალიბებაში. ასევე დიდი მადლიერებით ვიხსენებ გოგი ვაშაყმაძეს, რომელიც დაინიშნა ლანჩხუთში საგამოძიებოს უფროსად. მისი ხელმძღვანელობის დროს, ჩამოყალიბდა ლანჩხუთში საგამოძიებო ქვეგანყოფილება, სადაც ჩემსა და გოგის გარდა მუშაობდნენ ფრიდონ ჭანტურია, ავთო სარჯველაძე, გია დარჩია, ირაკლი კაცაძე და იური გოგოტიშვილი.

გამომძიებლის პროფესია მეტად რთული და ამაგე დროს, საინტერესოცაა. ერთი საქმეა ეჭვმიტანილის დაკავება. შემდეგ მოთავარია, დაუდგინდება თუ არა ეჭვმიტანილს დანაშაული. იქნებ დაკავებული სულაც არ აღმოჩნდეს სისხლის სამართლის დამნაშავე. ზოგჯერ ერთნი იბრალებენ სხვათა დანაშაულს, გარკვეული მოსაზრებებით. ამიტომ გამომძიებელს, ძიების პროცესში, მაღალი პროფესიონალიზმის, საქმის ცოდნის, ადამიანებთან ურთიერთობის, საზრიანობის, სწორი ალღოს გამოელინება მართებს. აჩქარებით შეიძლება საქმე გააფუჭო, მაგრამ, ხანდახან კი, სწორედ აჩქარება და სწრაფად მოქმედებაა საჭირო. ყველაფერი კარგად უნდა აწონდაწონო, მერე შეაჯერო და გააკეთო ანალიზი. ერთ დეტალს ან ნიუანსს გამოძიების დროს, რამდენჯერმე უნდა ჩაუკვირდე. უნდა იყო ტაქტიანი, მომთხოვნი და პრინციპული. ყველას არ ძალუძს გამომძიებლობა, იგი რჩეულთა ხვედრია."

ჰოდა, თავადაც გამორჩეული პიროვნებაა ავთო ხეიჩია, თავმდაბალი და გაწონასწორებული. პირველ რიგში კი რაც არ ეშლება (და საერთოდაც, არც არაფერი ეშლება), ეს მისი ადამიანობაა. მისი სიმაღლის საზომი საკუთარი ღირსება და სახელია. რომლის შელახვას ყველაზე მეტად უფრთხილდება. მისი

სიმდიდრეც ეს არის. და მიუყვება ძიების მეტად რთულ და საინტერსო გზას ავთანდილ ხვიჩია. რომელიც თავადაა მაგალითი, ლამაზად და უხინჯოდ გაკლილი, მშვენიერი ცხოვრებისა.

იმედითა და რწმენით აღსავსე დღე

მედიკო გვარჯალაძე

– მილიციაში მუშაობა 1974 წელს დაიწყე – გვითხრა უბნის უფროსმა ინსპექტორ-გამომძიებელმა, სანდომიანმა ქალბატონმა მედიკო გვარჯალაძემ, – ლანჩხუთის მილიციის სამდივნოში მხოლოდ რამდენიმე თვე ვიმსახურე, რადგანაც დეკრეტულ შვებულებაში გასული მდივან–მემანქანის ადგილზე მივედი. მანამდე წარჩინებით დავამთავრე ქალაქის № 3 საშუალო სკოლა. სტაჟის გარეშე უმაღლესში ჩარიცხვა შეუძლებელი იყო. სწორედ ამით იყო გამოწვეული ჩემი მილიციაში მისვლა. დაბრუნდა თუ არა დეკრეტულიდან ის თანამშრომელი, ვის ადგილზეც დავინიშნე დროებით, არ ვიცოდი რა მექნა. თუმცა, მილიციის მაშინდელმა უფროსმა, ჟორა ჩხარტიშვილმა მირჩია, დარჩი და მეორე შტატს დავაშვებინებო. მისი რჩევა ჭკუაში დამიჯდა. 1979 წელს, ჩავაბარე გამოცდები და მოვეწყვე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1983 წელს, ბოლო კურსის სტუდენტი, დამნიშნეს შრომა-გასწორებისა და შრომითი მოწყობის ინსპექტორად. 1992 წლის იანვრიდან 2005 წლის დეკემბრამდე ემუშაობდი საპასპორტო სამსახურის უფროსად, ყველაზე დიდხანს სწორედ ამ სამსახურში ვიმუშავე, თუ არ ვცდები 12 წელიწადი.

– ამჟამად რა თანამდებობაზე ბრძანდებით?

– ჩემს სამსახურს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ჰქვია.

– ყველაზე კარგად მუშაობის რომელი პერიოდი გახსენდებათ?

– არ დაიჯერებთ და... 70-80-იანი წლები. განა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი ვიყავით. არა, უბრალოდ, რაღაც სხვა ენთუზიაზმი ჰქონდა ხალხს. წარმოიდგინეთ, საათობით კი არა, დღეობით არ გვეძინა, მაგრამ ენერგიით სავსენი ვიყავით... დამნაშავეებიც თითქოს ისეთი სასტიკები და

ულმობლები არ იყვნენ, როგორც ბოლო პერიოდში. რაც მთავარია, ხალხის უმრავლესობა ჩვენსკენ იყო: გვირეკავდნენ, ბოროტმოქმედის გზა-კვალსა და ადგილსამყოფელს გვიატყობინებდნენ. ახლა კი პირიქით, მალავენ და გაქცევაშიც შველიან ხოლმე...

– ოპერაციაზე თუ დადიხართ?

– რა თქმა უნდა.

– ხომ ვერ გაიხსენებდით რომელიმე მათგანს?

– სიამოვნებით... მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა: ჩვენთან სამძებროს უფროსად მუშაობდა თენგიზ ცინცაძე, კაცი ლეგენდა, რომელიც ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას დაიღუპა. მან დამიძახა და მთხოვა გავყოლოდი შემთხვევის ადგილზე. როგორც გაირკვა, დაყაჩაღებული იყო ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელი სახლი, რა დროსაც იარაღის მუქარით გატაცებულ იქნა ფული და ძვირფასეულობა. საქმეში ფიგურირებდა ქალი. მთელი ამ საქმის სირთულე ის გახლდათ, რომ ოთხივე ბოროტმოქმედი, მათ შორის ქალიც, წილებში იყო. რახან წილებში იყვნენ, ე.ი. ადგილობრივი კონტიგენტია – მეთქი ვიფიქრე და აზრად მომიყიდა რამდენიმე ქალბატონი გადაგვემოწმებინა. ჩემი ვერსია სწორი აღმოჩნდა, წრედი შეიკრა და გავედით იმ ჯგუფზე, რომლებიც ჩადიოდნენ ძარცვა-ყაჩაღობებს. ერთ-ერთი ბოროტმოქმედი ტელეფონით გავიცანი, მერე კი „სვიდანიაც“ დამინიშნა. სწორედ შეხვედრის ადგილზე მოსდა მისი დაკავება, დამნაშავენი სწორედ ისინი აღმოჩნდნენ...

ქალბატონი მედიკო ხალისით გვიყვება წარსულ ამბებს. ამ დროს, იგი უჩვეულოდ ახალგაზრდულად გამოიყურება, თვალები უბრწყინავს, თითქოს ენერგიით ივსებაო. საერთოდაც საინტერესო მოსაუბრეა. თანამშრომლებს ძალიან უყვართ და აფასებენ. თავადაც ყველას სიყვარულითა და მოკრძალებით იხსენებს, ვისთანაც მუშაობს და უმუშავნია. მთავრობამაც საკადრისად დაუფასა ამაგი: იგი ხუთი მედლის კავალერია.

– როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?

– მეუღლე ვახტანგი ღლონტი – ელექტროინჟინერია.

გოგო – ნათია ღლონტი თბილისის ევროპული უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის მე-3 კურსის სტუდენტია, აჭარის უნივერსიტეტის სახელმწიფო ანსამბლის წევრი – იურიდიული განათლების მიღებაზე ფიქრობს, ოცნებობს გახდეს ქალი- პატრული. გიორგი კი 15 წლისაა, №3 საშუალო სკოლაში სწავლობს, მეზღვაურის პროფესიაზე ოცნებობს.

ერთი კურიოზიც გაიხსენა ქალბატონმა მედიკომ: მაშინ საპასპორტო სამსახურის უფროსად ემუშაობდი, ასაკოვანი ქალი

მოვიდა ჩემთან პასპორტის ასაღებად. ნენა პასპორტი მჭირდებაო. პასპორტისთვის სურათია საჭირო–მეოქი, ეუთხარი. ფული არა მაქვს, სურათს ვერ გადავიღებო, სურათი მე არ ვიცი, პასპორტი მომეციო, მე კი ვუხსნიდი, რომ სურათის გარეშე პასპორტს ვერ გავცემდი, მაგრამ ის თავისას იმეორებდა, მე პასპორტი მჭირდებაო. ვერაფერი გავაწყვე, არ ვიცოდი რა მექნა, ბოლოს ეუთხარი, ჩემს სურათს ხომ არ დაგიკრავთ მეთქი. ამაზე განაწყენდა. შენი რათ მინდა, იქნებ უკეთესი სურათი შეარჩიოთ.

ყოველ დილით, დარსა თუ ავდარში, კუპრეიშვილის ქუჩასა და ივანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის გავლით, თავისუფლების მოედნის დასაწყისისაკენ, დინჯი ნაბიჯებით მიემართება სანდომიანი სახის ქალბატონი, იგი ცოტა ხნით, წინასწარ გათვლილი დროის შესაბამისად, ცენტრისაკენ მიმავალ ავტომანქანას ელოდება.

თუ ბედმა გაუღიმა და მანქანით იმგზავრა ხომ კარგი, თუ არადა, ხშირად ფეხით გაუდგება გზას.

მერე რა, რომ ორ კილომეტრამდეა გასავლელი. უნდა გაიაროს. სხვაგვარად არ შეიძლება. სამსახურში ყველაზე ადრე უნდა მივიდეს მოწინავე და გამოცდილი მუშაკი... და დადის ასე ქალბატონი მედიკო გვარჯალაძე ჩვეული მარშრუტით, აგერ უკვე ოცდათხუთმეტი წელია. დადის და ფიქრები უადვილებს და უმოკლებს გზას, მერე რამდენი აქვს საფიქრალი და საზრუნავი.

ოჯახი?

რა თქმა უნდა ოჯახიც, მაგრამ მასზე მაინც ყველაზე ნაკლებად წუხს. ამ მხრივ, ბედს ნამდვილად ვერ დაემდურება. „ოჯახი, რომ ხელს არ მიწყობდესო“, –თავისსავე ფიქრებს ესაუბრება ხანდახან.

დიახ, მთავარი საფიქრალი მაინც სამმართველოა.

რამდენ რამეს იხსენებს, აზუსტებს, გეგმავს გზაში.

ზედმეტ მორიდებულობასა და რბილ ხასიათს არ უჩივის. თითქოს არც გამოცდილება აკლია, სიძნელეები არ აშინებს, საქმე იცის, არც ორგანიზატორული უნარი, ინიციატივიანობა, სიახლეთა მიგნება და ენერგია აკლია. ახალგაზრდა მუშაკებმა მასში მონდომებული, დაუზარებელი, საქმის მცოდნე ადამიანი დაინახეს. ამიტომაცაა, რომ ყველა გვერდში უდგას, მედიკოც ყველას რითაც შეუძლია, ეხმარება.

თანამშრომლებთან ურთიერთობაში პირადი მაგალითის ძალა მთავარსე მთავარია. ქალბატონი მედიკო აქაც მისაბაძია, თვითდისციპლინის მკაცრ ნორმებს დაქვემდებარებული, მიზანს აღწევს. ყველგან და ყველაფერში კომპეტენტური და სამართლიანია.

მართლაც რამდენ რამეს გაგახსენებს გზა.

წინააღმდეგობები?

რამდენიც გნებავთ. მაგრამ გამძლეობაც, ჭირთაომენაც და სიძნელის გადალახვაც ამ ქალის მთავარი დამახასიათებელი პიროვნული თვისებებია. და უძლებს, ითმენს, შრომობს, იმარჯვებს მედიკო — მართალია და იმიტომ, შრომას არ გაურბის და იმიტომ, საქმე უყვარს და იმიტომ იმარჯვებს.

ფიქრებში ნელ-ნელა, შეუმჩნეველად გაილევა გზა... აი უკვე თავისუფლების მოედნისაკენ მიაბიჯებს მედიკო. გულღიად, სიყვარულით ესალმებიან შემხვედრი ადამიანები, ახალგაზრდები, ახლობლები და მეგობრები... როგორ ბრძანდებიოო, ეკითხებიან, თვალებში სიყვარულით შესცინინებენ.

თავადაც თბილად ესალმება დიდ-პატარას, ყველას იცნობს, ყველასი ასავალ-დასავალი იცის, ყველას ჭირის და ლხინის გამზიარებელია. ვის ჯანმრთელობის ამბებს გამოჰკითხავს, ვის კიდევ ოჯახურ საქმეებზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, სხვა ათასნაირ საზრუნავზე გაესაუბრება გულწრფელი დაინტერესებით.

მერე გულდაჯერებული შეაბიჯებს ფაქიზად მოკლილ სამმართველოს შენობაში, და იწყება კიდევ ერთი ჩვეულებრივი, რიგითი სამუშაო დღე. სიხარულითა და საზრუნავ-საწუხარით, იმედითა და რწმენით სავსე დღე.

სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, ქალბატონო მედეა!

სუფთა სინდისით, სიამაყის გრძნობით

ირმა სიორიძე

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ჩუმად, უპრეტენზიოდ აკეთებენ საქმეს და აკეთებენ სინდის-ნამუსიანად, სანაქებოდ, მისაბაძად. ნათქვამია: „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“, ვისაც კი გურიის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს, უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებთან, ჰქონია საქმე, დამეთანხმებით, რომ პოლიციის ერთ-ერთი გამოცდილი თანამშრომელი ირმა სიორიძეც არის. თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნეს, პრინციპულ, ენერგიულ მუშაკს, არაერთი მოზარდი აღუზრდია და დაუკვალიანებია, გზაზე დაუყენებია.

ყოველთვის პირმცინარი, ენაწყლიანი, მრავლისმეტყველი თვალებით, ამასთანავე მკაცრი მომთხოვნი და თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, ჭეშმარიტი პროფესიონალი, ქართველი ქალი, სულით ხორცამდე ოზურგეთელი, მეოცნებე და რეალისტი, ყველანი მას „ჩვენი ირმათი“ იცნობენ.

— ჰობი ისევ და ისევ სამსახურთან დაკავშირებით, სიხარულის მინიჭებაა მოზარდებისადმი.

მეგობრებში — მხიარული, ოპტიმისტი, იმედის მიმცემი, უყვართ მასთან ყოფნა, მაგრამ მას არ უყვარს, როცა მისი მეგობრები მოწყენილები არიან. და თუ ნახავს, რომ საჭიროა, მზადაა, ზღვაც კი დააშროს. არის თუ არა მეგობრული? მე თუ მკითხავთ მეგობრობა მისი მთავარი ჰობია, თუმცა ეს სიტყვა მასთან მიმართებაში ძალიან მშრალი და არაფრისმთქმელია, თუ არ გაშიფრეთ, რადგან მასში აღნიშნული ეს გრძნობა, იმდენად ამაღლებულია, მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს თუ შევადარებთ. და თუ ეს სიტყვები ვინმეს გაზვიადებულად მოეჩვენება, ნუ გაიკვირვებთ, ჩათვალეთ, რომ ისინი მას... არ იცნობენ.

— ირმა, დამეთანხმებით ალბათ, მძიმე განცდას იწვევს დამნაშავე მოზარდი, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ პრობლება პრობლემად რჩება. რით აიხსნება ეს?

— გეთანხმებით, მიუხედავად კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მოზარდის აღზრდის საქმეში, რაც ძირითადად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორე-

ბით: მოზარდების დიდი ნაწილი, მძიმე სოციალურ მდგომარეობაშია. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვი ქუჩაში აღმოჩნდა, მეორე – განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა და მესამე – საზოგადოების მხრიე გულგრილი დამოკიდებულება.

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო დაწესებულებებში, ვატარებთ ლექციებს, ინდივიდუალურ საუბრებს, ვაწყობთ აგრეთვე პროფილაქტიკური სახის რეიდებს, ძნელადაღსაზრდელების გამოსაელინებლად. ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, აი, ვისგან გეჭირდება ჩვენ მხარდაჭერა. რათა ერთად გამოეტაცოთ ქუჩას თითოეული მოზარდი. მაგრამ სამწუხაროდ არის ფაქტი, როცა სკოლის დირექცია მალავს ძნელად აღსაზრდელებს. თუ გვინდა შედეგი მივიღოთ, დამალვა კი არა, გამოაშკარავება და მათთან მუშაობაა საჭირო. გულგრილობა, მითუმეტეს პედაგოგიდან ძნელი აღსაქმელია.

– არასრულწლოვანთა საგრძნობი ნაწილი ზნეობრივი ცხოვრების გზას ასცდა, ჩვენს თვალწინ ყალიბდება დამნაშავეთა კლანი, იზრდება ქურდ, დამყაჩაღებელ, ნარკომან, მკვლელ (დიახ მკვლელ) არასრულწლოვანთა რიცხვი და რაც კიდევ უფრო შემზარავია, მომრავლდნენ მეძავი, ნარკომანი, დამყაჩაღებელი არასრულწლოვანი ბოგონები.

– რატომ მოგვიმრავლდნენ ძნელად აღსაზრდელები?

– ეს ხომ აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამო ხდება და ეს შედეგია იმისა, რომ მოზარდს აკლია ყურადღება, სითბო, სიყვარული. არ ჰყავს მიმართულების სწორად განმსაზღვრელი. აი რას ამბობდა აღნიშნულის თაობაზე მაკარენკო: „თუ თქვენი ბავშვი უწესოდ იზრდება, თუ თქვენ რაღაც გამოგეპარათ, ცოტას ფიქრობდით მასზე, ან დაგეზარათ და უყურადღებოდ დატოვეთ, მაშინ უკვე ბევრის გარდაქმნა და გამოსწორება დაგჭირდებათ, და აი, ეს გარდაქმნა ისე იოლი აღარ არის“

საგრძნობლად მოიშალა საოჯახო აღზრდის ტრადიციები, ჩვენი ბავშვები, რასაკვირველია, კარგად ხედავენ ხშირ შემთხვევაში მშობელთა ცხოვრების გაუმართლებელ წესს.

საქართველო ოდითგანვე ძლიერი სულის, უდიდესი ნებისყოფის ხალხით იყო დასახლებული, ისტორია იცნობს მრავალ ქვეყანას, რომელთაც ვერ გაუძლეს, მტერთა ალბედით შემოტევებს და აღიგავეს პირისაგან მიწისა, დაეცა დიდი რომი, დაეცა ბიზანტია, საქართველო კი დღვანდელობამდე მოიყვანა ჩვენი წინაპრების თაგვანწირვამ.

მკვეთრად მოიშალა კავშირი სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის. მშობლებმა და სკოლამ დათმეს მოზარდის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის სადავეები. დარჩა ქუჩა, რო-

მელიც ყოველთვის იზიდავდა მერყეები და სუსტი ნებისყოფის მქონე ახალგაზრდებს.ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ძნელი“ მოსწავლე არასწორად აღზრდისა და ქუჩის ნაყოფია. ამიტომაც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია მამის როლი მოზარდის აღზრდაში. დღეს ისე, როგორც არასდროს, ჩვენს მოზარდებს სჭირდებათ მამის ხელი და მხრუნველობა. მითუმეტეს, რომ სკოლებში მამაკაცი პედაგოგების ნაკლებობა გვაქვს. ყველასთვის ცნობილია, რომ სუხომლინსკამდე თითქმის ყველა აღმზრდელი და პედაგოგი მამაკაცი იყო. ამით ჩრდილი არ გვინდა მივაყენოთ ჩვენს ქალბატონ მასწავლებლებს, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენი შვილების აღზრდა ოჯახში თითქმის მთლიანად დედებს მიეანდეთ, სკოლაში კი – ქალ მასწავლებლებს, მერე ივარგებს კი საქმის ასე წაყვანა, განსაკუთრებით ვაჟებისათვის?

კანონმდებელს მოეთხოვება შეისწავლოს დანაშაულის ყველა მიზეზი, ამით ადამიანის სულის კუნჭულამდე მივდივართ. ეს აუცილებელია განსაკუთრებით მაშინ როცა განსასჯელი არასრულწლოვანია. მას თითოეული არასრულწლოვანის მდგომარეობა, გულთან ახლოს მიაქვს და მათ გასაჭირს მშობლებთან ერთად იზიარებს.

– ირმა, შეგახსენებთ თქვენს საყვარელ ფრაზას – ერთ სიკეთეს, რომ მეორე მიეაყოლო, ისე, რომ შუალედიც არ დარჩეს, აი რა მიმაჩნია ბედნიერ ცხოვრებად. – ახერხებთ კი ასეთ ცხოვრებას?

– ეს ფრაზა, რომელიღაც ნაწარმოებიდან ჩამრჩა მეხსიერებაში, ჩემეული აღქმა მიიღო. თუ ხმამაღლა ნათქვამად არ ჩამითვლით, ეცდილობ ასე ვიცხოვრო. დღემდე ისე მოვედი, უკან მოხედვისა არ მეშინია. განა შეიძლება როცა ეს სამსახურებრიული მოვალეობაცაა, ქუჩას შეკედლებულ ბავშვს, რომელსაც განმკითხავი არავინ ჰყავს და შენში ნახავს დამხმარეს თუ ქომაგს, ზურგი შეაქციო, ან გულთან არ მიიტანო მისი სატკივარი? ელემენტალურად რომ ვთქვათ, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანის ვალია ძნელად აღსაზრდელის გამოცნობა, ქუჩას შეკედლებული ობლის დაბანაკება ბავშვთა სახლში.

ბავშვის სულსა და გონებაში ერთობლივად უნდა ვსრდიდეთ ფაქიზ გრძნობებს – სიყვარულს, სიკეთეს, სათნოებას, საკუთარი ღირსების შეგრძნებას, სხვათა დაფასებას – აღიარებას, სუფთა სინდისით სიამაყის გრძნობას. ყველა ეს თვისება შემდეგ მ'ესედ ამო'შუქდება და იგი შესძლებს კუთხე-კუნჭულ გაანათოს სამყარო, შეიგრძნოს, რომ ადამიანი – ეს ამაყად ჟღერს!

დღესდღეობით ღრმად მჯერა, რომ ჩემი ადგილი აქ არის. მომავალში კი ალბათ ძირითად პროფესიას, ჟურნალისტობას დავუბრუნდები.

— რას გვეტყვით კანონის ჰუმანურობაზე?

— თავად სიტყვა კანონი, ბერძნული წარმოშობისაა. „კანონს“ ხის იარაღს ეძახდნენ. ამ იარაღს, ოსტატები თარაზოს მსგავსად, სისწორის დასაცავად ხმარობდნენ. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ამ ისტორიული აქსიომიდან გამომდინარეობს სამართლის ღრმა ჰუმანური არსი.

ამ ბოლო დროს გაჩნდა აზრი კანონის გამკაცრებაზე. ზოგნი ამაში ხედავენ გამოსავალს დანაშაულთა შესამცირებლად. ეს აზრი მცდარია. ბავშვის სულსა და გონებაში ერთობლივად უნდა ვზრდიდეთ კანონისადმი პატივისცემის გრძნობას. კანონს პატივი უნდა სცეს მოზარდმა. მთავარი კი ამ საქმეში ოჯახი, სკოლა და საზოგადოებაა. უფრო კონკრეტულად მშობლები და აღმზრდელი გარემო. სამთავე რგოლმა ერთიანი სულისკვეთებით უნდა შესძლოს ბავშვის ცხოვრებისათვის მომზადება. აკი ამბობდა დიდი ილია: „აღზრდაში ყოველთვის ფხიზლად უნდა ვიყოთ. თუ ყურადღება მოვადუნეთ, გავითელებით დიდოელი ლეკის ნაბადივით“.

— როგორია პოლიციელი ირმა სიორიძე სამსახურში და სამსახურის გარეთ?

— იყო პოლიციელი, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, ხოლო ორმაგი პასუხისმგებლობაა ქალი პოლიციელი. თავიდან ყველაფერი ვარდის ფერებში აღიქმებოდა, რეალობა კი გაცილებით კონტრასტული აღმოჩნდა. მაგრამ, უკანდახევა არ მჩვევია, პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს, მკაცრიც ვარ და რბილიც... ჩვეულებრივი, ისე როგორც სხვები, ვაზროვნებ, ვფიქრობ... მიყვარს... განვიცდი...

— რა გეიმედებათ?

— ხვალინდელი დღე. იგი გაცილებით უკეთესი იქნება, რადგანაც სულით არასოდეს დაეცემულვართ, ჩვენი რჯული, კულტურა, დღემდე მოგვიტანია. კიდევ, მეიმედება მომავალი თაობა, რომელიც ბავშვობიდანვე ქრისტეს რჯულის ნაზიარებია და ხელეწიფება დასძლიოს ეკლიანი გზა.

— რას ისურვებდით სამომავლოდ?

— ქართველების ერთად ყოფნას, დღეგრძელობას, გამარჯვებას, ულევ სიხარულსა და სიყვარულს.

საქმისადმი სიყვარული, პრინციპულობა, მაღალი ზნეობა, — აი ის თვისებები, რაც ამ დიდებულ მანდილოსანს ახასიათებს. ალბათ ამ დიდბუნებოვნობის ბრალია ის, რომ მშვენიერ გოგონას,

დღემდე ვერ უპოვია პიროვნება, რომელიც ისეთივე ლამაზი და მაღალი იდეალების მატარებელი იქნება და მისი გულის დაპყრობას მოახერხებს.

წინ სიმართლის ძიების გზებია, უმწიკვლო მუშაობის, მოზარდის ბედზე დაუღალავი ზრუნვისა და თვალყურის დევნების გზები.

ირმა სიორიძეს ყველა თვისება გააჩნია, რომ ეს გზები სასახელოდ გაიაროს.

მე პოლიციელი ვარ და მეამაყება კიდეც



რეზო ღლონტი

ამ ოციოდე წლის წინათ, ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილების უფროსთან, გოდერძი ქურიძესთან, ერთი ტანწვრილი, თავქოჩორა, შავგვრემანი ჭაბუკი მიეიდა, მორიდებით მიესალმა და განცხადება გაუწოდა. მასში რამდენიმე სიტყვა ეწერა — გთხოვთ მიმიღოთ მილიციაში სამუშაოდ.

შეათვალიერა მაიორმა ყმაწვილი, ვინაობა გამოკითხა, მოეწონა. მკვირცხლიც ჩანდა და თავდაჭერილიც. ბიჭის მამას ხუთი წელი სამამულო ომში უბრძოლია, შვილსაც სამშობლოსადმი სიყვარული გამოჰყოლია.

მილიციის უფროსმა განცხადებაზე თანდართული საბუთები გადაფურცლა, სამხედრო ნაწილის კომკავშირის კომიტეტის მიცემული დახასიათება წაიკითხა: „რევაზ დიმიტრის ძე ღლონტი კომკავშირის რიგებში ირიცხება 1983 წლიდან. იგი კომკავშირის ნამდვილი წევრია, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში, ყოველდღიურად იმაღლებს პოლიტიკური ცოდნის დონეს, არის საბრძოლო მომზადების ფრიადოსანი. ძალ-ღონეს არ იშურებს შინაგანი ჯარის წინაშე დასახული მიზნების შესასრულებლად“.

— კარგი ყმაწვილი ყოფილხარ! — უთხრა მაიორმა.

რეზო ღლონტი მილიციაში მიიღეს და მალე დაამტკიცა, რომ იმ ნდობას რაც მისდამი გამოიჩინეს, არ უღალატებდა.

ურეკში ცა ხშირად იღრუბლება, მაგრამ როცა გამოიდარებს, ზღვის სილურჯე, სანაპიროზე გაშენებულ ყვავილნართა მრავალფეროვნება ისე ლაღად, ისე თვალის საამებლად იშლება, აქ გატარებულ დარიან დღეს, სხვაგან ყოფნის თვეებს ამჯობინებენ.

გამოდიან საცურაო კოსტუმიანი გოგო-ბიჭები, ქალები და მამაკაცები, ზოგი ნაყინს შეექცევა, ზოგი ჩრდილში ჭადრაკს თამაშობს. ერთნი წითელ ბურთს ათამაშებენ, მეორენი ტალღებზე შიშველ მკლავებს აღგაფუნებენ, ნებიერობენ...

სანებიეროდ არა სცალია რეკას ღლონტს, რომელსაც ყველა მისი კოლეგა და არა მარტო კოლეგები, არამედ მოსახლეობაც, „ჩაფარად“ იცნობენ. „ჩაფარა“ მას მეგობრებმა ქართული მხატვრული ფილმის „დარიკოს“ ნახვის შემდეგ შეარქვეს, ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში უანდარმები ჩხუბობენ, პარუნიკები (ოფიცრები) აშველებენ. რეკასი არც დაფიქრებულა ისე მიმართა თავის ოფიცერ კოლეგებს, ჩვენ ჩაფრები ვიქნებით, თქვენ კი პორუნიკებიო. და ეს ჩვენი „ჩაფარა“ უკვე 23 წელზე მეტია, შინაგან საქმეთა ორგანოებშია. სხვადასხვა დროს მუშაობდა, ლანჩხუთის რაიონში მორიგის თანაშემწედ, კინოლოგად. 2006 წლის თებერვლიდან ურეკის განყოფილებაში უბნის უმცროსი ინსპექტორია. ცოლ-შვილი მას არ აწუხებს. როგორც მეგობრები ამბობენ მისთვის პოლიციაა ყველაფერი. სახლში მარტო ცხოვრობს, თუმცა იქ იშვიათად დადის. საკურორტო სეზონში იგი სულ პლაჟის ტერიტორიაზე მოძრაობს.

იმ დღესაც, ურეკში სასტუმრო „მთის ბროლის“ ტერიტორიიდან ორმა ახალგაზრდამ მიიპყრო მისი ყურადღება. რეზომ მათი სახელებიცა და გვარებიც გაიგო. დააკვირდა. რატომღაც მათი ყოფაქცევა არ მოეწონა. დამსვენებელი, დამსვენებელია, გაელა-გამოელის მკაცრი რეჟიმი არა აქვს. რაც მოეხასიათება იმას აკეთებს. საითაც გული გაუწევს იქეთ წავა. მაგრამ დიდხელჩანთიან ქალებს რატომ გახედავს ხოლმე, რატომ მიუახლოვდებიან და თითქმის წყალწმინდის ტერიტორიამდე აცილებენ? პლაჟზე დატოვებულ მოცურავეთა ტანსაცმელს რატომ მისჩერებიან მუშტრის თვალით?

ახალგაზრდა, ხორბლისფერთმიანმა ქალმა ოქროს სამაჯური მოიხსნა, რძისფერ ხელჩანთაში შეინახა და სანაპიროზე დადო ლურჯი ატლასის ქოლგასთან ერთად. შემდეგ კაბა გაიხადა. მასთან ერთად მოსული მამაკაცი არ ჩქარობდა, ფეხსაცმელები გაიხადა, ტანსაცმელი ქოლგასთან ერთად დააწყო, იქვე ქალის ხელჩანთა გახსნა, შიგ მობილური ტელეფონი ჩადო და ზღვაში მაშინ ჩადგა ფეხი, როცა ქალი კარგა მანძილით იყო დაშორებული.

— დამედევნე, თუ დამეწევი! — გამოსძახა ქალმა.

ახალგაზრდა ბიჭი კისრისტეხით გადაეშვა წყალში და მხარული მოუსვა. იმ ბიჭებმა კი, რომელსაც რეზო აკვირდებოდა, ქალის რძისფერი ხელსახთა ისე აიღეს, რომ გარდა პოლიციის მუშაკისა, არავის დაუნახავს.

ოცოდე მეტრიც არ ჰქონდათ გაელილი, რომ რეზო იქვე გაჩნდა და თავზე დააცხრა. ორთავეს ერთდროულად შეუბორკა ხელები და ცხელ ქვიშაზე გააკრა.

— არ გაინძრეთ!

შეგროვდა ხალხი.

— რა მოხდა? — ეკითხება ლურჯსათვალებიანი, ქალურად თმაშეკრეჭილი, საყურეებიანი ყმაწვილი პიჟამოში გამოწყობილ ხანშიშესულ მამაკაცს.

— რა ვიცი ქვე შენი ჭირიმე, არწივივით კი დააცხრა თავზე ამ ბიჭებს პოლიციელი და...

ზღვიდან გამოსულ ქალსა და მამაკაცს, ტრუსებიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ.

— ეს ხელჩანთა თქვენია? — შეეკითხ რევაზი ქალს.

— დიახ, ეს ხელჩანთა ჩემია, — უპასუხა მან და თან ხელი გაუწოდა გამოსართმევად.

— მომეხმარეთ, ეს ქურდები არ გამექცნენ! — მიმართა დაზარალებულ მამაკაცს რევაზმა და სთხოვა, მოწმეებთან ერთად, განყოფილებაში გაპყოლოდა ოქმზე ხელის მოსაწერად.

მხოლოდ ახლა გაიგო პიჟამოიანმა მამაკაცმა, თუ რატომ „დააცხრა თავს არწივივით“ იმ ბიჭებს პოლიციის მუშაკი.

— რევაზ, რა მოხდა, თითქოს მეწყერი წამოვიდაო, ისე, რომ მოგვეება ეს ხალხი? — შეეკითხა ერთი ნაცნობი.

— მერე გეტყვი ყველაფერს.

პლაჟზე ქურდების შეპყრობას, რა თქმა უნდა, მოხერხებულობა, მიხვედრა, სიფხიზლე და სისწრაფე სჭირდება, მაგრამ არის ისეთი დანაშაულობანი, რომელთა გახსნა, ზემოთ აღნიშნულ თვისებებთან ერთად, განსაკუთრებულ სიმარჯვეს და სასრიანობას მოითხოვს, ღრმად შენიღბულ დანაშაულთან და საშიშ დამნაშავესთან ბრძოლა ძალზე ძნელია.

ორი წელიც არ იყო გასული მისი მილიციაში მუშაობის დაწყების დღიდან, რომ რევაზ ღლონტმა ორი ღრმად შენიღბული სისხლის სამართლის დანაშაული გახსნა და დამნაშავეც შეიპყრო, ღირსეული ქებაც დაიმსახურა და მილიციის უფროსის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა.

მილიციის ზემდეგმა რევაზ ღლონტმა, მალე ისახელა თავი, როგორც ინიციატიანმა და თავდადებულმა მუშაკმა. შინაგან

საქმეთა მინისტრის ბრძანებით მას გამოეცხადა მადლობა პირადი ინიციტიეის გამოჩენისათეის, რის შედეგადაც, მის მიერ, დავით ციცვიძესთან ერთად, ქ. ბათუმში შეპყრობილ იქნა განსაკუთრებით საშიში სისხლის სამართლის დამნაშავე ვინმე კობა იმნაიშვილი, რომელზედაც პოლიციის მუშაკის მკვლელობისათვის საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული.

რეზო ღლონტი მართლაც და სანიმუშო პოლიციელია, ამაყობს ამით და ვინც პირველად მილიციის მუშაკის თანამდებობას უბნის რწმუნებული დაარქვა, ალბათ ამ სახელწოდებაში გულისხმობდა: ერწმუნეთო, ეს კაცი ოქვენს უბანში ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი პიროვნებაა და მის მოქმედებას ენდეთო და რადგან მისი მოქმედება უბნის სახელს ატარებს, იმ უბნის ადამიანთა ურთიერთობისა და საქმიანობის ათას სფეროს უნდა მოიცავდეს.

ამიტომაა, რომ უბნის რწმუნებულად ყველას ვერ დააყენებ.

რევაზს ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს პოლიციაში. მათ შორის ყველაზე საუკეთესო მეგობრად თელის თეიმურაზ მაისურაძეს, რომელიც მას სახითაც კი ჰგავს. ფაქტიურად ვერც გაარჩევ, თეიმურაზმა ჩემთან საუბარში ერთი კურიოზიც გაიხსენა: მე და „ჩაფარა“ ლანჩხუთში უნივერმაღის წინ შევხედით დედაჩემს, მე მას ეუთხარი, რა გაგიჭირდა ისეთი, ჩემი ძმა „ჩაფარა“ რომ გააშვილე მეთქი. „ჩაფარას“ შერცხვა და გაიქცა. მათ ძმობაზე ბევრს ლაპარაკობენ. ლანჩხუთის პოლიციში იმასაც იხსენებენ, სამაჩაბლოში მილიციის უფროსის ბრძანებით თეიმურაზი უნდა წასულიყო, მაგრამ იმ დღეს ძმის ქორწილთან დაკავშირებით თეიმურაზი აღგილზე არ იყო. მის ნაცვლად „ჩაფარა“ მორიგეობდა. იგი შევიდა უფროსთან და თეიმურაზის მაგივრად თვითონ წავიდა სამაჩაბლოში. ეს რომ გაიგო თეიმურაზმა, მეორე დღეს ისიც იქ გაემგზავრა. ფაქტიურად მათ არ შეუძლიათ ერთმანეთის გარეშე.

„ჩაფარასა“ და „მურეშას“ მეგობრობა დღესაც გრძელდება. ამჟამად ისინი ურეკის განყოფილებაში უბნის უმცროს ინსპექტორად მუშაობენ.

გოდერძი ქურიძე · არ შემცდარა, რევაზ ღლონტს მილიციაში გზა რომ დაულოცა.

დალოცვილი გზებით გევლოთ და მეგობრების სიყვარული და თანადგომა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ბატონო რევაზ!

სიკეთით განვლილი გზა

თეიმურაზ მაისურაძე

მილიციის ზემდეგმა თეიმურაზ
სურაძემ საგუშაგო სამსხური დაამთავ
იარაღი და საბრძოლო ვაზნები ჩააბ
განყოფილების მორიგეს და შინისა
გასწია.

თეიმურაზს მეტად პასუხსაგები
ექტი აბარია. უფროსები მარტო იმიტ
კი არ ენდობიან, რომ შინაგან ჯარ
სამსახური – მილიციაში 23 წელია მ
ობს და ამ ხნის მანძილზე სამსახუ
ესდება ოდნავადაც არ დაურღვე
თეიმურაზმა მხოლოდ საშუალო სკო
დაამთავრა, მაგრამ სამხედრო სამსახ
ეიც და მილიციის საგუშაგოზეც იმდ
მეხერხებულობა გამოამჟღავნა, ბ
შეშურდებოდა. სულ რამდენიმე წ
წადში კარგი მუშაობისათვის, ოცა
წახალისება მიიღო, გარდა ამისა, დაჯილდოებულია მედლ
„უმწიკვლო სამსახურისათვის“.

მილიციაში 1985 წელს მოვიდა. გუშინდელივით ახსოვს
დღე, ცხოვრებაში ახალ ნაბიჯს რომ დგამდა. ბუნებით მშვ
და კაცთმოყვარეს შფოთისთავების, ქურდების, მძარცველ
მკვლელებისა და ყაჩაღების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. რამდ
რამ შეიცვალა ამ პერიოდში, ქალაქი ერთიორად გაიზარ
ამინდი კი ისეთივეა, როგორიც იმ დღეს.

ადვილი როდია მთელი ოცდაოთხი საათი მილიციის
უშაგოზე დგომა. დაიღალა თეიმურაზი, მაგრამ სამსახური
სახლამდე გამართულად, მხნედ მიდიოდა, თითქოს ახ
ძალღონემოკრებილს საქმეზე მიეჩქარებოდა. მილიციის სამხრ
ავალებს, რაც არ უნდა დაღლილი იყოს, ხალხს დაქანცული
დაძაბუნებული ვერ ეჩვენება.

სახლში რომ მივიდა დაღლა მაშინ უფრო იგრძნო.. ისადი
ჩექმები გაიხადა, დივანზე წამოწვა. ჩასთვლიმა.

უცებ ფანჯარაში ვიღაცის ყვირილი შემოესმა:

– დაიჭირეთ!

– არ გაუშვათ!

– ქურდია!

– ყაჩაღია, დაიჭირეთ!

თეიმურაზი ზეწამოიჭრა, მყისვე ჩექმები ჩაიცვა და გარეთ გაეარდა.

ქუჩაში, სულ ახლოს, ხელში დანამომარჯვებული ბიჭი მორბოდა. ხალხი მოსახვევში მიმოფანტულიყო. ყველა ყვიროდა, დაიჭირეთო, მაგრამ გადევნებას ან მის დახვედრას ვერავინ ბედავდა. ფიქრის დრო აღარ იყო. უიარაღო კაცი იარაღიანს უნდა შებმოდა.

ასეც მოიქცა, ეროი ნახტომით მიეჭრა მძარცველს და ქვეშ მოიქცია. დანა ხელიდან გააგდებინა, დამნაშავეს ადგომის საშუალება არ მისცა, ვიდრე მილიციის მუშაკები არ მიეშველებოდნენ. შეპყრობილი დამნაშავე საშინი ბოროტმოქმედი, მძიმე დანაშაულისათვის საკავშირო ძებნაში მყოფი ესტონიანი აღმოჩნდა, რომელმაც ეს-ესაა ახალგაზრდა ბიჭს მობილური ტელეფონი წაართვა. მაგრამ მამაცი პოლიციელის გამბედაობამ, ამჯერად საშუალება არ მისცა დამალულიყო. ნაძარცვი დაზარალებულს დაუბრუნა, დამნაშავე კი იქ მიიყვანა, სადაც ჯერ არს.

თებერვლის სუსხიანი დღე იყო. ქარი გაშიშვლებული ჭადრების ტოტებს ერთმანეთს ახლიდა და თოვლის ფანტელების ისეთ ზუზუნს გადმოსცემდა, თითქოს სულ ახლოს სკა აიყარაო. ციოდა.

საშუალო ტანის, ჩაფსკენილმა მამაკაცმა მილიციის განყოფილების შესასვლელთან ფეხები დააბაკუნა თოვლის ჩამოსაბერტყად და წუთით შედგა.

განყოფილების მორიგე წარუდგა და მხედრულად მიესალმა.

— ნახეთ ვინაა განყოფილებაში ოპერატიული მუშაკებიდან და უხმეთ ჩემთან! — უბრძანა უფროსმა და კიბეს აუყვა.

კაბინეტში ოფიცრებმა მოიყარეს თავი. ერთმანეთს გადახედეს. ამ დროს მილიციის უფროსს თათბირი არასოდეს მოუწყვია და რატომ დაგვიძახაო, უკვირდათ. სამუშაო საათები კარგა ხანია დამთავრდა და საღამოს შემოვლამდეც საკმაო დრო იყო დარჩენილი.

— იქნებ დასასვენებლად აპირებდით წასვლას, — დაიწყო მილიციის მაიორმა და კედელზე ჩამოკიდებულ რაიონის რუკასთან მიეიდა, — მაგრამ მოგვიხდება გადაუდებელი ოპერაციის ჩატარება. გთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ, ყველაფერი ავწონდავწონოთ და მერე ვიმოქმედოთ.

მილიციის უფროსმა ოპერატიულ მუშაკებს გააცნო მიღებული ინფორმაცია, რამდენიმე დღის უკან, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მომხდარ გოგუაძის მკვლელის, ვინმე ლომთათიძის ადგილსმყოფელთან დაკავშირებით. წამოაყენა წინადადება, შემოსული ოპერატიული ინფორმაციიდან გამომდინარე სამივე მისამართის ერთდროულად შემოწმების შესახებ. თუ როგორ უფრო

მოსახერხებელი იქნებოდა მისი შეპყრობა. მთელი ნახევარი საათი ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უნდა ემარჯვეთ, რომ ოპერაციის ჩატარების დროს დამნაშავე ხელიდან არ დასხლტომოდათ.

ერთ-ეროი რეალური ინფორმაციის გადამოწმება დაავალეს თეიმურაზ მაისურაძეს. ინფორმაციის თანახმად მკვლელი ლომთათიძე ხშირად დადიოდა ქ.ბათუმში თავისი მეგობრის რესტორანში.

თეიმურაზმა ადგილობრივი მუშაკების დახმარებით დაადგინა, თუ რომელი რესტორანი ეკუთვნოდა ლომთათიძის ძმაკაცს, დანარჩენი კი მის ოპერატიულობასა და საზრიან მოქმედებაზე იყო დამოკიდებული.

შეუმჩნეველად შეეიდა რესტორანში, ერთ-ერთ მაგიდასთან რომ მივიდა, მოწყვეტით უკან შემოტრიალდა და ახალგაზრდას, რომელიც ლუდს მიირთმევდა, პისტოლეტი მიუშვირა:

— ასწიე ხელები, თორემ გაგათავებ! — ნელი ხმით უთხრა მან მკვლელს. — გარეთ ჩემი ამხანაგები ღგანან, წინააღმდეგობა ძვირად დაგიჯდება!

ხელებაწეული ბანდიტი წინ გამოიგდო, გასასვლელ კარებს მიუახლოვდნენ, შარვლის მარჯვენა ჯიბიდან კნოპკიანი დანა ამოაცალა. ამ დროს, გარეწარი შეეცადა, მილიციის მუშაკისათვის ფეხი ამოერტყა და გაქცეულიყო. მოქნეულ ფეხს თეიმურაზმა ხელი აუკრა და მკვლელი ლომთათიძე, რომელსაც მეტსახელად „ნაპალეონს“ ეძახდნენ და შაე სამყაროში მიღებული პირი იყო, ადრე მკვლელობის მცდელობისათვის ისდიდა სასჯელს და გაქცევაც მოახერხა, ცხვირ-პირით ტროტუარზე დაემხო. მერე მთელი ტანის სიმძიმით გაიწია, ფეხი გაითავისუფლა და, როცა კიბის საფეხურიდან დანაშემართული აპირებდა შემობრუნებას, დასახმარებლად გამოძახებული ბათუმის პოლიციის სამმართველოს მუშაკები დაადგნენ თავს, ხელი მოუგრიხეს და შებოჭეს.

სიკეთე და სიყვარული თეიმურაზის ცხოვრების კრედოა. იგი ყველასათვის გაჭირვების ტალკვესია. ყოველთვის მზადაა გამოგიწოდოს დასმარების ხელი. მას არ სჭირდება თხოვნა და მუდარა. იგი თვითონ გრძნობს სხვის გასაჭირს. ამის ნათელი მაგალითია 1991 წლის იანვრის· თვეში, სამაჩაბლოში თავისი კოლეგის გადასარჩენად თავგანწირვა. აბა რა უნდა ეწოდოს იმ მოქმედებას, რაც მან ჩაიდინა. თითქმის ყველა წინააღმდეგი იყო ქალაქში შესვლისა. მძღოლს შეეშინდა და უარი განაცხადა. მაშინ თეიმურაზი თვითონ დაჯდა საჭესთან. გვერდით დაუჯდა თამაზ კუნჭულია. არ უშვებდნენ, სროლები იყო. რადგან ბიჭები დახმარებას ითხოვდნენ, მან მაინც გაბედა და დამხმარე ჯგუფით შეეიდა ქალაქში. წინ მიდიოდა „ბეტეერი“, მაგრამ, იგი სამ-

წუხარეთ, უკან გამობრუნდა. ასე იხსნა მან რამდენიმე მებრძოლის სიცოცხლე.

„მე რომ მართლა და ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენ, –ამბობს ერთი მეცნიერი –მადლის მოედანი და სარბიელიც ეს არის. რაც ყველა კაცს არ მოეკითხება. ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ ყოველი ნაბიჯი ღვაწლია და მსხვერპლია, და რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია, განმსჭვალავია გაოცებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი გრძნობს, თუმცა ვერ ხედავს“.

თეიმურაზ მაისურაძე კი დამსახურებულად დგას იმ ადამიანთა რიგებში, ვინც მზესავით უშურველად არიგებს თავისი გულის სითბოსა და მადლს, სხვათა და სხვათა ბედნიერებისათვის.

გაიცანით: მზიანი გულის და-ძმები

რედი დვალი

– „გიყვარდეს მოყვასი შენი!“ – ეს ბიბლიური შეგონება გემოძღვრავს და გვასწავლის, თუ როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყნად, რომ სიკეთე თესო, საყოველთაო სიყვარული მოიხვეჭო. ამ შეგონებით ცხოვრობენ ნატანებელი და-ძმები, რედი, ზაზა და ზეზვა დვალები.

ორი ძმა და მათი საფიცარი ერთი და, ერთი ოჯახის სამივე წევრი, ერთ დანაყოფში მუშაობს და მართლწესრიგის სადარაჯოზე იღვწის.

გულით შეიყვარეს თავიანთი პროფესიები და ერთგულად ემსახურებიან ამ კეთილშობილურ და მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, დამსახურებულად სარგებლობენ საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით.

მინდა ვაღიარო, რომ ნამდვილად პირველად მომეცა შესაძლებლობა ნარკვევი დამეწერა მათ შესახებ. ჩემი ვიზიტის მისამართი ურეკის პოლიციის განყოფილება გახლავთ. რესპოდენტის როლში კი, უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები რედი, ზაზა და ზეზვა დვალები არიან.

— სამი პოლიციელი ერთი ოჯახისთვის ბევრი ხომ არ არის?

ამ შეკითხვით დავიწყე მე საუბარი, როგორც კი და— ძმები ერთად „დავიჭირე“.

არ ვიცი ვინ და რიგორ, მე კი ადამიანთან პირველი შეხვედრის დროს მიღებულ შთაბეჭდილებას არასდროს ვცვლი. ორი ძმა და ერთი და, ერთ კაბინეტში... ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულად მომეჩვენენ. გინდ გარეგნობით, გინდ ხასიათით. ზაზა სერიოზული და თავშეკავებულია, ზეზვა კი, უმცროსი ძმის ტიტულით, ღიმილის ბიჭი გახლავთ, მასთან საუბარი ღიმილით დაიწყო და ღიმილით დასრულდა.

ზაზა დვალი

— ისე მართლაც ძალიან ბევრია, — ხანმოკლე პაუზის შემდეგ ბრძანა სიტყვაძუნწმა ზაზამ, — მითუმეტეს ერთ მორიგე ჯგუფში ვიმყოფებით და სახლში პრაქტიკულად ერთმანეთს ვერ ვხდებით. საბედნიეროდ, ჩვენს დას პატარა შეღავათები აქვს ამ მხრივ.

— ზეზვა, — კვლავ ღიმილით განვაგრძე მე, — უფროსი ძმა თუ გჩაგრავს?

— ჩვენ მუდამ ნამდვილი ძმობა გვაკავშირებს. თუ ჩხუბი იყო ერთად ვჩხუბობდით, მაგრამ ერთმენეთში არასოდეს გვიჩხუბია. დაცვაში ჩვენ ერთმანეთს ვუფრთხილდებით და ამ დეეიზს არასოდეს ვღალატობთ (საუბარში ერთვება უფროსი ძმა ზაზა).

— მე 8 წლით ვარ უფროსი, რაც თავი მახსოვს სულ უფროსი ძმა ვიყავი. საბავშვო ბაღში თუ სკოლაში მე დამყავდა, პატრულის კურსებსეც მე წავიყვანე. ყოველთვის დიდი სიხარულით მომყვებოდა. დღეს ერთად ვმუშაობთ და კვლავ უფროსის სტატუსს ვასრულებ.

— ზეზვა, იქნებ განგვიმარტო, როგორი ძმაა ზაზა დვალი?

— როგორც უფროსს შეეფერება, მკაცრი და მომთხოვნია. თუმცა მე ვთვლი, რომ ეს ორი თვისება აუცილებელია პოლციელისათვის.

— რამდენად ლოიალურია საკუთარი ძმის მიმართ?

— დავიწყოთ იქედან. რომ მე არ ვაძლევ მას საყვედურის თქმის უფლებას. ყველაზე ნაკლებად მახსოვს, რომ უფროსი ძმა ვარ, არ მეთანხმებით? წეღან პატრულის კურსები ვახსენე. უფრო ზუსტად საპატრულო სამსახურში მიღების მიზნით შესაბამისი გასაუბრება მქონდა მხედველობაში. ჩემმა ძმამ, ჯერ იყო და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან არსებული რიგით და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის ერთწლიანი კურსების

გაელის შემდეგ, სუფსის ქეგანყოფილებაში დაიწყო რიგითად მუშაობა. შემდეგ პოლიციის აკადემია დაამთავრა. 2004 წელს განხორციელებულ რეფორმებისას იგი შემცირებაში მოჰყვა. ცოტა არ იყოს, გულნატკენი იყო. არ აპირებდა პოლიციაში დაბრუნებას, მაგრამ მშობლების რჩევის შემდეგ დავითანხმეთ საბუთები შეეგროვებინა და გასულიყო გასაუბრებაზე. მამაჩემმა მთხოვა მეც გაეყოლოდი თბილისში, რათა გზიდან არ მობრუნებულიყო. მეც იურიდიული განათლება მქონდა მიღებული და ეიფიქრე ჩემს ძმასთან ერთად მეც გავალ, მეთქი გასაუბრებაზე. ფაქტიურად გასაუბრებაში მონაწილეობდა 9545 პირი –აქედან დადებითი შეფასება მიიღო 750-მა. მათ შორის მოვხვედით ჩვენც. ასე მოვედით პოლიციაში მე და ჩემი ძმა 6 თვის დასკვნების შემდეგ მეორედ.

ზუზუა ლეკალი

– ქალბატონო რედი, თქვენ პოლიციაში 10 წელზე მეტია მუშაობთ, ზუზეა-9, ზაზა კი-4 წელი. ეს არც თუ ისე ცოტა დროა, სერიოზული პერიოდია. როგორ შეაფასებდით ამ წლებს?

– პოლიციაში ჩვენ კეთილშობილურ საქმეს ვაკეთებთ. დამნაშავეთა სამყაროს ეჭვიც არ უნდა შეეპაროს პოლიციის სიძლიერეში. კრიმინალებთან დაუნდობელი ბრძოლა – აი რა სჭირდება დღეს საქართველოს, და ჩვენ მას უკომპომისოდ ვასრულებთ.

– ეცადეთ ამ უკომპრომისო ბრძოლაში თქვენს დას, რომელიც ერთი პერიოდი სამძებროშიც მუშაობდა „სამძებროს ვირუსი“ არ შეეყაროს. – თუ ოპერმა ოჯახი პოლიციაში მოსვლამდე არ შექმნა, აქ ამას ვერ მოახერხებს.

– მართალი ბრძანდებით, – სერიოზულად დამეთანხმა ზაზა, – რედის პაემანებისათვის და რომანებისათვის ნამდვილად არ სცალია. მაგრამ ერთი პლუსია – ჩვენი რედი... ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს მამაკაცებში. იმედია იგი დიდი ხანი დაუოჯახებელი არ დარჩება.

– მე კი ჩემს ნამდვილ სიყვარულს ველოდები. (ეს არასაგაზეთოდ) – აღნიშნა რედიმ.

– როგორ შეეგუა დედათქვენი, რომ სამივე შვილი პოლიციაში მუშაობს?

– თავიდან აკადემიის, ინსტიტუტის სტუდენტები, რომ ვიყავით, ჩვენით ძალიან ამაყობდა, შემდეგ ჩვენს მორიგეობაზე თვითონაც

ათენებდა ღამეებს და ალბათ ჩვენს არჩევანზეც ნანობდა, ღღეს კი' უკვე შეეჩვია.

— ურეკის პოლიციის განყოფილების თანამშრომელთა საშუალო ასაკი 30 წელია, რედი მათ შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე სტაჟიანია, სწორედ მან დაიწყო პირველმა პოლიციაში მუშაობა. მას ღღესაც კარგად ახსოვს ის ატმოსფერო, რაც დახვდა პრაქტიკის გასავლელად ოსურგეთის პოლიციაში მოსულ ახალგაზრდა გოგონას. 1995 წლის აპრილის თვეში თელავის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ იგი პრაქტიკის გასავლელად გამოაგზავნა ოსურგეთის პოლიციაში. შესაბამისი მომართვის საფუძველზე იგი გამოცხადდა საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში. დაბნეული იყო, არ იცოდა სად მისულიყო, როგორ შემხვდებიან, რას მეტყვიანო, ამაზე ფიქრობდა, რომ ამ დროს გამოჩნდა საშუალოზე ოდნავ მაღალი მამაკაცი, ხელში ფინჯანი ყავით, გაჩერდა ერთ-ერთ ოთახთან, გააღო კარები, შევიდა კაბინეტში, ხოლო კარები დატოვა ღიად. გაბედა, შევიდა კაბინეტში. „უკაცრავად თქვენთან გამომაგზავნეს". მან გაოცებით შეხედა ქალიშვილს, ხელში ქაღალდები რომ დაუნახა, იფიქრა დაზარალებულიაო. რედიმ კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ თქვენთან გამომაგზავნეს. რა საკითხთან დაკავშირებითო. ჰკითხა საგამოძიებოს უფროსმა. პრაქტიკა უნდა გავიარო თქვენთანო. გაეღიმა ძალიან სასიამოვნოაო, შემდეგ გამოკითხა თუ სადაური იყო. თითქმის სამი თვე დაჰყო პრაქტიკაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გამომძიებლის თანაშემწედ ი. გოგოტიშვილთან, რომელიც იყო მეხი დამრიგებელი, აღმზრდელი და პედაგოგი. 1997 წლის ოქტომბრის თვეში კი რედი ინიშნება ოსურგეთის შს რაიონული განყოფილების მოკვლევის სამსახურში— მომკვლევად. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტად დაამახსოვრდა ის, რომ სამსახურში დახვდა ძველი, რამოდენიმე წლის წინანდელი 30 დაუსრულებელი სისხლის სამართლის საქმე. დანიშვნიდან ერთ თვეში, დაიბარა მაშინდელმა პროკურორმა და უთხრა: აღნიშნულ საქმეებს ერთ კვირაში თუ ვერ დაამთავრებ, წახვალ სახლშიო. იმ პერიოდში ქსეროქსი არ იყო. არადა რამდენიმე საქმე გამოსაყოფი იყო. ღამეებს 10 ღღის განმავლობაში ათენებდა, რომ დაესრულებინა საქმეები.

— მეათე ღღეს ჩავაბარე 30 სისხლის სამართლის საქმე დასრულებულ მდგომარეობაში. ცუდია როცა პირველ ნაბიჯებს დგამ სამსახურში, და ასეთ გამოცდას გიწყობენ, იმის ნაცვლად, რომ დაგეხმარონ და ხელი შეგიწყონ, მაგრამ „ზოგი ჭირი

მარგებელიაო“, მოკლეევის სამსახურმა უფრო კარგად შემასწაელა ალბათ მაშინდელი გამოძიება.

ნაწყვეტი 2004 წლის 24 აპრილის გაზეთ ალიონში გამოქვეყნებულ ნინელი კალანდაძის წერილიდან „აი, ასეთი პოლიციელი ქალები გვჭირდება!“

„შინაგან საქმეთა სამინისტროში თათბირზე გამოგვიძახეს ახალ მინისტრთან შესახვედრად. –იგონებს რედი: –ბატონმა გიორგი ბარამიძემ მოგვილოცა ქალთა დღე. როცა დაჯილდოების ჯერი დადგა და ჩემი სახელი და გვარი ამოიკითხა, გულწრფელად ვამბობ, ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის ღირსების მედლით დაჯილდოება, რომელიც მინისტრმა გადმომცა“.

გურიის შს სამხარეო სამმართველოს უფროსის მაშინდელი მოადგილე, ლაკვარდი ბოლქვაძე: „როცა რედი დავალსე საუბრობ ადამიანი, საჭიროა დაფიქრება, რომ ზუსტად ილაპარაკო, არც ერთი დეტალი, მნიშვნელოვანი საგულისხმო ფაქტი არ გამოგრჩეს მისი საქმიანობიდან. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ აი, უკვე 40 წელია პოლიციაში ვმუშაობ და მისი მსგავსი თანამშრომელი ი'შვიათად შემხვედრია. პირველ რიგში ის უნდა ვთქვა, რომ შესანიშნავი ადამიანია, მრავალი ღირსების მქონე პიროვნებაა, რაც პირველ რიგში ოჯახური აღზრდის "ბრალია!" იყო პოლიციელი, ნიშნავს გიყვარდეს სამშობლო და ადამიანი, გაიზიარო მისი ტკივილი და საწუხარი. რედი პედაგოგის ოჯახში აღიზარდა და ეს არის საფუძველთა საფუძველი მისი ადამიანობისა. მართალია მას საოცრად რბილი ხასითი აქვს, მაგრამ ამასთანავე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მკაცრი და პრინციპულია. სწორედ ასეთი პოლიციელი ქალები გვჭირდება“.

რაიონის მაშინდელი გამგებლის მთავარი მრჩეველი, გოგი ქილიფთარი: „რედი? საოცრად ნაზი და თბილი გოგოა. იგი კარგი იურისტია. რამდენიმე წლის წინ, როცა მონაცემებს ვიღებდი, გამიკვირდა 41 საქმე იყო საფუძვლიანად მოკვლეული. ვიკითხე ეს ვინ გააკეთა მეთქი. მითხრეს აქ ერთი გოგონა მუშაობს რედი დვალი და იმან გააკეთაო, გავეოცდი, რამდენიმე კაცი ვერ გააკეთებდა ამდენს ასე მოკლე დროში. ნამდვილად დამსახურებულად მიიღო ეს ჯილდო ჩემმა უმცროსმა მეგობარმა და კოლეგამ, მჯერა იგი კვლავ წარმატებით გააგრძელებს თავის საქმიანობას“.

– რას გრძნობს ახალგაზრდა პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევს თავის თანატოლს?

— დანაშაული უნდა მოინანიო. დამნაშავის შეცოდებას კი რაც შეეხება, მასთან შეხვედრამდე ჩვენ დაზარალებულთან შეხვედრა გვიწევს. ის, რაც ოჯახმა წლების მანძილზე შეაგროვა, ეულად ნაძირალამ გაიტანა და გააქრო. ამ შემთხვევაში ჩვენ ჩვენს მისიას ვასრულებთ, ვებრძვით დანაშაულს და ჩვენს სამსახურში გრძნობების ღრმად, გულში დამალვას ვცდილობთ.

— ოპერატიული სამსახური, გამოძიება ყველა ახალგაზრდა პოლიციელის ოცნებაა. თქვენ რას ანიჭებთ უპირატესობას ოპერაციის შეფასებაში?

— „ნაპარნიკი“ უნდა გყავდეს ეროგული. ის, ვინც შენს გვერდითაა, ყველანაირად უნდა გიგებდეს და სწორედ მაშინაა ნებისმიერ საქმეზე მომუშავე თანამშრომელთა ჯგუფი ძლიერი.

— ზეზვა არის ასეთი „ნაპარნიკი?“

— დიახ... მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს განყოფილებაში მხოლოდ მაგარი ბიჭები მუშაობენ. დამნაშავეების წინააღმდეგ ერთად დარაზმულად ვიბრძვით.

ამ კეთილი ხალხის იმედიანი სიტყვით ხარობენ ურეკის პოლიციის განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებნი, ოპტიმისტურად შეჰყურებენ მომავალს, სჯერათ, რომ მშვიდობიან, დამოუკიდებელ, აყვავებულ, ძლიერ საქართველოზე ოცნება სინამდვილედ იქცევა.

ერთმა უკურთხოს მარჯვენა რედი, ზაზა და ზეზვა ლეკალებს. ისინი ხომ წლების მანძილზე ქარგავენ თავიანთი ცხოვრების ლამაზ ისტორიას.

ამაზე დიდი სიკეთე რა უნდა იყოს, — აჩუქო ადამიანს სიხარული!

სამი პოლიციელი ერთი ოჯახიდან... კარგია არა? რა თქმა უნდა კარგია, გავიფიქრე, მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, შეაღამისას, განგაშის დროს ერთი ოჯახიდან იარაღასხმული სამი წევრის გასვლა. რას იზამ, პოლიცია ხომ მამაცთა საქმეა. პოლიციელი ხომ საზოგადოების შვილიცაა და მისი დამცველიც.

ბედნიერი დილა-საღამო ეუსურვოთ მზიანი გულის და-ძმებს.

„ლეკვი ლომისა სწორია“

მატრიარქატის ხანგრძლივ პერიოდზე რომ არაფერი ვოქვათ, ქალი ყველა მომდევნო ეპოქაშიაც ხახოგალიებრივ ჟოლიტიკური სიტუაციებისა და ინდივიდუალური ცხოვრების ნებისმიერი ხვეულის წამყვანი და გამაწონასწორებელი ფიგურა გახლავთ.

განსაკუთრებით საჭირო იყო მანდილოსნის ასეთი უნიკალური უნარჩვევა ისეთ დაძაბულ ვითარებაში მცხოვრები ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

გავიხსენოთ შუშანიკი, ქეთევან წამებული, მაია წენეთელი...

იგავმიუწვდომელი მეფეთ-მეფე თამარი გავიხსენოთ. მისი უახლოესი გარემოცვის ორ უბრწყინვალეს მანდილოსანთან: კრავეი ჯაყელთან და ხვაშაგ ცოქალთან ერთად, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ოთხათასწლიან ისტორიაში, მართლაც ეპრეცედენტო ფურცელი საწერეს. როცა სწორედ ქალური დიპლომატიის ყველაზე მადალსნეობრივი ფორმების გამოყენებით, ამათაკელისათვის გაშიშვლებული სმლები უსიტყვოდ საბაგებინეს და ქვეყნის სასიკეთო საქმეებისკენ შემოაბრუნეს ამბიციური ხუშტურებით თავგზაბნეულ თავადთა დიდი ჯგუფი.

საბჭარეო კოლიციის თანამშრომელი ქალები _

ხალხური პოეზიის ზოგადსაკაცობრიო შედეევრი „ეეფხვისა და მოემის“ ბალადის მთავარი გმირის დედა გავიხსენოთ, რომელიც მზად არის სამძიმარი გამოუცხადოს საკუთარი შვილის მკველელი ვეფხვის, მასავით შვილდაკარგულ დედას და ამაყობს კიდეც იმით, რომ ვეფხვთან მეომარი შვილის აღზრდა შესძლო.

ქართველი კაცის რაინდული დამოკიდებულება გავიხსენოთ ქალის მიმართ, რისი თვალსაჩინო მაგალითებითაც აღსავსეა ქართული ხალხური შემოქმედება თუ კლასიკური მწერლობა.

მარტო სულმნათი შოთა რუსთაველის გენიალური პოემის გმირთა მანდილოსნისადმი ეროგულება და თავდადება რად ღირს, რომლის ანალოგი ძალ'ზედ იშვიათად თუ მოიძებნება ალბათ ქალისა და მამაკაცის ამაღლებული სიყვარულის მთელს ზოგადსაკაცობრიო ისტორიაში.

სწორედ ქალის სიბრძნემ, ერთგულებამ, ამაღლებულმა სულმა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურმა როლმა შეგვაძლებინა 40 საუკუნის მანძილზე გვეტარებინა უზარმაზარი ველური იმპერიების გარემოცვაში მყოფი ერთი მუჭა ქართველი ხალხის უნიკალური ეთნოსი.

წინა ეპოქების ანალოგიურად, დღევანდელი უმწვავესი სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის პირობებშიაც, კიდევ ერთხელ გაცხადდა ქართველი ქალის უტეხი ნებისყოფა, გონიერება, ბრძოლა და მოთმინების უნარი.

როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის და ყველგან საჭირო იყო ქართველი მანდილოსნის ფაქიზი სული და მადლიანი ხელი. მაგრამ, გადაჭარბებაში არ ჩაგვეთვლება ალბათ, თუ ვიტყვით, რომ ქალის ყველა ზემოაღნიშნული ღვთითმომადლებული თვისება, დღევანდელ ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს სჭირდებათ ყველაზე მეტად.

მადლობა ღმერთს, ჩვენი პოლიციაც არ არის მოკლებული ამ დიდ სიკეთეს. წიგნში „წლები და ადამიანები“, სწორედ იმ მანდილოსნების შესახებ მოგითხრობთ ორიოდე სიტყვით, რომლებიც სამხარეო პოლიციის სისტემაში ეწვევიან მეტისმეტად მძიმე, მაგრამ ესოდენ საჭირო შრომას.

მათ ეს პროფესია აირჩიეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცის – პოლიციელობა ძალიან, ძალიან რთული საქმეა.

ქალბატონები, რომლებსაც ეს წერილი ეკუთვნის, ლამაზი სულის ადამიანები არიან. გარეგნულ სილამაზეს თუ შინაგანიც ემატება, მათზე ამბობენ – არაჩვეულებრივი ქალბატონიაო. ისინი სიკეთეს და სითბოს აფრქვევენ. გარშემომყოფ ადამიანებს გულის და სულის სილამაზეს ჩუქნიან. მათი სათნო და ნაზი გარეგნობის

მიღმა ძლიერი ბუნება იგრძნობა, ძლიერი პოლიციური ბუნება და... მიზანმიმართულობა.

გაეეცნოთ თითოეულ მათგანს, რათა ქალთა ღღესასწაულთან დაკავშირებით ეს მცირე წერილი სარეამარტო მოლოცვად და მოფერებად ჩაგვითვალონ.

საკანცელარიო საქმეებს ემსახურება და განაგებს – ორი უმშვენიერესი ქალბატონი – ლილი ჭანუყვაძე და ცარო იორდანიშვილი. კანცელარიის უფროსი ლილი ჭანუყვაძე – მუდამ საქმით დატვირთული და მოუცლელი, თანაც იმდენად, რომ მაშინაც კი წერს, როცა საუბრობს. ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელია და „დედა ტერეზაც“ დამსახურებულად შეარქვეს. მას ასევე ტოლს არ უდებს ქალბატონი ცარო, ლილის მარჯვენა ხელი. რას ვიზამთ, აქედან ხომ მთავარი არტერია გაედინება.

მისაღები განყოფილება – საქმეთა მწარმოებელი, ოპერატორი და სამდივნოს მშვენება, სამმართველოს სარკე და სახე – მშვენიერი ირინა სალგალოვა, რომელიც პატარა გურამიკოს სახით, მშვენიერ ვაჟკაცს უსრდის სამშობლოს.

ოპერატორები:

მშვენიერი სოფო გიგაშვილი, დილიდანვე რომ მიიჩქარიან მისი კაბინეტისაკენ–ჩემი პირველი დაბეჭდე, მე უფრო სასწრაფო საქმე მაქვსო. სოფოც ცდილობს ზუსტად ჩაეტიოს მათ „რეგლამენტში“. მას „ჩვენი სოფოთი“ მოიხსენიებენ. სოფოს კიდევ ერთი უპირატესობაც აქვს. სამიოდე თვეა რაც დედა გახდა, და საქართველოს, მისი შვილის სახით, კიდევ ერთით მეტი ქართველი ეყოლა. ეულოცავეთ სოფოს ამ დიდ ბედნიერებას. ოპერატორი – მანანა სიხარულიძე, რომელიც ცდილობს, ფართო საზოგადოებას გააცნოს პოლიციელთა ყოველდღიური, მუხლჩაუხრელი შრომისა და თავგანწირვის უბადლო მაგალითები.

კადრების განყოფილება – რომელსაც შეიძლება ასეც ეწოდოს –„გზა ცეცხლის ხაზზე“. და ამ ხაზზე მდგომი, ოთხი უმშვენიერესი ქალბატონი – ხათუნა ჭანუყვაძე – მთავარი მამოძრავებელი ძალა, სამსახურის სული და გული. ასევე საქმე'ზე უზომოდ შეყვარებული, დღიდან სამსახურის შექმნისა მუხლჩაუხრელ შრომაში ჩაბმული, ერთგული და უღალატო, ხათუნას მარჯვენა ხელი – ქალბატონი მანანა ბარამიძე. ასევე მშვენიერი ქალბატონი მაცაცო სალუქვაძე, რომელიც, არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ამ დიდ კოლექტივს შემოუერთდა, მაგრამ მშვენიერად აუღო ალღო ისეთ რთულ სამსახურს, რომელსაც კადრების განყოფილება ჰქვია. და პატარა მშვენიერი ქალბატონი ნათია ქუტიძე, რომელიც ამ დიდ და გამოცდილ ქალბატონებს ასევე მშვენიერად უწყობს ხმასაც და ცოდნასაც.

ბულალტერია – რომლის შემადგენლობას ამშენებს სამი მშენიერი ქალბატონი: ნინო კომახიძე, ლია სურგულაძე და ლია ჭანიშვილი, რომელთა მიმართ გადაჭარბებული ხელფასის მოახლოებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულად იზრდება, და რომლებიც თანამშრომლებს შორის „დედა-მარნენალის“ სტატუსით სარგებლობენ.

უბნის ინსპექტორთა სამსახურს წარმომადგენენ მშვენიერი ქალბატონები: ირმა სიორიძე, მაია ოთხმეზური, ინგა ჩხაიძე, ანტონინა გაფალოვა და გურანდა ხომერიკი. ქალბატონები, რომლებიც მიუხედავად სუსტი სქესისა, მეარად და ამაყად მოაბიჯებენ მამაკაცების გვერდით.

საექსპერტო განყოფილება – ორი უმშვენიერესი ქალბატონი – რუსუდან გიორგაძე და ნინო გოგოლაშვილი, სადაც, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს სდება თანამშრომლის გამოძახება და მიუხედავად სიორულისა თუ სიძნელისა, ისინიც მუდმივ მზადყოფნაში არიან და შესანიშნავად ართმევენ თავს, ამ რთულ მისიას.

პრესსამსახურის მშვენება, კორესპოდენტი, ჟურნალისტი, რედაქტორი, მძიმე წუთებში ფეხზე მდგომი, სამმართველოს ჭირისა და ლხინის გამზიარებელი – მშვენიერი ქალბატონი, მაიკო ორგაძე.

დამხმარე მოსამსახურე – ქალბატონი ანიკო რიჟამაძე, რომელიც მთელ თავის ენერგიას შეიძლება ითქვას, სამმართველოს „ამშვენება-დამშვენების“ საქმეს ახმარს, რასაც მშვენიერად არ-თმევს თავს.

შსს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს კანცელარიაში დღის ნებისმიერ დროს, როცა არ უნდა შეაღოთ აღნიშნული სამსახურის კარი, მუდამ ფუსფუსი და ხალხმრავლობაა. მეც ადრე დილით ვესტუმრე ამ მშვენიერ მანდილოსნებს და ვთხოვე რამდენიმე წუთი ჩემთვისაც დაეთმოთ. თან ისე, რომ თავიანთ საქმეზე არ მოცდენილიყვნენ. მინდა სათითაოდ გაგაცნოთ ისინი. მანანა სალუქვაძე – კანცელარიის უფროსი გახლავთ. მრავალი წელია რაც აქ მუშაობს და ბევრი კარგი საქმე უკეთებია. ბევრი კარგიც აქვს მოსაგონარი. არ არის ადვილი ამდენი ხანი უცვლელად იმუშაო ერთ ადგილზე, გამოიცვალო რამდენიმე ხელმძღვანელი და ყველასაგან ნდობა და მადლობა დაიმსახურო. მშვენიერი ქალბატონი, გულო ჭყონია – აღნიშნულ სამსახურში ოპერატორის ფუნქციას ასრულებს. შესაშური ენერგიის მქონე, მუდამ მოუცლელი ოჯახსა თუ სამსახურში. შვილიც შესანიშნავი აღზარდა. საუბარში ოზურგეთის შს სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი აკაკი სადრაძე ჩაგვერთო: „კარგის მეტი, არაფრის თქმა არ შემიძლია ამ ქალბატონებზე. ისინი ჩემი მასწავლებლები არიან“.

უბნის ინსპექტორთა სამსახურს წარმოადგენენ: უმშვენიერესი ქალბატონები: ნათია სანიკიანი და ქეთევან სეფერთელაძე, ისინი, კრიმინალებთან უთანასწორო შეტაკებისას დაღუპული პოლიციელების, შოთა სანიკიანისა და ნუკრი სეფერთელაძის ქალიშვილები არიან. შოთასა და ნუკრის ვაჟი არ ჰყოლიათ. მაგრამ მიუხედავად სუსტი სქესისა, მათმა ქალიშვილებმა პოლიციაში თავიანთი მამების ყოფილი სამსახური არჩიეს და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მშვენივრად ართმევენ თავს. რითაც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მადლობა მათ. ასევე ლალი თევზაძე, თეა ურუშაძე, ნათია შარაძე, ლელა ცერცვაძე, თამუნა ყუბანეიშვილი, რედი დვალი, და ნანა ღელეყვა, რომლებიც მამაკაცების გვერდით ამაყად და მყარად მოაბიჯებენ. თანამშრომლებთან თბილი დამოკიდებულება აქვთ. ისინი ერთ გუნდს წარმოადგენენ. მათი ჭირიც და ლხინიც ერთია.

მინდა გაზაფხულის შემობრძანება და ეს მშვენიერი დღესასწაული – 8 მარტი მიეულოცო ყველა ქალს, დედას, დას. ეუსურვო მათ ულევი სიხარული და ბედნიერება.

თამარ ყუბანეიშვილი

თამარ ავთანდილის ასული ყუბანეიშვილი დაიბადა 1985 წლის 7 ოქტომბერს, ქ. ოზურგეთში. დაამთავრა ოზურგეთის №3 საშუალო სკოლა.

თამარი ბავშვობიდანვე გამორჩეული მოსწავლე იყო. ყველაზე მეტად ჰუმანიტარული საგნები იზიდავდა. გამოირჩეოდა ორგანიზაციული ნიჭითაც. მონაწილეობას ღებულობდა კონფერენციებში. სხვადასხვა თემების განხილვაში. ძირითადად ისტორიული კუთხით უწევდა თემების დამუშავება. პატარაობიდან პოლიციის სფერო იზიდავდა. განსაკუთრებით – საქმეთა გამოძიება და დანაშაულებთან ბრძოლა. სხვადასხვა დანაშაულის გახსნის სურვილი მას ყოველთვის ჰქონდა. სწორედ ამან გადააწყვეტინა იყანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის ფილიალის, იურიდიულ ფაკულტეტზე გაეგრძელებინა სწავლა. სადაც ყველაზე მეტად სისხლის სამართლის პროცესი აინტერესებდა.

2007 წლის ნოემბრის თვეში გაიარა უბნის ინსპექტორთა მოსამზადებელი კურსები და დაინიშნა უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად.

თამარმა ყველაზე რთული პროფესია აირჩია.

– რამ განაპირობა თქვენი შინაგან საქმეთა ორგანოში მოხვედრა?

– იურისტის პროფესია ჩემით, დამოუკიდებლად ავირჩიე. თუმცა გარკვეული წელილი მამაჩემსაც მიუძღვის, რადგან ისიც ამ სტრუქტურაში მუშაობს, უკვე 15 წელია. ბავშობიდან მომწონდა და მხიბლავდა ეს საქმიანობა. ყველაზე ძალიან მინდოდა გამომძიებელი გავმხდარიყავი. სწორედ ამ მიზნით მოვხვდი ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში, სადაც პრაქტიკის გავლის პერიოდში საშუალება მეძლეოდა ახლოს გავცნობოდი გამომძიებლის საქმიანობას. თავდაპირველად ძალიან გამიჭირდა, რადგან ჩემთვის უცხო გარემოში მოვხვდი. თანაც, შეიძლება ითქვას სკოლის მერხიდან – პოლიციაში. მათთვისაც უცხო ვიყავი. უფლება არ მქონდა დავსწრებოდი ყველა იმ მოქმედებებს,

რომელსაც გამომძიებელი ასრულებდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ თავად საგამოძიებოს უფროსმა, მერაბ ფუტკარაიამ არ დამიბარა თავის კაბინეტში.

კარებზე ნელა, მორიდებულად დავაკაკუნე. ენერვიულობდი. ჩემთვის ხომ უცხო იყო უფროსებთან ურთიერთობა. კარი რომ გავაღე, პირველად რაც თვალში მომხვდა, უამრავი, სქელტანიანი საქმეები იყო, რომელიც სამუშაო მაგიდაზე იყო დალაგებული. თანაც, ოთახიც იმდენად დიდი გამოჩნდა, რომ შიგნით შესვლა ძლივს გავბედე. შემოდი, შემოდიო, თავი ასწია მერაბმა. გამიღიმა და სკამზე მიმითითა, დაჯექიო. ერთხანს წყნარად ვიჯექი და ეს სიწყნარე, კიდევ უფრო მანერვიულებდა. როგორც იქნა გამეცინო და მკითხა, აქ რა მინდოდა, რატომ დავდიოდი ყოველდღე? ჩემს გულუბრყვილო პასუხზე, სურვილი მაქვს ვისწავლო როგორ ხდება გამოძიება, ძალიან მაინტერესებს, მეთქი, გაეცინა და მითხრა: – „მოდი აქ, მოდი, დაჯექი და რადგანაც მართლა გინდა ისწავლო როგორ ხდება გამოძიება, თუ დამიჯერებ და არ იზარმაცებ, მე გასწავლიო."

მოღრუბლული. წვიმიანი დღე იყო. როდესაც პირველად წინ დამიდო სისხლის სამართლის სქელი საქმე და თან ამიხსნა, თუ როგორ უნდა აღმეწერა იგი. ძალიან დაძაბული ვიყავი და ენერვიულობდი. მინდოდა ყველაფერი ზუსტად ისე გამეკეთებინა, როგორც მან ამიხსნა. ჰოდა, მეც ვიჯექი და თუ გამომძიებელს 200 გვერდიანი საქმის აღსაწერად ნახევარი საათი მაინც სჭირდება, მე მოელი ორი საათი მოვანდომე. მართალია გვიან, მაგრამ ჩემი საქმე კარგად შევასრულე და მოწონებაც დავიმსახურე.

ერთ დღეს, მახსოვს მერაბმა დამიძახა და მითხრა: „წინასწარი გამოძიების დაწყების ბარათი შემოვსეო." იმ ბარათში უნდა ჩამეწერა წარმომდგენი ორგანოს დასახელება, სისხლის სამართლის საქმის ნომერი, დანაშაულის კვალიფიკაცია და საქმის მოკლე შინაარსი. ბოლოს კი გამომძიებლისა და პროკურორის ხელწერა იყო სავალდებულო. პირველად ცოტათი შევშფოთდი, რადგან დამოუკიდებლად, ჩემით არასდროს მქონდა ის ბარათი შევსებული, მაგრამ არ შემიმჩნევია. დიდი მონდომებით შევავსე. მეგონა მერაბს მოეწონებოდა და მეც მისგან საქებარ სიტყვას ველოდებოდი. ამის მაგივრად კი, თვალიც არ დაუხამხამებია, ისე დამიხია ჩემი შევსებული ბარათი. არ ვარგაო. მხოლოდ ეს ერთი სიტყვა მითხრა და წინ ახალი ბარათი დამიდო. ცოტათი მეწყინა. ჩემს თავსეც გავბრაზდი, ასეთი რა შემეშალა მეთქი და თავიდან შევავსე. მეგონა ეს მაინც მოეწონებოდა. მაგრამ შევცდი. ისიც დამიხია და ეხლა უკვე მკაცრი ტონით მითხრა: მანამდე დავხევ, სანამ წესიერად არ შეავსებ. დაუკვირდი რასაც აკეთებ და

მიხედები რა შეცდომას უშვებო. კელავ შეეეცადე შეშინებულმა, კარგად დამეწერა მომხდარი დანაშაულის მოკლე ფაბულა. მაგრამ, ისევ — არაფერი. მართალია ამჯერად არ დაუხვევია, მაგრამ წითელი აეტოკალმით გადამიხაზა და გამაფრთხილა, ყურადღება მიაქციე საქმის ფაბულასო. ისევ ხელმეორედ, უკვე მერამდენედ შეეავსე თავიდან აღნიშნული ბარათი. წასაკითხად მივეცი. წაიკითხა. მითხრა კარგია, მაგრამ დიდი არაფერიო. მეგონა გამიხარდებოდა მერაბის მიერ ასეთი შეფასება, მაგრამ პირიქით, უკმაყოფილების გრძნობა გამიჩნდა, ჩემ თავს ვერ ვაპატიე, რომ ასე შევრცხვი. სადღაც გულის სიღრმეში მერაბზეც ებრაზობდი. არ ეიყავი მიჩვეული მკაცრი ტონით ლაპარაკს და ამიტომ მეწყინა, როცა მან თითქმის ოთხჯერ დამიხია წინასწარი გამოძიების დაწყების ბარათი. ისე ძალიან მეწყინა, რომ ლამის იყო ტირილი დავიწყე. ჩემთვის ვფიქრობდი, რატომ იქცევა ასე, ხომ შეუძლია წესიერად ამიხსნას, არ დამიხიოს ან არ დამიხაზოს ჩემი ნაწერი, თუ არ მასწავლა, როგორ მეცოდინება, მეთქი? მას შემდეგ მუდამ ეცდილობდი, როცა რაიმეს დამავალებდა, კარგად შემესრულებინა, ისე კარგად, როგორც მას მოეწონებოდა. ეცდილობდი მიმებაძა იმ საგამოძიებო საქმიანობაში, რომელსაც თეითონ აკეთებდა ხოლმე. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მიეხვდი, რომ ის სიმკაცრე მონდომება, ნებისყოფა, რომელიც მერაბმა ჩემს მიმართ სწავლის პროცესში გამოიჩინა, საჭირო იყო. ის ხშირად მიდიოდა თაეის საქმეებზე და ბლომად მიტოვებდა საქმეს გასაკეთებლად. ამან ჩემში პასუხიმგებლობის გრძნობა, დაკისრებული საქმის უკეთესად გაკეთების სურვილი გააძლიერა. როცა რამეს მიხსნიდა და მასწავლიდა, მეტყოდა, იცოდე ამას მეორედ აღარ გავიმეორებ, ყურადღებით იყავიო. მეც ვცდილობდი ყურადღებით ვყოფილიყავი. ეგრძნობდი მთელი გულით მასწავლიდა იმ საქმეს, რასაც თეითონ მრავალი წელია მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, სიყვარულით ასრულებდა.

საქმის კეთებისას ხომ ყველაზე მთავარი მონდომება და ნებისყოფაა საჭირო, რომლის გარეშეც არაფერი გამოვა. „თუ ერთხელ შეცდი და საქმე ზუსტად ისე არ გამოგიეიდა, როგორც შენ გინდა, არ უნდა დაანებო თავი, კელავ უნდა შეეცადო, მოინდომო და ყველაფერს მიაღწევ. პირველად არავინ არაფერი იცის. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ცხოვრების მაგალითებზე სწავლობ ყველაფერსო, მითხრა ერთ დღეს მერაბმა. რაც არასდროს დამავიწყდება. რადგან დღეს, მე თუ რაიმე ვიცი, მერაბის დამსახურებაა. მან არამარტო გამოძიება, არამედ ხალხთან ურთიერთობაც მასწავლა. რისთვისაც მუდამ მადლიერი ვიქნები.

ორი წელიც არ არის, რაც თამარმა დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა. წარმოებაში რამდენიმე საქმე მისცეს, რასაც თავი იდეალურად გაართვა. კოლექტივმაც გაუმართლა. ქმაყოფილია კოლეგებით. განსაკუთრებით თავისი უშუალო უფროსით, ბატონი ირაკლი შავიშვილით. თელის, რომ ის არა მარტო უფროსი, არამედ მეგობარი და მისი მასწავლებელია.

მართალია პირველი ნაბიჯი სამსახურში შემობიჯებელი, უნივერსიტეტში შებიჯების დღეს ჰგავდა, რადგანაც იქაც უცნობი სიტუაცია ელოდა, მაგრამ გაუმართლა. ყველგან კარგი სამეგობრო შეიძინა.

თამარი დაოჯახებული არ არის. მისთვის მთავარი ცოდნის შეძენაა. სურს, რაც შეიძლება მეტი იცოდეს. მისი მიზანია საქმეს, რომელსაც ხელი მოჰკიდა, ბოლომდე მიიყვანოს და ყველას ნდობა გაამართლოს.

როცა თამარზე საუბრობს ადამიანი, საჭიროა დაფიქრება, რათა ზუსტად ილაპარაკო. არც ერთი დეტალი, მნიშვნელოვანი, საგულისხმო ფაქტი, არ უნდა გამოგრჩეს მისი საქმიანობიდან. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ აი, უკვე 31 წელია პოლიციაში ვმუშაობ და მისი მსგავსი ახალბედა თანამშრომელი, იშვიათად შემხვედრია. როდესაც ამ არაჩვეულებრივ ქალბატონს ვუსმენდი, რატომღაც მებადებოდა აზრი, რომ იგი არამიწიერი, რაღაც ზებუნებრივი ძალითა და ნიჭითაა დაჯილდოებული. თამარი ამ მსრივაც ბედნიერია, რადგან, თავის მოწოდებას მიაგნო ცხოვრებაში. იგი ყოველდღიურად იზრდება, როგორც პროფესიულად, ისე პიროვნულად. მისგან შორსაა ყოყოჩობა. გამოირჩევა თავმდაბლობითა და სიფხიზლით.

მართალია მას საოცრად რბილი ხასიათი აქვს, მაგრამ ამასთანავე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მკაცრი და პრინციპულია

...და კიდევ, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ კოლექტივის ყოველი წევრი, მხოლოდ და მხოლოდ დადებითს ამბობს თამარზე.

მართლაცდა რა სჯობია იმას, როცა ასე გახასიათებენ მეგობრები, კოლეგები. აქვთ შენი იმედი, ყველგან და ყველაფერში.

ბესო ბარამიძე

პოლიციელის საქმიანობაში თავიდანვე კოდირებული ყოველდღიური სახიფათო რისკისა თუ სხვა სიძნელეების მიუსედავად, არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა ამ სფეროს მუშაკის შვილები, თავიანთ პროფესიად, მაინც მამის ხელობას ირჩევენ ხოლმე. ამაში კი პოლიციელის სამსახურისათვის ასევე თავიდანვე თანმხლები რომანტიკა და საკეთებელი საქმის ვაჟკაცური სილამაზე ასრულებს მნიშვნელოვან როლს.

აღნიშნულის ერთ-ერთი შესანიშნავი დასტური გახლავთ, შინაგან საქმეთა ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის, პოლიციის კაპიტნის, ბატონ ბესო ბარამიძის მაგალითი, რომელიც მთელი გურიის რეგიონში, ერთ-ეროი ავტორიტეტიანი ორგანოს მუშაკის, შემდგომში დამსახურებულ პენსიაზე მყოფი მამის, აწგარდაცვლილი მურმან ბარამიძის პროფესიული მემკვიდრე გახდა.

ბატონი ბესო დაიბადა 1968 წლის 15 ოქტომბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. პირნათლად მოიხადა სამხედრო – საეალდებულო სამსახური. შემდეგ კი დაამთავრა პოლიციის აკადემია. მამის რჩევით მოვიდა პოლიციაში. მამამისი უბნის ინსპექტორი იყო. ფაქტიურად თითქმის ნახევარ რაიონს ემსახურებოდა. ბესოს დღესაც კარგად ახსოვს, რომ მამამისი დადიოდა „ჰარლ-ლესტრონის“ „ჯალიასკიანი“ მოტოციკლეტით. ეს განთქმული ფირმა იყო და ძვირ ფუფუნებად ითვლებოდა – 35 წელზე მეტი იმუშავა და პოლიციის კაპიტნის ჩინით გავიდა პენსიაზე 1998 წელს.

შინაგან საქმეთა ორგანოებში ბესო 1998 წლიდან მუშაობს. თავიდან იგი ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში მკვიდრდება. სადაც საპატრულო სამსახურს ჩაუდგა სათავეში. შემდეგ კი. სუფსაში ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებით, ისევ კრიმინალური პოლიციის ბლოკში გადავიდა, სადაც ძირითადად დამნაშავეთა ძებნით იყო დაკავებული.

ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველო ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე ეძებდა ვინმე დავით მოქიას. რომელმაც დააყაჩაღა ქ.

ფოთში ერთ-ერთი კონტეინერი და გაიტაცა 45 ათასი ლარის საქონელი. ძებნის საქმე ტერიტორიული დაქვემდებარებით გადაეგზავნა ლანჩხუთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას. რადგანაც, ძებნილი აღნიშნული რაიონის მცხოვრები იყო. გ. მოქია დადგენა – დაკავების საქმე, შინაგან საქმეთა სანინისტროს ხელმძღვანელობას კონტროლზე ჰყავდა აყვანილი. შემოსული ოპერატიული ინფორმაციების შეჯერების შემდეგ, თანამშრომელთა ჯგუფი, რომელსაც ბესარიონ ბარამიძე ხელმძღვანელობდა, ბათუმში გაემგზავრა. ერთ-ერთი საეჭვო სახლის გადამოწმების მომენტში, ბატონმა ბესომ დაინახა სადარბაზოდან გამოსული ახალგაზრდა ბიჭი, გრძელთმიანი, ულვაშებით. აშკარად ეტყობოდა, რომ თმები ჰქონდა შეღებილი. ინტუიციამ უკარნახა, რომ ეს ძებნილი დავით მოქია იყო. ეცნო რაღაცნაირად. დაეწია და დააკავა. საბუთები არ ჰქონდა. შემდეგ ბესოს ეხვეწებოდა, თმები გაშკრიჭე, ასე ვერ შევალ ზონაშიო.

კიდევ ერთი ფაქტი გაიხსენა ბატონმა ბესომ: „თითქმის სამი თვე ვეძებდით საქონლის ქურდებს. ქურდობაში ეჭვმიტანილი იყო სამი პირი. ერთი სუფსის რკინიგზის სადგურზე დაეკავებინა, მეორე სუფსის პოლიციაში გვყავდა მიყვანილი, მესამე კი არ სანდა. თუმცა მისი ძებნის პროცესში, ბიჭებმა ჰაერში გაისროლეს რამოდენიმეჯერ. ამ დროს ჩემთან მოვიდა რეზო ღლონტი. მას ერთ-ერთი დაკავებულის გასაგონად ვუთხარი, ამათ „პადელნიკს“ ბიჭებმა ესროლეს. დაჭრილია მძიმედ, სულს ღაფავს, ფაქტი მოიშორეთ, იქნებ მდინარეში გადააგდოთ, მეთქი. ეს რომ დაკავებულმა გაიგო, შეგვეხვეწა, ის ჩემი ძმაა, არ მოკლათო და ყველაფერი აღიარა“.

ყველა პოსტზე, ყველა სამსახურში ბესარიონ ბარამიძემ თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა, პრინციპულმა, ერუდირებულმა მუშაკმა, მაღალი კლასის პროფესიონალმა. იგი ხშირად იტყვის ხოლმე – „მე მიყვარს დიდი ჩეკისტის, დავით ციცვეიძის გზას. რომლის მუშაობის მეთოდი იყო ბოროტმოქმედების აყვანის ოპერაციების უსისხლოდ ჩატარება“. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

ბესო ბარამიძისთვის ცნობილი გახდა, რომ ქ. ბათუმის მკვიდრნი განზრახ მკვლელობისათვის ძებნილი მიხეილ კვაჭაძე და სხვისი ქონების ქურდობისათვის ძებნილი, შოთა ჭეფხოძე იმალებოდნენ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ეწერში. მათ 7 წლის განმავლობაში ეძებდნენ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. მოხდა ინფორმაციის შეჯერება და დაიგეგმა ოპერაცია, რომლის შედეგადაც მოხერხდა დამნაშავეთა დაკავება მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებს წინააღმდეგობის დაძლევა

მოუხდათ (ორმხრივი სროლა გაჩაღდა), ყველაფერი უმსხვერპლოდ დამთავრდა. მხოლოდ ერთი ძებნილი დაიჭრა ფეხში. ამოღებულ იქნა ერთი ავტომატი და ხელყუმბარა. მას სრული უფლება ჰქონდა ბოროტოქმედის ლიკვიდაცია მოესდინა. თავდასხმა აშკარა იყო, მაგრამ დაინდო იგი. რატომ წავიდა რისკზე ოპერმუშაკი?

— იცით, შეენიშნე, რომ ბოროტმოქმედები ახალგაზრდები იყვნენ და გავიფიქრე, იქნებ ჯერ ყველაფერი დაკარგული არა აქვთ, მეთქი. — აგვიხსნა მან.

მრავალი ასეთი და სხვა ფაქტების მოყვანა შეიძლება ბესარიონ ბარამიძის ცხოვრებისეული პრაქტიკიდან. იგი ფხიზლად დგას მართლწესრიგის დაცვის სადარაჯოზე. მის მახვილ თვალს არაფერი გამოეპარება. ამის ნათელი მაგალითია გრიგოლეთის ტერიტორიაზე მომხდარი ქურდობის ფაქტი. გრიგოლეთში მშენებარე ობიექტიდან, დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა, ჩართული გენერატორი მოიპარა. ვერ მოასწრო მისი გამორთვა... გარბოდა. ჩვენ უკან მიედევდით. დაგვინახა თუ არა, გენერატორი დააგდო. შემდეგ კი იძახდა, ჩემი არ არის, მე არ მომიპარავსო.

ამავდროულად ბესარიონ ბარამიძე ყოველმხრივ მოწესრიგებული და ლამაზი ოჯახის თავკაცი გახლავთ და ნიშანდობლივიცაა, რომ ამ წარმატებებში, სიამოვნებით აღიარებს ერთგული მეუღლის, შესანიშნავი მანდილოსნისა და დიასახლისის, ქალბატონ ნატოს დიდ დამსახურებას.

პოლიციის კაპიტანი ბესარიონ ბარამიძე მრავალმხრივი, ფართო ერუდიციის ადამიანია. თაყვანს სცემს ქართულ კულტურასა და ხელოვნებას. განსაკუთრებით უყვარს მსოფლიოში უნიკალური ქართული ხალხური სიმღერები და კლასიკური პოეზია. დღესაც სიამოვნებით კითხულობს პოეზიის დიდოსტატთა შედევრებს.

ერთი სიტყვით, ბატონი ბესარიონ ბარამიძის სახით არა მარტო ქართულ პოლიციას, არამედ ქართულ საზოგადოებრიობას ჰყავს ერთი გამორჩეული, ყოველმხრივ ღირსეული წევრი, რომელიც ხასიათდება ორგანოს მუშაკისათვის ესოდენ საშური ისეთი თვისებებით, როგორიცაა დისციპლინიანობა, ორგანიზებულობა, აკურატულობა, კომუნიკაბელურობა, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული, ერთგულება და პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

გაიხსნა ბნელით მოცული საქმეები

პოლიციის ლეიტენანტი მიშა ფოცხვერაშვილი დაბინდებამდე კაბინეტში იჯდა და მომხდარ დანაშაულზე აღძრული საქმის გახსნის გეგმას ადგენდა.

წინა ღამით, ქალაქ ზესტაფონში უცნობმა პირებმა მოქალაქე ვლადიმერ ნებიერიძეს დანით 11 ჭრილობა მიაყენეს. დაზარალებულს ჩაუტარდა უმძიმესი ოპერაცია, რომლის შემდეგაც იგი გადაურჩა სიკვდილს.

წინასწარი გამოძიება დაიწყო ზესტაფონის რაიონულმა სამმართველომ და როგორც განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული (მკვლელობის მცდელობისა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) სისხლის სამართლის საქმე გადაიგზავნა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში.

წინასწარი გამოძიების დროს, დაკითხულ იქნა მოწმეთა მთლიანი ბაზა, ჩატარებულ იქნა რამდენიმე სახის ექსპერტიზა. თუმცა, ხელის ჩასაჭიდებელს ვერაფერს მიაკვლია უფროსმა გამომძიებელმა მიშა ფოცხვერაშვილმა. ამიტომ, ძებნის გაფართოების გეგმა მოხაზა. საჭირო იყო საეჭვო პირების შემოწმება და დაზარალებულის დამატებითი დაკითხვა.

დაზარალებულმა ვ.ნებიერიძემ დაკითხვისას კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ იგი იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, რა დროსაც მისთვის უცნობმა პიროვნებამ, რომლის არც გარეგნობა და არც ვინაობა მას არ ახსოვდა, სრულიად უმიზეზოდ რამდენიმეჯერ დაარტყა დანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ასევე დამატებით დაკითხულ იქნა იმ სუფრის წევრები, სადაც ვ.ნებიერიძე იმყოფებოდა. გაირკვა, რომ მას ბევრი არ დაულევია და სუფრაზეც დიდხანს არ გაჩერებულა. ფაქტია დაზარალებული რაღაცას მალავდა.

27 წლის პოლიციის ლეიტენანტი მიშა ფოცხვერაშვილი გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი გახლავთ. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მის ცხოვრებას ერთფეროვანს ვერ უწოდებ.

მან პოლიციაში სამსახური ქ.თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო, უფრო ზუსტად 6 თვიანი სტაჟირების კურსები გაიარა ჯერ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურაში, შემდეგ საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში. 2005 წლის თებერ-

ქალში კი, ზესტაფონის რაიონულ სამმართველოში გამომძიებლად ნიშნავენ. შემდეგ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში უფროს გამომძიებლად დანიშნეს. საქმეში თავი გამოიჩინა, როგორც მუყაითმა თავდადებულმა, გამჭრიახმა მუშაკმა და გურიის სამხარეო პოლიციაში დეტექტივ-გამომძიებლის თანამდებობაზე დააწინაურეს.

კაბინეტში ერთ-ერთი ახალგაზრდა მუშაკი შემოვიდა.

— შენ რა გინდა ამ დროს? — ჰკითხა უფროსმა გამომძიებელმა,

— საქმე მაქვს ბატონო, გამომძიებელო. ეს-ესაა ცნობა მივიღე, რომ აკადმყოფი ნებიერიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, საჭირო გახდა ხელახალი ქირურგიული ჩარევა. თქვენი თანხმობა მჭირდება, რათა შევხდე მას.

გამომძიებელი უსიტყვოდ დათანხმდა ოპერმუშაკის თხოვნას.

ოპერაციის დაწყებამდე პოლიციის მუშაკი შეხვდა დაზარალებულს, რომელიც მისი ძველი ნაცნობი იყო. ვ.ნებიერიძემ, პირად საუბარში დაუსახელა ის პიროვნება, რომელმაც სასიკვდილოდ გაიმეტა იგი. ისიც აღნიშნა, რომ მასთან კონფლიქტი ჰქონდა და ის სისასტიკეც (11 ჭრილობა მუცლის, გულმკერდისა და ფეხის არეში) ძველი წყენის შედეგი იყო. მეტად ძვირფასი ინფორმაცია მოიპოვა პოლიციის მუშაკმა. საჭირო იყო მისი გადამოწმება. გაირკვა, რომ მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი პირი, მომხდარი ფაქტის შემდეგ, არც თავის საცხოვრებელ სახლში და არც ქალაქ ზესტაფონის ტერიტორიაზე არ გამოჩენილა.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო დამნაშავის ვინაობა, საქმე კვლავ გაუხსნელი რჩებოდა, ვინაიდან გარდა პოლიციელის ჩვენებისა, რომელიც მომხდარი ფაქტის მხოლოდ ირიბი მოწმე იყო, არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვებოდა.

უფროსმა გამომძიებელმა საჭიროდ ჩათვალა ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში აეღო ბრძანება ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერის განხორციელების შესახებ. ვიდეო—კამერა დამონტაჟებულ იქნა პოლიციელის საცხოვრებელ სახლში, სადაც მოხდა პოლიციელისა და ვ. ნებიერიძის ფარული მიყურადება. საუბრისას დაზარალებულმა კვლავ დაასახელა ვინმე ბუტიკაშვილი, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი და კონკრეტულად მიუთითა ჩხუბის მოტივებზეც. ამის შემდეგ კვლავ იქნა დაკითხული ვ. ნებიერიძე, ამჯერადაც მან უარი განაცხადა ბოროტმოქმედის დასახელებაზე. დაკითხვის შემდეგ მას წარედგინა ვიდეო—ფირის სტენოგრაფიული ჩანაწერი, აქ ფერი ეცვალა დაზარალებულს, არ იცოდა რა ექნა, დაუყოვნებლივ მოითხოვა ადვოკატი, მისი მონაწილეობის გარეშე იგი უარს ამბობდა ყოველგვარი ჩვენების მიცემაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა პატიმრობა ბრალდებულ ვ. ბუტიკაშვილს და მასზე გამოცხადდა ძებნა.

აქ მთავრდება ვ. ბუტაკიშვილის იმერული ოდისეა, იგი იმერეთის პოლიციის მუშაკების მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დაკავებულ იქნა.

ცხელ კვალზე დანაშაულის გახსნის ეს მაგალითი უნიკალურად აღიქმება ოპერატიულ–საგამოძიებო საქმიანობაში.

2007 წლის 26 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში, გრ. ხანძთელის ქუჩაზე, ხის გადამამუშავებელ საამქროში დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაუგონარი სისასტიკით მოკლეს მოქალაქე ავთანდილ მასხარაშვილი. მსხვერპლს დანით ჰქონდა მიყენებული რამდენიმე ჭრილობა, ხოლო დამნაშავის იარაღი დაზარალებულს გულში ჰქონდა ჩარჩენილი. შემთხვევის ადგილზე მისულმა ოპერატიულმა ჯგუფმა, მსხვერპლის დაჩეხილი გვამის მასიდან, ვერანაირი კვალის აღმოჩენა ვერ შეძლო. მკვლელობის საქმის გახსნის მიზნით სამხარეო პოლიციაში დაიგეგმა მთელი რიგი ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიებები, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობდნენ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ლევან კახიანი და მისი მოადგილე ჯუმბერ ხაჟალია.

აღნიშნულ საქმეზე ოპერატიულ – საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება დაევალა იმერეთის. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროს გამომძიებელს მიხეილ ფოცხვერაშვილს.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანდა, მომხდარი ფაქტის შესახებ პოლიციელს შეატყობინა ქ. ქუთაისში მცხოვრებმა კახა ანჯაფარიძემ, რომელმაც დაკითხვისას აჩვენა, რომ იგი იყო გარდაცვლილ ავთანდილ მასხარაშვილის ახლო მეგობარი და ვინაიდან მას ჰქონდა ოჯახური პრობლემები, ღამეს მასთან ერთად სისტემატიურად ათევდა. წინა საღამოს, მათ ერთად იეასმეს და დაახლოებით 23 საათზე დაიძინეს.

საამქროს ჰქონდა სამი განყოფილება, ერთში იმყოფებოდა თავად ავთანდილ მასხარაშვილი, მეორეში განთავსებული იყო დაზგა-დანადგარები, ხოლო მესამეში–ღამეს ათევდა კახა ანჯაფარიძე. სამივე განყოფილება ერთმანეთთან დაკავშირებული იყო რკინის კარებით. დაძინების წინ, ავთანდილ მასხარაშვილს კახა ანჯაფარიძემ კარები შიგნიდან ჩაუკეტა, ვინაიდან იგი მეორე მხრიდან არ იკეტებოდა და მოსასვენებლად თავის ოთახში წავიდა.

მოწმე კახა ანჯაფარიძის აზრით, დამნაშავე საამქროში შემოვიდა მეორე განყოფილებიდან (ამ განყოფილებას ჰქონდა ასევე მეორე კარებიც) შეეიდა ა. მასხარაშვილის ოთახში, მოკლა იგი და შეუმჩნეველად მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. დილით, გაღვიძების შემდეგ, კ. ანჯაფარიძემ დაუძახა აეთანდილ მასხარაშვილს, რათა მას კარები გაეღო, მაგრამ, ოთახში სიჩუმე იყო. ამიტომაც მან დაურეკა თაეის შეილს ზაზა ანჯაფარიძეს, მოიყვანა საამქროში და დაეხმარა, რომ იგი გადამძვრალიყო ოთახის კედელში არსებულ ნაპრალში, რის შემდეგადაც გაიღო ის კარები, რომელიც ღამე ა. მასხარაშვილმა დაკეტა. შეეიდა და დაინახა, რომ იგი მკვდარი იყო და სწრაფად შეატყობინა პოლიციას.

აშკარა იყო, მოწმე კახა ანჯაფარიძეს ჩვენება წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, ვინაიდან მასში ბევრი უსუსტობა გახლდათ, კერძოდ:

1. კედელში არსებული გამონგრეული ადგილი იყო ზომით 10სმ სიგრძისა. ამ სიგანის სიცარიელეში ფაქტიურად გამორიცხულია, რომ ადამიანი გაეტიოს, რის დასადასტურებლად ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი და დადგინდა, რომ ზაზა ანჯაფარიძე დაზიანებულ კედელში არ გამძვრალა.

2. როგორც მოწმე კახა ანჯაფარიძე აღნიშნავდა, მკვლელი შემოვიდა ცენტრალური შემოსასვლელიდან, მოკლა ა. მასხარაშვილი და ისევ იმავე კარიდან გავიდა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აღმოჩენილ იქნა, რომ ცენტრალური კარები შიგნიდან რკინის ურდულით იყო დაკეტილი. თუკი მკვლელი ამ კარებიდან გავიდა, მაშინ კარები ვინ ჩაკეტა შიგნიდან? მაშასადამე კახა ანჯაფარიძე ან დანაშაულის თანამონაწილე იყო და მან ჩაკეტა კარები ან მისი ჩვენება მტკნარი სიცრუე იყო.

3. შემთხვევის ადგილზე აშკარად შეიმჩნეოდა ჩხუბის კვალი, როგორც ჩანს მკვლელს დაზარალებულმა წინააღმდეგობა გაუწია. თავად კახა ანჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ ღამე ფხიზელი ძილი ჰქონდა და მცირე ხმაურიც ესმოდა. აქედან გამომდინარე წარმოუდგენელი იყო, ვერ გაეგონა ხმაური· გვერდითი ოთახიდან. გარდა ამისა, სამედიცინო ექსპერტმა ჩვენებისას აღნიშნა, რომ გულში დანის მოხვედრისას ბიოლოგიურად ადამიანი გამოსცემს მაღალ ხმას, რასაც ახლო მანძილზე თავისუფლად გაიგონებს ადამიანი.

4. მოწმე კახა ანჯაფარიძის ჯინსის ქურთუკზე შეიმჩნეოდა ორი ძალიან მცირე ზომის სისხლისმაგვარი მოწითალო ფერის ლაქა, ხოლო დაკითხვისას მან აჩვენა, რომ შეილმა ახლადგარეცხილი ტანსაცმელები მოუტანა, რომელიც ჩაიცვა, რადგან

დილით ბანკში იყო წასასვლელი. როგორც ჩანს მან ვერ შეამჩნია მცირე ზომის ლაქები და სისხლიანი ქურთუკი არ გამოიცვალა.

აღნიშნული გარემოებები მართალია საეჭვოთ საკმარისი იყო რწმენისათვის, რომ კახა ანჯაფარიძე ან უშუალოდ მკვლელი ან დანაშაულის თანამონაწილე იყო, მაგრამ რეალური მტკიცებულება არ არსებობდა. ამიტომ, როგორც ეჭვმიტანილი იგი დაკავებული იქნა (საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ტანსაცმელზე არსებული სისხლისმაგვარი ლაქების საფუძველზე) და დაიწყო ინტენსიური მუშაობა 48 საათის განმავლობაში, მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვების მიზნით.

მეორე დღეს მოხდა შესვედრა ქ. ქუთაისში მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქესთან, რომელმაც როგორც გამოძიებას ასევე სასამართლოს მიაწოდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, კერძოდ: კახა ანჯაფარიძის დაკავების დღეს, საღამოს საათებში, მისი მეუღლე ტ. ვაშალომიძე თავის შვილს მკაცრად აფრთხილებდა, რომ არ მიეცა სწორი ჩვენება გამოძიებისათვის და არ მოეყოლა თუ როგორ და რისთვის მოკლა მამისმა ა. მასხარაშვილი. ამის შემდეგ, დაუყოვნებლივ ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი და დადგინდა, რომ იმ ადგილიდან მოწმე თავისუფლად შესძლებდა დედა-შვილს შორის შემდგარი საუბრის გაგონებას.

ეჭვმიტანილის ადვოკატს გააცნეს მთლიანად საქმის და საგამოძიებო მოქმედების ამსახველი მასალები, რის შემდეგაც დედა-შვილმა გამოძიებას მისცეს შემდეგი სახის ჩვენება (მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაფრთხილებული იყვნენ სწორი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესახებ): კ. ანჯაფარიძე გახლდათ წარსულში ნასამართლევი ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის, მან იცოდა, რომ ა. მასხარაშვილს თან ჰქონდა ფულადი თანხა 800 ლარის ოდენობით. სწორედ ნარკოტიკის შესაძენად უნდოდა ეს თანხა კ. ანჯაფარიძეს, რის გამოც ჯერ მოკლა ა. მასხარაშვილი, ხოლო შემდეგ შვილიც დაეხმარა მიცვალებულის ჯიბიდან ფულის ამოღებაში, გაწმინდა ხელის ანაბეჭდებიდან დანის ტარი და პოლიციას დაუკავშირდა. ბოროტმოქმედს ყველაფერი კარგად ჰქონდა გათვლილი, მაგრამ შეცდომები მაინც საკმარისად დაუშვა.

მოწმემ, რომელმაც გამოძიებას მომხდარის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, სასამართლოზეც დაადასტურა თავისი ჩვენება და კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი.

მიშა ფოცხვერაშვილმა ამხილა კახა ანჯაფარიძე ამ მსეცური მკვლელობის ჩადენაში და დანაშაული სიმართლის მღალადებელი საბუთებით დაუმტკიცა.

ბრალდებულმა, როცა მას წარედგინა ბრალდება ანგარებით მკვლელობის ჩადენის მუხლით და გაეცნო მის მიმართ არსებულ მტკიცებულებებს, მხოლოდ ერთი რამ თქვა: ალბათ ა. მასხარაშვილმა თავი მოიკლა და გულში ექვსჯერ დანა თავის ხელით დაირტყაო(?!). ქუთაისის სასამართლომ, ბრალდებულ კახა ანჯაფარიძეს 29 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება აქვს ახალგაზრდა დეტექტივ-გამომძიებელს, დანაშაულის ჩამდენში იმწამსვე გამოიცნობს, უნებლიე დამნაშავეა, გზასაცდენილი პიროვნება თუ გამოუსწორებელი რეციდივისტი და ამის მიხედვით საზღვრავს, როგორ მიუდგეს მას. სასჯელის ძალას მის სიმკაცრეში კი არა, მის გარდაუვალობაში ხედავს. სწორედ ამიტომ ამბობენ მასზე, სამართლიანი, პრინციპული, პერსპექტიული მუშაკიაო. მის მიერ გახსნილ და გამოძიებულ საქმეთა რაოდენობა ისე დიდია, რომ მათი შინაარსის უბრალო კონსპექტური აღწერაც გაძნელდება. თითოეულ მათგანს გამოცდილი, ხელოვანი გამომძიებლის ხელი ატყვია.

ოსურგეთის რაიონის სოფელ შრომაში, დღისით-მზისით, აეტომატური იარაღებით შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ მიხეილ მეავანაძის საცხოვრებელ სახლს. გაიტაცეს ფული და ძვირფასეულობანი. ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა თვითმხილველი მოწმის ა. გულიაშვილის თავიდან-მოშორების მიზნით, აეტომატური იარაღიდან გასროლით მძიმედ დაჭრეს იგი, რომელიც მხოლოდ სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს. ამის შემდეგ ყაჩაღური ჯგუფის წევრებს ჰქონდათ მცდელობა მეორე მოწმის კაპაძის თავიდან მოშორებისა. მოახდინეს მის მიმართ რამდენიმე გასროლა, მაგრამ მან გაქცევით უშველა თავს.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბოროტმოქმედთა დადგენა-დაკავებასა და დანაშაულის გახსნას დიდად შეუწყო ხელი დეტექტივ-გამომძიებლის მიშა ფოცხვერაშვილის საზრიანმა და გაბედულმა მოქმედებამ. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ მკვლელობის მცდელობისა და ყაჩაღური თავდასხმის მონაწილე ხუთი პირიდან, ხუთივე გასამართლებულია.

ასევე ლომის წილი მიუძღვის მიშა ფოცხვერაშვილს გურიისა და იმერეთის რეგიონებში მოქმედი შეიარაღებული ყაჩაღური დაჯგუფების წევრების მხილება–დაკავებაში, რომლებმაც აღნიშნულ რეგიონებში, 2008 წლის დეკემბრის თვეში, არაერთი ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს. ყაჩაღური თავდასხმის მონაწილე ბანდის ოთხივე წევრი დაკავებულია.

ღრმად რომ ჩაიხედო მიშა ფოცხვერაშვილის ცხოვრებაში, რომელიც ხალხისადმი თავდადებული სამსახურის თვალსაჩინო

მაგალითს წარმოადგენს, თითოეული მის მიერ გამოძიებული და გახსნილი საქმე უნდა შეისწავლო. ადამიანის ცხოვრება მის საქმეებში ნიეთდება ხოლმე.

უკვე ოთხი წელი სრულდება, რაც იგი შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს, ეინ მოთელის, ამ ხნის განმავლობაში რამდენ დამნაშავეს აღუკეეთა უკუღმართად საეალი გზა და რამდენი პატიოსანი მოქალაქე გაახარა თავისი კაცურკაცობით. ჯერ მხოლოდ 27 წლისაა, მაგრამ მის პირად საქმეში არაერთი წახალისებაა დაფიქსირებული. თავის წარმატებებს პოლიციის ახალგაზრდა დეტექტივ-გამომძიებელი, გურიისა და იმერეთის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელების შოთა ჭანუყეაძისა და მამუკა დათიაშვილის დამსახურებად მიიჩნევს, რადგან თვლის, რომ სწორედ მათი გვერდში დგომითა და დახმარებით შესძლო არაერთი ბურუსით მოცული საქმის გახსნა და სრულეოფილი გამოძიების ჩატარება.

უეჭველია ყველაფერი კარგი, რაც ქვეყნის სამსახურში გაუკეთებია და რასაც მომავალში გააკეთებს, აღუნუსხველი არ დარჩება. სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს.

პროფესიის ბოლომდე ერთგული

ნუკრი უჯმაჯურიძე

„ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა მის მიერ განელილ გზას გაბედულად შემოუბრუნდება და მაღალი სანახებიდან ყურადღებით შეავლებს თვალს. აწონ-დაწონის. განელილ შორეთში ბევრს ნახავს გულგსახარებელს ისეთს მომაეალ თაობას, ხეალინდელ დღეს, რომ წაადგება. ისეც ხდება, რომ შეიძლება უნებლიედ აუცილებლად ეს სინანულის, უკმარისობისა და დაუკმაყოფილებლობის იმპულსებიც – რაღაც დარჩა გადასაწყვეტი, ბოლომდე მისაეანი.”

უდაეოდ ბედნიერია ბატონი ნუკრი უჯმაჯურიძე, რომელმაც თითქმის სამი ათეული წელი გალია მართლწესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე. მას მარტო ჩოხატაურში კი არა, საქართვე-

ლრს სხვა რაიონებშიც იცნობენ. მისი ცხოვრება ვაუკაცობის, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

ნუკრი ჭიჭიკოს-ძე უჯმაჯურიძე, დაიბადა 1942 წლის 21 ნოემბერს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ერკეთში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. მუშაობდა სოფელ ქვემოერკეთის კოლმეურნეობაში, რიგით წევრად. შემდეგ მოიხადა სამხედროსავალდებულო სამსახური. 1964-1966 წლებში მუშაობდა გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ალგეთში. 1966-1972 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1974 წლიდან პენსიაში გასვლამდე – 2002 წლამდე მსახურობდა შს ორგანოებში, სხვადასხვა დროს მუშაობდა უფროს გამომძიებლად, საგამოძიებო ჯგუფის უფროსად, რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ ოპერატიულ ნაწილში. მიღებული აქვს პოლიციის მაიორის წოდება, სამივე მედალი უმწიკვლო სამსახურისთვის და მედალი ქართული გამოძიების 35–ე წლის იუბილესთან დაკავშირებით. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და 3 შვილიშვილი.

თეიმურაზ უჯმაჯურიძე

ბატონმა ნუკრიმ გაიხსენა ის ფაქტი, როდესაც ოპერატიულ დარგში, რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობის პერიოდში, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით, გურიის რეგიონში საუკეთესო, ხოლო რესპუბლიკაში მოწინავე იყო. პირველი შეხება დამნაშავესთან მას დღესაც კარგად ახსოვს: „ეს იყო 1974 წელს ძებნილი ლომთათიძის დაკავება, როდესაც ამ უკანასკნელის მასპინძელმა, ასევე კრიმინალური ტრადიციების მიმდევარმა, ავტომანქანით მოინდომა ძებნილი სტუმრის გატაცება და ჩვენგან თავის დაღწევა. თუმცა ძებნილი დევნისას დავაკავეთ, ხოლო მძღოლი საავადმყოფოში „მივიყვანეთ“. ეს იყო პირველი საბრძოლო ნათლობა და პირველი ჩემს მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება“.

ბევრი ეპიზოდი ახსოვს ბატონ ნუკრის, არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ოპერაციის დროს, სხვა გაეშვას წინ. პირველი მიდიოდა ყველგან, მაშინაც კი, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა. ერთი კარგი ჩეულებაც ჰქონდა, თავის საკუთარ მარანში

აღნიშნავდნენ ხოლმე ოპერაციის წარმატებით ჩატარებას. მას გმირობისა და თაყვანწირვის მაგალითად მიაჩნია თავისი ყოფილი კოლეგისა და პირადი მეგობრის გივი მათითაშვილის განელილი გზა, რომელმაც ახალგაზრდა თანამშრომლები განარიდა შეიარაღებულ დამნაშავეებს და თვითონ მიიღო სასიკვდილო ჭრილობა. თუმცა, იმავდროულად დამნაშავეც – მისი ავტომატის ჯერის მსხვერპლი აღმოჩნდა. როგორც მისაბაძი და ერთგული თანამშრომელი, გაიხსენა ზაურ ქორიძე, კაცი გულადი, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი. მისაბაძად მიაჩნია საგამოძიებო ჯგუფის ყოფილი უფროსის გოგი ეაშაყმაძის საქმიანობა, რომელიც იყო უამბიციო, თავისი საქმის პროფესიონალი და რომლის ხელმძღვანელობისას დაეუფლა იგი გამოძიების ანბანს.

დროს თავისი მოაქვს. პოლიციის გადამდგარი მაიორი, წლებით მხარდამძიმებული, განვლილი ცხოვრებით კმაყოფილი და ბედნიერი, მხნედ და ამაყად განაგრძობს სიცოცხლეს ლამაზ ოჯახთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

ნუკრი უჯმაჯურიძე განსაკუთრებით აფასებს ადამიანში პატიოსნებას, შრომის სიყვარულს, საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას, სამართლიანობას. იგი ადამიანს ვერ აპატიებს გულგრილობას, სიცრუეს და მოჩვენებითობას. ბატონი ნუკრი დამოუკიდებელი განსჯის უნარით დაჯილდოებული თანამშრომელი იყო. სიტუაციაში სწრაფად ერკვეოდა და ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას ღებულობდა.

გურიის რეგიონში არ მოიძებნება ბატონი ნუკრის თაობის კაცი, რომელიც მასსე, მის პიროვნულ თვისებებზე რაიმე აუგს იტყვის. პირიქით, ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ ხოლმე. განსაკუთრებით გამოყოფენ მის ყურადღებიანობას, თანამშრომლებისადმი კოლეგიალურ დამოკიდებულებას. სადაც უმსახურია ბატონ ნუკრის, ყველგან თავისი სიკეთისა და მზრუნველობის კვალი დაუტოვებია. რაც შეეხება ბატონი ნუკრის ოჯახის წევრების გადაწყვეტილებას – გაეგრძელებიათ მამის ტრადიცია, ამის წინააღმდეგი არ წასულა. პირიქით, გაუხარდა კიდეც. მისი ვაჟი თეიმურაზი, პოლიციის ხშირი სტუმარი იყო, ყველაფერი აინტერესებდა, ეკითხებოდა ხოლმე, – დღეს ვინ დაიჭირეთ, რაზე?.. დაამთავრა თუ არა სამხედრო სამსახური. მიიღო იურიდიული განათლება. ამის შემდეგ, კიდევ უფრო მოუხშირა პოლიციაში სიარულს, ამჟამად დეტექტივის თანაშემწეა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ იგი თავისი მამის ყოფილ სამუშაო კაბინეტში ზის, უფრო მეტიც, სეიფის გასაღებიც „დაითრია“ და ოჯახში, როგორც სტუმარი ისე მიდის.

28 წლის ასაკში თეიმურაზმა თავისი ბედი ქალბატონ გურანდა აბუსერიძეს დაუკავშირა. ლამაზი ოჯახი შექმნა, რომელიც ერთი ქალიშვილის, ანასტასიას შემატებით გაამდიდრა. ქალბატონი გურანდას თქმით, „თეიმურაზი მოსიყვარულე მეუღლეა. ნაკლებად პრეტენზიულია. თავისუფალ დროს ოჯახთან და სამეგობროსთან ერთად ვატარებთ. ოჯახს თავისებური ხარვეზები ყოველთვის ახასიათებს, მაგრამ ჩვენი შერწყმული ურთიერთობიდან გამომდინარე, ყველაფრის ადვილად გადალახვა გვიწევს. მტკივნეულად არცერთი პრობლემა არ აღვიქვამთ“.

თეიმურაზი მამასთან ბაქშობისდროინდელ ურთიერთობებს ტკბილად იგონებს: „მისი სახლში მოსვლა ყოველთვის გვიხაროდა, ყოველთვის გვენატრებოდა. მისი სიტყვა ჩვენთვის ყველაფერი იყო. არასოდეს გვანებივრებდა. თავაზიანად და მორიდებულად ვექცეოდი. ყოველთვის მიზიდავდა პოლიციური ცხოვრება და ხშირად ვსაუბრობდით ამ თემაზე.

— ვის თვლით თქვენს მასწავლებლად? — ვეკითხები მას.

— რა თქმა უნდა, ბატონ ავთანდილ ეასაძეს. მან არამარტო პროფესიულად შემაიარაღა და გამომაწრთო, კაცური კაცის შესანიშნავი გაკვეთილებიც ჩამიტარა. მასთან მუშაობის წლები ჩემთვის ნამდვილი სკოლა იყო...

თეიმურაზს რომ შეეკითხოთ, თუ რაა მისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი მუშაობის მანძილზე, დაუფიქრებლად გიპასუხებთ: — პირველი ნაბიჯი, ქურდობაში მხილებული, არასრულწლოვანი გურგენიძის საქმის გამოძიება.

— თეიმურაზ, რა მოგცა პოლიციაში მუშაობამ?

— მან მაპოვნინა ჩემი გზა ცხოვრებაში. პოლიციის მუშაკში ვაფასებ საქმისადმი, მეგობრისადმი ერთგულებას. ვერაფითარ წარმატებას ვერ მიეაღწევდი, ერთგულების გარეშე.

ჩოხატაურის შს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბატონი რამაზ ჯინჭარაძე ასე ახასიათებს თეიმურაზ უჯმაჯურიძეს: — "იგი ბეჯითია და დავალებათა სანიმუშო შემსრულებელი. გამჭრიახია და აქვს უტყუარი ალღო. რაც მთავარია, არის ჭეშმარიტი პატრიოტი, პროფესიისადმი ერთგული. თეიმურაზის კიდევ ერთი, დიდი უპირატესობაა, რომ იგი ახალგაზრდაა, ენერგიით სავსე. უყვართ და აფასებენ ჩოხატაურელები ახალგაზრდა ოპერატიულ მუშაკს, თეიმურაზ უჯმაჯურიძეს."

32 წელი სამსახურის ერთგულებაში

ოლეგ ბელთაძე და მისი მეგობრები

32 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოზურგეთის შს რაიონული განყოფილების სამორიგეო ნაწილში დაიწყო მუშაობა ამავე რაიონის მკვიდრმა, პოლიციის ზემდეგმა ოლეგ ბელთაძემ, რომელიც აღნიშნული სამსახურის ღღემდე ერთგული აღმოჩნდა.

29 წლის წინათ მან ლამაზი ოჯახი შექმნა, პატიოსან, შრომისმოყვარე კაცს ასეთივე ადამიანი შეხვდა. მეუღლე მაყვალა სიხარულიძე იხსენებს: „ოლეგი ახალგაზრდობიდანვე კარგი ადამიანი იყო, ჩვენს მეზობლად მამიდა ჰყავდა, სადაც ხშირად მოდიოდა სტუმრად. მეც იქ გავიცანი, შემდეგ როგორც ყოველთვის, მშობლები ვერ ეგუებიან ქალიშვილის გათხოვებას და წინააღმდეგი იყვნენ. ბატონი ოლეგი იხსენებს: მიუხედავად წინააღმდეგობისა, მეც ავდექი და „მოვიპარე“ ჩემი მეორე ნახევარი. შემდეგ ქალიშვილი ქეთევანი შეგვეძინა, რომელიც ორი წლის ასაკში ავად გაგვიხდა ეპილეფსიით, თავისუფალი გადაადგილება არ შეეძლო“.

მშობლებმა თავიანთი შესაძლებლობა ამოწურეს. მაგრამ ჯანმრთელობა მაინც ვერ გაუუმჯობესეს, თუმცა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარეს და 20 წლის შემდეგ მათ ახალი სიცოცხლე, პატარა გიორგის სახით მოუელინეს ოჯახს. გიორგის მალე 6 წელი შეუსრულდება, ის ნამდვილი ვაჟკაცი იზრდება, ოლეგის გვარის გამგრძელებელი და საამაყო ყმაწვილი, რომელმაც სხვა ცხოვრებისეული სტიმული მისცა მშობლებს. გიორგი ხშირად აკითხავს პოლიციაში მამამისს. ყველაფერს ათვალიერებს, უყვარს იარაღები, ჯერ პატარაა, მაგრამ სამმართველოს უფროსობაზე ოცნებობს.

გიორგი გამოირჩევა თავისი თანატოლებისაგან, რაც არ შეიძლება არ ახარებდეს მის მშობლებს. მაგრამ მათზე ძალიან იმოქმედა 25 წლის ქეთინოს დაღუპვამ. რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ ვერაფრით დაეხმარნენ.

ოლეგ ბელთაძემ პოლიციის მუშაკის ცხოვრების ყველა სიძნელე იწვნია, გულით ეზიარა მის ყველა ავკარგს. მის გვერდით, არაერთი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა არაკაცის ხელმა. ყოველივე ამან ძლიერ იმოქმედა მასზე. ამას დაემატა ქალიშ-

ეილის დაღუპვა. თითქოს ჩაქრა სიცოცხლის სიხარული, მაგრამ საქვეყნო საქმეზე გული არ ასცრუებია კეთილ ადამიანს, სულით არ დაცემულა, დარდს უმკლავდება.

სხვა რა უნდა ექნა ოლეგს, ცხოვრება გრძელდება და მისი ყოველი დღე ჩვეულებისამებრ იწყება. თითქმის მთელი ოჯახი მის კისერზეა, სამსახურის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მთელი ღამეების განმაელობაში ვერ იძინებს. მიჩვეული იყო უძილობას, ქეთინოს თითქმის მთელი ღამეები ყურადღება სჭირდებოდა, დილით ადრე დგება, საქონელს უვლის, ცეცხლს ანთებს, გიორგის ბაღში ტოვებს და სამსახურში მიიჩქარის.

იგი მადლობელია ბატონ შოთა ჭანუყვაძისა და გიორგი ურიდიასი, რომლებმაც მიუხედავად რთული სტრუქტურული რეორგანიზაციებისა, მას სამსახური შეუნარჩუნეს და მისი ოჯახის წევრები ლუკმა-პურის გარეშე არ დარჩნენ.

ბატონი ოლეგი სამსახურშიც თაედაუზოგავია, ბევრჯერ მიულია მონაწილეობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში. მას დღესაც კარგად ახსოვს სტალინის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტი, რომელიც „ცხელ კვალზე“ გაიხსნა, რაშიაც დიდი წვლილი შეიტანა. მისი ოპერატიულობა დ საზრიანი მოქმედება სათანადოდ იქნა შეფასებული შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, მას გამოეცხადა მადლობა და პრემიითაც დააჯილდოვეს.

მასთან ერთად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში მონაწილეობდნენ: გ. კვასტიანი, კ. მიგინეიშვილი, ვ. ტრაპაიძე, ა. მიქაბერიძე, ტ. სიამაშვილი. ი. ჩაჩანიძე, ე. ბურჭულაძე, გ. ნადირიანი და სხვები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბოროტმოქმედებთან ბრძოლაში. ოლეგის მასწავლებლები იყვნენ ფ. ბახტაძე, ე. შალამბერიძე, ო. გაგუა, მათ დიდი როლი ითამაშეს მის პოლიციელად ჩამოყალიბებაში, იგი მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში, მიღებული აქვს მედლები „უმწიკელო სამსახურისათვის“, მხარის გუბერნატორისაგან კი მაჯის საათი.

ყველაზე დიდი ჯილდო ის არის, რომ იგი უყვართ და აფასებენ, პატივს სცემენ მას და მის ლამაზ ოჯახს, სადაც მისი ვაჟკაცი გიორგი იზრდება.

რამდენიმე თვის წინ ოზურგეთის პოლიციის სამორიგეოში, შეეხვდი და ბატონ ოლეგ ბელთაძეს ორიოდე შეკითხვა დავუსვი:

— ბატონო ოლეგ, დღევანდელი გადასახედიდან როგორი იყო პოლიციაში გატარებული წლები?

— ძალიან რთული, ძალიან დაძაბული, გაჭირვებაც ბევრი მინახავს და დალხინებაც, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ისე შეეხვედროდი ერთსაც და მეორესაც, რომ ადამიანური ღირსება

არ შელახულიყო, ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა არ შემერცხვინა. დღესაც ამ შემართებით ვარ, ვცდილობ ქვეყნისათვის სასიკეთო საქმე ვაკეთო, მინდა ახალგაზრდებს დაეხმარო, ჩემი ცოდნა და გამოცდილება გადავცე.

— რას უსურვებდი ჩვენს ქვეყანას, თქვენს კოლეგებს?

— ჩემი ქვეყნის გამთლიანებას, აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემების მშვიდობიანად გადაწყვეტას., ქვეყნაში შექმნილი მდგომარეობის უსწრაფესად გამოსწორებას. კოლეგებს კი განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებმაც უნდა შეგვცვალონ ჩვენ, ქვეყნის ერთგულებას და უანგარო სამსახურს ვუსურვებ.



მოგონებანი

გარდასულ დღეთა

„სანამ ვცოცხლობთ გულში მაქვს ყოველთა
ყოველნი ზიარნი,
ვინ მიცვლის მწვრთა მამულთა სატრფესნი და
სამარნი,
ნუ გვგონიეს თავადაზნაურნი – ესენ ისევ ესენ
ფარნი, –
ნუ ეფიქრენენ, იზრდოდეს მწვრთა მიხაშ გიდგეს
ბუნარი.
მოდენ მეც ეგენ ვიყავი, ეგ ანარს ჩემი
ბჭენარი!"

ვასაკა – ფშაველი

ზურაბ ჩხაიძე

გადავწყვიტე, მკითხველისათვის თავდაპირველად რესპოდენტის პიროვნება, ბიოგრაფია, საქმიანი თვისებები გამეცნო, და შეკითხვებიც აქედან დავიწყე.

– რას ეტყვით მკითხველს თქვენს შესახებ?

– იურისტობა ბავშვობიდან მინდოდა. ოცნება რაა, ვგიჟდებოდი... სულ დეტექტივებს ვკითხულობდი, ვფიქრობდი. სკოლა, რომ დავამთავრე და განვაცხადე იურისტობა მინდა მეოქი, ფეხზე დადგა ოჯახი. ბიძა მყავდა ყოფილი პოლიტპატიმარი, „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი წევრი ამირან მორჩილაძე, თბილისში მე-9 საავადმყოფოს მთავარი ექიმი. კინაღამ გადაირია, – უსამართლო სამართლის მსახური გინდა გახდეო?

დავმორჩილდი ჩემიანებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

დროს მისი მიჰქონდა. მის სურვილს როგორც ჩანს ასრულება ეწერა.

„სადაც არის ბედი შენიო... შინაგან საქმეთა სამინისტროში განაწილებით აღმოვჩნდი, თავიდან სასჯელაღსრულების სამმართველოში, მერე არასაუწყებო დაცვის სამმართველოში რევიზორ-ბუღალტრად ვმუშაობდი, აქედან გადამიყვანეს ოზურგეთში, ოზურგეთიდან გარდაბანში, შემდეგ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში“

ზოგისთვის იგი გენერალია, ზოგისთვის – ბატონი ზურაბი, ზოგისთვისაც – უბრალოდ ზურიკო, მაგრამ ყოველთვის და ყველასთან უდიდესი მეგობრობის და გულის კაცია.

როგორია ზურიკო? – მეუბნება ერთი საერთო მეგობარი – ცოტა მადროვე, გეტყვი. მივაგენი... ზურიკოს მარტო მკერდში კი არ აქვს გული, მე მგონი, ზურიკო მხოლოდ და მხოლოდ გულია.

გულიანი, უღალატო ხალხი უყვარს თავადაც. მისი გულის სითბო გარდაცვლილი მეგობრების ოჯახებსაც წვდება. ორი ათეული წლის წინ წავიდა ჩვენგან სერგო ხომერიკი. მაშინ მისი გოგონა 3 წლისა იყო. ჰკითხეთ და გეტყვით, რამდენი რამ გააკეთა ზურაბ ჩხაიძემ, ცხოვრება რომ შეემსუბუქებინა მეგობრის ობოლი ქალიშვილისათვის.

არც რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის ეთერ ქადეიშვილისათვის იყო ადვილი გენადი გიორგაძისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემა. არავინ ჰყავდა დამხმარე. ესეც არ გამორჩენია მხედველობიდან. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ წიგნიდან მიღებული შემოსავალი, წმინდა მოწამე კვირიკეს ეკლესიის მშენებლობას მოსმარდა.

ეთერ ქადეიშვილი იხსენებს: „ზურაბთან ვიყავი სამინისტროში. მაშინ ის მინისტრის პირველი მოადგილე იყო. კედელზე ჯვრები შევნიშნე.

– ოთახი აკურთხებინე?

– გიკვირს?... გაკვირვება ჩვენი მუშაკებისა გენახა. აქ ახლოს შავნაბადას მონასტერია. მოძღვარს მოსვლა ვთხოვე. შაბათი თუ კვირა დილა იყო რომ მობრძანდა. თანამშრომლებს გალობის ხმა რომ გაუგონიათ, უთქვამთ, გაგიჟებულა ჩვენი უფროსი, ქეიფი სამინისტროში დაუწყიაო. ყველაფერი ეს, შიგნით ყოფილა, გულის გულში. ყველაფერი რაც მქონია, რაც მაქვს და რაც მექნება, თურმე უფლისგანაა. გვიან მივხვდი... მადლობა ღმერთს ყველაფერისათვის.

„აქვს და აკეთებსო", გამაგონა ერთმა. მაგრამ, რამდენს აქვს და რამდენი აკეთებს? ასე, რომ არ იყოს, ხომ ეშველებოდა ქალაქის ცენტრში ათი წლის წინ დაწყებულ ეკლესიას. ამასთან დაკავშირებით, მისი ინიციატივით შეიკრიბნენ ოსურგეთელები, რომლებიც თბილისში მოღვაწეობდნენ და შესძლო ღვთიური საქმის ირგვლივ მათი გაერთიანება და შედეგმაც არ დააყოვნა.

ოსურგეთლებმა უნდა შეეძლოთ გაერთიანების მაგალითი მიეცეთ სრულიად საქართველოს. ამისათვის ერთგვარი „სასინჯი ქვა" შეიძლება გახდეს გაჭიანურებული საკათედრო ტაძრის მშენებლობის გააქტიურება. ამ იდეამ ერთ მუშტად უნდა შეკრას ყველა, ვისაც ოსურგეთის სიყვარული აქვს. ეს საქმე ნელ-ნელა დაიძრა, შემდეგ მრავალთა და სხვათა მეშვეობით საქმე კეთილად გასრულდა...

კიდევ, როგორი კუთხით გაგაცნოთ ზურაბ ჩხაიძე?

ტკივილსაც უცნაურად გამოხატავს.

„ახლა იცი, რა მენატრება? – ოჩამჩირე, სოხუმი, აფხაზეთი...

ბევრს დავიბრუნებთ აფხაზეთის დაბრუნებით, ჩემს დედულეთსაც... მაგრამ არა სისხლითა და იარაღით..."

ღიმილი ლამაზი და გადამდები აქვს. ეს მისი გამორჩეული თვისებაა. არც იუმორი აკლია. საკმაოზე მეტად პრინციპულია. შეუპოვარიც და შემართულიც. გარემოს და გარშემომყოფთა აღქმის უტყუარი ალღო აქვს. გეგონება ერთი-ორი შეხვედრის შემდეგ, შენი შინაურია. მაგრამ კარგა ხანს გაკვირდება და გრძ-

ნობს, რამდენად უღალატო ხარ. თუ დარწმუნდა შენში, უკეთეს თანამოაზრეს და მეგობარს ვერც ნახავ.

ყოველთვის ცდილობდა, მაქსიმალურად „ღია“ და „გამჭირვალე“ ყოფილიყო მასმედიის წარმომადგენლებთან. იყო დაუმსახურებელი ხხელეტებიც, უმადურობაც და გადამეტებული შეფასებაც.

გარეგნობაში ნაკლი რომ ვერ უპოვეს, ცხვირის „ასომგასომვა“ დაუწყეს. ზოგი იმანაც გააღიზიანა, სიგარეტის ბიზნესში დანაშაული რომ ჩხრიკეს და ვერ აღმოუჩინეს.

არადა თუ გულწრფელობაა, უნდა გიხაროდეს, ასეთ წარმატებებს რომ აღწევს კაცი. ლამაზი ოჯახი აქვს. მშვენიერი მეუღლე – მარინა და ორი ქალიშვილი: თამარი და ქეთევანი, (სიძე – გიორგი და შვილიშვილი – სალომე).

აი, რას წერდა ჯერ კიდევ 2000 წლის 15 აგვისტოს მისი აღმ'სრდელი მასწავლებელი შალვა თაავართქილაძე:

„ჩემო ზურაბ, გილოცავ სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ახალ, მაღალ საფეხურზე ასვლას. მიხარია, რომ ასე ღირსეულად ამართლებ ხელისუფლებისა და ხალხის ნდობას და ამიტომაც უყვარხარ და ეიმედები ყველას. ყოჩაღ, იყოს ასე მომავალშიც!

მასწავლებელი ხომ კარგი აღზრდილით ამაყობს! გწამდეს შენზე ლოცვა არ მომწყინდება. მახსოვს, ბავშვობიდან იყავი ნიჭიერი, გამბედავი და საქმიანი. სრულებით არ მიკვირს თქვენი მომწიფებული ცხოვრების ხანაში წარმატებები და სახელის დამსახურებულად მოხვეჭა. თვალსაჩინო პიროვნებას, საქვეყნოდ აღიარებულს და დაფასებულს, მიღებული გაქვს წარჩინების მაღალი წოდებანი. ჩვენ თავს ვიწონებთ მხოლოდ, რომ ასეთი შვილი გვყავს აღზრდილი, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის, ბახვის საშუალო სკოლის მერხიდან, ცხოვრებაში გასული.

ბევრი თქვენს ადგილზე გადიდგულდებოდა ასეთი წარმატებით, ზომაზე მეტად გადიდგულდებოდა. დაშორდებოდა მშობლიურ სოფელს, ხალხს, კუთხე-მეზობლობას. ყველას ზევიდან დაუწყებდა ცქერას, სხვის ჭირსა და ლხინს არ თანაუგრძნობდა. მადლობა უფალს, ასე არ არის. ჩვენთან სიახლოვის, თანადგომის, დახმარებისათვის დროს პოულობ, ღმერთმა ადამიანური სიკეთით უხვად დაგაჯილდოვა. თავაზიანობის, ყურადღებიანი ყოფაქცევის თვისებები დაგანათლა.

სწორედ ამიტომ უყვარხარ შენს თანასოფლელებს, როგორც შვილი და მეგობარი. მიღწეულით არ კმაყოფილდები. გავთამამდით შენი კუთხის შვილები, მეტს მოვითხოვთ და ველოდებით შენგან! იქნებ გადალახოთ სიძნელეები, გაეტეხოთ და

დავამარცხოთ აესულობა და ბოროტება, რომელიც თავს დაგეტრიალებს, შტანთქმა-წალეკვით გეემუქრება.

გვინდა იყო ჯანლონით საესე, მხნე და კლდესავით უდრეკი."

ბატონ ზურაბ ჩხაიძის ავტორიტეტმა არაერთი მოქალაქე იხსნა განსაცდელისაგან. ამის ნათელი მაგალითია ომისა და შრომის ვეტერანის ვანო თოიძის მიერ გაზეთ „პოლიცია და საზოგადოება"-ში გამოქვეყნებული წერილი: „ოსურგეთისაკენ მოვდიოდით. ნაგომართან მანქანა გაგეფუჭდა, წესრიგში რომ მოვიყვანეთ, საკმაოდ ბნელოდა, ძიმითის გადასახვევთან მსუბუქი მანქანა წამოგვეწია... გაგვასწრო და გზა გადაგვიღობა.

ოთხი ავტომატმომარჯვებული ნიღბიანი ყაჩაღი წინ გადაგვიდგა და მანქანიდან გადმოსვლა გვიბრძანეს. ქალებმა და ბავშვებმა ერთი შეკივლება კი მოასწრეს, მაგრამ მომენტალურად აუკრეს პირი. ჩემს შვილს მანქანის გასაღები წაართვეს, დაბლა ჩამოაგდეს და ის იყო ავტომატის ჩარტყმას უპირებდნენ, რომ მივეარდი და ყაჩაღს ყურში ჩაეჩურჩულე:

— ზურაბ ჩხაიძე თუ გაგიგონიათ?

— მერე რა გინდა?

— ძმის'შვილია ჩემი, მინდა იცოდეთ... დანარჩენი თქვენ'ზე იყოს.

ყაჩაღი შეჩერდა. თავისიანები გვერდზე გაიხმო. რაღაც ილაპარაკეს. მერე, ერთ-ერთმა მომიბრუნდა და — ღმერთი მოგეხმარაო — მითხრა. გზა გაათავისუფლეს და გაგვიშვეს.

სახლამდე ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. ენაჩავარდნილები ვიყავით. ბაკშვებს სიბნელის შიში დასჩემდათ. როგორც კი შებინდდება სახლის კარებს კეტავენ. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, ყაჩაღებს თავისი ჩანაფიქრი რომ შეესრულებინათ.

ასე გამოვიყენე ბატონო ზურაბ, შენი სახელი და გვარი, იმ საბედისწერო ღამეს. მართალია, შენი ალალი ბიძა არა ვარ, მაგრამ გჯეროდეს, ჩემზე უფრო დიდი თაყვანისმცემელი და მოსიყვარულე კაცი, ამ ქვეყანაზე არ გეყოლება. შენმა სახელმა გადაგვარჩინა იმ ღამეს. შენი სახელი დალოცოს ღვთისმშობელმა".

კიდევ ერთი სამადლობელი წერილი გამოქვეყნდა 2000 წლის სექტემბრის თვის გაზეთ „პოლიცია და საზოგადოები"-ს ფურცლებზე, სადაც ჟურნალისტი გულსუნდა მახარაძე აღნიშნავდა: „არ მომწონია საუბარი ბატონ ზურაბ ჩხაიძესთან, თორემ აუცილებლად იმასაც ეკითხავდი, რას ნიშნავს თქვენთვის მეგობრის ხსოვნა — მეთქი.

მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვენს რედაქციაში გენადი გიორგაძის მეუღლე, ქალბატონი რუსუდანი მობრძანდა და მისგან გავიგე თუ რა ძვირფასია ზურაბისთვის საყვარელი ადამიანის ხსოვნა.

თვალცრემლიანი რუსუდანი, უპირველესად იმ წლებს იხსენებს, როცა გენადი და ზურაბი ერთად მუშაობდნენ ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში, მიყვება მათ ახლო ურთიერთობებზე, თურმე ძაღლიან აფასებდნენ და ენდობოდნენ ერთმანეთს.

როცა გენადის მეუღლე ავადმყოფობის ამბავი გახმაურდა, ყველა შზად იყო ეხსნა მისი სოცოცხლე, მაგრამ თავად გენადი ვერა და ვერ იცლიდა საკუთარი ჯანმრთელობისათვის მისახედად. გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსი, ღღედაღამ რეგიონში სიმშვიდის მისაღწევად ბრძოლობდა. საინტერესო ჩანაფიქრების განსახორციელებლად ცხოვრება... მან ცხოვრება 47 წლის ასაკში დაასრულა. შინაგან საქმეთა ორგანოებს დააკლდა განათლებული, ორგანიზატორული ნიჭით და პატიოსნებით გამორჩეული მუშაკი.

— რომელი ერთი გითხრათ. — მეუბნება ქალბატონი რუსუდანი — ზურაბი წუთითაც არ მოგეშორებია იმ მძიმე დღეებში. მან იზრუნა საფლავის გაკეთებაზე, გასწია ხარჯები, წიგნის გამოსაცემად, რომელშიც გენადის ცხოვრებაა ასახული. ჩვენი შვილები — სოფო და აკაკი შინაურებად მიაჩნია. ყურადღებას არ იშურებს მათთვის. ზურაბი იყო პირველი, რომელმაც სოფოს მიულოცა დიდი ბედნიერება. ეგი ხომ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მან ჩემი სამსახურისთვისაც იზრუნა, რომ საარსებო საშუალება გვქონოდა.

კაცად მაშინ ხარ საქები, როცა საკუთარი თავის გარდა, სხვაც გახსოვს. მით უფრო გარდაცვლილი მეგობრის ოჯახი და მისი სატკივარი გტკივა. მზად ხარ შეუმსუბუქო ქვრივ-ობლებს ყველა გასაჭირი.

მეც ვუერთდები ქალბატონი რუსუდანის მადლიერებას თქვენდამი, ბატონო ზურაბ და სამაგალითოდ მიმაჩნია, რომ არ გაეიწყდებათ ფიზიკურად და სულიერად ლამაზი ვაჟკაცის, გენადი გიორგაძის სახელი.

მუდამ გევლოთ ხალხური სიბრძნით — „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდება“.

ზურაბ ჩხაიძის სახელს ბევრი გახმაურებული საქმის გახსნა უკავშირდება. მათ შორის „ლოტკინის საძმოს“ მიერ ჩადენილი საზარელი მკვლელობები. — ეს და სხვა საქმეები ჩემი კოლეგების დამსახურებაა, მე მათ თანავუგრძნობდი და გვერდით ვედექი, — აღნიშნა ზურაბ ჩხაიძემ.

1997 წლის 24 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, თბილისში, ბახმაროს ქუჩაზე №12-ში მცხოვრებ პუჩკალიდისელების ოჯახს, თავს დაესხა 5 ნიღბიანი ბოროტმოქმედი, რომელთაგან ერთი პისტოლეტით იყო შეიარაღებული, 3 კი, ავტომატით. ბანდიტებს, როგორც შემდეგ გაირკვა, ერთ-ერთი თანამზრახველისგან მიღე-

ბული ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ცოლ-ქმარი წინა დღეს საბერძნეთიდან დაბრუნდნენ და დოლარები ექნებათ ჩამოტანილიო.

პირველ სართულზე, ერთ-ერთ ოთახში შესული ყაჩაღები მძინარე მამაკაცს დაადგნენ თავს. იარაღები მიაბჯინეს და ფული მოსთხოვეს. ბანდიტებს იგი ოჯახის უფროსი ეგონათ.

— მე სად მაქვს ფული, ოჯახის მეუბნელი ვარ, სახლი მქონდა ჩაბარებული და წუხელისაც აქ დავრჩი. — უთხრა მათ შეშინებულმა მამაკაცმა, გვარად აბუაშვილმა.

ყაჩაღები როცა დარწმუნდნენ, რომ აბუაშვილი ნამდვილად არ იყო ოჯახის უფროსი, ოთახში გამოკეტეს და გავიდნენ „საქმის გასაგრძელებლად". ამით ისარგებლა აბუაშვილმა, ფანჯარა გამოაღო და დაიწყო ყვირილი, გეიშველეთ ყაჩაღები დაგვესხნენო.

ყვირილზე მეზობლებთან ერთად მის დასახმარებლად სწრაფად გაიქცა მისი სიძე — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი — ზაურ ტალახაძე. მან ტაბელური იარაღიდან რამოდენიმეჯერ ისროლა ჰაერში იმ იმედით, რომ ყაჩაღები დაფრთხებოდნენ და ხელს აიღებდნენ ბოროტ განზრახვაზე. მაგრამ... ჭიშკართან მისულ ზაურ ტალახაძეს, იქვე ჩასაფრებულმა ერთ-ერთმა ყაჩაღმა, პისტოლეტიდან შეიღჯერ ესროლა. ზ. თალახაძე ძირს დაეცა. გარშემო სისხლის გუბე დადგა. მასთან საშველად მიირბინა მისმა ცოლის დამ, მანანა აბუაშვილმა. წამოაწვინა თავი, კალთაში ჩაიდო და მოწმენდა დაუწყო. ამ დროს მათ და ასევე საშველად მოსული ზაურ ტალახაძის მეუღლეს მარიამ აბუაშვილს, თავს დაადგა კიდევ 3 ავტომატიანი ბანდიტი და ორი ქალბატონის თვალწინ, მიბჯენით, ავტომატით დაცხრილეს, შემდეგ კი დანებით დაჩეხეს, ზაურ ტალახაძე.

ამის შემდეგ ბანდიტები მიიმალნენ.

იმავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსთან, პოლიციის გენერალმაიორთან ზურაბ ჩხაიძესთან შედგა საგანგებო შეკრება, სადაც დაიგეგმა ამ დანაშაულის გახსნისა და ბოროტმოქმედთა დაკავების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები... სამართალდამცველები უკვე მუშაობდნენ ერთ-ერთი კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის გამოვლენაზე. არ იყო გამორიცხული, უშიშროების თანამშრომლის მკვლელობაც სწორედ ამ ჯგუფის წევრებს ჩაედინათ.

კონკრეტული პირების დასადგენად საჭირო ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება დაეკისრა ორ ახალგაზრდა ოპერატიულ თანამშრომელს: განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორს კახა ჩინჩალაძესა და მის მეწყვილეს, ინსპექტორ გოდერძი ჩარქველიანს. მიცემული დავალების შესრულებას მათ ერთგვარად

უმსუბუქებდა ამ საქმეში ფრიად გამოცდილი ხელმძღვანელების — განყოფილების უფროსის ზაზა ფერაძისა და მისი მოადგილის, გიორგი ლილუაშვილის მუდმივი თანადგომა. იმ ფაქტმა, რომ არა მარტო უშიშროების თანამშრომლის მკელელობა, არამედ სხვა მრავალი დანაშაულიც ნაძალადევის რაიონში, კერძოდ, ლოტკინის დასახლების მიმდებარე ადგილებში მოხდა, ახალგაზრდა ოპერმუშაკებს აფიქრებინა, რომ დამნაშავეთა ჯგუფის წევრები სწორედ იქ უნდა ეძებნათ.

ახალგაზრდა მუშაკებმა, სხვადასხვა ოპერატიული „კომბინაციების" ჩატარების შემდეგ, შესძლეს ფრიად ყურადსაღები ცნობების მიღება. მათ უკვე დაადგინეს ერთერთი წევრის ვინაობა და ადგილსამყოფელი. მოგვიანებით კი — ბანდის სხვა, სავარაუდო წევრების ვინაობაც. მუდმივად თვალს ადევნებდნენ მათ გადაადგილებას, შეხვედრის ადგილებს. ყოველივე ამის შესახებ, როგორც წესი, ოპერატიულად აყენებდნენ საქმის კურსში ზურაბ ჩხაიძეს, რომელიც ასევე ოპერატიულად აძლევდა შესაბამის რჩევებსა და მითითებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს უკვე მყარი ნიადაგი ჰქონდათ მომზადებული საიმისოდ, რომ დაეწყოთ დამნაშავეთა აყვანა.

მათი ინფორმაციით ბანდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბონდო ბუცინაშვილი, თავის დეიდაშვილთან, დაბადების დღეზე უნდა მისულიყო. ასეც მოხდა. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ოპერატიულმა ჯგუფმა, ელვის სისწრაფით „სუფთად", ყოველგვარი გართულების გარეშე შეიპყრო ბოროტმოქმედი.

რამდენიმე დღის შემდეგ, საკუთარ ბინაში შეიპყრეს ბანდის შექმნის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი კობა კობახიძე, ერთმანეთის მიყოლებით დააკავეს დანაშაულებრივი დაჯგუფების კიდევ ათიოდე წევრი.

ბანდიტური ჯგუფის დანარჩენი წევრების ძებნა-დაკავების საქმეში აქტიურად ჩაებნენ ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამძებროს მუშაკები და ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთი განყოფილების უფროსის, მერაბ ბაღათურიას ძალისხმევით, დააკავეს ბანდის წევრები: სულხან ასლამაზაშვილი, ზვიად პაპიაშვილი, ნიკოლოზ ლატარია და ნიკოლოზ ჯიქია.

ეჭვმიტანილთა ძებნის პარალელურად, ინტენსიურად მიმდინარეობდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. შუქი ეფინებოდა ათობით ჩადენილ მძიმე დანაშაულს. იკვეთებოდა მათში მონაწილე ახალი პირების ვინაობა. ამ ღონისძიებებს მოჰყვა ბანდის სხვა წევრების — პაატა ცერცვაძის, რომან ფაღავასა და თეიმურაზ კოხრეიძის დაკავება.

სულ მართლმსაჯულებას გადაეცა ოცი ბოროტმოქმედი.

ბანდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აბესალომ ზენაიშვილი, ერთხელ უკვე იჯდა ციხეში განსრახ მკვლელობისათვის, მაგრამ 1992 წლის თებერვალში, თბილისის ცნობილი მოულენების შემდგომ გამოცხადებული ამნისტიით, გამოუშვეს პატიმრობიდან. ამჯერად კი, მას სხვა მძიმე დანაშაულთან ერთად, ბრალად ედებოდა ზაურ ტალახაძის მკვლელობა.

პოლიცია კარგა ხანს ვერ აგნებდა მის კვალს, ვერც გურიაში, საიდანაც იგი იყო წარმოშობით და ვერც თბილისში. ოპერატიული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, აბესალომ ზენაიშვილი პერიოდულად ნახულობდა თავის ძმას, რომელიც ქ. თბილისში ერთ-ერთ მშენებლობაზე მუშაობდა.

ოპერატიული ჯგუფის წევრები დილიდანვე გაეშურნენ მშენებლობაზე. კახა ჩინჩალაძემ კოლეგები ავტომანქანიანად ცოტა მოშორებით, მოფარებულ ადგილზე დატოვა. თავად კი ვითომ შემთხვევით გამვლელმა, სამშენებლო მოედნისაკენ გასწია. მიდიოდა აუჩქარებლად. თან ყურადღებით ათვალიერებდა იქაურობას.

მან ერთმანეთზე დაწყობილ სამშენებლო ბლოკებთან ახალგაზრდა მამაკაცი შენიშნა. შარვალი თასმებით ჰქონდა დამაგრებული. პროფესიონალის ოპერატიული განსჯის მექანიზმი მაშინვე ამუშავდა. ესე იგი, ეს კაცი უცხოა. თასმებით დამაგრებულ შარვალზე ქამარს აღარ ხმარობენ. მას კი, მაგრად შემოჭერილი ქამარი ერტყა. ალბათ იარაღის ჩასადებად. უცილებელი იყო სწრაფი მოქმედება. მოულოდნელობის ეფექტი ხშირად გადამწყვეტია.

კახა ჩინჩალაძე მივიდა უცნობთან და პირდაპირ უთხრა: — შენ ხარ აბესალომ ზენაიშვილი?

უცნობმა მაშინვე საქამრეზე იკრა ხელი და ხელსახოცში შეხვეული ნიეთი დააძრო. კახამ ძიუდოს ილეთის გამოყენებით ძირს დასცა ბანდიტი. ოპერატიული ჯგუფის წევრებიც უმალ გაჩნდნენ მასთან. ა. ზენაიშვილს აართვეს იარაღი, რომლის გამოყენებაც ვერ მოასწრო. (მოგვიანებით ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სწორედ ამ პისტოლეტით იყო მოკლული უშიშროების ოფიცერი ზაურ ტალახაძე).

იმ დროისათვის, ოპერატიულ სამსახურს და გამოძიებას უკვე დადგენილი ჰქონდა ბანდიტური ჯგუფის ისტორია, მისი კავშირები და ხელწერა, რომლის თანახმადაც, ე. წ. „ლანჩხუთელთა“ ბანდიტურ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა კახა ორაგველიძე, ცნობილი სპორტსმენი და მოცეკვაე. თუმცა შემდეგ ლოტკინელები და ლანჩხუთლები ერთ ბანდად გაერთიანდნენ. ბანდას ჰყავდა „დამხმარე ძალები“ — ხალხი ვისთანაც ინახავდნენ ნაყაჩა-

ღარს, ვინც ეწეოდა ნაყაჩაღარის ტრანსპორტირებას, ვინც ახდენდა გატაცებული ნივთებისა და ძვირფასეულობის რეალიზაციას.

დასაყაჩაღებელი ოჯახების „კანდიდატურები", გარდა პროფესიონალი „ნაკოლის" მიმცემებისა, შემოპქონდათ თვით ბანდის წევრებსაც. ასეთ შემთხვევაში კი, რაკი „ობიექტი" ხშირ შემთხვევაში თვით ბანდის წევროა ნათესავი, მეზობელი ან ახლობელი იყო. პირადად არ მონაწილეობდნენ ყაჩაღურ თავდასხმაში.

ყველა ბანდიტს, როგორც წესი, გულზე ჩამოკიდებული ჰქონდა ჯვარი. ნაძარცვში მოხვედრილ ხატებსა და ჯვრებს, აუცილებლად სწირავდნენ ეკლესიას. გარეგნული მორწმუნეობის მიღმა კი, მათ მიერ დარღვეული იყო, უფლის ყველა მცნება.

ბანდამ, სისასტიკითა და ცინიზმით აღსავსე, ათობით დანაშაული ჩაიდინა. მათ შორის განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ნანა და ნუგზარ აბრამიშვილების მცირეწლოვანი შვილების თვალწინ ავტომატებით დაცხრილვა. ერთ-ერთ გახმაურებულ ბანდიტურ თავდასხმას კი თვით ბოროტმოქმედის სიცოცხლე შეეწირა. მათგან ამოიღეს 3 ცალი „აკს"-ის სისტემის და 1 ცალი „აკსუ"-ს ტიპის ავტომატური იარაღი.

ამით დაესვა წერტილი „ლოტკინის საძმოს" სისხლიან ისტორიას.

ზურაბ ჩხაიძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ბრწყინვალედ განხორციელებულ ოპერატიულ ღონისძიებათა სია, გრძელზე გრძელია. მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ-ერთს, რომელშიც საუბარია გურიაში ბანდიტური ეპოპეის დასასრულზე.

ამბავი ბოლოდან უნდა დავიწყოთ.

1998 წლის 6 აგვისტოს, 00 საათსა და 30 წუთზე, ქალაქ ოზურგეთისა და სოფელ დვაბზუს საზღვართან, წერტილი დაესვა გურიაში ყაჩაღური ბანდების თარეშის ექვსწლიან ისტორიას. პოლიციელებთან შეიარაღებული შეტაკებისას, ლიკვიდირებულ იქნა ბანდის მეთაური ნოდარ სვანიძე და ბანდის წევრი ზაზა ქავთარაძე. ნოდარ სვანიძეს, 1993-98 წლებში მის მიერ შექმნილ ოცდაათკაციან ჯგუფთან ერთად, ჩადენილი ჰქონდა 150-ზე მეტი ყაჩაღობა და სხვა მძიმე დანაშაული, მათ შორის 2 პოლიციელის მკვლელობა.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მთელ საქართველოში დასადგურებული კრიმინალური კოშმარი, ყველაზე დიდხანს გურიაში გაგრძელდა. გურიის გარდა არც ერთ რეგიონში აღარ იყო დარჩენილი ხანგრძლივი დროის მანძილზე მოქმედი მრავალკაციანი ბანდა. რაიონების პრეფექტებისა და გამგებლების ხშირ ცვლას, ავტომატურად მოსდევდა პოლიციის უფროსების ცვლა.

ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების, შემდეგ კი, სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური ფორმირებების მხრიდან, პოლიცია განიცდიდა მუდმივ ზეწოლას. ხდებოდა მისი განიარაღება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურება. დაეცა პოლიციის მებრძოლი სული. გულგრილობას ხშირ შემთხვევაში თან სდევდა საქმის ღალატი. ზოგიერთი სულმოკლე თანამშრომელი კრიმინალებთან შეეიდა ალიანსში. ამან საბოლოოდ დასცა პოლიციის აუტორიტეტი და ნდობა. ამ და სხვა მიზეზებითაც მხარის პოლიცია დატოვა ასზე მეტმა თანამშრომელმა.

მიუხედავად იმისა, რომ გურიის პოლიცია ფაქტობრივად დაშლილი იყო, მის რიგებს კიდევ შემორჩნენ თანამშრომლები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად მაინც ვაუკაცურად იდგნენ კრიმინალთა ურდოებშემოსეული მოსახლეობის სადარაჯოზე.

ოზურგეთის რაიონის პოლიცის განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი იური სიორიძე, ყოველთვის გამოირჩეოდა სიმამაცითა და პროფესიონალიზმით, როგორც სპორტულ ასპარეზზე, ისე კრიმინალებთან ბრძოლაში. მან გარს შემოიკრიბა ერთგული თანამშრომლები და მოკლე დროში რამდენიმე მძიმე დარტყმა მიაყენა აღზევებულ ბანდებს.

სწორედ აქედან დაიწყო სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირება კრიმინალურ სამყაროსთან. კრიმინალებთან შეტაკებისას დაიღუპა 21 თანამშრომელი და დაიჭრა 28.

ოზურგეთის ცენტრში შარაშენიძისა და ცეცხლაძის ბანდიტურ ჯგუფთან შეიარაღებულ შეტაკებისას დაიღუპა სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი ნუგზარ ტყემალაძე, რომელიც ერთხელ უკვე იყო დაჭრილი ყაჩაღებისაგან.

ორი კვირის შემდეგ, ქობულეთის რაიონის საზღვარზე, ბანდიტებთან შეიარაღებულ შეტაკებისას გმირულად დაიღუპნენ ოზურგეთის პოლიციის უფროსი იური სიორიძე და ადმინისტრაციული პრაქტიკის უფროსი ინსპექტორი, ნუკრი სეფერთელაძე. მძიმედ დაიჭრა 5 თანამშრომელი, მათ შორის პოლიციის უფროსის მოადგილე, ზურაბ გულბიანი, გიორგი კუკულაძე და ავთო გობრონიძე. ერთი ბოროტმოქმედი – ანანიძე, ადგილზე იქნა ლიკვიდირებული.

გურიის მოსახლეობისა და პოლიციისათვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა 1994 წელი. ამ წელს განზრახ მოკლეს 40 ადამიანი და მათ შორის 9 პოლიციის თანამშრომელი.

სოფელ ცხემლისხიდთან ჩასაფრებულმა ულერიას ბანდიტური ჯგუფის წევრებმა ავტომატებით დაცხრილეს ოპერატიულ შემოვლაზე გასული ოზურგეთელი პოლიციელები: შოთა სანიკიანი,

სოსო ნიკოლეიშვილი, არკადი ხაბულიანი და ვანო ბორჩხაძე. ასევე, შეტაკებაში დაიღუპნენ ოზურგეთის პოლიციის თანამშრომლები, შოთა თავდგირიძე და მაიზერ ჯანხოთელი.

კრიმინალები განსაკუთრებულ დაუნდობლობასა და სისასტიკეს იჩენდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ადგილობრივი პოლიციის დასახმარებლად ჩასული თანამშრომლების მიმართ.

ცეცხლაძისა და შარაშენიძის ბანდიტურ ჯგუფთან შეტაკებისას მოკლეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ლუდვიგ აბრამიანი. „ცხელ კვალზე" გატარებული ოპერატიული–სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბანდის მეთაურები იქვე იქნენ ლიკვიდირებულნი.

1994 წლის თებერვალში, სოფელ ოზურგეთში, ე.წ. „ფირალას" ბანდიტური ჯგუფი, თავს დაესხა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჩამოსულ ოპერატიულ ჯგუფს. ბანდის უფროსმა ავტომატური იარაღიდან გასროლით მოკლა სამძებროს უფროსი ინსპექტორი თამაზ რუხაია. თუმცა „ფირალას" აღარ შერჩა ავკაცობა. ოპერატიული ჯგუფების წევრებმა საპასუხო სროლით სიცოცხლეს გამოასალმეს თეითონ „ფირალა" და ბანდიტური ჯგუფის კიდევ ორი წევრი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დარწმუნდა; რომ აუცილებელ იყო ადგილობრივი პოლიციის ერთგული, გამბედავი და პროფესიონალი ხელმძღვანელი ბირთვის შექმნა. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რწმუნებულად გურიის რეგიონში გენადი გიორგაძე დაინიშნა. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული რეგიონში მოთარეშე ბანდიტურ დაჯგუფებასთან ბრძოლის ახალი ძალით გაჩაღება. თამამად შეიძლება ითქვას, გენადი გიორგაძე თავისი პროფესიონალური და ადამიანური თვისებებით ნათელი წარსული იყო, არა მარტო გურიის, მთლიანად, საქართველოს პოლიციის ისტორიაში.

კრიმინოგენური თვალსაზრისით, ყველაზე სავალალო და რთულ მდგომარეობაში მყოფ ოზურგეთის რაიონის პოლიციას, სათავეში ჩაუყენეს პოლიციის პოლკოვნიკი ვიქტორ გობრონიძე. უკვე ორივეს ჰქონდა გამოელილი მძიმე ბრძოლები და როგორც მებრძოლებმა და ოპერატიულმა მუშაკებმა, მრავალჯერ გამოიჩინეს თავი ბრძოლის ველზე და კრიმინალურ სამყაროსთან დაპირისპირებაშიც.

სოფელ ასკანაში ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული ბანდიტები თავს დაესხნენ ნიკო შევარდნაძის ოჯახს და დაუწყეს ძარცვა, ხმაურზე მისაშველებლად გამოვიდა ახლო მცხოვრები სიძე, 4 შვილის მამა სერგო ქოჩალიძე, რომელიც

ბანდიტებმა მძეელად აიყვანეს. ისინი მძეელითა და ნაძარცვით მეზობლად მცხოვრებ, ნიკო ქუთათელაძის ოჯახს მიადგნენ. იქ ჩაის ფული ეგულებოდათ. ქუთათელაძემ სანადირო თოფის გასროლით გაუწია წინააღმდეგობა ყაჩაღებს. ბანდიტებმა საპასუხოდ ცეცხლი აეტომატებიდან გაუხსნეს და თან ხელყუმბარაც მიაყოლეს, რამაც, მძევლად აყვანილი სერგო ქოჩალიძის სიცოცხლე შეიწირა.

პირველ ხანებში ბანდის წევრები ჟღერიასა და გაგნიძის ჯგუფის ნარჩენები ეგონათ. მაგრამ მალე დარწმუნდნენ ამ ვერსიის სიმცდარეში.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გაიჩხრიკა ნოდარ სვანიძის, თენგიზ ჩაველეშვილისა და ჯიმშერ სოროზანიშვილის ბინები... ამ უკანასკნელის ბინაში აღმოჩნდა მორჩილაძეების ოჯახიდან გატაცებული სანადირო თოფი. სვანიძის ბინიდან კი, ამოიღეს შეევარდნაძის ბინიდან გატაცებული „დუბლიონკა“. დამნაშაველებმა კი, სამწუხაროდ, შესძლეს მიმალვა.

ეჭვმიტანილთა ოჯახებში აღმოჩენილი ჯგუფური ფოტოების მეშვეობით დადგენილ იქნა ბანდის სხვა წევრების ვინაობაც.

თბილისში, მეტროსადგურ „პოლიტექნიკურთან“ დააკავეს ბანდის ერთ-ერთი წევრი თენგიზ ჩაველეიშვილი, მეტსახელად „ჩოფჩოფა“. გამოძიებით დადგინდა, რომ ჩაველეიშვილს მონაწილეობა ჰქონდა მოღებული 28 ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და ჩოსატაურის რაიონში, ქ. ბათუმის მკვიდრის გოჩა ქერქაძის გატაცებასა და და მისთვის ათასი დოლარის გამოძალვაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბანდის წევრთა ძებნისა და დაკავებისათვის ყველაფერი გააკეთა. მხარის პოლიცია აღიჭურვა ცეცხლსასროლი იარაღით, ტრანსპორტით, საწვავით, პრაქტიკულად დაიწყო ყველაფრის შექმნა ნულიდან. ფირმა „მარტინ ბაუერის“ მიერ საჩუქრად გადმოცემული 50 ათასი გერმანული მარკითა და სამინისტროს მიერ დამატებული 10 ათასი ლარით შეძენილი კავშირის თანამედროვე სისტემით, ოპერატიულად გადაიხურა მთელი რეგიონი.

ამგვარი დახმარებითა და თანადგომით ოზურგეთის პოლიცია, თანდათან ძლიერდებოდა. იბრუნებდა მებრძოლ სულს, უშიშრად ებმებოდა კრიმინალებთან ბრძოლაში.

სვანიძის ჯგუფთან პირველი შეიარაღებული შეტაკება 1995 წლის 5 იელისს მოუხდა პოლიციას – სოფელ დვაბზუში. პოლიციელთა წინადადება, დაეყარათ იარაღი, არაფრად ჩააგდეს, ცეცხლი გაუხსნეს და განადგურება მოუნდომეს.

ბანდის ერთ-ერთი წევრი – თემურ მამალაძე ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. დანარჩენებმა კი, მიატოვეს „ბრძოლის ველი“ და მოახერხეს მიმალვა.

გურიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში გრძელდებოდა ბანდის წევრთა ძებნა. თენგიზ ჩავლეიშვილის თბილისში დაკავებიდან მეორე დღეს, სამტრედიაში დააკავეს იქაური საგზაო ინსპექტორი, ბადრი ცეცხლაძე. იმავე დღეს, მონადირის ფორმაში გადაცმულმა პოლიციელებმა საქონლის ფერმაში დააკავეს ვითომ მწყემსი, ყოფილი პოლიციელი, გიზო მეფარიშვილი. პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა ამ ბოროტმოქმედებმა, სვანიძის ბანდასთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს თბილისი-ბათუმის გზატკეცილზე „შეკვეთილთან“, თურქეთიდან მომავალ ავტობუსზე ყაჩაღურ თავდასხმასა და მგზავრების გაძარცვაში. მათვე, იმავე დღეს, იქვე, სამ მოქალაქეს, იარაღის მუქარით გასტაცეს მსუბუქი ავტომანქანა.

სოფელ ბაილეთში პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა დააკავა გზად მიმავალი კიდევ ერთი ბანდიტი, კახა თედორაძე. მას ჩამოერთვა: 1-ავტომატი, 4-მჭიდი, 3-ხელყუმბარა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი „მუხა“.

გამოძიებით დადგინდა, რომ თედორაძემ, „სვანიძის ჯგუფის“ სხვა წევრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო 49 შეიარაღებულ ყაჩაღურ თავდასხმაში, 3 ადამიანის გატაცებასა და ფულის გამოძალვაში.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია კვალში სდევდა და თანდათან ანადგურებდა „სვანიძის ჯგუფს“, იგი კვლავ განაგრძობდა ყაჩაღობასა და ადამიანის გატაცებას. ოღონდ, რადგან ოზურგეთის პოლიციასთან ყერაფერს გახდა, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში გადაინაცვლა.

ამ ხალხს უკვე სისხლში ჰქონდათ ხელები გასვრილი და მოსალოდნელი იყო ვითარების სერიოზული გართულება.

მოვლენები მართლაც ტრაგიკულად განვითარდა. 1996 წლის 10 ოქტომბერს, ღამით, სოფელ ბაღდადში მოხდა ბანდიტური დაჯგუფებისა და პოლიციის ოპერატიული ჯგუფის შეიარაღებული შეტაკება. რა დროსაც დაიღუპა პოლიციელი ნუგზარ შალიკავა. მძიმედ დაიჭრა ერთ-ერთი ბანდიტი – გელა მინდაძე.

ამ პერიოდში, სამხარეო სამმართველოსა და ოზურგეთის რაიონის პოლიციის ხელმძღვანელობას შორის, ურთიერთობა სხვადასხვა მიზეზით დაიძაბა, რის გამოც ვიქტორ გობრონიძე თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ.

როგორც მოსალოდნელი იყო სვანიძის ბანდამ კვლავ „თავი აიშვა“ და და დაიწყეს სამართალდამცავებზე ნადირობა.

1997 წლის 24 მაისს, სოფელ ძიმითის ცენტრში, თავს დაესხნენ და ავტომატებით დაცხრილეს ოზურგეთის პოლიციის სამძებროს ინსპექტორი რეეაზ მალაყმაძე და ყოფილი პოლიციელი მამია ქართველიშვილი.

1997 წლის 3 აგვისტოს კი, პოლიციის ოპერატიული ჯგუფი, სოფელ ქვედა ბახვთან, პირისპირ შეება სვანიძის ჯგუფს. ლიკვიდირებული იქნა ბანდის ერთ-ერთი წევრი. მძიმედ დაჭრეს ბანდის მეთაური ნოდარ სვანიძე. ამ შეტაკებაში სამწუხაროდ დაიღუპა ერთი პოლიციელი — გიორგი შეყილაძე.

1998 წლის 8 მარტს, შუაღამისას, სოფელ ცხემლისხიდის ცენტრში, სვანიძის ბანდის ერთ-ერთმა, ყველაზე თავზეხელაღებულმა, დაუნდობელმა წევრმა გელა მინდაძემ, ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა პოლიციის ოპერატიულ ჯგუფს, მძიმედ დაჭრა მძღოლი პოლიციელი რამინ წულაძე და უბნის ინსპექტორი კახა კუპრაძე. საპასუხო სროლით ბანდიტი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმ დღეებში, ტელევიზიითაც გააკეთა განცხადება. მოუწოდა ბანდიტებს ნებაყოფლობით ჩაბარებოდნენ მართლმსაჯულებას. ხოლო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ადგილზევე იქნებოდნენ ლიკვიდირებულნი.

გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში შემოვიდა ინფორმაცია, სვანიძის ბანდის ადგილსამყოფელის შესახებ. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი ვიქტორ გობრონიძის მეთაურობით.

ქალაქის განაპირას დაუსახლებელ ადგილზე, სოფელ ღვაბზუს მისადგომებთან მოხდა ჩასაფრება. მალე ისინიც გამოჩნდნენ. ვიქტორ გობრონიძემ უბრძანა: იარაღი დაეყარათ და დანებებოდათ.

ამის საპასუხოდ, სვანიძემ ავტომატის ჯერი მიუშვა გობრონიძის მისამართით, სამხარეო პოლიციის უფროსი მსუბუქად დაიჭრა. ბანდიტმა 30-ვე ტყვია დაცალა და ავტომატში ახალი მჭიდის ჩადება დაიწყო. სწორედ ამ მომენტში უწია საპასუხო გასროლამ. იგი დაცხრილული დაეცა. მეორე ბანდიტმა, ზაზა ქავთარაძემ ერთი ხელყუმბარა ესროლა პოლიციელებს. მეორე ხელყუმბარაზე, თვითონ აფეთქდა.

თითქმის რვა წელიწადს, კოშმარულ ღამესავით გაწელილი ბანდიტური ეპოქა, დასრულდა.

კიდევ ერთ მეტად გახმაურებულ ფაქტზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

1998 წლის დასაწყისში, მეზობელ აზერბაიჯანში შეუდგნენ ავტო-მოტო ტრანსპორტზე, საბჭოური სანომრე ნიშნების ეროვნულით შეცვლას. საგზაო პოლიციის ყაზახ თაუსის სარეგის-

ტრაციო განყოფილებაში მიიდა ადგილობრივი მცხოვრები ალიკ მამედოვი, რომელსაც საკუთარი ავტომობილის, „ვაზ-2107“-ის ახალი საბუთების აღება სურდა, როდესაც ადგილობრივმა სარეგისტრაციო განყოფილებამ ინტერპოლის საშუალებით გადაამოწმა ავტომანქანის რეკვიზიტები, აღმოჩნდა, რომ ეს ავტომანქანა ნაყიდი ჰქონდა ქ. თბილისში, ბარნოვის 16-ში მცხოვრებ ჰამლეტ გიორგის ძე ბაბილოძეს. საქართველოს ინტერპოლიდან აზერბაიჯანელ კოლეგებს ასევე აცნობეს, რომ ავტომანქანის პატრონი 1992 წლის 3 დეკემბერს ამ ავტომობილით სახლიდან გავიდა და მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს.

გამოძიებაში მაშინვე ჩაერთვნენ საქართველოს შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს გამოცდილი პროფესიონალები: პირველი განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ბარამიძე, მეორე განყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის მაიორი თამაზ აბაზოვი და გარდაბნის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი ჰამლეტ დაშდამიროვი. სავარაუდო მძიმე დანაშაულის გახსნის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებას ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი ზურაბ ჩხაიძე.

წინასწარი მოკვლევით დადგინდა, რომ 1992 წლის 3 დეკემბერს, დილის 8 საათზე გარდაბნის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მაშინდელი დირექტორი ჰ. ბაბილოზე საკუთარი ავტომანქანით თავის თანამშრომელთან ზურა კაპანაძესთან ერთად წავიდა წითელ ხიდზე საწვავის შესაძენად, სადაც კაპანაძე დატოვა, ხოლო თვითონ გადაკვეთა საზღვარი და ამის შემდეგ იგი აღარავის უნახავს.

მოკვლეული მასალები 1998 წლის 24 თებერვალს მარნეულის რაიონის პოლიციას გადაეცა, სადაც ჰ. ბაბილოძეზე გამოცხადდა ძებნა, როგორც უგზოუკვლოდ დაკარგულზე, ძებნა ასევე გამოცხადდა ბაბილოძის კუთვნილ ავტომანქანაზე.

ოპერატიული ჯგუფი მიავლინეს აზერბაიჯანში, სადაც მათ აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად დაიწყეს ამ ბურუსით მოცული გაუჩინარების გარკვევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაბილოძის კუთვნილი ავტომანქანის უკანასკნელი მფლობელი იყო ქ. მანგეჩაურის მკვიდრი ალიკ მამედოვი. მისი განმარტებით და დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ალიკ მამედოვმა 1993 წლის თებერვალში ეს ავტომანქანა შეიძინა ყაზახში მცხოვრებ ჩინგიზ ყურბანოვისაგან, რომელიც თითქმის ყველა შეკითხვაზე პასუხობ-

და არ ეიცი არ მახსოვსო. პოლიციის მაიორმა თამაზ აბაზოვმა ყასიდად ჰკითხა, ბოლო-ბოლო ისიც არ გახსოვს, ბაზრობაზე ვისთან ერთად იყავი მანქანის საყიდლადო, რაზეც გურბანოვმა უპასუხა, ჩემი ძმა და მამა მახლდნენო, ისინი სასწრაფოდ წარმოადგინეს ყაზახის შს განყოფილებაში. მათ ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები, სადაც პატიოსნად უპასუხეს, რომ არ იცოდნენ ჩინგიზმა თუ სად იყიდა ავტომობილი, არც ის, თუ ვინ იყო მანქანის ნამდვილი მფლობელი. გაინდა ეჭვი, თვით გურბანოვი ხომ არ იყო ბაბილოძის გაუჩინარების უშუალო მიზეზი?

როდესაც მაიორმა თამაზ აბაზოვმა ძმისა და მამის ახსნა-განმარტებები წაუკითხა გურბანოვს, იგი მიხვდა, რომ სიმართლე უნდა ეთქვა. მან დაასახელა პიროვნება — ყაზახის შს განყოფილების · რიგითი ასილ ეუბოვი, რომელმაც 1973 წლის იანვარში შეიძინა ვითომდა სომხეთიდან მოპარული ავტომანქანა „ვაზ-2107“, შემდეგ ყალბი საბუთების შექმნისა და გამოყენების გზით მიჰყიდა ალიკ მამედოვს.

1998 წლის 15 მარტს ყაზანის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ პირთა მიმართ და გასცა სანქცია ეუბოვის დასაკავებლად, ქართველმა და აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად ეუბოვი დააკავეს და ყაზახის პოლიციის განყოფილებაში წარმოადგინეს. ეუბოვმა საკმაოდ აუღელვებლად მისცა ჩვენება გამომძიებელს: 1992 წლის 3 დეკემბერს, წითელი ხიდი-ყაზახის საავტომობილო გზის მე-15 კილომეტრზე იყო რა ყაზახის შს განყოფილების ე.წ. „ომონის“ მილიციელი, თავის თანამშრომელთან მამედ ჩასოევთან ერთად გაძარცვის მიზნით გააჩერა ავტომობილი, რომელსაც ქართველი ახალგაზრდა მამაკაცი მართავდა. პოლიციის ფორმიანი ყაჩაღები თავიდან მსხვერპლის მოკვლას თურმე არ აპირებდნენ, მაგრამ ბაბილოძე შეეწინააღმდეგა მათ და ჩასოევმა ავტომატის ტყვია თავში დაახალა. მოკლული ბაბილოძე „ომონელებმა“ თავისიენ მანქანის საბარგულში ჩადეს. შეიარეს ეუბოვთან სახლში. აიღეს ნიჩბები და წავიდნენ სომხეთის საზღვრის მიმართულებით, ტყეში გვამის დასამარხავად. ეუბოვმა და ჩასოევმა, ბაბილოძეს გახადეს ტანსაცმელი და მხოლოდ საცელების ამარა დამარხეს, დანარჩენი ტანსაცმელი კი დაწვეს.

ეუბოვმა ავტომანქანა დროებით გადამალა განჯაში. მის შემდეგ გატაცებული ავტომანქანა ხელიდან ხელში გადადიოდა, მანამ სანამ მას პოლიციამ არ მიაგნო.

ბრალდებულმა ეუბოვმა გამოძიებას მიუთითა შემთხვევის ადგილი და გვამის სამარხი. გვამის პროზექტურაში გადატანის

შემდეგ დაზარალებულის ახლობლებმა ჰ. ბაბილოძე ამოიცნეს. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც დაზიანებული იყო ბაბილოძის თაეის ქალა, იდენტური იყო ყაზახის შს განყოფილების შეიარაღებაში მყოფი ტაბელური ავტომატისა.

ბაბილოძის ცხედარი საქართველოში გადმოასვენეს.

მკვლელობაში მთავარი მომქმედი პირის, ჩასოევის ძებნისას გაირკვა, რომ იგი რუსეთში სხვა პირის მკვლელობის გამო იხდიდა სასჯელს.

მკვლელობა გაიხსნა. ოპერატიული ჯგუფი ხანგრძლიეი მივლინების შემდეგ დაბრუნდა. მათ წინააღმდეგობაც ბევრი შეხვდათ, საქმე საკმაოდ რთული იყო, მაგრამ თავიანთი საქმე ბოლომდე შეასრულეს... ამაში მათ დაეხმარნენ ქართველი და აზერბაიჯანელი კოლეგები: აზერბაიჯანის ინტერპოლის ეროვნული ბიუროს უფროსი ადალათ იბრაგიმოვი, მისი მოადგილე, ალი უშაევი, საქართველოს ინტერპოლის ეროენული ბიუროს უფროსის მოადგილე კახა ჭოველიძე, სექტორის უფროსი ზურაბ ტაბიძე, სექტორის ოპერატორ-ტექნიკოსი გიორგი ჭანტურია, ყაზახის შს განყოფილების უფროსი ხანბაბა გაჯიევი, საქართველოს შსს საინფორმაციო-საძიებო სისტემების ექსპლუატაციის ქვეგანყოფილების უფროსი ნესტან სიხარულიძე.

ახლა კი, როცა ვიმყოფები დამსახურებულ პენსიაზე, მინდა გულწრფელი მადლობა ეუთხრა ყველას – ქალსა თუ კაცს... ვეტერანსა თუ ახალგაზრდას, ვის გვერდითაც ამ უმკაცრეს წლებში მიხდებოდა დგომა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ბრძოლა.

მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი გულისტკივილი, და ღირსეული პატივი მივაგო დამნაშავეთა წინააღმდეგ, თუ ჩვენი სამშობლოს მტერთან ბრძოლებში დაღუპული პოლიციელების, ნათელ ხსოვნას.

ბრძოლა კვლავ გრძელდება.

გთავაზობთ შვილმოკლული დედის ნანა გვენეტაძის ლექსს მიძღვნილს ზურაბ ჩხაიძისადმი:

შაოსან დედას, განწირულს
გამომიწოდე ხელი,
უმძიმესს ლაბირინთებში
გზა გამინათე ბნელი.

ოთხი გრძელი წლის ძებნილი
შენ მაპოვნინე მკელელი,
არ დამიკარგე სიმართლე
გამიტიალე ბნელი.

გჯეროდეს რომ შენ სიცოცხლეს
თან ჩემი ლოცვა ახლავს,
შენით ელირსა სიმართლე
ჩემი ალეკოს საფლავს.

გფარაედეს წმინდა გიორგი
აგცდეს ტყვია და ურვა,
ღმერთმა მოგმადლოს სიკეთე
და მარად წინველა, ზურაბ!

პრინციპული, პროფესიონალი და გულისხმიერი ადამიანი

„ცხოვრების მი'ნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოიმეთა ვალად,
სამ'შობლო შენი მუდამ გახსოვდეს
თ'უკი გ'სურს გახდე ადამიანად."

მ. გურიელი

გერმანე თალაკვაძე

გ'ურიელის ეს სიტ'ყვები დღევანდელი ჩემი რესპოდენტის დევი'ზია. მან ცხოვრების მი'ნად, სიმართლისა და სამ'შობლოს დაცვა აირჩია. თავისი ერის სიყვარულით ნადგა კანონის დამცველთა რიგებში და გაიარა გ'ზა, რიგით ინსპექტორიდან, სისხლის სამართლის სამძებრო აპარატის ხელმძღვანელამდე.

მასთან საუბარი ერთი პატარა დეტალით მინდა დავიწ'ყო. შეიძლება უმნიშვნელოც იყოს, მაგრამ ცხოვრების არჩევანის გ'ზაჯ'ვარედინ'ზე მდგარი ახალგა'ზრდისთვის, თამამად შემიძლია ვთქვა, მეტად მნიშვნელოვანი და გადამწ'ყვეტი აღმოჩნდა.

„ერთხელ, ერთ შეხვედრა'ზე ახლობლის შვილი წ'ავიყვანე. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, "ვიწ'რო წ'რეში", მეგობრები შევიკრიბეთ და სწ'ორედ იქ შედგა ის საუბარი, რომელმაც ასეთი ზეგავლენა მოახდინა ახალგა'ზრდა'ზე.

– „შვილო, თ'უ გინდა ნამდვილი პოლიციელი გახდე, ნუ აჩქარდები, ვარსკვლავებს ნუ დაეძებ. დაიწ'ყე მუშაობა რიგითიდან, შეისწ'ავლე მუშაობის სპეციფიკა, შეიძინე ცოდნა, ისწ'ავლე, შეეკითხე, რაც არ იცი, და შენი კეთილსინდისიერი მუშაობა, შეუმჩნეველი არ დარჩება."

უკვე მისვდით, ალბათ, რომ ის ახალგა'ზრდა, ჩემი ახლობლის შვილი გახლდათ, რომელმაც შემდგომში, ეურად იღო სასარგებლო რჩევა და რიგით პოლიციელად დაიწ'ყო მუშაობა. დაამთავრა პოლიციის აკადემია და ახლა ერთ-ერთი პოლიციის სამმართველო'ში, განყოფილების უფროსად დააწ'ინაურეს. იმ

პიროვნებას კი, ვინც მამა-შვილური დარიგება მისცა, დიდი მოკრძალებით იხსენებს“.

ამ სიტყვების „ავტორს“ კი, დარწმუნებული ვარ არც კი ემახსოვრება ის შეხვედრა. მას არაერთი ახალგაზრდისთვის დაულოცია გზა. არაერთი ახალგაზრდა პოლიციის თამამშრომელი თვლის მას, მასწავლებლად და დამრიგებლად და ის პიროვნება დღეს, ჩვენი ნარკვევის გმირი გახლავთ.

იყო სამძებრო სამსახურის ხელმძღვანელი, ნიშნავს, იყო ორგანიზატორი ამ რთულ საქმეში, ოპერატიული მუშაკების საქმიანობა წარმართო საჭირო მიმართულებით და არ მოაცდინო ისინი მეორეხარისხოვანი, წვრილმანი საქმეებით.. ამასთან დაკავშირებით მახსენდება სამძებროს სახით განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აპარატურის შექმნა. სწორედ აღნიშნულ სამსახურში უფროს ინსპექტორად მუშაობდა ბატონი გერმანე თალაკვაძე. შემდეგ, ორი წელი მუშაობდა გარდაბნის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილედ. ასევე მუშაობდა მახარაძის რაიონში, ჯერ, ქვეგანყოფილების უფროსად, ხოლო შემდეგ, რაიონის მილიციის უფროსად. 1989 წელს კი გადაჰყავთ ქ. თბილისში შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1990 წელს დაინიშნა ამავე სამმართველოს უფროსად.

სამძებრო სამმართველოს უფროსად, ბატონ გერმანეს მუშაობა მოუწია რთულ პერიოდში. 90-იანი წლების დასაწყისში ეროვნული მოძრაობის აღზევებას თან სდევდა საყოველთაო დაუმორჩილებლობა, კრიმინალის პოლიტიზაცია. მილიციის ორგანოები ვერ მოერგნენ შექმნილ ვითარებას, გახშირდა მათზე თავდასხმები, იარაღის წართმევა, წინასწარი დაკავების ადგილებიდან სერიოზულ (მძიმე) დანაშაულზე დაკავებულთა გათავისუფლება. აირია თვით მილიციის რიგები. გაჩნდა კოლექტივში უთანხმოებები. მედროვე და შემთხვევითი პირები ავიწროებდნენ და თავისი რიგებიდან იშორებდნენ პროფესიონალ, კეთილსინდისიერ, კანონის ერთგულ მუშაკებს. ხშირად არა მარტო მილიციის განყოფილებებში, არამედ თვით სამინისტროს დერეფნებში შეხვდებოდით ყოფილ კრიმინალებს, მაიორის და ცოტა უფრო მაღალი ჩინებით.

კრიმინალის პოლიტიზაციას, პოლიტიკოსთა კრიმინალიზაცია მოჰყვა. ხდებოდა ახლად გამომცხვარ საქმის უცოდინარ მუშაკთა მომძლავრება. საბრძოლო მომზადება გაუელელი მილიციის მუშაკები, ხშირად სამხედრო ხასიათის საბრძოლო ამოცანებს ასრულებდნენ და მეტწილად იღუპებოდნენ. ბევრიც სახიჩრდებოდა.

მიუხედავად წარმოუდგენელი ქაოსისა, სამძებროს ბევრი მუშაკი, მაინც კეთილსინდისიერად აკეთებდა თავის საქმეს. ელინდებოდა ყაჩაღური ჯგუფებიც. ხდებოდა მათი მხილება, თუმცა საქმე მაინც ბოლომდე ვერ მიდიოდა.

მარტო 1990 წლის ბოლოს, ყაჩაღობასა და ბანდიტიზმზე მხილებულ და დაკავებულ იქნა 79 პირი. აგრამ, საუბედუროდ მილიციის მუშაკებს, ასეთი მხილება ძვირი უჯდებოდათ.

მახსოვს, მიღებულ იქნა ინფორმაცია ერთ-ერთ ყაჩაღურ ჯგუფზე, რომელსაც კრიმინალურ სამყაროში, საკმაოდ ცნობილი პროფესიონალი დამნაშავე ხელმძღვანელობდა. აღნიშნულ ჯგუფს გააჩნდა ქ.თბილისში მცხოვრები 50 კაცისაგან შემდგარი ფუნქციონირებისა და მდიდარი მოქალაქეების სია. ამ ჯგუფის კბილებამდე შეიარაღებულმა წევრებმა, რამდენიმე ყაჩაღობის ჩადენაც მოასწრეს, მაგრამ კარგად მოფიქრებული გეგმის განხორციელების შედეგად, ბევრი მათგანი მხილებული და დაკავებული იქნა. ამ საქმეზე მომუშავე ბევრი ჩვენი მუშაკი, თავებდს იწყევლიდა, რადგან წარმოუდგენელი იყო, გარედან ზეწოლა მათი გათავისუფლების მოთხოვნით. პირადად წაუყენეს ულტიმატუმი სამძებრო სამმართველოს უფროსს, გამოცდილ ოპერატიულ მუშაკს გრიგოლ შონიას, რომლის მოადგილეც ვიყავი მე. რაზედაც იგი არ დათანხმდა. შემდგომში ყველა ისინი სანქცირებულ იქნენ რესპუბლიკის პროკურორის მიერ, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი ძირითადი ნაწილი თავდებით გაათავისუფლეს. აი, ასე იკარგებოდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა გახსნის პერსპექტივა. წყალში იყრებოდა ოპერატიულ მუშაკთა შრომა და ავტორიტეტი, რომლის აღდგენის პროცესი დღესაც გრძელდება.

აი რას წერდა ჯერ კიდევ 1999 წლის თებერვალში, ქალაქის მეხუთე ბაგა-ბაღის გამგე ნადია გოგოტიშვილი გაზეთ „პოლიცია და საზოგადოებაში“:

„იმ წლებში, როცა გერმანე თალაკვაძე ოზურგეთის მილიციის უფროსი იყო, რაიონში უდაოდ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი სუფევდა. იმასაც ამბობდნენ — გერმანეს ნებართვის გარეშე ჩიტიც ვერ გადაფრინდებაო. ვფიქრობ, ესეც საკმარისი იყო.

პირადად მას არ ვიცნობდი.

ერთხელ ქალაქის ცენტრში საკუთარმა ავტომანქანამ მიმტყუნა. ეწვალობდი და მანქანა ვერ ავამუშავე. ბევრმა მძღოლმა ჩაიარა შემომხედა და წავიდა. ბოლოს ერთი მანქანა გაჩერდა, სიმპათიური მამაკაცი გადმოვიდა და მკითხა, რაშია ქალბატონო საქმეო.

აეუხსენი, მანქანა არ მუშაობს მეთქი. საჭესთან დაჯდა, მერე ძრავი შეათვალიერა, რაღაც გადართო-გადმორთო და მითხრა:

— აბა დაჯექით მანქანაში და ძრავი ჩართეთ. — გასაღები გადავაბრუნე და მანქანა გაცოცხლდა. მადლობა გადაეუხადე, მან შემომხედა და მითხრა: ბენზინის ნასოსის შეცელა დაგჭირდებათო, და წავიდა.

სანამ მანქანას ჩავრთავდი, ნაცნობი ქალი მომიახლოვდა და მკითხა:

— იცი, ვინ იყო ეს კაცი?

— ვინ მეთქი, შეეეპასუხე.

— ვინ და მილიციის უფროსი, გერმანე თალაკვაძეო.

ყოველთვის მინდოდა სამადლობელი სიტყვა მეთქვა მისთვის. საკმაო წლების გასელის შემდეგ, ახლა ვსარგებლობ შემთხვევით და ბაფთიანი სამკერდე ნიშნით დაჯილდოებას ეულოცავ პოლიციის ღვაწლმოსილ მუშაკს, პრინციპულ ხელმძღვანელსა და გულისხმიერ კაცს.

ღმერთმა უმრავლოს ქვეყანას ასეთი ადამიანები."

— რაზე ოცნებობს პოლიციის ვეტერანი?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მშვიდობიანი, დამოუკიდებელი გამთლიანებული და გაძლიერებული საქართველო მენახოს. მინდა ისეთ საქართველოში ვიცხოვროთ, ჩვენ რომ გვსურს და ეს ნატვრა აგვსრულებოდეს. მინდა მომღიმარი სახეები დაუბრუნდეს ხალხს. ერთმანეთის ნდობა და სიყვარული გექონდეს, იმედი და რწმენა არ მოგვიშალოს ღმერთმა.

— ბატონო გერმანე რას უსურვებდით ჩვენს ქვეყანას?

— ქართველ კაცს აქვს ერთი თვისება, იგი ბედნიერია, რომ ქართველია. ჭირშიც და ლხინშიც ღირსეულად უჭირავს თავი, რომ ქართველი, დიდი წინაპრის ჩამომავალია.

ქართველს ისე უყვარს საქართველო, რომ მისთვის ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ ეყვარება ფრანგს —საფრანგეთი, სომეხს სომხეთი.

ასე დამთავრდა ინტერვიუ გერმანე თალაკვაძესთან.

ჭეშმარიტად! ვეტერანი პოლიციელების ნამოღვაწარი, წარსულით ვერ განიზომება. იგი ჩვენც, მომავლის დღეებს, მომავალ თაობებს გვეკუთვნის.

დიდება მათ სახელს.

ვაჟკაცობითა და კაცთმოყვარეობით გაკაფული ბილიკი

ვიქტორ გობრონიძე

საქართველოში გაუსაძლის მდგომარეობა სუფევდა. განსაკუთ- რებით კი – გურიაში. კრიმინალ- ური ბანდების თარეშმა, ძარცვა- ყაჩაღობამ, კაცისკვლამ, სიცოცხ- გაუმწარა პატიოსან და მშრომელ- მოსახლეობას. პოლიცია ფაქტობრივ- დაშლილი და განიარაღებული იყ

სწორედ იმ ძნელბედობის ჟამ- როცა ქვეყანაში განუკითხაობა ფ- ქაოსი სუფევდა, ოზურგეთის მოს- ხლეობას მფარველ და ერთგულ- დარაჯად გენადი გიორგაძე მოევ- ლინა – ბრძოლებგადახდილი, მაგ- რამ ჯანმრთელობაშერყეული. ფ- მიუხედავად ამისა, ერთი ნეული- ებრივი კაცისათვის, გასაოცარ სა- მეებს სწადიოდა. თუმცა სამწუხაროდ ტერიტორიული მთლ- ნობისათვის ბრძოლაში მიღებული ტრავმა, მძიმე სენში გადა- ზარდა და დღითიდღე უმოკლებდა სიცოცხლეს.

სამკურნალოდ უნდა გამგზავრებულიყო.

მის წინ კი, რიგი იდგა. რიგი გაწამებული ადამიანების რომლებიც თავის მხსნელს, იმედიანი თვალებით შეჰყურებდნენ.

გამგზავრება დროებით გადადო.

ერთ საქმეს მეორე მოჰყვა. მეორეს მესამე, მესამე... თავი გადააავიწყდა, და მიუხედავად სნეული ფეხისა... ბრძოლის ველზ ფეხზე მდგომი გარდაიცვალა.

ასე ნაადრევად ჩაესვენა გენადი გიორგაძის, მზე.

კრიმინალებს ხელ-ფეხი გაეხსნათ. მადა გაუძლიერდათ...

თუმცა ზეიმი ნაადრევი იყო.

მეწამულ ცაზე, ვიქტორ გობრონიძის მზე ამოდიოდა ბრძოლებგადახდილი, ჭირში გამაგრებული, ვიქტორ გობრონიძისა

გარდაცვლილი უახლოესი მეგობრის, უერთგულესი თან- მებრძოლის გმირულ დიდებას, ქუდი მოუხადა, მის ყოფილ სავარ- ძელში მძიმედ ჩაეშვა, და... კრიმინალური სამყარო, **დუელში** გ- მოიწვია.

ახლა მის წინ იდგა რიგი. რიგი გაძარცვული, გალახული, შეურაცხყოფილი და ატირებული ადამიანებისა, რომლებიც შიშითაც შეჰყურებდნენ და, იმედითაც.

და ჩაება უთანასწორო ბრძოლაში იმათ წინააღმდეგ, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებოდნენ ზღაპრული ცხრათავიანი დეკების, ურჩხულებისა და ვამპირებისაგან, რომლებიც ყველას და ყველაფერს ანადგურებდნენ, ვინც კი წინ გადაეღობებოდათ.

ეს იყო ნამდვილი ომი. ნამდვილი დუელი, მგლის ყელზე.

ყოველ ადამიანს, დაბადებიდანვე აკისრია გარკვეული მისია. თუმცა, სხვა საქმეა სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამდენად სრულფასოვნად ახერხებს ესა თუ ის პიროვნება, მის გაცნობიერებასა და განხორციელებას. საკუთარი გზის პოვნას, ამ გზის ღირსეულად გავლას.

დიდებისაკენ, ან უბრალოდ, რაიმე ფასეულის შექმნისაკენ სავალი გზა, ერთობ რთული და ნარეკლების გარდა, სხვა ათასი ხაფანგითა თუ საცდუნებლით არის სავსე და მხოლოდ ერთეულებს თუ ძალუძთ არ მოერიდონ ცემასა და გვემას, გვერდი აუარონ ხაფანგებს და არ დაჰყენენ ამქვეყნიურ სიამეთა, იოლად მოპოვების ცდუნებას.

ადამიანი მაინც მხოლოდ ისაა, რაც მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ რჩება. ანუ ის, რამაც სხვებისგან გამოარჩია. მაგრამ საკუთარი კვალის დატოვება მაინც ერთეულთა ხვედრია. ზოგი ამას თავისი სიცოცხლით ახერხებს. ზოგი სიკვდილით. ხოლო რჩეულთა რჩეულნი – ერთითაც და მეორითაც.

ადამიანი, რომელზეც გიამბობთ, ღვთის შეწევნით ცოცხალი და ჯანმრთელია. თუმცა ისეთ სახიფათო გზებზე სიარული არგუნა განგებამ, ანუ იმან, რასაც დანიშნულება ან მისია ჰქვია, რომ თუ არა მართლაც უმაღლესი ნება, ადვილი შესაძლებელია ყველაფერი სრულიად სხვაგვარად ყოფილიყო. ასეთ გზაგაელილ კაცს, წესით დიდებისთვის თუ არა, ღვაწლის აღიარებისთვის მაინც უნდა მიეღწია, მაგრამ პოლიციელობა, – თანაც კარგი პოლიციელობა, – ისეთი სპეციფიკური რამაა, რომ გამოსაჩენზე გამომზეურებითა და ყვირილბაქიბუქით, შენს საქმეში ფასეულს ვერაფერს შექმნი. ხოლო ჩუმად, რუდუნებით საქმის მკეთებელი კაცების ღვაწლს სოცოცხლეში, ცოტა თუ ხედავს და დაფასებას კი, – სიკვდილის შემდეგაც, ერთეულები თუ ღირსებია.

ვიქტორ გობრონიძის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც მეტად გრძელი, რთული, ხიფათითა და საინტერესო თავგადასავლებით სავსე ცხოვრება ჰქონდა გაელილი, მაინც ყველაზე მეტად გურიის რეგიონში უმსგავსო, თავაშვებული და აულაგმავი

კრიმინოგენური სიტუაციის დალაგებასა და ყაჩაღურ-ავაზაკური სინდიკატის ხერხემლის გადამტვრევასთან ასოცირდება.

თუმცა ყველა ვერ გაბედავდა ამ მღვრიე, აებედითად აბრუნებულ მორევში, თავით გადაშვებას.

დაებრუნდეთ 1994 წლის ოზურგეში. სადაც თარეშობდა და განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა ნოდარ სვანიძის ცნობილი ბანდა და სხვა უამრავი ყაჩაღური ჯგუფები. მაშინ როცა, ყოველ 5 პოლიციელზე ერთი ავტომატ-პისტოლეტი მოდიოდა. ჩასაცმელ დასახურავზე და მექანიზებულ ტექნიკაზე, რომ არაფერი ვთქვათ. ტანთ ლამის ჩეკისტებისდროინდელი გაქუცული ფორმა ეცვათ და ვისაც გააჩნდა, საკუთარი „ჟიგულებით" დადიოდა სამსახურში, თუ საამისოდ საჭირო ბენზინსაც იშოვიდა. ჰოდა, მიდი და სდიე ამ ყველაფრის პატრონმა, იმ დროისათვის ბოლო მოდელების "ჯიპებსა" თუ „მერსედესებზე" ამხედრებულ ყაჩაღებს, რომლებსაც არც ავტომატ-ტყვია-წამლის ნაკლებობა აწუხებდათ და არც საწვავ-საპოხი მასალების დეფიციტს განიცდიდნენ... არც დასდევდნენ, რადგან ყველა სიკეთესთან ერთად, კაი გვარიანად დემორალიზებულებიც იყვნენ.

კრიმინალები კადრულობდნენ ყველაფერს, რადგან, ყველაფერი გასდიოდათ. ხალხს დაღამებისა ეშინოდა. თუმცა არც გათენება უქადდათ კარგს. აზრი არ ჰქონდა რაიმეს წარმოებას ან ლეგალურ აღებ-მიცემობას, რადგან, ყველაფერი საბოლოო ჯამში, ისევე ყაჩაღთა ყულაბაში ხვდებოდა.

პირველ რიგში, სწორედ კადრების საკითხი იყო მოსაგვარებელი, თუმცა იმდენი რამ იყო მოსაწესრიგებელი, „შაითანბაზარში" გეგონებოდა თავი. რაც, ნებისმიერ პროფესიონალს გაუნელებდა მუშაობის ხალისს. ერთი წლის განმავლობაში ვიქტორ გობრონიძემ, სამხარეო სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ გენადი გიორგაძის ხელშეწყობითა და გვერდში დგომით, თითქმის შეუძლებელი შესძლო: პოლიციას მგლის შიშით შებმული რკინის კარები შეხსნეს, თანამშრომელთა შემადგენლობა გადაახალისეს, ახლები დაიმატეს. შეძლებისდაგვარად ჩააცვეს და დაახურეს. ხელში იარაღი მისცეს და რაც მთავარია, აღადგინეს ნდობა, პოლიციასა და საზოგადოებას შორის. პოლიციელი ხალხის ცნობიერებაში, ნელ-ნელა, კელავ მათი უფლებების დამცველად და უკეთურთა რისხვად ყალიბდებოდა. ეს პროცესი მეტად რთული, და სათუთი იყო. წლები, თავაუღებელი შრომა და თავდადება სჭირდებოდა. საკმარისი იყო ერთი გადაცდომა და ეს წვალებით მოპოვებული წარმატება, ხუხუხლასავით ჩამოიქცეოდა. 1 წლის განმავლობაში რამდენიმე საშიში ბანდა განიარაღდა. თუმცა ორი ძლევამოსილი ჯგუფი, გაგნიძისა და ნოდარ სვანი-

ძისა, ამ მოუხელთებელი ყაჩაღის მეთაურობით, კელაე ძველებურად თარეშობდა.

მეტად დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, ოზურგეთის პოლიციის განყოფილება მაინც აგრძელებდა სრულფასოვან ფუნქციონირებას. თანდათან იკერებოდა წრე სვანიძის ბანდის ირგვლივ. ეს წრე თანდათან ვიწროვდებოდა. მის თანამოძმეთ ერთიმეორეს მოყოლებით იყვანდნენ. ზოგი მათგანის ლიკვიდაციაც კი გახდა საჭირო. ცოტაც და „რუხ მგელსაც“ აიყვანდნენ, მაგრამ ერთ-ერთი ოპერაციის დროს, პოლიციელი დაიღუპა. ეს დანაკარგი ვიქტორ გობრონიძეს არაკომპეტენტურობასა და მოუმზადებელ-შეუთანხმებელი ოპერაციის ჩატარებად ჩაუთვალეს და თანამდებობა დაატოვებინეს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე თვით ადრე გაწეული ღვაწლი, პრეზიდენტმა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის მინიჭებით დაუფასა.

და წავიდა უმადურობითა და დაუნახაობით გულმოკლული ბატონი ვიქტორი მშობლიური რაიონიდან. კაცმა რომ თქვას, ბევრი არც არაფერი დაუკარგავს, – საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსად დაინიშნა და წესით, კმაყოფილიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაუმთავრებელი საქმის გამო, სინანულისა და უკმარისობის გრძნობა, მოსვენებას არ აძლევდა. მით უფრო, რომ მშობლიური რეგიონიდან, მეტად შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა. მათი წისქვილის ბორბალზე წყლის მომატებამ ფრთები შეასხა დამნაშავეთა სამყაროს და ღვთის ანაბარად მიგდებულ რაიონს, მიტოვებულ ეკლესიასავით, ეშმაკისებრ დაეპატრონენ.

„ჩემი ნებით არც წამოვსულვარ გურიიდან და არც დავბრუნებულვარ. მე ჯარისკაცი ვარ, და რომ ებრძანებიათ გუდაუთაში წადი და არძინბას თავი ჩამომიტანეო, ხომ ვიცოდი, რომ ჩამომტანი არ ვიყავი, მაგრამ მაინც გავემგზავრებოდი.“ – განაცხადა კორესპოდენტთან საუბარში.

შემდეგ იყო წარმატებული ოპერაციები. რჩებოდა მხოლოდ სვანიძის ბანდა. მაგრამ რეალურად ეს ისეთი ძალა იყო, რომელსაც ფიზიკურთან ერთად, მორალურ-მენტალური ეფექტიც ჰქონდა და იმ წისქვილის სათავანს ჰგავდა, ბოროტებას, რომ ფქვავდა და ღერღავდა, – ვიდრე არ მოშლიდი, რაიმე გამარჯვებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

ეს დღეც დადგა. ზუსტად იქნა დადგენილი სვანიძის ბანდის ადგილსამყოფელი.

ჩასაფრება ქალაქის განაპირას, სოფელ დვაბზუს მისადგომებთან მოხდა. ოპერაციას თავად ვიქტორ გობრონიძე ხელმძღვანელობდა. ისინი ალყაში მოაქციეს და დანებება სთხოვეს.

საპასუხოდ ტყვიების წვიმაში მოხედნენ. ბატონი ვიქტორი მსუბუქად დაიჭრა. სვანიძე და მისი მეგობარი ადგილზე იქნენ ლიკვიდირებული. ასე დასრულდა მათი შვიდწლიანი ეპოპეა – და ერთი უმძიმესი ეტაპი გურიის რეგიონის ცხოვრებაში, – იგი შედარებით ნორმალურ რიტმს დაუბრუნდა.

უფრო ადრე კი იყო აფხაზეთის ომი... საოცარი ომი. ზოგნი იქ, გამორჩენის მიზნით აფათურებდენ ხელს მღვრიე წყალში. და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ისეთებიც იყვნენ, დღეს რომ სიკვდილზე მიდიოდნენ, ხვალ აკი საქმის ჩადენასაც არ თაკილობდნენ. საკუთარ ხალხს გუშინ ჩადენილ გმირობას აყვედრიდნენ. ხოლო უმეტესობა კი, როგორც იდითგანვე ყოფილა, სამშობლოს სიყვარულითა და უკიდეგანო პატრიოტული სულისკვეთებით ანთებულნი ეკვეთებოდნენ უმადურ "მოძმეთა" და დაუნდობელ მომხვდურთა ხროვას.

„გულუას ბიჭები" ყოველთვის იქ იყვნენ, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა ქვეყანას. ერთხელაც, გუმისმთაზე, სარკინიგზო ხიდთან გამაგრებულ პოზიციებს შეუტია მტერმა. ჯგუფი ვიქტორ გობრონიძის მეთაურობით სასწრაფოდ მისაშველებლად გაემართა. მთელი ღამის განმავლობაში მოიწევდა მტერი წყალზე. ხმელეთზე, მოიწევდა გააფთრებით ნაღმმტყორცნებისა და მძიმე არტილერიის მხარდაჭერით.

საერთოდ, დენთის სუნის შეუყნოსველი კაცისთვის, მსგავს სიუჟეტებს რომანტიკულობის ელფერი გადაჰკრავს. რეალობაში კი, – ეს ჯოჯოხეთია, თავისი ადუღებული კუპრითა და კიდევ უფრო საშინელი ატრიბუტებით. მტრის მდინარეზე გადმოსვლა არაფრით არ შეიძლებოდა. სოხუმი ერთი ხელის გაწვდენაზე იყო. ზანზარი გაჰქონდა ძელმიწურის სანგრებს, ეცემოდა მტერი და... ეცემოდნენ ბიჭები, ღვიძლი ძმებივით შეზრდილი თანამებრძოლები: გურგენა, რობერტა, „ზაკუსკა"... სხვები...

გათენდა ის ღამე, მაგრამ გულში დარჩა მოურჩენელი იარა და კიდევ უფრო რეალური ჭრილობა ფეხში. მაგრამ ასეთი წვრილმანებისთვის მაშინ ვის ეცალა?

მსგავსი ეპიზოდები მრავლად იყო და მათი ერთობლიობა საერთო ჯამში, საბოლოოდ აყალიბებდნენ ვიქტორ გობრონიძის ვიზუალურად რბილ გარეგნობაში გამოწრთობილ რკინის ხასიათს...

და ასე, ძნელად სავალი გზით მიუყვებოდა, გიგანტური კიბის საფეხურებს.

ერთხელ ერთმა კორესპოდენტმა ორაზროვანი და საკმაოდ არადელიკატური შეკითხვა დაუსვა: – „ბატონო ვიქტორ, ნუთუ მთლად პატიოსანი კაცი ხართო?" – პატიოსანი მამაჩემია,

დღესაც წისქვილში მუშაობს. მე კი ხალხში მგონი წესიერი კაცის სახელი მაქვსო. – უპასუხა უფრო გულწრფელად, ვიდრე დიპლომატიურად. და მართლაც, მრავალჭირნახული პროფესიონალი, დღეს, როცა სამსახურში აღარ იმყოფება, ხალხში წესიერი, პატრიოტი და თავგანწირული პოლიციელის სახელით სარგებლობს.

დღეს თითქმის ყველა უბანზე, ქვეყნის ბედი პირტიტველა ბიჭებს აბარია, რაც მთლად გონიერული გადაწყვეტილება არ უნდა იყოს. რადგან ცნობილია, რომ ცხოვრება ომია. ომში კი, თუ ისეთი კაცი არ გიდგას გვერდით, ვისაც დენთის სუნი აქვს ნაყნოსი, ვერც ერთ ბრძოლას ვერ მოიგებ და შესაძლოა საკუთარი თავიც კი წააგო.

„გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან.“ მაგრამ კეთილ საქმესაც უთუოდ აქვს წინააპირობა, რომლის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია დაფნის გვირგვინი და დიდება.

ასე მოვიდა მასთან ის დიდი აღიარება და სიყვარული– სიყვარული შეჭირვებული ხალხისა, რაც მათთვის გაწეულმა თავგანწირულმა ბრძოლამ მოუტანა და არა, დაგროვილმა ქონებამ.

ამ ყველაფრიდან, და რა თქმა უნდა ჩემი მოსაზრებიდანაც გამომდინარე, ყველაზე დიდი საოცრება ის იყო, რომ ვიქტორ გობრობიძე პოლიციიდან წაიყვანეს.

„შვენიერება სულის პირველყოფილი სამოსია, მისი თანდაყოლილი საუნჯე და სამკაული.“

ადამიანის სული ღმერთების საუფლოში ურევიაო. და თუ ეს ასეა, ერთერთი ამ საუფლოში, ვიქტორ გობრონიძის სულიცაა ნაზიარევი, რადგან, ცხოვრების ამ რიოშიდან, მშვენიერების გამოტანა, მხოლოდ ასეთი სულის ადამიანებს თუ ხელეწიფებათ.

და, რადგან, ჯერ სიბერემდე ჯვარი გწერია, რადგან, კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგრჩათ დაულეველი...

თქვენი დღეგრძელობისა იყოს, ბატონო ვიქტორ!

დიდი საბანძურის მფლობელი

გელა გიგინეიშვილი

ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, ყველა პიროვნება მიისწრაფვის, ცხოვრებაში რაღაცით იყოს გამორჩეული სხვებისაგან. ამიტომაც, თითოეულს საკუთარი მიზანი აქვს დასახული და მუდმივი ლტოლვა გააჩნია საწადელის მისაღწევად. ასეთ ასპარეზს თვითონ წუთისოფელიც გეკარნახობს, რომელიც მთებიკითაა მოწყობილი, ზოგჯერ მთის მწვერვალზე ხარ მოქცეული, შემდეგში ჩამოდიხარ, ცოტას ივლი, მერე ისევ მოგიწევს ცოცვა-ძრომიალი და კვლავ მთის მწვერვალზე ადიხარ. ასე, რომ თუ გინდა გამოირჩეოდე რაიმე წესიერებით, ამისთვის „ცოცვა-ძრომიალში“ ანუ მუდმივ მოძრაობაში უნდა იყო. გულმართალი, მონდომებული და დაუზარელი ადამიანი კი ცხოვრებაში ბევრს მიაღწევს, მიუხედავად იმისა, თუ რა სფეროში მოღვაწეობს. ამასთან სწორი და გადაუჭარბებელი შეფასება უნდა მისცე, როგორც წარმატებით გამოწვეულ სიხარულს, ასევე დამარცხების მწარე გემოსაც.

ზოგადად ასე შეიძლება შევაფასოთ საუბრის შინაარსი, რომელიც ახლახან შედგა პოლიციის გადამდგარ პოლკოვნიკთან გელა გიგინეიშვილთან, კაცთან რომელმაც ბევრი ტრაგიკული შემთხვევა გადაიტანა, სიკვდილსაც ბევრჯერ ჩახედა თვალებში, მაგრამ გურული კაცის ბუნებიდან გამონდინარე, ეაუკაცურად გაუძლო ყველა გასაჭირს.

მინი დოსიე:

გელა გიორგის-ძე გიგინეიშვილი დაიბადა 1965 წლის 25 მარტს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში. დაამთავრა ფიზკულტურული ინსტიტუტი. სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, სწავლა დაუსწრებლად განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორის ფაკულტეტზე.

შრომითი ბიოგრაფია მასწავლებლობით დაიწყო. ამიტომაა, რომ იგი ახლოს იცნობს ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს, რაც ამ კონტიგენთთან ურთიერთობას უადვილდებოდა.

1992 წელს მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში უბნის ინსპექტორად. სულ მალე გადაიყვანეს პოლიციის უფროსის მოადგილედ კადრების დარგში.

მისი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა არ გამოპარვია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გურიის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობას და მალე ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსად დანიშნეს. ახალმა სამსახურმა ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. მართალია გამოუცდელი, მაგრამ წესიერებითა და მონდომებით აღსავსე ახალგაზრდას ამ სისტემაში მუშაობა არ გასჭირვებია. რადგან მამამისი წესრიგის მოყვარული პიროვნება გახლდათ და შვილებიც ასეთივე აღზარდა. ასეთ სამსახურში მოხვედრას იგი შინაგანად გრძნობდა. ბავშვობიდანვე უსამართლობას ვერ იტანდა და უარყოფითად იყო განწყობილი დამნაშავეთა სამყაროს მიმართ. მას არ უნანია პედაგოგობა ორგანოში მუშაობაზე რომ გაცვალა. იგი ალბათ ასე კარგად ვერასოდეს დაეუფლებოდა პროფესიას, რომ მის სულში ადამიანის დაცვისა და დასმარების მარცვალი არ დებულიყო, რომლის გაღვივებაც უკვე სხვა მრავალი ფაქტორის შესაბებითაც მოხდა. აქ უფრო ნათლად გამოჩნდა პერსპექტიული ახალგაზრდის შესაძლებლობები და ხალხთან მიდგომის გაწონასწორებული ტაქტი. რაც მთავარია მან გამოაელინა კეთილმოსურნე ხასიათი და თანადგომის იშვიათი უნარი.

1999 წელს, პერსპექტიული ახალგაზრდა მუშაკი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო აპარატში გადაჰყავთ სამუშაოდ. შემდეგ კი – ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში. 2005-2006 წლებში იყო გურიის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

პოლიციაში მუშაობა მას მოუწია ისეთ დროში, როცა ქვეყანაში ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა. დიდი რისკისა და მრავალი უძილო ღამის ფასად ხდებოდა დამნაშავეთა დაკავება. მას ხშირად უხდებოდა შეიარაღებულ დამნაშავეებთან შეტაკება. ბევრიც დაკავა, მათ შორის: მკვლელები, მძარცველები, ყაჩაღები, ასევე ქურდული ტრადიციების მატარებელი აუტორიტეტები, საკაკშირო ძებნილები.

გელა გიგინეიშვილის სახელს უკავშირდება ლანჩხუთის რაიონში თავზე ხელაღებული ბანდიტური დაჯგუფების წევრების ალექსანდრე თაბაგარისა და ხვიჩა მელაძის ლიკვიდაციის ოპერაცია. მათ არაერთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. საქართველოს ყველა რეგიონში გრძელდებოდა ბანდის წევრთა ძებნა. მათი დაძებნა-დაკავება სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ განსაკუთრებულ კონტროლზე იყო აყვანილი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტელევიზიით არაერთხელ გააკეთა განცხადება, მოუწოდა ბანდიტებს ნებაყოფლობით ჩაბარებოდნენ მართლმსაჯულებას. ამასთან, კატეგორიულად გააფრთხილა, თუ

ისინი შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევენ პოლიციელებს და საფრთხეს შეუქმნიან მათ სიცოცხლეს, ადგილზე მოხდებოდა მათი ლიკვიდაცია, როგორც ამას კანონიც ითვალისწინებს.

ეოველდღიური, მიზანმიმართული ოპერატიული მუშაობის წყალობით, პოლიცია ადგენდა მათი გადაადგილებისა და შეხვედრის ადგილს. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ბანდიტების დაკავება უნდა მომხდარიყო დახახლებული პუნქტიდან მოშორებულ ადგილზე, რათა შეტაკების შემთხვევაში, მოსახლეობიდან არავინ დაზარალებულიყო.

24 სექტემბერს, სადამოს 22 საათზე, გერიის სამხარეო პოლიციაში შემოვიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ ბანდიტური დაჯგუფების წევრები თაბაგარი და მელაძე იმყოფებოდნენ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნოსხათში. ოპერატიული ჯგუფის წევრები მიტოვებული ოჯახის ახლოს ნაუსაფრდნენ ბანდიტებს. ალექსანდრე თაბაგარსა და პოლიციის თანამშრომლებს 10-15 მეტრი აშორებდათ ერთმანეთს. ხეს ამოფარებულმა ერთ-ერთმა პოლიციელმა პროვექტორი მიანათა სახლს და ბანდიტებს უბრძანა: "დაყარეთ იარაღი და დაგვნებდითო"

ამის საპასუხოდ, ბანდიტებმა ავტომატის ჯერი მიუშვეს პოლიციის მუშაკების მიმართულებით, სწორედ ამ მომენტში უწია საპასუხო გასროლამ. ორივე ბოროტმოქმედი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა 2 ავტომატური იარაღი 8 ცალი მჭიდით, და 2 ცალი „რგდ-5"-ის ტიპის ხელყუმბარა.

— „ძალიან გვინდოდა ნებით ჩაგვბარებოდნენ, რამდენჯერმე გავაფრთხილეთ, ბოლო წუთს წინადადება მივეცით, მაგრამ... ყველა კაცი ცოდოა სიკვდილისათვის. — თქვა სამხარეო პოლიციის მაშინდელმა შეფმა. — ისიც მაწუხებს, რომ მათ არაერთი მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. მათი სიკვდილის გამო, ამ დანაშაულობათა დიდი ნაწილი გაუხსნელი დარჩება."

ბატონ გელას სახელი კიდევ ერთი ტრაგიკული ისტორიის ამსახველი მემორიალის გახსნას უკავშირდება.

1989 წლიდან დღემდე 38 ვაჟკაცი პოლიციელი ემსხვერპლა გურიაში ზნედაცემული ადამიანის ვერაგულ ტყვიას.

ამაზრზენი ციფრია!

იგი მეტისმეტად ბევრია ისეთი პატარა რეგიონისათვის, როგორიც გურიაა...

38 ვაჟკაცი!

მეტისმეტად ძვირი საფასურია იმ ნანატრი მშვიდობისა და სტაბილიზაციისათვის, რომელსაც როგორც იქნა ველირსეთ.

ბევრი თბილი, მადლიერებით აღსავსე სიტყვა ითქვა იმ დღეს გურიის სამხარეო პოლიციაში. იყო გულახდილი, პირდაპირი, გაბედული ლაპარაკი, მწარეც ბევრი ითქვა და კრიტიკულიც, მაგრამ რაც მთავარია, ობიექტურად და სამართლიანად.

მემორიალი გაიხსნა.

ღმერთმა ქნას, უკანასკნელი ყოფილიყოს ის!

გელა გიგინეიშვილს ბევრ სხვა გამორჩეულ თვისებებთან ერთად გამორჩეული ნიჭიც აქვს — ნიჭი ურთიერთგატანისა.

ყოფიერების ცვალებადობას გარკვეული წინააღმდეგობებიც ახლავს თან. ასეთ პირობებში ბუნებრივია ხანდახან გაგიელვებს შიში — ხომ არ დაგვაეიწყდა ქართული გენისათვის დამახასიათებელი ადამიანისადმი მხარდაჭერისა და უანგარო დახმარების თვისება.

თურმე შეჯირვების ჟამსაც შეიძლება შეინარჩუნო უდიდესი საგანძური — ნიჭი ურთიერთგატანის... ბატონი გელა ამ უდიდესი საგანძურის მფლობელი რომ გახლავთ, საამისოდ ერთ პატარა ღია წერილს მოვიყვანთ:

„ბატონო გელა, ამ წერილს ერთადერთი ვაჟიშვილის დამკარგავი დედა გწერთ, რომელსაც თქვენმა გულისხმიერებამ და თანადგომამ ჩამკვდარი იმედი გაუღვიძა, ჩემს შვილს მკვდრად აღარ ვთვლი, რადგანაც თქვენი სახით, მისი მეგობარი დამეხმარა. მინდა საქვეყნოდ მადლობა გითხრათ საკითხისადმი თქვენი პრინციპული დამოკიდებულების გამო, რომელმაც არაერთი ინსტანცია მოიარა და დადებითად არსად არ გადაწყდა, მინდა

იცოდეთ, რომ არამარტო მე, არამედ მთელი მოსახლეობა თქვენი მადლიერია.

გპირდებით, რომ სანამ ცოცხალი ვიქნები თითო სანთელს ყოველთვის დაგინთებთ და ღმერთს თქვენს სიცოცხლესა და კარგად ყოფნას შევევედრები."

მე მგონი ასეთი შეფასება ყველა განძზე უკეთესია.

კიდევ ერთი გახსენება: შტატების შემცირებასან დაკავშირებით, ბევრი თანამშრომელი გათავისუფლდა. ეს ზემოდან დაშვებული ბრძანებით ხდებოდა და არც მიფიქრია სამსახურში დატოვების თაობაზე, უფროსის კაბინეტის კარი შემეღო. სამაგიეროდ თავად მან დამიბარა და ერთ უსუსურ და უჩინარ პიროვნებას, სხვას რომ შესაძლოა თვალშიც კი არ გამოსჩენოდა, სამსახურში დარჩენა შემთავაზა. ეს ღვთის წყალობას ჰგავდა... პურს რომ გიყოფს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს და... ნოდარ დუმბაძის სიტყვები გამახსენდა:

„ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არა აქვს, ღმერთს რომ არ ჰგავს. რომ არ გეუბნება ღმერთი ვარო, პურს, რომ გიყოფს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმის და გეფერება, და ტირის შენი გულისთვის, სცივა, სწყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისთვის. მაშინ უნდა იწამო".

ბერძნულ ფილოსოფიას დავიმოწმებ: „არაფერია ადამიანზე უფრო მშვენიერი, ღმერთებს მათ ამსგავსებენ."

ჰოდა, არც იმაზე საამაყო და მშვენიერია რამე, ღმერთს რომ გადარჩენ.

თუმცა, არც ისეთი საქმეების კეთებაა იოლი, ღმერთს რომ შეგადარონ.

ეს მხოლოდ გამორჩეულ ადამიანებს ხელეწიფებათ.

ჭეშმარიტი პროფესიონალი და ღირსეული მოქალაქე

ბადრი ტრაპაიძე

ბედნიერებაა, რომ ჩვენს შორის ცხოვრობს ისეთი კეთილშობილ და ნათელი პიროვნება, ისეთი ფაქიზი, სულიერი წყობის ადამიანი, როგორიცაა შინაგან საქმეთა სამინისტროს დვაწლ-მოსილი მუშაკი, პოლიციის პოლკოვნიკი, ბატონი ბადრი ტრაპაიძე – ჭეშმარიტი პროფესიონალი და ღირსეული მოქალაქე.

ქართველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მას. ბადრი ტრაპაიძე ის პიროვნებაა, რომელიც გურიაში (და არა მარტო გურიაში) უყვართ და აფასებენ. მისი ძმობისა და მეგობრობის პრეტენზია ჩვენს უამრავ თანამებრძოლს გააჩნია და ეს არცაა გასაკვირი – ის ხომ უადრესად გამოკვეთილი პიროვნული თვისებებითაა შემკული. ზრდილი, თავაზიანი, დახვეწილი, გამგები და თბილი, ადამიანებთან ურთიერთობაში მარადუამს მზადმყოფი თანადგომისათვის, თანაზგრძნობისათვის, დახმარებისა და მოფერებისათვის.

გარეგნულად მშვიდი და გაწონასწორებული ბატონი ბადრი ტრაპაიძე თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ იღვწოდა. მრავალი წელი შეალია შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურს და საქმის ერთგულებით, უდიდესი შრომისმოყვარეობითა და რაც ყველაზე მთავარია, თავისი კაცურკაცობით დამსახურებულად მოიპოვა საზოგადოების აღიარება და დიდი ავტორიტეტი.

მინი დოსიე:

ბადრი ჭიჭიკოს-ძე ტრაპაიძე დაიბადა 1952 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებში. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავა-ხიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პოლიციაში მუშაობა დაიწყო 1979 წელს გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში გამომძიებლად.

1989 წელს მშობლიურ ოზურგეთს უბრუნდება და საგამოძიებო განყოფილების უფროსად ინიშნება.

1996 წლის აპრილის თვეში, გადაჰყავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში საორგანიზაციო-ზონალური განყოფილების უფროსად. შემდეგ იყო, სამგორის შს რაიონულ სამმართველოში საგამოძიებო განყოფილების უფროსი,

ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბოლოს კი კელავ გურიაში ბრუნდება, სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილედ. 2006 წელს პოლიციის პოლკოვნიკი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის პერიოდში ბევრი უძილო ღამე გაატარა დამნაშავეობასთან ბრძოლაში. მრავალი ბოროტმოქმედი გადასცა მართლმსაჯულებას. მრავალი საშიში ეპიზოდის გახსენება შეუძლია თავისი ცხოვრებიდან; ქურდებისა და მძარცველების დაკავება, ყაჩაღებთან შებრძოლებაც, გაჭირვებული ადამიანებისათვის დახმარება და სხვა მრავალი გახსნილი და გამოძიებული საქმეები.

ბატონმა ბადრიმ გაიხსენა რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი:

„წარმოებაში მქონდა სისხლის სამართლის საქმე, აზერბაიჯანელი არასრულწლოვანი მამედოვის მიმართ, გაუპატიურების ფაქტზე. გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ მამედოვი თავის განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდა, რომ არა მისი მეგობარი ქალბატონის დახმარება, რომელმაც ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით ხელი შეუწყო მამედოვს დანაშაულის ჩადენაში. ე.ი. ამ ქალბატონმა დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი განახორციელა სქესობრივი აქტის გარდა, და იგი მიცემულ იქნა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით (გაუპატიურება). ჩემმა ასეთმა გადაწყვეტილებამ აჟიოტაჟი გამოიწვია. პროკურორი მეუბნებოდა, როგორ შეიძლება ქალი პასუხისგებაში მიეცეს გაუპატიურებისათვის. საქმე მოსმენილ იქნა ზემდგომ ინსტანციებში და საბოლოოდ ძალაში დარჩა ჩემი გადაწყვეტილება.

ვიძიებდი ერთი შეხედვით მარტივ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქურდობის საქმეს, რომელიც გაუხსნელი იყო. გამოძიების პროცესში მიღებულ იქნა მოწმის ჩვენება, რომელიც ირიბად მიუთითებდა ქურდობაში ვ. იბრაგიმოვის მონაწილეობაზე. ფ. იბრაგიმოვი კი კატეგორიულად უარყოფდა. არსებული კანონმდებლობით ერთი სავარაუდო განთქმის საფუძველზე პირის პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელი იყო. რადგან დამატებითი მტკიცებები მოპოვებულ ვერ იქნა, საქმეს პერსპექტივა აღარ უჩანდა. ამ დროს, მოცემულ საქმეზე თარჯიმნად მოწვეულმა ახალგაზრდა აზერბაიჯანელმა თ. თომაევმა მითხრა, რომ ფ. იბრაგიმოვი, საკმაოდ მორწმუნეა და თუ ყურანზე დააფიცებინებ, სიმართლეს იტყვისო. ასეთი საგამოძიებო მოქმედება რა თქმა უნდა არ არსებობდა, მაგრამ გადავწყვიტე მეცადა. მოვიწვიე ფ. იბრაგიმოვი. დავჯექით მანქანაში და წავედით სოფელ ჯანდარის მიმართულებით, სადაც ფუნქციონირებდა მეჩეთი. როდესაც მეჩეთი

გამოჩნდა, ეჭვმიტანილმა იკითხა, თუ სად მიედიოდით, და როდესაც აუხსენი, ყურანზე უნდა დაგაფიცებინო, რომ შენ დანაშაული არ ჩაგიდენია, სასწრაფოდ მთხოვა უკან დაებრუნებულიყავით და იგი სიმართლეს იტყოდა. ერთი სიტყვით, მან აღიარა დანაშაული, უფრო მეტიც, მიგვითითა სხვა მტკიცებულებებზეც.

ასე გაიხსნა ეს საქმე.

კომუნისტების მმართველობის ბოლო პერიოდში, ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთში არსებობდა რუსული სამხედრო ბაზა, რომლის ტერიტორიაზე, ერთი კვირის მანძილზე, ოთხი დანაშაული მოხდა. ოთხივე ეხებოდა სამხედროების დაჭრის ფაქტს. დაზარალებულები მიუთითებდნენ, რომ ღამით მორიგეობის დროს ოსურგეთი-ქობულეთის საავტომობილო ტრასის მხრიდან, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, მიიღეს დაზიანებანი. საქმე ბურუსით იყო მოცული. გამოძიება განსაკუთრებულ კონტროლზე იყო აყვანილი. ოპერატიულ მუშაკებს მოსვენება არ ჰქონდათ. პასუხს ითხოვდნენ მოსკოვიდანაც, საკავშირო თავდაცვის სამინისტროდან. გადაწყდა, სხვა საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად ჩატარებულიყო საგამოძიებო ექსპერიმენტი, ვინაიდან ნიუთმტკიცების (შარელის) დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ დაზიანება განვითარებული იყო ზემოდან ქვემოთ. იგივე დაადასტურა სასამართლომ და ბალისტიკურმა ექსპერტიზამაც. კერძოდ მუხლის მიდამოში არსებული დაზიანება იყო შემავალი, ხოლო კოჭთან არსებული, გამომავალი, რამაც გვაფიქრებინა, რომ სროლა წარმოებული უნდა ყოფილიყო დიდი სიმაღლიდან, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არარეალური იყო. გაჩნდა ეჭვი, ხომ არ ჰქონდა ადგილი დანაშაულის ინსცენირებას, და თუ ასე იყო, რა მოტივით. სწორი მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ჯარისკაცებმა, რომლებიც უჩიოდნენ ცუდ პირობებში სამსახურს, მოილაპარაკეს ერთმანეთისთვის ესროლათ, მიეყენებინათ მსუბუქი დაზიანებანი. ამ გზით გააკომისიებდნენ და სამსახურს თავს დააღწევდნენ. მათვე შეთხზეს ეერსია, უცნობი პირის მიერ თავდასხმის შესახებ. მაგრამ ჩავარდნა გამოიწვია მეოთხე ჯარისკაცის მიერ, საკუთარ თავზე სროლამ. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დაზიანება ზემოდან ქვემოთ იქნებოდა მიმართული. საბჭოთა არმიის გენერლები გამოძიების შედეგებით გაოცებულნი დარჩნენ. შს სამინისტრომ დაგვაჯილდოვა. საქმე შემდგომი გამოძიებისათვის სამხედრო პროკურატურას გადაეცა.

90-იან წლებში, ლენინის ძეგლის ნგრევა იყო მოდაში. გამონაკლისი არც ოსურგეთი გახლდათ. ძეგლის დანგრევის შემდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაგვიბარეს

თბილისში, შს მინისტრის მოადგილესთან. სამინისტროში გამოეცხადდით: გამომძიებელი გიგლა ხაბულიანი, პოლიციის უფროსი, აწგანსვენებული იური სიორიძე და მე. მოსმენამ მინისტრის მოადგილესთან დაძაბულად ჩაიარა. მის შეკითხვაზე, დანგრევის პროცესში რას აკეთებდა პოლიცია, იურიმ უპასუხა, რომ ჩვენ დემონტაჟს ვესწრებოდით და საზოგადოებრივ წესრიგს ვიცავდითო. ასეთმა პასუხმა, მინისტრის მოადგილე სულ გადარია. ყველანი მოიხსნებით თანამდებობიდან. ბრძანა მან. მაშინ იური სიორიძემ უპასუხა: ერთი –ორი კვირის შემდეგ, თუ თბილისში ლენინის ძეგლი კვლავ იდგმება, მე თვითონ მოგმართავთ თანამდებობიდან წასვლის შესახებო და გვანიშნა კაბინეტიდან გაესულიყავით. ჩვენც ასე მოვიქეცით. კაბინეტში დავტოვეთ გაოცებული გენერალი. მართლაც ერთი კვირის შემდეგ, ლენინის ძეგლი თბილისში აღარ იდგა. ასე გადავრჩით მოხსნას.

ბადრი ტრაპაიძე ნამდვილი პროფესიონალია, საქართველოზე და თავის ერზე უზომოდ შეყვარებული, ღირსეული მამულიშვილი.

მისი მთავარი „შემოსავალი" ერთგული და უღალატო მეგობრებია, რისი უბადლო მაგალითი თავად იყო და არის.

ყველაზე დიდი თანამდებობა ადამიანობაა, ნათქვამია. ბადრი ტრაპაიძე ის პიროვნებაა, ვინც ადამიანურობით და კაიკაცობით უფრო მეტს ამბობდა და ყველა თანამდებობაზე მაღლა, თავისი კაიკაცობით იდგა.

არჩილ მეფე წერდა: „საქართველოში 365 კაცობის წესს ამბობენ, მაგრამ ვგონებ 5000 მაინც უნდა იყოს. კაცობის უპირველესი წესი, „კაიყმობა" იყოო."

ჰოდა, ბადრი ტრაპაიძეში, კაცობის 5000–ვე წესია შენიშვნებული და შედუღაბებული. ეს შედარებაც, სწორედ მის თარგზეა მოჭრილი და მოზომილი.

მისთვის, სხვათა დასახმარებლად ადამიანების „სიმაღლე", სულაც არ იყო საჭირო. პირიქით, ყველაზე სუსტსა და უჩინარს, ბუმბერაზი თვალით უყურებდა, მერე „ბიძგულობდა", და „მანძილს" უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მის თვალში ის დიდების კვარცხლბეკზე იდგა. ამას საკუთარი მაგალითით ვამბობ და არა, პირფერობით.

ესაა კაცი, ღვთის წყალობა.

იგი არავის ჰგავს, საკუთარი თავის გარდა.

დღეს, მიუხედავად იმისა, რომ დამსახურებულ პენსიაზეა, იმ ცხოველმყოფელობას, რაც მის სახელთან იყო დაკავშირებული, ძველებურად ინარჩუნებს. მისი დამსახურება ქვეყნის, რეგიონის, ახალგაზრდების და კოლეგების წინაშე, შეუფასებელია.

თაეისთაეად იბადება კითხეა. ამდენი ღირსების მქონე კაცს, მტერი არ ჰყაედაო? უმტერო კაცი არ არსებობსო, და სამწუხაროდ იყენენ ალბათ ისეთი ადამიანებიც, შური რომ ჯაბნიდათ, მაგრამ დიდსულოვნად იტყოდა: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი...“ და მათ მიმართ მხოლოდ, ოლიმპიურ სიმშეიდეს ინარჩუნებდა.

„ძმაკაცობაში ძმობის და ძმობაში ძმაკაცობის კაცი“.

იგი ცხოერების ყველა ეტაპზე ხალხისა და ქვეყნის სამსახურში იდგა და სიმართლეს, სიკეთეს ემსახურებოდა.

გასრულდა პოლიციური ცხოერების მშფოთეარე დღეები.

ახლა ლოცვის ჟამი უდგას.

ერთი ჩეულებრივი კაცი, არაჩეულებრივი ცხოერებით ცხოერობთ და არაჩეულებრივი ოჯახის თავკაცი ბრძანდებით ბატონო ბადრი. თქვენი სიმდიდრე და სიამაყე ორი უმშვენიერესი შვილი და პატარა შვილიშვილია, რომელმაც „გიჟი“ ბაბუას სტატუსი მოგანიჭათ. ეს ერთი, და სხეა მრავალი.

სიძლიერე, სიმრავლე, სიყვარული და სიხარული ნუ მოგაკლოთ, ღმერთმა, თქვენს არაჩეულებრივ ოჯახთან ერთად.

შესაძლოა, კაიემის შესაფერი, სადიდებელი სიტყვა ვერ ეთქვით, მაგრამ თქვენ ამასაც დიდსულოვნად მოგვიტეევებთ.



თამაზ კუნქულია

მაიკო კუნქულია

– შრომას ბავშვობიდანვე შეეჩვია, საქმიოდ ჭკვიანი და დამჯერი ბავშვი იყო. ყველაზე ძალიან მათემატიკა უყვარდა, რომელსაც ჯერ ხინა პატკორია, შემდეგ მარგალიტა გოგისაიშვილი ასწავლიდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. პარალელურად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩააბარა და თან მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში სწავლობდა. 20 წლის ასალგაზრდა, პარტიის წევრი გახდა. მუშაობუდნენი მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი მთავარი საამქროს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. სამხედრო სამსახურის დამთავრებას რამოდენიმე დღე აკლდა, როდესაც ტრაგიკული შემთხვევის შედეგად მამა გარდაეცვალა. დედა მარტო დარჩა და თამაზი იძულებული გახდა ოჯახში დაბრუნებულიყო. მალე სუფსის საცალო გაერთიანებაში საქონელმცოდნედ დანიშნეს. მისი დანიშვნის დღეს გაიხსნა სუფსაში ცნობილი უნივერმაღი. იქვე აირჩიეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად. ცოტა ხნის შემდეგ მასთან პარტიული ბოსები მივიდნენ და თავისთვის ჩაილაპარაკეს: ეს კანდიდატურა იყარგებსო და წავიდნენ. მეორე დღეს პოლიციის უფროსმა ბატონმა კარლო ჩხარტიშვილმა დაუძახა და სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსის თანამდებობა შესთავაზა. მოფიქრებისათვის გარკვეული დრო ითხოვა და დედას

დაეკითხა. ოღონდ მილიციელი ნუ იქნებიო, უთხრა. ძლიეს დაითანხმმა. მას შემდეგ 34 წელია პოლიციაშია.

როგორი იყო პოლიციური გზა?

ძალიან ძნელი. თავიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეკავა სოციალისტური საკუთრებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსის თანამდებობა, შემდეგ სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსად. პოლიციის უფროსის მოადგილედ, შტაბის უფროსად და პოლიციის უფროსად იმუშავა ლანჩხუთის პოლიციაში. შემდეგ გურიის რეგიონის სამხარეო სამმართველოში კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსი იყო. მერე ისევ ორჯერ სხვადასხვა დროს, პოლიციის უფროსის თანამდებობა ეჭირა. ლანჩხუთში. ვარდების რევოლუციას 3-თვიანი პაუზა მოჰყვა. ოჯახში აღმოჩნდა. ღოგორც თვითონ იტყვის ხოლმე, კომლის უფროსის თანამდებობაზე. შემდეგ სამხარეო სამმართველოში სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსად დანიშნეს. შემდეგ ისევ მშობლიურ რაიონში პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. პენსიაში გასვლამდე ლანჩხუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე – დეტექტივების განყოფილების უფროსი იყო.

თავის პროფესიაზე შეყვარებულმა, ერთგულმა და უღალატო პიროვნებამ, შვილებიც იგივე გზაზე დააყენა. უფროსი ქალიშვილი მაია შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს. ვაჟიშვილი ირაკლი საპატრულო პოლიციის რიგებს ემსახურება. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, მესამე შვილმა გულინამ – დაამთავრა ჯერ უცხო ენათა უნივერსიტეტი გერმანული ენის სპეციალობით, შემდეგ, უნივერსიტეტ „აჭარის" იურიდიული ფაკულტეტი. რის შემდეგ მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მთავარ სპეციალისტად. ბედნიერ დღეებად ბატონ თამაზს შვილების გაჩენა და მათი სწორ გზაზე დაყენება მიაჩნია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1975 წელს, თამაზი პარტიული დავალებით გადაიყვანეს ლანჩხუთის მილიციაში ქვეგანყოფილების უფროსად.

ასე დაიწყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ოდისეა – ოცდათოთხმეტი წლის წინათ.

... 34 წელი თითქმის ნახევარი სიცოცხლეა, თუ ადამიანის ასაკს იქედან ავთვლით, როცა იგი ცხოვრებაში ფეხს შედგამს და შრომას იწყებს. აღნიშნული წლების მანძილზე, ამა თუ იმ თანამდებობაზე ყოფნისას, ვინ იცის რამდენ სიძნელეს გადაჰყრია, რამდენ ხიფათს, რამდენ უსიამოვნებას შეხვედრია, რაც პოლ-

იციელის ცხოვრებას მუდამ თან სდევს. მაგრამ ამაზე სიტყვას ვერ დააცდენინებ. ასე გიპასუხებს: იმაზე საზიზღრობა არაფერია, რომ კაცმა თავის თავზე ილაპარაკოსო. ჩემი პოლიციაში ყოფნისას თუ რაიმე კარგი გაკეთებულა, ეს იმ კოლექტივის დამსახურებაა, სადაც მე მიმუშავნიაო. მუშაობით კი სად არ უმუშავნია ბატონ თამაზს. ერთი კაცის პირობაზე ბევრი თანამდებობა აქვს გამოცვლილი, იყო ქვეგანყოფილების უფროსი, განყოფილების უფროსის მოადგილე, საგზაო პოლიციის მერვე განყოფილების შტაბის უფროსი, სამჯერ სხვადასხვა დროს ლანჩხუთის რაიონული პოლიციის უფროსი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რესპუბლიკაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ვიდრე მის დანარჩენ თანამდებობებს ჩამოვთვლიდე, დროებით აქ უნდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ლანჩხუთში თამაზი პოლიციის უფროსად იმ პერიოდში გადაიყვანეს, როცა როგორც მთელი ქვეყნისათვის, ისე პოლიციისთვისაც ძნელბედობის ხანა იყო. განუკითხაობის დრო, ქვეყანაში დათარეშობდნენ სხვადასხვა შეირაღებული ე.წ. ფორმალები თუ არაფორმალები, ფაქტიურად კი ყაჩაღები და მკვლელები. სხვა, არ ვიცი, როგორ ფიქრობს, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ეს იყო ნამდვილი ტრაგედია, ჩვენი ერის დიდი სირცხვილი, რომელმაც წარუშლელი კვალი დაასვა ქვეყანას. ამ სირცხვილს დიდხანს ვერ ჩამოვირეცხავთ და მას ისტორია ულმობლად შეაფასებს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს რობესპიერმა სასოწარკვეთით წამოიძახა: „რესპუბლიკა დაღუპულია, იწყება ავაზაკთა ბატონობა!“

ზუსტად ასეთ ყოფაში ვიყავით ჩვენ და მგონია დღესაც მთლად ვერ დავაღწიეთ თავი ავაზაკთა ბატონობას,

კარგად გვახსოვს ყველას: ჩვენი პოლიცია, თითქმის დათრგუნული, უფლებააყრილი და გაწამებული იყო მოთარეშე შეიარაღებული ბანდებისაგან, მაგრამ შეუძლია იამაყოს იმით, რომ 9 აპრილის ტრაგიკულ დღეებში არა მარტო დიდი ვაუკაცობა, არამედ ნამდვილი პატრიოტობა და ზნეკეთილობა გამოამჟღავნა.

როცა მე ვკითხე ბატონ თამაზს, ლანჩხუთში როგორ გადარჩით ან როგორ მოიგერიეთ იმ ბანდების თარეშიმეთქი, კარგა ხნის დუმილის შემდეგ ასე მიპასუხა:

— მე დიდი მადლობელი ვარ ლანჩხუთლებისა, რომელთა შემწეობითაც შევძელით ადგილობრივი თუ მეზობელი რაიონებისა და რეგიონების მოთარეშე ბანდების მოგერიება. ამ ხალხის დახმარებით ბევრი საფრთხე ავიცილეთ. საერთოდ ასეა, როცა პოლიციას კარგი ურთიერთობა აქვს ხალხთან, მაშინ მისი მუშაობა გაცილებით იოლია. ამიტომ პოლიციას ნდობა უნდა

ჰქონდეს ხალხისა. მოსახლეობის აზრი პოლიციაზე, მისი მუშაობის შეფასების კრიტერიუმია. მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, მაშინ შს სამინისტრომ შესძლო შეიარაღებული ბანდების ალაგმვა. პოლიციამ შეინარჩუნა თავისი სახე და მოკლე ხანში აღიდგინა თავისი უფლება, რამაც თავიდან აგვაცილა სამოქალაქო ომი.

პოლიციას ხალხის ნდობა უნდა ჰქონდესო, ეს დიდი ჭეშმარიტება და დიდი სიბრძნეა, რომელიც სათქმელად იოლია, მაგრამ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, ცხოვრებაში ძნელად გასატარებელი. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, მანამდე კი ბატონ თამაზს დავუბრუნდეთ.

ლანჩხუთის რაიონიდან იგი გურიის სამხარეო პოლიციაში განყოფილების უფროსად გადაჰყავთ, ხოლო შემდეგ, სულ მოკლე ხნის მანძილზე, თითქმის ზედიზედ იცვლის თანამდებობებს. არის სამხარეო პოლიციაში სამსახურის უფროსი, ლანჩხუთის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსის მოადგილე. ლანჩხუთში 25 წელი იმუშავა სხვადასხვა თანამდებობაზე და იქედან წამოსული რამდენიმე თვე უმუშევარი იყო, ვიდრე ხელმეორედ დააბრუნებდნენ ოზურგეთში, სადაც ადრე წლების განმავლობაში მუშაობდა და იქაური ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. როცა ბატონ თამაზს ეკითხე პოლიციიდან თქვენი წამოსვლის მიზეზი რა იყო – მეთქი, დუმილით მიპასუხა. მეც აღარ ჩავაციედი. რადგან ისედაც მივხვდი ამ მიზეზს, რომელსაც მეც დუმილით ავუვლი გვერდს. ოღონდ ერთ რამეს კი ვიტყვი: თუ უღირსი და უპატიოსნო ხელმძღვანელი ხარ, იმდენი სინდისი მაინც უნდა შეგრჩეს, რომ ღირსეული და პატიოსანი თანამშრომლის ფასი იცოდე და არ აიძულო იგი სწორედ პატიოსნების გამო დატოვოს სამსახური. მე მგონი, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს და გამგები გაიგებს.

თამაზ კუნჭულიას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი ქება ჩემი ნაცნობ-მეგობრებიდან აფხაზეთში თუ თბილისში, არაერთგზის მქონდა გაგონილი. ამიტომაც გადავწყვიტე მასზე ნარკვევის დაწერა. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროში და ქ. თბილისის მთ. სამმართველოში მუშაობის პერიოდში, ვერ მოვახერხე ამის გაკეთება. რას ვიფიქრებდი, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობით გურიაში მომიწევდა მუშაობა. თუმცა ჯარისკაცი ხარ და სადაც გაგგზავნიან იქ უნდა გააკეთო ის საქმე, რასაც ათეული წლების განმავლობაში ემსახურები. ტელეფონით წინასწარ დათქმულ დღეს მივაკითხე ლანჩხუთის სამმართველოში, სადაც იგი ოზურგეთიდან, უფრო კონკრეტულად გურიის

სამხარეო პოლიციიდან რამდენიმე თვის წინ გადმოიყვანეს, მაგრამ ადგილზე არ დამხვდა, ნიგვზიანში ქურდობა მოხდა და სასწრაფოდ წავიდაო მითხრეს.

რას იზამ, ასეთია პოლიციელის ცხოვრება, მოუსვენარი, ფათერაკებით სავსე. ჩვენ მაინც შევხვედით ერთმანეთს, მაგრამ ბატონი თამაზი დიდი ხალისით არ შემხვედრია და არც სურვილი ჰქონდა მასზე ნარკვევი დაწერილიყო. სიმართლე გითხრათ ცოტა გავნაწყენდი, ეტყობა ეს შემატყო ბატონმა თამაზმა და მერე მშვიდად განაგრძო:

— ვისაც არ ეზარება ყველა პოლიციას აკრიტიკებს დღეს. დაე იყოს კრიტიკაც, მაგრამ იყოს სინდისიც, ობიექტურობა და ზომიერებაც. ვაი, რომ ხშირად ცილისწამებასაც არ ერიდებინ. როგორ, პოლიციაში ყველა უღირსია? რამდენმა დადო თავი აფხაზეთ — სამაჩაბლოს ომში, რამდენი პოლიციელის სიცოცხლე შეიწირა ბანდიტებთან შეტაკებამ, რამდენი ქალი დქვრივდა, რამდენი ბავშვი დაობლდა... რატომ არავინ ხედავს ამას და არავინ არაფერს ამბობს? უღირსნი პოლიციაშიც არიან, მაგრამ ღირსეულებზეც ნუ დაეხუჭავთ თვალს.

ქუთაისიდან მომავალ მიკროავტობუსში, მგზავრებთან ერთად, ყაჩაღებიც აღმოჩნდნენ. ბოროტმოქმედებმა გააჩერეს ავტობუსი და მგზავრების ძარცვა დაიწყეს. ავტობუსში სამოქალაქო ტანსაცმლიანი 28 წლის პოლიციელი იჯდა. გულმა არ მოუთმინა და ერთი ყაჩაღის განიარაღება შესძლო, მაგრამ მეორემ სასიკვდილოდ გაიმეტა... ხომ შეეძლო ვინაობა არ გაემჟღავნებინა და თავი გადაერჩინა. განა ასეთი პოლიციელი მოქალაქეს, თუნდაც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს, ცუდად მოექცევა? ასე, რომ პოლიციაშიც ბევრნი არიან ღირსეულნი და ამას დანახვა და დაფასება უნდა.

ბატონი თამაზი ერთხანს დუმს და მერე თითქოს თავისთვის ამბობს:

„შაჭირვებულა სოფელი, ძებნა სჭირდება მადლისა,
ვაი, რომ ცუდი ბევრია, პოვნა ძნელია კარგისა.“

— ვაი, რომ ეს სატკივარი ყველა დროს ყოფილა, მით უფრო შეჭირვებულ ქვეყანაში, — ბრძანებს ბატონი თამაზი და იქვე დასძენს, — როცა ქვეყანაში გაჭირვება აღარ იქნება, პოლიციელიც წმინდა და პატიოსანი იქნება.

აი, ასე დაიწყო ჩვენი, ჩემი და თამაზის ურთიერთობა და მიეხვდი, რომ საუბარი აეწყობოდა და ნარკვევიც დაიწერებოდა.

როცა ქვეყანაში გაჭირვება აღარ იქნება, პოლიციელიც წმინდა და პატიოსანი იქნებაო, ასე სწამს ბატონ თამაზს, იქნებ მე ვცდები, მთლად ასე არ უნდა იყოს. სინდისნამუსი და პატიოსნება

მარტო სიდუხჭირეზე არ არის დამოკიდებული, უსინდისო და უპატიოსნო კაცს სიმდიდრეც ვერ დააკავებს, ხოლო ბუნებით პატიოსან კაცს ვერც სიღარიბე და ვერც გაჭირვება ვერ შეცვლის, უცნაურია მაგრამ ფაქტია, რომ ზნეობრივად ადამიანი სიღარიბესა და გაჭირვებას უფრო უძლებს, ვიდრე სიმდიდრისა და კეთილდღეობის გამხრწნელ ძალას. მორალურად დაცემულსა და დაქვეითებულს უფრო ხშირად შეხედებით მდიდრებში, ვიდრე ღარიბებში.

ყველასთვის ცნობილია, რომ დღეს ხალხის გარკვეული ნაწილი ურწმუნოდ არის განწყობილი პოლიციის მიმართ და ალმაცერად უყურებს მას. ისიც საგულისხმოა, რომ ადრეც, როცა პოლიციის თანამშრომლებს თითქმის ყოველდღე ხოცავდნენ არაკაცები, არც მაშინ ეხატა ხალხს გულსე. რა იყო და რა არის ამის მიზეზი, ზუსტად ვერ გეტყვით, იქნებ მიზეზი ერთი და ორი არ არის, ან იქნებ მისი ფესვები – ჩვენს ქართულ ხასიათსა და ბუნებაში უნდა ვეძებოთ, უფრო სწორედ იმ მანკიერებაში, რომელიც შორეულ წარსულიდან დაგვყოლია და რომელსაც ყველა ჩვენი მემატიანე გულისტკივილით მოსთქვამდა. აი, ისინიც:

მონღოლთა დროინდელი ჟამთააღმწერელი: „სამი მანკიერება სჭირთ ქართველებს: ვერცხლისმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა და გემოთმოყვარეობა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „ვინაიდან ნათესავი ქართველთა... რაჟამს გასუქნენ და დიდება პოონ და განსუქნება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა.“

იოანე ბატონიშვილი: „...საქვეყნო სარგებელთა არა მაძიებელნი, ოღონდ თავად ირგონ რამე. თვისთა უფროსთა მალე უარმყოფელნი გამორჩენისა, მიზეზისა გამო... ცუდ საქმის ამყოლნი და თავხედნიც.“

თუ ეს ყოველივე სიმართლესთან ახლოს არის და ჩვენს გენშია, მაშინ პოლიციელებმა რა დააშავეს, უზნეონი და უპატიოსნონი ყველა სფეროში უნდა ვიგულეოთ და მარტო პოლიციაზე ნუ გადაეტეხავთ ჯოხს.

ვისაც საქართველოს გარეთ უმგზავრია, თუნდაც საბჭოთა ეპოქაში, მოკავშირე რესპუბლიკებში, ყველა დამეთანხმება, რომ იქაური პოლიცია ძალიან განსხვავდებოდა ჩვენი პოლიციისაგან სამართლიანობით, ზრდილობითა და თუ გნებავთ, პატიოსნებითაც. რით უნდა აეხსნათ ეს ,ბანა იქაურ პოლიციელს ქართველ პოლიციელზე უკეთესი პირობები ჰქონდათ? რა თქმა უნდა არა. იქნებ ესეც იმ მიზეზიდან მოდის, ჩვენი მემატიანენი ერთხმად რომ აღნიშნავდნენ.

ეს ფაქტიც საგულისხმოა თავისთავად.

როცა ამ მტკივნეულ საკითხს შეეხო ჩვენი საუბარი ბატონმა თამაზმა ასეთი რამ მითხრა: „მართალია ბოლო პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა, საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა ირწმუნა პოლიციის, თუნდაც საპატრულო პოლიციის შექმნა. მხოლოდ ის რად ღირს, რომ პოლიციის თანამშრომელი ხელგაწედილი არ დგას საავტომობილო გზებზე, რომ კორუფცია თითქმის მთლიანად ამოიძირკვა პოლიციის სისტემიდან. მაგრამ კიდევ უფრო მეტ დახვეწას მოითხოვს საკადრო სისტემა.

არ ვიცი სხვა რაზ იტყვის, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი მეთოდის დანერგვა პოლიციაში დიახაც, რომ შედეგს გამოიღებდა და ამ პრობლემასაც გადაჭრიდა. ხომ ცხადზე ცხადია, რომ პოლიციაში რიგ შემთხვევაში თავხედი და ყოყლოჩინა ახალგაზრდები იღვწიან — ისეთები, უფლებამოსილების ჟინით რომ არიან შეპყრობილნი, მათ იციან, პოლიციაში, რომ იმუშავებენ, სხვებს ზემოდან დაუწყებენ ცქერას, სხვა ადამიანებისაგან განსხვავებით მეტი უფლებები ექნებათ, ვიღაცას შეაშინებენ, წესს დაარღვევენ და ხმას არავინ გასცემს. აი, ეს მავნე ტრადიცია უნდა აღმოიფხვრას პირველ რიგში, პოლიციელი თავად უნდა იყოს წესიერების დამცველი, თავმდაბალი, დაჩაგრულის მოსარჩლე, მაშინ ექნება მას ხალხის ნდობა და პატივისცემა.

— „როცა ტელევიზიით ვისმენ რომელიმე პოლიციელის კრიტიკას — ამბობს ბატონი თამაზი, — მიუხედავად იმისა, რომ მე არ მეხება და არც ჩემი პრობლემაა, სირცხვილისაგან შვილებისათვის თვალებში ვეღარ შემიხედავს."

ეს ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს და ადამიანის პიროვნებასაც ნათლად წარმოგვიჩენს. ოღონდ საინტერესო ის არის, ზოგიერთებსაც თუ ქენჯნის სინდისი, როცა ასეთ გადაცემას უყურებს.

და მაინც, თითქმის ყველა დროს ქართულ პოლიციაში იყვნენ ადამიანები, დიდი ზნეობით, კეთილშობილებითა და მამულიშვილობით რომ გამოირჩეოდნენ. ჩემს თაობას და წინა თაობასაც გვახსოვს ასეთი პიროვნებები. აი თუნდაც ვარლამ შადური, კაცი — ლეგენდა, კაცი-კაცური, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის მეგობარი. რომლის რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოიცა ქართველი მკითხველისათვის ცნობილი ნაწარმოები " მონარქის სევდა" და " ნადირობა მგლებზე." რაღა შორს წავიდეთ, ბატონი რომან გვენცაძე ხომ კეთილშობილების ნამდვილი ეტალონია, რომელმაც ღირსეულად განელო გზა რიგითი ჯარისკაციდან გენერლობამდე. ზურაბ ჩხაიძე, თემურ მურღულია, უშანგი მგელაძე და სხვანი. — ქართული მწერლობის თაყვანისმცემელნი

და მეგობრები. იმედია ეს ტრადიცია, რომელიც ერთ პერიოდში განელდა, ისევ აღსდგება. ამის თქმის უფლებას თუ საფუძველს მაძლევს ჩვენი მინისტრი ბატონი ვანო მერაბიშვილი, განსწავლული კაცი, რომელიც თავის გარშემო იკრებს გონიერ და პატიოსან ხალხს, რომელთა შორის ერთ-ერთი ხომ ჩვენი ნარკვევის გმირია, რომელსაც თავის საქმიანობაზე ბევრი ვერაფერი დავაცდენინე, გარდა იმისა, რომ თურმე რამდენიმე წლის წინ, სოფ. ჯურუყეთში, ორი მოხუცი, მარტოხელა ქალბატონი მოკლეს. ეს საქმე კონტროლზე იყო აყვანილი და ბატონი თამაზი ხელმძღვანელობდა. 24 უძილო ღამის შემდეგ შესაძლებელი გახდა დამნაშავეების დაკავება

კიდევ ერთი ეპიზოდი თამაზ კუნჭულიას ცხოვრებიდან: ძებნილი ანუ მკვლელი, რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში დაეკავებინათ, როგორც არცთუ მეტად მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი. საინფორმაციო ცნობამ დაიგვიანა. მოსალოდნელი იყო, რომ ის გაეთავისუფლებინათ სამხილის უქონლობის გამო, რის შედეგადაც, ის ცხადია სასწრაფოდ გაქრებოდა ქალაქიდან, ამიტომაც მიიღო თუ არა შიფროგრამა, თამაზი სწრაფად მიჰყვა ბანდიტის კვალს.

თბილისიდან მიმავალი გზა მართკუთხედად მოიკეცა, კავკასიონის კალთებზე კი მარყუჟივით ჩაიხლართა. ხეობათა ნისლებში ფიქრების კორიანტელიც წამოიშალა. თანდაყოლილი მტკიცე ნებისყოფა შეელიდა მღელვარება დაეფარა, თორემ სულში უსიმო ბოღმა ჰქონდა დაგროვილი. ყაჩაღების შეტაკებას ორი პოლიციელი შეიწირა, ერთდროულად ორი ოჯახი დაინგრა. მკვლელი ცნობილია, მაგრამ იმალება, არადა აუცილებლად უნდა დაისაჯოს ის, ვისმა ბავშვობამ და ყრმობამაც თითქმის მის თვალწინ ჩაიარა. კარგი ვაჟკაცი უნდა დამდგარიყო, მგრამ სიყმაწვილეშიკე გაუმრუდდა გზა, სკოლას ქუჩა არჩია, ამან კი მკვლელობამდე მიიყვანა.

კავკასიონი უკან დარჩა, რუსეთის ფართო გზატკეცილ'ზე მანქანამ ფრთები გაშალა.

მალე მტვრიანი მანქანა პოლიციის შენობასთან გაჩერდა .როგორც წესრიგის დამცველთა დაუწერელი კანონი ითვალისწინებს, დიდი პატივისცემით მიიღეს სტუმარი, მაგრამ მის მიერ ნახსენები სახელის და გვარის კაცი არც პატიმარი და არც დროებით დაკავებული არავინ აღმოჩნდა. ასე, რომ მკვლელის შეპყრობისა და მისთვის სამაგიეროს მიზღვევაზე მთელ გ'საზე ნალოლიავები ოცნება, საპნის ბუშტივით გაქრა.

იმედგადაწურული პოლიციის უფროსი საავარძლის საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ასეული კილომეტრის გაევლის შემდეგ მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლა და წამიერად შეისვენა, მაგრამ სიმშვიდე შორს იყო მისგან. ფიქრისაგან თავი უსკდებოდა:

-არა, მკელელი უთუოდ ქალაქშია, ასე უცებ ვერ მოახერხებდა გაუჩინარებას.

— თუ შეიძლება, ეს ფოტოსურათი ქსეროფირზე გადავიღოთ და განყოფილებებში დავაგზავნოთ! სთხოვა მან კოლეგას.

— აჰ, ეს ხომ ვოვაა, ვოვა ვოლკოვი!— წამოიძახა მან, როცა თამაზის ხელში ,ძებნილის ფოტოსურათს მიჰკრა თვალი, — ორი დღეა რაც გავათავისუფლეთ, რაღაც უმნიშვნელო საქმეზე იყო დაკავებული და ვერც ის დავუმტკიცეთ, მაგრამ გაძლევთ პატიოსან სიტყვას, — სიმტკიცე ულერდა რუსი კოლეგის ხმაში, — ჩვენ თვითონვე გამოვასწორებთ შეცდომას და უსათუოდ მივაგნებთ მის კვალს.

ორიოდე დღის შემდეგ საშიში რეციდივისტი, პოლიციის უფროსთან ერთად, მანქანის უკანა სავარძელში მოთავსდა და საქართველოსკენ მომავალ გზას დაადგა.

დასასრულს გულისტკივილით მითხრა ბატონმა თამაზმა: "რამდენი პოლიციელი შეეწირა საქვეყნო საქმეს, რამდენია ღირსეული, აბა, ერთი მხატვრული ნაწარმოები თუ დაწერილა პოლიციელზეო, თუ რამ იწერება აქა-იქ, ისიც მხატვრულად მდარე და ბანალური. ერთადერთს, ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას" თუ დავასახელებთ, სადაც დიდი ოსტატობითა და სიყვარულით არის გამოძერწილი პოლიციელის სახე."

სამართლიანი შენიშვნაა. ქართულ მწერლობაში მართლაც იშვიათია პოლიციელზე დაწერილი მაღალი დონის მხატვრული ნაწარმოები. დუმბაძის „კუკარაჩა" კი ამ მხრივ ნამდვილი მარგალიტია. მე მჯერა, რომ ეს მოთხრობა გაცილებით უფრო კეთილ ზეგავლენას მოახდენს პოლიციელზე, ვიდრე იმ კრიტიკის ნიაღვარი, ყოველდღე რომ ატეხენ თავზე პოლიციელებს. ასეთი ნაწარმოების გმირებს მიმბაძველები უჩნდებიან. ესაა მხატვრული სიტყვის ძალა.

თაობა მიდის და თაობა მოდის, ეს ბუნების გარდაუვალი კანონია. მაგრამ მაინც ძნელი ყოფილა ყოველივე ამის შეგუება, მეტადრე იმ ადამიანისათვის, ვისაც მთელი ცხოვრება შრომაში გაუტარებია, ვისაც ჯერ კიდევ გონებაც უჭრის და გულიც ერჩის, მაგრამ უნდა თუ არ უნდა ეს, ჩამოსცილდა თავის საყვარელ საქმეს.

ამ დროს, კაცს ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ამ ქვეყნისათვის უკვე ზედმეტი ხარ. ამიტომაც ყველას ვალია მოვეფეროთ, გავამხნევოთ და დავაფასოთ დღეს უკვე ვეტერანი თამაზ კუნჭულია, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება, ნიჭი და უნარი თავისი ქვეყნის სასარგებლოდ დაუხარჯავს.

კანონი არასდროს დაურღვევია. კანონი კანონია და ბატონი თამაზი პენსიაში გაეიდა. მიუხედავად იმისა, რომ წლები, მას არც ჯანითაც ეტყობა და არც სახითაც.

კანონს არც ამჯერად შეწინააღმდეგებია.

გასრულდა პოლიციის სამსახურში შენების ჟამი, ჟამი წვისა, ჟამი დაგვისა. და მიუხედავად ამისა, გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

პირიქით სადაც უფრო რთული და მწვავე იყო ვითარება, იქ იდგა, იმ გზაზე, რომელმაც ტაძართან მიიყვანა.

ჰოდა, ახლა ლოცვის ჟამი უდგას და სანთელს იმ ბიჭებსაც უნთებს, საკუთარი სიცოცხლის ფასად, სხვისი სიცოცხლე რომ იხსნეს. გულს უკაწრავს მათი ნაადრევად შეწყვეტილი ლამაზი სიცოცხლე, რომლებსაც ალბათ სხვებზე მეტად ჰქონდათ შნოცა და უფლებაც, ტაძართან მისვლისა.

გურამ ჩხაიძე

ინგა ჩხაიძე

ქართველი კაცი ოდითგანვე გ
მოირჩეოდა ყველასაგან თავისი ვ
უკაცური, რაინდული სულით, განს
კუთრებული პატრიოტიზმით და საკ
თარი ერის დიდი სიყვარულით. ღირ
სეული წინაპრების ფესვებზე აღმოც
ნებული თაობა არც შეიძლებოდა სხვ
ნაირი ყოფილიყო. საქართველო ხომ ი
ქვეყანაა, რომელსაც უდიდესი გენიოსებ
– შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა (და კიდ
რამდენი სხვა) ჰყავდა.

ღღეგანდელი ჩემი რესპოდენტი ჭე
მარიტი ქართველი, ნაღდი გურული ღ
ღირსეულ ოჯახში აღზრდილი კაცი
ოჯახში, სადაც სიყვარული, სიწმინდ
და ღირსება პირველ ადგილზეა წ
მოწეული. „არ დაგავიწყდეს ვისი გორის
ხარ“... ეს იყო მთავარი წესი, რითაც ჩემ
სტუმარი აღიზარდა და კაცს, რომელსაც
არასოდეს ავიწყდება თავისი ეროვნულობ
და გვარიშვილობა, უთუოდ დაფასდებ
შთამომავლობისაგან.

ვუსმენდი ჩემს რესპოდენტს და აღტ
ცებას ვერ ვმალავდი. საქართველოს ჯე
კიდევ ჰყავს ისეთი შვილები, რომლებსა
უანგაროდ შეუძლიათ ემსახურონ სამშობ
ლოს, უანგაროდ შეუძლიათ გაიღონ ი
დიდი სიყვარული, რომელსაც ხალხი
კეთილდღეობა ჰქვია.

სასიხარულო და საამაყოა ისეთ პიროვ
ნებაზე წერა, როგორიცაა გურამ ჩხაიძ
რომელსაც უამრავი გმირობა აქვს ჩ
დენილი, ერთულეს ოპერაციებში მონაწ
ლეობდა და რაც მთავარია, თავისი საქმი
პროფესიონალია. იცის რა სჭირდება ცხოვ
რებაში, რას ემსახურება, მას პასუხისმგებლობის უდიდეს
გრძნობა გააჩნია.

გურამ ჩხაიძე დაბადებული 1939 წელს, ლანჩხუთის რაიონი
სოფელ ჩიბათში. განათლება – უმაღლესი. 1965-2000 წლებშ

მსახურობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. პოლიციის პოლკოვნიკი ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა.

მალე ბატონი გურამი 70 წლისა გახდება, მაგრამ არც ერთ ახალგაზრდას არ ჩამოუვარდება სულით და ენერგიით. მან ცხოვრების თითქმის ნახევარი, ბოროტებასთან ბრძოლას შეალია.

— ბატონო გურამ, თქვენზე ამბობენ, რომ საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ჩაგიცვამთ მწყემსის ტანსაცმელი და ისე აგიყვანიათ ქურდები.

— როდესაც ლანჩხუთის რაიონის პოლიციის უფროსად დაეინიშნე, მაშინ ლანჩხუთი საესე იყო როგორც ადგილობრივი ე. წ. „კანონიერი ქურდებით", ასევე რაიონებიდან მოწვეული კრიმინალებით. მთლიანად ქურდულ ტრადიციებზე იყო აგებული რაიონის საქმიანობა. ეკონომიურად გაჭირვებულ ხალხს, რომელსაც ოჯახის მარჩენლად ძროხა ჰყავდა საძოვარზე გაშვებული, საქონელი უკან აღარ უბრუნდებოდა. იძულებული გავხდი ეს პრობლემა გადამეწყვეტა. ჩავიცვი მწყემსის ტანსაცმელი და გავედი იმ საძოვარზე, სადაც ქურდები იყვნენ. ამ დროს შევნიშნე მდელოზე წამოწოლილი ორი კაცი, მივუახლოვდი მათ. მე შევიცანი ისინი, ხოლო მათ ვერა. თავი ჩოხატაურელ მეგრელიშვილად გავაცანი და შევჩიელე, კამეჩები დამეკარგა, ალბათ მომპარეს და თუ დამაბრუნებინებთ, ნახევარი თქვენი იქნება მეთქი. ისინი დამპირდნენ, უახლოეს მომავალში დაგიბრუნებთო. ასე დაშორდით ერთმანეთს. შემდეგ სამი დღე ტყეში დავრჩი და სიტუაცია გავაკონტროლე. მესამე დღეს ვიპოვე ადგილი, სადაც ჰქონდათ საქონლის სადგომი, 15 სული საქონელი ენახე სარეალიზაციოდ გამზადებული. ღამის 4 საათზე ჩავატარეთ ოპერაცია და დავაკაცეთ ძმები თელიები, რომლებმაც თავი დამნაშავედ სცნეს. წინააღმდეგობას თელიების დაკავების შემდეგ წავაწყდი აბაშის რაიონში, სადაც ხორცის დამზადების გეგმას ძმები თელიები ასრულებდნენ. ამით შეწყდა საქონლის ქურდობა რაიონის ტერიტორიაზე.

— „კანონიერ ქურდებს" რა ბედი ეწიათ?

— რაც შეეხება „კანონიერ ქურდებს", ან მე და ან თქვენ, მეთქი, განვუცხადე. მათ დატოვეს რაიონი და აღარ გაგეკარებიან ჩემი მუშაობის პერიოდში. რაიონში ვფლობდი ოპერატიულ სიტუაციას და მდგომარეობა სტაბილური იყო.

— გავიგე, რომ თქვენ ლანჩხუთში გახმაურებული საქმის გამო დაუნიშნიხართ?

ლანჩხუთამდე ვანის რაიონში ვმუშაობდი, სადაც ხშირად მორიგი რეიდის დროს მოგვიხდა ძებნილ ოქროპირაშვილთან (ზედმეტ სახელად ყვავა) შეტაკება. მან შეიარაღებული წინააღ-

მდეგობა გამიწია, მაგრამ შეეძელი მისი დაკავება. ამ ფაქტს გამოეხმაურა პრესა ასეთი სათაურით „გასროლა ყუმურის ტყეში", რამაც მაშინდელი რაიკომის მდივანი თამაზ კუნჭულია დაინტერესა და მისი ინიციატივით გადმოყვანილ და დანიშნულ ვიქენი პოლიციის უფროსად.

— თუ შეიძლება მოყვეთ თქვენი შეტაკების შესახებ ბანდიტ ლაშქარავას ჯგუფთან. სად და როგორ მოხდა?

— გულისტკივილით აღვნიშნავ ამ ფაქტს, რომ შეტაკება ლიკვიდაციით დასრულდა. ისინი არ დაგვთანხმდნენ ჩაგებარებოდნენ და გაგვიწიეს წინააღმდეგობა. სამწუხაროდ ლანჩხუთის რაიონის ჯიხეთის მონასტერთან, ლიკვიდირებულ იქნენ ლაშქარავა, ბელია და კვირკველია.

— თქვენ მტერიც ბევრი გეყოლებათ.

— იყო შემთხვევები ოჯახზე თავდასხმისა, რამაც მაიძულა ოჯახის წევრები გადამემალა. თან განუკითხაობის პერიოდი იდგა. ლოთი ქობალია და მისი რაზმი თარეშობდა იმ დროს.

— ოჯახის წევრები როგორ ეგუებოდნენ ამას?

— ოჯახი დარწმუნებული იყო, რომ მე ჩემს მოვალობას ვასრულებდი და ეგუებოდნენ უძილო და დაძაბულ ღამეებს. ყველას თავისი თავშესაფარი ჰქონდა გარკვეულ შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ჩემმა ქალიშვილმა ჩემი პროფესია აირჩია და ჩემს კვალს დაადგა.

აი, რას წერდა ჯერ კიდევ 1998 წლის აგვისტოს თვეში, გურიის შინაგან საქმეთა სამმართველოს მაშინდელი შტაბის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ლაკვარდ ბოლქვაძე:

„დღეს მხოლოდ მწარე მოგონებად რჩება სამოქალაქო ომის ზღვრამდე მისული ვითარება, როცა ლანჩხუთი მოვლენათა ეპიცენტრში მოხვდა და კრიმინალების ხელში დიდძალმა იარაღმა მოიყარა თავი. იმ მძიმე დღეებში, განყოფილებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა მამაცი და გამოცდილი ოპერატიული მუშაკი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გურამ ჩხაიძე, რომელმაც ხერხემალი გადაუმტვრია გათავხედებულ შეიარაღებულ ბანდებს."

ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს დეტექტივ–გამომძიებელი გურამ ასათიანი: „გურამ ჩხაიძე იყო, ერთ-ერთი გამორჩეული ჩეკისტი, უშიშარი, თავისი საქმის პროფესიონალი. მასთან ოპერაციაზე წასვლა, თითოეული ჩვენთაგანის ოცნება იყო. ერთი პერიოდი ბატონი გურამ ჩხაიძე მუშაობდა ნატანების პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსად. ქვეგანყოფილებას საუკეთესო შედეგები ჰქონდა. ეს პირველ რიგში, მისი ხელმძღვანელის დამსახურება იყო. თავისი იუმორითაც გამორჩეული იყო. არასოდეს დამავიწყდება პროფე-

სიონალ, აწგარდაცელილ ეახტანგ კეაჭანტირაძესთან შეხვედრის დეტალები. უფრო კონკრეტულად: ერთ დღეს ბატონი გურამი ოსურგეთის შს რაიონული განყოფილების წინ შეხვდა ეახტანგ კეაჭანტირაძეს. ეახტანგს იმ დროს, რადიკულიტის შეტევები ჰქონდა და წაფერდებული ჩამოვიდა მანქანიდან. გურამმა უთხრა: „ბიჭო ეახო, ხონის პოლიციის უფროსობის დროს მახსოვს, მხოლოდ შაშვის გალობაზე ქეიფობდი და ახლა ამ გურულებს როგორ დაუსკირენჯვებიხარო."

— თქვენ ფსიქოლოგიც ყოფილხართ. ზესტაფონში ყაჩაღებს როგორ მოექეცით?

— ერთ მშვენიერ დღეს, როცა თბილისში მივემგზავრებოდი, ზესტაფონში, ოთხი კბილებამდე შეიარაღებული ყაჩაღი გადამიდგა წინ. თანამებრძოლი მახლდა. ყაჩაღებმა ის განაიარაღეს, მაგრამ როცა დადგა დრო ჩემი განიარაღებისა, ეს რაღაც წამებში მოხდა, მე მორალურად გავანადგურე ისინი, ალბათ ფსიქოლოგიური მომენტიც იყო. პირველ რიგში კი, ღმერთმა გადმომხედა და ყაჩაღები გაგვეცალნენ. დღესაც ვერ გამიგია, რა მოხდა? რატომ დაიხიეს უკან? რატომ გაგვიშვეს? მათ თავისუფლად შეეძლოთ ჩვენი განადგურება.

— წყალტუბოს რაიონში მარტო დაგიკავებიათ სამი ძებნილი.

— ეს სალაპარაკო არ არის, ეს ჩემი პროფესიულ მოვალეობა იყო. ვიქცეოდი ისე, როგორც შემეძლო.

— თქვენ სამჯერ დაგნიშნეს და გაგათავისუფლეს ლანჩხუთის რაიონის პოლიციის უფროსის თანამდებობიდან. მიზეზი?

— თუ ვინმეს დასჭირდებოდა ადგილი ვინმესათვის, ჩემი ადგილი სათადარიგო სკამი იყო. მომხსნიდნენ, დამნიშნავდნენ. მიზეზი დღესაც უცნობია.

— დანიშვნა რა მოტივით ხდებოდა?

— ისევ და ისევ ხალხი. მათ ჩემი სჯეროდათ. მენდობოდნენ. 2500 განცხადება იყო ცეკაში, ჩემი დანიშვნის მოთხოვნით იმ ხალხისაგან, რომლებსაც არც კი ვიცნობდი.

— ვისი დამსახურება იყო გურიის სამხარეო სამმართველოში სამძებრო სამსახურის უფროსად თქვენი დანიშვნა?

— ბატონი ვიქტორ გობრონიძისა, რომელმაც დაინახა და დააფასა ჩემი ღვაწლი.

— ბატონო გურამ, თქვენმა პოლიციელობამ ხომ არ იმოქმედა თქვენი შვილების არჩევანზე?

— ჩემი შვილები, ბავშვობიდან პოლიციელობაზე ოცნებობდნენ, თუმცა გიამ სხვა პროფესია აირჩია. ინგას კი ეამაყებოდა, რომ მე პოლიციელი ვიყავი, მას მამამისი ყველაზე ძლიერი ეგონა. რა თქმა უნდა, ჩემმა პოლიციელობამ მის არჩევანში დიდი წელილი

შეიტანა. დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის პოლიციაში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორად და უკვე მე–10 წელია პოლიციაში მუშაობს. დღეს იგი გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორ–გამომძიებელია. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მისი მეუღლე მამუკა ნადირაძეც, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელია, ოსურგეთის რაიონულ პროკურატურაში მუშაობს პროკურორად.

— ბატონო გურამ, რას იტყვით ახლანდელ თაობაზე, დღევანდელ ახალგაზრდობაზე?

— პირველ რიგში იმას, რომ ძალიან პრობლემურ დროში მოუწიათ ცხოვრება. მიხარია, რომ თავის სახეს მაინც ინარჩუნებენ. ძალიან მტკივა გული, როდესაც ახალგაზრდები დანაშაულს სჩადიან, თავის ცხოვრების გზას იმრუდებენ. მომავალს კარგავენ.

— რა სხვაობას ხედავთ თქვენი და დღევანდელი თაობის შედარებისას?

— მე მშვენიერად მესმის ახალგაზრდებისა. დღევანდელი ვითარება იძლევა იმის საშუალებას, რომ თავი გამოიჩინონ, თავისუფლად იმოქმედონ, ჩვენ ამას მოკლებულნი ვიყავით, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენი თაობის ქცევები, პასუხისმგებლობის გრძნობა, მეჩვენება, რომ უფრო სხვანაირი იყო.

— მომავლისა გჯერათ?

— რა თქმა უნდა. ისტორია ისეთი რამ არის, რომ ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ყველა მოვლენას კალაპოტში ჩააყენებს. მე მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— ბატონო გურამ, ღმერთი თუ გწამთ?

— აუცილებლად. ადამიანებს თუ რწმენა დაეკარგა, ის ყველაფერს იკადრებს. სწორედ რწმენაა, ჩვენი და ჩვენი ხალხის ხსნის გზა.

— ყველაზე მეტად რას ინატრებდით?

— ბევრი დრო ჩემს პატარა შვილიშვილთან ქეთევანთან გავატარო.

ბატონი გურამი დარწმუნებულია, რომ ყველა ადამიანმა სიკეთე უნდა აკეთოს. მოვდივარ ბატონი გურამისაგან და ვფიქრობ, ნეტავ ბევრია კიდევ ისეთები, რომლებიც ერთი შეხედვით პატივისცემას ჩაგინერგავენ და ასე განიცდიან ირგვლივ მყოფთა ბედს.

დრო გიჟურად გარბის ცხოვრების მარათონში... დრო ცვალებადია და ქარივით მქროლავი... მიდიან წლები, მოგონებები კი ილექება ჟამთა არქივში, მაგრამ არ ქრება წლების ბურუსში...

კინოფილმის კადრიეით გადიან შთაბეჭდილებათა სურათები და არ გჯერა, რომ გუშინ ისეთი ახალგაზრდა ჯანღონით სავსე შენი მეგობარი, დღეს უკვე თადარიგში გასული, საპატიო ვეტერანის წოდებას ატარებს. უნდა ვაღიარო, რომ ყველაზე ძნელია მეგობარზე წერილის დაწერა, მით უმეტეს იუბილარზე, იმ ადამიანზე, ვისაც აფასებ და პატივს სცემ. მეშინია, რომ ვერ შეეძლებ სრულყოფილად ვაჩვენო იგი ისე, როგორც ამას იმსახურებს. ჩემი მეგობარი კი, ნამდვილად იმსახურებს სიყვარულს, პატივისცემას და დაფასებას, რადგან მთელი ცხოვრება სითბოს და სიკეთეს ჩუქნიდა გარშემომყოფ ადამიანებს. ეს თვისება მას დროის ბურუსშიც არ დაუკარგავს. ამას აღვნიშნავ არა მარტო მხოლოდ მე, ამას აღნიშნავს ყველა, ვის გვერდითაც იგი მუშაობდა.

ჩემო გურამ! წინასწარ გილოცავთ მოახლოებულ 70 წლის იუბილეს. იბედნიერეთ, მზეგრძელი და დღეგრძელი ყოფილიყავით! მალე გეხილოს საქართველო – მითიური ამირანიეით ჯაჭვებდაწყვეტილი და თავისუფალი.

კეთილო ადამიანო! დაგილოცავ სიკეთით განვლილ გზას, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ. თქვენნაირი ადამიანი ალამაზებს ჩვენს ყოფას. ღმერთმა სიკეთე და სიყვარული ნუ მოგაკლოთ, თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ბრძოლისათვის ახლაც მზადაა

გიორგი ენუქიძე

90-იან წლებში ოზურგეთის რაიონში, თითქმის უმართავი კრიმინოგენური ვითარების გამო, სალხს გარეთ გამოსვლისა ეშინოდა. ადგილობრივი, თუ იმერეთ-სამეგრელოდან შემოსული ბანდიტები დღისით თუ ღამით, თავისუფლად დათარეშობდნენ და მოსახლეობას პირწმინდად ძარცვავდნენ.

სწორედ ამ პერიოდში მოუხდა, ბატონ გიორგი ენუქიძეს, მართლწესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე დგომა. ასეთ დროს კი ყველაზე უკეთ ვლინდება ადამიანების პიროვნული თვისებები.

ჩემს წინ, უაღრესად საინტერესო, მრავალფეროვანი ფაქტებით აღსავსე ბიოგრაფიაა, რომლის მქონე ადამიანი ერთ-ერთი იმათგანია, რომელთა მომავალი ცხოვრების გზაც, შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურმა განსაზღვრა. რამეთუ მათ ყველაზე მეტად იგრძნეს ადამიანის სიცოცხლის ფასი და მშვიდობიანობის დროს, სიცოცხლისა და სამართლიანობის სადარაჯოზე ერთგულად და საიმედოდ დადგნენ.

გიორგი კარლოს-ძე ენუქიძე, დაიბადა 1951 წლის 5 მაისს, ვანის რაიონის სოფ. ქირში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. 2 წელი და 3 თვე იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში. 1947 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მილიციის საშუალო სკოლა და გაანაწილეს მახარაძის რაიონში. სხვადასხვა დროს მუშაობდა უბნის ინსპექტორად, შრომა–გასწორების ინსპექციის უფროს ინსპექტორად, პროფილაქტიკის ქვეგანყოფილების უფროსად, გურიის რეგიონის ეკოლოგიის პოლიციის უფროსის მოადგილედ, უბნის ინსპექტორების ქვეგანყოფილების უფროსად, შტაბის უფროსად დ ბოლოს პენსიაში გასვლამდე განყოფილების უფროსის მოადგილედ ადმინისტრაციული პოლიციის ხაზით.

შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე, ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გაუკეთებია პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს, ბატონ გიორგი ენუქიძეს. მას კარგად ახსოვს პირველი საბრძოლო ნათლობა. ახალბედა თანამშრომელი ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული პოლიციის ყველა ნიუანსებში, არ ჰქონდა საკმარისი გამოცდილება, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მიეღო ეფექტური მონაწილეობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიე-

ბებში. 1976 წლის მაისის თვე იყო. ოზურგეთის რკინიგზის სადგურზე იდგა ტყვია-წამლით დატვირთული ვაგონი, რომელსაც იცავდა 4 სამხედრო მოსამსახურე ავტომატური იარაღებით. ამ დროს მოხდა მათზე შეიარაღებული თავდასხმა. ერთ-ერთი ჯარისკაცი სცემეს ავტომატის კონდახით და წაართვეს იარაღი. იმავე დღეს, მახარაძის რაიონში, ოპერატიულ ჯგუფთან ერთად მიაკლინეს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი, აწგარდაცვლილი ვარლამ შადური, გიორგის კარგად ახსოვს ის ოპერატიული თათბირი, რომელიც ჩაატარა მინისტრის პირველმა მოადგილემ. იგი იყო რადიკალურად განსხვავებული ყველა თათბირებისაგან. საუბარი იყო კონკრეტული, მიზანმიმართული. ფაქტიურად, თათბირზე დასახული ღონისძიებები, შემდგომში ჩვენთვის გახდა სამოქმედო პროგრამა. მოხდა მთელი რაიონის ბლოკირება, გადაიკეტა ყველა გზა. გატაცებული ავტომატური იარაღი, ბოროტმოქმედებმა დააგდეს სოფ. ლიხაურის ტერიტორიაზე, ჩაის პლანტაციებში. გატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, ოთხივე ყაჩაღი დაკავებულ იქნა.

კიდევ ერთი ეპიზოდი გაიხსენა ბატონმა გიორგიმ: „1997 წელს ოზურგეთის რიონის სოფ. გურიანთაში დაყაჩაღებული იქნა ტოტოჩავას ოჯახი. კბილებამდე შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა იარაღის მუქარით გაიტაცეს ფული და ძვირფასეულობა. როდესაც ბოროტმოქმედები, ნაყაჩაღარი ნივთებით გამოდიოდნენ სახლიდან, ამ დროს ოჯახის უფროსმა სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა ერთ-ერთი მათგანი. იმავე დღეს, შედგა „ცხელ კვალზე“ გასატარებელი ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების გეგმა. ფაქტიურად განყოფილების მთელი პირადი შემადგენლობა ფეხზე იდგა. ერთ-ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა სამძებროს უფროსი, აწ. გარდაცვლილი იოსებ უგულავა. მასთან ერთად შევამოწმეთ ჩაის ფაბრიკის საცხოვრებელი სახლები. ერთ-ერთი საეჭვო ბინის ჩხრეკის დროს, ი. უგულავამ საეჭვოდ მიიჩნია საწოლი, სადაც იწვა მოხუცი ქალბატონი. რატომღაც, ამ მანდილოსანს ჰკითხა იოსებმა ბოროტმოქმედთა ვინაობის შესახებ. ვინ ყაჩაღები, რა მოხდაო გაიკვირვა კიდეც, ქალბატონმა. იოსებმა მას ადგომა სთხოვა, რათა საწოლი შეემოწმებინათ. ამ უკანასკნელმა ატეხა წივილ-კივილი, ავადმყოფი ვარ არ მომეკაროთო. მიუხედავად ამისა იოსებმა წამოსწია ქალი და ლეიბის ქვემოდან ამოიღო ცვცხლსასროლი იარაღები. იმავე დღეს დაკავებულ იქნა ოთხივე ბოროტმოქმედი, ამოღებულ იქნა ნიღბები და სხვა ნივთმტკიცებები.

სოფელ შემოქმედში მომხდარი საზარელი მკვლელობის ეპიზოდიც გაიხსენა გიორგი ენუქიძემ, იგი იყო პასუხისმგებელი მორიგე. მასთან ერთად მორიგეობდა აწგარდაცვლილი ალიკა კალანდაძე და თადარიგში მყოფი შოთა ჭკუასელი. ღამის სამ საათზე, შემოვიდა შეტყობინება აღნიშნულის შესახებ. გიორგიმ აცნობა რაიონის პროკურორს. მილიციის უფროსს და მის მოადგილეს ეერ დაუკავშირდა. დრო არ ითმენდა. ერთ-ერთი თანამშრომელი დატოვა სამორიგეო ნაწილში და მილიციის შენობიდან გამოვიდა. ამ დროს მილიციაში მივიდა პროკურორის მოადგილე მერაბ აბაშმაძე, რომელიც თათბირზე მიდიოდა ქ. თბილისში. „როდესაც მოვახსენე მომხდარის შესახებ – იხსენებს ბატონი გიორგი – მან გადადო თბილისში წასვლა და ჩემთან ერთად წამოვიდა შემთხვევის ადგილზე. მთელი სოფელი გარეთ იყო გამოსული. მკვლელობა მოხდა წიტაიშვილების ოჯახში. არჩილ წიტაიშვილს პირველი ცოლისაგან, ჰყავდა შვილი, რომელიც დედასთან ერთად, ცხოვრობდა ქობულეთში. მათთან ქირით ცხოვრობდა მოსკოველი სტუდენტი გოგონა. ერთ დღეს, არჩილის ბიჭმა, მდგმურს შესთავაზა ოზურგეთის რიონის სოფ. შემოქმედში გასეირნება, მისი მამის სახლში. მივიდნენ თუ არა წიტაიშვილების ოჯახში, არჩილის ბიჭმა, სცემა მშობლები და გამოაგდო სახლიდან, თვითონ კი დარჩა უცნობ გოგონასთან ერთად, მიაყენა მას რამდენიმე ჭრილობა, სადისტურად აწამა და მიიმალა. თუმცა გიორგიმ, ქვემორიგე კალანდაძესთან ერთად, მოახერხა მისი ადგილსამყოფელის დადგენა და დაკავება. ვინაიდან მკვლელი იყო ფიზიკურად ძლიერი, მისი მხრიდან მოსალოდნელი იყო ძალადობა. მაშინვე იარაღის კონდახი ჩაარტყა თავში და გათიშა. დილით, როდესაც მოვიდა განყოფილების ხელმძღვანელობა, მოახსენა აღნიშნულის შესახებ. მათ გაეხარდათ, პროკურორი კი დაჭერით დაემუქრა შენ რატომ გახვედი შემთხვევაზეო. მაგრამ დაჭერის ნაცვლად, მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ერთი თვის ხელფასით დააჯილდოვა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მკვლელს დახვრეტა მიუსაჯა.

ერთი კურიოზიც გაიხსენა ბატონმა გიორგიმ: 1991-1992 წლებში ოზურგეთის პოლიციის უფროსად მუშაობდა, პარტიის რაიკომიდან გადმოყვანილი, კონსტანტინე შავიშვილი. ადრე მძიმე დანაშაულისათვის გასაართლებულ პირებზე, შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესება. უბნის ინსპექტორად მუშაობის პერიოდში, შექმნილი მქონდა ასეთი საქმე რამდენიმე პირის მიმართ. მათ შორის იყო რეციდივისტად ცნობილი, მეტსახელად-„ჩომბე“, რომლის დასაჭერად მასალები უკვე გამზადებული იყო, მაგრამ იგი ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იყო ექსპრეზიდენ-

ტის ზ. გამსახურდიას დაცვის წევრი. პოლიციის უფროსი კი მოითხოვდა მის დაკავებას. „ჩომბეს“ თუ არ დაიჭერ, სამსახურს დაემშვიდობებიო მითხრა. არ ვიცოდი რა მექნა. ეს ის პერიოდია, როდესაც პრეზიდენტის მხარდასაჭერად დაგვყავს ჯგუფები ქ. თბილისში. ერთ დღეს, წაიყვანე ჯგუფი და რამდენიმე ხნით მოგვიწია „ედპს“– შტაბ ბინაში ყოფნა. ჩვენთან ჩამოვიდა პოლიციის უფროსი კოტე შაეიშვილი, ესაუბრობდით პარლამენტის ფოიეში. ამ დროს, გაჩერდა პრეზიდენტის ექსკორტი. წინ გადმოვიდნენ ოსურგეთელი ძმები როსტომიანები. მათ უკან მიყვებოდა ავტომატით შეიარაღებული ჩემი „მეგობარი“ – “ჩომბე“. იგი მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა „თუ რამე გაგიჭირდეს სამსახურში, მთხოვე და დაგეხმარებიო“. გამეცინა, მაგრამ ვერაფერი ეუთხარი, უფროსმა მკითხა, ვინ იყო ეს პიროვნება ასე თბილად რომ მოგესალმაო? ეუთხარი ეს არის ის „ჩომბე“ თქვენ რომ მაძალებთ დაჭერას მეთქი. კოტემ ჩუმად მითხრა, ჩამოხვალ თუ არა რაიონში, ჩამოწერე ეს საქმეო.“

გოგი ენუქიძე განსაკუთრებით აფასებს ადამიანში პატიოსნებას, საქმის სიყვარულს, სამართლიანობას. ადამიანს ვერ აპატიებს გულგრილობას, სიცრუესა და მოჩვენებითობას. იგი დამოუკიდებელი განსჯის უნარით დაჯილდოებული გამოცდილი მუშაკი იყო, სიტუაციაში სწორად ერკვეოდა და ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებდა. რეგიონში არ მოიძებნება ბატონი გოგის თაობის კაცი, რომელიც მასზე, მის პიროვნულ თვისებებზე რაიმე აუგს იტყვის. პირიქით, თუკი მოაგონდებათ, ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ ხოლმე. განსაკუთრებით გამოყოფენ მის ყურადღებიანობას, თანამშრომლებისადმი კოლეგიალურ დამოკიდებულებას. სადაც უმუშაენია ბატონი გიორგის, ყველგან თავისი სიკეთისა და მზრუნველობის კვალი დაუტოვებია.

ჯანმრთელობას, სიხარულს და დღეგრძელობას გისურვებთ ბატონო გიორგი. ბედნიერი ხართ იმითაც, რომ თქვენ ბევრს უყვარხართ და ენატრებით. თუმცა, არ გამიკვირდება თუ როდესმე გულში გაგკენწლაეთ და მოგენატრებათ პოლიციის უძილო, დაძაბულობითა და ხიფათით აღსავსე დღეები.

გულს ნუ გაიტეხთ ბატონო გიორგი, უფლებამოსილი ხართ – დაისვენოთ.

მერაბ ფუტკარაია

ბეჟა ფუტკარაია

ოპერაციულ-საგამოძიებო საქმიანობაში სშირად წამოიჭრება ხოლმე ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრა თითქოს შეუძლებელია. გაინასკვება ისეთი კვანძი, რომლის გახსნაც; თითქოს წარმოუდგენელი ხანს. დაისახება ისეთი ოპერაციები, რომლის ხორციელებასაც; თითქოს ვერავინ გაბედავს. ამ დროს, შეიძლება, ხოგიერთს თითქოს თავგზაც კი აებნეს. მაგრამ, რიდესაც; გამოსაძიებელ, უფრო კონკრეტულად, გაუსსნელ საქმეს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს, მერაბ არტემის ძე ფუტკარაიას გააცნობენ, იგი ყოველთვის დინჯად მოისმენს, ყველაფერს აწონ-დაწონის და მასთან გასაუბრების შემდეგ ყველაზე თავგზაბნეულსაც კი გულზე მოეშვება ხოლმე. ახრი გაესსნება და ეტაპერი გადაწყვეტილებით მიღებაც არ გაუჭირდება. სწორედ ასეთ იცნობენ მერაბს კოლეგები.

მერაბ არტემის-ძე ფუტკარაია, დაბადა 1960 წლის 12 ივნისს, მარტვილის რაიონის სოფ. სალხინოში. 1967-1977 წლებში სწავლობდა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლაში. 1978-1980 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, 1981-1983 წლებში მუშაობდა თბილისის არასაუწყებო დაცვის, ბანკების დაცვის ასეულში პოლიციელად. 1983 წელს, მიხალები გამოცდები ჩააბარა ვოლგოგრადის უმაღლეს საგამოძიებო სკოლაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1988 წელს და განაწილებით, მუშაობა დაიწყო მახარაძის სარაიონთაშორისო საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლად, შემდგომში – ოსურგეთის შს რაიგანყოფილების უფროს გამომძიებლად. 1992 წლიდან, გურისს შს სამხარეო მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ჯგუფის უფროსია. შემდეგ გადაიყვანეს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილედ. 1996-2000 წლებში მუშაობდ

ამავე სამსახურის უფროსად. 2000-2001 წლებში, იმუშავა საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. ფოთის განყოფილების გამომძიებლად. 2001-2002 წლებში, შს სამინისტროს ტრანსპორტის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების ინსპექტორია, 2002 წლის ბოლოდან 2008 წლის თებერვალამდე, მუშაობდა ოზურგეთის რაიონული განყოფილებაში გამომძიებლად.

სისხლის სამართლის პირველი საქმე, რომელიც მერაბმა გამოიძია, ეხებოდა პროფესიონალ ქურდს, ანალოგიური დანაშაულისათვის 3-ჯერ ნასამართლევ, ა.ქისაშვილს, მეტსახელად „შუსტრის". რომელმაც, 1988 წლის 14 სექტემბრს, ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებ, ფრიდონ ჭანტურიას, ტექნიკური საშუალების გამოყენებით გასტაცა ავტომანქანა. იმავე დღეს, გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბოროტმოქმედი დაკავებულ იქნა ხოლო ავტომანქანა დაუბრუნდა თავის პატრონს.

მერაბი პროფესიონალი ქურდის ხრიკებმა ვერ შეაშინა. დაზარალებულის დახმარებით, რომელიც პროკურატურაში გამომძიებლად მუშაობდა, ჩაატარა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები. შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ამოცნობა, შემთხვევის ადგილზე გაყვანა, დაპირისპირებები და სხვა. ოპერატიული სამსახურის მუშაკებთან ერთად, არაერთგზის მოიპოვა ქურდობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებანი. რის შემდეგაც, პროფესიონალმა ქურდებმა, როგორც ხდება ხოლმე, აღიარეს ჩადენილი დანაშაული.

მერაბს რომ ეკითხეთ, როგორი განცდა ჰქონდა პირველ პატიმართან შეხებისას, აღნიშნა, რომ თავიდან შემეცოდაო კიდეც, დანგრეულ ციხეში, რომ მივედი გული მეტკინაო.

ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საგამოძიებო სამსახურში მუშაობის პერიოდში, მერაბის მიერ გამოძიებულ იქნა სხვადასხვა კატეგორიის ასეულობით დანაშაული. მათ შორის აღსანიშნავია სისხლის სამართლის საქმე ნიდარ სვანიძისა და სხვათა მიმართ. „1994-1996 წლებში, ნოდარ სვანიძის მიერ შექმნილ ·ბანდიტურ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ქ. ოზურგეთში მცხოვრები გიორგი ჩაველეიშვილი, ბადრი ცეცხლაძე, გიეი თედორაძე, ჯონი გობრონიძე, გოჩა ანთაძე, იაგორ მამალაძე, ირაკლი ქარჩავა და სხვები, შეიარაღებული იყვნენ ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღებით და ხელყუმბარებით, სისტემატიურად თავს ესხმოდნენ მოქალაქეებს, იტაცებდნენ მათ პირად ნივთებს, ძვირფასეულობას, ავტომანქანებს. წინასწარი გამოძიებით დადგენილ იქნა ყაჩაღობის 26 ფაქტი, ბანდის წევრების უმრავლესობა, დაკავებულ იქნა. ჩადენილი დანაშაულის

მოცულობის, სირთულის, დამნაშავე პირთა სიმრავლის გამო, საქმე გამოსაძიებლად დაიქვემდებარა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ. შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი ზაქრო წიკლაური. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ მერაბი და გამომძიებელი დავით ანდღულაძე. აღნიშნული ბანდის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაული საბოლაოდ დაკვალიფიცირებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის I და II ნაწილით, 152-ე მუხლის II და III ნაწილებით, 243-ე, 240-ე და 78-ე მუხლებით.

საქმის გამოძიების პერიოდში, დაკავების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას, ლიკვიდირებულ იქნა ბანდის მეთაური ნოდარ სვანიძე და კიდევ რამდენიმე დამნაშავე. უმრავლესობის მიმართ კი გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი და მიესაჯათ ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა. ბევრი მათგანი დღესაც იხდის სასჯელს.

შეუპოვრობა და ნებისყოფა, პროფესიული ალღო და კეთილსინდისიერება, ჭეშმარიტების დადგენისათვის ბრძოლის უნარი, რომელიც ობიექტურობას გულისხმობს, პრინციპულობა და ინიციატივა, ყველაფერი ეს ერთად აღებული, ეხმარება მერაბს სააშკარაოზე გამოიტანოს დანაშაულობანი.

მერაბს არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი და ეს მარტო თავმდაბლობით როდია გამოწვეული, რადგან გმირული თავგანწირვა ამ ადამიანისათვის ჩვეულებრივი პროფესიული მოვალეობის აღსრულებაა. უამრავი საშური თვისება ახასიათებს: არის გულისხმიერი, კეთილი. გაჭირვებაში უფრო კარგ თანადგომს ვერც იპოვით.

ზემოთ გმირობა და თავგანწირვა ვახსენე... სიტყვები რაც უნდა ბევრისმთქმელი და მრავლისმომცველი იყოს, თავისთავად არარაობად იქცევა. სათანადო ფაქტებისა და არგუმენტების გარეშე. ესენი კი, იმდენია მერაბ ფუტკარაიას ისტორიაში, ალბად სქელტანიანი წიგნიც ვერ დაიტევს. მე კი შეეეცდები, რამდენიმე მათგანი მაინც გამოვიტანო მკითხველის სამსჯავროზე.

გურიის სამხარეო სამმართველოში, 1996 წელს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე როინ ქორიძისა და სხვათა მიმართ.

გამოძიებით დადგენილი იქნა შემდეგი: 1994 წელს, ოზურგეთის რაიონის სოფ. მაკვანეთში მცხოვრებმა როინ ქორიძემ, შექმნა ბანდიტური დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაში იყვნენ იმავე სოფელში მცხ. პაატა იობიშვილი, ბესიკ გოლიაძე, კობა ჭანუყვაძე, დიმიტრი ქორიძე, ვაჟა შუკაიძე, რომან ანდღულაძე და სხვები. შეიარაღდნენ ავტომატური იარაღებით, პისტოლეტებით,

ხელყუმბარებით, ახორციელებდნენ ყაჩაღურ თავდასხმებს მოქალაქეთა ოჯახებზე, იტაცებდნენ ავტომანქანებს, არაერთი ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს ლანჩხუთისა და ოზურგეთის გამავალ ცენტრალურ სააეტომობილო გზებზე. ძარცვავდნენ თურქეთში საეაჭროდ მიმავალ და იქიდან დაბრუნებულ მოქალაქეებს. გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკით. ერთ-ერთი ყაჩაღური თავდასხმის დროს, ურეკი-ლანჩხუთის ცენტრალურ სააეტომობილო გზაზე, როცა ისინი ყაჩაღურად თავს დაესხნენ თურქეთიდან მომავალ ავტობუსს, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის თანამშრომლებს, მძეელად აიყვანეს მთლიანად ავტობუსი და წამოიყვანეს ოზურგეთის რაიონის სოფელ გომისმთაზე. ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად გეიან ღამით, მოხერხდა მძევალთა გათავისუფლება, (რომელთა უმეტესობა იყვნენ ქალები).

ბანდის მეთაურის, როინ ქორიძის, წევრების –. პაატა იობიშვილის, ბესიკ გოლიაძისა და კობა ჭანუყვაძის აყვანა მოხდა სოფ. მაკვანეთში, სოფლის სასაფლაოზე ჩატარებული ოპერაციის შედეგად. სადაც მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული იყვნენ, ვერ მოახერხეს იარაღის გამოყენება. (ოპერაციას ხელმძღვანელობდა გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი, აწ გარდაცვლილი ლაეუვარდი ბოლქვაძე. აღნიშნული ბანდის მხილებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მაშინდელი სამხარეო სამმართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი ნესტორ მიქატაძე, მისი მოადგილე გოგი კუკულაძე, ეროდი გორდელაძე და სხვები. უშუალოდ გოგი კუკულაძის ძალისხმეეით, როინ ქორიძისაგან, ამოღებულ იქნა ორი ყუთი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, ავტომატური იარაღები და ხელყუმბარები. 1994 წელს, როინ ქორიძემ სხვა პირებთან ერთად, ქ. ბათუმში დაკავებისას ჩაიდინა პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა. აღნიშნულის გამო, გაერთიანდა მათ მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეები და გამოსაძიებლად დაიქვემდებარა გენერალურმა პროკურატურამ: საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო აპარატთან არსებული ცალკეული ტერორისტული აქტების, დივერსიებისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა გამოძიების სპეცალური ჯგუფი, რომელსაც 7 თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი ტარიელ სუჯაშვილი.

მერაბ ფუტკარაიას, ძირითადად უწევდა მრავალეპიზოდიანი, რთული საქმეების გამოძიება. პირველ ხანებში იგი აღნიშნულ

საქმეებს იკვლევდა საგამოძიებო ჯგუფებთან ერთად. შემდეგ ასეთი და სხვა სახის მრავალი სისხლის სამართლის საქმე, მერაბმა დამოუკიდებლად გამოიძია. მათ შორის, 1992 წლის გაზაფხულზე, ოზურგეთის რაიონის სოფელ ვაკიჯვარში, ხუთი კბილებამდე შეიარაღებული პირის მიერ ადამ დოლიძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი. შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა, ოჯახის უფროსი დაამწყვდიეს საქვაბეში. შეტყობინების მიღებისთანავე, გადაკეტილ იქნა რაიონიდან გასასვლელი გზები. „ცხელ კვალზე" გატარებული ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ხუთივე ბოროტმოქმედი დაკავებულ იქნა, ასევე ამოღებულ იქნა „ვაზ 2105" მარკის ავტომანქანა, რითაც მოძრაობდნენ ბოროტმოქმედები. გაირკვა, რომ აღნიშნული ავტომანქანა ეკუთვნოდა მარტვილელ კაცს და გატაცებული იყო გარდაბნის რაიონიდან. ხუთივე ბოროტმოქმედი მოთავსებულ იქნა წინასწარი დაკავების იზოლატორში. ერთ-ერთი მათგანი, გვარად კილაძე, მერაბმა ოპერმუშაკთან ერთად, გაიყვანა შემთხვევის ადგილზე. როდესაც დაკავებული საქვაბეს აჩვენებდა, ოჯახის პატრონის შეჩერება თითქმის შეუძლებელი გახდა, იგი შეეცადა ადგილზე ჩაქოლა ბოროტმოქმედი, 5-6-ჯერ გაისროლა პაერში გაფორმებული „მაკაროვის" სისტემის იარაღიდან. მერაბის ავტორიტეტი და პრინციპულობა, რომ არა შეიძლება საქმე სავალალო შედეგით დამთავრებულიყო. დაკავებული ისე იყო შეშინებული, რომ „ნუ მომკლავ კუსა ბიძიაო", მიმართა დაზარალებულს. „ახლა გავხდი შენი ბიძა, რომ მაყაჩაღებდი მაშინ რატომ არ ფიქრობდი ამაზეო?"

როგორც გამოძიებით დადგინდა ხუთი ბოროტმოქმედიდან ორი გვარდიელი იყო.

ყოველთვის რთულ საქმესთან უხდება შერკინება, განუმეორებელი შემართებით ეკიდება საქმეს. ჩანაფიქრისა და სურვილის მისაღწევად თავდაუზოგავად იღვწის, თავის გასაკეთებელს უყოყმანოდ აკეთებს, ზოგჯერ გაბრაზდება კიდეც, როდესაც სხვისი დაწყებული საქმის ფეხზე დაყენება უწევს, მაგრამ სიბრაზე მალე გაუვლის და ჩვეული მონდომებით განაგრძობს მუშაობას. მთავარი ერთია – პოლიცია უნდა აკეთებდეს თავის საქმეს. ხალხს კი უნდა სჯეროდეს და ენდობოდეს პოლიციას.

მერაბს კარგად ახსოვს 1992-1994 წლები. გურიის რეგიონი, იმ დროისათვის, საქართველოში კრიმინოგენურად ყველაზე რთული გახლდათ. ფაქტიურად საზოგადოება ორად იყო გაყოფილი. აღზევება იწყო ბანდიტიზმმა. იძარცვებოდა ყველა და ყველაფერი. გახშირდა მკვლელობები და მოსახლეობის აწიოკება.

მერაბს განსაკუთრებით დაამახსოვრდა 1992 წლის თებერვალი, როდესაც 30-მდე შეიარაღებული პირი თავს დაესხა პო-

ლიციელებს, რომელთა შემადგენლობაში მერაბთან ერთად, იყო კიდევ რამოდენიმე ადამიანი. წინააღმდეგობის გაწევა ფაქტიურად შეუძლებელი გახდა. პოლიციის შენობა დაუცველი იყო. პასუხისმგებელ მორიგეს მიხეილ კიკვაძეს იარაღის მუქარით წაართვეს წინასწარი დაკავების იზოლატორის საკნების გასაღები და ოცდაექვსიანი პატიმარი გამოუშვეს. ეს ის პერიოდია, როდესაც ფოთს აკონტროლებს ზვიად გამსახურდიას მომხრეები, ხოლო ჩოხატაურს – ჟღენტის ხალხი. არაფორმალური შეიარაღებული გაერთიანების წევრები იძულებული გახდნენ აჭარის მიმართულებით წასულიყვნენ. აჭარაში მოხდა მათი განიარაღება. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოხერხდა მხოლოდ ხუთი პატიმრის დაკავება, აღნიშნულ საქმეს იძიებდა მერაბ ფუტკარაია, გამომძიებელ ჯონი კვასტიანთან ერთად.

პოლიციის ვიცე–პოლკოვნიკი მერაბ ფუტკარაია, თავის გამოცდილებას უანგაროდ გადასცემს ახალგაზრდა თაობას –პირველ რიგში კი თავის ერთადერთ ვაჟს ბექას, რომელიც ჯერ სკოლის მოსწავლეა, მაგრამ ხშირად აკითხავს მამას სამსახურში, გამომძიებლობაზე ოცნებობს და ეს პირველ რიგში მერაბისა და მისი თანაშემწის თამარ ყუბანეიშვილის, (რომელმაც წარმატებით გაიარა ყველა კონკურსი და ამჟამად ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოში მუშაობს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად) დამსახურებაა.

უკვე ორმოცდაათი წლის აღმართიც უკან მოიტოვა მერაბმა, მაგრამ ეს ჭაღარა კაცი, კელავ მხნედ და ჩვეული შემართებით აკეთებს ყველასათვის საჭირო საქმეს, ჩუმად, უხმაუროდ...

მართლაც, რომ ფუტკარივით მშრომელი, პოლიციისათვის დაბადებული კაცია მერაბ ფუტკარაია, ეს ღრმად იგრძნობა მასთან ურთიერთობაში, იგი დღესა და ღამეს ასწორებს კანონიერებისა და მართლწესრიგის სამსახურში.

2008 წლის თებერვლის თვეში, მერაბ ფუტკარაიამ მიიღო ცოტა არ იყოს უცნაური გადაწყვეტილება. თავის საქმეზე უსომოდ შეყვარებულმა, პროფესიონალმა მუშაკმა არჩია ადვოკატურაში გამოეცადა თავი. თუმცა რით იყო ყოველივე გამოწვეული, ამაზე დუმილი არჩია.

სიკეთე არასდროს არ იკარგება

„ერის პირქვე დამხობა, გაწყალება
იქედან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას
ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი
წარსულისა...
დავიწყება თავისი წარსულისა მომასწავებელია
ერის სულით და ხორცით დაშლისა,
დარღვევისა და მთლად წაწყმედისა...“

(ილია ჭავჭავაძე)

ქეთევან ერისთავი

დღეს უაღრესად უჭირს საქართველოს. უჭირს სოციალურად, პოლიტიკურად და თქვენ წარმოიდგინეთ სულიერადაც კი. არსებული კრიზისის ფონზე, ქართული მენტალიტეტი და ეროვნული სახე ნელ-ნელა კნინდება და ფასეულობას კარგავს. არადა, უარესი გაჭირვებისთვისაც გაუძლია ჩვენს ქვეყანას. უამრავ მტერთა კლანჭებიდან დაუხსნია თავი და ეროვნულობა, სარწმუნოება არასოდეს დაუკარგავს. ჩვენ კი, ვითომდა გაევროპელებულები, სიამოვნებით ვიღებთ ყოველივე ახალს და ვერ ვხვდებით, თანდათანობით როგორ უარვყოფთ ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს, ჩვენს ადათ-წესებს და, რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

ქართველი კაცი ევროპელი ვერ იქნება, იმიტომ რომ იგი ქართველია. ქართველია გენით, ჯიშით, ხასიათით, გაევროპელებული ქართველი კი, ჭეშმარიტი ქართველი ველარ იქნება, იმიტომ რომ სული ექნება გაორებული. უცაბედად აკაკი წერეთელის „ღამურა“ გამახსენდა. ის პატარა თაგუნა, რომელიც ღამურობაზე ოცნებობდა, და ბოლოს, საკუთარმა ტოტმაც რომ აღარ მიიღო. მეშინია, სწორედ ასე შუაგზაში მიტოვებული არ აღმოჩნდეს ქართველი ერი.

მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც არ ეშინიათ მართალი სიტყვისა,

რომელთაც ძალიან უყვართ სამშობლო და გული სტკივათ მის მანკიერებებზე.

სიმართლე გითხრათ გაოცებული დავრჩი ჩემი რესპოდენტის გულახდილობით. იგი დაუფარავად და აშკარად საუბრობდა იმ მომაკვდინებელ სნეულებაზე, რომელიც ქართველ ხალხს გეჭირს.

ცნობისათვის: პოლიციის გადამდგარი მაიორი, ქეთევან ერისთავი პედაგოგიური ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტი იყო, როცა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ინსპექტორად დანიშნეს და სამ ათეულ წელზე მეტი იმუშავა აღნიშნულ თანამდებობაზე. თავიდან არც კი იცოდა რა ენაზე დალაპარაკებოდა მოზარდს, რომლებიც დარღვევის გამო ხვდებოდნენ ბავშვთა ოთახში. მაშინ მოდაში იყო, ე.წ. ტრამვაიზე შეხტომა–გადმოხტომა, რასაც არაერთი უბედურება მოჰყვა. ეს ითვლებოდა ვაუკაცობად. ვინ უფრო მოსერსებულად შეხტებოდა და გადმოხტებოდა. მტრედების ქურდობა (მოზარდები ამრავლებდნენ და სტვენა–სტვენით დასდევდნენ მათ, მაგარი ბიჭი იყო, ვისაც ბევრი მტრედი ჰყავდა.). იყო ქათმებისა და კურდღლების ქურდობა, ფულზე თამაში, "სტენკა", რასაც შემდეგ მოჰყვებოდა საქმის გარჩევები და ჩხუბი.

სწორედ ამ პერიოდში მოუწია მუშაობის დაწყება ახალგაზრდა, მაგრამ გამოუცდელ მანდილოსანს ქეთევან ერისთავს ბავშვთა ოთახის ინსპექციაში და მთელი ცხოვრება მიუძღვნა ახალგაზრდების აღზრდას. იგი მთელი ცხოვრება „სუნთქავდა" ახალგაზრდების ბედით, მათი სიხარულის, ტკივილის, ჭირის და ლხინის გამზიარებელი იყო. სწორედ საქმისადმი სიყვარულისა და ერთგულების შედეგი იყო ქეთევან ერისთავის ბავშვთა ოთახის საუკეთესო ინსპექტორად აღიარება.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელის ცხოვრება იავარდებით არ იყო მოფენილი, მას ერთხელაც არ უნანია თავის არჩევანზე, და სამსახურსა თუ ოჯახში ყველაფერს მშვენიერად აგვარებდა. დღესაც დაუღალავი და ენერგიით სავსეა „ქეთევან ბებო".

– ადგილი უნდა მოძებნო შენი, შვილო. როდესაც მოძებნი, ჩათვალე ყველაფერი გამოგიეა. – ამაყობს ქალბატონი ქეთევანი.

– თქვენი ყოფილი ძნელადაღსაზრდელი ბავშვები თუ გხვდებიან დღეს?

– დიახ. ერთი სწორედ ახალი წლის ღამეს ვნახე. მეუღლესთან ერთად იყო. მიცნო. და უამრავი მადლობითაც დამშორდა. სიკეთე არასდროს არ იკარგება.

ასაკის მიუხედავად, ახალგაზრდული შემართებით კვლავაც დიდი წვლილი შეაქვს არასრულწლოვანთა აღზრდის საქმეში. დიდი გამოცდილების მქონე, მოზარდის ფსიქოლოგიის ღრმა

მცოდნე ქეთევან ერისთავი, ახლაც მშობლების, ახალგაზრდების კეთილი მრჩეველი და დამრიგებელია.

როცა გაიგო ჩემი მისვლის მიზეზი მითხრა:

– რა საჭიროა. ვის ეჭირდებით. ჩვენ უკვე გუშინდელ დღეს ვეკუთვნით. ჩვენი შრომის საფასურს–პენსიასაც მიზერულს გვაძლევენ. სამჯერ-ოთხჯერ ნაკლებს, იმათთან შედარებით, ვინც პენსიაზე გავიდა 2004 წლიდან.

პესიმისტურად განწყობილ ქალბატონს ჩამოეუგდე ლაპარაკი წარსულ დროზე, მის ყოფილ ძნელადაღსაზრდელებზე, ცუდი ყოფაქცევის მშობლების გამოსწორებაზე. ნელ-ნელა სახე გაუნათდა ქალბატონ ქეთევანს.

– ჩემს პროფესიაზე მე ვარ უსაზღვროდ შეყვარებული. ჩემთვის დიდი სიმდიდრე ისაა, როცა სიკეთეს ვთესავ. როცა თვალს ვაელებ ჩემს ცხოვრებას, სიამაყის გრძნობა მეუფლება, რომ მე ვიღაცას ვჭირდებოდი, ვიღაცას დავეხმარე.

უნდა გითხრათ, რომ ეს სამუშაო ძალიან რთულია. ამ საქმეში მთავარია მოზარდის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, დიდი სიყვარული და ნდობა. ერთი არასწორი ნაბიჯი, არასწორი სიტყვა და მთელი აღმზრდელობითი სისტემა ირყევა, ირღვევა კონტაქტი, ამის გარეშე კი ამ საქმეში შორს ვერ წახვალ.

გული შემტკივა, როცა ვხედავ, რომ დღეს ერის მომავალი საფრთხეშია. როცა საბრალდებო სკამზე ქურდობის, ყაჩაღობის, მკვლელობის ბრალდებით ხედება არასრულწლოვანი. როცა მოზარდი მათხოვრობს, ეწევა პროსტიტუციას. მათ უნდა დავეხმაროთ. განა არ შეიძლება ვეტერანების, გამოცდილი თანამშრომლების ჩაბმა ამ სასიკეთო საქმეში. შედეგიც, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად იქნება.

გვჯერა იქნება, ქალბატონო ქეთევან. მჯერა, რომ თქვენ ჯერ კიდევ სჭირდებით ასალგაზრდობას. სჭირდება თქვენი გამოცდილება. ენერგია. მოზარდების ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა. როდესაც საუბარი ჩამოვარდა არასრულწლოვანთა და სტუდენტ – ახალგაზრდობის დანაშაულებრივ ქმედებებზე, მათ სფეროში მომუშავე უბნის ინსპექტორ-გამომძიებლების როლსა და ამოცანებზე, იმ პრობლემებზე, რომლებიც ასე აწუხებს ჩვენს საზოგადოებრიობას. ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა:

– წარმოდგენა იმისა, რომ არასრულწლოვნების აღზრდა შეიძლება მშობლებისათვის სასურველი რეცეპტებით, დიდი სანია წარსულს ჩაბარდა. ადრე თუ მშობლის სიტყვა კანონი იყო და უზრუნველყოფდა შვილის დამორჩილებას, დღეს სულ სხვაგვარადაა. მოზარდების აღზრდა, მინდობილია გარესამყაროს ზემოქმედების გზაჯვარედინზე: სკოლა, მეგობრები, ტელევიზია,

ქუჩა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება, თავისი ქუჩური კანონებითა და გატაცებებით. არასრულწლოვანთა შორის დანაშაული ყოველდღეს იყო და იქნება, მაგრამ (ალბათ, დროისა და პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით) სხვადასხვა დოზით.

შიდა ოჯახურმა პრობლემებმა, მატერიალურმა გაჭირვებამ, ლუკმაპურის საშოვნელად, თავიანთ მდგომარეობაზე ფიქრით დაკავებულ მშობლებსა და შვილებს შორის ღრმა ნაპრალი გააჩინა. არაქათგამოცლილ მშობლებს გარკვეული დრო აღარ რჩებათ, რომ შვილებს აუხსნან „რა არის კარგი, და რა არის ცუდი", ხოლო სასწავლო დაწესებულებები კი შემოიფარგლებოდნენ გაკვეთილების ჩატარებით და არავითარი დაინტერესება იმით თუ სკოლის კედლებს მიღმა რას მოიმოქმედებს "თავისუფლებამინიჭებული" მოზარდი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი სამართლიანად განსაზღვროს კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციები, ადვილად ჰყვება ემოციებს, გამომწვევად და უხეშად რეაგირებს შენიშვნებსა და დარიგებებზე. სწორედ ასეთ ზნეობრივად ჩამოუყალიბებელ ასაკში ხდება მოზარდთა დაჯგუფებების დაკავშირება გარკვეულწილად გამბედავ, გამოცდილ „ლიდერებთან", რომლებიც მართავენ მათ.

დღევანდელ ფონზე თუ რეალურად ვიმსჯელებთ, არაკეთილი პრინციპული მოთხოვნები არ შეგვიძლია წავუყენოთ ჩვენს მოზარდ ახალგაზრდობას, რომელიც თავისუფლებისა და თავისი უფლებების დაცვაში მხოლოდ იმას გულისხმობენ, რაც მათ აინტერესებთ და სურთ.

დრო ძლიერია. საუკუნის სწრაფმა ტემპმა, უამრავმა ინფორმაციამ, რეკლამებმა, ჩვენს ახალგაზრდობას სურვილი აღუძრა მატერიალური უზრუნველყოფის მაღალი დონისადმი და მოვლენების ქარცეცხლში მოხვედრილ თაობას თავგზა აუბნია. შიდა და გარე ომების მონაწილე ბევრმა ახალგაზრდამ, იარაღით მოპოვებული გამბედაობით თავისი ადგილი იპოვა. მაგრამ დღეანდელ დღეს ქუჩაში, უსწავლელად და უსაქმურად მიტოვებულ ახალგაზრდების ბედი, ნამდვილად საგანგაშოა.

მართალია შექმნილია სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციები მაწანწალა და უზედამხედველო მოზარდების მატერიალური და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის, მაგრამ ყველაზე მთავარი პირდაპირი მნიშვნელობისა და პასუხისმგებელი სამსახური – არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექცია საერთოდ გაუქმებულია, მაშინ როცა მტრედები, ქათმები, კურდღლები და ბურთები აღარ წარმოადგენს მოზარდების ინტერესებს. დღეს უკვე მაღალფასოვანი სურვილების დაკმაყოფილებაა მათი მისანი, რასაც მოსდევს საქმის გარჩევები, ფულების შეწერა,

ძვირადღირებული ნივთების ქურდობა, დაჭრა, ძარცვა, ყაჩაღობა. მკვლელობა და სხვა.

ერთი ფაქტი გაიხსენა "ქეთევან ბებომ":

1972 წლის ოქტომბრის თვეში, მაღაზიის გაქურდვის მცდელობის ფაქტზე, დაკავებულ იქნა 9-ე კლასის მოსწავლე ვიქტორ ხარიტონოვი, რომელიც აღრიცხვაზე იყო, როგორც უსედამხედველო, არაკეთილსაიმედო ოჯახისშვილი. დედა სისტემატიურად სვამდა. სახლში მოჰყავდა მამაკაცები. ფსიქიურადაც ვერ იყო დალაგებული, რამდენჯერმე იწვა საავადმყოფოში და მას ვიქტორი პატრონობდა, ურეცხავდა თეთრეულს, საცვლებს, ამზადებდა საჭმელს. ერთხელაც, როცა მე მასთან ვსაუბრობდი, თვალებზე ცრემლები მოადგა და მითხრა, როცა დედაჩემი აღგზნებულია, მეშინია არ ჩამეძინოს და მძინარეს თავში რაიმე არ ჩამარტყასო, თან მთხოვა არავისთვის არაფერი მეთქვა. რცხვენოდა თანაკლასელებისა და მასწავლებლებისა. შვეთავაზე დედამისის მოთავსება საავადმყოფოში, მაგრამ უარი მითხრა, მირჩევნია ღამეები არ დავიძინო, მაგრამ დედაჩემი სახლში იყოსო. ვიქტორი ფიზიკურადაც და თავისი კეთილშობილებით, ზრდილობით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. პედაგოგები, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურადაც ეხმარებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა დედა საავადმყოფოში იწვა. რაც შეეხება მაღაზიის გაქურდვის მცდელობას, ბავშვი იფიცებოდა, რომ ნასვამი ვიყავი, ძალიან მეძინებოდა და გავიფიქრე შიგ მაღაზაში დავიძინებო. როგორც გაირკვა ჰქონია დაბადების დღე. დედამ ფული მისცა დაბადების დღის აღსანიშნავად, რა დროსაც, ვიქტორს ცოტა დაულევია მეგობრებთან ერთად და სახლში როცა დაბრუნდა, დედამ კარი აღარ გაუღო, ვიღაც მამაკაცთან ერთად იყო. იგი მთელი საათი გარეთ, ფანჯარასთან ელოდებოდა, ბოლოს გზას გაუდგა და მილიციაში ამოჰყო თავი. მეზობლებიც დედას ამტყუნებდნენ. სასამართლოზე კი განაცხადა: რომ იმ დროს, როცა იგი მაღაზიაში გადაძვრა, მარტო იყო. მოსამართლე კი კატეგორიულად მოითხოვდა მისგან თანამონაწილის დასახელებას, რადგან მისი არ სჯეროდათ. მოსამართლემ გამოიძახა ბადრაგი და მის ციხეში გადაყვანას მოითხოვდა. სასამართლომდე ეთერის თხოვნით არ დაუკავებიათ. გაოგნებულ ვიქტორს ჩემი და პედაგოგების იმედი ჰქონდა. მოსამართლეს ვთხოვე ბავშვი დროებით გაეყვანათ, როგორც კი გავიდა ვიქტორის დედას მოსამართლის თანდასწრებით ავუხსენი, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო. პედაგოგებმაც მხარი დამიჭირეს, ვიქტორი დადებითად დაახასიათეს. მოსამართლემ სიტუაციის გარკვევის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება სასჯელის ორი წლით,

გადავადების შესახებ. ვიქტორს შემდეგ, ჩემი შვილისთვის უთქვამს: „დედაშენი მებრძოლი ქალია, მან მე მიხსნაო.“ დაამთავრა სკოლა. მსახურობდა ჯარში, საიდანაც მივიღე წერილი, რომლითაც ყველას მადლობას უხდიდა, ვინც გაჭირვების დროს მის გვერდით იდგა. როცა კითხვა დავამთავრე, დედაჩემის თვალებზე ცრემლი დავინახე, ხოლო მამაჩემი თავჩაქინდრული იჯდა. ალბათ უხაროდა, რომ ვიღაც გადარჩა და სიკეთისათვის მადლობელი იყო. იმ დროს მამაჩემი ახალნაოპერაციევი იყო, და აკრძალული ჰქონდა ტვირთის აწევა. მიუხედავად ამისა, იგი გაპარულა სახლიდან, მოუელია ბაზარი და სახლში მძიმე ჩანთით დაბრუნდა. თან მოიტანა ფოსტიდან ყუთი და გვითხრა: „ეს იმ ბაღანას გაუგზავნეთ, გაუხარდებაო.“ ძალიან გამიხარდა, მე ასეთი რამ არც კი მომსელია თავში. ჯარიდან დაბრუნებული ვიქტორი დაოჯახდა. ჰყავს 5 შვილი. ერთი პერიოდი ძალიან გაუჭირდა და რჩევისთვის მომაკითხა, ბავშვებთან დაკავშირებით. ეურჩიე ბავშვები მიეყვანა მცხეთის საეკლესიო სკოლაში.

როცა სკოლებთან ურთიერთობაზე ჩამოეუგდე საუბარი, ძალიან ბევრი რამ გაიხსენა“ 1978-79 წლებში, სასწავლო წლის ბოლოს, ყველა სკოლა ზეიმობდა ე.წ. “ბოლო ზარს“. მინდოდა რაღაც განსაკუთრებული გამეკეთებინა იმ სკოლისათვის, სადაც უმეტესად სხვადასხვა ეროვნების ბავშვები სწავლობდნენ. „ბოლო ზარის“ მეორე დღეს, თბილისის „დინამო“ ხედებოდა „ლიეერპულს“. ბილეთებზე წეწვა-გლეჯა იყო. იმ დროს ბავშვებისათვის განკუთვნილი ბილეთების ფასი 20 კაპიკი იყო, მაგრამ ახლოს ვერ მიუდგებოდი. ბილეთის აღება შეუძლებელი იყო. ვიფიქრე რაც იქნება-იქნება, მეთქი და პირდაპირ ბორის პაიჭაძეს მივაკითხე და ვთხოვე უარი არ ეთქვა. მოკლედ გადარეკა-გადმორეკა და 70 ბილეთი შემოატანინა თანამშრომელს და შემპირდა თვითონაც დაესწრებოდა ღონისძიებას, თუ შესძლებდა. როცა სკოლის დირექტორმა ახარა ბავშვებს „ლიეერპულის“ თამაშზე ბილეთების სიურპრიზი, ბავშვებმა ჟრიამულითა და ფეხების ბაკუნით კინაღამ ჩამტვრიეს იატაკი.

ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იყო მოსწავლეებსა და არასრულწლოვან ინსპექციის ინსპექტორებს შორის ნდობის, მორიდებისა და პატივისცემისა“.

მოზარდთა შორის დანაშაულთან ბრძოლისა და აღზრდის საკითხებს ასეული წლები სწავლობდნენ და იკვლევდნენ მეცნიერები, პედაგოგები, იურისტები. და დღეს ამ სამსახურის გაუქმება, არა მგონია გამართლებული იყოს. მოზარდთა შორის დანაშაულის ზრდა, თავისებური ბარომეტრია არასრულწლოვანთა შორის სუსტი აღმზრდელობითი მუშაობისა. რისი განხორცი-

ელებაც უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებს არ შეუძლიათ საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომისიების გარეშე და განსაკუთრებით არასრულწლოვანთა კომისიების გარეშე. ჩვენ უკვე ძალიან დიდი დრო და ძალიან ბევრი ახალგაზრდა დავუთმეთ ქუჩას. მართალია ადამიანი იბადება შეცდომების დაშვებისა და პატიებისათვისაც, მაგრამ დაუსჯელობის ფაქტორიც საეალალოა... სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა უკანასკნელი ზომაა სამართალ-დამრღვევი მოზარდის მიმართ, მაგრამ ზოგჯერ ესეც საჭირო და ერთადერთი ელემენტია ზეგავლენის ღონისძიებათა სისტემისა, რაც არ ნიშნავს მოზარდზე უარის თქმას. სწორედ ასეთი კატეგორიის ნასამართლეე და სასჯელგადავადებულ პირებთან მუშაობა დღეს ნულზეა დაყვანილი და შედეგებიც არ აყოვნებს — მოზარდების მხრიდან ადგილი აქეს განმეორებით დანაშაულობებს.

ჩვენს ცხოვრებაში უკვალოდ არაფერი არ ქრება. აღზრდაში დაშვებული უსამართლობა უფრო შხამიანად რჩება ჩვენს ბავშვებში და ოდესმე, წლების შემდეგ, მოულოდნელად გაგვახსენებენ, რომ რაღაც დაგვაკელით ჩვენთან ურთიერთობაში. ეს ერთადერთი კი ნამდვილი ადამიანური, სათუთი და ყურადღებიანი ურთიერთობაა მოზარდის მომავალი ცხოვრების უკეთესობისათვის.

— ამბობენ, კაცმა ერთი ხეც თუ დარგო, სიკეთით უვლიაო. და რარიგად ბედნიერი ხართ, ქალბატონო ქეთევან, რომ ასობით ანცი ბიჭუნა და გოგონა ცხოვრების სწორ და მართალ გზაზე დააყენეთ.

იქნებ ქალის პროფესია უფრო დედობაა.

— დედობა ეს პროფესია არ არის, ეს ღმერთის საჩუქარია. ქალი დედაც უნდა იყოს, ხელოვანიც, მასწავლებელიც და მებრძოლიც.

— მძიმე ტვირთია.

— დიახ. მაგრამ ნურასოდეს ნუ ავირჩევთ, იოლ გზებს.

თითოეული გზასაცდენილი ბავშვის სწორ გზაზე დაყენება, ჩემთვის დიდი სიხარული და ბედნიერება იყო.

ინსპექტორი ყველა ბავშვში საკუთარ შვილს უნდა ხედავდეს და ეცადოს, გააკეთოს ის, რასაც საკუთარი შვილის ნორმალური მომავლისათვის გააკეთებდა.

რამდენმა ახალგაზრდამ გაიარა 40 წლის მანძილზე ქეთევან ერისთავის ხელში. მიდიოდნენ ერთნი, მის ადგილს სხვები იკავებდნენ და უბნის ინსპექტორი ძიებაში იყო. ეძებდა და პოულობდა აღზრდის ახალახალ ფორმებს და მეთოდებს, გამოსავალს რთული სიტუაციიდან. განიცდიდა, თუ ვერ პოულობდა

სწორ გზას მოზარდის გულისაკენ და ბავშვივით უხაროდა ყველა წარმატება. დიდი ჯილდოა აღმზრდელისათვის, რომ იმ ბიჭების უმრავლესობა კარგ ადამიანებად აღიზარდა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაშია ჩაბმული.

– ქეთევანის აუხდენელი სურვილი?

– მინდა ახალგაზრდებს ნორმალური ცხოვრების პირობები შეეუქმნათ. გული მტკივა, როგორც ქართველს, როცა ვხედავ, რომ ჩვენი თანამემამულეები შვილებისათვის ელემენტალური პირობების შესაქმნელად, საქართველოდან შორს არიან გახიზნულნი.

მინდა, საქართველო გაძლიერდეს და გამთლიანდეს, ისეთივე აყვავებული დაეუტოვოთ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, როგორც ჩვენ დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა.

დაე, ღმერთმა გისმინოთ და მალე აგსრულებოდეთ თქვენი სურვილები, ქალბატონო ქეთევან.

ლამაზად განვლილი გზა

ზურაბ გულბიანი

ზურაბ გულბიანის ოჯახი თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ლენტეხის რაიონის სოფ. ჩოკულიდან, ოსურგეთში ჩამოსახლდა. ზურაბის მამა, შარდენ გულბიანი, ერთ-ერთი მოწინავე იყო რაიონის მასშტაბით. ექადიის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობაში, მუშაობდა ფიზიკურად. ზურაბმა, 1968 წელს დაამთავრა ანასეულის საშუალო სკოლა, შემდეგ მოიხადა სამხედრო-საავალდებულო სამსახური. ჯარგამოელილმა ვაჟკაცმა, მამის გვერდით კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

ზურაბი ბევრს ოცნებობდა პოლიციელობაზე, ფიქრობდა, სწონიდა არჩევნის სისწორეს, თითქოს რაღაც ძალა საწინააღმდეგო აზრსაც კარნახობდა. მაგრამ ბოლოს გულით ნაოცნებარმა გაიმარჯვა და გადაწყვიტა იურიდიული განათლება მიეღო და პოლიციაში დაეწყო მუშაობა. 1972 წელს, წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე. რომლის დამთავრების შემდეგ,უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულს, სამუშაოდ აგზავნიან მახარაძის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში. 1976 წელს, მას ნიშნავენ უბნის ინსპექტორად, ერთი პერიოდი იყო უბნის ინსპექტორთა სამსახურის უფროსი, თუმცა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში და სწორედ ამის გათვალისწინებით მოხდა მისი გადაყვანა ოპერატიულ სამსახურში.

საპოლიციო საქმიანობის მრავალფეროვნებამ, ახალგაზრდა ოპერატიული მუშაკი, ძალზე დააინტერესა. პირველ ხანებში მეტად მიმნდობი, ლმობიერი იყო. როცა ბოროტმოქმედების დაკითხვას ესწრებოდა, ყველაფერი რასაც ამა თუ იმ ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები აჩვენებდნენ, წმინდა სიმართლე ეგონა. მაგრამ, სინამდვილეს მალე შეხედა კრიტიკულად. სწრაფად დახელოვნდა ქურდების, მძარცველების, ყაჩაღების, მტაცებლებისა და მკვლელების ხრიკების მხილებაში. მან შესძლო გარკვეულიყო ადამიანებში, მჭიდრო კავშირი დაემყარებინა მათთან, შემოეკრიბა

თავის გარშემო და წარემართა დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყველა, ვინც ზურაბ გულბიანს იცნობდა, მასში ხედავდა საქმისადმი თავდადებულ მუშაკს, რომელიც გვერდში ედგა ყველას. ყველაფერს აწონ-დაწონიდა და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო რაიგანყოფილების ოპერატიულ დარგში უფროსის მოადგილედ მისი მუშაობის პერიოდში.

ზურაბ გულბიანი ყველგან და ყველა ვითარებაში ტაბილად მოუბარი იყო. რაც პოლიციის საქმიანობაში, განსაკუთრებულად არის საჭირო, როგორც ახალგაზრდებთან მუშაობის უებარი საშუალება. პასუხისმგებლობის გრძნობამ და პროფესიულმა ალღომ, არაერთი კეთილისმსურველი და დამფასებელი შესძინა მას.

სვანეთის მთებში დაბადებული, ბარში გაიზარდა და მთლიანად შეუნარჩუნა მთიელის სახოვანება, ძალა და სისხარტე. მაგრამ, საუბედუროდ, ყველა ეს ადამიანური მშვენიერება მოულოდნელად დაკარგა. განა ასაკმა ჩამოაშორა იგი თავის საყვარელ საქმეს. ოპერატიულ სამძებრო საქმიანობას? არა! ალბათ, ყველას გვახსოვს შინაგან საქმეთა ოსურგეთის რაიგანყოფილების მთელი კოლექტივისათვის ის ავბედითი 1992 წლის 28 დეკემბერი. ქაქუთის გამშვებ პუნქტთან დატრიალებულმა ტრაგედიამ მიწაც კი შესძრა. შეიარაღებულ ბანდიტებთან შეტაკებისას დაიღუპნენ განყოფილების უფროსი იური სიორიძე და სახელმწიფო საგზაო პოლიციის ინსპექტორი ნუკრი სეფერთელაძე. მძიმედ დაიჭრა ოპერაციის მონაწილე რამდენიმე პირი და მათ შორის ზურაბიც.

არ მითხოვია, მისთვის დეტალურად გაეხსენებინა ის კოშმარული ღამე. „ჩვენ შეგვეძლო ავტომანქანაში ჩაგვეცხრილა საშიში დამნაშავენი, მაგრამ მათი ცოცხლად შეპყრობის დიდ სურვილს ყველაფერი ეანაცვალეთ.“ – მხოლოდ ეს მითხრა, იმ ჯოჯოხეთურ შემთხვევასთან დაკავშირებით. არც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბრძოლებში გადატანილი სიძნელეებით მოუწონებია თავი, და სწორადაც იქცევა..აქ იყო თუ იქ, მისი მამაცური თავდადებისა და ვაჟკაცობის მოწმე, ბევრი ვინმეა, მგონი ყველა ჩვენთაგანიც კი. რადგან, ქუჩაში მიმავალ ზურაბს ყოველთვის მივაყოლებთ დანანებით თვალს. მისი ჯანმრთელობის სრულ აღდგენაზე, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ფიქრიც კი ძნელი იყო და ის მხოლოდ გადაურჩა სიკვდილს.

„დღეიდან გამოვალ საზოგადოებაში, თუკი, კიდევ ვარ საჭირო ჩემი სამშობლოსათვის.“ –ტანჯვით ფიქრობდა იგი.

სასოწარკვეთამდე მისული ვაჟკაცი რაიგანყოფილების მაშინდელ უფროსს, ბატონ ვიქტორ გობრონიძეს გამოუცანია მდგო-

მარეობიდან. „უთქვამს გონებაგახსნილი კაცი ხარ, სასიკეთო საქმის გაკეთება კიდევ შეგიძლია ჩვენთვის, ვიყოთ ერთმანეთის გვერდით.“ ამ შემოძახებამ ფეხზე დააყენა გამოცდილი ჩეკისტი და ისევ დაბრუნდა თავის კოლექტივში. საგამოცდო-სარეგისტრაციო სამსახურის უფროს ინსპექტორად დანიშნეს. მას ეკითხებოდნენ და ეკითხებიან რჩევას. მის აზრს ითვალისწინებენ, მისი შეხედულება ბევრჯერ გამართლებულა.

– იცით, რა მიხაროდა ყველაზე ძალიან? – მეუბნება ზურაბი, – დამნაშავის დადგენა-დაკავება. როცა მოპარულ, ნაძარცვ ნივთებს ამოვიღებდი და დაზარალებულს დავუბრუნებდი, ამით სიამოვნება მენიჭებოდა და ბოროტებაზე გამარჯვებას ვზეიმობდი.

დღეს, ზურაბ გულბიანი, პირველი ჯგუფის ინვალიდია... თუცა სიამაყე არ აძლევს ნებას ვინმესგან რაიმე მოითხოვოს, (მითუმეტეს დასმარება), მართალია, ჯანღონით სავსე კაცის სიცოცხლე უბედურმა შემთხვევამ დაირღვა, მაგრამ მთის კაცის სული დარჩა, უხინჯო და უზადო. ასეთს უყურებენ დღეს ზურაბს ოსურგეთელები „– ირგვლივ იმდენი გაჭირვებულია, ჩემით ვერავის შეეაწუხებო“. – ამბობს. მართლაც არავინ შეუწუხებია, მისი კოლეგები, მასთან შედარებით, სამჯერ, ოთხჯერ მეტ პენსიას იღებენ, მაგრამ მაინც ჩუმადაა. ამ საკითხს მთავრობა სამართლიანად გადაწყვეტსო, ამის იმედი აქვს. ცოტა არ იყოს უხერხულად იგრძნო თავი, როდესაც სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილობით შეშა და საწვავი მიუტანეს სახლში. მას არ უძებნია დიდი „ჩინ-მედლები“ და „ეპითეტები“. ნაღდი კაცი იყო. ახლაც ნაღდია და ისე გაიელის თავის წილ წუთისოფელს, რომ ნათელი კაცის ნათელ კვალსაც დატოვებს.

სამშობლოს, შენი სალხის წინაშე ვალმოხდილი კაცი ხარ ჩემო ზურაბ! მინდა მოგეფერო და გითხრა, რომ ადამიანის საუკეთესო ნუგეში იმის შეგნებაა, რომ ახალგაზრდობაში მოელი ძალები საყვარელ საქმეს მოახმარა, – საქმეს, რომელიც არ ბერდება.

ოსურგეთში, ქალაქის ცენტრში, თითქმის ყველა დღე, დილითა და საღამოთი, გამელელები ხედავენ ლამაზ, დარბაისელ მანდილოსანთან ხელკავგამოდებულ ათლეტური აგებულების მამაკაცს, რომელიც თანდაყოლილი ბუნებრივი სიჯანსაღისა და სიძლიერის მიუხედავად სვენებ-სვენებით დგამს ნაბიჯებს... სიმპათიური ქალბატონი კი მისი უერთგულესი მეგობარი და თანამეცხედრე ნანა გოგატაძე ბრძანდება. შემხვედრნი მოწიწებით ესალმებიან, ერთი შეხედვით. თითქოსდა უცნაურ წყვილს, ძველი ნაცნობები სინანულით იგონებენ იმ მძიმე დღეებს და განგებას მაინც მადლობას სწირავენ, რომ ზურაბ გულბიანი ისევ ზურაბ გულბიანია, ჭკვიანი,

გონიერი, გამოცდილი, ოპერატიული, ალდოთანი.პოლიციელის ენოსვა იგივე შერსა ხერაბს. ამიტომაც პოლიციის რაიონულ თუ სამსარეო სამმართველოებში, იგი დღესაც საჭირო კაცია. ახალგაზრდა პოლიციელებისათვის შესანიშნავი დამრიგებელი.

ძალზე ძნელია იყო პოლიციელი, მაგრამ

ავთანდილ ჟღენტი

ეს ხიტყვები, ყოფილ პოლიციელს, ავთანდილ ჟღენტს ეკუთვნის.

ახალგაზრდა კაცისაგან პოლიციაში მისვლა, მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, არც თუ მთლად ხვეულებრივ ნაბიჯად ითვლებოდა. რადგანაც იგი გამბედაობასთან და ვაჟკაცობასთან ერთად, რისკთანაც იყო დაკავშირებული. ამ მხრივ, იგი გახურებულ ომში მოხალისედ წასვლას შეიძლება შეედაროს.

დიახ, პოლიციელობა მუდმივად ჯარისკაცად ყოფნის პროფესიაა. პოლიციელი, მთელი თავისი სამსახურებრივი მოღვაწეობის მანძილზე, ფათერაკიან დღეებს კინძავს. საკუთარი სიცოცხლის რისკით იცავს სხვის სიცოცხლეს. ძალზე ძნელია ჩასწვდე პოლიციელების დრმა სულიერ სამყაროს. ისინი თავისუფალ დროს ხალასი, ხალი იუმორით გამოირჩევიან, მაგრამ საკმარისია ვინმეს საფრთხე დაემუქროს, სწრაფად მოიქუფრებიან და სარისკო ადგილებისაკენ დაუფიქრებლად მიჩქრიან. ამ ორი უსწრაფესი გარდახახვის სიმშვენიერის აღქმა კი მსოლოდ პოლიციელების ცხოვრებასთან ახლოს მყოფ პიროვნებებს შეუძლიათ.

ძალზე ძნელია იყო პოლიციელი, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია იყო მისი მეგობარი. იცხოვრო მისი ფიქრებითა და ფორიაქით, მასთან ერთად გაუთავებლად იარო ბეწვის ხიდზე. მაგრამ თვალშეუდგამი სინათლე და სიმაღლეა, როცა ხედავ შენს წინ უმშვენიერეს რაინდს, რომელიც მეხსიერებიდან ხატად წარმოისახება.

ავთანდილ ჟღენტმა 15 წელი დაჰყო პოლიციაში. ამდენი წელი უძილო ღამეებით ცხოვრობდა ჟღენტების ოჯახი.

ბუნებრივია, პოლიციაში მუშაობის დაწყებისა და ამ სამსახურიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, ყველას თავისი კონკრეტული მოტივი გააჩნია. მაგრამ, ის რა მიზეზითაც ავთანდილ ჟღენტი პოლიციელი გახდა, განსაკუთრებულად გამორჩეული და შეიძლება ითქვას ორიგინალურიც არის.

საქმე ის გახლავთ, რომ ბატონ ავთანდილს კრიმინალებმა უახლოესი მეგობარი მოუკლეს. სულითა და ფიზიკურად ძლიერი ვაუკაცი იმდენად შესძრა უსაყვარლესი ადამიანის, ჯარის ამხანაგის, ერთ-ერთი გამორჩეული ჩეკისტის თენგიზ ცინცაძის მკვლელობამ, რომ ინტერესი გაუჩნდა პირადად მიეღო მონაწილეობა კაცთმკვლელისა თუ ნებისმიერ სხვა მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და მტკიცედ გადაწყვიტა შინაგან საქმეთა სისტემაში დაეწყო მუშაობა. მით უმეტეს ლოგიკური ჩანდა აღნიშნული გადაწყვეტილება იმიტომაც, რომ მანამ, სანამ იგი პოლიციელი გახდებოდა, არაერთ საშიშ ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა და უკან არასოდეს დაუხევია. მისი გამბედაობისა და ვაუკაცობის შესახებ ლეგენდები დადიოდა.

გელა გიგინეიშვილის რეკომენდაციით ავთანდილ ჟღენტი პოლიციაში იწყებს მუშაობას. თავიდან უცხოელების დაცვის უფროსად დანიშნეს. თუმცა მას არ ასვენებდა ჩანაფიქრის განხორციელების სურვილი, რამაც იგი არ დაინდო და ფაქტიურად სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. თითქმის 1 წელი ეძებდა უახლოესი მეგობრის მკვლელის ადგილსამყოფელს. დაადგინა ოჯახი სადაც იგი იმყოფებოდა და აღნიშნულის შესახებ მოახსენა პოლიციის უფროსს გელა გიგინეიშვილს. შემოსული ინფორმაციების შეჯერების შემდეგ, დაიგეგმა ოპერაცია. ერთ-ერთმა ჯგუფმა, რომელშიც იყვნენ: გოჩა ჟღენტი, დათო ფასეიშვილი და ავთანდილ ჟღენტი, დააკავეს ჩანჩიბაძე. მას ლანჩხუთის სასამართლომ მიუსაჯა 10 წელი, მოიხადა სასჯელი და თბილისში მოკლეს პოლიციელებთან შეტაკების დროს.

ავთანდილი ხმატკბილი მოსაუბრეა, საუცხოო მოლხენაც იცის. მღერის, უყვარს პოეზია, ლექსების „გუდაა". ესაა, რომ თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონ ავთანდილს სანამ პოლიციაში დაიწყებდა მუშაობას, არაერთ საშიშ ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა. ჩემთან საუბარში კი მხოლოდ ორიოდე ფაქტი გაიხსენა მისი ფათერაკებით სავსე ცხოვრებიდან:

1988 წლის აგვისტოს თვეში, მაშინ როდესაც თენგიზი სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად მუშაობდა, ერთხელ მისი მანქანით „გაზ-24"-ით მოვდიოდით ფოთიდან. საჭესთან მე

ვიჯექი. გრიგოლეთში, ზღვის პლაჟზე, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას კოპიტნარიდან რუსი სამხედროები ამოდიოდნენ მეუღ-ლეებთან ერთად. მიეუახლოედით თუ არა აღნიშნულ ტერი-ტორიას, თენგიზმა მანქანა გააჩერა და ხედავს რუსი ოფიცრები ერთმანეთს ხოცავენ. გადმოვიდა მანქანიდან, გაიქცა, მათ შუაში ჩადგა და შეეცადა გაშველებას. შენ ვინ გეკითხებაო, და ყველამ თენგიზისკენ გაიწია, ერთმა კი აიღო გადატეხილი ბოთლი და იმ მომენტში, როდესაც თავში უნდა ჩაერტყა, მიეუსწარი და ბოთლი ხელიდან გავაგდებინე. თუმცა სამხედროები არ ცხრებოდნენ და სცემდნენ თენგიზს. თენგიზს თეთრი ფერის, თხელი პერანგი ეცვა და ჯიბიდან მოუჩანდა პირადობის მოწმობა. მე სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, ჯიბიდან მოწმობა ამოვუღე გაშლილ მდგომარეობაში რუს სამხედროებს ვაჩვენე და ავუხსენი სამძებროს უფროსია მეთქი. ამან სამხედროები შეაჩერა, თენგიზმა ისინი სუფსის პოლიციაში მიიყვანა. გზაში კი მეკითხებოდა, საიდან მოიფიქრე მოწმობის ამოღება, ეს რომ არ გაგეკეთებინა მომკლავდნენ ეს უჯიშოები. თუმცა ახია ჩემზე, დაეხოცათ ერთმანეთიო". ეს იყო სიკვდილამდე 5-6 თვით ადრე.

იმ საბედისწერო დღესაც, ავთო და თენგიზ ცინცაძე ერთად იყვნენ. შემდეგ ავთო სახლში დატოვა. ლანჩხუთის პოლიციიდან დაურეკეს და ყაჩაღობის შესახებ შეატყობინეს. დღისით-მზისით ქალაქის ცენტრში დაუყაჩაღებიათ ერთ-ერთი ოჯახი, თენგიზმა წაიყვანა ოპერები, მოახერხა ერთ-ერთი ბოროტმოქმედის დაკავება. მისგან ამოღებულ იქნა გადაჭრილი თოფი ე.წ. „აბრესი". გამოუღგა მეორეს, რომელმაც მოახერხა მიმალვა. ნუ მოხვალ თორემ გესვრიო. თვითონ არ გაიმეტა, არაკაცმა კი არ დაინდო.

1993 წლის 8 მარტს, ჩემი კუთვნილი „იკარუსის" მარკის ავტობუსით, ჩემს შემცველელ ილო ჯიშკარიანთან ერთად, მივდი-ოდი ქვემო ომფარეთში. დავითი დავინახე სოფლის ცენტრში. ვიფიქრე შემოელაზვა მეთქი. მარტო იყო. გავუჩერე მანქანა და მოვიკითხეთ ერთმანეთი. მითხრა, რომ იქვე მცხოვრებ ალიკა კვარაცხელიას ელოდებოდა. ამ დროს ხშირი იყო რაიონში ძარცვა-ყაჩაღობები, მკვლელობები. თითქმის უმართავი სიტუაცია იყო. იქნებოდა დაახლოებით საღამოს 7 საათი, 100 მეტრში იყო გორა. როგორც შემდეგ გავიგე, იქვე გორაზე ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში, ყაჩაღები ყოფილან დაბანაკებულები. ისინი ღამით გამოდიოდნენ სახლიდან და ეწეოდნენ ყაჩაღობებს. დღისით კი ისვენებდნენ. მათთან საკვები მიჰქონდა მეუბლის ქალს. შევამ-ჩნიე, რომ ვიღაც უცნობი ბიჭი მოუახლოვდა ავტობუსს, გააღო წინა კარები და დათოს სთხოვა სიგარეტი. არაფერი უთქვამს, ერთი შეგვათვალიერა და წავიდა. მე ეკითხე ჩემს მეგობრებს, ხომ

არ იცნობთ მეთქი. არ გასულა 15-20 წუთი და ორივე მხრიდან, ავტომატური იარაღებიდან ცეცხლი გაუხსნეს ავტობუსს. ერთი ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდა შემოვარდა ავტობუსში, თქვე ჩათლახებო რას უცდით აქო, და დაიწყო სროლა, ასევე ამოვიდა მეორე ახალგაზრდა და რამდენიმეჯერ ესროლა დავითს.

ერთ-ერთმა ყაჩაღმა, როგორც შემდეგ გაირკვა გვარად კეჭაყმაძემ, მეორეს უთხრა, ილოს არ ესროლოო. მე კი მეორე ყაჩაღმა მომიშვირა ავტომატი და მიბრძანა ჩადი მანქანიდანო. შევეცადე მის დაწყნარებას, თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთ მეთქი. მაგრამ, არაფერმა გასჭრა, იგი ფეხებთან მესროდა, თან მეუბნებოდა უნდა გაცეკვოო. ფაქტიურად რამდენჯერაც გაისვრიდა, იმდენჯერ ქვები მეყრებოდა სახეზე და ინსტიქტურად ეხტებოდი ზევით. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. ამ დროს კვლავ ისმის სროლები ავტობუსში. ვიცი, რომ დავითი განსაცდელშია, მაგრამ რა ვქნა, სპორტსმენი ვიყავი, ძალა კი მქონდა, მაგრამ ავტომატიანთან რას გავხდებოდი. ყოველ გასროლაზე ზემოთ ვსტებოდი და ვუახლოვდებოდი ყაჩაღს, გულში ვფიქრობდი, კიდევ ერთი გასროლა, გადავხტები და ავტომატს წავართმევ მეთქი. მან კი, ამჯერად, ავტომატის ჯერი მოუშვა და 11-მდე ტყვია მომხვდა მარჯვენა ფეხში. მიუხედავად ამისა, ძალა მოვიკრიბე, ნახტომში დავუჭირე ავტომატის ლულა, და დავაგდებინე იარაღი, წავაქციე, ავტომატი ავიღე ხელში. ამ დროს ავტობუსიდან გადმოვიდა მეორე ყაჩაღი. არ ვიცი საიდან მქონდა ამდენი ძალა, მასაც წაეკარი იდაყვი და ისიც ძირს დაეცა, მიეუშვი ავტომატის ჯერი, ფეხები ჰქონდა გადამტვრეული, ამასობაში ადგა მეორე ყაჩაღი, გახსნა ხელყუმბარა, არ მესროლო თორემ ორივე მოვკვდებითო. სამ მეტრშია, გადააგდე ხრამში მეთქი, შეეშინდა, ავტობუსს ამოეფარა და გადახტა ხრამში. მე ვიცლები სისხლისაგან. დავიწყე ყვირილი, ავთო ვარ ჟღენტი მომკლეს, მომეხმარეთ მეთქი. მოცვივდნენ იქვე მცხოვრებნი და შემიყვანეს ერთ-ერთ ოჯახში. ექიმთან არ წაგყვებით, ჩემი მეგობარი მოკლეს მეთქი. მაიძულეს წავსულიყავი საავადმყოფოში. მახსოვს ორი ავტომატი, რომელიც ეკუთვნოდა ყაჩაღებს ჩავაბარე სუფსის პოლიციას. ერთ-ერთი ყაჩაღი, გვარად კეჭაყმაძე, ფეხებში ყოფილა გადამტვრეული და წაუყვანიათ ოზურგეთის საავადმყოფოში. შემდეგ გადმოიყვანეს ლანჩხუთის საავადმყოფოში და ჩაქოლეს. ის იყო ჩემი მეგობრის დავით ციცვიძის მკვლელი.

ორმოცდახუთი წლის ასაკში დატოვა დავითმა ეს საწუთრო. მიუხედავად ამისა თავისი ხანმოკლე, მაგრამ ეაუკაცური სიცოცხლე სასახელოდ განვლო, თავი არასოდეს შეურცხვენია, პროფესიაც ეაუკაცური ჰქონდა არჩეული. გაუტეხელი ბუნებით

სისხლი სისხლთაგანი იყო. სითბო, სიყვარული და ერთგულების გრძნობა გამოსჭვიეოდა მისი ნათელი თვალებიდან. აი, ასეთ ვაჟკაცს მოუსწრაფეს სიცოცხლე ვერაგულად და არ აცალეს ტიალი წუთისოფლისთვის ბოლომდე ეთქვა სათქმელი.

ავთანდილ ჟღენტი ხელბარაქიანი მეურნეა. საკუთარი შრომით შექმნილი მისი ეზო-კარი მშვენიერი სანახავია. ბაღ-ბოსტანში მუშაობს. საკუთარი მონაგარი, სიამაყე და სიხალისე მისი ნამდვილი ჰობია. შესანიშნავი ოჯახის თაყვანცემული, ღირსეული მეუღლე, მამა და ბაბუაა... საკუთარი მხრებით ვაჟკაცურად ატარებს გაუსაძლისი ათწლეულის უმძიმეს ტვირთს.

15 წელზე მეტი ბეწვის ხიდზე ფათერაკებით სიარულია მისი ბიოგრაფია... გააჩნია ღვთითმომადლებული საბედისწერო შემთხვევების თავიდან აღკვეთის შემართება და შესაძლებლობა. როგორც არწივებს ძალუძთ შეუვალი სალი კლდეების სიმაღლეების დამორჩილება, ასევე, მხოლოდ პოლიციელს და მის ნაღდ საიმედო მეგობარს შეუძლიათ საკუთარი სიცოცხლის რისკით იხსნან განსაცდელში ჩავარდნილი პიროვნება და ამაღლდნენ თვალშუდგამ სიმაღლემდე. ვისაც კი 90-იან წლებში პოლიციელი ერქვა, კომენტარს არ საჭიროებს, იგი ჭეშმარიტად პოლიციელია. ვინ ჩამოთვლის აკთანდილ ჟღენტის სიკვდილთან თამაშის საშიშროებას. სწორედ ესაა მიზეზი, რომ როცა იგი საქართველოს სადღეგრძელოს შესმას იწყებს, ჯერ გული აუჩქარდება, მერე ცრემლი გამოეთნაცვა თვალებიდან და რუდუნებით დაიწყებს სამშობლოს სიყვარულის სულთათანას.

„ცხოვრება სპექტაკლია უტექსტო, უსცენარო, უსუფლიორო სპექტაკლი, რომლის რეჟისორობა თავად უნდა იკისრო."

ავთო ჟღენტიც თავად წერდა თავისი ცხოვრების სცენარს, ტექსტს, თავად იყო რეჟისორი და ისეთ როლებს თამაშობდა ტიტანებსაც რომ გააოცებდა და შეშურდებოდათ.

როგორც წელიწადის 4 დროიდან ვერ ამოიღებს კაცი რომელიმეს, ისე არ ამოიშლება ლანჩხუთის პოლიციაში მისი მუშაობის პერიოდი. ავთო ისეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც სადაც არ უნდა იყოს, უკან დახევა არ იცის, ერთი ადამიანის საკეთებელს ყოველთვის გააკეთებს. რადგანაც იცის, თითოეულმა, პატარა სიკეთეც რომ გააკეთოს, ამქვეყნად ცხოვრება საამური იქნება.

ბატონ ავთანდილ ჟღენტს ახლახან შეუსრულდა 60 წელი, რომელსაც თენგიზ ჩანტლაძის ერთი ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს, საერთოდ არ ეტყობა ეს არც ისე ბევრი, მაგრამ, არც ისე პატარა ასაკი და იყოს 60 წლისა, რა გვენაღვლება!

ომფარეთის ჰაერიეით სუფთა და წმინდა, ლანჩხუთელი გლეხისათვის დამახასიათებელი სიჩაუქით შემართული, ფართოდ ერუდირებული, ალალად შუბლგახსნილი, გონებასხარტი და ეერცხლისწყალიეით მოძრავი – ასე იცნობენ შინაურები, ახლობლები, სამეგობრო თუ უბრალოდ ნაცნობთა წრეებში.

მაშ, მიეულოცოთ ავთანდილ ეღენტს ლამაზი მრგვალი თარიღი. კელაეაც მრავალი წელი ყოფილიყოს იგი ჩვენს გვერდით, ლანჩხუთისა და მთლიანად გურიის სამხარეო პოლიციის თანამშრომელთა საიმედო იმედი და დასაყრდენი.

ცოცხალი ადამიანები

„შეიყვარეთ ერთმანეთი, საყვარელნო, შეიყვარეთ ერთმანეთი! ბოროტებნი,

ფასკუნჯნი, შეურიცხენი, ყრუნიდა ასენი, მთაზი აპყრენი, ასოებნი, ცუდ მიხეზენიანენი! ტუსაღნი აკრძალნი, მიკიბულნი, მიკაკუნენი! ჩემი ვაჭრობრეანენი, ჩემი მაპოვნო! შეიყვარეთ, მაგრამ შენთან მრჩება ოკუნეს ყურანი... ვმონი ძეი საპატე, ოპალი ტბიანეს სიხარეთი მოიტეხენი, სად ვიანეს ეიყო, ოდეს ვიანეს ეიყო, ეან შენი შეიყო!"

ვინიერი ოიხეიანი

„ყველნი ერთად ვისურვოთ ჩვენს ცხოვრებაში ვაღიაროთ ერთი საშიშროება ერთგულად თაყვანს ვცემთ ნასახლარებს!..

(ე. ვაშალომიძე)

„ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც გმირები ჰყავს!"
თუმცა არსებობს საპირისპიროც: „უბედურია ქვეყანა, რომელიც
გმირებს დაეძებს და მოელის"!

ჩვენი ქვეყანა არასოდეს მდგარა ამ დილემის წინაშე. გმირთა სიმრავლითა და თავისთავადი სახეებით გამოჩინებული საქართველო მუდამ იმშვენებდა თავის სიმაღლეს ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქებში...

საქართველოს ეროვნული გმირის, ოსურგეთის რაიონის ღირსეული შვილის, ზაზა დამენიას გმირობა მთელი საქართველოსთვისაა ცნობილი. მან ჯერ აფხაზეთის ომში გამოიჩინა თავი, შემდეგ კი სამაჩაბლოში გაღვივებული კონფლიქტის აღკვეთისათვის ბრძოლებში ჩაება, როგორც მსუბუქქვეითთა „კომანდოს" ბატალიონის კაპრალი, ყუმბარმტყორცნელი. 15 აგვისტოს, დილით, სანგარში, რომელშიც ზაზა თანამებრძოლებთან ერთად იმყოფებოდა, მტრისგან ნასროლი ხელყუმბარა ჩაეარდა... ზაზა მას გადაეფარა, თვითონ აფეთქდა, მეგობრები კი სიკვდილისაგან იხსნა... და ეროვნულ გმირთა პანთეონის უკვდავ ბინადრად იქცა.

„ზაზა ეროი წუთითაც არ დაფიქრებულა, ისე გადაეფარა თავისი სხეულით იმ ხელყუმბარას" — თქვა თავის სიტყვაში საქართველოს პრეზიდენტმა, სოფელ ოსურგეთში ზაზა დამენიას მშობლიურ სკოლაში გამართულ მიტინგზე, ამ სკოლისათვის მისი სახელის მინიჭებისთანთან დაკავშირებით. ხოლო თანაკლასელმა გონა მურვანიძემ კი მას ლექსი "უკვდავება" უძღვნა.

„ვისაც სამაგალითოდ უცხოვრია, ის ყველა დროში ცხოვრობს."

ზაზა იყო უაღრესად გულობილი ადამიანი, ერთგული მეგობარი, ღირსეული მამა, მეუღლე და სამაგალითო შვილი.

„საქართველო აღთქმული ქვეყანაა, აქ დაირწა კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი!" (ეერნერ სიმენსი).

დიახ, აქ, ამ აღთქმულ ქვეყანაში დაირწა ზაზა დამენიას აკვანი.

ზაზა სულიერად ხომ ლამაზი და გამორჩეული იყო, ასევე გამორჩეული იყო ფიზიკური სილამაზითაც, ოღონდ ეს იყო, რომ საოცრად სევდიანი სახე და თვალები ჰქონდა. მაშინაც კი, როცა სასიამოვნო ამბავს ჰყვებოდა. მაშინაც, როცა იცინოდა. ეს იყო სევდაში გადასული სიცილი.

ზაზა დამენია დაიბადა 1972 წელს, ქ. ოზურგეთში, ზვანის უბანში. დაამთავრა სოფელ ოზურგეთის საშუალო სკოლა. შემდეგ – თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტი.

თითქმის სამი წელი იმუშავა გურიის სამხარეო სამმართველოში, სპეცდანიშნულების რაზმის წევრად.

ოჯახს დროულად მოეკიდა. ერთი შვილი დარჩა, გიორგი, რომელიც მაშინ 5 წლისა იყო. ბიჭის დაბადება უხაროდა, ღირსეულ კაცად უნდა აღეზარდოო. სამწუხაროდ ამ სურვილის შესრულება მას აღარ დასცალდა, ისევე როგორც სხვა ლამაზი ოცნებების ასრულება.

განა არსებობს მშობლების სანუგეშებელი სიტყვა? შვილმკვდარი დედისთვის სახელი ჯერ არავის დაურქმევია. მისი შესატყვისი სიტყვა ვერავინ მოძებნა. ეს გაუყუჩებელი ტკივილია. ჩვენც უძლური ვართ ამ ტკივილის დასაამებლად.

ჩვენ დავკარგეთ არაჩვეულებრივი პიროვნება, მას ვერავინ შეცვლის. ვილოცოთ მისი სულისათვის. მშობლებს კი გიორგი ლეონიძის სიტყვებით ვანუგეშებთ:

„ნუ დაიდარდებ დედაო, რაც მან სიკვდილით გაწყინა,
მან შენი ძუძუს ნათელი საქვეყნოდ გამოაბრწყინა.“

გვინდა, რომ ეს სიტყვები მშობლებისთვის ოდნავი შვების მომგვრელი მაინც იყოს.

ეს ლექსი კი ზაზას, თანაკლასელმა გოჩა მურვანიძემ უძღვნა,.

უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა

იხლართომიან სოლში ფიქრომი,
ვაზის ტოტომად იხლართომიან.
როცა ვდომიან თორმე გმირომი,
ცაში სანთლომად იმადომიან!
იმადომიან ჩვენში გმირომი.
მადლი ოფალს რომ იმადომიან,
ღვთით მოძომოლი თვალისჩინომი
სამშობლოსათვის ოღამდომიან.

როგორც საღარო თეთრი ნისლეში,
განთიადისას ითანცე�.
ქრეmიან ომში ოქრო mიჭეmი,
დილის ცვარივით იკარგეmიან.
როცა სულmნათი mამეmის სულთქmა
შვილეmი საღღაც იკარგეmოდნენ,
იყუჭქmოდნენ mდიდრულ ვილეmში
და ევროპაში იკარგეmოდნენ.
შეmომწყრალეmი ხmალსა და გუთანს,
„mოპინგ-ცენტრეmში“ ისარჯეmოდნენ...
ღარიm სახლეmში, ჯერიის პირას,
დიდი გmირეmი იmადეmოდნენ.
ნაზიარეmი ღარიmულ ლუკmას,
ქრისტესmიერად ინათლეmოდნენ,
mუხლს იmაგრეmდნენ, ხmალს იmარჯვეmდნენ,
და საmრძოლველად იკაზmეmოდნენ.
და როცა ზარი დაჰკრავდა mძიmე,
ქვეყანას ფარად ეფარეmოდნენ,
და საქართველოს თmილი mიწისთვის
დაუკვნესეmლად ჩუmად კვდეmოდნენ!
ის ერთი mიჭი იყო უmრალო
და აცარეmდა გვირგვინს ეკლიანს,
mაგრამ არასდროს! გესmით არასდროს,
mას საყვედური არ დასცდენია.
და როცა ერთmა ოლიmპიელmა,
ქვეყანა ხურდა ფულზე გასცვალა,
mიჭmა, ოთხი დღის თურmე mშიერmა,
საmშობლო გულის ფიცრით დაჰფარა.
და გmირო, გmირიც mიცოm გიწოდეს,
რom ცრეmლი mოლო წამშიც დამალე,
ერთი mოჰხედე სხვეmის სიცოცხლეს,
და საკუთარი გულით დაჰფარე.
ისლართეmიან სულში ფიქრეmი,
ვაზის ცოცეmად ისლართეmიან,
როცა კვდეmიან თურmე გmირეmი...
არა!.. გmირეmი არა კვდეmიან:
აენთეmიან ცაში სანთლეmა
და არასოდეს აღარ ქრეmიან!

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

ადამიანს ერთხელ ეძლევა სიცოცხლე და ისე უნდა განვლოს, სანანებლად არ დარჩეს გატარებული წლები, უთქვამს ბრძენკაცს. ეს პრინციპი შენ ცხოვრების მეგზურად გქონდა ამორჩეული. სანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე კაცური კაცის სახელით იცხოვრე, ძალიან კეთილი და ლამაზი სულის პატრონი იყავი და ასეთად დარჩი არამარტო შენს თანამედროვეთა, არამედ მრავალი თაობის ხსოვნაშიც. ამიტომაც შენი გმირობის, თავგანწირვისა და ეაქკაცობის ამბავი თაობიდან თაობას, ლამაზი სდაპარიკით გადაეცემა. სწორედ ეს არის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ამ ტიალ წუთისოფელში დირსეული ადგილი დაიმკვიდრე. ეს კი მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. იური, წლები მიდიან, მაგრამ ეერაფერს აკლებენ შენს მოგონებას და ასე იქნება. ეიდრე სიორიძეთა ამაყად გაშლილი ხის შტოები იშრიალებენ. მძიმე დროს დაემთხვა შენი ამქვეყნად მოვლენის დღესასწაული და შენი ცხოვრება ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, მაგრამ ცხოვრებისეულ სიძნელეებს ეაუკაცურად გაუმკლავდი, სიცოცხლე გწყეროდა, მაგრამ არ გაცალეს.



იური სიორიძე მიეკუთვნებოდა იმ არაორდინალურ, გამორჩეული პიროვნული ხიბლით დაჯილდოებულ პროფესიონალთა რიცხვს, რომლებიც თავიანთი ღირსებით, მუშაობის სტილით, ადამიანური ან გულითადი ურთიერთობის დამყარებით ამსხვრევდნენ შინაგან საქმეთა ორგნოების მუშაკებზე სტერეოტიპულად შექმნილ მცდარად აღქმულ იმ შეხედულებას, რომელიც წლების მანძილზე შეგნებულად თუ შეუგნებლად ინერგებოდა და მკვიდრდებოდა ხალხის თვალში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სულითა და ხორცით მშვენიერი და სრულყოფილი ვაუკაცი და ამიტომაც მასთან ურთიერთობისას საოცარი ჰარმონიულობის გრძნობა გეუფლებოდა.

წინა კაცი, მითუმეტეს კარგი კაცი, მომდევნოსათვის არა მხოლოდ ხიდია ცხოვრების გზაზე, არამედ ჩაუქრობი სანათიცაა არსებობის ლაბირინთებში გასარკვევად. ასეთი იყო და მიუხედავად მისი ფიზიკური არყოფნისა, დღესაც ასეთია. ჩვენთვის მარად დაუვიწყარი იური სიორიძე.

პოლიციაში სამუშაოდ იური სიორიძის მოსვლა ერთმა კონკრეტულმა ფაქტმაც განაპირობა: იმხანად სოფ. ოზურგეთში, ახალგაზრდობის საკმაოდ მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა შორის, სასტიკი ჩხუბი მოხდა, მთვრალები ერთმანეთს დანებითა და გადამტვრეული ბოთლებით დაერივნენ. პოლიციას გაუჭირდა მათი დაშოშმინება.

პროკურატურის გამომძიებელმა იური სიორიძემ, რომელსაც სამსახურებრივად არც კი ევალებოდა იმ ჩხუბში ჩაბმა, თავისი ფიზიკური ძალით, გამჭრიახობითა და მოხერხებულობით, გააებულებს დანებიც წაართვა, ბოთლებიც და ყველას ღირსეულად მიუზღო.

იგი ერთ-ერთ საუკეთესო მილიციის უფროსად ითვლებოდა რესპუბლიკაში. რაც არაერთხელ აღნიშნულა ჩვენი განყოფილებისათვის შესაბამისი ჯილდოების გადაცემით.

იური სიორიძეს რამდენჯერმე მოუხდა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის პოსტზე დაბრუნება. საკუთარი სურვილითა და მცდელობით ან მით უფრო, ვინმესაგან „ჩაწყობით“ არასდოს არ მოსულა ამ თანამდებობაზე. მისი მოსვლა ყოველთვის გამოწვეული იყო რაიონში კრიმინოგენური ვითარების გამწვავებით; გართულდებოდა ვითარება და მშობლიური რაიონი კვლავ იხმობდა თავის უღალტო შვილს – იური სიორიძეს და იგი ყოველთვის მზად იყო ამ უაღრესად რთულ, საჭირო მოვალეობის შესასრულებლად.

და ბოლოს: განა ხალხისათვის, ოზურგეთისა და ოზურგეთელებისათვის არ გაწირა მან თავი იმ ბოროტმოქმედებთან ხელ-

ჩართულ ბრძოლაში, რომელთა უენებელყოფა თავისთავზე ვერ აიღო მეზობელი რაიონის მაშინდელმა მილიციამ?!

შეიქმნა სიტუაცია, როდესაც წამები წყვეტდა ყველაფერს და ფიქრის, განსჯის დრო აღარ იყო. შედეგის გათვალისწინება იმ ელვისებურ მომენტში შეუძლებელი გახდა, რადგანაც ბოროტმოქმედის ხელში მომარჯვებული სასხლეტგამოცლილი ხელყუმბარა დიდი უბედურებით ემუქრებოდა იქ თავმოყრილებს და ტრასაზე მოძრავ ტრანსპორტს. იური უყოყმანოდ ეკვეთა ბანდიტს და თავის ახალგაზრდა თანამშრომელთან ნუკრი სეფერთელაძესთან ერთად, საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა სხვები. რითაც დაამტკიცა, რომ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება და საქმიანობა ადამიანებისათვის ერთგული და უანგარო სამსახური და თავგანწირვისათვის მზადყოფნის მკაფიო მაგალითი იყო.

ამ დიდად კეთილ კაცს, უხვად ჰქონდა მომადლებული გულღია, გულწრფელი ურთიერთობის ნიჭი, სიბრალულის, თანადგომის, ჭირისუფლობის უნარი... როგორც უბადლო მეგობარი და ღირსეული მოქალაქე, იგი მუდამ, ყოველგან საზოგადოების აქტიური წევრი იყო. აღსანიშნავია თუნდაც ისიც, რომ იური გამორჩეული თამადა გახლდათ. ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც ოზურგეთელებს ურთიერთობის ძაფებით აკავშირებდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლებთან, რომლებიც დღეს ჩვენთან ერთად მადლიერებით და სიყვარულით იხსენებენ საუკეთესო ქართული ტრადიციების ერთგულ, ჭეშმარიტად ყოველმხრივ ლამაზ პიროვნებას.

იურის დიდ კეთილშობილებასა და კაცურკაცობაზე ისიც ნათლად მეტყველებს, რომ ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავდა 9 მაისს, სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას. მისი მამაც ბატონი ვალერიანიც ხომ ომში დაიღუპა. და ყოველ გამარჯვების დღეს, იური მიდიოდა უკრაინაში მამის საფლავის მოსანახულებლად, თავის შვილებთან და მეგობრებთან ერთად.

იურის ყველგან სოფლად თუ ქალაქად, თავშეყრის ადგილებსა თუ ოჯახებში განსაკუთრებული სიყვარულით, ღია გულით, გულწრფელი ღიმილით ხვდებოდნენ. მისი სჯეროდათ და იმედი ჰქონდათ, ყველგან მეგობრები ჰყავდა და ყველგან მიესალებოდა.

ნინო მდინარაძე იგონებს:

„ყოფილი მოსამართლის, ჩემი ბებიის – ქალბატონ ნინო გობრონიძისაგან გამიგონია, კონჭკათში, გამსელელ სასამართლო სხდომაზე, საზოგადოებრივ ბრალმდებლად წარმოსადეგი ყმაწვილი გამოსულა. სასამართლოს წევრები მოუხიბლავს მის ლოგიკურ მსჯელობას, სხარტ აზროვნებას. პროცესის შემდეგ მოსამართლე შეხვედრია ახალგაზრდას, უსაუბრია მასთან და

ურჩევია: „იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარე, შენგან კარგი იურისტი დადგებაო...“ სულ მალე იური სიორიძე მართლაც გახდა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

შემდგომში მათი პროფესიული მეგობრობა განმტკიცდა და ჩემი ოჯახის წევრებისაგან არაერთხელ მსმენია კარგი სიტყვა ამ შესანიშნავ იურისტზე, გაბედულ ოპერატიულ მუშაკზე და გულისხმიერ ადამიანზე.“

ოზურგეთის რაიგანყოფილებაში მუშაობის მანძილზე იური სიორიძე ორჯერ უსამართლოდ დაითხოვეს მილიციის უფროსის თანამდებობიდან. ამიტომ, როგორც მან ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, მესამედ დანიშვნას ნამდვილად აღარ ელოდებოდა... ბატონი იური არ გახლდათ თბილი სკამისა და თანამდებობისათვის მებრძოლი პიროვნება და არც სულმდაბალი კაცუნა, ვინმესთან რომ ანგარიში გაესწორებინა. როცა ტელეკომპანია „გურია“ გაქურდეს, ბოროტმა ენებმა დაისისინეს, „ჩაწყობილი“ იყოო, რათა... თუმცა მერე იგივე ენებმა ისიც თქვეს, იური სიორიძის სიკვდილიც „ჩაწყობილი“ იყოო... რაც უნდა ეთქვათ ბატონ იურის მართლაც რაინდულ სახეს ტალახის ნამცეციც არ მიჰკარებია. მას არც არავისგან დაცვა სჭირდებოდა, რადგან ყოველთვის თავისი ნაღდი კაცობა, დიდი გული და ღირსეულად განვლილი 52-წლიანი ცხოვრების გზა იცავდა. იგი ძალიან კარგად ხედავდა რაიონში გამეფებულ განუკითხაობას. საკუთარ ძალებში დარწმუნებული გრძნობდა იმასაც, რომ შეეძლო საქმის წაღმა შემოტრიალება და თუ მესამედ მოვიდა მილიციის უფროსად თავისი კეთილშობილური მიზნით, წესრიგისათვის, კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის სურვილითა და პირადი მაგალითის ძალით, მილიციის მთელი შემადგენლობა აიყოლია... ორ კვირაში დაატყო რაიონს თავისი ხელი, ხალხმაც შვებით ამოისუნთქა, იმედი მიეცა, პოლიცია თავის დამცველად იგულა.

იმ ავბედითი შემთხვევის შემდეგ მისი მეგობრები იგონებენ: „უძილობისაგან თვალებამოღამებულს რომ ვნახავდით, დავეტყოდით, უმოწყალოდ ნუ გადადებთ თავს, ყველა ოპერაციაზე შენ ნუ წახვალ, სიცოცხლეს გაუფრთხილდიო, იგი თავს გადააქნევდა და გვეტყოდა, — მე თუ არ წავედი სხვა როგორ გავუშვა ხიფათთანო...“

იმ საბედისწერო ოპერაციაზე, რომ არ წასულიყო და კაბინეტში შეეუფულიყო, რა თქმა უნდა ახლაც ცოცხალი იქნებოდა. მაგრამ... იური სიორიძე სულ სხვა კაცი იყო, — სრულქმნილი ვაჟკაცი, თავმოყვარე, თავისი პროფესიის პატივისმცემელი, საქმისადმი, მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე,

მეგობრებისა და კოლეგებისადმი უსაზღვროდ ერთგული, გულწრფელი და მუდამ გვერდში მდგომი...“

ჯემალ კეჭაყმაძე – ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი:

– მომეცა საშუალება და გადაეწყვიტე მართლად გამომეთქვა ჩემი დამოკიდებულება იმ დაწესებულებასთან, რასაც სამართალდამცავი ორგანო ჰქვია. სულითა და გულით მიეესალმები იმ აზრს, რომ უნდა შეიქმნას დოკუმენტური ნაწარმოები გურიის რეგიონში მოღვაწე პოლიციის ყოფილ მუშაკებზე და დღეანდელ თანამშრომლებზე. ეს ჩანაფიქრი უდაოდ კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ამავდროულად ძალიან საპასუხისმგებლო მძიმე ტვირთია და მოკრძალებული მისიაა. მე ვთხოვ უფალს, რომ შეგაძლებინოთ და შეგაქმნევინოთ საინტერესო და ყველა ფენისათვის მოსაწონი სამადლო ნაწარმოები. რაც შეეხება პირადად ჩემს ურთიერთობას პოლიციის თანამშრომლებთან, პირდაპირ გეტყვით, რომ ბავშვობიდან მომდინარეობს. მე მართლაც უამრავი მეგობარი მყავდა პოლიციაში და დღესაც მყავს, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთს კი ნამდვილად ვიტყვი, რომ ღმერთმა დაგვიფაროს, ის დრო დადგეს, რომ არ იყოს საჭირო სამართალდამცავი ორგანო, ალბათ ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. ესარგებლობ რა შემთხვევით მე ქედს ვიხრი იმ ადამიანების წინაშე, ვინც შეგნებულად შეეწირა არაკაცებს, რომლებიც მხოლოდ ავაზაკური ქმედებით იყვნენ დაკავებულნი.

ძალიან შორს რომ არ წავიდე ნება მომეცით გავიხსენო ერთი პიროვნება ვისთანაც მართლაც ახლო მეგობრობა მაკავშირებდა და რომელიც დღეს აღარ არის. ოღონდ, მინდა ის სხვა კუთხით მოვიხსენიო და იუმორის გრძნობით მოგიყვეთ სინამდვილე:

„1990 წელია, ჩვენი ქვეყნის საუბედუროდ, 1989 წლის 9 აპრილი უკვე მომხდარია. საქართველოში ეროვნული მოძრაობა პიკს აღწევს და დღის წესრიგში დადგა ოზურგეთში არსებული ლენინის ძეგლის ჩამოგდების გეგმა. მე როგორც მოძრაობის აქტიური მონაწილეს, წილად მხვდა ზემოთ ხსენებული სატანის „სვარკით“ ჩამოგდება. მოგეხსენებათ ლენინის მარცხენა ფეხი რკინიგზის რელსით იყო დამონტაჟებული. როგორც იქნა ჩემი მისია ხუთიანზე შეეასრულე და ლენინის ძეგლის ჩამოგდებით კომუნისტებიც ჩამოვარდა და სამუდამოდ მოწასთან გასწორდა. მე კი მუშაობის პროცესში ყველა ინსტანციამ დამაფიქსირა. ძეგლის ჩამოგდებიდან ცოტა დრო იყო გასული, როცა ბატონმა იური სიორიძემ მასთან კაბინეტში დამიბარა. მაშინ ის მილიციის უფროსი იყო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი მართლაც ეროვნული სული. მე რა თქმა უნდა იმწამსვე მივედი, სხვა-

თაშორის ის ჩემი მეგობარი იყო. კერძოდ ჩვენ ერთად შევედით ჭიდაობის სექციაში, სადაც თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა დავიწყეთ.

კაბინეტში ჩემი შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა, ერთმანეთს მიეფერეთ და იურიმ მიმანიშნა მაგიდასთან დაჯექიო. მეც ასე მოვიქეცი. იურიმ მაგიდის ქვედა ნაწილიდან რაღაც დიდი შტამპიანი ფურცელი ამოიღო და უხერხულად შემომხედა, მე ასე ვიგრძენი და არც შევმცდარვარ, თვალები გამისწორა და მითხრა:

— ბიჭო ჯემალია, ეს რა დღეში ჩამაგდეთ, რას მერჩოდით?

— რა იყო იური, რა დღეში ხარმეთქი. (მან ფურცელი ხელში აიღო და მომაწოდა)

— წაიკითხე და თვითონ მიხედები რა დღეშიც ვარო—მე წაკითხვაზე უარი განვაცხადე.

— რა წერია ბიჭო ამისთანა, სიტყვით მითხარი, — მან ფერცელი მაგიდაზე დადო და მითხრა:

— ეს არის დახურული წერილი და შიგ წერია, რომ სასწრაფოდ დავიჭიროთ ის აქტივისტები, რომლებმაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა თუ რაიონებში ლენინის ძეგლები ჩამოაგდესო.

მე სიმწრით გამეცინა და იური დავამშვიდე:

— შე კაი კაცო, მაგი'სა რატომ იკლავ თავს, აგერ ვარ მოსული და კამერაში ჩემი ნებით შევალ.

— შენ ხო არ გაგიჟდი, — მითხრა, — საქართველოში მაინცდამაინც მე დავიწყო პირველმა იმ ხალხის დაპატიმრება, ვინც ის სატანა ჩამოაგდო ძირს? ცოტა დავაცადოთ, ვნახოთ რა მოხდება და შემდეგ აგერ ხარ შენ და აგერ ვარ მეც —სიმართლე გითხრათ ცუდ გუნებაზე დაკედექი.

— იური ძმაო, შენ ტყუილად ნერვიულობ, ოზურგეთში კი არა, აი ნახავ ერთი თვეც არ დააგვიანდება თბილისში, რომ უზარმაზარი ლენინის ძეგლია იმასაც თუ არ ჩამოაგდებენ... იურის თვალები გაუბრწყინდა.

— შენ რა იცი.

— თუ გინდა დაენიძლავდეთ.

— დაენიძლავდეთო.

— რაზე?

— რაზე და ერთი თვის მანძილზე თბილისში თუ ლენინის ძეგლს არ ჩამოაგდებენ მაშინ 16 კაცის პურმარილი გამიკეთეთ, თუ პირიქით მოხდა, მე ვკისრულობ მისი ყველაფრით.

ჩვენი ნიძლავიდან მე-20 დღეს ცენტრალურმა ტელევიზიამ გვაუწყა, რომ დღეს დილით თბილისში ლენინის მოედანზე ეროვნული მოძრაობის აქტივისტების მიერ ჩამოგდებულ იქნა

კაცობრიობის დიდი ბელადის ელადიმერ ილიჩის ძეგლი. (ამ ინფორმაციიდან ერთი საათიც არ იყო გასული ოზურგეთის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა გამომიყვანა სარეპეტიციო დარბაზიდან და მითხრა: ჩემი ყოველდღიური თხოვნა ხომ არ გაიგონე, წადი ახლა სასწრაფოდ და აგე პასუხი მილიციის უფროსთან, გიბარებსო. მეც რა თქმა უნდა წავედი და პირდაპირ შევაღე კაბინეტის კარები, სადაც დავინახე თვალებგაბრწყინებული იური სიორიძე, მან მარჯვენა ხელით გამოაღო პატარა რკინის სალარო, სადაც ინახავდა საიდუმლო დოკუმენტებს და უცბად წითელი ათმანეთიანების შეკვრა ამოიღო. და მითხრა, საღამოს 16 კაცის პურმარილი მზად იქნებაო. გახარებული უკან დაბრუნებას ვაპირებდი, როცა იურიმ შემაჩერა და მკითხა:

— ჯემალა ბიჭო, მაინც რას ერჩოდი იმ სულძაღლიანს?

— ბატონო იური რა უნდოდა იმ სატანას ოზურგეთში, ისიც ცენტრალური ფოსტის წინ, როცა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრთან 25 მეტრიანი სტალინის ძეგლი ჩამოაგდესმეთქი. შევატყვე იურის არ გაკვირვებია ჩემი პასუხი, რადგან ამ სიტყვებით გამომისტუმრა:

— წადი ჯემალა, წადი, შენ მართალი კაცი ხარ.

მართლაც დაუვიწყარი იქნება ჩემთვის და ყველა იმათთვისაც, ვინც იმ საღამოს ესწრებოდა, ყველას გვემახსოვრება, რადგანაც მაშინ იური გამორჩეულად სხვანაირი იყო, ყველას მოფერება მოასწრო და დაუვიწყარი საღამო გვაჩუქა. მოიხსენიოს უფალმა სასუფეველსა შინა — ამინ!"

იური სიორიძე ღირსების დაცვას, პატიოსნებას, კანონიერების სამართლიანობას ყოველთვის პიროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებდა. იყო კაცთმოყვარე, კეთილი, გულმართალი, პყადა უამრავი მეგობარი, პატივს სცემდა მთელი ოზურგეთის რაიონის მოსახლეობა. გატაცებული იყო სპორტით. ათლეტური აღნაგობის ჭაბუკმა უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში, თავისი მონდომებითა და თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობით, მიაღწია საქართველოს ნაკრების წევრი გამხდარიყო კლასიკურ ჭიდაობაში, იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. 1966 წელს კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

ხალხი ბრძენია, არასდროს უჭირს შავისა და თეთრის გარჩევა, ჭეშმარიტად ძნელია ხალხის სიყვარულის დამსახურება, სიყვარულს მაშინ იმსახურებ თუ გენდობიან და შენი სჯერათ. სჯეროდა ოზურგეთის რაიონის მოსახლეობას, მათი ნდობით აღჭურვილი იური სიორიძის სიტყვებისა: „უპირველესად მიმაჩნია ვგრძნობდეთ მოსახლეობის მხარდაჭერას და თანადგომას, რათა უმოკლეს ვადაში დაავამყაროთ საზოგადოებრივი წესრიგი და

მოსახლეობას შეეუქმნათ უსაფრთხო, ნორმალური ცხოვრების პირობები, რისთვისაც რაიონის პოლიციის შემადგენლობას შეუვალად გვაქვს გადაწყვეტილი – ან დავამყარებთ წესრიგს, ან ბრძოლაში დაეიხოცებით". მას სიტყვა არ გაუტეხია. რაინდმა მოიხადა ვალი.

და ბოლოს, იური სიორიძის რაინდული ბუნების დასტურად მკითხველს ეთავაზობთ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული პოლიციის სამმართველოს მაშინდელი უფროსის ბიჭიკო სარიშვილის მოგონებას:

იური სიორიძემ თავისი ცხოვრების გზა პირნათლად განელო, როგორც ომის დაწყებამდე, ისე ომში და მის შემდეგ იურის ცხოვრებას რომ თვალი გაადევნო, დარწმუნდები, რომ ეს იყო ჭეშმარიტი მამულიშვილის განელილი გზა და მუდამ საამაყოდ მექნება, რომ იგი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. – იგი უაღრესად განათლებული, უმაღლესი კლასის იურისტი იყო. რამდენადაც მტკიცე და შეუვალი იყო ბოროტმოქმედთა მიმართ, იმდენად მსრუნველი და მიმტევებელი იყო თანამშრომლებისადმი. რის გამოც, მომეტებულად პუმანური მეჩვენებოდა და ხშირად ვეუბნებოდი, პუმანურობა ჩვენს საქმეში არ გამოდგება მეთქი. ჩემი საგზაო ზედამხედველობის უფროსად მუშაობის დროს არ ვინდობდი რაიკომის მდივნების მიღოლებსაც კი, რაზეც იური ხშირად მსაყვედურობდა. მაგრამ როცა ჩვენი მეგობარი – გურამ მუაკია ავარიაში მოჰყვა, იურიმ ნამდვილ ძმასავით დაიტირა და მითხრა, შენ მართალი ხარ, განურჩველად უნდა დავსაჯოთ ყველა, ვინც საჭესთან მთვრალი ზის და საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებსაცო...

ერთხელ სამსახურიდან გათავისუფლებულ იურის შევხვდი და შევატყვე, რომ დეპრესირებული იყო. სანადიროდ წასვლა შევთავაზე. მართალია გარეული ფრინველი ნაკლებად იყო, მაგრამ მინდოდა ცოტა მაინც გამერთო და ნაღველი შემემსუბუქებინა. სანადიროდ ლელიანი ავირჩიეთ, შემდეგ გავედით აბაშის ახლოს ახალ ხიდზე და მართლაც გვარიანად გავერთეთ. სწორედ მაშინ მითხრა:

– ბიჭიკო თუ კიდევ ვეღირსე და მუშაობა დავიწყე, იცოდე, ან წესრიგს დავამყარებ ოზურგეთში, ან შევაკვდები ჩემს იდეასო.

– ამას რატომ ამბობ? – შევეკითხე და გულში გავიფიქრე, რომ იურიმ ტყვილი ქადილი არ იცოდა.

– მე მიყვარს ჩემი პროფესია და უდიდესი სურვილი მაქვს რომ რაიონი გავწმინდო ბოროტმოქმედებისაგანო. – მითხრა პასუხად.

მალე იური ხალხის მოთხოვნით მესამედ დანიშნეს ოზურგეთის პოლიციის უფროსად. მას, უშრეტ ენერგიასთან ერთად,

ღმერთისგან ბოძებული ჰქონდა შეუპოვრობა, ნიჭი და თავისებური სიძლიერე, რაც უდიდესი იარაღი იყო ბოროტებასთან ბრძოლაში. იგი მიმტევებელიც იყო მათ მიმართ, ვისშიც გამოსწორების თუნდაც ნატამალს შენიშნავდა.

ოსურგეთში დანიშვნისას, გენერალური ინსპექციის უფროსის – ზაზა ბურჯანაძისათვის უთქვამს იურის: თუ ბიჭიკო სარიშვილი ოსურგეთში ჩემთან ერთად იმუშავებს ჩემს მოადგილედ, ორივეს პოლიციის უფროსის სტატუსი გეექნება და ერთად უფრო ძლიერნი ვიქნებითო. მე იური ისე მიყვარდა, რომ მასთან ერთად წასვლა ვარჩიე მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობას, რომელიც ის იყო შემომთავაზეს. რადგან მე და იურის ერთი მიზანი გექონდა – დაგვემყარებინა წესრიგი, მასთან მუშაობას მე ბედნიერებად ვთვლიდი. ამიტომ ორი კვირის შემდეგ, გავემზადე ოსურგეთში წასასვლელად და იურის დაღუპვის შესახებაც მაცნობეს, გული ჩამწყდა და როცა მისი თანამდებობა შემომთავაზეს, სასტიკი უარი განვაცხადე, რადგან ოსურგეთში მუშაობა მე იურისთან ერთად მინდოდა და არა მის გარეშე. თანაც მეგობრის სავარძელში როგორ უნდა ჩავმჯდარიყავი? ვიცოდი, რომ იმ დიდი მისიის შესრულებას, რომელიც მიზნად გექონდა დასახული, მის გარეშე ვერ შეძლებდი. ამიტომაც იყო, რომ დამსაჯეს და პენსიაზე გამიშვეს.

სხვა რა შემიძლია გიამბოთ? ენა მებმება, როცა მახსენდება მისი ეაუკაცური ნათქვამი, მის მეტი ამას მართლაც ვერავინ იტყოდა:

– ბიჭიკო, თუ კიდევ ეელირსე და მუშაობა დავიწყე იცოდე ან წესრიგს დავამყარებ ოსურგეთში, ან შევაკვდები ჩემს იდეასო.

– ეაგლახ...

იურის დაღუპვის ამბავი რომ გავიგე, მაშინვე მისი ეს ნათქვამი გამახსენდა და ახლაც თავში მიტრიალებს მისი ეს სიტყვები.

იური და მისი გუნდი საგანგებო დავალებებს ასრულებდნენ. ისინი ფხიზლად დარაჯობდნენ ხიდს, რომლის აფეთქებაც განზრახული ჰქონდათ აფხაზ ექსტრემისტებს. ხიდის დაცვას ჩვენი მხარისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. განვლილ ომში (იგულისხმება აფხაზეთის ომი), ერთი კვირის განმავლობაში იურის ჰატარა გუნდმა მოწინააღმდეგის რამდენიმე იერიში მოიგერია ავტომატებით, ტყვიამფრქვევებითა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებით, ხიდის მისადგომებთან ათობით სეპარატისტი, ერთი ტანკი და ერთიც თვითმავალი დატოვა მტერმა. მოგვიანებით კი თვით იურის მცირერიცხოვანი გუნდი გადავიდა შეტევაზე და ხიდის მარცხენა მხარე გაათავისუფლა მოწინააღმდეგისაგან.

იურის განკარგულებით მარჯვნივ ჩამავალ პატარა ხევში მტრის დახოცილი მეომრები ჩაასვენეს ბიჭებმა, რათა მხეცების საჯიჯგნი არ გამხდარიყვნენ. მუსანგრე ვარდიშვილმა სიპი კლდე გაჭირვებით გამოანგრია, შიგ ნაღმი ჩადო და ნაღმის აფეთქებამ მალე ყურთასმენა წაართვა იქმყოფთ. ჩამონგრეულმა მიწამ გვამები დაფარა.

— დაღუპული მტრის პატიოსანმა ვაუკაცის უპირველესი ვალიაო, — თქვა ნაღელიანად იურიმ და მის ნათქვამში გამოსჭვიოდა უდიდესი წადილი იმისა, რომ ამ კეთილშობილური ტრადიციისათვის, არც ერთ ქართველს არ ელალტა.

თუ გული გაქვს, კიდეც უნდა გტკიოდეს იგი, კიდევაც უნდა გიხაროდეს, კიდევაც უნდა გწყინდეს და კიდევაც უნდა გაღელვებდეს.

იური სიორიძემ ისე იცხოვრა, რომ მართალია ბოლომდე ვერ თქვა თავისი სათქმელი, მაგრამ ისე კი წავიდა, რომ ოზურგეთს თავისი უანგარო ცხოვრებით, კეთილი კვალი დააჩნია.

გთავაზობთ ნაწყვეტს ივანე ოსეფაშვილის წიგნიდან „იური სიორიძე, შეწყვეტილი ინტერვიუ."

* * *

ნუთუ დადგება დრო?

შავი ბლის ტოტზე ჩიტი შემოჯდა. ჯერ იქაურობა დაზვერა და რაკი დარწმუნდა, რომ საშიშროება არ ელოდა, მზეს ჯერ ერთი ფრთა მიუფიცხა, შემდეგ — მეორე და ცოტა, რომ შეთბა სტვენა წამოიწყო. ჩიტის გალობა ეზოში სასიამოვნოდ გაისმა.

ოდა სახლის წინ ჯორკოზე მჯდარი გოლიათი კაცი შეინძრა, დაშლილი იარაღის წმენდას შეეშვა და გალობას ყური დაუგდო.

ჩიტი გალობდა...

ბუნება იღვიძებდა...

კაცი ილხენდა...

ჩიტი განაგრძობდა გალობას და ზღვის მხრიდან მონაბერი სიოც თითქოს სიყვარულით ეალერსებოდა კაცს.

მან დაშლილი რევოლვერი ააწყო და ამოიოხრა. ხმაურზე ჩიტი შეკრთა, გალობა შეწყვიტა და ცალი თვალით გვერდულად ჩახედა ეზოში მჯდომს, კაცს, რომელიც ფიქრებს მისცემოდა.

— რატომ არსებობს კეთილის გვერდით ბოროტი? რატომ უნდა სჭირდებოდეს ადამიანს ბოროტების წინააღმდეგ იარაღით

ბრძოლა? — ფიქრობდა იგი და ამ ფიქრიდან კელაე ჩიტის გალობამ გამოარკვია.

იური თავისი სიძლიერის წყალობით, მოწინააღმდეგის წინააღმდეგ იარაღს იშვიათად ხმარობდა. ერთი ეპიზოდი გაახსენდა და გაეღიმა.

ერთხელ იგი ბანდიტს ხელდახელ შეება. შემართულ „ტეტეს“ იარაღს ფეხი ისე ძლიერად აუკრა, რომ ჰაერში გაფრენილ იარაღს მოწინააღმდეგემ თვალი ვეღარ მიაყოლა. განცვიფრებულმა ვეღარაფერი მოახერხა. იგი მილიციის პოლკოვნიკმა ერთი დარტყმით ძირს დასცა. დაცემულმა მის დასახმარებლად მოსული, მეორე ბანდიტიც ქვეშ მოიყოლა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მოსაშველებლად მოჭრილმა იურის მოადგილემ ორივე ბანდიტს, სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, ხელბორკილები დაადო.

— ნუთუ დადგება დრო, როცა იარაღი საჭირო აღარ იქნება? — გაიფიქრა მან და საათს დახედა. წასვლის დრო იყო, მაგრამ მანქანა იგვიანებდა.

ჩიტი კელაე გალობდა. მას აღარ ეშინოდა კაცისა. იგი გალობდა სიყვარულზე, უკვდავებაზე და რა იცოდა ამ უწყინარმა ჩიტმა, მის გალობას უკანასკნელად უსმენდა სიცოცხლეზე შეყვარებული და ბუნებით კეთილი კაცი.

მოუსყიდავი და მართალი კაცი იყო

გენადი გიორგაძე

1992–1993 წლებში გაუსაძლისი მდგომარეობა შეიქმნა მთელს საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიაში. კრიმინალური ბანდების თარეშმა, ძარცვამ, ყაჩაღობამ, კაცისკვლამ, ძალადობამ, სიცოცხლე გაუმწარა ხალხს რამდენიმე წლის წინ აყვავებულ მხარესა და მის პატიოსან, გარჯითა და სიკეთით გამორჩეულ მოსახლეობას.

ადგილობრივი პოლიცია, რომელიც ცნობილი მიზეზების გამო ფაქტობრივად დაშლილი და უანიარაღებული იყო, ვერ ახერხებდა კრიმინალურ ბანდებთან გამკლავებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგიონში მართლწესრიგის აღსადგენად გადამჭრელი ღონისძიების განხორციელებას შეუდგა. ადგილობრივი პოლიციის გასაძლიერებლად გაიგზავნენ დამნაშავეობასთან ბრძოლაში გამობრძმედილი, მაღალი კლასის პროფესიონალები.

მათ შორის იყო პოლკოვნიკი გენადი გიორგაძე, რომელიც 1994 წელს დაინიშნა შს მინისტრის რწმუნებულად გურიის რეგიონში. 1995 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ პოლიციის სამხარეო სამმართველოს. მეტად ძნელი და ქარიშხლიანი გამოდგა სიკეთითა და პატიოსნებით აღსავსე უპრეტენზიო კაცისთვის, ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის ბოლო ხუთწლეული, ეს სომ კაენის სულის აღზევების ხანა იყო საქართველოში. ეროვნა-არეოფნის ზღვარზე იდგა ქვეყანა, რომელიც ძმათამკვლელ ომში, სისხლისგან იწრიტებოდა, იმ დროს, როცა გარეშე მტრები მას წალეკვით ემუქრებოდნენ. სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს, როცა ქვეყანაში განუკითხაობა და ქაოსი სუფევდა, გენადი გიორგაძემ იპოვა ერთადერთი სწორი, უტყუარი ორიენტირი, – სამშობლოსადმი უანგარო სამსახური. იგი იარაღით ხელში იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, მტკიცედ იდგა მართლწესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე. იქვე დაეცა იგი საბრძოლო პოსტზე. რადგან მრავალგზის დაჭრილმა და ჯანმრთელობაშერყეულმა, საკუთარი თავის მისახელად ველარ მიიცალა.

მოგვეკავეს ამონაწერი მაშინდელი სახელმწიფო მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მადლობის წერილიდან გენადი გიორგაძისადმი:

„დიდ მადლობას მოგახსენებთ საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს და ურთულეს ეტაპზე სამშობლოს და ერის წინაშე თავდადებისათვის.

დღეს, როდესაც ერს და მამულს, როგორც არასდროს, სჭირდება თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების, მამა-პაპის კუროხეული მიწა-წყლის დაცვა, თქვენ ვაუკაცურად და მამაცურად დგახართ სამშობლოს სადარაჯოზე, თავგანწირვით ემსახურებით მის სამხედრო ძლიერებასა და უშიშროების განმტკიცებას."

აი, რას წერდა შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი, გენერალ ლეიტენანტი კახა თარგამაძე.

„პატიოსნების ეტალონად მიიჩნევდნენ, მაგრამ მაინც სხვაგვარი დავინახეთ, როცა მის პატარა ერთოთახიან ბინაში, გამოსათხოვრად მივედით.

მართლაც როგორ პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ ცხოვრობდა ლამაზად, შინაარსიანად, შთამბეჭდავად!

უსპეტაკესი, უპატიოსნესი! – ამბობდნენ მის შესახებ.

ამიტომაც მოუწევეს საოცარი გაცილება. მიჰყვებოდა კატაფალკას ესკორტი. იყო ნელი სვლა სამინისტროდან საკმაოდ შორს, იმათა სასაფლაოსკენ, სინდისს და პატიოსნებას, ქართული პოლიციის დირსებას და ნამუსს. სვლით მიჰყვებოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულნი... "

ზურაბ ჩხაიძე – გენადის უახლოესი მეგობარი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი:

„ერთხელ კაბინეტში ვიყავი, როცა ერთი საერთო ნაცნობი მოვიდა და ჩვენი ახლობლის 50 წლის იუბილეზე მიგვიპატიჟა.

გენომ მადლობა გადაუხადა.

– როდის წავიდეთ? – ვკითხე.

– ლიხაურში საქეიფოდ ვერ წავალ!

– რატომ?

ამიხსნა: თურმე მის ჩამოსვლამდე, თანასოფლელს ახალგაზრდა მოუკლავს. ეჭვმიტანილი გაქცეულა. მას შემდეგ დადის თურმე, მოკლულის დედა, ერთადერთი შვილის, ობლად გამზრდელი, პედაგოგი ქალი და სამართალს დაეძებსო! ვცდილობ, მაგრამ ვერ დავეხმარე. მეც სხვებივით ვპირდები, მაგრამ შვება ვერ მივეცი. რა კაცობა იქნება, ავიდე მის სოფელში და ვიქეიფო?

– თუ ასე ვიფიქრეთ, ბევრს სულ არ გაგვესვლება ქუჩაში!

— სხვისი არ ეიცი, მე კი არ შემიძლია! — მითხრა გადაწყვეტით.

ამიტომ ვამბობ: უცნაური იყო ჩვენი გენო!

გენო ისეთი იყო, ყველა დროს რომ სჭირდება!

თითო-ოროლა არიან გენოსნაირები.

მაგრამ მაინც არიან.

მადლობა უფალს, რომ არიან."

ჯემალ გახოკიძე — პოლიციის გენერალ-მაიორი:

„სათქმელი ჰქონდა, ამიტომ ვთხოვე სიტყვით გამოსულიყო თათბირზე, რომელსაც სახელმწიფო მეთაური ესწრებოდა.

პარლამენტის სხდომათა დარბაზში გვერდიგვერდ ვისხედით. შეეხედე ფერშეცვლილი ჩანდა. ცუდად ხომ არ ხართ მეთქი? უარყოფის ნიშნად გამიღიმა.

კარგი სიტყვა თქვა, გამოკვეთილად ამბობდა სიმართლეს, პრობლემებზე ილაპარაკა. რამდენჯერმე შეხერდა. ყველა მისვდა არ იყო კარგად.

დაამთავრა, დაჯდა და გონება დაკარგა. სასწრაფოც მოვიდა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ვიგრძენი, რომ სიკვდილი ახლოს იყო მასთან.

თავისი ცხოვრებით დიდი მაგალითი გვიჩვენა გენადიმ. მან ისე დაამთავრა ამქვეყნიური ცხოვრება, რომ სამსახურს არ მოშორებია.

გრძნობდა მოვალეობას ხალხის, ქვეყნის წინაშე და ვალმოსდილი წავიდა ჩვენგან!

რა გვმარიებს ჩვენ? — გავისიგრძეგანოთ, რა იყო გენადი გიორგაძის ცხოვრების კრედო.

მაშინ ჩვენც ვალმოსდილი დავტოვებთ ამ წუთისოფელს."

ზურაბ ამილახვარი, — პოლიციის პოლკოვნიკი:

„როცა საქართველოში სტაბილური მდგომარეობა მკვიდრდებოდა, გავიგე თუ ვის ჰყავდა ზუგდიდში გენადის მანქანა.

გენერალი გია გულუა და გენადი თავად მივიდნენ იმ პიროვნების ოჯახში. გენადის ჟიგული არსად იყო, სანაცვლოდ უცხოური მარკის მანქანა იდგა ეზოში.

ოჯახის თავკაცი (ვინც მანქანა წაიყვანა) იკითხეს. დამბლადაცემული იწვა.

გადაწყდა, გენადის თავისი ჟიგულის სანაცვლოდ ის მანქანა უნდა წამოეყვანა.

სასტიკი უარი უთქვამს: ეს ნახევარი კაციც არაა და ავტომანქანა როგორ წავართვაო.

ამ ამბავს გაჭირვებით, მაგრამ სიამაყით ჰყვებოდა ბატონი გია.

აი, როგორი კაცი იყო გენადი გიორგაძე. ასეთ ადამიანებს ძალუძთ ქვეყნის გადარჩენა, ასეთი ხალხი სჭირდება საქართველოს!"

ვალერიან გოგოლაშვილი – შსს პრესცენტრის მაშინდელი უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი:

„მე იშვიათად მინახავს ისეთი მწარე გამოთხოვების ცერემონიალი, საყოველთაო აღიარება და ამდენი გულწრფელი ცრემლი, როგორიც ახლდა ბატონი გენადი გიორგაძის უკანასკნელ გ'სა'სე გაცილებას, მას ღირსეულად მიაგეს პატივი თანმებრძოლებმა, მთავრობამ და ხალხმა.

მორიდებული, მოწამეობრივი სიცოცხლით იცხოვრა ამ სულგანათლებულმა კაცმა, მთლიანად დაიხარჯა მშობლიური ქვეყნისათვის, თავისი საქმისათვის. თავის ოჯახს და ახლობლებს დაუტოვა დიდი ავტორიტეტი და ტკივილი. მატერიალური კი, არაფერი.

გენადი გიორგაძის პიროვნებაში ყოველთვის, სულიერება სჭარბობდა მატერიალურს."

ამ ქვეყნად იშვიათად მოიძებნება კაცი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ისე მოეხმარებინა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის, როგორც ეს გენადი გიორგაძემ გააკეთა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხა'სეთ'ში. მაგრამ არა ოთხი დღით, არა პოსტის შენარჩუნებისათვის, ან დაწინაურებისათვის. ახალგაზრდა კაცი თვეობით იყო მოწყვეტილი ოჯახს. ექსტრემისტული ძალებისაგან ალყაშემორტყმულიც ყოფილა, საკუთარი ავტომანქანა და საბუთებიც დაუწვეს ბანდიტებმა. ერთი სიტყვით მოჩვენებითი არ ყოფილა მისი თავგანწირვა, პატიოსნება.

გურიის სამხარეო პოლიციის ყოფილი შეფი ვიქტორ გობრონიძე იგონებს: „ერთხელ სამაჩაბლოდან დაბრუნებულმა მითხრა: „შენსას გართმევენ. სულსა და გულში ხელს გიფათურებენ... სანამდე უნდა ითმინო? ბორგავს სამაჩაბლო, ბორგავს დაჭრილი საქართველო, ჩვენმა ბიჭებმა (მხედველობაში პყავდა ო'სურგეთის პოლიცია, რომლის რიგებიდან შემდგარ რაზმს თვითონ ხელმძღვანელობდა) იციან რაა დასაცავი, საშინელებაა ის, რომ შენიანისგან უნდა დაიცვა შენი ქვეყანა.

ზუგდიდ'ში როცა კომენდატად მუშაობდა, პოლიციას ქობალიას რაზმი დაესხა თავს, შვინობა დაწვეს. რამდენიმე პოლიციელი დაიხოცა. თავად დაჭრილი, ორი დღე და ღამე, წყიმასა და სიცივეში, ჩაის პლანტაციაში ჩადგმულ ნახევრადდანგრეულ კარავს აფარებდა თავს. იმ ჭრილობის შედეგი იყო ნეფრიტი, იმ ჭრილობიდან დაიწყო მისი სიცოცხლის შემოკლება. ო'სურგეთელებს რა დააყიწყებს რა სიტუაციაში ჩამოდიოდა აქ. მდგომარე-

ობა რთული იყო, ხალხი ქუჩაში ვერ გამოდიოდა, იცოდა რასაც შეეჭიდა, მაგრამ სწამდა, რომ სიმშვიდით, გონიერებით შესძლებდა რთული ვითარების გამოსწორებას. მეც მისი უშუალო ინიციატიკით დავინიშნე ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსად. გვერდით მდგომი ყოველთვის მაგალითს გვაძლევდა. სიკვდილითაც თავდადების მაგალითი მოგვცა.

ნაზი არაშიძე – საქართველოს ტელევიზიის სტუდია „პუბლიცისტის“ ხელმძღვანელის ყოფილი პირველი მოადგილე: „ვისზე, თუ არა გენადიზე შეიძლება ითქვას, რომ იგი ბავშვობიდან დაიწყო, საკლასო ოთახში ყველაზე გვიან შემოსული, ქათქათა პერანგიანი მორცხვი ბიჭი, თავდახრილი, აპრეხილი წამწამებიდან ჩუმად რომ აპარებდა მზერას მომავალი თანაკლასელებისაკენ, ვინ იფიქრებდა ასევე ჩუმად, ყველაზე ადრე გავიდოდა იქიდან!.. გაკვეთილის დამთავრებასაც არ დაელოდებოდა, ისე გავიდოდა და, ზარსაც თვითონ დარეკავდა, ახალი გაკვეთილის მაუწყებელს.

და დაიწყო ეს გაკვეთილი... უიმისოდ! გაკვეთილი დაფიქრების, განსჯის, სვედიანი მოგონებისა და ტკივილის, რომ იქ მარცხენა კუთხეში იჯდა ბიჭი, ქათქათა პერანგით...

ბიჭი – გულღია და ალალი.

ბიჭი – მართალი, უღალატო და უშიშარი.

ბიჭი – გადამდები სიცილით.

ბიჭი – სიყვარულით სავსე, ერთი გულით.

ყველა ეს თვისება საწყისი იყო მისი პიროვნების, ყველა ეს თვისება მან ერთმა ატარა.

თანაკლასელებს დიდხანს გვაოცებდა მისი პროფესიული არჩევანი, ვერ წარმოგვედგინა, მას თუ შეეძლო ვინმეს დაკავება, ვინმესე გაწყრომა, პოლიციელობა... უფრო სწორდ კი არ გვიკვირდა, არ გვემეტებოდა ეს სათუთი სულის ადამიანი ძალისმიერი საქმისათვის. გენადიმ თავისი მოღვაწეობით ყველას დაგვიმტკიცა, რომ ბოროტების დასამარცხებლად, სულაც არ არის აუცილებელი იარაღი, – ყველაზე დიდი ძალა მის კეთილ სულში იყო, რომ ბუნებით მართალ კაცს შეუძლია სიმართლისათვის ბრძოლა, გულმოწყალება – შემცდარი კაცის გამოსწორება, როგორც მისი კოლეგები ამბობენ, მან ბევრი გზასაცდენილი, ცხოვრებას დაუბრუნა. საოცარია, მაგრამ გენადი გიორგაძეს დამნაშაევეთა სამყაროშიც კი ავტორიტეტი ჰქონდა, ყველამ იცოდა, რომ მოუსყიდავი კაცი იყო.

ჩვენი თანაკლასელი ბადრი აბრამიშვილი მიამბობდა ერთ შემთხვევაზე: „მანქანაში ჩამისვა და მანიშნა, იმას უნდა მიყვეო, – წინა მანქანა ელვის სისწრაფით მიდიოდა... მივხვდი, რომ სიტუაცია კრიტიკული იყო. მიკვირდა, მარტოდ რატომ გარისკამეთქი,

ჩემი, გამოუცდელი კაცის იმედი რაში უნდა ჰქონოდა?! მანქანა მიჰქროდა. დამნაშაევ უცებ შევარდა ეზოში, სახლიდან ორლულიანი სანადირო თოფი გამოიტანა და მანქანიდან გადმოსულ გენადის პირდაპირ დაუმიზნა, გენადი არც შეჩერებულა ისე მიიწევდა წინ, თვალებში უყურებდა და ეუბნებოდა: „შენ არ გაისვრი!“ სხვა სიტყვები აღარ მესმოდა, წამებში ხდებოდა ყველაფერი... ბიჭმა თოფი დაუშვა!.. მასთან საუბრის შემდეგ გენადი გამობრუნდა და წაედით „რას შვრები, რატომ დატოვემეთქი. ეკითხე. „თავისით მოვაო!“ მითხრა. ორიოდე დღის შემდეგ იმ ბიჭს ჩემი მისამართი გაეგო და სახლში მომაკითხა „ბოდიშს გიხდითო“. შემდეგ მილიციაში წასულა. დღესაც არ ვიცი რა ელაპარაკა იმ ბიჭს, რითი მოდრიკა.

მე ერთი ინტერვიუც მინდა გავიხსენო სატელევი'სიო გადაცემიდან: „ამ ბიჭებს, რომ ეუსმენ ციხეში, ვხედავ მათ მოქმედებას, ემოციებს, ერწმუნდები, რომ ისინი ყაჩაღები არ არიან, უფრო მეტად ისინი გზასაცდენილი, შემცდარი ხალხია“.

ეს გენადის სიტყვებია, მას სწამდა, რომ დამნაშავედ არავინ იბადება, რომ ადამიანს უნდა ენდო და მისცე მას შანსი შეცდომის გამოსწორებისა და თვითდარწმუნებისა. ეს იყო გენადის, როგორც პროფესიონალი პოლიციელის კრედო, მისი ყველაზე ძლიერი იარაღი.

მან ღირსეულად ატარა მუნდირი პოლიციელისა, მუნდირი კაცისა, რომლისთვისაც ყველაზე დიდი ფუფუნება ადამიანური ურთიერთობა იყო. ის ყველას გვიფრთხილდებოდა, ყველაზე ზრუნავდა, გვეხმარებოდა. სამაგიეროს კი არასდროს ითხოვდა. არც მაშინ, როცა უმუშევარი დარჩა, არც მაშინ როდესაც ზუგდიდში მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად ჩასული კომენდატი მუხანათურად დაჭრეს და ასე დაჭრილმა მთელი ღამე დაჭაობებულ თხრილში გაატარა... არც მაშინ, როცა ჯანმრთელობა საბოლოოდ შეერყა და სიარულიც უჭირდა.

არც მაშინ, როცა კვდებოდა...

ყოველთვის ის მოდიოდა ჩვენთან, ის გვეძებდა, არ გამოეპარებოდა ჩვენი შვებულება და მანქანის გაბმული სიგნალით მოადგებოდა ეზოს, შუა ეზოში დადგებოდა ხელგაშლილი და გადამდები სიცილით ელოდებოდა ჩვენს მიგებებას, ისეთი სიცილით, ბავშვებს, რომ ახასიათებს სიხარულის დროს. ღიმილიანი და ხელგაშლილი, ასეთი დარჩება ჩემში, ასეთი ენახე უკანასკნელად.

ბოლო შეხვედრა არ შედგა: უბის ჯიბეში ჩემი ტელეფონის ახალი ნომერი გეწერა, ვერც დამირეკე.

შენ ბავშვობიდან დაიწყე და ბავშვობაში დაბრუნდი, მესამე მერხზე მარცხენა კუთხეში."

მინდია თაეაძე — საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი:

"ყველას კარგად ახსოვს ის ავადსახსენებელი დრო, როდესაც გურია შავი სამყაროს მიერ გახლდათ ოკუპირებული. მიელინებით ჩამოვედი ოსურგეთში. ბატონი გენადი რაღაც ხუთიოდე თვის დანიშნული იყო პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსად, მაგრამ ამ მოკლე დროის მანძილზე ყაჩაღებისა და ბანდიტების მრავალრიცხოვანი ბანდიდან თითო-ოროლა თუ ბოგინობდა აქა-იქ.

კაბინეტში ვეწვიე. იური სიორიძის სურათმა მიიქცია ჩემი ყურადღება, ჩემი მეგობარი იყომეთქი, ვუთხარი.

„მისი მემკვიდრეობა თუ შევძელი, ჩემთვის დიდი პატივი იქნება, ისე ყველამ მინდა იცოდეს, ამ დიდი კაცის სისხლს არაკაცებს არ შევარჩენ". თქვა გენადიმ და არც შეარჩინა!

ახლა ხატზე შემიძლია დავიფიცო, სულ მალე, ორიოდე თვეში ძმადნაფიცებივით გავხდით. მოგეხსენებათ დღიდან დაარსებისა, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ეხელმძღვანელობდი ტელევიზიაში სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ოქროპირის" რედაქციას და ბუნებრივია მიხდებოდა ძალოვანი სტრუქტურების მუშაკებთან ურთიერთობა, მაგრამ მიჭირს გავიხსენო თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, გენადისნაირი თავდადებული, სპეტაკი პროფესიონალი და რაც მთავარია, თავის ქვეყანასა და ერზე შეყვარებული, ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც არავისგან არაფერს არ ითხოვდა, თვითონ კი ყველაფერი გასცა, თვით სიცოცხლეც კი.

ყოველივე ზემოთქმული რაღაც ეპიტაფიის მსგავს ნათქვამად რომ არ მიეიჩნიოთ, ვეცდები კონკრეტული ვიყო: მაინც ვინ იყო იგი? ეიტყვი ჩემს აზრს: იყო „უშიშარი, ვითარცა უხორცო".

ერთ ასეთ შემთხვევას გავიხსენებ: იცით, გენადი მძიმე ავადმყოფი იყო, მის მეუღლეს ქალბატონ რუსუდანს გაეგო, რომ სოფ.შემოქმედში ცხოვრობს სახალხო მკურნალი თუ ექიმბაში, რომელიც თითქოს არჩენდა ასეთ დაავადებებს, და გვთხოვა გავყოლოდით. ჩვენც გავყევით. შემოქმედში ერთ ეზოში ჩემი ყურადღება მიიპყრო სამმა წვერმოშეებულმა ახალგაზრდამ, რომლებიც ხელყუმბარებსა და „კალაშნიკოვებში" იყვნენ ჩამჯდარ-ჩასილაღებულნი. აქედან დაახლოებით 150 მეტრის დაშორებით იყო ექიმბაშის ოჯახი. გენადის რეაქციას დავაკვირდი, სახეზე არც ერთი კუნთი არ შეტოკებია, მხოლოდ ჩვეულებრივზე გაფითრებული მეჩვენა, მძღოლმა მანქანა ექიმბაშის ეზოს წინ რომ დაამუხრუჭა, გენადიმ ყველას გვთხოვა, მანქანიდან გადმოვსულიყავით, მათ შორის მეც, მიუხედავად იმისა, რომ

კბილებამდე შეიარაღებულ ბანდიტებთან შეხვედრა კარგს არაფერს გვიქადდა, ჩემში შიშის გრძნობას პატივმოყვარეობამ სძლია და მანქანაში დავრჩი, გენადიმ მანქანა მიაბრუნა და იმ ოჯახის კარებს მიაყენა, სადაც ყაჩაღები იყვნენ. თურმე აკაზაკებსაც შეეუმჩნევიერთ და ჩვენდა საბედნიეროდ იქაურობას გასცლოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა დაძაბულობამ განელო, გენადის ვეკითხები: „ჩვენ, ორი უიარაღო კაცი შეეძლებდით კი ამ კბილებამდე შეიარაღებულ ბანდიტებთან გამკლავებას? რაღა დაგიმალო და შენი გმირობა, მატროსოვის გმირობის ქართულ ვარიანტს უფრო მაგონებს — მეოქი“. არ ღიმეთანხმა: „ისინიც ადამიანები, ჩვენი შვილები არიან, დარწმუნებული ვარ მათთან საუბარი და შეგონება უფრო მეტ სასიკეთოს მოიტანს, ვიდრე თოფ-იარაღით „დიალოგიო“. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ის ახალგაზრდები ნებით ჩაბარებიან ხელისუფლების ორგანოებს.

ზემოთ ვთქვი, ბატონი გენადი არავისგან არაფერს ითხოვდა, თვითონ კი ყველაფერს გასცემდა, სიცოცხლესაც კიმეთქი, ამის დასტურად მის ბოლო დღეებსაც გავიხსენებ. ბევრი თქვენთაგანი იცნობთ ალბათ კარგ დასტაქარს და დიდებულ მამულიშვილს თემურ მახარაძეს. მისი თაოსნობითა და ინიციატივით მაღალკვალიფიციურ გერმანელ სპეციალისტებთან მოხერხდა აუდენცია. გენადი გ'ულდასმით გასინჯეს, 'ანალი'ზებს გაეცნენ და დაასკვნეს, სასწრაფოდ წაგვეყვანა გერმანიაში სამკურნალოდ. გავიხარეთ. ოპტიმიზმის საფუძველს გერმანელი სპეციალისტების აღიარებული ავტორიტეტი გვინერგავდა. გადაწყდა წასვლა. სამინისტროც მ'სად აღმოჩნდა — სამკურნალო სახსრებიც გამოინახა, მაგრამ გენადიმ ისევ ვერ მოიცალა და თავის თავს უნებურად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ასეთ კაცზე იტყვიან, აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესო“.

რეგიონში სიმშვიდის დამკვიდრებაში, მართლაც დიდი წელილი მიუძღვის გენადი გიორგაძეს. იგი იყო გამორჩეული, როგორც ადამიანი, პროფესიონალი, პატრიოტი მეგობარი, რომლის სახელი ყოველთვის იყო შენიშვნებული სხვა პირად ღირსებებთან.

დიდი ილია ბრძანებდა: კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო. თავისი განვლილი გზით გენადი გიორგაძე ამართლებს ამ სიტყვებს მას აქვს ორი სახელი — ერთი აქ დატოვა და მეორე იქ წაიყოლა.

მარადიული სიბნელით მოცული სამყარო, კიდევ ერთი სანთლის ალმა შეაბარბაცა.

ეს სანთელი გენადი გიორგაძის სახელს აუნთეს.

მძიმე, რთული, კრიმინოგენური ეითარების პერიოდში, როცა ოზურგეთის მოსახლეობა დაუცველი აღმოჩნდა, ერთგულ დარაჯად შენ მოეელინე.

თავისუფალი ცხოერება – იარაღში გაცვალე.

სიმშვიდე – მშფოთვარებაში.

ჯანმრთელობა – სამმართველოში.

ფართო გზას – ბეწვის ხიდი ამჯობინე.

შენ ის კაცი იყავი გენადი გიორგაძე, ოზურგეთის სიმშვიდეს სანთელს, რომ უნთებდი, მაშინ როცა, თავზე სიკვდილის აჩრდილი გადგა და, მზაკვრული ღიმილით ამ სანთელს სულს უბერავდა.

სამაგიეროდ სილამაზის, ვაჟკაცობის, რაინდობის ღმერთმა მოგძებნა და თავად აუნთო სანთელი, შენი სულის მოფარფატე მტრედებს.

ამ ქვეყნიდან ვის რა წაუღია საგზლად, სახელის გარდა,

ამ სახელს სიყვარული ან სიძულვილი ჰქვია.

თქვენ კი უზომო სევდა და უზომო სიყვარული მიგაცილებთ ამ გზაზე.

ზღვა სიყვარული, ზღვა ცრემლების ფასად დაგიბრუნდათ უკან.

ეს სიყვარული ციყი სამარის კედლებს გაგითბობთ.

P.S. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გენადი გიორგაძის მეუღლემ ქალბატონმა რუსუდანმა, ვერ გადალახა ის წინააღმდეგობა, გამოწვეული ეკონომიური თუ სოციალური კრიზისით, რაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დაუგროვდა. მართალია ბევრი გააკეთა შვილების სწორ გზაზე დაყენებისათვის, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. რასაც ძალიან განიცდიდა. მძიმე სატარებელი გახდა მარტოობის უღელი... და სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა, მეუღლემ იმ კაცისა, ვისზეც ლეგენდები დადიოდა, ვინაც საკუთარი სიცოცხლე, სხვისი ოჯახების მშვიდად ცხოვრებას, სხვისი შვილების კეთილდღეობას შესწირა.

დღეს, როცა ქვეყნის მთლიანობისათვის თუ დამნაშავეობასთან ბრძოლაში დაღუპულის ბევრი ოჯახი უკიდურეს გასაჭირს განიცდის, იქნებ მათზე დაწერილ ამ წიგნში დაგროვილმა მამაცობამ, სევდამ და მონატრებამ დააფიქროს და გაიღონ, თუნდაც, მცირე გულმოწყალება, თანადგომა და თანაგრძნობა მათი ოჯახების მიმართ, ვისაც ეს ხელეწიფებათ.

„ბიო, ჩემი ფილი საძმო შენთვის დამილოცნიაო“

თენგიზ ცინცაძე

კაცობრიობა ვერ ახერხებს თავი დააღწიოს მოჯადოებულ ცარცის წრეს, სადაც დაუნდობლად, ერთმანეთის პირისპირ მდგარი სიკეთე და ბოროტება, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებიან ერთმანეთს. არაერთი რაინდის სიცოცხლე დაიფერფლა ასეთ ბრძოლებში. აქ, ამ ცოდვილ მიწაზე დარჩენილ ახლობელთა თვალებში, განურჩევლობის დარდიანი ნისლი ჩამდგარა. თუ საკუთარ თავზე არ გამოგიცდია საყვარელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი, ძნელია იყო სხვისი დარდისა და მწუხარების თანაზიარი. როგორც ბედნიერება აახლოებს ადამიანებს ერთმანეთთან, უბედურებასაც ასე სცოდნია. რა საჭიროა სიტყვები, როცა ისედაც ცხადია ყველაფერი, თუმცა გაზიარებული დარდი მწუხარებას მცირედით მაინც ამსუბუქებს.

17 ცრემლიანი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თენგიზ ცინცაძის ლამაზი სული მარადიული სასუფევლის ბინადარი გახდა. სხვანაირი იყო და სხვანაირად წავიდა ამ წუთისოფლიდან. წავიდა და დატოვა უკიდეგანო მწუხარება და მონატრება. ვინ იცის რამდენი ოცნება დარჩა განუხორციელებელი, საკუთარი ოჯახის შექმნაც კი ვერ მოასწრო, თუმცა მან შვილივით გაზარდა თავისი ძმისშვილი გიორგი ცინცაძე.

თენგიზ გივის-ძე ცინცაძე დაიბადა 1948 წელს, ლანჩხუთის რაიონში. ამავე რაიონის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად მოიხადა სამხედრო – სავალდებულო სამსახური. დემობილიზაციის შემდეგ, მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად. მუშაობის პერიოდშივე მიიღო იურიდიული განათლება. წლებთან ერთად, მოდიოდა პოლიციის მუშაკისათვის დამახასიათებელი სიბრძნე და პროფესიონალიზმი. მინიჭებული ჰქონდა პოლიციის მაიორის წოდება. სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილებას. დაიღუპა 1992 წლის 18 მარტს, ერთ-ერთი გამოძახების დროს. დანაშაულის ადგილზე მისვლისას,

სასიკვდილოდ დაიჭრა ბოროტმოქმედის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით.

ნაწყვეტი, 1992 წლის 18 აპრილის, გაზეთ „ლანჩხუთის მოამბეში“ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრის, პოლიციის მაიორ ლალი ლომაძის წერილიდან: „ჩემს ქუჩაზე დალიე სული და ჩვენი მეგობრებიდან ყველაზე გვიან მე გაიგე შენი დაღუპვა. გულს სულ ის მიშსამავს, რომ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე სახლში მომაკითხე და გამაფრთხილე. მომმართე ისე, რიგორც იცოდი: „ლომაძე მოერიდე შენს მეზობლებს; შემდეგ ამნისტიაზე მელაპარაკე, ნახე რამდენ უბედურებას მოიტანსო. წუხდი, არ მოგწონდა. არადა, მართლაც რა მოსაწონია კიდევ ერთი ექსპერიმენტი სიმშვიდისა და სიცოცხლის ხარჯზე.

ბევრი კითხულობს თენგიზ ცინცაძეს იარაღი რატომ არ ჰქონდაო, რატომ შეეშალაო. არაფერი შეშლია თენგიზს, ვინც იცნობდა ყველა დამეთანხმება, რომ იარაღს იშვიათად იღებდა, ასე ამბობდა – ვის უნდა ვესროლოო. გესმით? ვის უნდა ვესროლოო!!!

სიკვდილს გავურბივართ, ვემალებით და მაინც, ქვეცნობიერად, ადამიანები მთელი არსებით მივილტვით მისკენ. ასე დაგემართა შენც, სხვანაირად ამის ახსნა ძნელი იქნებოდა. 44 წლის, მძიმე წონის, უიარაღო კაცი ფეხდაფეხ მისდევდა, ტანითა და ჭკუით მჩატე იარაღიან არაკაცს.

შენი სიკვდილის უშუალო მოწმე ჩვენი მეგობრები ამბობენ, არც დაუკვნესია, უკანასკნელად ასე თქვა: „მანქანა რაღად მინდა, მომკლა უკვეო“. ასეთი იყავი ყოველთვის, არ გიყვარდა საკუთარი ტკივილის გამხელა.

შენი დაღუპვის ამბავი, რომ გაიგო, შენს ძმისშვილს გიას უთქვამს, ჩემი კაცობა უკვე დამთავრდაო. ღმერთმა ნუ ქნას! დამთავრდა კი არა, აწი უნდა დაიწყოს, შენს სახელზე იხაროს და გამრავლდეს. ამქვეყნად, მასზე მეტად არავინ გიყვარდა, თანატოლებივით მეგობრობდით. ამიტომ უჭირს ალბათ ასე ძალიან.

ჩვეულებრივი მოკვდავები არ დაეუჯილდოებივართ ღმერთს მარადიულობით: შენსა და ამ ქვეყნად დარჩენილ თითოეულ ჩვენთაგანს შორის, განსხვავება ალბათ დროშია, ზოგი თენგიზ ცინცაძესავით ადრე დატოვებს ამ წუთისოფელს, ზოგი კი ხანგრძლივი დროით შემორჩება. აკი ამბობს ხალხური სიბრძნე: „და ბოლოს დრო გაიელის და დარდ გაიერების თავადა“. შამწუხაროდ ეს ჭეშმარიტებაა. მე არ ვიცი რა იქნება ხვალ, ზეგ და უფრო შორეულ მომავალში, მაგრამ დღეს ნამდვილად ძალიან მაკლიხარ, ვწუხვარ და კიდევ იცი, რა? უშენოდ მეშინია“.

თენგიზ ცინცაძის უახლოესი მეგობარი – აეთანდილ ჟღენტი იგონებს:

„თენგიზი საუკეთესოთა შორის საუკეთესო, უდიდესი აუტორიტეტის მქონე თანამშრომელი იყო. პირველი დარტყმა მაშინ მიიღო ლენინხუთის პოლიციამ, როდესაც თენგიზი დაიღუპა. ყველა ერთსმად აღიარებდა, რომ განეოყოილების ხერხემალი გადაუტეხეს.

ბევრჯერ ნახადა სიკვდილს თვალებში. ბევრჯერ დაინდო ბედმაც. განგებაც თითქოს ეაუკაცობას უმოწმებსო და არც თვითონ იხვდა უკან, ყველა გამოწვევას საკუთარ თავზე იღებდა და, ეროხელაც... გატეხდა კოკა და დაიღვარა... კიდევ ერთი ლამაზი სულის, ლამაზი იდეების, სიმართლისათვის მებრძოლი ბიჭის სისხლი, თვალები ღმერთმა დაუხუჭა და თავზე უკვდავება დაადგა“.

მისი რძლის ქალბატონ ციცინო უგრესელიძის საოცრად გულწრფელი და ცრემლიანი სტრიქონები:

„იგი იყო ძალიან გაწონასწორებული, ყველაფერი თავისი ძმისშვილისათვის უნდოდა. სახლ-კარიც მას დაუტოვა. გია იყო მისი საფიცარი. ფაქტიურად მარტო მიწევდა ბრძოლა სიმართლის დასადგენად. თუმცა ყველაფერი გავაკეთეთ, რათა მისი მკვლელი დასჯილიყო. მაშინდელ მინისტრთან რ. გვენცაძესთან ვიყავი. ღღეს ბედნიერი ვარ; რომ თენგიზს მკვლელს არ შერჩა ავკაცობა.

იმ საბედისწერო ღამეს, 18 მარტს, გვიან მოვიდა სახლში. გია მე-11 კლასში იყო. ცვლილი შეანთებინა ბავშვებს და ჩაი დალია. ესოდან რომ გადითოდა დაიბარა, არ დაწვეთ მალე მოვალო. ისე კოსტად იყო ჩაცმული ძმამ უთხრა, ცოლის მოვანას ხომ არ აპირებო. ჭიშკარი, რომ გაალო. უცხო ფრინველმა ბუმ გადაიფრინა – ეს ცუდის მანიშნებელიაო. არ იყო გასული 15-20 წუთი, ძმამ სროლის ხმა გაიგონა. რატომღაც ეს სროლა ცუდად გვენიშნა. დაახლოებით 10 წუთში ორი მესობელი შემოვიდა, გია იკითხეს და ტრაგიკული ამბავი მოიტანეს. ამ დროს მოასვენეს თენგიზი. რომ წარმოვიდგენ ყველაფერს, არ მაქვს სიბრალული მკვლელის მიმართ, სასამართლო პროცესი, რომ დამთავრდა, მკვლელს გამოუტანეს დახვრეტა.

თითქოს გული უგრძნობდა მოახლოებულ უბედურებას, დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე, როცა თაეის საყვარელ ძმისშვილს, გიას ეფერებოდა, ნაღვლიანად უთქვამს: „გიო, ნემი წილი საძმო, შენთვის დამილოცნიაო“. რა იცოდნენ ახლობლებმა, რომ ეს სიტყვები თენგიზს ავმა წინათგრძნობამ ათქმევინა და თვითონ გაუსარებელმა, ფუძე საყვარელ ძმისშვილს დაულოცა.

პატარა გიორგიც ცდილობს ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა არ შეარცხვინოს მისი გამზრდელი ბიძის სახელი“.

კითხულობ თენგიზ ცინცაძის ხანმოკლე ბიოგრაფიას და არ შეიძლება უნებლიედ თვალები ცრემლით არ აეევსოს. რისთვის გაიმეტეს ასე ულვთოდ 44 წლის ვაჟკაცი, რომელიც ქვეყნად სიცოცხლისა და სიყვარულისთვის იყო მოვლენილი. ვის აქვს უფლება ამქვეყნად ადამიანს წაართვას ღვთითბოძებული ყველაზე დიდი ჯილდო – სიცოცხლე? არავის, გარდა თავ'ხვნელადებულ ბოროტმოქმედებისა, რომლებმაც ეს უფლება სატანის ნაგონებით თავიანთ თავს თვითონვე მიანიჭეს.

თენგი'ხის დალუპვა აუნა'ხლა'ურებელი დანაკლისი იყო არამარტო ლანინ'ეთის შინაგან საქმეთა განყოფილებისათვის, არამედ მისი ოჯახისთვისაც, რომლის წევრებმაც იმედი და მომავლის რწმენა დაკარგეს.

თავსდატეხილ უბედურებას მშობლების ნაიარევმა გულმა ველარ გა'ძლო და მალე, მათი ტანჯული სული, იმქვეყნიურ სასუფეველ'ში საყვარელ შვილთან შესახვედრად გაემგ'ზავრა. ეს უბედურება მხოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედია არ გახლავთ, იგი ჩვენი მრავალჭირნახული ქვეყნის ტრაგედიაც არის, რადგანაც თითოეული ახალგა'ზრდა ვაჟკაცის დალუპვა საქართველოს მომავალი ნათელი გ'ზისათვის დაკლებულ ერთი სხივია. წლები მიდიან, მაგრამ თენგი'ზის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და დარდი კვლავ ჩვენი ცხოვრების თანა'ზიარია და ასე იქნება მანამ, ვიდრე ცოცხლები ვიქნებით. მუდამ გვემახსოვრება ჩვენი ალალი, მოსიყვარულე და ფაქი'ხი სულის მეგობარი. ღმერთს ეთხოვ, იმქვეყნად მაინც, ნუ დაჰმადლის მას იმ ბედნიერებას, რომელსაც ამქვეყნად ვერ მოესწრო. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

თენგი'ს ცინცაძის მეგობარი, აბესალომ ხვიჩია „ი იგონებს:

„ – ძალიან ძნელია იყო ბედნიერი და ამავე დროს უბედური. ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა მეოლოდა ისეთი მეგობარი, როგორიც თენგი'ხი იყო. უბედური ვარ, რომ უკვე 17 წელია მენატრება მისი მსიარული სახე, მეგობრული თანადგომა. სიყრმის წლები ერთად გავატარეთ. იმ საბედისწ'ერო დამესაც ერთად ვიყავით. თენგი'ხი ყველას უყვარდა და აფასებდა. მას წინ დიდი მომავალი ელოდა, როგორც გამორჩეულ პროფესიონალს. გმირულად იბრძოდა სამაჩაბლო'ში. იქ, იმ ქარცეცხლიან დღეებს გადაურჩა და აქ „მოძმის“ მიერ გასროლილი ტყვიის მსხვერპლი გახდა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

მის საფლავ'ზე არასოდეს ჭკნება ყვავილები. მეგობრებს ტრადიციად გვაქვს არამარტო მის დაბადების დღე'ზე, სხვა დღესასწა'ულებ'ზეც – ერთად მოვიყაროთ თავი და გ'ული ვიჯეროთ მოგონებებით. ამბობენ, თითქოს დრო, ყველაფრის მკურნალიაო. მაგრამ საყვარელი მეგობრის დაკარგვით გამოწვეული

იარა არასოდეს შეშლება თურმე. შშეიდად იძინე ნემო თენგიზ. ჩვენ ერთმანეთისაგან ვისწავლეთ მეგობრობა და გპირდები, არასოდეს დაგივიწყებთ...“

ისმენ და კითხულობ ამ სიტყვებს და ძნელია ეჭვი შეიტანო მათ გულწრფელობაში. ცრემლთან და ტკივილთან ერთად, გეუფლება სიამაყის გრძნობაც, სიამაყისა ადამიანის ლამაზად განვლილი სიცოცხლის გამო. სამშობლოსათვის თავშეწირულ რაინდთა სიცოცხლე ხომ უკვდავია და მარადიულობას ნახიარები.

მე ამას შევძლებ, გეფიცები მამა

ტარიელ ხოფერია

ბრძოლა, სიკეთესა და ბოროტებას შორის, დაუნდობლად მიმდინარეობს. ხოგჯერ ხეიმობს სატანური ძალა და ულვთოდ იწირებიან ახალგაზრდები. განა რა აქვთ გასაყოფი ამ ცოდვილ მიწაზე, ჩვენ ხომ ყველანი უფლის შვილები ვართ, ამ ქვეყნად სისარულისა და სიყვარულისათვის მოვლენილები. კაცისმკვლელს, ამქვეყნიურ სასჯელზე უფრო, უფლის სამსჯავროზე გამოტანილი მკაცრი განაჩენისა უნდა ეშინოდეს.

ბოროტმოქმედისათვის წინააღმდეგობის არგაწევა, ქრისტიანული საქციელი არ არის. ადამიანმა ყოველთვის უნდა ითმინოს საკუთარი წყენა, მაგრამ როცა სხვის მიმართ სსადიან ბოროტებას ან შეურაცხყოფას, თანადგომა უნდა აღმოუჩინოს. ეს მისი უსენაესი მოვალეობაა. ამ პრინციპით იცოცხლა და იცხოვრა ტარიელ ხოფერიამ, რომელიც არაკაცების ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა.

ტარიელ ხოფერიას მეუღლე მაგული ჩხაიძე იგონებს: „ტარიელი დიდი ნებისყოფის და მტკიცე ხასიათის პიროვნება იყო. შიში რა იყო არ იცოდა, ტყვია ვერაფერს დამაკლებსო, იტყოდა ხოლმე. დიდი, კეთილი გული ჰქონდა. უზომოდ უყვარდა თავისი ოჯახი, შვილები, იყო მზრუნველი მამა და მეუღლე. როცა რამე უხაროდა, მის თვალებში სიხარულის ნაპერწკლები იწყებდნენ ციმციმს. ამ დროს ძალიან ლამაზი და მომხიბლავი გახდათ. ჰყავდა უამრავი მეგობარი, რომელთა სიყვარულს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. განსაკუთრებით

სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ. მხოლოდ მისი მეგობრებიდან ვგებულობდი, თუ როგორ კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. თითქმის 17 წელი გავიდა რაც ტარიელის სული მარადიული სასუფეველის მკვიდრი გახდა. დრო ვერაფერს აკლებს გულს დამწნეულ იარას, ცრემლი და ნაღველია ჩემი ცხოვრების მეგზური, ერთადერთი ნუგეში დამრჩენია, რომ ჩემი შვილები, სიძე, შვილიშვილი, ტარიელის სეხნია, პატარა ტატო, რომელსაც ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს ვანაცვალებ, საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად რომ გაეზარდო. ხოლო ტარიელის ხსოვნა უკვდავია, მე დღესაც მისი სულის სითბოთი ვცხოვრობ".

ტარიელ ალექსანდრეს-ძე ხოფერია დაიბადა 1953 წლის 29 ივნისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ეწერში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიკეთით და კაცთმოყვარეობით. იყო ბეჯითი მოსწავლე, უყვარდა წიგნების კითხვა, ჰყავდა უამრავი მეგობარი, სიყვარულს უანგაროდ აფრქვევდა მოყვასის მიმართ და პატივისცემას იხვეჭდა. ორი წელი დაჰყო სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ, სწავლა გააგრძელა ქ. კუიბიშევის (ახლანდელი სამარა) სარკინიგზო-საინჟინრო ინსტიტუტში. პარალელურად სწავლობდა მილიციის უმაღლეს სკოლაში.

სწავლის დამთავრების შემდეგ, ტარიელ ხოფერია კვლავ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. ახალგაზრდა ჭაბუკის წინ ცხოვრების ფართო ასპარეზი გადაიშალა და ისიც ამაყად მსარგაშლილი გაჰყვა წუთისოფლის ნარეკლიან ბილიკს. ადრე თუ გვიან, ყველა ოცნება სრულდება ხოლმე და ტარიელმაც აისრულა ბავშვობის ოცნება, – მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შს რაიონულ განყოფილებაში, სადაც საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით მალე მოიხვეჭა ავტორიტეტი. მონაწილეობას ღებულობდა განყოფილების მიერ დაგეგმილ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში, რთულ საბრძოლო ვითარებაში ავლენდა პოლიციელისათვის დამახასიათებელ ისეთ თვისებებს, როგორიცაა გამბედაობა და ვაჟკაცობა. მისი გარჯა და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მინიჭებული ჰქონდა პოლიციის კაპიტნის წოდება. 1991 წლის ივნისში დააწინაურეს ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უბნის უფროს ინსპექტორის თანამდებობაზე. მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებული იყო მილიციის ფრიადოსნისა და შს ორგანოებში უმწიკვლო სამსახურისათვის სამკერდე ნიშნებით. იბრძოდა სამშობლოს მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში. სამაჩაბლოში მტრის ტყვიას გადაურჩა და...

საკმაოდ რთულ დროს მოუწია მოღვაწეობა. ეს პერიოდი მძიმე იყო, როგორც მთელი საქართველოსათვის, ასევე ლანჩხუთის რაიონისათვის – შეიარაღებული ბოროტმოქმედები და სხვადასხვა ჯურის ბანდფორმირებები მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდნენ. ერიოზული საფრთხე შეექმნა საზოგადოებრივ წესრიგს და სტაბილურობას. პოლიციელები ოპერაციას ოპერაციაზე გეგმავდნენ, დაუნდობლად ებრძოდნენ კბილებამდე შეიარაღებულ ყაჩაღებს. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს, 1992 წლის 16 ივნისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში, შეიარაღებულ ბოროტმოქმედ ნაძირალების მიერ გასროლილმა ტყვიამ ჩააქრო მამაცი პოლიციის კაპიტნის, მომავალ'ხე მეოცნებე, 39 წლის ვაუკაცის სიცოცხლე.

ტარიელ ხოფერიას დარჩა ოჯახი: მეუღლე, შვილები ნინო და ირინა. მისი უფროსი ქალიშვილი ნინო იგონებს: "1992 წლის 16 ივნისი, ჩემს ცხოვრება'ში საშინელ ტკივილად დარჩა. 8 წლის ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა და ჩვენ ცხოვრებას გაურკვეველი ბინდი გადაეფარა. ეს ტრაგედია აუნა'ხლაურებელი იყო ჩვენი ოჯახისათვის. მე და ჩემს დას, მონატრების მძაფრი სურვილი, დღესაც გვტანჯავს. ხანდახან ვფიქრობ, ისეთი ძალა მომცა, მის სულს ერთი წუთით მაინც ჩაეკრა, რომ მამისეული სითბო კიდევ ერთხელ შევიგრძნო. აგრამ ამაოა ჩემი ოცნება. რაც' იყო ის ხომ არასოდეს განმეორდება. მამა იყო ჩემთვის ძმაც და მეგობარიც. მე უკვე ერთი წლის 'ვილი მყავს, რომელიც ბაბ'უას მოსახელეა. ტარიელი /ტატო/ ისეთივე სახელოვან ვაუკაცად გაიზრდება, როგორიც მისი ბაბუა იყო, მე ამას შევძლებ, გეფიცები მამა".

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ტარიელ ხოფერიას ოჯახის წევრები, სიძე –გიორგი გიგინეიშვილი, რომელიც ერთი პერიოდი ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად მუშაობდა, არასოდეს შეარცხვენენ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაუკაცის სახეს, რაც ყველაზე დიდი გამარჯვება იქნება იმქვეყნიურ სასუფეველში დამკვიდრებული საყვარელი ადამიანის ნათელი სულისა.

ნუგზარ ტყემალაძე

არა, ტყეიას ნამდვილად არ ელოდა. ავაზაკმა არ დაინდო, ესროლა მოულოდნელად, ვერაგულად.

– ვინ აღმართა შენზე ხელი ნუგზარ! თავად იცავდი სხვების სიცოცხლეს, სხვებს უფრთხილდებოდი, საკუთარი სიცოცხლე კი ვერ დაიცავი...

ბოლო წუთამდე არ არსებობდა ნუგზარ ტყემალაძისათვის მარტივი და რთული საქმე. საფრთხე არაერთხელ დამუქრებია მის სიცოცხლეს, მაგრამ მან არ იცოდა რა იყო შიში. ყოველთვის ჯიქურ, პირდაპირ უძღვებოდა საქმეს. იმ კრიტიკულ მომენტშიც მან გაითავისა თავისი ნაბიჯების აუცილებლობა და უკან არ დაუხევია.

ნუგზარ რევაზის-ძე ტყემალაძე დაიბადა 1957 წლის 23 ოქტომბერს, ოსურგეთის რაიონის სოფელ ოსურგეთში. ოსურგეთის № 1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, გაიწვიეს სამხედრო – საგალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ, მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში. ჯერ მუშაობდა ქ. ობილისის ეაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, რიგით პოლიციელად. შემდეგ გადადის ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში და მუშაობას იწყებს საპატრულო-საგუშაგო სამსახურში. საიდანაც მალე დააწინაურეს ამავე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ყოფილი შტაბის უფროსი თადარიგის ვიცე – პოლკოვნიკი გიორგი ენუქიძე იგონებს: „ნუგზარი, გარდა იმისა, რომ სულით და ხორცით პოლიციელი იყო, უაღრესად კეთილშობილი ადამიანი გახლდათ. იგი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ამჟღავნებდა არა მარტო თანამშრომლებთან, არამედ ყველა ადამიანის მიმართ. უამრავი ფაქტიდან მხოლოდ ორს გავიხსენებდი:

1985 წელს დიდი თოვლი მოვიდა ოსურგეთში. მთელი მოსახლეობა გარეთ იყო გამოსული თოვლის სიმძიმით ჩაზნექილი სახლის სახურავიდან თოვლის ჩამოსათოვლად. მე და ნუგზარი ჩემს სახლს ეთოლავედით. ამ დროს, გამოიარა ღრმად მოხუცმა

სერგო ლაბაძემ, რომელიც დროებით ბარაკის ტიპის ბინაში ცხოვრობდა. მან ხუმრობით დაუძახა ნუგზარს: „თქვენ კი თოლავთ თქვენს სახლებს, მაგრამ მე რა მეშველება ჭიათურიდან რომ დაებრუნდები, ჩემი ქოხი დანგრეული დამხვდებაო“. ნუგზარმა უპასუხა: „სერგო ბიძია, თქვენ ნურაფერზე ნუ იჯავრებთ, ღღეში ორჯერ დაგოოლავ შენს ბინასო“. მართლაც ასე მოხდა, არასოდეს დამავიწყდება მადლიერი მოხუცის თვალზე მომდგარი ცრემლები“.

ნუგზარი უშიშარი და თავდაუზოგავი იყო ბოროტმოქმედებთან ბრძოლაში.

1990 წლის 29 აგვისტოს, მილიციას აცნობეს, ბოხვაურში უცნობ პირთა რაღაც საეჭვო მოძრაობაა და დაუყოვნებლივ გაიგზავნა ჯგუფი.

ნუგზარ ტყემალაძემ, წითელი ფერის მსუბუქ ავტომანქანას მიაქცია ყურადღება. „მგონი ბავშვიანი ქალი ზის შიგ, საეჭვო არ ჩანსო“. –აზრი გამოთქვა მილიციის ერთ ერთმა მუშაკმა. არ დაცხრა ნუგზარი. აშკარა იყო, რომ თვითნაკეთი ნომრები ებნია მანქანას. წინ გადაუდგნენ, გაჩერების ნიშანი მისცეს. თანდათან უკან დაიხია საეჭვო ავტომანქანამ. ნუგზარ ტყემალაძე და მერაბ სალუქვაძე დაედევნენ. ნუგზარმა გაფრთხილების ნიშნად გაისროლა და ავტომანქანიდან, რომელიც ნეულებრივი თვალისათვის თითქმის საეჭვო არ იყო, ხელყუმბარა ისროლეს. აფეთქების შედეგად დაიჭრა ნუგზარ ტყემალაძე, ავტომანქანა მიიმალა. ნუგზარმა 58 ადგილსე მიიღო სხეულის დაზიანება, მაგრამ მაინც შეძლო ბოროტმოქმედის დაკავება. მაშინ კი გადარჩა, მაგრამ... ეჰ, მუხთალია წუთისოფელი.

1992 წლის 13 დეკემბერს, ნუგზარ ტყემალაძეს თავის თანამშრომლებთან ერთად, მორიგი ოპერატიული გამოძახების დროს, ოზურგეთის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან შეტაკება მოუხდა ავტომატური იარაღებით შეიარაღებულ ჯგუფთან. შეტაკების დროს ნუგზარი დაიღუპა, რამდენიმე თანამშრომელმა კი, ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო.

თითქოს· ელოდა, თითქოს გრძნობდა ბედისწერის განაჩენს და ცდილობდა მოესწრო ყველაფერი, ყველასთვის გაენაწილებინა სითბო და სიყვარული, კაცური კაცის სახელი დაეტოვებინა.

...იყო წინააღმდეგობებით აღსავსე წლები, სიძნელეები, ფიქრი, განსჯა. მომაელის რწმენა გახლდათ მისი მეგზური. მასთან ერთად ნებისმიერ რთულ ოპერაციაზე წაივიდოდა კაცი. ის ყოველთვის წინ მიიწევდა. მეგობარს არასოდეს უღალატებდა. არც მათგან ელოდა ღალატს თუმცა, ზოგჯერ არ მოსწონდა ზოგიერთი კოლეგის პოზიცია. ვინ იცის, რამდენი ადამიანის

სიცოცხლე უხსნია... თავი ვერ დაიცვა ბოროტმოქმედისაგან. გასაგებია, რადგან თავის დასაცავად უკან დადგომა არ შეეძლო. პირდაპირი და მართლის მთქმელი იყო. ამასვე მოითხოვდა მეგობრებისაგან. ადამიანის გაჭირვებაში მიტოვება არ იცოდა. მტკიცნეულად განიცდიდა ყოველი არაკაცის მოქმედებას. სწორედ მასთან ბრძოლას შეალია 13 წელი. მთელი ამ ხნის მანძილზე სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია. მისი ერთგულება, საქმისადმი სიყვარული, ოპერატიულობა და გამბედაობა, არაერთხელ აღინიშნა სხვადასხვა ჯილდოებით.

იგი შიშის ზარს სცემდა დამნაშაეეთა სამყაროს. საზოგადოების თვალში იმდენად დიდი იყო მისი ავტორიტეტი, რომ პოლიციაში მისული მოქალაქე, ყოველთვის ცდილობდა თავისი გასაჭირი ნუგზარისთვის ეთქვა. ძნელია მასზე ყველაფერი უამბო მკითხველს. გააცნო ეს უშიშარი და ხიფათის მაძიებელი კაცი. ამიტომ კიდეე ერთ ეპიზოდს შემოგთავაზებთ, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს მის მიერ განვლილ გზას:

საზარელი მკვლელობის შესახებ ინფორმაცია მთელს რაიონს ელვის სისწრაფით მოედო. ოზურგეთის რაიონის სოფ. ნატანებში, სიცოცხლე მოუსწრაფეს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც რაიონში დასასვენებლად ჩამოვიდა და მომაეალს ტკბილი იმედებით შეჰყურებდა. ნეტა რა დააშავა ისეთი, რომ მკვლელობა არ აკმარეს, გვამი დაანაწევრეს და მერე დაწვეს. საზარელი მკვლელობის საქმის გახსნას, უშუალოდ ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გიეი კვანტალიანი. სწორედ ნუგზარის მიერ მიღებული გადამოწმებული ინფორმაციის შედეგად იქნა დადგენილი, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო დაზარალებულის გერის, ვინმე გვარად ტკაჩენკოს მიერ. რომელმაც როგორც შემდეგ გაირკვა, მკვლელობის მეორე დღეს, მოახერხა უკრაინაში გაფრენა. გ. კვანტალიანის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ი. ტკაჩენკოს დადგენა-დაკავების მიზნით ნ. ტყემალაძისა და ზ. გულბიანის ქ. ოდესაში მიყვანილების თაობაზე. ადგილობრივი მუშაკების მიერ გაწეული დახმარების შედეგად, შესაძლებელი გახდა მკვლელისა და დაზარალებულის მეუღლის დაკავება. გაირკვა, რომ გერის დედაც ღებულობდა მონაწილეობას აღნიშნული მკვლელობის ჩადენაში. ორივე ბოროტმოქმედი ჩამოიყვანეს ბათუმში თვითმფრინავით, სადაც მათ დახვედათ შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე გ. კვანტალიანი და ოზურგეთის რაიონის პოლიციის უფროსი ი.სიორიძე.

ნუგზარს მარტოობა თავიდანვე ეზარებოდა, ყოველთვის ვიღაც ახლდა. რაღაც საოცარი ნიჭი ჰქონდა მეგობრების შეკრების, გაცნობისა და შეკავშირებისა. თითქოს ხარობდა, როცა ბიჭები ერთ-

მანეთს უახლოედებოდნენ. ერთმანეთს ეთვისებოდნენ... ის იყო მეგობრობის ბურჯიც, დულაბიც, სათაეეც, სულიცა და გულიც. მეგობრობა იყო მისთვის უდიდესი სიამოვნება. ხალისი და მხიარულება ემატებოდა. ფარული დარდი და ნაღველი სცილდებოდა.

...არავითარი საშიშროების წინაშე უკან არ დაიხევდა. სხვისთვის საშიშსა და მიუღწეველს არ შეეპუებოდა. ზოგჯერ ბეწვის ხიდზე გაევლა ერჩია წყნარ, ყველაფერთან შერიგებულ ცხოვრებას. მისთვის დაბრკოლებათა გადალახვა საიდუმლოს უკეთესად შეცნობის გზა იყო.

შენი გზა კურთხეულია ნუგზარ, რამეთუ ვალმოხდილი ხარ საკუთარი თაეის, საქმისა და ერის წინაშე. მართალია ცხოვრების გაუვლელი გზა დაგრჩა, ვალი გაგყვა შენი ოჯახის, შენი უსაყვარლესი პირმშოებისა, მაგრამ შენი შვილები, შენს მაგალითზე ისწავლიან სამშობლოს სიყვარულს, შრომასა და საქმისადმი ერთგულებას.

ერთი იმედი გვრჩება. ნუგზარის ლამაზი სიცოცხლე გრძელდება მისი ორი ქალიშვილის მაიკოსა და კატიას სახით. ისინი, საკუთარ პირმშოებსაც გაუსრდიან ქვეყანას, უმამოდ ფრთაჩამოყარდნილნი, მაგრამ მაინც ამაყნი იმით, რომ კარგი მამის შთამომავლები არიან. გაიზრდებიან და მამისეული კაცური საზომითა და სიმართლით ივლიან.

სხვათა ჭირვარამის გამზიარებელს, თაეისი ტკივილები არასოდეს მოუხვეეია სხვისთვის. კარგი ქართველი... თუ ვინმეს შეფერებია ეს სიტყვა, ერთი მათგანი ნუგზარ ტყემალაძეც იყო. ჩვენ მასში ყველა იმ თვისებას ვხედავთ, რაც ასე ძალიან გვჭირდება დღეს ყველას, სჭირდება ჩვენს ერს.

ყოველთვის ქებითა და პატივისცემით გიხსენებს ოსურგეთის პოლიციის მთელი კოლექტივი, სადაც წლების განმაელობაში მუშაობდი. როგორ უყვარხარ ბიჭებს, ყველას ვინც შენ გიცნობდა. ყოველთვის უცნაურ და მოულოდნელ ამბებს ვიგებდით შენგან. შენი სიკვდილი დაუჯერებელი გვგონია. მაინც პატარა იმედი გვაქვს, ისევ ძველებურად შეგვეხმიანები, შენი ვაუკაცური ხმით გვკითხავ — როგორ ხართო? როგორ უნდა ვიყოთ, ხშირად ეიკრიბებით ხოლმე, ერთმანეთს უთქმელად ეამხნევებთ, შენ კი გვაფრთხილებ: „აწი მაინც გაეუფრთხილდეთ ერთმანეთს...“

დღეს როცა ასე ძვირი გახდა მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული მიკვირს, საიდან ჰქონდა ნუგზარს ამოდენა სიყვარულის ნიჭი? ალბათ ღმერთმა უწილადა თაეისი გრძნობები. ცხოვრების ქარტეხილებმა ბოლმით კი არ აავსო, პირიქით, ადამიანი შეაყვარა. სიკვდილი სულისა და ხორცის გაყრას ნიშნავსო, იმასაც ნიშნავს,

სული მაღლა ცაში მიილტვის და იქ სახლდებაო, ეარსკვლავების სახით. ისიც მინდა მჯეროდეს, რომ მეგობრები 9 აპრილის, სამაჩაბლოში და აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიების შედეგად დაღუპულთა გვერდით, ნუგზარსაც აუცილებლად მოიგონებენ.

მისი სული კი ისევ ოსურგეთში, თბილისში, სამაჩაბლოში და აფხაზეთში იტრიალებს, იულის, იცოცხლებს...

სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდი

ნუგზარ სეფერთელაძე

„თექვსმეტი წელი გასულა მამა მას შემდეგ, რაც შენს ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს, შენი ხალისიანი სითბო და სიხარული არ გვლირსებია. წლები მიფრინავენ მამა და ლოდიეით გვაწვევს გულზე უშენობა, დღესაც ჩაგვესმის შენი უკანასკნელი სიტყვები: „ჩემო ქეთიო!“ — როგორ გვენატრება შენი ალერსი. 13 წლის დამტო�ე, მაგრამ კარგად მახსოვს შენი მოსიყვარულე გული. როგორ გიყვარდით ჩვენ, გიყვარდა ოჯახი, მეგობრები, ნათესავები. უკვე დიდი ვარ მამა. საკუთარი ოჯახი შეექმენი, შვილიშვილიც გყავს. ეხლა გეჭირდება შენი ვაჟაცური სიმხნევე. ო, რამდენჯერ გინატრეთ! ბევრჯერ ვიგემეთ ობლის ხვედრი. ძნელი ყოფილა უმამობა, გულდაწყვეტილებმა გინატრეთ მამა..! შენ ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებდი, ვიდრე არ შეეძლებდი საკუთარი თავის დაცვას. მაგრამ, გაქრა ჩემი ოცნება, იმედი... შენი ქეთი და პატარა ნიკოლოზი ყოველთვის სიყვარულით მოგიგონებენ ჩვენო ტკბილო და საყვარელო მამიკო. შენი სიკვდილით გულდათუთქულ დედიკოს ჩვენ ვანუგეშებთ მამა. გვეამაყება, რომ ვინც გიცნობდა, დღესაც ყველას უყვარხარ. მამა ის მაინც იცოდე, რომ შენი მეგობარი შოთიკო მჟავანაძის რჩევით, რომელიც რაიონის პოლიციის უფროსად მუშაობდა, აღნიშნულ ორგანოში დაიწყე მუშაობა. მამიკო არ შეგარცხვენ. ასევე იცოდე, რომ არასოდეს წაიშლება შენი ხსოვნა ჩვენს გულებში, რადგან საოცრად ამოუწურავი და უსასრულო ხარ მამა“.

წაეიკითხეთ თუ არა ნუგზარ (ნუკრი) სეფერთელაძის ქალიშვილის ცრემლიანი სტრიქონები, ერთი რამ გვინდა ვუთხრათ ქეთის: –„მამაშენი სიკვდილზე არ ფიქრობდა, არც მისი შიში ჰქონდა. არადა მზაკვარია ის მუხანათი. ფეხდაფეხ დაგდევს და იმ დროს გამოგკრავს სარმას, როდესაც სიცოცხლე სულში ანკარა წყაროსავით წკრიალებს. სიცოცხლეს შეეხაროდა შენი მამიკოც. ან რა ჰქონდა სადარდებელი, მაგრამ... ხომ ცნობილია სიკვდილს ისეთი ავი ისნე სჭირს, ლამაზი და ვაჟკაცი პიროვნება უნდა ამოირჩიოს მრავალთაგან...“

როგორც თანამშრომლები იხსენებენ, ნუკრი საოცარი ადამიანი იყო. მის მომხიბვლელ გარეგნობაში, ღიმილში, იუმორით შეფერილ საუბარში შინაგანი მადლის შუქი იკვეთებოდა. იყო უშიშარი, ერთგული და უღალატო ვაჟკაცი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. იარაღით ხელში იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში. მამაცობისა და თავგანწირვისათვის გამოცხადებული ჰქონდა არაერთი მადლობა.

1998 წლის აგვისტო, ჟურნალისტი ეთერ ქადეიშვილი: „მეგობრებს არც კი გვახსოვდა ნუგზარი რომ ერთქვა, ყველა ნუკრის ვეძახდით. მხოლოდ სიკვდილმა მოგვაგონა მისი ნამდვილი სახელი და მის მიერ განვლილი გზა, რომელიც ორმოც წელიწადში ნაატია. აღარ დასცალდა. მივლინებიდან ორიოდე დღით დაბრუნებული ვეღარ გაუსხლტა ბედისწერას... ეს იყო თავგანწირვა! თითქოს უმნიშვნელო სროლამ იმსხვერპლა. სისხლისგან წვეთწვეთ დაიცალა. სამაჩაბლოსაც ატყვია შენი, კეთილი მისითა ნასული კაცის ნაფეხურები და აფხაზეთსაც. ყველგან გიცავდა მფარველი ანგელოზი. აქ შენს მშობლიურ ოსურგეთში ვეღარ დაგიცვა სატანისაგან.

– მაინც რა მოხდა დეკემბრის იმ საბედისწერო დღეს?

– ამბობენ: კაცი მაშინ კვდება, როცა მისი სახელის ხსენება ქრებაო... დავდივართ და შენთან ერთად, ხსოვნაში დავატარებთ ძვირფას სახელებს, დასავიწყებლად და დასაკარგავად. რომ ვერ გაგვიმეტებია. კარგისა და ავის საბოლოო განსხვავებაც ამაშია ალბათ...“

1992 წლის 28 დეკემბერს, საღამოს, დაახლოებით 20 საათზე, ოსურგეთის პოლიციის განყოფილებამ მიიღო შეტყობინება, რომ ოსურგეთი – ქობულეთის ავტოტრასაზე, ლიხაურის ჩაის ფაბრიკასთან, შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფი თავს დაესხა მოქალაქეებს და წაართვეს „ვაზ-2105“ მარკის ავტომანქანა.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გავიდა ოპერატიული ჯგუფი რაიონის პოლიციის უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის,

იური სიორიძის ხელმძღვანელობით. ჯგუფში შედიოდნენ ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი ზურაბ გულბიანი, სისხლის სამართლის სამმეაროს ინსპექტორები გიორგი კუკულაძე, აეთანდილ გობრონიძე, ბადრი ჩხაიძე, ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი ნუგზარ (ნუკრი) სეფერთელაძე, უბნის ინსპექტორი ანზორ გიორგაძე და რიგითი გელა დოლიძე.

ოპერატიული ჯგუფი დამნაშავეებს დაეწია ოზურგეთისა და ქობულეთის რაიონის ავტოინსპექციის ქაქუთის საგუშაგოსთან. ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზატორმა, წარსულში მრავალგზის ნასამართლევმა და უკანასკნელად ამინისტიის საფუძველზე გათავისუფლებულმა, სოფელ ლეღვას მცხოვრებმა, ემზარ ანანიძემ, შეიარაღებული (ავტომატითა და ხელყუმბარით) წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს. მას პირველი ეკვეთა და შეებრძოლა პოლიციის უფროსი ი. სიორიძე. რათა გარშემომყოფთა სიცოცხლე ეხსნა, სცადა წაერთმია ბანდიტისთვის ხელყუმბარა. წართმევის მომენტში ხელყუმბარა აფეთქდა. ყველა უგონოდ ეყარა, სისხლში ცურავდნენ. ამ დროს, გაჩერდა თეთრი ჟიგული, რომელსაც მართავდა წარსულში ნასამართლეები ნოდარ ნინიძე. მართალია მას პოლიციასთან არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა, მაგრამ არც დაფიქრებულა, სუყველა ჩასვა ავტომანქანაში და საავადმყოფოში წაიყვანა, ღირსეულად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი. იური საავადმყოფოში მისვლისთანავე გარდაიცვალა. მძიმე ოპერაცია გაუკეთდა გიორგი კუკულაძეს და ზურაბ გულბიანს. ნუკრი სეფერთელაძემ განაცხადა „მე არაფერი მიჭირს ბიჭებს მიხედეთო. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, სისხლისგან იცლებოდა. ე. ანანიძე ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, დანარჩენი ბანდიტები გაიქცნენ.

ეს იყო უდიდესი ტკივილი და ტრაგედია ყველასათვის, ვისთანაც ოდესმე ურთიერთობა ჰქონია ნუგზარს, ორმოცი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში, ძალიან ბევრი თბილი მოგონებები დაიბეჭდა ნუკრი სეფერთელაძის შესახებ პრესის ფურცლებზე. მოგვყავს მცირე ამონაწერი 1999 წლის მაისის თვეში, გაზეთ „პოლიცია და საზოგადოებაში“ გამოქვეყნებული ბიჭიკო მდინარაძის სტატიიდან:

„ნუკრი სეფერთელაძე ყოველთვის ერთგულად იდგა საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე. რაიონის მშრომელებს უყვარდათ, რადგანაც იცნობდნენ, როგორც გულისხმიერ, კეთილსინდისიერ და საქმიან ადამიანს, შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაობის თავისებურებებში კარგად ჩახედულ კვალიფიციურ ახალგაზრდა სპეციალისტს. არ აკლდა პრინციპულობა, მომთხოვნელობა, ამასთან, უსაშველოდ, კეთილშობილი და კაცთმოყვარე იყო. დიდი

და თბილი გული ჰქონდა, ახოვანი გარეგნობისა და ფაქიზი სულის კაცი, მართლაც რომ ქართველი ეაჟკაცის განსახიერება იყო. ამიტომაც, განსაკუთრებით ძნელია გახსენება, რომ შენი ლამაზი სიცოცხლე ასე უდროოდ, მუხანათურად, გარეწარის, აეაზაკის ბინძური ხელით ჩაიფერფლა".

ცრემლიანი და ნაღვლიანია ნუკრის მეუღლის, ქალბატონ ზინულის მოგონება, რომელიც საყვარელი მეუღლისგან ყველაზე ძვირფას დანატოვარს, მისთვის ჯერ კიდევ პატარა ქეთოს და მის პატარას ეფერება და ესათუთება.

„ნუკრი სანიმუშო მეუღლე და მამა იყო. მაგრამ, ყველაფერი ლამაზი სიზმარივით ხანმოკლე აღმოჩნდა. წუთისოფლის სიავემ ჩვენამდეც მოაღწია და ყველაფერი უკუღმა დაატრიალა. შენ წახვედი ნუკრი და ჩვენს გულებში ტკივილმა და უსაშველო მონატრებამ დაისადგურა. ნაადრევად, ძალიან ნაადრევად ვიგრძენით მე და ქეთომ, თუ რა არის ტკივილი და... ამის მიზეზი შენ ხარ, ნუკრი. აღარ ჰყავს ქეთოს მამიკო, რომელიც მასსე ზრუნვაში ათენებდა და აღამებდა, ყველაფერი თუ რამ ლამაზია ამ ქვეყნად, მისთვის უნდოდა. შვილზე საუბარში და ოცნებაში დალიე შენი სიკეთით და ეაჟკაცობით სავსე სული. ვიცი, თან დიდი ტკივილი გაგყვა. ტკივილი იმისა, რომ ასე ნანატრი შვილისათვის თითქმის უცნობი დარჩი. მაგრამ, მე შენს ერთადერთ საფიცარ ქეთოს და შემდგომში პატარა ნიკოლოზს, ძალიან ბევრს მოვუყვები შენს შესახებ ისე, როგორც შენ შეგშვენის და ისინიც ყოველთვის იამაყებენ, რომ ძლიერი და კეთილი მამის და ბაბუის შთამომაელები არიან. ეცოდინებათ ის, რაც ყველაზე მეტად გაამხნევებს. –კაცური კაცის სახელით წახვედი ამქვეყნიდან. თვითონაც ისეთი ლამაზი ოჯახი შექმნა, როგორ'ხედაც შენ ოცნებობდი. ჩვენ შენს იმედებს ქარს არ გავატანთ. ქეთი და მისი ოჯახი არასდროს იცხოვრებს ისე, შენ, რომ გეწყინოს. მას შენ ძალიან, ძალიან უყვარხარ, მაგრამ არ გელოდება. იცის, რომ შენი ლამაზი სული კიდევ არსებობს და გრძნობს ყველაფერს. ქეთი თითქმის ყოველდღე, სანამ სამსახურში წავა, იწერს პირჯვარს და ევედრება უფალს შეიწყალოს მამიკოს სული":

ძნელია მკითხველმა ცრემლი შეიკავოს ამ ტკივილით სავსე სტრიქონების წაკითხვისას. ძნელია მოძებნო ნუგეშის სიტყვა, მწუხარებით გათანგული ზინულის სანუგეშოდ. ერთადერთი ნუგეში ამ ენით აღუწერელი ტკივილის შენეულად მიღება და გულწრფელი ცრემლია მხოლოდ.

მართალია, მხოლოდ 40 წელი იცხოვრა, მაგრამ ცხოვრობდა ლამაზად, შინაარსიანად, შთამბეჭდავად! უსპეტაკესი, უპატიოსნესი იყოო, ამბობენ მის შესახებ.

მოკლე იყო მისი ბიოგრაფია, დაიბადა 1952 წელს, ქ. ოზურგეთში. დაამთავრა მშობლიური რაიონის №2 საშუალო სკოლა, რის შემდეგაც ჩაირიცხა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. შრომითი საქმიანობა ავტომანქანის ტარების მასწავლებლობით დაიწყო. შემდეგ ავტომოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარე იყო. საბოლოო არჩევანი შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სასელმწიფო ავტოინსპექციაში მუშაობაზე შეაჩერა. აქ. მთავრდება ბიოგრაფიული მონაცემები, რომელსაც სიკვდილის შემდეგ დაემატა კიდევ ერთი შტრიხი – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის დაჯილდოვდა „მხედრული მამაცობის“ – მედლით და მიენიჭა პოლიციის მაიორის წოდება.

ღირსეულად შეფასდა შენი გმირული თავგანწირვა, მაგრამ ვაი, რომ ყველა იმ დამსახურებულ აღიარებას ვერ მოესწარი, რომელიც შენი სიკვდილის შემდეგ მოხდა.

დრო ვერაფერს აკლებს საყვარელი ადამიანის მონატრების გრძნობას. დადგება ის დროც, როცა ბაბუას საფლავზე პატარა შვილიშვილი მიბაჯბაჯდება და უმანკო მზერას მიაპყრობს ახალგაზრდა ბაბუას სახეს და იტყვის – „ნათელში იყოს შენი სული ბაბუა!“

დაუნდობელი ბოროტმოქმედის ტყვიის მსხვერპლი გახდა

დავით ციცვიძე

„ნეტავ რა ზნე სჭირს სიკეთილსა, ვერ მისწვდა ჩემი გონება, შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა, რომელიც მოეწონება.“ ჩვენი დიდი წინაპრების ნაიარეული გულიდან ამოთქმული ეს სიტყვები, სასოწარკვეთილი სამდურავია დაუნდობელი სიკეთილის მიმართ, რომელმაც, არავინ უწყის რამდენი ლამაზი ვაჟკაცის სიცოცხლე წარიტაცა ამ ქვეყნიდან – ვაჟკაცებისა, რომლებიც უფლის მიერ, ამ ტიალ წუთისოფველში, სიყვარულისა და სიკეთის მოციქულებად იყვნენ მოელენილნი. ასეთ ჭაბუკთა რიცხვს განეკუთვნებოდა დავით ციცვიძე, ვაჟკაცი აუხდენელი ოცნების სამყაროდან. მას ხშირად „კუკარანად“ მოიხსენიებდნენ. ქართულ ლიტერატურაში გათვითცნობიერებული მკითხველი კარგად იცნობს ამ სახელის მატარებელი პიროვნების დადებით თვისებებს. ვაი, რომ მასაც წინამორბედის ტრაგიკული ბედი ერგო, ვაი, რომ ისიც დაუნდობელი ბოროტმოქმედის ტყვიის მსხვერპლი გახდა.

დავით დავითის-ძე ციცვიძე დაიბადა 1949 წლის 19 იანვარს, ჭიათურის რაიონის სოფ. მანდაეთში. 1966 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. სამხედრო საკალდებულო სახურის მოხდის შემდეგ კი – საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლა. 1974 წლის ნოემბერში, მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში. იყო სამძებროს ინსპექტორი, უფროსი ინსპექტორი, ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილებას, თავი გამოიჩინა როგორც შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერმა და ორგანიზატორული ნიჭის პატრონმა ახალგაზრდამ, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა ხელმძღვანელობისთვის და სულ მალე, ოპერატიულ დარგში პოლიციის უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა სიკვდილამდე.

დავით ციცვიძის, როგორც ოპერატიული მუშაკის თვისებები, ყველაზე მეტად მისი ძებნის ინსპექტორად მუშაობის პერიოდში გამოიკვეთა. ეფიქრობ არავისთვის არ უნდა იყოს საიდუმლო, რომ ძებნაში მომუშავე კაცი ვაჟკაცობასთან და გამბედაობასთან ერ-

თად, ფრთხილი და მოქნილიც უნდა იყოს. ჩანს, დათოში ყველა ეს თვისება ერთად იყო თავმოყრილი. რადგანაც რესპუბლიკის მასშტაბით განყოფილება ძებნის ხასით ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ეს კი, პირველ რიგში, დათოს მონდომების შედეგი გახლდათ. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ერთ წელიწადში 12 საკაეშირო ძებნილი დააკავა. ამ მშრალი რიცხვის უკან საშიში დამნაშავეები იდგნენ, რომლებიც ჩადენილი დანაშაულის შემდეგ მართლმსაჯულებას ემალებოდნენ, და რომელთა დროული დაკავება ახალი დანაშაულის აღკვეთის ტოლფასი იყო. რაც მეტია დამარცხების შესაძლებლობა. მით მეტია სიმამაცე. ვინ იცის, რამდენჯერ შეუგდია დათო ციცვიძეს ბეწვზე საკუთარი სიცოცხლე. მას ხომ ხშირად უწევდა ყოფილი სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხეში თავშეფარებული დამნაშავეების ადგილსამყოფელის დადგენა და შეპყრობა. სელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა. ზუსტად გათელილი ოპერაციის შემდეგ, რამდენიმე დღით, ზოგჯერ თვეობითაც, დაკარგული ძებნის ინსპექტორი, "ნადავლით" გამოჩნდებოდა. ასე იყო მაშინაც, როდესაც ციმბირის ერთ-ერთ რაიონში დაადგინა საკავშირო ძებნაში მყოფი ბოროტმოქმედის ადგილსამყოფელი და ჩამოიყვანა რაიონში. უფრო სწორად, ძებნილი თვითონ გამოცხადდა პოლიციაში დავით ციცვიძის ავტომანქანით. საჭესთან ძებნილი იჯდა. შევიდა თუ არა სამორიგეოში, ყველას გაუკვირდა, ამას აქ რა უნდაო. ძებნილმა მორიგეს აუხსნა, რომ მანქანაში დავითი ისვენებს, მე კი მან დამაკავაო. როგორც შემდეგ გაირკვა, გზაზე რომ მოდიოდნენ, დათოს შეეცოდა ძებნილი, პური აჭამა, გადაღლილი იყო, საჭესთან ცოტას დავისვენებო. ენდო დათო, რადგანაც ძებნილმა უთხრა, შენ რომ არ ყოფილიყავი არ ჩავბარდებოდიო.

სუფსის განყოფილების უფროსი გ. ჟღენტი იგონებს:

„პოლიციის მაიორ, დავით ციცვიძესთან ერთად ემუშაობდი გარკვეული წლების მანძილზე. ის იყო ძალიან პრინციპული, საქმის მცოდნე და გამოცდილი ოპერატიული მუშაკი. უყვარდა ახალბედა თანამშრომლებთან ერთად მუშაობა და მათი აღზრდა. მინდა მისი ცხოვრებიდან გავიხსენო ერთი მეტად მძიმე და გახმაურებული მკვლელობის ამბავი. 1992 წლის 18 მარტს, ერთ-ერთი გამოძახების დროს, დანაშაულის ადგილზე მისვლისას, სასიკვდილოდ დაიჭრა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსი თენგიზ ცინცაძე. მკვლელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დავითი ამ დროს მუშაობდა ძებნის ინსპექტორად. მან ფიცი დადო, რომ სანამ მკვლელს არ ვიპოვნი, განყოფილებაში არ შემოვალო. და მართლაც, დღე და ღამე გაასწორა ოპერატიულ

მუშაკთან, ავთო ჟღენტთან ერთად, დააკავა მკელელი და ისე წარადგინა განყოფილებაში, რომ მისთვის თითი არ დაუკარებია. თავად ციცვიძე ოპერაციის თაობაზე ამბობდა: ყველაფერი ისე მქონდა დაგეგმილი, რომ კარი მკელელმა გამიღო, როცა შემხედა ფერი დაეკარგა, და ხელები ჩამოუშვა. ოცნებებში, ვინ იცის, რამდენჯერ მოეკალი თენგიზ ცინცაძის მკელელი. მაგრამ, საქმე საქმესე, რომ მიდგა, ხელჩაშვებული მაინც დავინდე!...“

1993 წლის 8 მარტს, დავით ციცვიძე ჩვეულებრივ გამოცხადდა სამსახურში. თორმეტ საათზე განყოფილების უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის გელა გიგინეიშვილის დავალებით სოფელ ომფარეთში გაემგზავრა. დავალების შესრულების შემდეგ უმუხთლა ბედისწერამ. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ორი პირი თავს დაესხა ავთანდილ ჟღენტის კუთვნილ „იკარუსის“ მარკის ავტობუსს, რომელშიც იმყოფებოდა სამძებროს უფროსი, პოლიციის მაიორი დავით ციცვიძე. არაკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს ავტობუსს, შემდეგ კი ჩაცხრილეს პოლიციის მუშაკი და მძიმედ დაჭრეს მისი მეგობარი ავთანდილ ჟღენტი. ამ უკანასკნელმა მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი იყო ფეხისა და მხარის არეში, შესძლო ორივე ბოროტმოქმედის განიარაღება. უფრო მეტიც: ერთ-ერთი დაჭრა ფეხის არეში და არ მისცა საშუალება მიმალულიყო. იგი აღმოჩნდა პოლიციელის მკელელი გვარად კეჭაყმაძე. კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ავთანდილ ჟღენტმა განსაკუთრებით საშიში, კბილებამდე შეიარაღებული ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას ვაჟკაცობის, სიმამაცის, თავგანწირვისა და მოქალაქეობრივი გმირობის საოცარი მაგალითი გვაჩვენა და ამით ხელი შეუწყო პოლიციელის მკელელობის საქმის გახსნასა და მათ დაკავებას.

ორმოცდახუთი წლის ასაკში დატოვა დავითმა ეს საწუთრო. მიუხედავად ამისა თავისი ხანმოკლე, მაგრამ ვაჟკაცური სიცოცხლე სასახელოდ განვლო. თავი არასოდეს შეურცხვენია. პროფესიაც ვაჟკაცური ჰქონდა არჩეული. გაუტეხელი ბუნებით სისხლი სისხლთაგანი იყო. სითბო, სიყვარული და ერთგულების გრძნობა გამოხჭვიეოდა მისი ნათელი თვალებიდან. აი, ასეთ ვაჟკაცს მოუსწრაფეს სიცოცხლე ვერაგულად და არ აცალეს ტიალი წუთისოფლისათვის ბოლომდე ეთქვა სათქმელი.

რამდენი წელი გასულა უკვე. ცხოვრება თავისი გზით მიდის, მაგრამ წელთა სიმრავლე ვერაფერს აკლებს მის ნათელ ხსოვნას და ამქვეყნად დატოვებულ კეთილ სახელს.

საამაყოდ და სამაგალითოდ დარჩება დავით ციცვიძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა არა მარტო მისი ოჯახისათვის, არამედ საქართველოს მომავალი თაობებისათვის.

ᲦᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲙᲐᲪᲐᲓ ᲨᲔᲠᲩᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ

გიეი მათითაშვილი

პოლიციელის სამსახური, ფრონტის ყველაზე ცხელ წერტილში წინა ხაზზე გამუდმებული დგომის ტოლფასი რომაა, არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ის კი არა, ყველაზე მშვიდ აღმოსფეროშიც კი, სრულიად მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ ხიფათთან ყოველწამიერი შესვედრის საშიშროება, ყველაზე მეტად მენაღმეებთან აახლოებს. ამიტომაც საქვეყნო საქმის სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლის მიტანა თითქმის არც მოულოდნელი და არც სენსაციური არ უნდა იყოს.

მითუმეტეს ითქმის ეს კრიმინალური ქაოსით დამძიმებული ისეთი ქვეყნის წესრიგის დამცველთა მიმართ, როგორიც განელილ ათწლეულში საქართველო გახლდათ. მაგრამ ის რაც 90-იან წლებში ჩვენს სინამდვილეში მოხდა, მაინც ყოველგვარ ნორმასა და ზღვარს აჭარბებს.

იმ დროს როგორც მთლიანად ქვეყანაში, გურიაშიც აბსოლუტური განუკითხაობა და უთავბოლობა სუფევდა. ფორმიანი თუ უფორმო, ფორმალები თუ არაფორმალები, ძალლი და მამაძაღლი ამღვრეულ წყალში საკბილოს ეძებდა. გზებსა და გზაჯვარედინებზე ცეცხლსასროლი თუ ციეი იარაღით აღჭურვილი, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული ავაზაკი თარეშობდა.

ჩოხატაურში და არა მარტო ჩოხატაურში, არამედ მთელ საქართველოში, პოლიციის მაიორ გიეი მათითაშვილის მხედრულ შემართებაზე, მამაცობასა და თავგანწირვაზე ლეგენდასავით ჰყვებიან და შთამომაელობას გადასცემენ მისი თაყდადების სარისკო ამბებს, რომელიც სავსებით შეესაბამება ამ დალოცვილი კუთხის მდიდარ რაინდულ ტრადიციებს.

გიეი ილიას-ძე მათითაშვილი დაიბადა 1946 წელს, დაბა ჩოხატაურში. წიგნისა და ლიტერატურული აზროვნების სიყვარულით სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ერთი პერიოდი მუშაობდა ჩოხატაურის რაიონულ გაზეთში ლიტერატურულ მუშაკად. მისი ნიჭი და უნარი შეუმჩნეველი არ გამხდარა პარტიული მუშაკებისათვის და გიეი საქართველოს კომპარტიის

ჩოხატაურის რაიონულ კომიტეტში გადაჰყავთ საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად.

მილიციის რაიონული განყოფილება, მაღალკვალიფიციური, განათლებული თანამშრომლების ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომაც სთხოვეს გივის რაიონის მილიციაში გადასვლა. ამას თან დაემატა მისი სულიერი მოთხოვნილება –ებრძოლა ყოველგვარი ბოროტების, დანაშაულის წინააღმდეგ, სადაც ხელი მიუწვდებოდა, გაესწორებინა უკეთური ადამიანისაგან გამრუდებული სამყარო.

და ისიც დათანხმდა. ეს არ იყო იოლად გადასაღგმელი ნაბიჯი. მას უარი უნდა ეთქვა შესანიშნავ სამეცნიერო კარიერაზე, ქართული სამეცნიერო საზოგადოების დიდი მოჯირნახულე, პროფესორი იოსებ მეგრელიძე – გივის უფროსი მეგობარი და მრჩეველი, ნიჭიერ ლიტერატორს ქართული ტოპონიმიკის საკითხებზე დაწყებული კვლევის დასრულებას, ხრისხის დაცვასა და სამეცნიერო გზის გაგრძელებას ურჩევდა.

არც პარტიული კარიერა აუვლიდა გვერდს ნიჭიერ ახალგაზრდას. მშვიდი ცხოვრება და უსრუნველი პოლიტიკური არეალი, თვალსახული პერსპექტივა იყო მისთვის. მაგრამ... მაგრამ გივი მათითაშვილმა მესამე გზა აირჩია... ხიფათიანი, ნასაფრებული ტყვიითა და ოჯახის სიმშვიდის დაკარგვით სავსე. ის არ თელიდა, რომ დამნაშაულთა სამყაროსთან ბრძოლა მისი პირადი საქმე არ იყო, რომ სხვები გააკეთებდნენ მის გასაკეთებელს. – ვინ თუ არა მე?! – ეს ფრაზა გივი მათითაშვილის ცხოვრებისეული კრედო იყო მილიციის რიგებში სამსახურის დროს და ისიც თავის თავზე ლომის წილს იღებდა. ოსურგეთისა და ჩოხატაურის რაიონულ განყოფილებებში პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობისას, რვა წლის მანძილზე, სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის ხელმძღვანელობისას, ერთხელაც არ წასულა კომპრომისზე, ეროი ნაბიჯითაც არ დაუხევია უკან. მის გვერდით ყველა თანამშრომელი თავს უშიშრად გრძნობდა. ბუნებით გამბედავი და სხარტი გონებით გამორჩეული, ადვილად პოულობდა კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალ ერთადერთ გზას.

იგი უყვარდათ, მისი ეშინოდათ, მას პატივს სცემდნენ. მისი მეგობრები ჩოხატაურისა და ოსურგეთის განყოფილებებიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები დღესაც სიამოვნებით იგონებენ გივი მათითაშვილთან თანამშრომლობის წლებს, მის ეაჟკაცურ შემართებას, განსაცდელში თანადგომას, შეუპოვრობას და სიმამაცეს.

„როცა საქართველოს მატიანეს ეკითხულობ, თითქოს გულში ასი დანა ტრიალებს.“ (ჰუგო ჰუპერტი).

სამაჩაბლოში, საომარი მოქმედების დროს, გიეი მათითაშვილმა არაერთი კოლეგის სიცოცხლე იხსნა: როგორც ლეგენდას ისე ჰყვებიან მისი თანამშრომლები:

— ძალზე კრიტიკულ სიტუაციაში, ტყვიის წვიმაში, როგორ გაიხადა მან ჯაეშან — ჯილეტი და ახალგაზრდა ჯარისკაცს ჩააცვა! — იმ ჯარისკაცში გიეი სამშობლოს, თავის ლამაზ, სულით ხორცამდე უძვირფასეს ოჯახს ხედავდა, თავად კი სჯეროდა, რომ ვერავინ მოერეოდა, ხშირად იმეორებდა თურმე — ყერავინ წამაქცევსო.

ესეც ქართული გმირული ეპოსი.

„ბრძოლებში ქართველები ადამიანები კი არა, ტიტანები არიან, რომელთაც ძალუძთ ზეცა იერიშით აიღონ. მათზე პატიოსან, მამაც, გულუხვ და მებრძოლ ხალხს საქართველოს გარდა ვერსად ნახავ“ (ალ. დიუმა).

აფხაზეთში წასვლას აპირებდა. ამ ფიქრით გათენდა 1993 წლის 31 მარტი... და ისევ მორიგი განსაცდელი, ისევ სხვის სიცოცხლეზე ფიქრი, ბოროტებასთან შეჭიდებისას სხვისი დაზოგვა, საკუთარი სიცოცხლის დაუნანებლად გაწირვა. ყველაფერი წუთებმა გადაწყვიტეს. მხოლოდ გიეიმ შესძლო ტყვიის წვიმაში ავტომანქანიდან გადასვლა, მხოლოდ მან გაბედა პირისპირ შეხვედროდა განსაცდელს.

„ქართველები აღმოსავლეთში ყველაზე გულადი და გულიანი კაცები არიან.“ (აბა გოდერო).

ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლიციის კაპიტანი გიეი მათითაშვილი, აწარმოებდა ღამის შემოვლას. დაახლოებით 11 საათზე, სოფ. ბუკნარის ტერიტორიაზე, წააწყდნენ ავტომატებით შეიარაღებულ ორ ბოროტმოქმედს, რომლებიც მანქანის გაჩერებას შეეცადნენ იარაღის გამოყენებით. გიეი მათითაშვილმა, როგორც გამოცდილმა მუშაკმა, თვითონ ითავა ბანდიტებთან მოლაპარაკება. არ გადაუშვა მანქანიდან ახალგაზრდა თანამშრომლები, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბოროტმოქმედებმა ავტომატის ჯერი მიუშვეს პოლიციელს, სასიკვდილოდ დაჭრილმა კიდევ მოასწრო ავტომატიდან გასროლა და ორივე ბანდიტი რიეამაძე და ხაბულიანი ადგილზე გაათავა, თვითონ კი თავისიანი ახალგაზრდა კოლეგებს ჩააკვდა ხელში.

ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი გ. ასათიანი იხსენებს: „გურიის სამხარეო მთ. სამმართველოსა და ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებისაგან შეიქმნა რამდენიმე ეკიპაჟი და დილის 6 საათზე წავედით ძებნილი პირების, მათი ახლო კავშირების სახლების გადასამოწმებლად. გადავამოწმეთ თითქმის

ყველა მისამართი და 11 საათისათვის ვაპირებდით სამმართველოში დაბრუნებას, როდესაც სამხარეო პოლიციის უფროსმა ბატონმა ვიქტორ გობრონიძემ ყაჩაღობისათვის ძებნილი ე. წ. „გაგნიძის“ დაჯგუფების ერთ-ერთი წევრის ჟღენტის საცხოვრებელი სახლის გადამოწმება დაგვაალა, ვიფიქრე ფორმალობისთვის ალბათ ოქმის დაწერაა საჭირო – მეთქი, მაგრამ სახლთან რომ მივედით, იქ მამამისი შევამჩნიე, რომელიც ჩვენს დანახვაზე სირბილით სახლში შევარდა, ფანჯრიდან კი ვიღაც შეიარაღებული პირი გადახტა და სროლა ატეხა. რა თქმა უნდა, ჩვენც გავხსენით საპასუხო ცეცხლი. ამ დროს, ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომელი გიეი მათითაიშვილი, რომელიც ერთ-ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, მეძახის დაწექი-დაწექიო. მეც ჩავჯექი და რამდენიმე წამში ჩემს თავზე ტყვიებმა გაიზუზუნეს. ჟღენტი იქვე ახლოს იქნა ლიკვიდირებული. ახლოს რომ მივედი ხელში ხელყუმბარა ეჭირა, ეტყობა გახსნა ვერ მოასწრო.

გ. მათითაშვილმა ბევრი სიმწარე ნახა ცხოვრებაში, მაგრამ არჩეული გზისა და საკუთარი მრწამსისათვის არ უღალატნია...“

გიეის უტყუარი ალღო ჰქონდა. იგი ყველა ეჭვმიტანილში ცდილობდა მისთვის საჭირო საყრდენის პოვნას. ეს ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო, ან სოცრად თბილი განწყობა. ოთხ კედელში გამომწყვდეულ ადამიანში თანამგრძნობსა და მრჩეველს ხედავდა.

აქ, ყველასგან იზოლირებულ მონაკვეთში, მძაფრად იგრძნობოდა სულის ყოველი შერხევა. გიეის თავისი წესები ჰქონდა. ეს წესები გახსნილი, მზაკვრობას მოკლებული ურთიერთობით იყო განპირობებული. ამიტომაც დამნაშავეთა სამყარო, ერთგვარი სიმპათიით მინც იყო მის მიმართ განწყობილი. საერთოდაც იშვიათად ნახავდით ვინმეს, აუგად მოეხსენებინა გიეიკო. მტრები თავის გარემოცვაში ჰყავდა მხოლოდ. მტრები და შურიანები... არ იცოდა განა? იცოდა, მაგრამ მოშურნეთათვის და შენიღბული მტრებისთვისაც სიკეთით სავსე პაკეტი ჰქონდა მომზადებული. იმათ თუ სიავის კეთება არ ეზარებათ, მე სიკეთის კეთება რატომ უნდა მეზარებოდესო, ასეთი იყო მისი კრედო. ასე ცხოვრობდა იგი. ასე უნდოდა ეცხოვრა სხვებსაც.

„...საქართველო წააგავს ქრისტიანულ კუნძულს მუსლიმანურ ოკეანეში, მისი გადარჩენა ტოლფასია ცივილიზაციის გადარჩენისა.“ (ჯონ პრისლი)

– ყველაფერს შეეგუები, – იტყოდა ხანდახან გიეი, – ადამიანურ სისუსტეს, ღალატს, უზომო ტკივილს, მაგრამ გაუხსნელ საქმეს – არა. ამ შემთხვევაში შეუძლებელია მალამოს პოვნა, რომელიც ოდნავ მაინც გაანელებს ამ ლოგიკას. იგი

გახსნილ ჭრილობას ჰგავს, სისხლი რომ ჟონავს და ვერაფერს შველი.

გივის მაგიდაზე ყოველთვის დიდი ბლოკნოტი ედო, რომელშიაც რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა. ეს მისი ჩვეულება იყო. როცა რაიმე სერიოზულ საქმეზე მუშაობდა, ყველა მონაცემები ე.წ. რუკაზე გადაჰქონდა. ეს რუკა კვადრატებისგან შესდგებოდა. დახაზავდა კვადრატებს, შიგ შეტყობინებებში გამავალ პირებს იწერდა. თუ ამ პირთა ურთიერთკავშირი დადგინდებოდა, კვადრატებს სწორი ხაზით აკეთებდა. ასე მუშაობდა იგი, მისთვის ასე უფრო იოლი იყო და უფრო შედეგიანიც. ტომებად დალაგებული მასალები მას ერთ ფურცელზე ჰქონდა მოთავსებული კვადრატებად. დახატავდა ამ კვადრატებს და უმალ თვალწინ დაუდგებოდა ამა თუ იმ საქმეში გამავალ ეჭვმიტანილთა წრე. თანაც ისე დაშიფრულად აკეთებდა, მის გარდა ვერავინ ამოხსნიდა ამ რებუსებს. თანამშრომლებსაც მოძღვრავდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეცნა ოპერატიულ ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება საქმის გახსნის უმთავრესი გასაღები იყო. ჩვეულებად ჰქონდა, ამა თუ იმ პირზე შემოსულ ინფორმაციას სხვა მონაცემებითაც გადაამოწმებდა. როცა დარწმუნდებოდა, რომ ინფორმაცია ერთი კი არა სხვა წყაროებიდანაც იყო შემოსული, მაშინ დაეურდნობოდა მხოლოდ. ერთმა გადაუმოწმებელმა ინფორმაციამ შეიძლება სრულიად უდანაშაულო ადამიანი დაღუპოს. ოპერატიული მუშაკის ბევრი შეცდომის გამოსწორება თითქმის წარმოუდგენელია. ამ შეცდომამ შეიძლება თვითონაც შეიწიროსო, იტყოდა ხოლმე. იყო ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ოპერატიული მუშაკის შეცდომას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნის პერსპექტივა, ნულამდე დაუყვანია. რამდენი იყო ასეთი გაუხსნელი საქმე?

— ათასი? ორი ათასი? მეტი ალბათ. მათ უკან დაზარალებულები იდგნენ. სიმართლის დადგენის მოლოდინით დამძიმებულნი... ეს ყველაფერი ოპერატიული მუშაკის უხეირო მუშაობის შედეგი იყო.

გივის გამომძიებლებთან შესაშური მეგობრობა ჰქონდა. უფრო მეტიც, ერთმანეთისაგან სწავლობდნენ.

გივი გამომძიებლებს ოპერატიული ხრიკების ყველა დეტალში ახედებდა. გამომძიებლებიც გრძნობდნენ ოპერის მსარდაჭერას. სერიოზული დანაშაულის გახსნისათვის ღღეღამეს ასწორებდნენ. ამუშავებდნენ ვერსიებს. გეგმავდნენ ამ ვერსიათა რეალიზაციის ღონისძიებებს. ამიტომაც იყო, რომ, ერთობლივი საქმიანობის შედეგი ყოველთვის დადებითი იყო. თითქმის არც ერთი მძიმე

დანაშაული არ დარჩენილა გაუხსნელი, იმდენად დიდი იყო ერთმანეთის ნდობა, რომ მათ შორის სამსახურებრივი საიდუმლო არ არსებობდა. ასე იყო იმ ოპერატიული საქმის დამუშავების დროსაც, რომელსაც გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“ ედო. ხშირად კი გამომძიებელთან ერთად ჩაიკეტებოდა ოთახში. ძირფესვიანად გაიცხრილებოდა ყველა ოპერატიული მასალა და მხოლოდ ამის შემდეგ იგეგმებოდა თუ რომელი ეჭვმიტანილი როდის დაეკავებინათ, ვისი ბინა იყო გასაჩხრეკი. იკვრებოდა ჯადოსნური წრე, რომლის შიგნით მოქცეულ დანაშაულს, ყოველთვის ლოგიკური დასასრული ჰქონდა.

გიეის იშვიათად ჰქონდა თავისუფალი დრო და მასაც წიგნების კითხვით ავსებდა. ეს იყო სხვა სამყარო. იგი ერთიანად ჩაიძირებოდა წიგნებში. მისი გმირების ცხოვრებით ცხოვრობდა. ხდებოდა რაღაც გარდასახვა შეუცნობელი, მაგრამ შინაგანი სიმშვიდით გაჯერებული. ოპერატიული მუშაკი თავის ინტელექტით და განსწავლულობით მაღლა უნდა იდგეს დამნაშავეთა სამყაროზე. „სხვანაირად ვერ შესძლებ მასთან ბრძოლას. მარტო სამხილით ვერაფერს გახდები. რკინისებური ლოგიკითა და ინტელექტით უნდა აჯობო.“

„...კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესი კაეკასიიდან, კერძოდ საქართველოდან იწყება“. (ჰეგელი).

21 წელი მიუძღვნა გიეი მათითაიშვილმა ჩეკისტის ურთულეს და საპასუხისმგებლო საქმიანობას და ყოველთვის ვაქაცურად უძღვებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მან არაერთხელ გამოიჩინა თავი საშიში დამნაშავეების დაკავებისას.

მისი უშუალო მონაწილეობით დაკავებულ იქნა ათეულობით საშიში ბოროტმოქმედი, რომელთა შორის იყო საკავშირო მნიშვნელობის დამნაშავეებად გამოცხადებული კრიმინალური ელემენტები.

თექვსმეტი წელი გავიდა რაც ამ ქვეყნად აღარ არის ადამიანი, რომელიც წუთისოფელს კაცურ კაცად შერჩა ბოლომდე, რომელსაც სამშობლოს წინაშე ვალი არ დარჩენია. იგი კაცობის სიმბოლოა. მისთანების ზეობა ნუ მოუშალოს საქართველოს.

ვინ იცის მერამდენედ იკრიბებიან მეგობრები მის საფლავთან და სინანულით, მწუხარებითა და ერთგვარი სიამაყით იხსენებენ ლეგენდარულ ჩეკისტს, რომელსაც არ აცალეს ბოლომდე ეთქვა თავისი სათქმელი.

შოთა სანიკიანი

ამ ქვეყნიდან წასულთათვის ყველაზე დიდი ჯილდო, სიცოცხლეში გაწეული ღვაწლისა და პიროვნული თვისებების დაფასება და გასსენებაა იმათგან, ვის გვერდითაც გარდაცვალებამდე ჰქონდა ურთიერთობა. სიცოცხლე ერთსელ ეძლევა ადამიანს და ისე უნდა განელოს, რომ სანანებლად არ დარჩეს გატარებული წლები.

ვიდრე კაცი ცოცხალია, სიკვდილზე ფიქრები არ ეგების, რადგან სიცოცხლე თავად ბედნიერებაა. ადამიანს ხომ სულ მცირედიც ყოფნის. მთავარია საყვარელი საქმე, ოჯახი, შვილები, მეგობრები, მშვიდობა, სამშობლო... სწორედ ამ ცნებათა ერთობლიობა ქმნის ბედნიერებას და არ გვჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ყველაფერი დამთავრდეს. მაგრამ ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ აღარ არის ადამიანი, რომელიც შენს გვერდით იდგა, ცხოვრებას გისალისებდა. ასლა კი რაც დრო გადის, მით უფრო გენატრება და გაკლია, რადგან იმქვეყნიერ სასუფეველში მისი გადასელის შემდეგ ვერაფერი შეაცვლებს დატოვებულ სიცარიელეს.

„თხუთმეტი წელი შესრულდა, რაც შოთა ამ ქვეყნად აღარ არის. დღე არ გავა, რომ რაიმე არ გავიხსენოთ მასზე –კაცზე, რომელშიც სისპეტაკე, საქმისადმი ერთგულება, სიყვარული, ვაუკაცობა ასე ლამაზად ერწყმოდა ერთმანეთს და რომელმაც შესძლო ყოფილიყო გამორჩეული პოლიციელი, უაღრესად კეთილი ადამიანი. –სვედიანი ხმით საუბრობს პოლიციის პოლკოვნიკი მერაბ ფუტკარაია; –შოთა თავისი საქმიანობითა და ვაუკაცური მოქმედებით, ყოველთვის სამაგალითო იყო. მისთვის უცხო იყო შიშის გრძნობა, რაშიაც ღმერთისაგან ბოძებული ფიზიკური აღნაგობაც უწყობდა ხელს. ძველ თანამშრომლებს კარგად ახსოვთ თუ როგორ გაუმკლავდა ფეხმოტეხილი, ყაყარჯნიანი შოთა ოთხ მოძალადეს, როცა მისთვის მანქანის წართმევას ცდილობდნენ. მისი სამსახურის პერიოდში ხშირი იყო შემოხვევები, როცა პროფესიული მოქცევითა და ვაუკაცური ქმედებით შესაშურად ახერხებდა დამნაშავეთა დამორჩილებას და სიტუაციის ნეიტრალიზებას.

ერთხელ, პოლიციის სამორიგეო ნაწილში, მოქალაქემ დარეკა და გვაუწყა, რომ ქოსურგეთში, რუსთაველის ქუჩაზე, აეტომატს ისვრიანო. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა აეტომატური იარაღიდან სროლა იშვიათობა იყო. შოთა უმალ გაემართა თავისი მანქანისაკენ, სიტყვა დაადევნეს ჯგუფი წაიყვანეო, მაგრამ მარტო წავიდა. იმ დროს მივიდა შემთხვევის ადგილზე, როცა უგონოდ მთვრალი ახალგაზრდა დროგამოშვებით ისროდა, ახლოს ვერავინ ეკარებოდა, შორიახლოს მეოფი ქალები სასოწარკვეთილნი ჰკიოდნენ. შოთამ მოშორებით გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, იარაღშემართულ ახალგაზრდისკენ გაემართა, თან პროფესიონალი პოლიციელისათვის დამახასიათებელი ხმით მიმართა: სროლა შეწყვიტე და იარაღი ჩამაბარეო. ეს იყო არა მარტო პოლიციელის ბრძანება, არამედ კეთილი ადამიანის ზნეობრივი შეგონებაც, რომელმაც მონუსხა თითქოს ეს ახალგაზრდა. შოთა შეუმჩნეველად მიდიოდა მისკენ, მიუახლოვდა, შემართული აეტომატი ხელიდან გამოთარიდა, დაამშვიდა და პოლიციაში წამოიყვანა. ამ ამბავის შემყურე ელდანაცემი ადამიანები ხელაპყრობილი ლოცავდნენ შოთას და მის ვაჟკაცობას.

შოთა ზურაბის-ძე სანიკიანი დაიბადა 1950 წლის 7 დეკემბერს, ვანის რაიონის სოფ. ზეინდარში, პედაგოგების ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მოიხადა სამხედრო-საკალდებულო სამსახური, შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფილიალში. 1974 წელს კი, მუშაობა დაიწყო ოსურგეთის შს რაიონულ განყოფილებაში, სადაც მალე მოიპოვა სიყვარული და აუტორიტეტი.

„მე ლამაზი მეგობარი მყავდა“
(მეუღლის მოგონება)

„მე ლამაზი მეგობარი მყავდა“ თუ ვინმეს შეუძლია ამ სიტყვების ამაკად წარმოთქმა, მეც ერთი იმათთაგანი ვარ. შოთას სახით მართლაც ლამაზი მეგობარი მყავდა, მისი ფიზიკური და სულიერი სილამაზე იტევდა იმ თვისებებს, რასაც მზრუნველი შვილი, ბრწყინვალე მეუღლე, სათნო და მოსიყვარულე მამა ჰქვია.

უყვარდა ყველა და ყველაფერი, რასაც სიტყვა ქართული ერქვა. ქართული მიწა, ქართული ცა, ქართული სიმღერა, ლექსი თუ ცეკვა. ქართული ოჯახი, თავისი ტრადიციებითა და სტუმარმასპინძლობით, იცოდა უღალატო მეგობრობა.

ისტორიისა და ხალხური პოეზიის შესანიშნავ მცოდნეს, შეეძლო დაუსრულებლად ელაპარაკა საქართველოს წარსულზე, ქართველი მეფეების გარდახდილი ბრძოლების შესახებ. როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდა, საქართველოს სხვადასხვა

კუთხეში ეკლესია-მონასტრების და ციხე-კოშკების დასათვალიერებლად წაგვიყვანდა. უნდა გენახათ როგორ გაირინდებოდა, გაკუნდებოდა ციხის ნანგრევებთან, თითქოსდა მეფეთა ომახიან მოწოდებასა და მხედართა საბრძოლო ყიჟინას უსმენსო. რამდენჯერ გულდაწყვეტილს უთქვამს, – „ნეტავ, მაშინ მეცხოვრა, როცა საქართველოში ხმლის დრო იყო და როცა მტერი გარეშე და მომხდური იყოო.“ ახლა კი მოძმისგან უნდა დაეცვა ქვეყნის სიმშვიდე და იყო მის ცხოვრებაში მომენტები, როცა თბილისში, სამაჩაბლოში, ბევრჯერ ჩასვდა სიკვდილს თვალებში. ბევრჯერ დაინდო სიკვდილმაც, მაგრამ არა დიდი ხნით.

მიუსედავად რთული დაძაბული სამსახურისა, შოთა მაინც ახერხებდა ოჯახის თითოეული წევრისადმი სითბოსა და სინაზის გამოხატვას. დაღლილი, შუაღამით სახლში დაბრუნებული, პირველად ბავშვების ოთახში შეიკლიდა, მძინარე ბავშვებს დიდხანს უსიტყვოდ უყურებდა, მერე მოეფერებოდა, თქვენ შემოგევლოთ ჩემი სიცოცხლეო. ჩუმად ჩაილაპარაკებდა და ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდოდა. გოგოებიც უსაზღვრო სიყვარულით პასუხობდნენ მამის სიყვარულს. დღესაც კი როცა ორივენი გაიზარდნენ, შექმნეს ოჯახები, ჰყავთ ქმარ-შვილი, მამის დაფიცება მათთვის ყველაზე წმინდა და უტყუარი ფიცია.

ოჯახში ტრადიციად გვქონდა დაბადების დღეების აღნიშვნა. იმ ავადმოსაგონარ 23 თებერვალს, დილით სამსახურში წასვლის წინ, დაბადების დღე მომილოცა, საჩუქარი გადმომცა და რადგან საღამოს სტუმრებს ველოდებოდით, დაიბარა ადრე მოვალო და წავიდა. წავიდა და ადრე დაბრუნდა ტყვიებისაგან დაცხრილული, უკვე მარადისობაში გადასული.

და იყო იმ საღამოს ჩვენს ოჯახში უამრავი სტუმარი, უთვალავი ყვავილები, უდიდესი უბედურება, ზღვა ცრემლი, სევდა-მწუხარება, გლოვა და ზარი, მე აღარ მყავდა ლამაზი მეგობარი“.

ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ახალბედა გამომძიებელი თეონა ურუშაძე იგონებს:

იყო ჩემს ცხოვრებაში ასეთი ეპიზოდი, რომელიც დღემდე მახსოვს და მთელი ცხოვრება მემახსოვრება. ჭამის მხრივ ძალიან ჭირვეული ბავშვი ვიყავი და მახსოვს არაქათგამოცლილი დედა-ჩემი დღეში 3-4 ჯერ როგორ დამდევდა ხელში თეფშით. მე კი ესეირნობდი და ჭამისთვის არ მეცალა. შემდეგ ერთ ხერხს მიმართა, იფიქრა შევაშინებო და გუდიანმა რომ არ გასჭრა, პოლიცია დაგიჭერსო მაშინებდა. მე კი შიშს გულს არ ვაკარებდი. ერთ დღეს, ჩვეული გასერნების დროს, ჩვენს ბინაში მოვიდა მაშინ უბნის რწმუნებული, აწ გარდაცვლილი შოთა სანიკიანი, რომლის მეშვეობითაც დედამ გადაწყვიტა ჩემი შეშინება, აი, პოლიცია მოვიდაო, მითხრა და ვნახე მართლაც ფორმაში გამოწყობილი ახოვანი კაცი, მჭახე ხმითა და ძალიან დიდი ხელებით. ვაი,

ამასთან დამორჩილება სჯობს, თორემ ხელი რომ მომკიდოს ნეკა თითით მომკეცავს და წამიყვანს ციხეში – მეთქი, გაეიფიქრე გულში. მაშინდელი ხმა ახლაც ჩამესმის: „ჭამე ბიძია საჭმელი თორემ დაგიჭერ და წაგიყვან, დედიკოს და მამიკოს მოენატრები და ცოდვები არ არიანო? ვიკადრე პირის გაღება, სანამ ჩემი ულუფა არ შემაჭამეს ცხონებულ შოთას ფეხი არსად გაუდგამს. კონტროლზე ამიყვანა და ჩემს მოსუქებას მოთმინებით ელოდა. ხშირად მოგვიკაკუნებდა კარზე თუ ჭამს ბავშვი საჭმელსო. ხმაზე ვცნობდი და პირს შოშიასავით ვაღებდი. დედაჩემს ვახსენებდი, აწი შოთა პოლიციელი გამოიარს და დროზე მაჭამე – მეთქი. ერთხელ დედაჩემისთვის უთქვამს: „ნანა, რა ქენი ეს, ბავშვი რომ დამინახავს ურუანტელი უვლისო“, სამაგიეროდ მოსუქდაო, დაამშვიდა დედამ. მერე მოფცერება დამიპირა და ნიკოლაძის ქუჩა შეეძარი: ეჭამ და ხელი არ მომკიდო – მეთქი. საცოდავ კაცს ფერი დაეკარგა, შეწუხდა ძალიან. მერე ცოტა წამოვიზარდე და შემირიგა, „ახლა ბიძია ჯანმრთელი და საღი რომ ხარ, მაგაში ლომის წილი მაქვს ჩადებული და შენს ქორწილზე ამას აუცილებლად ეიტყვიო“. ჩემს ქორწილს ვეღარ მოესწრო, მაგრამ მე კი დამრჩა მეხსიერებაში არაჩვეულებრივ პიროვნებად და სამაგალითო პოლიციელად.“

შოთა სანიკიანი დაიღუპა 1994 წლის 23 თებერვალს, ოსურგეთის რაიონის სოფ, ბაღდადში, ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას.

დარჩა ოჯახი: მეუღლე ციალა სირაძე, მუშაობს ოსურგეთის რაიონის კომისარიატში. შვილები: ნანა და ნათია. ნათია მამის კვალს გაჰყვა და ოსურგეთის შს რაიონულ სამმართველოში მუშაობს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად. შვილიშვილები: ანი და მარიამი.

ბედი ჭირვეული გამოდგა მისთვის

მურმან ჯანხოთელი

მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული მოვალეობაა. ბოროტებასთან ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს. ეს მკაცრი რეალობაა და ამ ბრძოლაში სანთელივით იფერფლებიან სიკეთისათვის მებრძოლი რაინდები. თითოეულის უკან ოჯახი დგას, პოლიციელებიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ თავიანთ თავზე გააზრებულად აქვთ აღებული საპასუხისმგებლო მისია. ეინ იცის რამდენი პოლიციელის სიცოცხლე შეისვა ფრთებზე. ქვეყანაში მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ამოვარდნილმა ქარიშხალმა, რამდენი ოჯახი დაობლდა, რამდენმა ქვრივმა ჩაიცვა თალხი.

დათალხულია ღღეს მურმან ჯანხოთელის ოჯახიც. განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმედთა ჯგუფთან შეტაკებისას ბრძოლაში ჩაიფერფლა ვაჟკაცის სიცოცხლე, რომელიც ნათელ მომავალზე ოცნებობდა. წავიდა და თან გაიყოლა ჯაერი ამქვეყნად არგანცდილი ბედნიერებისა. დატოვა თვალცრემლიანი მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები. რომელთა ხსოვნაში და მოგონებებში, ღღესაც ცოცხლობს კეთილი, ალალმართალი, ხნეობრივად მტკიცე და ძლიერი ნებისყოფის მქონე რაინდის ხატება, რომელსაც გაჭირვებულის დახმარება, მათთვის ტანჯვის შემსუბუქება უპირველეს მოვალეობად და მისიად მიანდა. ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში გურიაში, კერძოდ ოზურგეთის რაიონში, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის საქმეს შეეწირა 27 წლის ვაჟკაცის, მურმან ჯანხოთელის სიცოცხლე! მან იმ დროს დაიწყო პოლიციაში მუშაობა, როდესაც რეგიონში ბოროტმოქმედთა ორგანიზებული ჯგუფები დაუნდობლად აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. მკვლელობები, ყაჩაღობები, ადამიანთა გატაცებები ფულის გამოძალვის მიზნით, თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

მურმან ჯაფარის-ძე ჯანხოთელი დაიბადა 1966 წლის 15 ივნისს, ოზურგეთის რაიონის სოფ. ბაღდადში. ამავე სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედროსავალდებულო სამსახური, თავის მშობლიურ სოფელში

გააგრძელა შრომითი საქმიანობა და ბედი თავის გულისწორს, ამაე სვან ასულს, მზია ნარქსელიანს დაუკავშირა. შეიქმნა კიდევ ერთი სიყვარულით ნალოლიავები ქართული ტრადიციების ერთგული ოჯახი. შვილებმა სალომემ და მარიამმა კიდევ უფრო გაალამაზეს და დაამშვენეს მათი ბედნიერება. უზომოდ უყვარდა მურმანს თავისი თვალციმციმა ქალიშვილები. მომავალი ნათელ ფერებში ეხატებოდა, მათ ბედნიერებაზე და დაფრთიანებაზე ოცნებობდა.

მურმანი ძალიან განიცდიდა თავისი ძმის აფხაზეთში გაურკვეველ ვითარებაში დაკარგული ხახას ამბავს. ვის არ შესვლა, მაგრამ ვერაფერი გაიგო ძმის შესახებ. ყველა ამბობდა, თუ როგორი გმირობის მაგალითები ასვენა ხახამ. იმასაც ამბობდნენ, რომ აფხაზებმა მისი აყვანის ან განადგურებისათვის ჯილდოდ 50 ათასი დოლარი დააწესესო. თავიდან იმედიანად იყო განწყობილი, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ დარწმუნდა, რომ მისი ძმა ცოცხალი არ იყო. მაგრამ, დედას არ უმხელდა. ასეთ სიტუაციაში ძნელი იყო იმ გადაწყვეტილების მიღება, რაც მურმანმა მიიღო. ეს ის პერიოდია, როცა მეორე ფრონტის ხახი გურიაზე გადიოდა. პოლიციაში მუშაობის დაწყება თითქმის ფრონტზე წასვლის ტოლფასი იყო. მიუხედავად ამისა, მიიღო გადაწყვეტილება მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოებში დაეწყო. თავდაპირველად უჭირდა ამის გამხელა მშობლებისათვის, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შვილის შესახებ არაფერი იცოდნენ. მურმანის მშობლები გაგებით მოეკიდნენ შვილის არჩევანს.

1994 წლის იანვარში, მურმანი მუშაობას იწყებს ოზურგეთის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, საპატრულო საგუშაგო სამსახურში პოლიციელად. მიუხედავად თავისი მუშაობის ხანმოკლე პერიოდისა, მალე დაიმსახურა ნდობა და ავტორიტეტი, როგორც საქმესე უზომოდ შეყვარებულმა თანამშრომელმა.

„მაგრამ სანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვინმეს განა?“ მურმან ჯანხოთელის მუდამ მომღიმარე სახე ჯერ იყო და 20 წლის საყვარელი ძვირფასი ძმის, ხახას აფხაზეთში უგზოუკვლოდ დაკარგვამ დაანაღელიანა, შემდეგ კი, თავი წამოყვეს გულბოღმიანმა „მოყვარე მტრებმა“, რომლებიც გუშინ ძმობას ეფიცებოდნენ.

საბედისწეროდ გათენდა 23 მაისის დილა მურმან ჯანხოთელისა და მისი მეგობრის შოთა თავდგირიძისათვის. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში, მათ თავს დაესხა შეიარაღებულ ბოროტმო-

ქმედთა ჯგუფი. უთანასწორო ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცა მურმანი. მან კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი ვალი. იგი არა მარტო შვილებისა და ოჯახის ხსოვნაში დარჩა, არამედ მისი სახელი ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, მამაცი რაინდის მოგონებად დარჩება შთამომავლობას.

მურმანის ქალიშვილი სალომე, რომელიც მაშინ 4 წლისა იყო და ბუნდოვნად ახსოვს ყოველივე, იგონებს:

„მე უკვე დიდი გოგო ვარ, ვერც კი წარმოიდგენ, რა უსაშველოდ მენატრები, შენს ფოტოსურათებს ვეფერები და შენი სულის უკვდავებისათვის ვლოცულობ. თვალცრემლიანი გავიცურებ გასულ წლებს. 14 წელი გაფრენილა მამიკო, მე მაშინ 4 წლის ვიყავი, მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან არ ამოიშლება ის უბედურება და ტრაგედია, რომელმაც შენი თავი წაგვართვა. წლები მიფრინავენ მამა და გულზე სიზიფეს ლოდივით გვაწვეს უშენობა. როგორ მენატრება შენი მოფერება და ალერსი. ახლა მჭირდება შენი გვერდზე დგომა. ძნელი ყოფილა ობლობა მამიკო. ვინ იცის, ამ ხნის მანძილზე, რამდენჯერ გინატრეთ. შენ ხომ ძლიერი იყავი, შენ ხომ ჩვენს თავს არავის დაანაგვრინებდი. მაგრამ გამქრალია ჩვენი ოცნება და იმედი. მეამაყება მამა, რომ შენი ქალიშვილი ვარ. მეამაყება, რომ ვინც გიცნობდა, დღესაც ყველას უყვარხარ. გჯეროდეს, შენი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩემს გულსა და მეხსიერებაში, რადგან საოცრად დიდი და ამოუწურავი ხარ მამა...“ — წერს მამის სიკვდილით გულდათუთქული მურმან ჯანსოთელის 18 წლის ქალიშვილი—სალომე და მჯერა, ქარს შორს მიაქვს უსაზღვრო მონატრების გრძნობა.

ბედი ჭირვეული გამოდგა მურმანისათვის. ქართველობა მარტო ეროვნულობა კი არა, გარკვეული თვალსაზრისით, სასჯელიც აღმოჩნდა. ნაღდ ქართველს, თურმე სეპარატისტებმა ბრალად სწორედ ქართველობა დასწამეს. მოსწყვიტეს საკუთარ სახლ-კარს. წინაპართა საფლავებს. ამ ტკივილის მოშუშებას ჩვენთან ცდილობდა. ვაი, რომ ვეღარ მოასწრო. აფხაზეთში დაკარგული ძმის ამბავიც მოუშუშებელ ტკივილად გაჰყვა.

იგი სულ სხვა მომავლისათვის იყო დაბადებული. მაგრამ, ჩვენს მრავალჭირნახულ ქვეყანაში დატრიალებულმა მოვლენებმა, ამ ნათელ მომავალს ნაადრევად შეუკვეცა ფრთები. ომს თავისი კანონები აქვს. მურმანი იმდენი ბოროტების მომსწრე და მნახველი გახდა, რომ მტკიცედ გადასწყვიტა სიკეთისათვის მანამ ებრძოლა, ვიდრე საჭიროება მოითხოვდა. რა არ გადაიტანა აფხაზეთის სისხლიანი ტრაგედიის დროს, რომელთა შორის ყველაზე ძნელი იყო, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთის რეგიონში, 1993 წლის 17 სექტემბერს, სოხუმის დაც-

ვითი ოპერაციის დროს, სოფ. გუმისმთასთან აფხაზ სეპარატისტებთან შეტაკებისას, ძმის უგზოუკელოდ დაკარგვა.

ჯაფარი თავის ეაუს იხსენებს, როგორც უზომოდ ყურადღებიან, მგრძნობიარე, მოსიყვარულე შვილს. მისი ძმის ნუგზარ ჯანხოთელის თქმით, ის არამარტო ოჯახის წევრების, არამედ ყველას მიმართ მზრუნველი მეგობარი იყო ჭირსა თუ ლხინში.

დიახ, ასეთი იყო და ამიტომ აღმოჩნდა ბრძოლის ველზე, როცა საკუთარ ხალხს უჭირდა, როცა მის სამშობლოს საფრთხე ემუქრებოდა. სამშობლოს დაცვა ჯაფარს ყველა ჭეშმარიტი ქართველის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა და ამის გამო, უყოყმანოდ გაუშვა უფროსი ვაჟიშვილი ბრძოლის ველზე. ყველა მამას უჭირს ომში შვილის გაგზავნა, მაგრამ ჯაფარ ჯანხოთელი განსაკუთრებულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მაშინაც კი, როცა ოსურგეთში ოჯახის სანახავად ჩამოსულს, დაურეკეს და შვილის მძიმედ დაჭრის (უფრო კონკრეტულად ერთ-ერთი ოპერაციის დროს მძიმედ დაჭრილი მკედარი ეგონათ და იქვე დამარხეს, რუსის კაცმა იპოვა შემთხვევით) ამბავი აცნობეს, არაფერი უთქვამს, მეგობართან ერთად წასულა თბილისში.

...ზაზა ჯანხოთელი კი ისეთი პიროვნება გახლდათ, რომელსაც ვერ წარმოედგინა, მტრისათვის როგორ უნდა დაეტოვებინა საკუთარი მიწა-წყალი. მძიმე ნაოპერაციევი, კვლავ სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მართალია მისი დაღუპვის ოფიციალური ცნობები არ არის, მაგრამ ოჯახის წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა დახვრიტეს იგი.

ზაზას დედა, ქალბატონი ლეილა იგონებს: „...მას შემდეგ უსასრულოდ გაიჭიმა მოლოდინის 15 წელი, არც მკედარი დაგვიბრუნდა არც ცოცხალი. საბრალო ძმა, 7 თვე, იმედის თვალით გაჰყურებდა გზას. 7 თვე ლოცულობდა. ცრემლი არ შეშრობია თვალებზე. 1994 წლის 13 მაისს, ისიც მომიკლეს. თუკი ზაზა ზეცაშია, მაშინ ისინი ერთად იქნებიან, ხილო თუ ცოცხალია, მაშინ მას სახლში, მასზე ჯავრით ომაგათეორებული მამა და ჯანმრთელობა —შერყეული დედა ელოდება.

ზაზა, ჩვენ ყველანი გელოდებით, შენიანები, შენი საყვარელი ადამიანები, შენი გამწარებული მშობლები, შენი ახლობლები და იმედს არ ვკარგავთ, რომ გათენდება დღე, როცა ისევ შემოაღებ თხუთმეტიოდე წლის წინ გახურულ კარებს. „ჩემი მაი'სერი", — ასე ეძახდა იგი მურმანს.

მურმანი ბავშვობიდანვე თბილი და მოსიყვარულე იყო. არასოდეს არ გავწყრომივარ. პატარაობისას ძალიან საყვარელი იყო. სულ უნდოდა ხელში აყვანილი გვყოლოდა. შემოგვხვევედა თავის

ბუნჩულა მკლაკებს და ისე გვეხუტებოდა, მისი უმანკო გულის ძგერა გვესმოდა.

ერთხელ, ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა, სამსახურიდან მოსვლა დააგვიანდა. არ ვიცოდი რა ხდებოდა ჩემს თავს და სამსახურში დავრეკე, მისი ამბავი ვიკითხე. სახლში რომ დაბრუნდა მითხრა: – „დედიკო მე უკვე ცოლიანი კაცი ვარ, უხერხულია სამსახურში, რომ მირეკავ დაგვიანებისათვის“ – მე ეუპასუხე, შენ ყოველთვის ბავშვი დარჩები ჩემთვის შვილო, რომ დაგირეკე, ამან არ გაგათამამოს თქო ...მურმანმა ხელი საფეთქელთან მიიდო და ღიმილით მითხრა: –არის უფროსო! საოცარი იყო, არასოდეს გულს არ გატკენდა. ოითქოს უსიტყვოდ ხვდებოდა რა გვინდოდა. ყველას უყვარდა, ჩემი უფროსი ბიჭი, რომელიც ბიჭვინთაში ცხოვრობდა 2-3 დღე თუ დაგვაგვიანდებოდა წასვლა, გვსაყვედურობდა. ძნელია გაიხსენო ისეთი პიროვნება, რომელიც მურმანზე ნაწყენი ყოფილიყო.

ყოველთვის სწრაფი და დაუდეგარი იყავი, აკი ასე ნაადრევად დამთავრდა შენი 28 წლის სიცოცხლეც. ალბათ წინათგრძნობა გკარნახობდა ადრე რომ შექმენი ოჯახი და 4 წლის სალომე და 10 დღის ანგელოზი, პატარა მარიამი დაგვიტოვე. ვაი, დედაშენს, მათ აღზრდა-დაქალიშვილებას ვერ მოესწარი, მაგრამ იცოდე, გავზარდეთ ისინი სახელოვნად.

„მეც პოლიციელი გავხდებიო, როდესაც გავიზრდები!“ ამბობს შენი პატარა მარიამი, და თავისი დიდი, მამის მსგავსი თვალებით სევდიანად დაჰყურებს სურათებს. „მამა მენატრებიო“ – ჩურჩულებს და მამის სურათის თავზე გაკიდებულ ღვთისმშობლის ხატთან პირჯვარს იწერს.“

ძნელია ოჯახისთვის შეურიგდეს იმ აზრს, რომ ველარასოდეს გაუღიმებს და მოეფერება სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ძმები ზაზა და მურმან ჯანხოთელები. ცრემლი და მწუხარება თან ახლავს მათ მოგონებას. ოჯახს საამაყოდ და ნუგეშად ისღა დარჩენია, რომ ორივე ძმა ქვეყნის სიყვარულს შეეწირა და მათ ამაგს და თავგანწირვას, არასოდეს დაივიწყებს მადლიერი ერი.

მომავალი ნათელ ფერებში ეხატებოდა

ავთანდილ გობრონიძე

22 ივნისი შენი დაბადების დღეა ავთანდილ! ვინ მოთელის კიდევ რამდენჯერ აღნიშნავენ ამ თარიღს შენი ახლობლები, კოლეგები, ნაადევად დათალხული ავადმყოფი მეუღლე, ქალიშვილი თეა, რომელიც შენი დაღუპვის დროს, მხოლოდ 17 წლისა იყო. ღღეს კი 31 წლისაა. ოჯახიც შექმნა, მაგრამ მეუღლე მოუკლეს არაკაცებმა. თეას ხომ ყველაზე მეტად უყვარდი. არ იცის რა გაკეთოს. ამ ხნის ქალი მოკრძალებით და თვალცრემლიანი ხშირად უყურებს შენს სურათს და ვინ იცის რას გეჩურჩულება. ყველას ძალიან ენატრები. შენ ხომ ყველას ნუგეშისმცემელი, ყველას გულისტკივილის გამზიარებელი და სიკეთით სავსე პიროვნება იყავი. გჯეროდეს შენი ოჯახის წევრები შენგან დატოვებული გულის სითბოთი ცხოვრობენ და ამავე დროს ამაყობენ, რომ გმირობით და თავგანწირვით სხვებს სიცოცხლე შეუნარჩუნე.

მდიდარი და შინაარსიანია ბატონი ავთანდილის მიერ განვლილი ცხოვრების გზა. იგი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცოცხლო და იცხოვრო, რომ კეთილსინდისიერად შეასრულო განგების მიერ დაკისრებული მისია ამქვეყნად.

ავთანდილ შოთას-ძე გობრონიძე – დაიბადა 1950 წლის 22 ივნისს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში. წარჩინებით დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, პატიოსნებით, გულკეთილობითა და თავაზიანობის გრძნობით. შოთა გობრონიძის და ვენერა ნაცვალაძის აღზრდილ შვილს, არც შეეძლო სხვაგვარი სიცოცხლე. ორი შვილი გაუსარდეს მათ სამშობლოს. ავთანდილი, მათ შორის უფროსი იყო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. რომლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ოზურგეთის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, არასრულწლოვანთა მუშაობის ხაზით, კომისიის მდივნად.

ავთანდილი ბავშვობიდანვე ოცნებობდა იურისტის მეტად რთულ, მაგრამ საპატიო პროფესიაზე. ოცნება აისრულა, სამუ-

შაოც მშვიდი და უშფოთველი ჰქონდა. მაგრამ, მისი დაუოკებელი ენერგია ერთფეროვნებას ვერ იტანდა. ხვდებოდა, რომ უფრო მეტის გაკეთება შეეძლო. განსაკუთრებით აღელვებდა არასრულწლოვანთა დანაშაულის ჩადენის ფაქტები. სწორედ ამან გადააწყვეტინა მუშაობა დაეწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში.

1987 წლიდან, ავთანდილ გობრონიძე, მუშაობას იწყებს ოზურგეთის რაიონის შს განყოფილებაში, ჯერ არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორად, შემდეგ როგორც პერსპექტიული ახალგაზრდა, გადაჰყავთ სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილებაში ინსპექტორად.

ბუნებით კეთილმა და კაცთმოყვარემ, რომლის ხასიათში, საუკეთესო ადამიანურ თვისებებთან ერთად, კარგად იყო შერწყმული მაღალი პროფესიონალიზმი და ალღოიანობა, მალე მოიხვეჭა დამსახურებული ავტორიტეტი თანამშრომლებში და მთელ რაიონშიაც.

გურიის პოლიციის სამხარეო სამმართველოს ყოფილი უფროსი ვ. გობრონიძე იგონებს: „ავთომ მოკლე დროში აითვისა და გამოაელინა პოლიციის მუშაკისათვის შესაშური თვისებები, იგი სისტემატიურად მონაწილეობდა განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ოპერატიულ –სამძებრო ღონისძიებებში. ფლობდა მდიდარ ინფორმაციას დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებზე, რასაც უნარიანად იყენებდა ყოველდღიურ საქმიანობაში. მისი ინფორმაციის საფეძველზე გაიხსნა არაერთი მძიმე დანაშაული. განყოფილების ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია ახალბედა პოლიციელის შესაძლებლობები, უნარი, მებრძოლი სული და სულ მალე იგი დაინიშნა რთულ და საპასუხისმგებლო სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსად, ბოლოს კი განყოფილების უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დააწინაურეს“.

ასრულდა მისი დიდი ხნის ოცნება. ხელმძღვანელობის ნდობამ მას ახალი ძალა შესძინა. ახალ სამსახურში კიდევ უფრო გამოჩნდა მისი შესაძლებლობები. ვერცხლისწყალივით მოძრავი, მუდამ ახლის ძიებაში იყო. ჰქონდა ორგანიზატორული ნიჭი. შეეძლო კოლეგები აეყოლიებინა დასახული მიზნის მისაღწევად. ფლობდა საოცარ უნარს, პიროვნებებში გარეგნული ნიშნების მიხედვით, ამოეცნო პოტენციური დამნაშავე.

აი, მაგალითად: 1988 წლის ივლისში, დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა, რუსთაველის ქუჩაზე დააყაჩაღეს ერთ-ერთი ოჯახი. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ მოხერხდა „ცხელ კვალზე“ დანაშაულის გახსნა და დამნაშაველების დაკავება. მომხდარი ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ, განყოფილებაში პირად საქმეზე მოვიდა ოზურგეთში მცხოვრები ი.ე. ზედმეტსახელად „ხათაბალა“. ამ დროს სამორიგეო ნაწილში მყოფმა ავთომ, დაი-

ნახა თუ არა მოქალაქე ი. ე. კოლეგების გასაგონად ჩაილაპარაკა, „ახლა ნახეთ აქ რა მოხდებაო“ და „ხათაბალა“ აიყვანა თავის სამუშაო კაბინეტში. დაახლოებით ნახევარ საათში დაბრუნდა სამორიგეოში, კარგ ხასიათზე იყო და ხუმრობით გვითხრა, „ხომ გითხარით დანაშაულს ფერფლზე ეხსნიო“, თან შემოიყვანა ეჭემიტანილი, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული. გაიხსნა საქმე. ასევე დაადგინა და დააკავა კიდევ ორი ბოროტმოქმედი. ასეთი ფაქტების გახსენება მრავალად შეიძლება.

საკმაოდ რთულ დროს მოუწია მოღვაწეობა ავთანდილ გობრონიძეს. პერიოდი მძიმე იყო, როგორც მთლიანად ქვეყნისათვის, ასევე ოზურგეთის რაიონისათვის. — შეიარაღებული ბოროტმოქმედები და სხვადასხვა ჯგუფის ბანდფორმირებები, მშვიდობიან მოსახლეობას დაუნდობლად აწიოკებდნენ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო ძარცვა-ყაჩაღობები, მკვლელობები. ავთანდილი ძალიან გამბედავი და ეაუკაცური შემართების ბიჭი იყო. მას მარტო შეეძლო ყაჩაღისა თუ მკვლელის პოლიციის განყოფილებაში მიყვანა.

ავთადილ გობრონიძის მიერ გაკეთებული ცხოვრებისეული არჩევანი — მუშაობა დაეწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, არავის გაკვირვებია. ბუნებით კეთილმა და კაცთმოყვარემ, რომლის ხასიათშიც, საუკეთესო ადამიანურ თვისებებთან ერთად, კარგად იყო შერწყმული ინტელექტი, მაღალი კულტურა, პროფესიონალიზმი და ალღოიანობა, მალე მოიხვეჭა დამსახურებული ავტორიტეტი. თითქმის მის გარეშე არ ტარდებოდა არც ერთი ოპერატიული ღონისძიება. მომაკვალი ნათელ ფერებში ეხატებოდა. „მაგრამ, ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვინმეს განა?“ მოულოდნელად შემოაღამდა 43 წლის ვაუკაცს, წუთისოფლის გზაზე. არაკაცებმა შვილის უბედურება არ აკმარეს — ჩაის ფაბრიკის დაცვაში მუშაობდა და 1993 წლის 16 სექტემბერს სამუშაო ადგილზე ნახეს მოკლული, 22-ე ღღეს კი, ავთანდილი მოკლეს.

„იმდენად მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი, რომ თავზარდაცემულმა, ვერ გავიცნობიერე შვილის შემდეგ კიდევ მეორე უბედურება. სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან მშვიდობით ჩამოდი, შენს მშობლიურ კუთხეში რა მოხდა... ქართველმა გაგწირა, ქართველებმა არ დაგინდეს წვერმოშეებული, მგლოვიარე მამა. უბედურება, უბედურებას შეემატა შენს ოჯახში. ახლა სამუდამოდ ხარ ჩახუტებული შენს 21 წლის შვილს.

აღარ დაუბრუნდები შენს საყვარელ ცოლშვილს, შენს ტანჯულ დედას, საბრალო მამაშენმა ვერ გაუძლო ამდენ უბედურებას და უკვე 2 წელია თქვენთან წამოვიდა. შენი საფიცარი ძმა, ახლობლები, მეგობრები ვერ ვეგუებით უშენობას — ძალიან გვენატრები. ჩემზე უბედური ჩემო ავთო, ირგვლივ არავინ მეგულება.

15 წელია, დედამიწას ამძიმებს შენი მკვლელების ცოდვილი არსებობა. ალბათ დაიმედებულნი არიან ნაძირალები და მათი ახლობლები დაუსჯელობით. დაიმედებულნი, რამეთუ არ იციან, რომ ღმერთის წინაშე წარსდგომა მკვლელის სახით, უფრო მძიმეა, ვიდრე ადამიანების მიერ დადებული მსჯავრი. – ხანდახან თვალებს დავხუჭავ და ფიქრებით წარსულს ვუბრუნდები. თერმე რა ბედნიერი ვყოფილვარ მაშინ, როცა ჩემს საყვარელ ადამიანებთან ერთად ვიყავი – ამბობს ავთანდილის მეუღლე ქალბატონი ვენერა. – შენი შვილიშვილი, რომელსაც არც მამა ჰყავს და არც ბაბუა. უკვე 12 წლისაა. თითქოს რაღაცას ხედება, აღარ ელოდება მამიკოს. იცის, რომ მისი ლამაზი და საყვარელი მამიკო, აღარასოდეს დაბრუნდება. ასე მივყვებით წუთისოფლის ნარეკლიან გზას, საყვარელი ადამიანების გარეშე და მასზე ფიქრით. იმედს არ ვკარგავ, რომ როცა ჟამი დადგება, იმქვეყნად ორთავეს შეეხვდები. ამაზე ფიქრი მაძლებინებს და კიდევ ჩემი პატარა ავთო...

გთხოვ, ცისფერ ზმანებად მოველინე შენს ტანჯულ ოჯახს, ღმერთმა ნათელში გამყოფოს შენს შვილთან და მამაშენთან ერთად"

განყოფილების თანამშრომელი მ.სიხარულიძე იგონებს: „თითქოს განყოფილებას მსხვერპლი და დაღუპული ბიჭები აკლდაო, ისევ მოვიდა ამბავი, ავთოს დაღუპვის შესახებ.

ბიჭები, ჩვენი დახოცილი ბიჭები, მიწაში ჩარიგებული სანთლები, ცრემლთან ერთად ჩაყლაპული იმედები. შენც მათ მიემატე ავთო გობრონიძე, ვის მხრებზეც განყოფილება იდგა.

ტკიცილის გორაზე იდექი, და გტანჯავდა 21 წლის, უდროოდ შეწყვეტილი შვილის სიცოცხლე... ყველაფერი გაფერმკრთალდა, სიხარულს ძალა დაეკარგა. ცხოვრებამ დუელში გამოგიწვია და არც ამ გამოწვევაზე გითქვამს უარი. ისინი ბევრნი იყვნენ, შენ კი მარტო წახვედი, წახვედი და, რაც შემდეგ მოხდა... გედის სიმღერასავით იყო... ასე ნაადრევად დასრულდა კიდევ ერთი ლამაზი კაცის, ლამაზი სიცოცხლე".

ავთო გობრონიძე სინდისითა და მაღალი გრძნობებით იყო განმსჭვალული. მან თითქმის ყველაფერი გამოსცადა ამ ქვეყანაზე, სიყვარულიცა და სიძულვილიც, მტრობაცა და გატანაც, მეგობრის გვერდში დგომაც და მოწინააღმდეგის ტყვიაც. დრო არ გამოდგა მისი დაღუპვით გამოწვეული ტკივილის მკურნალი. ტკივილი ტკივილად დარჩა, მაგრამ სამაგიეროდ მისი სახელი ყოველთვის იქნება ვაჟკაცობისა და პროფესიონალიზმის საუკეთესო გამოვლინება.

კეთილშობილურ საქმეს შესწირა თავისი სიცოცხლე

მიხეილ ბარამიძე

პოლიციის მაიორი, ლანჩხუთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ერთ-ერთი სამსახურის ხელმძღვანელი მიხეილ ბარამიძე, იმ გამორჩეულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც თავისი ადამიანობითა და კაცურკაცობით წარეშლელი კვალი დატოვა მეგობრებისა და ახლობლების მეხსიერებაში. იგი ისეთი პიროვნება იყო, რომელსაც ამბობენ – ნამდვილი მეგობარი, ნაღდი პოლიციელი, სიკეთისა და სიყვარულის მთესველი ადამიანი.

ჩვენო მიხეილ, საოცრად გიყვარდა შენი საქმე, სიცოცხლე, შენი საფიცარი პატარა ქალიშვილი ია, რომელიც დაღუპვის დროს მხოლოდ 7 წლისა იყო, დღეს კი 22 წლისაა. ყველას ძალიან ენატრები, შენ ხომ ნუგეშისმცემელი, გულის ტკივილის გამშიარებელი და სიკეთით სავსე პიროვნება იყავი. გჯეროდეს შენი ოჯახის წევრები, შენგან დატოვებული გულის სითბოთი ცხოვრობენ და ამავე დროს, ამაყობენ, რომ შენი გმირობით და თაგანწირვით სხვებს სიცოცხლე შეუნარჩუნე.

ადამიანს, დაბადებიდან სიკვდილამდე, უფლის მიერ წინასწარ აქვს განსაზღვრული ცხოვრების გზა და ბედნიერებაა, თუ იგი ღირსეულად ჩაიბარებს ამ გამოცდას. შენ ეს შესძელი...

მიხეილ ლუარსაბის-ძე ბარამიძე დაიბადა1952 წლის 5 ოქტომბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგოითში. დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. მუშაობდა რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობაში. გაიწვიეს სამხედროსავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ დაამთავრა ქ. თბილისის მილიციის სპეციალური სკოლა და მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, სადაც იმსახურა სიცოცხლის ბოლომდე.

მუშაობის დაწყებისთანავე, მიხეილმა თავი გამოიჩინა მინდობილი საქმის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებით, რის გამოც, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის. ახალგაზრდა პოლიციელის მონდომება, ლანჩხუთის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მალე მიხეილი საზოგადოებრივი წეს-

რიგის დაცვის ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობაზე დააწინაურეს.

მომავალი ცხოვრება ნათელ ფერებში ეხატებოდა. ჰქონდა საინტერესო საქმე. ჰყავდა საყვარელი ოჯახი, რომელიც პატარა იას დაბადებამ კიდევ უფრო გაალამაზა. მიხეილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მომავალზე ოცნებობდა. მაგრამ, სხვაგვარად სჯიდა თურმე მუხთალი წუთისოფელი.

1994 წლის 29 მარტს, 21 საათსა და 30 წუთზე, ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილების სამორიგეო ნაწილში, უცნობი პირისაგან ელსმენით მიღებული შეტყობინების საფუძველზე, ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც პოლიციის მაიორი მიხეილ ბარამიძეც იყო, დაუყოვნებლივ გავიდა შემთხვევის ადგილზე, ქ. ლანჩხუთში, წმინდა ნინოს ქუჩაზე, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ ბინაზე შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით. ოპერატიული ჯგუფის წევრებმა, შეიარაღებულ ბოროტმოქმედებს, დანაშაულის ფაქტზე იმ დროს წაასწრეს, როცა ისინი დაზარალებული ოჯახის წევრებს ფიზიკური ძალისა და იარაღის გამოყენების მუქარით სძალავდნენ დიდი ოდენობით ფულს და ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ სამკაულებს. პოლიციის მაიორმა, მიხეილ ბარამიძემ, კანონიდან გამომდინარე, კბილებამდე შეიარაღებულ ბოროტმოქმედებს შესთავაზა დამორჩილებულიყვნენ და იარაღი დაეყარათ. კაცთმოყვარე თხოვნას ბოროტმოქმედებმა ავტომატური იარაღებიდან ცეცხლის გახსნით უპასუხეს. შეტაკებისას ერთი დამნაშავე დაიჭრა, ასევე მძიმედ დაიჭრნენ გამბედაობითა და პრინციპულობით გამორჩეული მიხეილ ბარამიძე და მისი მეგობარი, იმედის მომცემი ახალგაზრდა თემურ ძაძამია, რომლებიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალნენ.

ცრემლიანი და ტკივილიანია მიხეილის დის, თამარ ბარამიძის მოგონება: „რა უნდა მოვიგონო, მყავდა ერთადერთი ძმა, რომელიც უსომოდ მიყვარდა. მიხეილი გამოირჩეოდა ოჯახის წევრებისა და საერთოდ მის გვერდით მყოფთა მიმართ უაღრესად გულთბილი და კეთილი დამოკიდებულებით. იგი უაღრესად ყურადღებიანი შვილი, ძმა და ცოლშვილზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი იყო. შეიძლება ითქვას, რომ მას საათობით შეეძლო თავის ერთადერთ ქალიშვილზე – იასე საუბარი. სიყვარულით ყვებოდა: „იაკო ასე ამბობს ჩემზე, –მიშიკო კარგი ბიჭიაო", მის ნათელ მომავალზე ოცნებობდა, „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს, განა?"

მისი ოცნება იყო უმწიკვლოდ ემსახურა შინაგან საქმეთა ორგანოებში, დაემკვიდრებინა სამართლიანი, კაცთმოყვარე და მართლწესრიგის ღირსეული დამცველის სახელი და ამ კეთილშობილურ საქმეს შესწირა თავისი სიცოცხლე. მიხეილის

დაღუპვამ დიდი ტკივილი და მწუხარება მოგვაყენა. დროს არ წაუშლია არაფერი. ისევ გვტკივა ის დღე, მწარედ გვტკივა. მოგონებებით ვცხოვრობთ ჩემო უიღბლო ძმაო, გვინდა იცოდე, რომ დღესაც შენი სულის სითბოთი და მოგონებებით ვცხოვრობთ, ღმერთის შემწეობის ქვეშ ყოფილიყოს შენი კეთილი და ეაჟკაცური სული."

„ერთი გოგო ჰყავს, ია ბარამიძე, რომელიც ამჟამად სწავლობს თბილისის იუანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის მე-5 კურსზე. ძალიან გულჩათხრობილია. ბევრი უსამართლობა ნახა და ამან იმოქმედა მის არჩევანზე. ფაქტიურად ორ დას ერთი შვილი გვყავს, – აღნიშნა მიხეილის მეუღლემ, რომელიც ინფექციურ საავადმყოფოში მუშაობს. – მიხეილს არც მშობლები დარჩა, დედა 40 დღის გარდაცვლილი იყო, შვილის სიკვდილი არ გაუგია, მამამისი კი 1979 წელს გარდაიცვალა."

ოჯახი ნიგოითში მეწყერულ ზონაშია, მისასვლელი გზაც არ არის. დღემდე დაუდგენელია მკვლელის ვინაობა. ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, ოსურგეთელი ართილაყეა, რომელიც შეტაკების დროს დაიჭრა, საავადმყოფოში იქნა მიყვანილი და იქ ჩაქოლეს. როგორც თვითმხილველები ამბობენ აპირებდა ეთქვა სიმართლე, მაგრამ ხალხი ისე იყო განრისხებული, რომ ფაქტიურად ვერ მოხერხდა მისი დაცვა და დაკითხვა. კიდევ ერთი დამნაშავე – წილოსანი დააკავეს, თუმცა მათი რიცხვი 5-6 შეადგენდა. აქტიურად, საქმე ბოლომდე არ არის გახსნილი. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ მისი მკვლელი დაუსჯელი იყოს. მიხეილს ხომ ორი სხვადასხვა ავტომატიდან გასროლილი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

დიდი ხანია ბოროტის ხელიდან დაღვრილი სისხლი პასუხს და განაჩენს ელის და როცა იქნება, ადრე თუ გვიან, მიხეილის ეაჟკაცობა, სამართლიანობა და უფლის რისხვა მიაგებს საკადრის სასჯელს.

42 წლის ასაკში დატოვა მიხეილმა ეს წუთისოფელი. თავისი ხანმოკლე, მაგრამ ეაჟკაცური სიცოცხლე სასახელოდ განვლო, თავი არასოდეს შეურცხვენია. სითბო, სიყვარული და ერთგულება გამოსჭვიოდა მისი ნათელი თვალებიდან. აი, ასეთ ეაჟკაცს მოუსწრაფეს სიცოცხლე ვერაგულად და არ აცალეს ტიალი წუთისოფლისათვის ბოლომდე ეთქვა თავისი სათქმელი.

ცოტახანს იცხოვრა, მაგრამ ლამაზი ცხოვრებით

შოთა თაქდგირიძე

ვინც პატივს სცემდა სიკეთეს, სილამაზეს, კეთილშობილებასა და ადამიანისათვის ძვირფას თვისებებს, არასოდეს დაავიწყდება და მარად ემახსოვრება კეთილი, სპეტაკი და მოუსვენარი სულის კაცი, შოთა თაქდგირიძე. რომელმაც, თავისი უდროო დალუპვით, მოუშუშებელი იარა დაუტოვა ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს... რომლებსაც, დღეს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, ილოცონ მისი სულისათვის და უფალს სთხოვონ მარადიულ ნათელში ამყოფოს იგი.

შოთა ხასანის ძე-თაქდგირიძე დაიბადა 1959 წლის 12 სექტემბერს, შუახევის რაიონში, სოფელ ახალდაბაში. წარჩინებით დამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. შემდეგ მოიხადა სამსედრო-სავალდებულო სამსახური. ოჯახს გვერდში ამოუდგა, შრომა არ ეთაკილებოდა. შრომისმოყვარე და გამრჯე, ლამაზი სულის, კეთილი ხასიათის, მოსიყვარულე გულის ჭაბუკს, რომელიც თავის ირგვლივ სიკეთის ნათელს დაუნანებლად აფრქვევდა, არ უჭირდა ადამიანებთან ურთიერთობა. ალბათ ეს იყო მი'ზე'ზი, რომ უამრავი მეგობარი და ტოლ-ამხანაგი ჰყავდა.

იგი ბავშვობიდანვე სამართლიანი, კეთილი, ალალმართალი ხასიათით გამოირჩეოდა. მის მშობლებს, ქალბატონ ეკეკუნა და ბატონ ხასან თაქდგირიძეებს, დიდ პატივს სცემდნენ შუახევის რაიონში. მშობლებმა დიდი გაკვლენა მოახდინეს ოჯახის ერთადერთი იმედის პიროვნულ ჩამოყალიბებაზე. შოთამ თანამედროვე ქართული ოჯახი შექმნა. მალე ქალ-ვაჟიც შეეძინა და ძალიან გაიხარა პირველ რიგში, დედის გული. 1988 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადმოდის ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში. შოთამ ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1993 წელს წარმატებით დაამთავრა იგი. არავის გაკვირვებია, როცა შოთამ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, სამუშაოდ შინაგან საქმეთა ორგანოებს მიაშურა. სწორედ ასეთი სპეტაკი ადამიანები ამშვენებენ პოლიციას. შოთა თაქდგირიძემ მალე დაიმსახურა ავტორიტეტი, რაც დაკის-

რებულ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების შედეგი იყო.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი თენგიზ რუსიეშვილი იხსენებს:

მე და შოთა თაედგირიძე ერთად ვმუშაობდით. ის იყო ალალ-მართალი, ვაჟკაცური, უშიშარი პიროვნება. უკან დახევა არ სჩვეოდა. არაკაცის ტყვიამ, საშუალება არ მისცა ჩემს მეგობარს, ამქვეყნიური ცხოვრებით დამტკბარიყო. არადა, იგი დღეს ჩვენს გვერდით უნდა იყოს. თავის ოჯახთან, მშობლებთან ერთად უნდა ეხარა, მაგრამ ვაი, რომ არ დასცალდა..."

არ დასცალდა თავისი უნარისა და შესაძლებლობების ბოლომდე გამომჟღავნება. საბედისწროდ გათენდა მისთვის 1994 წლის 23 მაისის დილა. სამსახურებრივი მოვალეობის შეს-რულების დროს, გმირულად დაიღუპნენ შოთა თაედგირიძე და მისი მეგობარი მურმან ჯანსოთელი. ასე ჩაქრა სამშობლოზე და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული ორი ჭაბუკის სიცოცხლე.

ცრემლიანი და ტკივილით სავსეა შოთას მეუღლის მაგული ქათამაძე-თაედგირიძის მოგონება, რასაც პირობითად უსაზღვრო მოლოდინის გრძნობა ეუწოდეთ:

"შოთა! მე შენთან მუდამ ბედნიერად ვგრძნობდი თავს, არ მეშინოდა არაფრის. შენთან ყველაფერი იოლი იყო. ვერ წარმო-მედგინა, რომ რაიმე გამიჭირდებოდა ან რაღაც განსაცდელში აღმოვჩნდებოდი. ძალიან ბედნიერი მეგონა თავი, მაგრამ

1994 წლის 23 მაისს, დილით გაგისტუმრე სამსახურში. ჩვეულებისამებრ დამემშვიდობე, დამარიგე და დამტოვე. 24-ში უნდა დაბრუნებულიყავი და მეც დილიდან გელოდებოდი. იმ სა-ბედისწერო დღის შემდეგ, სულ გელოდები ჩემო შოთა, გელოდები ყოველდღე უსაზღვროდ. ვერაფრით ვერ ვიკლავ ამ გრძნობას. მა-ინც მგონია, რომ დაბრუნდები და ისევ ერთად ვიქნებით. შოთა! ველარ ვძლებ, ვერ წარმოიდგენია უშენოდ ყოფნა. არ მჯერა, რომ ამ ქუჩაზე აღარ გაიარ, შენს სახლში აღარ შემოხვალ, აღარ გამახარებ, არ შემოიტან იმ სითბოს და სითამამეს, იმ სიყ-ვარულსა და სიცოცხლეს, რომელსაც შენ ასე უხვად გასცემდი.

ამიტომ, ვსივარ შენს ოთახში და გელოდებით, მე და შენი პატარა ქალ-ვაჟი, რომლებსაც შენ ველარ იხილავ და რომელთა აღზრდაზე წინასწარ ოცნებობდი. შოთა, შენ ხომ ძალიან გიყ-ვარდა ბავშვები, მეზობლის ყველა ბავშვს უწილადებდი სითბოსა და სიყვარულს. საკუთარი შვილების სიყვარულს კი ვერ მოეს-წარი.

მეცოდები შოთა და თან მენანები, რომ დიდი ბედნიერების უამს შეგაწყვეტინეს სიცოცხლე არაკაცებმა. სამუდამოდ დაემშვი-დობე შენს ოჯახს, ტანჯულ დედას, გამზრდელ ბებიას, ერ-

თადერთ ძმას, საყვარელ მეუღლეს, პატარა ქალ-ვაჟს, რომლებიც გაიზარდნენ ისეთები, როგორიც შენ გსურდა. ორთაველმ ოჯახი შექმნა. მალე შვილიშვილები გეყოლება. შოთა! იცოდე, რომ გელოდებით, ძალიან გვიყვარხართ, ძალიან გვენატრებით და სულ გელოდებით".

წავიდა შოთა თავდგირიძე და ოჯახის იმედიც ჩაიფერფლა. ეჰ, ვინ იცის, რამდენ ასეთ ვაუკაცს არ აცალეს აკიაფება. ნუგეშად ოჯახს ისღა დარჩენია, რომ მათმა ბრწყინვალედ აღზრდილმა ვაუკაცმა მოიხადა თავისი ვალი, ის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კეთილშობილურ სამსახურში დაიწყა და დაიფერფლა.

ჩვენი ეროვნული ხასიათის სიღრმეში ყოველთვის იყო და ახლაც დევს სამყაროსადმი რაინდული შემართება. ეს განგებისაგან ბოძებული წყალობაა, და იგი არც შოთასათვის მოუკლია უფალს. ცოტა ხანს, მაგრამ ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა. ტრაგედია სულს სწმენდს, ასპეტაკებს. თავისი ტრაგიკული სიკვდილით კი სიცოცხლე გვასწავლა შოთა თავდგირიძემ.

სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული კაცი

ივანე ბორჩხაძე

ცხოვრება იმითაც არის საინტერესო, რომ ადამიანმა არ იცის როდის ჩამორეკს მისი ამქვეყნად ყოფნის საბედისწერო ზარი. ეს, რომ ვიცოდეთ, ალბათ სიცოცხლე უაზრო და არაფრის მაქნისი იქნებოდა. ადამიანი ვიდრე ცოცხალია, არ შეიძლება ხელი ჩაიქნიოს, მან თავისი მისია უნდა შეასრულოს. სწორედ ამ მისიის შესრულებისათვის იბრძოდა ივანე ბორჩხაძეც, მაგრამ... არაკაცის ნასროლმა ტყვიამ, ნაადრევად დაუსვა წერტილი, მის სურვილებს.

2008 წლის ოცდასამ თებერვალს, თოთხმეტი წელი შესრულდა ივანე ბორჩხაძის გარდაცვალებიდან. მის ხალისიან და კეთილ თვალებში გაჩაფხულმა ოცდაჩვიტმეტჯერ მოასწრო მშვენიერ ფერთა აციაგება. შემდეგ კი, კიდევ ერთი კაცური კაცის სული გახდა ზეციური საქართველოს ბინადარი. ივანეს ტრაგიკულმა დაღუპვამ არამარტო მის ოჯახს, არამედ მთელ სოფელს თავზარი

დასცა. მიუხედავად თავისი ხანმოკლე ცხოვრებისა, მან შესძლო ყველას სიყვარული მოეპოვებინა და ამქვეყნიდან წასვლით გაუნელებელი ტკივილი დაეტოვებინა. ივანე ყველა ადამიანთან პოულობდა საერთო ენას, განურჩევლად ასაკისა და თანამდებობრივი ცენზისა. საამაყო მამულიშვილი, პატიოსანი, ალალი, კაცთმოყვარე, თავმდაბლობისა და უმაღლესი ზნეობის სიმბოლოდ დარჩა ახლობელთა გულებში.

„ივანე! ჩვენო დიდო იმედო და სიამაყეე! წლები კრიალოსანივით იმარცველება იმ საბედისწერო დღიდან, რაც ჩვენგან სამუდამოდ წასვედი და და დაგვიტოვე გაუსაძლისი ტკივილი და ტანჯვა. გვენატრები ძალიან და უსაშველოდ. შენი ღიმილი, შენი ჩვეული სუმრობა, ჭკვიანური საუბარი მენატრება შვილო. გვტკივა უშენობა. სიცოცხლე გწყუროდა, მრავალი კეთილი საქმე გქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ არ დაგაცალეს. არ დაგაცალა არაკაცმა და სრულიად ახალგაზრდას მოგისპო სიცოცხლე. გიყვარდა ყველა, მტერი თუ მოყვარე. უბრალო, კეთილი, ალალმართალი, ღიმილიანი ბიჭი იყავი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. რაც დრო გადის, მით უფრო გვიმწარდება ტკივილი. რით ვინუგეშო თავი გამწარებულმა დედამ, რა გამინელებს შენი ტკივილიანი სახელის მოგონებას. შენი სურათების წინ დანთებული სანთლების ცქერით დამიმძიმდა დღეები შვილო. შენ ყველაფერი გააკეთე საყვარელი სამშობლოსათვის. სხვაგვარად არც შეგეძლო, შენს ვაჟკაცურ ბუნებას უკან დახევა არც ეკადრებოდა, შენში ზეციური უფრო მეტი იყო, ვიდრე მიწიური. ამიტომ წახვედი ზეციურ სასუფეველში. ილოცე შვილო შენი მშობელი ქვეყნისათვის ზეციური საქართველოდან, ილოცე შენი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, რომ ტკივილი მცირედ მაინც დაგვიამდეს...“ — ცოცხალივით ესაუბრება შავად დათალხული დედა, ქალბატონი ელიკო თავის საყვარელ შვილს, ივანე ბორჩხაძეს.

ივანე ამირანის-ძე ბორჩხაძე დაიბადა 1962 წლის 11 ივნისს, ოზურგეთის რაიონის სოფ. ბაღდადში. ლაღი და უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა. მშრომელი გლეხის ოჯახში დაბადებულ ვაჟკაცს, სითბოსა და ალერსს არ აკლებდნენ მშობლები. ცივ ნიავს არ აკარებდნენ ნანატრ შვილს, ბებუას სახელი დაარქვეს, ბავშვობიდანვე ჩააგონეს, რომ ბებუა ვაჟკაცობით განთქმული, მეგობრებში უღალატო და პატიოსანი პიროვნება იყო, პატარა ივანეც ხშირად იმეორებდა თურმე, „რომ გავიზრდები მეც ბებუასავით კაცური კაცი უნდა გამოვიდეო“ და სიტყვისათვის არც უღალატნია.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მოიხადა სამხედრო — სავალდებულო სამსახური და სწავლა გააგრძელა თოიძის სახ-

ელობის სამხატვრო სასწავლებელ'ში. შემდეგ დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტი. ოჯახიც შექმნა. მალე პატარა დაეითმა და ნათიამ აახმიანეს ეზო-ეურე. „მოსწრებული მამა ვარო, რამდენიმე წელში შვილები დაიმბიეით ამომიდგებიან მხარში და მაშინ ნახეთ დაბნეული ხალხი, როცა ერთმანეთისაგან ჩვენი გარჩევა გაუჭირდებაო", ხუმრობდა თურმე ხშირად.

ივანეს ბავშვობიდანვე ალალი, კეთილი, უბოროტო ხასიათი ჩამოუყალიბდა. ვერ იტანდა ადამიანის დაჩაგვრას. მუდამ კეთილსა და სამართლიანს, სწორედ ასეთიოის ამ თვისებებმა გადააწყვეტინა პოლიციაში დაწყო მუშაობა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში ინჟინერ-მექანიზატორად, სადაც მანამდე მამამისი მუშაობდა. ორი წელი დაეყო აღნიშნულ თანამდებობაზე, მერე კოლმეურნეობაც დაიშალა და გადასწყვიტა მუშაობა გაეგრძელებინა შინაგან საქმეთა ორგანოებში. ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიგანეოფილებაში უბნის ინსპექტორად დანიშნეს. მინდობილ საქმეს აკეთებდა კეთილსინდისიერად, პროფესიონალურ დონეზე, რისთვისაც არაერთხელ იქნა წახალისებული.

1994 წლის 23 თებერვალი არასოდეს დაავიწყდებათ ოსურგეთის შინაგან საქმეთა განეოფილების თანამშრომლებს. ამ საბედისწერო ღღეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სოფელ ცხემლისხიდთან შეიარაღებულ ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას, ოთხი პოლიციელი დაიღუპა, მათ შორის იყო ივანე ბორჩხაძეც.

ივანე ბორჩხაძის ოჯახის ახლობელი და მეგობარი ქალბატონი ლიანა ცხომელიძე იგონებს: „ივანე უზომოდ კეთილი, თბილი და საიმედო იყო. ცრემლით და ტკივილით გაეიდა 15 წელიწადი. ღღეს მას მონატრება ჰქვია და სხვას ვერაფერს ეპირდებით, გარდა მარადიული მოგონებისა. მასზე მოგონებას შელამაზება არ სჭირდება, რადგან სიცოცხლეშიეე ლამაზი იყო სულით ხორცამდე. სიცოცხლეზე უზომოდ შეეყვარებულ ვაჟკაცს ბავშვიეით უმანკო და წრფელი გული ჰქონდა. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, ასეთი მოსიყვარულე და ეურადღებიანი ეოფილიყო საკუთარი ოჯახის მიმართ. ოჯახური კერა, ეს რაღაც ღვთაებრივი სახატე იყო მისთვის. ალბათ განგების ხელი ერია იმაშიც, რომ მას ცხოვრების გზაზე ისეთი თანამეცხედრე შეახვედრა, როგორიც ირმა ძერგოლაშვილია. როცა ამ მოგონებას ვწერ, ძალიან მინდა გრძნობებს მოვერიო და ისე დავამთავრო სათქმელი, მაგრამ ვატყობ ვერ შეეძლებ, ივანე... იმდენად დიდია შენი დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი. შენს მარადიულ სახსოვარს კვლავ ალალ ცრემლებს ვატან. შენი სიკვდილი მგლოვიარე ზართა

კიეილი იყო, მას შემდეგ უზარმაზარი გაუნელებელი ტკივილი ხარ ჩვენი!... ბევრი ოცნება დაგრჩა შეუსრულებელი, ბევრის გაკეთება ვერ მოასწარი, მაგრამ რაც შესძელი, ისიც საკმაებით საკმარისია იმისათვის, რომ უკვდავთა შორის დაიმკვიდრო ღირსეული ადგილი...“

ივანე ბორჩხაძეს დარჩა მეუღლე, მშობლები და ქალ-ვაჟი. დაკით ივანეს-ძე ბორჩხაძე 22 წლისაა, დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტი და რკინიგზის დეპარტამენტში მუშაობს ენერგეტიკოსად. ნათია კი 18 წლისაა. უცხო ენების სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტია. ივანეს ხსოვნა მათთვის მუდამ წმინდა საფიცარი იქნება. მოგონებებით ცხოვრება ოჯახის წევრებისათვის ერთადერთი ნუგეშია. რადგანაც, სამართლიანად ეამაყებათ, რომ იგი საქართველოს სიყვარულს შეეწირა და მის გმირობას არასოდეს დაივიწყებს სამშობლო.

„გადაუარა ბალახმა, საფლავს, სიცოცხლის წერტილს, შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ. ჩვენ არ ვარსებობთ, შენთვის“.

სიხარული ცრემლმა შეცვალა

თემურ (ოლეგ) ძაძამია

თემურ (ოლეგ) ძაძამიამ, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ცხოვრების ლამაზი და შინაარსიანი გზა განვლო. დაუდგრომელი ბუნების პიროვნებამ, მშვიდ გარემოში საქმიანობას, პოლიციის მუშაკის რისკიანი ცხოვრება არჩია. მისთვის არაფერი დაუკლია ღმერთს. სილამაზე, ნიჭი, ვაჟკაცობა, შინაგანი ძალა, ემოცია, იუმორისა და მშვენიერების შეგრძნების უნარი, მის პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შერწყმული.

თემურ (ოლეგ) ჰარმენის-ძე ძაძამია დაიბადა 1961 წლის 16 სექტემბერს, სენაკის რაიონის სოფელ ლეძაძამეში. 1978 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. რომლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო-საკალდებულო სამსახურში. 1983 წელს, საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ,

მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე ბრძოლებში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც უშიშარმა და ბრძოლისუნარიანმა მუშაკმა.

თემური ბუნებით აქტიური პიროვნება გახლდათ. არასოდეს კმაყოფილდებოდა მიღწეული შედეგით, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიმართლის სიყვარულით, ვერ იტანდა ადამიანის დაჩაგვრას. სასიათის ამ თვისებებმა მოიყვანა იგი შინაგან საქმეთა ორგანოებში. უზომოდ გახლდათ შეყვარებული თავის საქმეზე. კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც მალე მოიხვეჭა დამსახურებული ავტორიტეტი თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის.

– ქორწილს მალე გადავიხდიო, – დააიმედა დედა. მაგრამ ვაგლახ, რომ პირობა ვერ შეასრულა და თვალცრემლიანი დატოვა მშობელი, – არ დასცალდა ერთი შვილი მაინც დაეტოვებინა ჩემდა საბედნიეროდ – იცრემლება დედა. სამაგიეროდ ერთი ნუგეშიღა დაუტოვა ღმერთმა გაუბედურებულ ქალს. მეორე შვილიდან შემენილი პატარა ოლეგ ძაძამია, რომელიც არა მარტო ბიძის სეხნიაა, სახითაც ძალიან ჰგავს მას. პატარა ოლეგი ბიძას სურათებიდან იცნობს და მისი სურათის წინ ლოცულობს.

როდესაც აფხაზეთში ცოდვის კალო დატრიალდა, დედა სულ თემურის მოლოდინითა და იმედით იყო სავსე. ეზოს ჭიშკრისკენ გაურბოდა ყოველ წამს თვალი. ახლა კი მის თვალებში მწუხარება და ტკივილი ჩაბუდებულა. ძაძით მოსილი ქალი ცრემლშეუმშრალი იხსენებს მის ბავშვობას, სიყმაწვილეს. შვილები ეფერებიან დედას, ამშვიდებენ, ცდილობენ ვარამი შეუმსუბუქონ, მაგრამ რა ძალა შეაესებს თემურის დაკარგვით გამოწვეულ სიცარიელეს?

დიახ, მხოლოდ 32 წელი იცოცხლა და ჭაბუკი დარჩა მარად. ნაადრევად ჩაქრა მზის შუქი მის მეოცნებე თვალებში, ასევე მოულოდნელად დაბნელდა სხივნათელი ზეცა დედისათვის, სიხარული ცრემლმა შეცვალა, ლხენა ტკივილმა, იმედი – უიმედობამ.

საბედისწერო გამოდგა თემურისა და მისი მეგობრის მიხეილ ბარამიძისათვის 1994 წლის 29 მარტის საღამო. ქ. ლანჩხუთში, წმინდა ნინოს ქუჩაზე, ბოროტმოქმედების მიერ ნასროლმა ტყვიებმა შეიწირა ჭაბუკების სიცოცხლე.

პოლიციის ოპერატიული ჯგუფის წევრებმა, შეიარაღებულ ბოროტმოქმედებს, დანაშაულის ფაქტზე იმ დროს წაასწრეს, როცა ისინი დასარალებული ოჯახის წევრებს იარაღის გამოყენებით სძალადებენ დიდი ოდენობის თანხას და ძვირფასეულობას.

კბილებამდე შეიარაღებული ბოროტმოქმედები არ დამორჩილდნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნებს და ცეცხლი გაუსნეს მათ. რა დროსაც დაიჭრა ერთი ბოროტმოქმედი და ორი პოლიციელი — მიხეილ ბარამიძე და თემურ ძაძამია, რომლებიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალნენ.

როგორც აღვნიშნეთ, მის ლამაზ სიცოცხლესთან ერთად, ნაიფერფლა მრავალი აუხდენელი ნატვრა და ოცნება, სიყვარული და ბედნიერება. ლამაზ მომავალზე მეოცნებე ვაუაცს, ფრთა შეუკვეცა და სული მისი, წინაპართა გმირულ გალერეას შეუერთდა ზეციურ საქართველოში.

„საცალფეხო ბილიკი, ჩემთვის ამირჩევია“

ოთარ ურაბაძე

არა, ტყვიას ნამდვილად არ ელოდა, ავტოსაგზო არ დაინდო, ესროლა მოულოდნელად, ყურაგულად...

თავად იცოდა, სხვების სიცოცხლეს, საკუთარი სიცოცხლე კი ვერ დაიცვა...

ბოლო წუთამდე, ოთარ ურაბაძისათვის, არ არსებობდა მარტივი და რთული საქმე. საფრთხე არაერთხელ დამუქრებია, მაგრამ მან არ იცოდა რა იყო შიში. ყოველთვის ჯიქურ, პირდაპირ ეკვეთებოდა საქმეს. იმ კრიტიკულ მომენტში მან გააცნობიერა თავისი ნაბიჯების აუცილებლობა და უკან არ დაუხევია.

...თითქოს იცოდა, თითქოს გრძნობდა ბედისწერის განანენს და ცდილობდა მოესწრო ყველაფერი. ყველასთვის გაენაწილებინა სითბო და სიყვარული, კაცური კაცის სახელი დაეტოვებინა.

მაღალი, შავთვალწარბა, მუდამ ღიმილიანი, გრძნობდა ყველას სიყვარულს, ამიტომ თავადაც ყველას მეგობარი, გულშემატკივარი გახლდათ.

იყო წინააღმდეგობებით აღსავსე წლები. სიძნელეები, ფიქრი, განსჯა, მომავლის რწმენა გახლდათ მისი მეგზური. დიდი ნებისყოფა, გამჭრიახობა, საქმისადმი სიყვარული, უტყუარი ალღო, ადამიანისათვის თავგანწირვა, მინდობილი საქმის მაღალი პასუხისმგებლობით შესრულება, ამხანაგების, მეგობრების ყველაფერში

დგომა... ყველა ამ თვისებით იყო დაჯილდოებული ოთარ ურატაძე. მასთან ერთად, ნებისმიერ რთულ ოპერაციაზე წაიყოდა კაცი. ის ყოველთვის წინ მიიწევდა, კოლეგებს არასოდეს უღალატებდა. არც მათგან ელოდა ღალატს. თუმცა ზოგჯერ არ მოსწონდა ცალკეული კოლეგის პოზიცია. ყოველთვის წინა ხაზზე იყო, გვამხნევებდა, რწმენას გვიმტკიცებდა. ვინ იცის რამდენი ადამიანის სიცოცხლე უხსნია... თავი ვერ დაიცვა არაკაცისგან. გასაგებია, რადგან თავის დასაცავად უკან დადგომა არ შეეძლო. პირდაპირი და მართლის მოქმელი იყო. ამასვე მოითხოვდა მეგობრებისაგან. ადამიანის გაჭირვებაში მიტოვება არ იცოდა. მტკივნეულად განიცდიდა ყოველი არაკაცის მოქმედებას. სწორედ მათთან ბრძოლას შეალია 23 წელი.

ოთარ დავითის-ძე ურატაძე დაიბადა 1937 წლის 26 მაისს, ლანჩხუთია რაიონის სოფ. აცანაში. 1948 წელს დაამთავრა აცანის საშუალო სკოლა. 1970 წელს კი — ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სისხლის სამართლის სპეციალობით და 1971 წელს მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შს რაიგანყოფილებაში. წლების განმავლობაში მუშაობდა სს სამძებრო აპარატში. სწორედ აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, პროფესიონალი მუშაკი.

პროფესიონალიზმი და შემართება შეუმჩნეველი არ დარჩენილა გურიის სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელობისათვის და მას აღნიშნული უწყების, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსად აწინაურებენ, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლო წლებში. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის, იგი არაერთხელ იქნა დაჯილდოებული და წახალისებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ. მიღებული ჰქონდა სამკერდე ნიშნები „უმწიკელო სამსახურისათვის“, ასევე სახელმწიფო საზღვრის დამრღვევის დაკავებისათვის.

ოთარ ურატაძეს მეგობრები ზედმეტსახელად „ჯიგაროს“ ეძახდნენ. მართლაც ჯიგარი და მკაცრი კაცი იყო. ერთგულად ემსახურა სამშობლოს და თავის ხალხს.

ცრემლიანი და ტკივილიანია ოთარ ურატაძის მეუღლის, ქალბატონ მანანა კვაჭაძე-ურატაძის მოგონება: „დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს მოველინე ამ ქვეყანას. სიღარიბესთან და ობლობასთან ერთად, მთელი ცხოვრების მანძილზე, დამოუკიდებლად მიუყვებოდი ცხოვრების აღმართს. მაგრამ ვინ დაგაცალა სიცოცხლე დაღლილ-დაქანცულს, ომებგადახდილს, თან ახალ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით სიხარულით აღსავსეს. ძალით წაგართვეს ღვთის მიერ ნაბოძები სიცოცხლე. მოულოდ-

ნელი არა. მაგრამ უეცარი კი იყო შენი სიკვდილი. ალბათ ვიღაცას შეეშინდა, ვიღაცას შეშურდა კიდეც და აღარ დაგაცალეს ახალ სამსახურში, ახალ თანამდებობაზე გასვლა, რათა ერთხელ კიდევ გვრცენებინა და დაგემტკიცებინა, რომ არა ვინმეს და არა რამეს, არამედ მხოლოდ კანონის სამსახურს მიუძღვენი მთელი შენი სიცოცხლე.

იმედი არ დაგვიკარგავს, საავადმყოფოში წაგიყვანეთ, გვეგონა კიდევ ერთხელ ვაჯობებდით სიკვდილს. ერთხელ, სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, არაკაცებმა ლაჩრულად, უკანიდან მიპარეით სცადეს მისი სიცოცხლის ხელყოფა. მიუხედავად მიღებული სერიოზული ტრავმისა (თავი ჰქონდა დაზიანებული), სფინქსივით აღსდგა. მეორედაც იგივე გაიმეორეს არაკაცებმა. შენი სხეული ჯერ კიდევ თბილი იყო, შენი მკვლელის ვინაობა, რომ ჩამახეს და გამაგებინეს, მაგრამ არასოდეს მიზრუნია სამაგიეროს გადახდისათვის. პირიქით სიცოცხლის ფასად მიჯდებოდა შეილებისათვის ცხელ კვალზე მამის სისხლის აღებაზე ხელი რომ შემეშალა. მწამდა და დღესაც მწამს, უფალი არ აპატიებს და სასტიკად დასჯის შენს მკვლელს, მის მიერ ნაბოძები სიცოცხლის ძალადობრივად წაგლეჯისათვის. შენ ჩვენთვის იმდენჯერ კვდები, რამდენჯერაც გაივლით იმ ადგილას, სადაც მკვლელობა მოხდა, სახლთან ახლოს 60 მეტრში (შეუძლებელია იმ ადგილის გვერდის აცილა ოჯახთან სიახლოვის გამო). პოლიციაზე შეეკარებული კაცი იყავი და ოჯახის სიყვარულზე წინ აყენებდი თითქმის. სხვები რომ ჩინებს და სიმდიდრეს აგროვებდნენ, შენ შენთვის და შენი ოჯახის წევრებისათვის მტერს იმრავლებდი. ყოველთვის ეფიქრობდი, რომ საწოლში სიკვდილი არ გეწერა და საუბედუროდ ასრულდა კიდეც.

ჩვენი ოჯახის ყველა წევრი, უახლოესი ნათესავები, მეგობრები და ნაცნობებიც კი, მუდამ სიამაყით იხსენებენ შენს მიერ გავლილ გზას, რომელიც საკმე იყო ისტორიული თაეგადასავლებით, კურიოზებით, ხიფათებით და ანეკდოტებად ქცეული ლეგენდებით, რომელმაც მხოლოდ 58-ჯერ მოასწრო გაელვება ჭექა-ქუხილის თანხლებით, ამ მუხანათი წუთისოფლის ცაზე.

მთელი შენი არსებით განუმეორებელი პოლიციელი იყავი, ვაჟკაცი, უშიშარი, წესრიგიანი, მუდამ ფორმაში მყოფი. შენეული ხიბლით ერთეულები იბადებიან. შენი სიკვდილის მერე, ცხოვრების ითლი გზა არ მქონია. ჩემი დეიზი იყო, მსმენ ტვირთიანი გზა სახელგაუტეხავად გამეელო, რომელმაც დღემდე მომიყვანა. უკან მოხედვის არა მრცხვენია.

შენთან ეოფნის დროს დაწყნარებული და უსრუნველი ცხოვრება არასოდეს მქონია, მაგრამ შენს გვერდით ჩემს არსებობას დიდი და ლამაზი შინაარსი ჰქონდა.

ოთარ, ჩვენ ვანთებთ სანთლებს, ვლოცულობთ შენთვის. არც ერთ საეკლესიო თარიღს არ ვტოვებთ ადუნიშნავად. ვებრძვით სიღარიბეს და სულ ვცდილობთ ჩვენი ოჯახის მიერ ჭირში თუ ლხინში შეწუხებული მტერმოყვარე უყურადღებოდ არ დაეტოვოთ. რაც მთავარია, შენი შვილები დირსეულად მიუყვებიან მამის გაკვალულ გზას. ვამაგრებთ ოჯახს, რომლის ჭერქვეშ შენეული ადათ – წესებით ვცხოვრობთ."

ერთი პოეტის თქმისა არ იყოს, „საცალფეხო ბილიკი, ჩემთვის ამირჩევიან" და მიუყვებოდა მართლაცდა ყველაზე ძველ, ბნელ, ხიფათებით სავსე საცალფეხო ბილიკებს კაცი, რომელსაც სხვებზე მეტად ჰქონდა შნოცა და უფლებაც ფართო გზაზე, ამაყად თავაწეული სიარულისა, სიყვარულისა, სიხარულისა. მაგრამ დამძიმებული ვითარების გამო, ფართო გზაც მიატოვა, სიყვარულიც, ოჯახიც, საწოლიც და ამ ყველაფერს, შეჭირვებული ხალხის იმედად ეოფნა და კრიმინალებთან ბრძოლა ამჯობინა და ამ ბრძოლაში შეწყდა, კიდევ ერთი ლამაზი კაცის სიცოცხლე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოთარ ურუტაძის სამი შვილიდან (ორი ვაჟი და ერთი გოგო), ორთავე ვაჟი მამის პროფესიას გაჰყვა. და რაოდენ დიდი გმირობაა დედისაგან, მიუხედავად მეუღლის იქ დადებისა, ორთავე შვილი პოლიციაში ეგულებოდეს. უფროსი დათო – ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოში მუშაობს. ხოლო შმაგი ურატაძე, წლების მანძილზე, ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში მუშაობდა, პატრულის კურსებიც გაიარა, გამოცდებიც ჩააბარა, მაგრამ რატომღაც შემცირებაში მოჰყვა, რასაც ძალიან განიცდის. იგი დღესაც მზადაა დადგეს მართლწესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე. ორივე ვაჟი-შვილმა შვილებს, მამის სახელის უკვდავსაყოფად ოთარი დაარქვეს.

დაე, იმრავლოს და იხაროს ოთარ ურატაძის სახელზე მისმა შთამომავლობამ.

„აი, მომავალი უფროსი!“

ერემო გოგუა

გურიაში, ყველაზე კრიტიკულ კრიმინოგენურ სიტუაციაში, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, მის სპეციალურ რწმუნებულად, პოლიციის პოლკოვნიკი გენადი გიორგაძე დაინიშნა. ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის პოსტი პოლიციის პოლკოვნიკმა ვიქტორ გობრონიძემ დაიკავა. ოპერატიული და ორგანიზაციული დასმარებისათვის გენერალი ელგუჯა ბუცხრიკიძე იქნა მოვლინებული. რაიონული განყოფილების უფროსის კაბინეტი ნამდვილ საფრონტო შტაბს ჰგავდა.

მიმდინარეობდა ოპერატიული თათბირი. ისმენდნენ განყოფილების უფროსების ინფორმაციებს. ლანჩსუთიდან თათბირზე, ოპერატიული ინფორმაციით უფროსის მოადგილე, ერემო გოგუა წარსდგა, რომელმაც, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე მადალინისნებზე, რომ როგორც შემდეგ კულუარებში გამჟღავნდა, ყველამ მომავალი პოლიციის უფროსი დაინახა მის პიროვნებაში.

ერემო გოგუას ათვულობით ბრძოლა ჰქონდა გადახდილი იმ განუკითხაობის ჟამს. ჭკვიანი, მამაცი მეთაური გახლდათ, მაგრამ...

სოფელ აცანაში შეიარაღებულ დაჯგუფებასთან ერთ-ერთი შერკინება საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

1995 წლის აგვისტოს თვეში, მიღებულ იქნა ოპერატიული ინფორმაცია, რომ სოფელ აცანაში საკუთარ სახლში დაბრუნდა ძებნაში მყოფი, ერთი პოლიციელისა და ორი მოქალაქის მკვლელი, საშიში ბოროტმოქმედი. მაშინვე შეიკრიბა ოპერატიული შემადგენლობა. დაისახა გეგმა დამნაშავის შესაპყრობად. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც, რა თქმა უნდა, იყო ვაუკაცობით ცნობილი და პროფესიული ცოდნით გამორჩეული ერემო გოგუაც. მოსერხებულად ალყა შემოარტყეს დამნაშავის სახლს და წინადადება მისცეს უთარაღოდ ჩაბარებოდა მართლმსაჯულებას. პოლიციელთა წინადადებას ბოროტმოქმედმა, ავტომატური თარაღიდან, ინტენსიური ცეცხლით უპასუხა. პოლიციის თანამშრომლებს ხელს უბორკავდათ ის გარემოება, რომ საცხოვრებელ სახლში, სადაც ბოროტმოქმედი იმყოფებოდა, უდანაშაულო ხალხი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი იყო. პოლიციის თანამშრომლებს

ღღესაც ახსოვთ ე. გოგუას შეძახილი, არ ისროლოთ სახლში უდანაშაულო ადამიანებიც არიანო –მიუხედავად არსებული ვითარებისა, ბოროტმოქმედმა ცეცხლი მაინც გახსნა. ბრძანებაზე, პოლიციელთა მხრიდან ცეცხლი შეწყდა. სტრატეგიული მოსაზრებით, ბოროტმოქმედს გასასვლელი გზა გაუთავისუფლეს. საფრთხეს თავდაღწეული დამნაშავე უკან დაბრუნდა და ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრა ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც შველას ითხოვდა, მაგრამ იქვე მყოფ პოლიციელებს დამნაშავე ავტომატური იარაღიდან გახსნილი გრიგალისებური სროლით დახმარების საშუალებას არ აძლევდა. თანამშრომელი სისხლიდან იცლებოდა. სწორედ ამ დროს ერემო გოგუამ შესძახა პოლიციელებს – ცეცხლს ჩემსკენ გადმოვიტან, თქვენ კი ეცადეთ, როგორმე დაჭრილი გამოიყვანოთო – მან ადგილსამყოფელი გამოიცვალა და პირისპირ დგომით ცეცხლი გაუხსნა დამნაშავეს, რომელმაც იმ ადგილიდან სადაც დაჭრილი პოლიციელი იმყოფებოდა, უკან დაიხია, როცა დაჭრილი პოლიციელებმა სამშვიდობოს გამოიყვანეს, ორთაბრძოლის ადგილს დაუბრუნდნენ, რათა მეგობარს მიშველებოდნენ. მაგრამ იგი უკვე სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, მან საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა მეგობარი...

ჭეშმარიტად გმირული სიკვდილით დაეცა იგი რაიონის მოსახლეობის სიმშვიდისათვის ბრძოლაში და წმინდა მეგზურად თან გაიყოლა თანამშრომელთა უდუდესი სიყვარული და მოურჩენელი გულისტკივილი.

ერემო ზაურის-ძე გოგუა დაიბადა 1963 წელს, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა სოფელ ეწერის საშუალო სკოლა. ოიხადა სამხედრო-საყალდებულო სამსახური. დაამთავრა ქ. როსტოვის რკინიგზის ინსტიტუტი, მუშაობდა თავისი სპეციალობით. 1990 წელს საკუთარი სურვილით მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორად.

1995 წლის 2 აგვისტო, ტრაგიკული აღმოჩნდა ერემო გოგუასა და მისი ოჯახისათვის. მაგრამ, ამავე დროს, დაიწყო მისი მეორე სიცოცხლე–მოყვასისათვის თავგანწირული ვაუკაცის სიცოცხლე. ადამიანს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ეძლევა შანსი, მკვეთრად გამოხატოს თავისი პიროვნება. ერემო გოგუამ შესძლო ეს.

ერემო გოგუას დარჩა ოჯახი: მეუღლე და სამი შვილი.

მეუღლე – ელენე, ერემოს დაღუპვიდან 10 წლის შემდეგ, ქ. როსტოვში ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდა. დაიღუპა 2005 წლის 15 ოქტომბერს. ეკონომიური განათლება ჰქონდა მიღებული. აქ ვერ იშოვა სამუშაო და როსტოვში წავიდა. რა

ექნა, იოლი არ აღმოჩნდა 3 ობოლი შვილის გაზრდა. ერთ-ერთი ქალიშვილი სვეტლანა ავადმყოფობდა. ნერვული სტრესები ჰქონდა. ლანჩხუთის საავადმყოფოში მისულს, ურჩიეს სადმე ცენტრალურ სტაციონარში წაეყვანათ. ოთოქმის 5 წელი უმკურნალეს ქ. როსტოვში.

ფაქტიურად შვილები იქ გაზარდა. მათ გაზრდაში დედა ეხმარებოდა. ერემოს ვაუკაცი, ზაურ გოგუა /ბაბუას სეხნია/, 3 წელია რაც დაბრუნდა მამის ძირძველ მიწაზე და ეწერის საშუალო სკოლის 12-ე კლასში სწავლობს, ჯერ ვერ გადაუწყვეტია მამის კვალს გაჰყვეს თუ არა. თუმცა ამაყობს იმით, რომ ერემო გოგუას შვილია. ყველგან მამამისის ქება ესმის და ეს მას ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ერემოს დედას კი ის უხარია, რომ მისი შვილიშვილი ერემოს ჰგავს და იცის, რომ თავს არ შვირცხვენს. " ჩემი შვილი მკაცრი იყო, მაგრამ ამავე დროს ლმობიერი – იხსენებს იგი, როდესაც ჯიხეთის მონასტერთან მოხდა შეტაკება ავტომანქანის გამტაცებლებსა და პოლიციელებს შორის, ბოროტმოქმედები ქალის ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი, რომ დაინახეს პოლიციის მუშაკები, გატაცებული მანქანა მიატოვეს და შეეცადნენ მიმალვას. ორივე მათგანი დაიჭრა ფეხის არეში. ერთი გადავარდა ხრამში. დაჭრილები უნდა გამოვიყვანოთო, თქვა ჩემმა შვილმა და მიუხედავად იმისა, რომ ხრამში ჩასვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მაინც შესძლო დაჭრილის ამოყვანა, მას ძალიან კეთილი გული ჰქონდა. თუმცა ჩემს ოჯახში ბევრი უბედურება დატრიალდა. ჯერ იყო და ერემო, მერე მისი მეუღლე გარდაიცვალა. ბოლოს კი მამამისი ტრაგიკულად დაიღუპა. რა ქენა, რა უნდა მიხარიოდეს, მაგრამ, ერთი რამ შემიძლია ვთქვა, ერემოს შესანიშნავი შვილები ჰყავს. ერთი იმ ინსტიტუტში სწავლობს, სადაც ერემო სწავლობდა. მახსენდება ერთი შემთხვევა. ყაზბეგიდან მივდიოდით როსტოვში, ღამე იყო და საბაჟოზე გაგვაჩერეს. ჩემმა რძალმა ცოტა არ იყოს საყვედური უთხრა პოლიციის მუშაკებს, სასდევარზე რატომ არ გვიშვებთო. რომ გაიგეს ერემოს მეუღლე და შვილები იყვნენ, თან გადაგვყვნენ. თბილისიდან იყვნენ. ერთ-ეროს ჰაატა ერქვა. ჩვენ ვიცით ერემოს გმირობის შესახებო გვითხრეს.

წლები ელვის სისწრაფით გარბიან შვილო. მიჭირს უშენობა, ბევრი ტანჯვა და განსაცდელი გამოვიარე, მაგრამ დრომ ვერაფერი დააკლო შენს ნათელ ხატებას. გჯეროდეს შვილო ჩემო, სამშობლოსათვის თავგანწირულო ვაუკაცო, რომ შენი საცოდავი დედა, მოცახცახე ხელებით ყოველთვის დაანთებს შენი სულის მოსაგონებლად მოციმციმე სანთლებს და ასე იქნება, ვიდრე სული ედგმება, შენთან საბოლოო შეხვედრამდე".

ძნელია მკითხველმა ცრემლი შეიკავოს ამ ტკივილით სავსე სტრიქონების წაკითხვისას. ძნელია მოძებნოს სიტყვა მწუხარებით გაჟანგული დედის დასამშვიდებლად. ერთადერთი ნუგეში ამ ენით აუწერელი ტკივილისა, გულწრფელი ცრემლია მხოლოდ.

ტყვეით დაცხრილული ხიცოცხლე ლამაზი სიზმარივით გაქრა. გაქრა კი? ამ ქვეყნიდან უკვალოდ არაფერი ქრება.

ჟურში ზარივით წკრიალებს ზაურ გოგუას უმანკო გულიდან ამოსეთქილი სიტყვები: „ბებიამ თთარაანთ ქერიეის სიმტკიცით გაგეზარდა მამა! ყოველთვის ვცდილობთ ბებოს გულისტკივილი შეეუმსუბუქოთ, შენს სსოვნას ყოველთვის თვალისჩინივით გავუფრთხილდებით და შენს სახელს არასოდეს შევარცხვენთ.

წელს ორმოცდაექვსი წლისა უნდა გამხდარიყავი მამიკო, მაგრამ ბედისწერის ავმა თამაშმა არ მოგასწრო სიხარული და ბედნიერება ჩვენთან ერთად განგეცადა. ყველას გული ნაგვიკალი. ჩვენ მაშინ პატარები ვიყავით, თავდატესილ უბედურებას მთელი ტკივილით ვერ გრძნობდა ჩვენი ბავშვური, უმანკო გული. ახლა უკვე გავიზარდეთ, სკოლაში დავდივარ, ხემი დები დიდები არიან. ვცდილობთ შენი სახელი არ შევარცხვინოთ, მაგრამ ხვენს ბედურასავით მოფრთხიალე გულს რა ვუყოთ მამა. ვხედავთ ჩვენი მეგობრები და თანატოლები, როგორი სიყვარულით ანთებული თვალებით ეფერებიან და ეალერსებიან მამებს, ჩვენ ახლა უფრო გვენატრება შენი მოფერება ძალიან, ძალიან, რომ მომენატრები, სურათთან დაედგები სოლმე. დიდხანს, ძალიან დიდხანს გისწორებ თვალს და საოცარ სითბოსა და სინაზეს ვგრძნობ. მადლობა, ამ სითბოსთვის მამიკო. იღბალმა შენი სიკეთილი არ გვაკმარა და დედაც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მე ვიცი თქვენი სული ზეციერი საქართველოდან ჩვენთვის ლოცულობს და გაჭირვების ჟამს, ყოველთვის მფარველ ანგელოზად მოგვეელინება. დღემუდამ თქვენზე ვლოცულობთ და უფალს ვთხოვთ გაანათლოს თქვენი ლამაზი და ამ ქვეყნად გაუხარებელი სული.“

ასე მძაფრად გამოხატავენ საყვარელი ადამიანების მონატრებას ერემო გოგუას შვილები.

გაუსაძლისია მათი დარდი, ტკივილი, დრო რომ ვერანაირად განკურნავს და რჩება ასე მშვენიერი სიყვარული და ლამაზი ლეგენდა ადამიანზე – ღირსეულ შვილზე, მეუღლესა და მამაზე – ერემო გოგუაზე, რომელიც სიკვდილმა ვერ დაასოქა...

სამშობლოსათვის დაცემული ვაჟკაცი

ნუგზარ შალიკაძე

ოცდაორი წლისა იყო მხოლოდ. სიკეთითა და სიცოცხლის წყურვილით სავსე. როგორ არ ჰგავდა იგი ამ ქვეყნიდან წამსვლელს. სვალინდელი დღის ლამაზ სიცოცხლეს შეჰხაროდა. თვითონაც ხომ სიცოცხლესავით ლაღად დააბიჯებდა ამ ქვეყანაზე. ლამაზი იყო სულიერადაც და ფიზიკურადაც – მიამიტობით, სიწმინდით, გულწრფელობით, შინაგანი პატიოსნებით ყველგან გამორჩეული. მეგობრობასა და სიყვარულში კაცი ვერ შეედრებოდა. უხვად აყრქვეოდა სიკეთეს. ჩვენს სიხარულსა და მწუხარებას ერთნაირად ი'ზიარებდა. სალისიანი იყო, იუმორით სავსე. უანგარო, უაღრესად კეთილსინდისიერი.

მიუხედავად იმისა, რომ 12 წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ, რაც ნუგზარი აღესრულა, დღესაც ცრემლის გარეშე ვერ იხსენებენ მის სახელს. ი'ხურგეთის რაიონის სოფ. ძიმითის საშუალო სკოლის მასწავლებელი მედეა ბაბულეიშვილი იგონებს: "ნუგზარის დაკარგვამ ჩვენ მოგვაყენა ისეთი ტკივილი, რომელსაც არც დრო კურნავს და არც მოვლენები. ნუგზარის კლასში ყველანი კარგები იყვნენ, მაგრამ იგი მაინც გამორჩეული იყო. მას სხვანაირად ესმოდა საკუთარი მე და უფრთხილდებოდა მას. ამიტომ იყო, რომ ყველას გვიყვარდა, ყველას გვეფერებოდა, ყველას გვიფრთხილდებოდა.

ჩემო ნუგზარ. შენ მაინც მოხვალ. უთუოდ მოხვალ, მოულოდნელობისაგან თავბრუდახვეულს, ყველგან თან მდევს შენზე ფიქრი, ჩემო ნუგზარ! რატომ გაგწირეს, ჩუთუ იმიტომ, რომ ასე გამორჩეული იყავი ყველაფერში!"

რა ულმობელია სიკვდილი. გამორჩეული მიჰყავს, ალბათ იმიტომ, რომ რჩეულნი იქ დგანან, სადაც მამული უხმობთ. ნუგზარ შალიკაძეც იქ იდგა – ღირსეული მამულიშვილი, საოცრად ლამაზი სულის პატრონი, სამშობლოსათვის დაცემული ვაჟკაცი.

„ტრაგედიამდე ერთი კვირით ადრე, დამის 2 საათზე, თავის მეგობრებისთვის უთქვამს, სახლში წამყვეთო, რადაც გული ცუდს მიგრძნობსო, რამე ხომ არ უჭირთ ჩემებსო, – იხსენებს ნუგზარის ტყვალცრემლიანი დედა. პატარა ძმისშვილები ჰყავდა სახლში,

მოვიდა თავის კოლეგებთან ერთად, დახედა და უკან გაბრუნდა სამსახურში. ასე გრძელდებოდა თითქმის ერთი კვირა. რა ვიცოდი, რომ თურმე სხვაზე ფიქრობდა და თვითონ ასეთ განსაცდელს ელოდა.

ემოციური დედა ვიყავი, ძალიან განვიცდიდი იმ ფაქტს, რომ ნუგზარი რუსეთში, ქ. კრასნოიარსკში გააგზავნეს სასწავლებლად. ამას დაემთხვა დამოუკიდებლობის გამოცხადება. ქართველებს ცული თვალით უყურებდნენ. რა მექნა არ ვიცოდი. რამდენიმეჯერ ვთხოვე ჩამოსულიყო, მაგრამ სწავლა არ მიატოვა, არ მიშვებენ სასწავლებლიდანო. ალბათ ყველა დედა არ წავიდოდა ამ ნაბიჯზე, რაზეც მე წავედი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა, მინდოდა ჩემი შვილი ჩემს გვერდით ყოფილიყო და ჩემი ქვეყნის საქმე გაეკეთებინა. იძულებული გავხდი და ყალბი ცნობა გავაგზავნე, თითქოს მოეკვდი. აღნიშნული ცნობის მიღებისთანავე გამოუშვეს სასწავლებლიდან. დღესაც ძალიან განვიცდი იმ ფაქტს, რომ ჩემს შვილს მაშინ ძალზედ დიდი ტკივილი მივაყენე. რა მექნა. შევშინდი, სწავლა მივატოვებინე, ჩამოვიყვანე. ყოფილიყო იქ, ალბათ ცოცხალი იქნებოდა. სწავლა თბილისში გააგრძელა. მე-4 კურსზე იყო როცა მომიკლეს.

„მე ლამაზი, საამაყო შვილი მყავდა“ – თუ ვინმეს შეუძლია ამ სიტყვების ამაყად თქმა, მეც ერთი იმათთაგანი ვარ. იგი ყველასაგან გამორჩეული ვაჟკაცი იყო., სულიოა და ხორცით ლამაზი, გულმართალი, სპეტაკი, საქმისადმი ერთგული, კარგი მეოჯახე, კარგი მამა და კარგი მეუღლე. მაგრამ, 1996 წლის 11 ოქტომბერს, ოსურგეთის რაიონის სოფ. ცხემლისხიდთან შეტაკებისას არაკაცმა მომიკლა. გარეწარის ტყვიამ მოკლა არამარტო ჩემი შვილი, არამედ მამამისიც.

სიკეთე არ იკარგება, გაიზარდა ნუგზარის ბიჭი. იგი 13 წლისაა, თანაც ისეთი, როგორიც დიდი მამის შვილს შეეფერის. პატარაობიდანვე მამამისს ეძებდა: 4 წლისა იყო, როდესაც ჩარჩოს გატეხვა გადაწყვიტა, სადაც ნუგზარის სურათი იყო. როდესაც ვკითხე, რას აკეთებ მეთქი, ცოტა არ იყოს, შეწუხდა, ტირილი დაიწყო, ბაღში ყველას მამიკო აკითხავს და მეც მინდა ჩარჩოდან გამოვიდეს და ბაღში წამიყვანოსო. ძალიან განიცდიდა უმამობას. მე-2 კლასში იყო, როდესაც კიდევ ერთხელ მოითხოვა ჩარჩოდან სურათის ამოღება, გულზე დავიკიდებ, მინდა ჩემს კლასელებს ვაჩვენო, თუ რა მამიკო მყავდაო. დათუკას ყველა პოლიციელი უყვარს, ისინი მამიკოს მეგობრები არიანო, იტყვის ხოლმე. ყველაზე მეტად განიცდის იმ ფაქტს, რომ მამიკოს არ ულოცავს დაბადების დღეს.

23 მარტს დათო მეცამეტედ აღნიშნავს ანგელოზის დღეს. სამწუხაროდ, მამამისი ნუგზარი ამ ბედნიერ დღეს ვერ მოესწრო, იგი ხომ პოლიციელი იყო და ტრაგიკულად დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. – ჩემო დათო, მამიკო იცავდა შენნაირი პატარების და საერთოდ, მოსახლეობის სიმშვიდეს და უსაფრთხოებას. მას აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. ღირსეული ოჯახის ღირსეული მემკვიდრე ხარ. ამიტომ იმედია მამის დაღუპვის შემდეგ, შენ ღირსეულად გააგრძელებ ოჯახურ ტრადიციას, მაგრამ მამა ვერ ნახავს შენს დაფრთიანებას და ვერ იამაყებს შენი წარმატებებით – მოცეკვავე და კარატისტი შვილით. დარწმუნებული ვარ შენ მომავალში გააკეთებ ყველაფერს, რომ შალიკაველების გვარი კვლავ ღირსეულთა სიაში იყოს და მამისნაირად კაცურად გაივლი ცხოვრების გზაზე, შენი დედიკოს, ბებიასა და ბაბუას, შენი ასლობლების და ნათესავების საამაყოდ.

დღეს კი გილოცავთ დაბადების დღეს, ნემი საყვარელო უფლისწულო. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ დღეებსა და წლებს, ყველა ოცნების ასრულებას. შენი წინსელით და წარმატებებით კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოს შენი დედიკოს, ბაბუასა და ბებიას გული.“

უშიშარი და ლაღი ვაჟკაცი

რევაზ მალაქმაძე

ძნელია ეთქვათ „იყო“ – ისეთ ადამიანზე, რომელსაც სიცოცხლე უყვარდა, სილამაზე უყვარდა, სიმღერა უყვარდა, ძნელბედობის ჟამს მოგვევლინა გაჭირვების ტალკვესად. სტუმარს ვერ ვუმასპინძლეთ, ვერ გავუფრთხილდით. ახლა გული გვწყდება, რომ სიცოცხლეში ვერ მოვასწარით გვეთქვა: როგორ გვიყვარდა და ვაფასებდით ამ ხალასი იუმორით სავსე კაცს. უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ, ბევრი გულწრფელი ცრემლი გავატანეთ და მერე, კიდევ ერთი ტკივილი, გულის კუნჭულში შევინახეთ და შინმობრუნებულები, ისევ ჩვენს პრობლემებს შევეჭიდეთ. სიცოცხლე გრძელდება, თითქოს არაფერი შეცვლილა, მაგრამ პოლიციაში ვერასოდეს შემოაბიჯებს რევაზ

მალაყმაძე, თავისი სათნო ღიმილით, სიკეთით სავსე, უშიშარი და ლაღი ვაჟკაცი.

1995 წელს შეიქმნა გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველო, სადაც სამძებროში, უფროს ინსპექტორად მუშაობდა რევაზ მალაყმაძე – მას ფაქტიურად არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება, მაგრამ სამმართველოს უფროსის მოადგილის ბატონ ლ. ბოლქვაძის ხელმძღვანელობით, იგი დაოსტატდა ოპერატიულ საქმიანობაში. პირველი საბრძოლო ოპერაცია იყო ე.წ. „ქორიძის“ დაჯგუფების წევრების მხილება, რომელიც დაგეგმილი იყო და აყვანის ოპერაციას ხელმძღვანელობდა ლ. ბოლქვაძე. ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო რევაზ მალაყმაძე, მეტსახელად „ალიბაბა.“

1993 წლის ზამთარში, სოფ. მერიაში მოხდა ყაჩაღური თავდასხმა, რა დროსაც მოკლულ იქნა ოჯახის უფროსი. მტკიცებულებები ფაქტიურად არ ჰქონდათ. ეჭვმიტანილი იყო ვინმე გვარად მოისწრაფეშვილი. საჭირო იყო მისი ოპერატიულად დაკავება, მისგან აღიარებითი ჩვენებების მიღება და მტკიცებულებების შეგროვება. მიღებული ინფორმაციით, იგი სოფელ სუფსის კარვებში იმალებოდა თავის ახლობელთან. სანამ სუფსაში წავიდოდნენ, გადაწყვიტეს მერიაში მისი საცხოვრებელი სახლის გადამოწმება, რომელიც ალეაში მოაქციეს. “ალიბაბა” და კიდევ ორი თანამშრომელი სახლში შეეიდნენ. მეუღლე აცხადებდა, რომ ქმარი 3 წელია თვალით არ მინახავსო. თუმცა, რესოს საეჭვოდ მოესვენა ბუხარზე მიყუდებული ნიეთები. კუთხეში იდგა ორი დიდი ქოთანი მასში ჩარგული ყვავილებით, იქვე ბუხართან ლეიბი იყო მიგდებული. აღნიშნული ნიეთები გამოიტანეს, ყოველი შემთხვევისათვის იარაღები დატენეს და ბუხარი გადაამოწმეს. იქ აღმოჩნდა დაახლოებით 185 სმ სიმაღლის კაცი. იგი ბუხრიდან ძალიეს გამოიყვანეს. სამმართველოში მიეეანისთანავე აღიარა, მკვლელობის ფაქტი. შემდეგში დაკავებულ იქნა მისი ე.წ. „პადელნიკი.“

გურიის სამხარეო შს სამმართველოს სსს განყოფილების უფროსად დაინიშნა საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი ნეკისტი, აწ გარდაცვლილი, ვახტანგ კვაჭანტირაძე. გავიდა რამდენიმე დღე. საქმე არ კეთდება. „ალიბაბამ“ უთხრა, ჯერ ახალბედები ვართ, მუშაობას ვსწავლობთო. მან გამოცდები ჩაატარა. ბოლოს ახალგაზრდა მუშაკებს უთხრა: ყველაფერი გცოდნიათ ერთის გარდა, კარგად დაიმახსოვრეთ, „ჩათლახი“ რომ დააკავოთ „ჩარუმ ჩათლახი“ უნდა იყოთო. იმ დროს ყაჩაღობისათვის იძებნებოდა მამათელი ლომაძე. 4 წელი ემალებოდა იგი მართლმსაჯულებას. ოპერაცია რამდენჯერმე ჩატარდა, მაგრამ ყოველთვის მოახერხა

გაქცევა. ბოლოს რეჟაზმა და მისმა მეგობარმა, გურამ ასათიანმა, მიიღეს ინფორმაცია, რომ მამათში ვიღაცას გამოუსამთრებია ჩოხატაურელის ცხენი და პატრონს საფასურის გარეშე არ ატანდა. პატრონს კი ფულის გადახდა არ უნდოდა და ერთმანეთში დაობდნენ. რეჟაზ მალაყმაძემ – „ალიბაბამ“ და გურამ ასათიანმა შეიმუშავეს გეგმა, სადაც ერთ-ერთ ვერსიად ჩაროეს ის, რომ აღნიშნული ცხენის პატრონი თითქოს იყო მათი ბიძა, ქურდული ტრადიციების მატარებელი, ვინმე არსენ კვაჭანტირაძე. საგსაო პოლიციამ მოიყვანა ჩამუქებული ავტომანქანა და ვითომ ცხენის პატრონები, აყიდნენ მამათში. სადაც წავიდა საუბარი იმასე, რომ არსენა არის ავტორიტეტი და ცხენი უსასყიდლოდ უნდა დაუბრუნდესო. ამასე არ თანხმდებიან მამათლები. შეიკრიბა თითქმის მამათის მთელი ახალგაზრდობა, მხოლოდ ძებნილი ლომაძე არსად არ ჩანდა. ბოლოს „ალიბაბამ“ მოითხოვა მოიყვანეთ ვინმე ისეთი „ავტორიტეტი“, რომელთანაც შეიძლება ქურდული კანონებით საუბარიო. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი წავიდა და ტყიდან ძებნილი ლომაძე მოიყვანეს. როგორც კი მოვიდა, მას გურამმა ხელი გაუყარა და უთხრა, აქედან წაეიდეთო. ლომაძე ცოტა დაბნეული ჩანდა, მაგრამ უკან არ დაუხევია, გაპყვა. მანქანაში არ ჯდებოდა, მაგრამ ამ დროს დამხმარე ძალაც მოვიდა. გსაში, ლომაძემ ის ცხენიც დაინახა, ამოიოხრა და თქვა, როგორ მიყვარდა და ახლა ამ ცხენის დანახვაც არ მინდაო.

წარმატებული ოპერაციის შესახებ. სამმართველოს უფროსს მოახსენეს, რომელმაც შეაქო გურამი და მისი მეგობარი რეზო მალაყმაძე. ისინი ჩეკისტებად მონათლა.

1997 წლის 23 მაისს ოზურგეთი-ბათუმის გზაზე, სოფელ ჭანიეთთან, სამგრეველიაში მცხოვრებ, ვლადიმერ გეგეშიძეს, რომელსაც საკუთარი ავტომანქანით ბათუმიდან მოჰყავდა 4 მგზავრი, თავს დაესხა „სვანიძის ბანდა“, მგზავრებს წაართვეს 2500 დოლარი და ავტომანქანა გაიტაცეს.

მეორე დღეს, ბანდიტები გატაცებული ავტომანქანით სოფ. ძიმითის ცენტრში, თავს დაესხნენ და ავტომატებით დაცხრილეს ოზურგეთის რაიონის პოლოცეის სამძებრის ინსპექტორი რევაზ მალაყმაძე და ეოფილი პოლიციელი მამია ქართველიშვილი. პოლიციელების მკვლელობაში მონაწილეობდნენ ბანდის უფროსი ნოდარ სვანიძე და მისი ძმაკაცები, გიორგი კილაძე და ხასა ქავთარაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, მაშინვე განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები. ადგილზე გაიგზავნა სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს

მუშაკები და გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები.

ამ პერიოდში, გურიის მხარის პოლიციის ხელმძღვანელობის მიერ განსორციელებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ნ. სვანიძის კიდევ ორი წევრი იქნა ლიკვიდირებული.

3 აგვისტოს 2 საათზე, პოლიციის ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოზურგეთის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე, პოლიციის კაპიტანი – პოლკოვნიკი აკაკი ნაკაიძე, სოფელ ქვედა ბახვთან, პირისპირ შეება „სვანიძის“ ჯგუფს. ლიკვიდირებული იქნა ბანდის ერთი წევრი გვარად კილაძე, მძიმედ დაჭრეს ბანდის მეთაური ნოდან სვანიძე.

ამ შეტაკებაში, სამწუხაროდ, დაიღუპა ერთი პოლიციელი – გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლი, გიორგი შეილაძე. იგი სიკვდილის შემდეგ, დაჯილდოვდა ვასტანგ გორგასალის მესამე ხარისხის ორდენით.

განცოფილებაში ყველაფერი იცვლება და ეგუება დროის მსვლელობას. მაგრამ შეუგუებელია რეზო მალაყმაძის ჩვენი რიგებიდან უდროოდ წასვლა. დამწუხრებულ თანამშრომელთა გულებში მუდამ იყო, არის და იქნება მარად ახალგაზრდა, მსქელყარე გულის ვაუკაცი. მათ ასსოვთ და ჰგონიათ, რომ ყოველ წუთს შემოაღებს სამსახურის კარებს და მედროებას დაარღვევს, ყველას გამოაცოცხლებს მისი ომახიანი, იუმორით სავსე შეძახილი. მაგრამ, ყველაფერი ეს სომ ზღაპრული ოცნებაა და რეზაზ მალაყმაძე, რომელიც ასე უდროოდ წაიდა ჩვენგან, არასოდეს აღარ განმეორდება. იგი მსოლოდ შორეული ნატვრითა და ოცნებით იქნება ჩვენთან.

სამწუხაროდ, არც ადამიანია უკვდავი და არც ზღაპრის ბოლო ყოფილა ყოველთვის კეთილი. სამაგიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ცხოვრების ისეთ გზას ირჩევენ, საიდანაც შეიძლება აღარ დაბრუნდნენ, რადგან ბრძოლა, ისეთი ადამიანების პირისპირ უსდგებათ, რომლებიც, ზღაპრისა არ იყოს, არაფრით არ განსხვავდებიან არც იმ ცხრათავიანი დეკებისაგან, არც ურჩხულებისაგან, არც ვამპირებისაგან, რომლებიც ყველას და ყველაფერს ანადგურებენ, ვინც კი წინ გადაეღობებათ, და ეცემიან... მათთან უთანასწორო ბრძოლაში ლამაზი სულის, ლამაზი გონების, ლამაზი იდეალების მქონე ბიჭები. უბედურდებიან მათი გამზრდელი დედები, ობლდებიან ლამაზი მამის შვილები, ქვრივდებიან ვაჟკაცობის გამო დაღუპული ბიჭების მეუღლეები. ზღაპრის გმირებივით იცხოვრეს. მართალია, უკვდავების წყალი მათთან არავის მიაქვს მათ გასაცოცხლებლად,

მაგრამ სამაგიეროდ, განვლილი ხანმოკლე ლამაზი ცხოვრების წყალობით, უკვდავება, თავად მოვიდა მათთან.

მათ გმირულ ცხოვრებას, ისტორიამ ქუდი მოუხადა.

შენ ყველას მუდამ ემახსოვრები

მერაბ სალუქვაძე

„როგორ მალე მიიწურა ცხრა წელი იმ ავადმოსაგონარი დღიდან, შენი თაყი რომ წაგვართვა. წახვედი და დაგვიტოვე მოურჩენელი გულისტკივილი და ნაღველი. გვენატრები, ძალიან გვენატრები. შენმა სიცოცხლემ ხომ მოკიაფე ვერცხლისწყალივით გაიელვა ამ მუხანათ წუთისოფელში. მუდამ იმედით და ოპტიმიზმით იყავი სავსე და არ გვეგონა თუ ასე გაგწირავდა უფალი. მოულოდნელი და გაუმართლებელი იყო ტრაგიკული აღსასრული. ამიტომაც შენმა დაღუპვამ, თავზარი დასცა შენს ახლობლებს. შენს სიკვდილს ვინ დაიჯერებდა, ვიდრე საზარელი ფაქტის წინაშე არ დავდექით. ადამიანური ცხოვრების კანონები სულ სხვაა და უფლის კანონები – სხვა. ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ვინ მოგვცა განსჯის უფლება. ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავთ, რომ ამ ქვეყნად აღარ ხარ, აღარ არის თბილი, კეთილი, გულმართალი, მოსიყვარულე მამა, რომელიც ერთადერთი ვაჟკაცის ბედნიერებაზე, წარმატებაზე ოცნებობდა, მაგრამ ვერ მოესწრო. აუხსნელია განგების ნება. გურიის მხარეში სისხლიან ტრაგედიებს გადაურჩი, როცა სიკვდილს თვალებში უყურებდი და მშვიდობიანობის დროს მაინც მოგნახა და გაგწირა ბედისწერამ. ერთადერთი ვაჟის გზაზე დაყენება მაინც მოგესწრო. ჩვენთვის ყოველი წლის 20 აგვისტო, მერაბის გარეშე მოვა და ყოველთვის ტკივილით აგვაკვესებს. ძნელია იმის გადმოცემა, რასაც განვიცდით“... ამბობენ მერაბ სალუქვაძის თვალცრემლიანი მშობლები.

მერაბ მარლენის-ძე სალუქვაძე დაიბადა 1961 წლის 20 აგვისტოს ქ. ოზურგეთში მშრომელ, პატიოსან, ქართული ტრადიციების ერთგულად დამცველ ოჯახში. რამაც მნიშვნელოვანი გაელენა იქონია მისი პიროვნების საბოლოო ფორმირებაზე. 1968 წელს მერაბმა სწავლა დაიწყო ოზურგეთის № 1 საშუალო სკოლაში,

ხოლო 1979 წლიდან სწავლა გააგრძელა ოზურგეთის 53-ე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა მშობლიურ რაიონში, ხორცკომბინატში მუშად. სამხედრო-საავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, კვლავ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და შრომით საქმიანობაში ჩაება, ოღონდ ამჯერად არჩევანი ფრიად საპასუხისმგებლო გახლდათ. შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახური, ხომ განსაკუთრებულ თვისებებს მოითხოვს ადამიანისაგან, მაგრამ სიძნელეს არ შეუშინებია ახალგაზრდა ჭაბუკი.

გურამ სალუქვაძე

1982 წლიდან მუშაობდა ოზურგეთის შინაგან საქმთა რაიონულ განყოფილების საკუთრების დაცვის პოლიციაში, 1992-1994 წლებში კი ამავე განყოფილების უბნის ინსპექტორია. 1994 წელს დაინიშნა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინაღმდეგ მებრძოლი ჯგუფის უფროს ინსპექტორად. მერაბ სალუქვაძე ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა კოლექტივში. 1995 წლიდან მერაბი გადადის თბილისში და მუშაობას იწყებს სამგორის შინაგან საქმეთა განყოფილებაში სამძებრო ჯგუფის ინსპექტორად.

1998 წლიდა,ნ სამუშაოდ გადაჰყავთ ვაკის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. არც აქ შეურცხვენია თავი, ერთგულად, პატიოსნად, საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულებით მიუყვებოდა ერთხელ არჩეული ცხოვრების გზას.

საბედისწერო აღმოჩნდა მერაბისთვის 2000 წლის 24 იანვარი. ავტოსაგზაო შემთხვევის გამოსაკვლევად გასული ბედის ირონიით, თვითონაც ავტოკატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა.

როგორც ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს თანამშრომლები იგონებენ: "მერაბი გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებს შორის. მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა დროულად და ხარისხიანად. იყო კეთილი, იუმორით სავსე. მისი დიდი მოსიყვარულე გული ყველას იტევდა. მის

სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი აუხდენელი ოცნება“.

უნაპირო ოჯახისათვის, მისი დაკარგვით გამოწვეული, სევდა და მწუხარება, უსაზღვროა მონატრების გრძნობა. მათთვის ყოველი ახალი წლის იანვარი, მერაბის გარეშე მოდის და ყველას მწუხარებით აავსებს.

— „ზღვას გადაურჩა და წყეთმა დაახრჩოო“, სწორედ ამაზეა ნათქვამი — მოთქვამს ამქვეყნად დარჩენილი პირგამეხებული ქვრივი, ერთადერთი ვაჟის დედა, ქალბატონი — ილინა ცენტრაძე და ყურში ზარივით წკრიალებს მისი ფიცის სიტყვები: — „ეფიცავ ჩემს ერთადერთ ვაჟკაცს ისე გავ'ზრდი, როგორც ჩემი მეულლე ოცნებობდა, გურამი ხომ მამის ტრადიციების ერთგული რჩება. მერაბი მუდამ ჩემთან იქნება. იგი ყველას მუდამ ემახსოვრება, ის არის ჩემი სიცოცხლის ჩაუქრობელი სანთელი“.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მერაბ სალუქვაძის ვაჟი, რომელიც მისი ტრაგიკული დაღუპვის დროს მხოლოდ 16 წლის იყო, მამის პროფესიას გაჰყვა. პატარა გურამს ყოველთვის უხაროდა და უყვარდა მამასთან ყოფნა, ყურადღებით უსმენდა მოსათხრობს მის ნაცნობ პოლიციელთა საქმიანობის შესახებ.

ყოველთვის ცდილობდა მამამისის გვერდით ყოფილიყო, უყვარდა მისი დინჯი საუბარი და აოცებდა ამ კაცის ერთგულება. პროფესიისადმი სიყვარული, მისი გრძნობები, აზრები, განცდები მასაც გადაედო, ბოდა მასთან ერთად ფიქრობდა და განიცდიდა ყველაფერს, ხან თანამონწილე, ხან მოწმე ხდებოდა იმ დიდი საქმისა, რომელსაც იგი ემსახურებოდა.

ბევრი რამ აქვს გასახსენებელი გურამს მამამისზე — ყანალური ჯგუფების აყვანა ნოხატაურის ტყეში, შეიარაღებული ბოროტმოქმედთა განიარაღება ქ. თბილისში. ყველა წარმატებით ჩატარებული ოპერაცია იყო საზრიანობის, გამბედაობის, პროფესიონალიზმის ნიმუში და რატომ არ უნდა გამხდარიყო მერაბ სალუქვაძის ვაჟი პოლიციელი, როდესაც იზრდებოდა ასეთი ვაჟკაცური კაცის გვერდით, როცა უკვე პატარაობიდან. შურდა ნეკისტური სამსახურის რომანტიკა. იქსებით და იგრეკებით სავსე ცხოვრებისეული ამოცანების ამოხსნა, მაგრამ...

— მაგრამ პოლიციაში მუშაობა მარტო რომანტიკა კი არა, რეალური სინამდვილეა და „მოქმედი პირებიც“ რეალური ადამიანები არიან. იგი ბრძოლაა იმათ წინააღმდეგ, ვინაც კანონის საპირისპირო მხარეს აღმოჩნდა.

მინი დოსიე: გურამ მერაბის-ძე სალუქვაძე დაიბადა 1983 წლის 17 სექტემბერს, ქ. მახარაძეში. 2000 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 35-ე საყვეხბურთო სკოლა. შემდეგ მოიხადა სამხედრო — საეალდე-

ბულო სამსახური. დაამთავრა პოლიციის აკადემია და 2006 წელს, მერაბ ფუტკარაიას რეკომენდაციით (იგი მამის მეგობარი იყო), მუშაობა დაიწყო ოსურგეთის შინაგან საქმეთა რიონულ განყოფილებაში. სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ გურამი პოლიციაში მოვიდა სამუშაოდ. როგორც თვითონ განაცხადა მას ბავშვობიდანვე იზიდავდა აღნიშნული უწყების საქმიანობა. მამამისის დაღუპვის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა დადგომოდა მამისეულ გზას. მამამისი, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევაზე იყო გასული ვაკეში, „ჩაის სახლთან" შეეცადა ერთ-ერთი დაზიანებული ავტომანქანიდან დაზარალებულის გადმოყვანას, რომელსაც ორივე ფეხი ჰქონდა მოტეხილი, იმ დროს როდესაც აღნიშნული პიროვნება სელში აიყვანა, დაინახა ცირკის მხრიდან დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა, მიხვდა, რომ შეიძლებოდა ავტომანქანა დაჯახებოდა, ისდა მოახერხა, რომ ის მამაკაცი, რომელიც ხელში ჰყავდა აყვანილი გვერდზე გადააგდო, თვითონ კი ვერ მოასწრო გადახტომა და ავტოკატასტროფაში მოჰყვა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ეამაყება გურამს ის ფაქტი, რომ მამამისმა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ადამიანი.

უბნის ინსპექტორ – გამოძიებელი გურამ სალუქვაძე, იმ დღეს შემოელის ჯგუფში იყო. ბაზრის კუთხეში მან შეამჩნია ეჭვმიტანილი მოქალაქე. რომელიც პოლიციელის დანახვისთანავე შეეცადა მიმალულიყო. გურამი არ დაიბნა, იგი მოხერხებულად ნაუსაფრდა ბორტმოქმედს და სამბოს ილეთების გამოყენებით შესძლო უცნობის დაკავება.

დაპატიმრებული აღმოჩნდა საშიში ბორტმოქმედი დოლიძე, რომელსაც ქალაქურგეთში ჩადენილი ჰქონდა სხვისი ქონების ქურდობის რამდენიმე ფაქტი.

– სამი წლის მისული ვიყავი პოლიციაში, – ამბობს გურამი – ქალაქის ზონას ვემსახურებოდი. მოულოდნელად გამოიძახა პოლიციის უფროსმა და ასეთი რამ მითხრა: კონფიდენტი გვატყობინებს, რომ ქალაქში მოქმედებს ქურდების ჯგუფი, რომლის წევრებიც ხშირად იკრიბებიან თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ერთ-ერთი არის მაღალი, სუსტი, გრძელი თმებით, „მანჩოს" ეძახიან. იგი საეარაუდოდ თბილისიდან უნდა იყოს ჩამოსული. ამ ახალგაზრდის პოვნას შენ გავალებ, ვინმე დაიხმარე და ერთ კვირაში შედეგი მომასხენე.

პოლიციის უფროსის ასეთმა დავალებამ, ცოტა არ იყოს შემაფიქრიანა, სხვა რა გზა დამრჩენოდა... უფროსს სმენაზე დავუდექი, არის, მეთქი მოვახსენე და კაბინეტიდან გამოვედი.

პირველ რიგში გამოცდილი გამომძიებელი მერაბ ფუტკარაია ვიპოვე. იგი დიდი ხანია პოლიციაში მუშაობს, თავისი საქმის პროფესიონალია. ათეულობით რთული საქმის გახსნა და საშიში ბოროტმოქმედების დაკავებაა მის ანგარიშზე. მერაბი სიამოვნებით დამთანხმდა და თან დამაკვალიანა, თუ რა უნდა გამეკეთებინა.

ბატონ მერაბთან ერთად შემოვიარეთ ქალაქის უბნები. შეეხვდით რამდენიმე ახალგაზრდას, მოვიპოვეთ საინტერესო ინფორმაციები, შემდეგ მოხდა აღნიშნული ინფორმაციების შეჯერება. აღნიშნულის შესახებ ვუპატაკე პოლიციის უფროსს. დაიგეგმა ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები. მხილებული და დაკავებულ იქნა ქ. ოზურგეთში მოქმედი სხვისი ქონების დამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის წევრები. მათი მხილებისა და აყვანის შემდეგ, მთელი სამი თვის განმავლობაში, ქალაქში არ დაფიქსირებულა ქურდობის არც ერთი ფაქტი.

როცა ამ წერილს ვწერდი, ერთი ფაქტის დასაზუსტებლად ოზურგეთის პოლიციაში მივედი (გურამი რამდენიმე თვეა რაიონის პოლიციის სამმართველოში მუშაობს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად) გურამი მოვიკითხე. ოპერაციაზე იყო გასული. მეორე დღეს გავიგე, ბიჭებს ოსტატურად ემუშავნათ. ნარკოტიკების შენახვა-მოხმარების ფაქტზე მოქალაქე დაუკავებიათ, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინიდან ჩხრეკის შედეგად, პისტოლეტი ამოუღიათ.

ყოველი ოპერაცია წარმატებული ყოფილიყოს თქვენი და თქვენი თანამებრძოლებისათვის, ბატონო გურამ.

ოთხი დის ერთი საფიცარი ძმა

იოსებ ნიკოლაიშვილი

— არ ყოფილა თურმე დრო ყველაფრის მკურნალი, დრო მიდის და ტკივილი უფრო გაუსაძლისი ხდება. რამდენადაც დიდი იმედი იყავი, იმდენად დიდ ტკივილად იქეცი, იმედის სხივი ჩაუკალი მშობლებს და დებს, დააკლდი სანათესაოს, სამეზობლოს, სამეგობროს...

თხუთმეტი წლის უკან ჩამოვარდა ციდან შენი წილი მზის სხივი და შენი სული ამაყ მთებს ჩაეხუტა. ბორბალოს ნაუუმა ჩაიხვია შენი სიჭაბუკე ჩვენო ერთადერთო და ოთხი დის საფიცარო ძმაო.

მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამ ქვეყნად — ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები.

შენთვის ვლოცულობთ და უფალს შევთხოვთ, საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს შენს მარად ახალგაზრდა და უკვდავ სულს.

1992-94 წლებში ოითქმის გაუსაძლისი მდგომარეობა იყო გ'ურიაში. კრიმინალური ბანდების სათარეშოდ გადაქცეულ საქართველოს ამ დალოცვილი მხარის გაძარცვულ, შეურაცხყოფილ, დაშინებულ მოსახლეობას ლამის გადაეწურა მშვიდობიანი და უსაფრთხო ცხოვრების დაბრუნების იმედი, კრიმინალებთან ბრძოლას შეეწირა 30-მდე პოლიციელი, ერთ-ერთი მათგანი იყო პოლიციის ლეიტენანტი იოსებ ნიკოლაიშვილი.

იოსებ მურმანის-ძე ნიკოლაიშვილი დაიბადა 1963 წლის 2 მარტს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნაგომარში. ამავე სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობდა მექანიზატორად. შემდეგ გადაწყვიტა პოლიციაში დაეწყო მუშაობა და მშობლებიც წინააღმდეგი არ წასულან. მოიხადა სამხედრო-საავალდებულო სამსახური. შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1994 წლის 28 თებერვალს ქ. ქუთაისში აპირებდა წასვლას, დიპლომი უნდა აეღო. საერთოდ აპირებდა გადასვლას ქუთაისში სამუშაოდ, მაგრამ არ დასცალდა.

1991 წელს იოსებ ნიკოლაიშვილი მუშაობას იწყებს ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში უბნის ინსპექ-

ტორად, ხოლო შემდეგ გარდაცვალებამდე ამავე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორია.

სოსოს მამა ბატონი მურმან ნიკოლაიშვილი იგონებს:

„სოსო იყო ძალიან გულკეთილი, მოსიყვარულე, უაღრესად წესიერი, ზრდილობიანი, შრომისმოყვარე. ძალიან განიცდიდა აფსაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას. მას ხომ წლების მანძილზე უხდებოდა აფხაზ სტუდენტებთან ყოფნა. ხშირად ამბობდა, „ჩვენი ბრძოლა აფხაზებთან წააგავს ძმების ჩხუბს, რომლებიც დედის სიყვარულში ერთმანეთს ეჯიბრებიანო“. სჯეროდა, რომ საღი აზრი გაიმარჯვებდა და შერიგება მოხდებოდა. იმ ავადმოსაგონარ დღეს, დილით ადრე წავიდა სამსახურში, მე კი მეზობელთან გადავედი. გზაზე დავინახე სამი მსუბუქი ავტომანქანა, რომლებიც ისე ჩქარა მიდიოდნენ, ვიფიქრე ვიღაცას მისდევენ მეთქი. ორ მანქანაში თითო კაცი იჯდა, მესამეში კი — ორი. ორივენი „მასკებით“ იყვნენ. მაშინ არ ვიცოდი, რომ სწორედ მათი გასროლილი ტყვიის მსხვერპლნი გახდებოდნენ ჩემი შვილი და მისი მეგობრები. საღამო ხანს ჩემი ახლობლები შემოვიდნენ და უხერხული წრიალი დაიწყეს. მიეხვდი, რომ რაღაც ხდებოდა ჩემს თავს. შვილო სოსო, შენი დაღუპვიდან 15 წელი გავიდა. 15 წელია ბიჭო ცრემლების ტყვე ვარ. კიდევ რა უნდა მოვიგონო? მყავდა ერთი ბიჭი, რომელიც უსომოდ მიყვარდა. სოსო გამოირჩეოდა მშობლების, დებისა და საერთოდ მის გვერდით მყოფთა მიმართ უაღრესად გულთბილი და კეთილი დამოკიდებულებით. მისი ოცნება იყო უმწიკვლოდ ემსახურა შინაგან საქმეთა ორგანოებში, დაემკვიდრებინა სამართლიანი, კაცთმოყვარე და მართლწესრიგის დამცველის სახელი, და ამ კეთილშობილურ საქმეს შესწირა თავისი სიცოცხლე. სოსოს დაღუპვამ დიდი ტკივილი და მწუხარება მოგვაყენა. დროს არ წაუშლია არაფერი. ისევ გვტკივა ის დღე, მწარედ გვტკივა. მოგონებებით ვცხოვრობთ ჩვენო უიღბლო ბიჭო. ცრემლი არ შეშრობია შენს საცოდავ დედიკოს. მინდა იცოდე, დღესაც შენი სულის სითბოთი ვცხოვრობთ. ღმერთის შემწეობის ქვეშ ყოფილიყოს შენი კეთილი და ვაუკაცური სული“.

ცრემლი და მწუხარება გამოსჭვივის სოსოს ბიძაშვილის მოსაგონარში:

“გაზაფხულთან ერთად შემოხვედი, გაზაფხულივით ხალისიანი, სიცოცხლით და სიკეთით საესე, მოხვედი და იმედი მოიტანე — ნაფუძარზე ვაჟი გაჩნდაო.

ახლაც გაზაფხულია. ახლაც იზვიმა შენს ეზოში ბუნებამ გამარჯვება. ისევ ჭიკჭიკებენ ჩიტები, ისევ ციმციმებენ ყვავილები,

მაგრამ სეედას ვერაკინ გაქცევია, რადგან შენი ღიმილი აკლიათ, შენ ხომ ღიმილის ბიჭი იყავი.

საკუთარ თავს შეღავათს არასოდეს აძლევდი, მამისერთა ბიჭო, ბავშვობიდანვე ძნელად სავალ გზას არ ერიდებოდი. ცდილობდი საკუთარ მხრებზე გადაგეტანა ცხოვრების მთელი სირთულე, რადგან საოცარი ამტანობის და ნებისყოფის იმედი გქონდა.

ვაუკაცურ, ფათერაკებიან გზას დაადექი ისეთ დროს, როცა ბევრმა უშფოთველი ცხოვრება აირჩია. მას შემდეგ, შენს მშობლებსა და დებს მშვიდად არ დაუძინიათ. ყველას გვეშინოდა, რადგან ვიცოდით უშიშარი იყავი, განსაცდელს თავს არ აარიდებდი.

სამაჩაბლოშიც პირნათლად მოიხადე ვალი და აფხაზეთშიც. აქაც, შენს რაიონშიც თავდაუზოგავად ებრძოდი უსამართლობას. ხშირად იდექი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან. ბევრჯერ გადაურჩი ტყვიების წვიმას, ამჯერად ვეღარ...

მართლაც ვინ შესძლებდა შენი და შენი მეგობრების სიცოცხლის ხელყოფას, თუ არა ავაზაკები, მიპარვით, ღალატით, რომ გაგიმეტეს. დიპლომის აღებაც აღარ დაგცალდა.

ვერ გადააბიჯე მესამე ათწლეულში. აქაც აფხაზეთის ტრაგედიამ შეგიშალა ხელი. ვერ გაიფურჩქნა სიყვარული, ვერ აახმიანე შენი შვილებით ეზო-კარი. დაუსრულებელი მოლოდინი, ცრემლიანი თვალები და დიდი ტკივილი დაგვიტოვე. მაგრამ დაგვიტოვე უდიდესი სიამაყეც. შენი ვაუკაცობით. დაგვაკლდი ყველას.

გაიცლის წლები, ყველას დაგვათოვს თმებში ჭაღარა, მხრებს დაგვიმძიმებს წელთა სიმრავლე, შენ კი ისეთი დარჩები მაინც, როგორც წახვედი, ჩვენო ვაუკაცო ბიჭო".

1994 წლის 23 თებერვალს სამსახურებრივი მოვალეობის დროს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში ოპერატიულ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იოსებ ნიკოლაიშვილი იმყოფებოდა, თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედები. არაკაცის ნასროლმა ტყვიამ ნაადრევად ჩააქრო მისი ხანმოკლე, მაგრამ უმწიკვლო სიცოცხლე.

მართლაც კარგი ბიჭი იყო. კეთილი და ალალმართალი, ოთხი დის ერთი საფიცარი ძმა, საუკეთესო შვილი და კარგი მეგობარი, ყველასთვის მისაბაძი. გულდასაწყვეტია, რომ ვეღარ ეღირსა ნიკოლაიშვილების ოჯახს, სოსოს სახელზე დარწეული აკვანი. დედისნებიერი ბედმა ბოლომდე არ გაანებივრა, ვეღარ მოესწრო დაბადებიდან 30-ე გაზაფხულს.

ზურიკო წიქარიძე

ტელეეკრანს შიშით უცქეროდა, შიშით და იმედითაც.

შიშმა იმატა — სოხუმი დაბომბეს! დაბომბეს ის ქუჩა, სადაც ზურიკო ცხოვრობდა.

მაინც ჩაეჭიდა იმედს: „ბიჭი სახლში არაა, ბიჭი იბრძვის, ბიჭი ცოცხალია“.

საიდანღაც სიცივე შემოიჭრა, თითქოს სუნთქვა გაეყინა, „ცოცხალია?“ უნდა წავიდეს, უნდა ნახოს, ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლი შვილი.

უნდა წავიდნენ, დედაც და მამაც, რა გააჩერებთ სახლში?

— სიძნელეებზე არც უფიქრია, არც შიში ჰქონდა სიკვდილისა, ბიჭი უნდა ენახა. გაუჭირდა იმ ნაწილის პოვნა, სადაც ზურიკო იყო. მერე ნაწილი კი იპოვა, მაგრამ უგზო-უკელოდ დაკარგულიყო ბიჭი. უნდა ეძებნა მკვდრებში. 9 იელისის შემდეგ არავინ იყო მისი მნახველი. უთხრეს, რომ ბოლოს კამანის ხიდთან იბრძოდა.

აფხაზებს ეკავათ ის ტერიტორია. რამდენი ხვეწნა-მუდარა დასჭირდა, რომ მოეცათ უფლება, ეძებნა შვილი.

უპატრონოდ ეყარნენ მკვდრები, იღებდა თითოეულს და აქეთ გადმოჰქონდა... ზოგს თავი არ ქონდა, ზოგს ხელი და ფეხი, თითქოს მისი სხეულის ნაწილი იყო თითოეული. ვერ იპოვა თავისი საკუთარი, უნდა გაეგრძელებინა ძებნა. ძნელი გახდა ლაპარაკი აფხაზებთან.

უცრემლოდ დასტიროდა უპატრონო მკვდრებს. ლანძღვა-გინებასაც იტანდა, ითმენდა... ფეხიც რამდენჯერ ამოარტყეს, ითმენდა ყველაფერს, იღონდ ეპოვა შვილი!

ეერაფერს გახდა აფხაზებთან, რა გზა ენახა? მაშინ გაახსენდა ჟიული შარტავა. „ღმერთო, ეს რა კაცი დავკარგეთ!“ დახმარება სთხოვა. ბატონ ჟიულის აკაკი გასვიანისათვის მიუცია დავალება — დაკავშირებოდა გუდაუთში ანქვაბს და ეთხოვა, რომ ერთი დღით მაინც მიეცათ მამისთვის უფლება, მოეძებნა შვილი. სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები გაყვნენ მამას, აფხაზთა მხარეს.

იპოვა თაეისი ბიჭი, იპოვა მისი დამწეარი გვამი, თუმცა რის გვამი, თაეი და ხელ-ფეხის ნაწილი. ერთი აფხაზიც „დაეხმარა“ მის ამოცნობაში: „მაღალი, ხუჭუჭთმიანი იყო, ცუდი დღე აყარა ჩვენს ბიჭებს, შური ვიძიეთ და დაეწვითო!

გაოგნებული იყო მამა. გაბოროტებული აფხაზი სიამაყით ყვებოდა, როგორ დაწვა საბურაეის მოშველიებით დაჭრილი მებრძოლი. ისმენდნენ ზური წიქარაძის ვაჟკაცობის ამბავს მამა-მისი — სოსო წიქარაძე და თანმხლებნი: პოლკოვნიკი გურამ კვარაცხელია და ზემდეგი ვაჟა ოქრუაშვილი.

შემდეგ თანდათან დაკონკრეტდა ფაქტი.

9 ივლისს, თავდასხმა მოხდა ჩვენს შტაბზე. ჭარბი იყო თავ-დამსხმელთა ძალები. ის ბიჭები მორიგეობდნენ, სოსომ საკუთარი ხელებით რომ გამოიტანა მათი ცხედრები ჩვენს მხარეს. მტერმა სიცოცხლე შეუმოკლა 14 ქართველ ჭაბუკს. სეპარატისტებთან პირისპირ დარჩნენ თემურ კარტოზია და ზური წიქარაძე.

— „17 წლის ბიჭი მოგვიკლა შენმა შვილმა, შეეარჩენდით?!“— გაღიზიანებული ყვებოდა აფხაზი,

დაჭრილი ბიჭი ცოცხლად დაწვეს! თაეის ქალას და ხელ-ფეხის ძვლებს, გულში იკრავდა მამა. ტკიეილთან ერთად საამაყოც მოწვდა მის სმენას — დემური და ზური ცეცხლით შეხვდნენ მტერს. ამით, ჩვენს ბიჭებს უკან დახევის, სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობა მიეცათ. ნეტავ ვინ იდგა 9 ივლისს, კამანის ხიდთან? ვინ გადარჩა დემურ კარტოზიასა და ზური წიქარაძის ვაჟკაცობით?

მაინც რაღაც იმედს ებღაუჭებოდა მამა, — როგორც ცოცხალ-ზე ისე ფიქრობდა შვილზე. ამიტომ გაკრთა ეჭვიც — ეგებ ეს არაა, ეგებ ცოცხალია?! სტომატოლოგმა თქვა ბოლო სიტყვა, სამწუ-ხაროდ ელდადამცემი სიტყვა. წინა დღით კბილი ასტკენია ზურის, დაუპლომბავს ექიმს. ამ კბილით, საბოლოოდ ამოიცნეს ბიჭი.

სხვის ტკიეილსაც საკუთარიეით განიცდიდა სოსო წიქარაძე. სტკიოდა დემურ კარტოზიას მშობლების სატკიეარიც. დემური და ზური ხომ ერთად იბრძოდნენ. ერთად აწამეს, ერთნაირი სიკვ-დილი ხვდათ წილად. საუბარშიც არ აშორებდა ერთმანეთს. მკერდზე ორთაეეს სურათი ეკეთა, წვერიც ორთაეეს სახსოვრად მოუშვა.

ძილი და მოსვენება დაეკარგა სოსოს, ფიქრებთან მოლაპარაკე გახდა. ასე გაიგო ლამარამ, რომ მისი მეუღლე შვილის შემ-ცველელად მიისწრაფოდა აფხაზეთში საბრძოლველად.

შურისძიების ყინით იყო საესე. იარაღი არ ჰქონდა. ზურგეთის კომისარიატიდან ცნობა გაატანეს, რომ აფხაზეთში დაღუპული

მებრძოლის მამა დაეინებით ითხოვდა მონაწილეობა მიეღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში.

ამჯერადაც წვალებით ჩავიდა ოჩამჩირეში. ვისთან არ ატარეს. მერე ლოთი ქობალიასთან წარადგინეს, იარაღი არ მისცეს. საბრძოლველად ვერ გაგიშვებთო.

სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით სოხუმის ბატალიონის მებრძოლი ზურაბ წიქარაძე დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის" (სიკვდილის შემდეგ).

სიკვდილის შემდეგ მოვიდა დიდება. ახლა ზურაბის ნაცვლად მისი გმირობის ამბავი დადის. სოხუმში ჯერ არ ახსენებენ მის სახელს, მაგრამ მოვა დრო და იტყვიან, აი ამ სახლში ცხოვრობდა ნაგომრელი ბიჭი, რომელმაც სხვების გადასარჩენად სიცოცხლე გასწირაო.

იზრდება წიქარაძეთა ოჯახში ორი ბიჭი. გიორგი ბიზნესითაა დაკავებული, ლევანი კი ჯარში მსახურობს — ზურიკო წიქარაძის გვარისა და ჯილაგის გაგრძელებაა. ფართოდგახელილ თვალებში სევდა ჩასახლებიათ, ჩუმად სხედან და უსმენენ. იციან, რომ მამა სამშობლოს სიყვარულისათვის მოკლეს, რომ ასეთ სიკვდილს, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში სიკვდილი ჰქვია.

— დროებით, მაგრამ მაინც დავტოვეთ მამა-პაპათა საძვალე... ღალატმა და შიდააშლილობამ აგვირია თავი და ბოლო. უკან დამხვევნი იყვნენ ჩვენი ბიჭები? ზურიკოსნაირი რჩეულები მყავდნენ! ერთ საათში მომიკლეს 22 მებრძოლი, არავინ იყო ჩვენი დამხმარე — გულისტკივილით თქვა ეს სიტყვები მეთაურმა, შოთა კვარაცხელიამ, რომელიც მედლის გადასაცემად ჩამოვიდა თბილისიდან.

ცრემლიანი და ტკივილიანია ზურიკოს დედის, ქალბატონ ლამარა წიქარაძის მოგონება: „...ზურიკოს წარმატებებით ვხარობდი. ქ. სოხუმში პოლიციაში დაიწყო მუშაობა, სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობდა, მაგრამ აფხაზეთში დატრიალებულმა მოვლენებმა მისი ოცნება გააქარწყლა. ზურაბი თავის თანამშრომლებთან ერთად, უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა გვერდით. ვაჟკაცურად იცავდა თავის სამშობლოს და ოჯახის ღირსებას აფხაზი ექსტრემისტების ხელყოფისაგან. ავაზაკებმა ჩემს შვილს მამაცობა არ აპატიეს — ვეღარ ამთავრებს დედა სათქმელს. — უსომო გულისტკივილით გიხსენებს ყველა, ვინც შენი მეგობრობისა და სიკეთის მომსწრე და მნახველი იყო. შენ ხომ ათეული ჯარისკაცის სიცოცხლე იხსენი საკუთარი სიცოცხლის ფასად. მათთვის ისევ ცოცხალი ხარ შვილო, როგორც მარადიული ღირსების და ვაჟკაცობის სიმბოლო.

შენი დამკარგაეი მამა შედარებით ვაუკაცურად იყო, დადიოდა წვერმოშვებული, გულზე შენი და შენი უბედური მეგობრის, შენთან ერთად ვაუკაცურად დაღუპული დემურ კარტოზიას სურათები ებნია. იცოდა, რომ თქვენი ერთმანეთთან დაშორება არ შეიძლებოდა. თქვენ ხომ პირისპირ დარჩით მტერთან, ორივენი ხომ ერთად გაწამეს და დაგწვეს. მაგრამ გულმა უმტყუნა, სიკვდილი არჩია უშენობას. მისი წმინდა სული შენს შესახვედრად წამოვიდა და მონატრებულ შენს სულს შეუეროდა. ჩვენ კი შენს შვილებს შევყურებთ და შეეფოფინებთ, როგორც შენი სიცოცხლის გაგრძელებას. შენს სიცოცხლეს მათში ვხედავთ – ჩემო ვაუკაცო. მაინც ვერ ეუძლებ უშენობას შვილო. შენ ხომ ასე ცოტა ხანს იცოცხლე. მერე კი შენი ნათელი ხსოვნა, სიკეთე, სიყვარული და გაუსაძლისი ტკივილი დაგვიტოვე. ყველა ჩემს იარას შენ მირჩენდი შვილო, შენი სიცოცხლე მირჩენდა, მაგრამ ვაი, რომ ამ ქვეყნად უშენობას არაფერი ეშველება. შენს უბედურ დედას მხოლოდ ერთი ნატვრა დარჩენია, ნატვრა და იმედი იმისა, როცა ჩემთვისაც ჩამოჰკრავს საბედისწერო საათი და იმქვეყნად ერთად ვიქნებით.

გეფერები და ძალიან მენატრები ჩემო შვილო, მაპატიე, რომ ამქვეყნად ვარსებობ. შენი ოჯახისათვის, შენი ხსოვნის უკვდავებისათვის ვიღრე სული მიდგას ყველაფერს გავაკეთებ, შენზე ვილოცებ ჩემო ნათლისსვეტო, ჩემო ერთადერთო ბიჭო, ზურიკო...“

საქართველოს შვილებს, ბიჭებო, სხვანაირად არ შეგეძლოთ. წინ მტერი იდგა, უკან – ცრემლიანი საქართველო.

ღმერთი ასსენეთ. გულზე ჯვარი დაიკიდეთ და პატარა საქართველოს დასაცავად, დიდი და ანთებული გულებით წახვედით.

აღარ დაგცალდათ! თქვენ ხომ თქვენი ვაუკაცობის, თქვენი მამაცობის გამო დაგსაჯეს, ყველაზე დიდი სასჯელით, ცოცხლად დაგწვეს.

„ბეთლემის მღვიმეში კედლები ატირდნენ, ცრემლად დაიღვარა, ცრემლად – მზე და მიწა“.

თქვენ მძიმედ გაიხურეთ ამ ცხოვრების კარი, იმდენად მძიმედ, რომ თქვენთვის ყველაზე საყვარელ ადამიანებსაც კი არ მიეცათ იმის საშუალება, უკანასკნელად ეკოცნათ თქვენთვის, უკანასკნელი მზერა გაეყოლებინათ თქვენი ლამაზი სხეულისათვის.

ავად აბრიალდა წითელი ალი. ზეცას წაიღო თქვენი სახება.

ამიერიდან ცის ფერებში გეძებონ, ბიჭებო!

ბურულ "კუკარაჩას" ეძახდნენ
(ეძიე ვარსკვლავი შენი)

სოსო ურუშაძე

თანატოლთა მსგავსად, მასაც წინ თითქოს უღრუბლო და უსიფათო ცხოვრების საინტერესო ასპარეზი ეშლებოდა. მომავალი პროფესიის დასაუფლებლად ფართო არჩევანი გაჩნდა. ყველაზე მეტად, სამხედრო კარიერა იზიდავდა რომანტიკოს ქაბუკს. ლენინგრადის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ჯერ იქვე, ნევისპირა ქალაქში, შემდეგ საქართველოში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში იმსახურა. 1980 წელს, საკუთარი ინიციატივით, დემონსტრაციულად დატოვა „რუსის ჯარი" და ეროვნულ გვარდიაში შეეიდა. დაინიშნა ქუთაისის ერთ-ერთი შუნაერთის პირველი ასეულის მეთაურად და როგორც მოწინავემ, 26 მაისის აღსანიშნავ პირველ საზეიმო აღლუმში მიიღო მონაწილეობა.

ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირების უკიდურესად გამწვავებისა და სამოქალაქო ომის რეალური საშიშროების გასანახთან დაკავშირებით, სოსომ შუნაერთის უფროსს, ლოგიკურად მოტივირებული პატაკი მიართვა და გვარდია დატოვა.

სოსო ურუშაძე ჩვენი მშფოთვარე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ქართველი ახალგაზრდობის იმ ნაწილის ტიპიური წარმომადგენელი აღმოჩნდა, რომელმაც ძმათამკვლელი ომის ქარცეცხლიან პერიოდში, ზოგიერთებივით ევროპისა თუ აფრიკის პრესტიჟულ კურორტებს კი არ მიაშურა, იქაურ ფეშენებელურ რესტორნებში საქართველოს სადღეგრძელოების შესასმელად, არამედ, სადესანტო თვითმფრინავით აფხაზეთში ჩაფრინდა, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ბედკრულ საქართველოსთვის ხელის წასაშველებლად.

ბოლომდე იბრძოლა სოსომ აფხაზეთში. ეაეკაცურად უკურებდა სიკვდილს თვალებში ოსამხირის მისადგომებთან, ტამიშის, ცაგერის თუ სხვა დასახლებული პუნქტებისათვის გაჩაღებულ შეტაკებებში. მონაწილეობა მიიღო სოფელ კოსარასთან ჩატარებულ ფართომასშტაბიან საბრძოლო ოპერაციაში.

აფხაზური ტრაგედიის უმძიმესი დღეების შემდეგ, ბატონ სოსოს კვლავ ეროვნულ გვარდიაში ეპატიჟებიან, ამჯერად თბილ-

ისის სამხედრო პოლიციის შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, მაგრამ ოჯახური პირობების გამო, თავს უფლება ალარ მისცა მეტოვებინა მამისეული კერა, ოსურგეთში ჩამოვიდა და რადგანაც იმ დროისათვის რეგიონში უკვე არ ფუნქციონირებდა არც ერთი საჯარო შენაერთი, პოლიციის რაიონული განყოფილების თანამშრომელი გახდა.

ქართველი პოლიციელის ცხოვრება, საომარი მოქმედების წინა ხაზზე დგომის ტოლფას რისკს რომ შეიცავს, ამაში ხოხო საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა. მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის საფარაგოზე ყოფნის მანძილზე, მონაწილეობა მიიღო არაერთ საკვლევრო-სახიცოცხლო შეტაკებაში. ერთ-ერთი ოპერაციის დროს, მძიმედ დაჭრილმა, განსაკუთრებით ხაშურში ბოროტმოქმედის ლიკვიდაცია შესძლო. არც უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობა იყო მისთვის წყნარი და მშვიდობიანი. ერთი შესხედვით, თითქოსდა იოლად მოსაგვარებელი დავები, (განსაკუთრებით მაშინ, როცა მიწას ეხება), არც თუ ი'მვიათად, მოყვასის გამეტებამდეც კი მიდის. უბნის ინსპექტორს, მოდავეთა შერიგება-დაწყნარებასთან ერთად, ცვლილსახრიოლი იარაღის ამოღებაც უხდებოდა, რასაც ყველაზე მწვავედ და მტკივნეულად განიცდიდნენ ხოლმე. ხოხო ამ მხრივაც სამაგალითო მუშაკი იყო. განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურება მის მიერ ჩატარებული ერთი ოპერაცია. რომლის დროსაც სანადირო თოფი, ან თუნდაც კალაშნიკოვის ავტომატი კი არა, თვით დაზგის ტყვიამფრქვევი ამოიღო.

იყო არმიაში გაწვევასთან დაკავშირებული პრობლემები. პოლიციის ბავშვთა ოთახის თანამშრომლებთან თანადგომის სიძნელეები, ცხოვრების გართულების კვალობაზე, მახობრივი სასიათი ჰქონდა აკრძალული ილეთების გამოყენებით თავის რნენის მცდელობას. ხოლო პოლიცია, რომელიც კანონს იცავდა, ზოგიერთის თვალში, საარსებო საშუალების წამრთმეელი გამოდიოდა. ამდენად, ლეიტენანტ ხოხო ურეშაძეს, იოლი ცხოვრება ნამდვილად არ ჰქონდა.

ექადია – ანასეულის უბნის ინსპექტორი ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რათა ყველასთან თავაზიანი, კორექტული და ობიექტური ყოფილიყო. მან კარგად იცოდა, რომ მოქალაქეს ხულაც არ აინტერესებდა, წუხელ მოელი დამე, ბანდიტებს დასდევდი და ტყვიას შუბლს უშვერდი თუ ტებილად გეძინა. პოლიციელთაგან მუდამ მაქსიმუმს ითხოვდნენ და თავადაც ცდილობდა არ შეელახა ხელისუფლების წარმომადგენლის მუნდირის ღირსება.

ალბათ ამიტომ ეძახდნენ მას უბანში „კუკარაჩას“. იგი დუმბაძისეული გმირივით, გულისხმიერი, ერთგული და თავდადებ-

ული იყო. ამაში კიდევ ერთხელ დაერწმუნდი. როდესაც წაიკითხე თემურ ბაქანიძის რომანი „ჩემი პატარა პატიმარი“. რომელშიაც გამოკვეთილია ლეიტენანტ სოსო ურუშაძის პორტრეტი. საუბარია ხალხისაგან მიეწყებულ უბრალოებაზე, რომელიც ერთნაირად შვენის თითოეულ ჩვენთაგანს, მიუხედავად იმისა, ვინც არ უნდა ვიყოთ ჩვენ, სოციალური მდგომარეობით. სახელმწიფოში ყველა ფენა გაყოფილია ორ ნაწილად, პოლიციელებად და დამნაშავეებად, რომელთა შორის, მუდმივად ომი მიმდინარეობს. სოსო ურუშაძე შეეცადა ჩვენთვის ეჩვენებინა, რომ აუცილებელია ამ ორ მტრულ ბანაკს შორის მეგობრული სიდის გადება.

იმ დღეს, მილიციის უფროსი გაცეცხლებული ყვიროდა და თანამშრომლებს უწმაწური სიტყვებით ამკობდა:

— რაც გინდათ ის გააკეთეთ! — მუშტი გამეტებით დაარტყა მაგიდაზე და უბნის რწმუნებულს, სოსო ურუშაძეს მუქარით უთხრა: — თუ კი ჰაერში აშვებული მაშხალა დაინახეთ, რატომ იმავე წამს იქვე არ გაჩნდით?! ჩქარა გაქრი და კაფე „გაზაფხულის“ ტერიტორია დაათვალიერე. არა მგონია ის მაშხალა ვინმეს სახლიდან ესროლოს. შეამოწმეთ ვაგზლის მოედანი და თვითონ კაფე „გაზაფხული“, იქნებ ვინმე საეჭვო ნახოთ და რაიმე ხელმოსაჭიდს მიაკვლიოთ.

კაფე გაზაფხულში, კუთხის მაგიდასთან კობა და იაგო იჯდა. შენობაში პოლიციის თანამშრომლები შემოვიდნენ. უბნის რწმენებულს შუბლზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა და მძიმედ სუნთქავდა.

როცა „შაკი სამეარის“ აეტორიტეტი კობა დაინახა, ხმამაღლა დაესტვინა. ძუნწად გაიღიმა და გვერდით მაგიდასთან დაჯდა. პოლიციელებს ხელით ანიშნა გარეთ გადითო. სიგარეტს მოუკიდა. ორითოდე ნაფაზის შემდეგ ხმამაღლა გაიცინა და კობას უთხრა:

— ბატონო კობა, შენ რა თქმა უნდა, არ გეცოდინება ვინ გაისროლა მაშხალა და საერთოდ, აზრზე არა ხარ, რა ხდებოდა დღეს აქ, ხომ ასეა?

კობამ პოლიციელის კითხვა უპასუხოდ დატოვა.

— მაგარი ხარ, არა? — პოლიციელი ფეხზე წამოდგა, კობასთან მიეიდა, ყურში ცივად წასჩურჩულა, — მოვა დრო და გაგამწარებ.

იმავე ღამით, კობა და მისი მეგობარი სათვეზოდ წავიდნენ მდინარე ნატანებზე, რომელიც ერთადერთი ადგილი იყო, სადაც იარაღის გარეშე დადიოდნენ. ისინი იყვნენ დაუჭერელნი, დაუნახავნი. მათთვის რაიმეს დამტკიცება შეუძლებელი იყო და ამიტომაც არ ჰყავდათ მტრები. მხოლოდ პოლიცია ხვდებოდა რასაც აკეთებდნენ, მაგრამ სამდღიანი ცვლის ატანას, ორივე მიჩვეული იყო. თითქმის შეუძლებელი გახდა მათი დაკავება.

ბევრს ეგონა, რომ ისინი პოლიციასთან იყვნენ შეკრულები. ძნელია იმის ახსნა, თუ რა სისარულს განიცდიდნენ, როცა ცეცხლით განათებულ ნაპირზე, ანკეს თეთრად მოელვარე წვერა ან ქაშაყი ამოეყებოდა ხოლმე. შუაღამისკენ ახლად დაჭერილ თევზს შეწვავდნენ, არაყს დააყოლებდნენ, შემდეგ გოჩა იძინებდა. კობა კი რაც არ უნდა მთვრალი ყოფილიყო თვალს არ მოხუჭავდა... ათითოდე წუთის ნაძინებული იქნებოდა გოჩა, როცა ქვიშაზე ფეხის სმა შემოესმა. ცოტა ხნის შემდეგ ადამიანის ლანდიც გამოჩნდა.

ყველაფერს იფიქრებდა კობა და ასეთ დროს, და ამ ადგილზე ვინმეს მოსვლას, ნამდვილად არ მოელოდა.

სოსო ურუშაძემ ტაფას „რიდით" გადახედა, – ყველა შეჭამეთ თევზი თუ, შემხვდება ცოტა?

– შენ მე ნუ შემჭამ და თევზის მეტი რა არის.

სოსო წარმოშობით იზურგეთის რაიონის მკვიდრი იყო. სოფელ ჭანიეთიდან, 37 წლის მამაკაცი, საშუალო სიმაღლის და ნაფსკვნილი ტანის, შავგრემანი. სახიდან დიმილს არასოდეს იცილებდა. სამანაბლოსა და აფხაზეთის ომში ნაომარს, ძალიან უყვარდა ქართველი ახალგაზრდა და ყოველი წვეთი სისხლის ფასი იცოდა. სულ მხიარული იყო, თუმცა თვალის რომელიღაც კუნჭულში, სევდა ჩაეგუბებინა და გულში ნაღვრილი, დაუნახავი ცრემლით გლოვობდა ომში დაკარგულ ძმებს. ომის შემდგომ, ფორმას და იარაღს შეჩვეული, პოლიციაში შეეიდა და იმდენად პატიოსანი იყო, რომ ბანდიტები კი არა, თვითონ პოლიციელებიც სათრიანად ეჭცეოდნენ და ანგარიშს უწევდნენ მის ყოველ სიტყვას. იმითაც ფასობდა რწმუნებული, რომ თუ ვინმეს უძმობდა, შეეძლო მისთვის თავი გაეწირა.

სოსო საკუთ ჭიქით სვამდა, კობა კი ცოტა-ცოტას, უკვე ბევრი ჰქონდა მიღებული

– შენ ალბათ არ გიკვირს, როგორ გავიგე აქ რომ იყავით?

– აქ თავისუფლებაა, არაფერია დასამალი და არც მიკვირს.

– ესეიგი, არ გიკვირს. შენ საერთოდ რაიმე გიკვირს?

– კი.

– რა?

– რატომ ვიჭერ მე თევზს და შენ კი – ადამიანს

– სამაგიეროდ როცა მე შენ დაგიჭერ, – არ შეგჭამ. შენ კი, თევზს ჭამ.

– ჯერ დამიჭირე სოსო და მერე თუ გინდა შემჭამე. – ნიშნის მოგებით უპასუხა კობამ.

– ნუ გეშინია დაგიჭერ, აბა რას ვიზამ. წინასწარ მეცოდები, არა ხარ ცუდი ბიჭი და იმიტომ. – შენისთანა კაი ბიჭებმა

მომანატრა ცოლ-შვილი. მოხუც დედაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ტკბილად გიხსნი ამას. ხვალიდან შენ ისევ იარაღს გაირჭობ წელში და პოლიციისათვის ისეთივე ნაძირალა იქნები, როგორიც დღემდე იყავი. მე ფორმას ნაივცმევ და თქვენთვის იგივე ძაღლი ვიქნები, რა იყო, არ მისმენ?

კობას თავი ზემოთ აეწია და ცას დაუინებით უყურებდა. სოსომაც ახედა ცას.

— მეც დამანახე თუ ამა ხარ, რომელი ვარსკვლავია ის, რწმენაზე, რომ დაგაწყებინა ლაპარაკი?

— ეძიე ვარსკვლავი შენი! ვარსკვლავების მეტი რა არის, მაინცდამაინც ჩემმა რომ დაგაინტერესა. ამბობენ ყველას თავისი ბედის ვარსკვლავი აქვს და ამ ვარსკვლავზე ყველაფერი წერიაო.

— მეც გამიგია, რაღაც მაგდაგვარი.

მერე დამანახეო რომ მეუბნები, წაიკითხავ ზედ ყველაფერს და მერე შენ კი არა კატაც კი დამიჭერს.

სოსომ მოჭუტული თვალებით გადახედა და გულიანად გაეცინა, შემდეგ ზეცას ახედა ოცნებით.

— რამდენი ვარსკვლავია ნეტავ ცაზე, თუ უცდია ვინმეს დათვლა? — იკითხა მეოცნებემ.

— რამდენი თვალიც უყურებს ქვემოდან. — მოკლედ და დამაჯერებლად მოჭრა კობამ.

— მე კი არ ვიცოდი, რა განათლებული ხალხი ხართ ეს ბანდიტები. შენ ის მითხარი, ურემს თუ ხედავ?

— რა ურემს კაცო. შენ ჩემზე უფრო დამთვრალხარ.

— სიმთვრალე რა შუაშია. ესე იგი არ გადაბრუნებულა? აბა სწორ გზას რატომ ვერ ხედავ? მე სწორი გზისკენ მიგანიშნებ, შენ კი, ეეჰ...

ჭიქები კვლავ შეეხეს და ერთმანეთს მიუჭახუნეს.

— ხვალინდელი დღისა შეეხვათ კობა.

— შეეხვათ სოსოია, შეეხვათ.

...სიბნელეს შერეულ სოსოს ლანდს, გვარიანად შემთვრალმა კობამ მიაძახა:

— რა ექნათ ხოსო, ხვალ ისევ პოლიციელი შემხვდები?

— შენი ამბავი, რომ ვიცი, ანკესს აღარ გააგდებ ხელიდან და თევზაობით არჩენ ოჯახს. ჩემი დეეიხია, ვაკეთოთ ჩვენ-ჩვენი საქმე, მაგრამ ერთმანეთს პატივი ვცეთ, — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ კი დაამატა: — რა თქმა უნდა შეძლებისდაგვარად.

— რატომ არ წამიყვანე კაფე გაზაფხულიდან?

— თუ ფაქტზე არ დაგიჭირე, ისე რა აზრი აქვს შენს აყვანას, თან ბიჭო, — ხმაში სირბილე შეეპარა, — ქალიშვილთან იყავი, შენ მე მართლა... ის ხომ არ გგონიეარ?...

ძნელი სათქმელია, კობას მთელი გონება, აწონილი თუ არა, იმ გაწეულ სიკეთეს, მასთან მისულით და გონიერული ეესტით, რომ გამოხატეს.

სოსოსთვის კი მთავარი ის იყო, ხვალ, კობა როგორ ადექამდა მას. მასში ისევ პოლიციელს დაინახავდა თუ... მეგობარს, მტერს, თუ მოყვარეს, მისკენ გაწვდილ ხელს დაინახავდა თუ... ხელბორკილს...

ვინ იცის.

სამწუხარო კი ისაა, რომ ერთი ლამაზი სულის ბიჭის, ლამაზ ცხოვრებას, სურვილებმა ნაადრევად გადაათოვა.

საქმისა და სიმართლის ერთგული



ზაალ ნხაიძე

ადამიანი, როცა ბედნიერი ხარ, არ გაჯერა, რომ ეს ყველაფერი შეიძლება მოულოდნელად დამთავრდეს. მაგრამ ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა სავსე და შეიძლება ისეთი მოქმედებელი იარა დაგიტოვოს გულში, რომ სიცოცხლის ხალისი დაგაკარგვინოს. ასეთი უბედური წუთი ზაალ ნხაიძის ოჯახის ცხოვრებაში 1983 წლის 17 მარტია, როცა მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა მეგობრებს და ახლობლებს თავზარი დასცა.

მოსდა სრულიად წარმოუდგენელი და გაუთვალისწინებელი. ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულ და ხასოგადოების წინაშე ვალმოხდილ ვაჟკაცს, გულმა ვერარ გაუძლო და სიკვდილ-სიცოცხლის გასაკართან მარტოდ დარჩენილმა. ზეციურ ნათელ სამყაროში არჩია ყოფნა.

პატიოსნად, სითბოთი და სიყვარულით იცხოვრა 39 წელი. თითქოს გრძნობდა, რომ ამქვეყნად დიდი ხნით არ იყო მოვლინებული. 26 წლის ასაკში შექმნა ოჯახი. ბიჭის დაბადებამ აუწერელი სიხარული მიანიჭა. სრულად შეიგრძნო მამობის სითბო და მადლი. მომავალი ნათელ ფერებში ეხატებოდა, მაგრამ...

ზაალ პოლიაქტორის-ძე ნხაიძე დაიბადა 1944 წლის 28 სექტემბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. აცანაში.

აცანა ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია ლანჩხუთში. იგი დამშვენებულია სამებისა და ნიტის მთებით ლამაზი ველებითა

და კორდებით და თაეისი არსებობის მრაეალ საუკუნეს ითვლის. აქ ცხოერობდნენ და აღიზარდნენ გამოჩენილი ადამიანები, გამოჩენილი გვარებით, – წილოსნები, კვაჭაძეები, ჭანტურიშვილები რომელთა შორის ყველაზე მეტი – ჩხაიძეების წარმომადგენლები არიან.

ამჯერად, პოლიაქტორ ჩხაიძის ოჯახზე გესაუბრებით. პოლიაქტორ ეპიფანეს-ძე ჩხაიძე სოფლის ვეტექიმი იყო. მეუღლე – ვერა კონსტანტინეს ასული ჩხაიძე, სპეციალობით პედაგოგი გახლდათ, მაგრამ არ უმუშავნია. სახლში შვილებს ზრდიდა. 3 შვილი გაზარდეს. ყველას უმაღლესი განათლება მიაღებინეს. უმცროსი შვილი ზაალ ჩხაიძე, სპორტსმენი იყო, ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა. სტუდენტობის პერიოდში გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. მსახურობდა გერმანიაში ქალაქ სტრასბურგში. სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ, დაბრუნდა ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და 1975 წლამდე, ლანჩხუთის რაიონის ქიმო აკეთის რვაწლიან სკოლაში, ფიზკულტურის მასწავლებლად იმუშავა.

შემდეგ მუშაობა დაიწყო ოსურგეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში (არასაუწყებო დაცვა) ოფიცრად. 1980 წელს გადავიდა ლანჩხუთის რაიონის არასაუწყებო დაცვის უფროსად. ჰყავს მეუღლე ლალი წიტაიშვილი, აცანის საშუალო სკოლაში მუსიკის მასწავლებელი და ანსამბლ „აცაურას“ ხელმძღვანელი. ჰყავს ერთი შვილი ზვიად ჩხაიძე, სპეციალობით სტომატოლოგი. ზვიადის მეუღლე მზია, პედაგოგია. ჰყავთ ერთი შვილი – თაკო, აცანის საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლე, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული.

1983 წლის 17 მარტი, ავად სახსენებელი დღეა ჩხაიძეების ოჯახისათვის. ამ დღეს, 38 წლის ასაკში უეცარი სიკვდილით გარდაიცვალა ოჯახის უმცროსი ვაჟი ზაალი... მამამ ვერ გადაიტანა შვილის დაკარგვა და მალე ისიც მის კვალს მიჰყვა.

აუტანელი იყო ახალგაზრდა ქალისთვის მეუღლის გარდაცვალება, დარდი და ფიქრი, ობლად დარჩენილ შვილზე ზრუნვა. ქალბატონმა ლალიმ საკუთარ თავზე აიღო ოჯახის მართვა. სოფლის ხელმძღვანელობამ მას სთხოვა სამსახურში დაბრუნებულიყო და თავისი დაწყებული საქმე ეკეთებინა. თუმცა ძნელი იყო მგლოვიარე ქალისათვის იმ საქმის კეთება, რასაც სიმღერის აღდგენა-დამუშავება ჰქვია, მაგრამ ლალი მაინც დაუბრუნდა ანსამბლ „აცაურას“.

„აცაურა“ მდინარის სახელია. საოცარი ის არის რომ ეს მდინარე აღმა მიედინება და სწორედ ამიტომ დაარქვეს ქალთა ამ ანსამბლს, ხალხურ გადაცემათა რედაქტორის, ბატონ თემურ

ჭკუასელის ინიციატივით, აღნიშნული მდინარის სახელი და ამით მუდმივი აღმასელა უსურვეს. ანსამბლმა, რომელიც ეძებს და აღადგენს ხალხში გაბნეულ მარგალიტებს, 1990 წელს სახალხო ანსამბლის წოდება მიიღო, მისი ხელმძღვანელი დაჯილდოებულ იქნა ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ღირსების ორდენით.

როცა ლალის თაკის მეუღლეზე ვესაუბრები, თვალები ცრემლით ევსება.

„მახსოვს, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, საქართველოს ტელევიზია გვყავდა სარეკამარტოდ სტუმრად, ანსამბლის გადასაღებად. ზაალი მთელი დღე მეხმარებოდა. საღამო მე უნდა გამეხსნა. როცა სცენაზე გამოვედი პარტერში თვითონ შევნიშნე პატარა ზვიადთან ერთად. როცა დამინახა, თავი ჩაღუნა და სანამ არ დავამთავრე სიტყვა, ასეთ მდგომარეობაში დარჩა, ჩემზე მეტად განიცდიდა ჩემს ღონისძიებებს, გვერდით მედგა და მამხნევებდა. ყოველთვის ჩემთან არის... მისი თვალების შუქი გზას მინათებს“.

ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ადამიანებისათვის, ყველაზე დიდი მისი პიროვნული თვისებების დაფასება და გახსენებაა, იმ ადამიანების მიერ, ვის გვერდითაც მას გარდაცვალებამდე უხდებოდა ურთიერთობა. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ზაალ ჩხაიძე, რომელსაც უხვად ჰქონდა მომადლებული უსაზღვრო სიკეთე და გულისხმიერება. კარგ, ლამაზ, ქართული ტრადიციების ერთგულ ოჯახში აღზრდილზე აუგს ვერავინ იტყოდა.

თავაზიანი, მოსიყვარულე, საქმისა და სიმართლის ერთგული, თაკგანწირული და უანგარო იყო და ასეთად დარჩა თანამშრომელთა და ახლობელთა გულებში.

არავის შეუძლია მისი დავიწყება

არკადი ხაბელიანი

მან მხოლოდ 27 წელი იცოცხლა. მშობლიური მიწის სიყვარულს შესწირა მომავალი ოცნებები, მომავალი გაზაფხულები და მარადისობას სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ყალმოხდილი შეუერთდა.

ჩვენო არკადი – რაოდენ ძნელია საყვარელ ადამიანზე წარსულ დროში წერა, იმის თაობაზე, თუ როგორი იყო და არა როგორი არის. იგი ჩვენს გვერდით დგას, ჩვენს გულშია. გეშველის და ძალას გემატებს. იგი კელაც რჩება უსაყვარლეს ძმად და ტკივილთან ერთად, სიამაყესაც გვგვრის, რომ ყაყაცურად იცხოვრა, რომ მამაცურად დადო თავი სამშობლოსათვის.

არკადი ხაბელიანი განსაკუთრებით სსვანაირი იყო. უსაზღვროდ კეთილი, გულისხმიერი, კაცთმოყვარე, ერთგული, ათლეტური აღნაგობის. მუდამ ხალისიანი. შური, ბოროტება, სიცრუე მისგან ისე შორს იყო, ვითარცა მზე დედამიწისაგან.

ჭარბად ჰქონდა მომადლებული სიმამაცე და ვაჟკაცობა. მისთვის უცხო ოყო შიშისა და უკანდახევის გრძნობა. როცა ოსურგეთის რაიონში ყველაფერი აირია და კანონიერი თუ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები განუკითხავად დათარეშობდნენ, არკადი არც მაშინ ერიდა ფარ-ხმალს და ყოველგვარ უკანონობას საკუთარი სიცოცხლის ფასად ებრძოდა.

არაკეთილი საშიშროების წინაშე უკან არ დაიხევდა, ზოგჯერ ბეწვის სიდზე გაელა ერჩია წყნარ, შემგუებელ ცხოვრებას. მისთვის, დაბრკოლებათა გადალახვა, იდუმალი სამყაროს უკეთესად შემეცნების საშუალებას წარმოადგენდა.

უმაგალითო იყო მისი ბოლო ბრძოლა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ბევრის გაკეთება მოასწრო მან 27 წლის ასაკში, შორეასა და ალიასათვის, იგი იმედი და დასაყრდენი იყო.

წავიდა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე, ჩვენ კი დაგვიტოვა რწმენა იმისა, რომ სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის დაღვრილი სისხლის თითოეული წვეთი უკვალოდ არ ქრება და საქართველოს თავისუფლების მზეს, სინათლედ ემატება.

არკადი ხაბულიანმა, ლენტეხის რაიონის სოფ. შტეილის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, კეთილსინდისიერად მოიხადა სამხედრო მოვალეობა და მუშაობა დაიწყო ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში.

შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანმოკლე მუშაობის მიუხედავად, არკადიმ მალე გამოიჩინა თავი როგორც კეთილსინდისიერმა და პროფესიონალმა მუშაკმა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში. იყო მამაცი, გაბედული. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მეგობრებსა და კოლეგებს შორის. მომავალი, ნათელ ფერებში ეხატებოდა 27 წლის ჭაბუკს. დაოჯახებაზე ფიქრობდა... ამ წელს არ გავაციავებო, – ასეთი პირობა მისცა დედას, მაგრამ ვაგლახ, რომ ვერ შეასრულა. – არ დასცალდა, ერთი შვილი მაინც დაეტოვებინა ჩვენდა სანუგეშოდ, – იცრემლება დედა.

სამაგიეროდ, ერთი ნუგეში დაუტოვა ღმერთმა დაუძლურებულ დედას – შორენასა და ალიზას შვილები, რომლებიც ჯერ პატარები არიან, ბიძას მხოლოდ სურათებით იცნობენ და მისი სურათის წინ ლოცულობენ.

ვკითხულობ გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ მასალას შენი ღვაწლის შესახებ და გაკვირვება მიპყრობს, ასე ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე, ამდენი როგორ მოასწარი არკადი?

ოზურგეთის პოლიციაში მუშაობის მოკლე პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც დისციპლინიანმა, ენერგიულმა და მინდობილი საქმისადმი ერთგულმა თანამშრომელმა. პირად შემადგენლობაში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, რამდენჯერმე იქნა წახალისებული.

არკადი ხაბულიანის კოლეგა პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი ზ. გულბიანი იხსენებს: „არკადი ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. იყო უშიშარი, ერთგული, უღალატო ვაუცაცი. ასეთ ეპიზოდს გავიხსენებდი: ერთ დღეს, პოლიციის სამორიგეოში შემოვიდა შეტყობინება იმასთან დაკავშირებით, რომ წითელი არმიის ქუჩაზე, თითქოსდა მძიმე ავადმყოფთან, გამოძახებულ იქნა სასწრაფო დახმარება. ექიმი გვარად ულენტი, შევიდა თუ არა სადარბაზოში, გაკოჭეს და მოსთხოვეს ნარკოტიკები. შეტყობინებისთანავე ოპერატიული ჯგუფის წევრები გავედით შემთხვევის ადგილზე. ჩვენთან ერთად იყო არკადიც. როგორც გაირკვა ბოროტმოქმედე-

ბის მიერ გატაცებულ იქნა ნარკოტიკები. ბატონო ზურაბ! გუმანით ვხედები, რომ არაკაცები ვერ მოასწრებდნენ მიმალვას, ისინი სარდაფში ხომ არ არიანო. — მითხრა არკადიმ. ჩავიდა თუ არა სარდაფში, ორივე ბოროტმოქმედი მართლაც იქ დახვდა. ორივეს ხელბორკილები დაადო და განყოფილებაში წამოიყვანა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გახარებული იყო, რომ არ შეცდა. პოლიციის აკადემიაში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა, მაგრამ ოცნება, ოცნებად დარჩა...“

ცრემლიანი და ტკივილიანია არკადი ხაბულიანის დის შორენას წერილი: „სიყვარულისათვის დაისაჯე ძმაო“. აი, რას წერს იგი: „მე არ შემიძლია ვთქვა, რომ შენ მოგკლეს. მინდა წარსული მხოლოდ ცუდ სიზმრად დარჩეს და იყოს მხოლოდ გარდაცვალება. სიკვდილი მძულს და მაინც... შენ აღარ ხარ ცხადში. ძილში თან დამდევს შენი სატება, მიფარავ, მაფრთხილებ... დავიღალე. საოცრად არ მინდა ყოველ შემხვედრში შენი მკვლელი ვეძიო, ყოველ ქართველს შევეხედო ეჭვნარევი მზერით.

ბევრი რამე მინატრია, მაგრამ საშინელი იყო ერთი ნატვრა: ნეტავ მტერს მაინც მოეკალი. მტერი-მტერია და მას, მტრულად დახვედრა უნდა, სულში, რომ არ ჩაგაფურთხოს, წინაპართა საფლავი, რომ არ წაგიბილწოს და მომავალი რომ არ წაგართვას. მეც ავისხამდი შენეულ იარაღს და მტერს თავს შევაკლავდი, მაგრამ საოცარი და მკაცრია ბედისწერა, შურისძიებაც კი არ შემიძლია.

როგორ უზომოდ გიყვარდა სამშობლო, სიყვარულისთვის დაისაჯე, ალბათ. რამდენი სათქმელი დაგროვდა, რომ იცოდე. მოგიყვებოდი ყველაფერს მეგობრებზე, სიყვარულზე, კოლეგებზე, — როგორც ადრე, ბევრს გაგიმხელდი და გამიგებდი. ახლა ყველაფერს შენს საფლავს ეუყვები, გიორგობის დღეს სასაფლაოსთან ჩაველილს მომეჩვენა, (იქნებ არც მომჩვენებია), თითქოს მეძახდი. შენი ხმა მეძახდა. შენეული სითბოთი ხომ არავის წარმოუთქვამს ჩემი სახელი. ჯერაც ვერ გაეაცნობიერე და შენი სიკვდილისა არ მჯერა, არა! ძმაო, გულში კი ბუუტავს იმედი, იქნებ მოხვიდე. დედის გული გელის ძმაო. ნუ გაუმტყუნებ დედაშენს იმედს“.

ქალბატონმა შურამ, ჩვენთან შეხვედრისას, ცრემლები ვერ დამალა:

„... ჩემო მზეჭაბუკო, ჩემო თვალსაჩინო, ჩემო უსაშველო სევდავ. დრო არ ყოფილა თურმე ყველაფრის მკურნალი. შვილო არკადი, უშენოდ ჩემთვის ყოველი დღე, ცრემლიანი და ტკივილიანი გახდა. როგორი ძნელი ყოფილა მოსაგონარის დაწერა 27 წლის ჭაბუკსე, რომელსაც საცოლე შერჩეული პყავდა. მე ხომ წინააღმდეგი ვიყავი მუშაობა დაგეწყო შინაგან საქმეთა ორგ-

ანოებში. რთული პერიოდი იყო, მეშინოდა, ტრაგედიამ კინაღამ გვიმსხვერპლა ლენტეხის რაიონის სოფ. შტეილში. იქიდან ჩამოვსახლდით ასკანაში. გაბრაზებულმა პირველად საბუთებიც კი დახია, მაგრამ არ იცოდი რა იყო შიში. ხელმეორედ შეაგროვე დოკუმენტები და მიუხედავად ჩემი თხოვნისა, მაინც შენი ნატვრა აისრულე. ძალიან გიყვარდა შენი ქვეყანა, მეგობრები, ახლობლები სიმართლე და სამართლიანობა. შენ სომ ასეთად დარჩები ჩვენთვის. შენმა სიშორემ ყველა საზღვარი და ნაპირი ჩამომიქცია. ამოუვსები სიცარიელე დაგვიტოვე ყველას. ისევ მოგონებებს შეპარვია მონატრება... მე მუდამ შენთან ვარ შვილო, აქაც შენი სახელისათვის ვცოცხლობ იმ იმედით, რომ ზეციურ სასუფეველში გნახავ ჩემო ვაჟკაცო. ისევ ვლოცულობთ შენი სულისათვის, ისევ გიხსენებთ და გნატრობთ, ისევ სევდიანი თვალებით შესცქერიან შენს სურათს შენი საყვარელი დისშვილები და ძმისშვილები: მარადი, მამეკა, არკადი და ანი.

დრო მიდის. შენი სახელის უკვდავსაყოფად, ხაბულიანების ოჯახში, იზრდება შენი მოსახელე პატარა არკადი, რომელიც ჯერ მხოლოდ 5 წლისაა, ბიძას სურათებიდან იცნობს, მაგრამ იმედია არ შეარცხვენს მის სახელს.

საოცრად კარგი ბიჭი იყო, ლაღი, მხარგაშლილი, მუდამ ღიმილიანი, ურთიერთობაში თბილი. ყველას ახსოვს ის პოლიციაში და არავის შეუძლია მისი დავიწყება. ასეთ კაცს მზეც ვერ ჭრის თვალს. ასეთი კაცის ჩრდილიც შესანახია. ასე მხოლოდ ღირსეულები კვდებიან. მისი სახელი ცას გამოეკერება. მანამ იცოცხლებს, სანამ ოზურგეთის პოლიციის ყარსკვლავებს ციმციმი უწერიათ.

გელა ტუღუში

მან მხოლოდ 23 წელი იცოცხლა. მშობლიური მიწის სიყვარულსა და მისთვის თავდადებას შესწირა მომავლის ოცნებები, მომავალი გაზაფხულები და მარადისობას სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ვალმოხდილი შეუერთდა.

„ჩვენი გელა! – რაოდენ ძნელია საყვარელ ადამიანზე წარსულ დროში წერა. თუ როგორი იყო, და არა როგორი არის. იგი ჩვენს გვერდით დგას, ჩვენს გულშია, გვშველის და ძალას გვმატებს, ტკივილთან ერთად სიამესაც გვგვრის, რომ ვაჟკაცურად იცხოვრა, ნაადრევად ჩაქრა მზის შუქი მის მეოცნებე თვალებში. ასევე მოულოდნელად დაბნელდა სხივნათელი ზეცა დედისათვის, სიხარული ცრემლმა შეცვალა, ლხენა – ტკივილმა, იმედი – უიმედობამ“.

უსიმო ტკივილის გრძნობით იხსენებს თავის ერთადერთ ძმას ლელა ტუღუში:

„გინახავთ გაზაფხული იების გარეშე? გაგიგიათ უმზეო გაზაფხული?... გსმენიათ რამე ლამაზი, ღიმილიანი ბიჭის შესახებ, უდიდესი, ქვეყნის დამტევი გული, რომ ჰქონდა, ვაჟას პოეზიით, რომ დაგათრობდათ, მთის არწივის სიბრძნით მოგაჯადოებდათ, ერთადერთი საფიცარი დაიკოს ლექსებს, ჯიბით რომ ატარებდა? გახსოვთ, ზღაპრის კეთილი უფლისწულივით მშვენიერი ვაჟკაცი, უღალატო, წრფელი და სათნო, სამეგობროს საამაყო, პატარა ბრძენკაცს რომ ეძახდნენ? ბიჭს, რომელსაც სამყარო ეცოტავებოდა უსარმაზარი სიკეთის დასატევად!

ღვთიურად მოსიყვარულე მშობელთა მიმართ, უსათნოესი და ფაქიზი შვილი, ვითარცა ქრისტე სანათესაოს უსაზღვროდ მოყვარული, სული და გული! ფართო ვაჟკაცურ მკერდზე ნათესავთ მეზობელ ბავშვებს ჩახუტებული, პატარებთან მოთამაშე და ამავე დროს, ნაადრევად დაბრძენებული, დინჯი, აწონილი სიტყვის ბიჭი! ქართული სუფრის ნაღდი მოწესე და ამხანაგთაგან რჩეული საოცარი თამადა! საკუთარი ქვეყნის მოთაყვანე და სამშობლოს ჭეშმარიტი შვილი! „თუ საქართველო განწირულია, მეც მასთან ერთად გავიწირებიო“ – ამ სულისკვეთებით, რომ გადიოდა

სახლიდან და უშიშრად დადგებოდა ღირსების სადარაჯოზე, იქ სადაც რაინდული სულის ბიჭები სჭირდებოდათ.

„ბრძოლის გარეშე, უსიკვდილოდ ისტორია არ იქმნებაო!“ – შენ ეს სიყრმიდანვე კარგად იცოდი... 16 წლის უკან, უსამართლოდ ბარბაროსული ბრძოლის დაწყების წინ, აფხაზეთის ომის დაწყების პირველივე დღეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ინება არსთაგამრიგემ შენი ამაოებათა ქვეყნიდან გაყვანა! შენთვის უკიდეგანო სინათლე, ცოდვას განრიდებული სამყაროს სუნთქვა დაიწყო! ჩვენ კი გაუთენებელ ღამეში დავრჩით, უშენოდ მარადიულ წყვდიადში ჩაძირულები, ცრემლების ზღვაში აფართხალებულები, გულის გამგლეჯი ტკივილებით დაჩოქილნი, უსუსურები და დაუცველები. სასოდ მხოლოდ უფალი! დედას კი შენი ერთადერთი დაიკო დარჩა – ათასჯერ ლამის გაჭყლეტილი უსამართლო ყოფიერებისგან. ლამის სისხლდაწრეტილი, წაქცევამდე მიყვანილი, მაგრამ ღვთისა და შენი სულის სიძლიერით ფეხზე წამომდგარი!

სურათზე დარჩენილ უჩვეულო ღიმილს და მრავლისმთქმელ მზერას გაცილებით მეტი ძალა აქვს, ვიდრე ცოცხალთა ასეულებს. ეს იმიტომ, რომ სიყვარული განელდა, გრძნობები ჩაინავლა, ურთიერთობები დაკნინდა, ქვეყანა ეგოცენტრიზმით დასნეულდა. თუმცა, თანამედროვე რეალიზმს – სიყალბეს, სიცივეს, ეამთა სიავეს მტკიცედ გაუძლო შენმა ჯარის მეგობარმა – მერაბ კაპანაძემ. მართლაც, აფერუმ მის ეაუკაცობას!

გაზაფზული იების გარეშე, ზაფხული უმზეოდ! – აი, ეს არის ჩემი ცხოვრება... ყვავის იები, მაგრამ ჩემთვის ფერგახუნებული და სურნელდაკარგული. მე შენი დაკრეფილი იები მინდოდა, შენს თბილ უბეში ჩამალული. მზეც ისევ ანათებს ცოდვილ დამძიმებულ სამყაროს, მაგრამ ჩვენ აღარ გვათბობს ისე, როგორც ადრე შენთან ერთად, მზეს შენი სითბო დააკლდა, ბიჭო!

ჩვენი სიცოცხლე სუსხიანი, გაყინული, ქარიშხლიანი ზამთარია...

ტკივილიანი და ცრემლიანი სიხარული განა სიხარულია?! სევდით დამძიმებული გულით ნამღერი განა სიმღერაა?! საწუთროს ხაფანგში გამომწყვდეული ლექსი განა ლექსია?! მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად სულის, ხორცის, სისხლის წარღვნისა, ხომ ისევ გათენდება და როგორც ათასგზის იტყოდი შენი უსაყვარლესი ვაჟას სიტყვებს – “ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!” ეგებ, უფლის სასწაულით მართლაც ელირსოს ჩვენს სამშობლოს ურყევად ფეხზე დადგომა და ეს იქნება ერთადერთი ნუგეში სასომიხდილი, მგლოვიარე გულებისთვის...

ნუთუ ასე სუსტია ადამიანის გრძნობათა დიაპაზონი?!

ხშირად გამიგონია წინაპართაგან ფიცით ნათქვამი — „დრო ყველაფრის მკურნალიაო!... დრომ მუხთალმა, მოღალატემ და ბინძურმაც მეტად გვატკინა გული, მეტად დაგვასუსტა, არამიწიერად, სიგიჟემდე მისული გრძნობით მოგვანატრა შენი თაკი და უთვალაეჯერ დაგვარწმუნა, რომ ტყუილია „დროით მკურნალობა!“, რომ არ ყოფილა მართალი, თუნდაც ბრძენთაგან ნათქვამი, ნაფიცი. თუმცა... „ყველანი მართალს ამბობენ განა ეინაცა ჰფიცაენ?!“

გელა გენოს-ძე ტუღუში დაიბადა 1969 წლის 25 იანვარს, ქ. ლანჩხუთში. 1986 წელს დაამთავრა ლანჩხუთის რაიონის, სოფ. ნიგვსიანის საშუალო სკოლა. შემდეგ, გაიწვიეს სამხედრო-საავალდებულო სამსახურში, რომელიც გაიარა ქ. ასტრახანში. ოჯახში არაერთხელ მიიღეს მადლობის ბარათები სამხედრო ნაწილიდან. ქართველი ვაუკაცის ერთგული სამსახურის შესახებ, სარაიონო პრესაც იუწყებოდა.

სამხედრო-საავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ, 1990 წლის მაისის თვეში, გელამ მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საკუთრების დაცვის პოლიციის ქვეგანყოფილებაში. პარალელურად ბეჯითად მეცადინეობდა, ოცნებობდა სწავლა გაეგრძელებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ სხვაგვარად განსაჯა მუხთალმა ბედისწერამ.

გელა გამოირჩეოდა სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებით. სიკეთით დამუხტული, აშკარად გამორჩეული იყო. დაუჯერებელი მოეჩვენებოდა კაცს მისი ბავშვური სიწმინდე, მიამიტობა. რაინდული სულით გაუღენთილი ვაუკაცი იყო.

მისი კოლეგები დღესაც იხსენებენ 1992 წლის 15 იელისის საღამოს, როდესაც ოპერატიული ჯგუფის წევრები ღამის შემოვლაზე, უფრო სწორად ობიექტების შემოწმების დროს, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან აღმოჩნდნენ. გელა და მისი მეგობრები უცნობი ბოროტმოქმედების მიერ უხვად გამეტებული ტყვიების წვიმაში მოხვდნენ. მაშინ ისინი სასწაულმა იხსნა. გელამ კი ასე დააწყნარა კოლეგები: „თუ საქართველო განწირულია, მეც მასთან ერთად გავიწირებიო.“

„თენგი'ს ცინცაძე, რომ მოკლეს, იმ საღამოს, მორიგე იყო. დილით დააგვიანდა სახლში მოსვლა. მამამის ეთხოვე შვილი მოიკითხე მეთქი. გვიან მოვიდა. შეეკითხე რატომ დაგაგვიანდა მეთქი, ისეთი უბედურება მოხდა, ისეთი ბიჭი მოგვიკლეს, არაფერი არ მკითხოთო.

ასევე მორიგე იყო გელა იმ საღამოს, როდესაც მისი უახლოესი ძმა და მეგობარი ტარიელ ხოფერია მოკლეს. სახლში რომ დაბრუნდა, გამწარებული იყო, არაფის დაგვლაპარაკებია. გაფართოებული, სევდიანი თვალები ჰქონდა. უფრო მეტიც: ღამით ტარიელი მასთან მისულა და მთელი 3 საათი ერთად იყვნენ. ბევრი ისაუბრეს, ხუმრობდნენ კიდეც. რა იცოდნენ, რომ ერთ-ერთისათვის, ის ღამე, საბედისწერო იყო. ამ ფაქტებს ძალიან განიცდიდა. ვილაპარაკეთ ბევრი. ბოლოს კი ისღა მითხრა: პირველი თენგიზი იყო, შემდეგ ტარიელი და ნახავ თუ არ გასამდებაო. ალბათ გრძნობდა ბედისწერას. საუბედუროდ, თვითონ აღმოჩნდა მესამე.

ტრაგედიის წინა დღეს, ერთად ვიყავით დედა – შვილი, სათქმელი ერთმანეთისთვის ბევრი გვქონდა. ყველაზე მეტად დის ავადმყოფობა აწუხებდა, დედულეთში უნდოდა წასვლა, საქორწინო ღვინოს დაპირდნენ და უნდა წამოვიღოო. „დედი ჩემს მეგობარს ელდარ ბენდელიანს წავიყვან და ჩამოვიტანო, ჩვენებსაც ენახავო. უხაროდა კარგი ხალხი არიანო, ყოველთვის სიამოვნებთ ჩემი მისვლაო. საღამოს ძროსისთვის არ გამიშვა, თვითონ წაიყვანა. ღორიც ნახა, 10 გოჭი ჰყავდა მოგებული. მეზობლებისთვის უთქვამს, ჩემი ქორწილისათვის 10 გოჭი მყავს, ვფიქრობ საკმარისიაო. მე ვკითხე, ქორწილისთვის, რომ ემზადები შეყვარებული თუ გყავს მეთქი, რა შუაშია შეყვარებული. ისე ვერ მოვიყვან ცოლსო? იმ დღეს 3-ცალი ხაჭაპური გამოვუცხვე. ხვალ ეროი წაიღე სამსახურში მეთქი. არა, რასაც ახლა შეეჭამ ის შემრჩებაო. დილით არ წაუღია სამსახურში. მისი სიკვდილის შემდეგ ხაჭაპურს დიდხანს ვინახავდი.

ბავშვობიდან განსხვავებული იყო. თბილი, მორიდებული. გული, რომ მოუვიდოდა რამეზე, იტყოდა შე უბედუროო. მამა უყვარდა ძალიან და ხშირად იტყოდა კაი მამააო. ქორწილს მალე გადავიხდიო, დაიმედა დედა. მაგრამ, ვაგლახ, პირობა ვერ შეასრულა და თვალცრემლიანი დატოვა საყვარელი დედა. – არ დასცალდა ერთი შვილი მაინც დაეტოვებინა ჩემდა სანუგეშოდ, – იცრემლება დედა – დრო ვერ ანელებს იმ დიდ მონატრებას ჩემო ალერსიანო ბიჭო, ისევ იმ დიდი, უსომო მონატრებით მენატრები.

მოვიდა შენი დაბადების დღე, 25 იანვარი, უჩვეულოდ ტკივილიანი, სევდიანი. დღეს ხომ ორმოცი წლის გახდებოდი. უმძიმესია შენი მშობლებისათვის ამ დღის უშენოდ აღნიშვნა. მაგრამ შენ ისევ ჩვენთან სახლობ, ისევ შენა ხარ ჩვენი პირველი სასრუნავი და ისევ შენზე წარსულის მოგონებები გვიმსუბუქებს დარჩენილი ცხოვრების გზასავალს“.

რევაზ წერეთელი

რევაზ წერეთელს ვინც ახლოს იცნობდა, ძალიან კარგად ემახსოვრება მისი ღიმილი, რომელშიც იყო ყველაფერი: სიწმინდე, სიკეთე, სიყვარული, ნდობა. დიდი კაცი იყო ფიზიკურად და დიდი სულის პატრონი. მას ტყვია თუ მოკლავდა, თორემ სხვა რა მოერეოდა. ის ბრწყინვალე სპორტსმენი იქნებოდა, რომ არა ქვეყნის უკუღმართობა, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში თავს დაატყდა ჩვენს მრავალჭირნახულ საქართველოს. სწორედ ამან გადააწყვეტინა არჩევანი ისეთი სამსახურის მიმართ გაეკეთებინა, რომელიც ძალიან შორს იდგა მისი სპეციალობისაგან. მაგრამ ხალხის სამსახურის უანგარო გრძნობამ და მოვალეობამ თავისი წვლილი შეეტანა საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში, ყველაფერი გადასწონა. მაგრამ ვაი, რომ სხვაგვარად სჯიდა ბედისწერა. ბრმა ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე რევაზს, ღირსეულ პიროვნებას, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა სამაჩაბლო.

იოსებ წერეთელი

ბედისწერამ 45 წლის ჯანღონით სავსე კაცი მოულოდნელად მოსწყვიტა ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს. მის ხალისიან და კეთილ თვალებში გაზაფხულმა მხოლოდ ორმოცდახუთჯერ მოასწრო გაელვება და შემდგომ ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა.

რევაზ ესეს-ძე წერეთელი დაიბადა 1949 წლის 6 სექტემბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. გვიმალაურში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტი და როგორც აღვნიშნეთ, არჩევანის წინაშე დადგა: სპეციალობით ემუშავა თუ თავისი წვლილი შეეტანა სამშობლოს კეთილდღეობისათვისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლაში.

მხოლოდ 2 წელი იმუშავა № 2 საშუალო სკოლაში, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად. სრულიად მოულოდნელად შესთავაზეს მას ადგილი ამ უძნელეს საქმიანობაში. ადრე არასოდეს უფიქრია პოლიციელობაზე, მაგრამ როგორც მისი მეგობრები იხსენებენ, მისთვის პოლიციაში სამსახური იყო ყველაფერი. სამოქალაქო ტანსაცმელი თითქმის აღარ გაუხდია. პოლიციის თითქმის ყველა სამსახურში იმუშავა. უდალატობის, კაიკაცობის ეტალონი იყო. კაცი, რომელმაც ნამდვილი, კაცური სიცოცხლით იცხოვრა. მის ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი აუხდენელი ნატვრა და ოცნება, სიყვარული და ბედნიერება.

შვილების ნათელ მომავალზე მეოცნებე ვაჟკაცს ფრთა მოეკვეცა და სული მისი, წინაპართა გმირულ გალერეას შეუერთდა ზეციურ საქართველოში.

ადამიანი, როცა ბედნიერი ხარ, არ გჯერა, რომ ეს ყველაფერი, ერთ საბედისწერო დღეს შეიძლება, მოულოდნელად დამთავრდეს და დაინგრეს წლების მანძილზე რუდუნებით ნაშენი ოცნების კოშკი. რევაზსაც არ სჯეროდა, რომ მისი სიცოცხლე ასე ტრაგიკულად დასრულდებოდა.

რევაზი დიდი სიყვარულით სარგებლობდა მთელს გურიაში. არ ყოფილა ალბათ დღე, რომ ვინმეს რევაზისთვის დახმარება არ ეთხოვა რაიმე საკითხზე. და თუ ამ დახმარებას შესძლებდა, სიხარულით ცას ეწეოდა ხოლმე. „კარგი ჰქენი, მადლი ჰქენი, გაიარე წინ დაგხვდებაო“, ნათქვამია. რევაზიც ფარული სიამაყით ამბობდა –”იმდენი სიკეთე მაქვს დათესილი, რომ ამქვეყნად არაფრის მეშინიაო“.

ლანჩხუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ–გამომძიებელი, პოლიციის მაიორი მედეა გვარჯალაძე სინანულით იხსენებს უდროოდ დაღუპულ მამაც პოლიციელს: „ვინც რევაზს იცნობდა, ვერავინ იყიწყებს მას. ვინც პირადად არ იცნობდა, ყველას მისი სახელი და გვარი ახსოვს. რევაზი ისეთი პიროვნება იყო, მხოლოდ სიკეთის თესვა რომ შეეძლო. იყო ალალი, სიმართლის მოყვარული, გაჭირვებული მოყვასის დამხმარე და მხარში ამომდგომი ადამიანი“.

რევაზს ახალგაზრდა მეუღლე და ორი ბიჭი დარჩა, თავისი სიცოცხლის გამგრძელებლად. უმცროსმა ვაჟმა იოსებმა, რომელიც ჯერ 24 წლისაა, არ შეარცხვინა მამის სახელი, წარმატებით დაამთავრა თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. შემდეგ მოიხადა სამხედრო – სავალდებულო სამსახური. როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ჯარისკაცი, იქვე დატოვეს, „კომანდოს“ ბატალონში. მიღებული აქვს მედლები და სიგელები. მისთვის ყველაზე მეტად ფასობს საპატიო სიგელი, რომელიც მიიღო

კოსოვოს რეგიონში, სამშვიდობო მისიის შესრულების დროს დაკისრებული მოვალეობის პირნათლად და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

მისი უმთავრესი მიზანია, მიიღოს აქტიური მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

ბატონმა იოსებმა, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, დიდი გამოცდილება შეიძინა სხვადასხვა ქვეყნებში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას. ბუნებრივია მრავალ საბრძოლო ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა. თავი არასოდეს შეურცხვენია. მამის საგმირო საქმეების შესახებ სმენია. თუმცა ჩვენთან საუბარში განაცხადა, არასოდეს უოცნებია პოლიციელი გამხდარიყო, რადგან მიაჩნია, რომ ეს უმძიმესი პასუხისმგებლობაა.

ალბათ არ შევმცდარვართ, რომ მკითხველის ყურადღება გავამახვილეთ იოსებ წერეთლის დადებით თვისებებზე, რაც ყველაზე მეტად, მის საუბარში გამოიკვეთა.

მადლობას გიხდით ბატონო იოსებ თბილი საუბრისათვის. გეჯერა, რომ ასეთივე შემართებით გააგრძელებთ სამსახურს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში.

ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ გისურვოთ წარმატებები მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში.

გვინდა იცოდეთ ბატონო იოსებ, რომ ბატონი რეზოს ანკარა სულმა მართალთა შორის ჰპოვა სიმშვიდე. სიცოცხლე მარადიულია. იგი გრძელდება შენი, შენი შვილების, შვილიშვილების, მათი შვილების სახით, უკუნითი უკუნისამდე.

უანგარო მეგობრობა იცოდა

გიორგი შეყილაძე

სასიკვდილოდ გაიმეტეს 26 წლის ვაუკაცი, რომელიც სიკვდილსე არ ფიქრობდა. ანდა როგორ უნდა ეფიქრა, როცა... შუაგზამდეც, რა შორს იყო ჯერ, როცა ძალღონით იყო სავსე და ნათელ მომავალზე ოცნებობდა. მაგრამ არ აცალეს, ფრთები შეესხა თავისი ოცნებებისათვის. გიორგი ყოველთვის ჩქარობდა, ცდილობდა ყველაფერი მოესწრო, თითქოს გრძნობდა, რომ ბედისწერას მისთვის ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა გამომეტებული. 1991 წელს დაოჯახდა, მომავალი ლელა ნეფარიძეს დაუკავშირა. მალე ახალშექმნილი ოჯახი პატარა თამარის ჟრიამულმა კიდევ უფრო გაახალისა.

გიორგი ზურაბის-ძე შეყილაძე დაიბადა 1971 წლის 30 სექტემბერს ქ. ჭიათურაში. 1987 წელს დაამთავრა ქალაქის № 1 საშუალო სკოლა. მოიხადა სამხედრო-საველდებულო სამსახური. 1993 წელს, 22 წლის ჭაბუკი, მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა ორგანოებში, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დანიშნულების რაზმის ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე. აქტიური მონაწილეობა მიიღო ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. გიორგი შეყილაძის ერთგულება და თავდადება არაერთხელ იყო წახალისებული.

გიორგი შეყილაძის ცხოვრება ნათელი მაგალითია მომავალი თაობისათვის. მან ღირსეულად განელო თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება.

„არ მეშინია სიკვდილის, რომელიც ადრე გამრიყავს ჩემიანებისაგან“ – უთქვამს წუთისოფლის დაუნდობლობით გულმოკლულ ადამიანს და ამ სიტყვებში ჩანს იმ ბედისწერის გამოძახილი, რომელიც კაცობრიობას მას შემდეგ აედევნა შავი ჭირივით, როცა ძმამ პირველად აღმართა მახვილი ძმაზე. „არა კაც კლაო“ გვიქადაგებს უფალი ჩვენი – იესო. მაგრამ, სატანის მიერ გონებაარეული ბოროტმოქმედები მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით ცივილიზებულ და სულიერებას მოკლებულ მსოფლიოში, არად დაგიდევენ უფლის მცნებას და ყოველდღიურად ემატება ოცნებადამსხვრეულ რაინდთა რიცხვს ჭაბუკთა სულები.

ერთ-ერთი მათგანია გიორგი შეყილაძე, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, გარეწარი ბოროტმოქმედის გასროლილმა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა და თავისი საქმის მოყვარული ჭაბუკის ოცნებას ნაადრევად მოეკვეცა ფრთები.

1997 წლის დასაწყისში, გიორგი შეყილაძე სამუშაოდ გადადის ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, სისხლის სამართლის სამმებრის უმცროს ინსპექტორად.

მისი მუშაობის დაწყება დაემთხვა ოპერატიული თვალსაზრისით მეტად რთულ სიტუაციას – იმ პერიოდს, როცა კბილეებამდე შეიარაღებული მდგრადი ბანდიტური ჯგუფი, (საუბარია ე.წ. სვანიძის დაჯგუფებაზე), აქტიურად მოქმედებდა გურიის მხარეში. სადაც, მის წევრებს, ჩადენილი ჰქონდათ ათობით განსაკუთრებულად მძიმე დანაშაული და რომელთა მიერ ჩადენილი ბოროტი კრიმინალური ფაქტების გამოვლენისა და მათი დადგენადაკავებისათვის საჭირო გახდა შექმნილიყო პროფესიონალურად მომზადებული ისეთი ძალა, რომელიც აქტიურად დაუპირისპირდებოდა ამ არაკაცებს. სწორედ ამ ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო გიორგი შეყილაძე.

ამ დანაყოფის მიერ ჩატარებული კვალიფიციური ოპერატიულ-სამმებრო ღონისძიებების შედეგად, მოკლე დროში, შესაძლებელი გახდა ე.წ. სვანიძის ჯგუფის მოქმედების შესუსტება. კერძოდ ლიკვიდირებულ იქნა ამ დაჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლ. ელენტი. შემდგომში დააკავეს არაერთი მძიმე დანაშაულისათვის ძებნილი, დაჯგუფების ერთ-ერთი აქტიური წევრი გ. თელორაძე. აღნიშნული ოპერაციის ჩატარების დროს, განსაკუთრებული გამბედაობითა და სიმამაცით გამოირჩეოდა გიორგი შეყილაძე.

1974 წლის 4 აგვისტოს, 02 საათსა და 30 წუთზე, ოპერატიულ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც გიორგი იყო, ოსურგეთის ტერიტორიაზე პატრულირების დროს, შეტაკება მოუხდა, იმ დროს გურიაში მოთარეშე, მოსახლეობისათვის შაე ჭირად მოელენილ ე. წ. „სვანიძის ბანდის“ წევრებთან. შეტაკებისას მამაცურად დაიღუპა გ. შეყილაძე. ბანდიტების მხრიდან ლიკვიდირებულ იქნა დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი გ. კილაძე, მძიმედ დაიჭრა ბანდის მეთაური ნ. სვანიძე.

გიორგი შეყილაძე გამოირჩეოდა შესანიშნავი პიროვნული თვისებებით. იყო კეთილი, მეგობრების მოყვარული, ბრძოლაში უკომპრომისო და პრინციპული, ოჯახის უსადო მოყვარული და ჩინებული მამა.

გიორგის მეუღლე ქალბატონი ლეილა იგონებს:

„გიორგი დიდი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის პიროვნება იყო. ვერ იტანდა ადამიანის დამცირებას. „ბოროტება სათაყვანოა

უნდა აღიკვეთოსო“, იტყოდა ხოლმე. ისეთი შემართებით იმეორებდა ამ სიტყვებს, უმალვე დარწმუნდებოდი, რომ იგი საშიშროების წინაშე ქედს არ მოიხრიდა. იქნებ თავისი ხასიათის გამოც მიაშურა სამუშაოდ შინაგან საქმეთა ორგანოებს. ბრძოლაში უშიშარი იყო. მტერს ვაგლახად თავს არ დაანებებდა. მოყვასის მიმართ კი თავისი დიდი სიყვარულით სავსე გული ჰქონდა გადაშლილი. გამორჩეული მეუღლე და მამა იყო. იქნებ სიკვდილმაც ამისთვის გამოგარჩია. დღეს შენი სული ზეციდან რომ უსმოდ გვმფარველობს, გული ისევ გრძნობს და არ გვგონია დაერჩეთ ეული. როგორც ამიერ, იმ ქვეყანაზეც გახდი რჩეული. გასსოვს ამ ქვეყნად ერთად ყოფნის ტკბილი დღეები, ბედნიერება კისკისებდა ჩვენს სახლის ზღურბლთან, უბედურებას არ ეფიქრობდით, ან როგორ უნდა გვეფიქრა, მაგ გულის პატრონს თუ ტკივილი მოგერეოდა. ხარობდი პატარა თამართან ერთად, მის ბედნიერებაზე და დაფრთიანებაზე ოცნებობდი, მაგრამ...“

ოზურგეთის შს რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორგამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი ეეფხია ჩსაიძე იგონებს:

„სამუშაო დავამთავრე და დაღლილი მივდივარ სახლისაკენ. დავინახე, რომ უცნობმა მანქანამ საუჯეო მოსახვევში მოუხვია... ჩემთან ერთად იყო გიორგი. მივეკვეთ და ბნელ ადგილას ასეთი სურათი ვნახეთ: გამტაცებლები მანქანას თავად აშლევინებდნენ გამწარებულ პატრონს. ერთი ბოროტმოქმედი ადგილზე დავაკავეთ, მეორე გაგვექცა. გიორგი დაეწია, ხელი ჩაავლო თუ არა ორივე ხრამში გადაიჩეხა. თოკით ამოვიყვანეთ, ქურდმა გიორგი გადაკოცნა, რა კარგი ბიჭი ყოფილხარო. ღღემდე არ დამავიწყდება განსაცდელიდან დახსნილი დაზარალებულის თვალები“.

გიორგი შეყილაძე – ბედნიერი კაცი იყო. ბუნებას მისთვის უხვად მოემადლებინა ეფექტური გარეგნობა, კაცთმოყვარეობა, სილაღე, სიკეთის უხვად გაცემის ნიჭი, უანგარო მეგობრობა იცოდა. ძალიან ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან და მხოლოდ ნაღვლიანი მოგონება დაგვრჩა მასზე.

საძმეში აღვლენილი სული

ტიტე ჩხაიძე

დიდბუნებოვან ადამიანებს, თავიანთი შინაგანი ლამაზი და დახვეწილი თვისებების გამოსაელენად განსაკუთრებული შემთხვევა ან ფართო ასპარეზი არ სჭირდებათ. ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე სთესენ სიკეთეს და არ ელოდებიან დროს. ასეთები ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ატარებენ მთელ ცხოვრებას და მათ მიერ მარცვალ-მარცვალ დათესილი სიკეთე, ჩადენილი ქველი საქმიანობა, გმირობასთან არის გაიგივებული. სიდიდეს ასაკი არა აქვს. არც გმირობის ჩადენას სჭირდება დრო. იგი თანდათან ელინდება და მისი საუკეთესო შემფასებელი არის ხალხი, ფართო საზოგადოება. ხალხისათვის საყვარელი ადამიანები ჩვეულებრივი, უბრალო ცხოვრებით ცხოვრობენ და არასოდეს მოითხოვენ გაღებული სიკეთისათვის სამაგიეროს.

ტიტე ჩხაიძე ასეთი ცხოვრებით ცხოვრობდა. დროსა და ქვეყნის სამსახურს მიუძღვნა თავისი ხანმოკლე, ლამაზი და შინაარსიანი სიცოცხლე. მან მხოლოდ 35 წელი იცოცხლა და ამ მცირე ასაკში ჩაატია უზარმაზარი სითბო და სიყვარული.

დაამთავრა აცანის საშუალო სკოლა, ჰყავდა შესანიშნავი პედაგოგები, რითაც ამაყობდა. იყო წარჩინებული მოსწავლე და საუკეთესო მეგობარი. გამოირჩეოდა ნიჭიერებით, გონიერებით, ზრდილობით. უყვარდა ყველას და თავადაც დიდ სიყვარულს გამოხატავდა სხვების მიმართ. შემდეგ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. სტუდენტობის ულამაზეს წლებში მარნეულის რაიონში – საბადოზე, ღია სამუშაოზე ცვლის უფროსად მუშაობის პერიოდში, გვერდში ედგა ახლო მეგობრები და უფრო დიდი, ლამაზი სამყარო. ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭის მქონეს, ყოველთვის გარს ეხვია თანატოლები. იყო მისაბაძი და სამაგალითო. ამაყობდნენ მისით. ყოველთვის მზად იყო მეგობრების დასახმარებლად და დიდი თანაგრძნობის უნარის მქონეს, მუდამ გულთან ახლოს მიჰქონდა სხვისი სატკივარი. ბევრი რამ იყო დაკავშირებული მის სახელთან, და ამიტომაც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით.

სიცოცხლით სავსე, ყოველთვის საქმიანი და მოუსვენარი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯანღონით სავსე ჭაბუკი, სერიოზულ ნაბიჯებს დგამდა და უფროსებისათვის წარმოუდგენელი ენერგიითა და შემართებით ეჭიდებოდა დიდ საქმეებს. ჰქონდა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. და ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, სხვანაირად არ შეეძლო!... ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი ტიტე ჩხაიძე, ბავშვობიდანვე ვერ იტანდა კრიმინალებს. დაუძლეველი სურვილი არ ასვენებდა მათთან ბრძოლისა. სწორედ ეს გახდა საბაბი იმისა, რომ მან სწავლა გააგრძელა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერევნის უმაღლესი სასწავლებლის იურიდიულ ფაკულტეტზე. რომლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს პირველ ქვეგანყოფილებაში ოპერრწმუნებულად. როგორც მისი მეგობრები იგონებენ, ტიტე ხალისიანი, იუმორით აღსავსე კაცი იყო –კაცი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი საქმე. მოქმედებდა ოპერატიულად, საზრიანად. არაერთ უმძიმეს ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა. ერთ-ერთი ასეთი ოპერაცია იყო თბილისის ზღვაზე, სადაც ხდებოდა ავტომანქანების დაყაჩაღება. თითქმის ერთი თვე დასჭირდა ბოროტმოქმედთა მხილებას. ტიტემ ისე ოპერატიულად განაიარაღა ყაჩაღური ჯგუფის წევრები, რომ მის მეგობრებსაც უკვირდათ. იგი ყოველთვის პირველი მიდიოდა ტყვიასთან პირისპირ.

როგორც 2001 წელს გამოცემულ წიგნში „ღირსების სადარაჯოზე" – არის დაფიქსირებული, ტიტე ჩხაიძე სამაჩაბლოში გმირულად იბრძოდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მტრის ტყვიას გადაურჩა, და... იმ ავბედით დღეს, ბედისწერამ გამოსდო თავისი უხილავი სარმა... 1992 წლის 28 ივლისი იდგა. სისხლის სამართლის სამძებროს სამი თანამშრომელი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დავალების შესასრულებლად გაემგზავრა ასკურავას ქუჩაზე, სადაც ბოროტმოქმედთა შეიარაღებული ბანდა მსხვერპლს ელოდა... შეტაკების დროს ორი პოლიციელი: სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორი ტიტე ჩხაიძე და მისი კოლეგა – ნუგზარ ერისთავი მკვლელების ტყვიით იქნენ განგმირულნი.

ცოტა, ძალიან მცირე ჰყოფნის ადამიანს ბედნიერებისათვის. ტიტეც ბედნიერი იყო. მან შრომით, გარჯითა და პატიოსნებით მოახერხა თავისი პატარა თბილი ბუდის მოწყობა. შექმნა ოჯახი. მალე მამობის სიხარულის მადლიც შეიგრძნო, პატარა დავითი და ეკა იყვნენ მისი ოცნება და სიხარული. ორივემ მიიღო უმაღლესი განათლება. ეკამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის, ხოლო დავითმა საქართველოს პოლიტექნი-

კური უნიეერსიტეტის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. მეუღლე — ირინე ზურაბის ასული ნაცვლიშვილი— მუშაობს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტში. გახლდათ ოჯახის მზრუნველი და მოსიყვარულე მამა. მომავალი ნათელ ფერებში ეხატებოდა, მაგრამ სხვაგვარად სჯიდა თურმე მუხთალი ბედისწერა.

ზოგიერთის დაბადება და სიცოცხლე, მითუმეტეს სიკვდილი, ამ ცხოვრებაში ხშირად უყურადღებოდ რჩება. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშიც და იმქვეყნიურ სასუფეველში გარდასვლის შემდეგაც, ალამაზებენ და ავსებენ ამაოებით სავსე წუთისოფელს. ტიტე ჩხაიძე სწორედ ასეთი ადამიანი გახლდათ. მან თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრებით კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი ვალი ერისა და მამულის წინაშე და ღირსეულად ჩააბარა ცხოვრებისეული გამოცდა. ასეთი რამ კი, მხოლოდ ერთეულთა ხვედრი ყოფილა და იქნება ყოველთვის.

ტიტე მაღალი ზნეობის ადამიანი იყო და ამდენად არც არის გასაკვირი, რომ შრომითა და საქმით გამოეხატა თავისი მებრძოლი სული და დაუცხრომელი ენერგია, რადგან ყოველი კაცი თავისი მოღვაწეობით აღავლენს სულს, შინაგან ბუნებას.

ტიტე ჩხაიძემ — ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

მან ლამაზად იცხოვრა და მზის სითბო, უსაშველო სიყვარული ჩაატია თავის ხანმოკლე სიცოცხლეში. დიდ ტკივილებთან ერთად, დაგვიტოვა ბევრი ლამაზი მოგონება და მარადიული საფიქრალი. მისი ცხოვრება და საქმიანობა მაგალითი იქნება ყველასათვის და სამარადისოდ დარჩება ჩვენთან ლამაზი სახელი — ტიტე!

ალალ ჭკუასელი

აკაკი (კაკო) ჭკუასელი ჩვენი სამეგობროს იმ ძალიან მცირე ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლის წევრებისადმი ჭეშმარიტად ძმური სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით ვარ განმსჭვალული. ამგვარი მეგობრობისა და სიყვარულის საფუძველი თვით აკაკის შესაშური ადამიანური თვისებები იყო, რომელიც მას გააჩნდა მთელი მისი, სამწუხაროდ, სანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

მთავარი და ღირსშესანიშნავი ამ თვისებებიდან გახლდათ მეგობრებისადმი დაუეჭვებელი ერთგულების გრძნობა. ადამიანთა ეს თვისება სამწუხაროდ, იშვიათია და ჩვენი აკაკი, ამ მხრივ, ერთ-ერთ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა. მე არ შემხვედრია სხვა ისეთი პიროვნება, რომელსაც ასე ძალდაუტანებლად, გულწრფელად, კეთილმოსურნედ შეეძლოს საერთო ენის გამონახვა და მეგობრობა.

სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოებში. მას შემდეგ, გარდაცვალების დღემდე, უმწიკლოდ, გატაცებით, ენერგიულად, მართლაც რომ თავდადებით, მაღალი პროფესიული ცოდნით ემსახურებოდა მართლწესრიგის განმტკიცების რთულ საქმეს.

რამდენი კარგი საქმე გააკეთა და რამდენი კარგი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი... მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ადამიანი რაგინდ ჩინებული პროფესიონალი იყოს თავის დარგში, ბოლომდე სრულყოფილს და რაიმე დიდს, ღირშესანიშნავს ვერ შექმნის გულწრფელობის, სიყვარულისა და ერთგულების გარეშე. მას ღრმად სწამდა, რომ ცხოვრება ძალზედ რთული ფენომენია. მეტად ხანმოკლეა საიმისოდ, რომ ეინმეს ორპირობა, ღალატი, ვერაგობა შერჩეს და გაუმართლოს.

სწორედ ამ პრინციპებით ცხოვრობდა, შრომობდა და ამ სულისკვეთებით აგრძელებს ცხოვრებას მისი ოჯახი.

მეუღლე ვერა ჩაჩუა – მუშაობს სამტრედიის ქალაქის პოლიკლინიკაში ლაბორანტად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აკაკი ჭკუასელის ვაჟმა ლევანმა დაამთავრა უშიშროების აკადემია და თავდაცვის სამინისტროს

33-ე ბრიგადაში მუშაობს უფროს იურისტად. ორი შვილი ჰყავს. მათ შორის ერთი ბაბუას მოსახელე პატარა კაკო.

ბატონი აკაკის ძმა ირაკლიც წლების განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში და წამოვიდა იქედან მას შემდეგ, რაც რეორგანიზაციის შედეგად კადრების შემცირებაში მოჰქვა.

კაკო ჭკუასელი 1952 წელს დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარში. დაამთავრა საშუალო სკოლა. მოისადა სამხედრო-საავალდებულო სამსახური და შინაგან საქმეთა ორგანოში რიგითი მებრძოლიდან განელო თითქმის ყველა საფეხური, პოლიციის უფროსის მოადგილეობამდე. დაუსწრებლად დაამთავრა პოლიციის უმაღლესი სკოლა. თავისი უნარითა და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით, მიაღწია პოლიციის ეიცე-პოლკოვნიკის წოდებას.

2002 წელს დაბადებიდან 50 და სამსახურებრივი მოღვაწეობის 30 წლისთავის აღნიშვნას აპირებდა. გულწრფელად ეპატიჟებოდა ყველას... მაგრამ, ეს და ბევრი სხვა ოცნებაც დარჩა აუსრულებელი.

ნოხატაურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი აკაკი ჭკუასელი, ყოველთვის ცდილობდა ახლოს ყოფილიყო თავის ხელქვეითებთან, როგორც იტყვიან ჭირშიც და ლხინშიც. მტკიცედ სწამდა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელი ვერცერთ ინსტიტუტში, პრაქტიკული მოქმედებისათვის იმდენ ცოდნას ვერ მიიღებს, რაც შეუძლია მისცეს მას კარგი უფროსისა და ხელმძღვანელის პირადმა მაგალითმა. თანამშრომლებთან მისი სიახლოვე ძირითადად ამით იყო ნაკარნახევი და იმითაც, რომ მათგან მეც ვსწავლობო, იტყოდა ხოლმე. ყოველთვის მიანდა ხელმძღვანელის სისუსტედ ის არასასურველი მანერა, როდესაც იგი ხელქვეითს ულმობლად უყვირის, რათა აჩვენოს თავისი თანამდებობის აღმატებულობა და ამით ცდილობს ზეგავლენის მოხდენას მასზე.

სწამდა, რომ არც ერთი შემთხვევა განზრახული სიყალბისა და თაღლითობისა, თანამშრომელს არ ეპატიება. ცდილობდა ყველა სახის დარღვევების ფარსში გარკვეულიყო და ეგრძნობინებინა დამრღვევისათვის, რომ ამის შესახებ მან იცოდა და ალბათ შემდგომში არ გაიმეორებდა.

გადაუდებელ ამოცანად ჰქონდა დაწესებული უმცროსი კოლეგისათვის ესწავლებინა სიახლის შეგრძნება და მრავალი პრობლემიდან მთავარი ძარღვის, ან ძაფის პოვნა. თუ ამ თვისებებს ახალგაზრდა ვერ გაითავისებს, მისგან სახელმწიფო მოხელე ვერ გამოვა. ყოველთვის ცდილობდა დოკუმენტების შედგენისა და

მომზადების კულტურა ჩაენერგა ახალგაზრდა თანამშრომლისათვის. ძალიან ბევრ შემთხვევაში დოკუმენტის კორექტირებას და დახვეწას თანამშრომლის თანდასწრებით აკეთებდა და მერე დაბეჭდილსაც ხელახლა კითხულობდა. თანამშრომლები ვერ იხსენებენ თუნდაც ერთ ფაქტს, როდესაც მას დოკუმენტზე წაუკითხაად მოეწეროს ხელი. ყველა თანამშრომელმა ეს იცოდა და ამიტომ ისინი ცდილობდნენ დოკუმენტი ხარისხიანად და პასუხისმგებლობის გრძნობით შეედგინათ. ყოველთვის ითვალისწინებდა, რომ ახალგაზრდას სწორი აღზრდა სჭირდება. იგი თავის დროზე უნდა დაინახო, შეისწავლო მისი დადებითი თვისებები: საზრიანობა, ოპერატიულობა, გულისხმიერება, მამაცობა და გაკეთებულს, თუნდაც მცირედს, შეფასება და დაფასება მისცე.

ზემოხსენებული სათანადო დარიგებით მას სულაც არ ჰქონდა მხედველობაში ეინმესთვის ჭკუა ესწავლებინა. იგი მხოლოდ თავისი გამოცდილების მიხედვით მსჯელობდა.

– პოლიციაში მუშაობა ვაუკაცთა ხვედრია. ჩვენ ჯარისკაცები ვართ და მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერ მომენტში, მხოლოდ გამარჯვებისათვის. ამისათვის საჭიროა სწავლა! – იტყოდა ბატონი აკაკი. ამაზე რთულ პერიოდში გვიწევდა ჩვენ მუშაობა და თანაც ბანდიტ-ყაჩაღებისა და ათასგვარი ნაძირალების წინააღმდეგ ბრძოლა, სიცივე, შიმშილი... მაგრამ არ გვიფიქრია პოლიციიდან გაქცევა. რა გვჭირს ახალგაზრდების ერთ ნაწილს? ახლახან ორი აკადემიადამთავრებული წავიდა განცხადებით. შემდეგ მესამე – იურისტი.

მძიმე მწუხრის ღილა გაუთენდა ჩოხატაურელ პოლიციელებს 2001 წლის 8 ნოემბერს. სადღეღამისო მუშაობით დაღლილმა პოლიციის უფროსის მოადგილემ, აკაკი ჭკუასელმა, სამორიგეო სამსახურის ბიჭები მოინახულა, ვითარება გამოკითხა და... პასუხის მოსმენაც ვეღარ მოასწრო, გულის უეცარი შეტევით ხელქვეითებისა და მეგობრების ხელში დალია სული. წუთში გათავდა ბრგე ვაუკაცის სიცოცხლე, კაცისა, რომელიც გულადობით, უშიშარი მებრძოლის მაგალითს და ხვალინდელი დღის იმედს გვაძლევდა.

კაკო პოლიციის რთული და ფათერაკიანი, დღედაღამ მოუსვენარი შრომისათვის იყო გაჩენილი. იგი ცხოვრების შუა ასაკში სანთელივით ჩაქრა მოულოდნელად. დიახ, სამორიგეო ოთახის სარკმელთან დაიფერფლა კაცი, რომელიც ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, არაერთხელ შეხვედრია სიკვდილს პირისპირ და ბოროტმოქმედებს ვერაფერი დაუკლიათ მისთვის.

7 წელი გვაშორებს იმ დღეს, როცა აკაკი სრულიად მოულოდნელად გამოგვეცალა და უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ.

მაგრამ, დრო ალბათ ვერაფერს დააკლებს იმ გრძნობას და სიყვარულს, რაც მან დაგვიტოვა თითოეულ ჩვენგანს, მის მეგობრებს, რომელთაგან თითოეულის ხსოვნის თუ მისახსენებელი საქმეებისათვის იგი გაცილებით მეტს გააკეთებდა, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი, მასზე ადრე რომ წავსულიყავით ამ ქვეყნიდან. ამიტომ მაპატიოს მისმა ნათელმა სულმა, თუ ამ წერილით იმის მცირედიც ვერ ვთქვი, რასაც იგი იმსახურებდა.

პოლიციელი საზოგადოებიდან მოდის და საზოგადოებას ემსახურება. პოლიციას და საზოგადოებას მტერიც ერთი ჰყავს და მოყვარეც. ამიტომ ბუნებრივია ერთად უნდა ვიბრძოლოთ სასურველი შედეგის მისაღწევად, ამბობდა პოლიციის ვიცე – პოლკოვნიკი.

ბატონი აკაკი ჭკუასელის მსგავსი ჭკვიანი ხელმძღვანელი, ერთგული მეგობარი და დამრიგებელი სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას და ახალგაზრდობა უნდა მიყვეს მის მაგალითს.

მისი კარგი კაცობით ყოველთვის იამაყებენ

ელდარ ჩხაიძე

ძნელია საყვარელ ადამიანზე წარსულ დროში საუბარი. ძნელია შეეგუო მწარე რეალობას, რომ შენს გვერდით აღარ არის უსაზღვროდ კეთილი, გულისხმიერი, კაცთმოყვარე, ერთგული, ეაუკაცური ბუნების, ოჯახზე მზრუნველი მამა და მეუღლე. ამიტომ უჭირს ელდარის ოჯახის წევრებს მასზე საუბარი. ბევრი რამ იცვლება ამ ქვეყნად, მაგრამ ხელუხლებელი რჩება ოჯახის, მეგობრებისა და ახლობლების გულში მისი სახე და სიყვარული.

ელდარ ჩხაიძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ვინც თავისი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი ცხოვრება სიკეთისათვის, წესრიგის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში გაატარა. ებრძოდა ბოროტებას, ავკაცობას.

პოლიციის მაიორი ელდარ ჩხაიძე დაიბადა 1949 წლის 26 მარტს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათში. ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ყოველთვის კარგი ყოფაქცევითა და სიბეჯითით გამოირჩეოდა სხვებისაგან. სწავლის დაუ-

ფლების სურვილმა თავისი გაიტანა და საკალდებულო სამხედრო-სამსახურის მოხდის შემდეგ, ელდარ ჩხაიძემ ქუთაისის ავტოტექ-ნიკურ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა.

წესიერ და პატიოსან ოჯახში აღზრდილი ელდარი ბავშვობიდანვე ვერ იტანდა დამნაშავეთა სამყაროს და ყოველთვის ჰქონდა სურვილი მათთან ბრძოლისა.

სწორედ ეს გახდა საბაბი იმისა, რომ ელდარ ჩხაიძემ მიიღო თუ არა ტექნიკური განათლება, 1977 წელს მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორად.

მალხაზ ჩხაიძე

თავისი წესიერი და სამართლიანი ბუნების წყალობით ელდარი ყოველ-თვის იმსახურებდა ხელმძღვანელობის ნდობას და პატივისცემას. ლანჩხუთის რაიონის პოლიციის თამნამშრომლები დღესაც დიდი სიყვარულით და დაუფა-რავი ცრემლებით იხსენებენ აწგარ-დაცვლილ პოლიციელს: „ელდარი ხალისიანი, იუმორით აღსავსე კაცი იყო, რომელსაც ძალიან უყვარდა თავი-სი საქმე. პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა ჰქონდა, ყველაფერს გააკეთე-ბდა, რომ შენიშვნა არ მიეღო. ერთხელ ოპერაციაზე ვიყავით სუფსის ტერიტო-რიაზე, ინფორმაცია გვქონდა, რომ ბოროტმოქმედთა ერთი ჯგუფი სწორედ იქ აყაჩაღებდა დამსვენებლებს. ლდარ-მა ისე ეაუკაცურად განაიარაღა ბოროტმოქმედები, რომ სახტად დავრჩით“.

1989 წლის 14 დეკემბერს კი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანასთან ასრულებდა რა სამსახურეობრივ მოვალეობას, „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა დაეჯახა. 1 თვე და 10 დღე იწვა ლანჩხუთის რაიონულ საავადმყოფოში. აპარატზე იყო შეერთე-ბული. ვინ არ ჩამოიყვანეს თბილისიდან, მაგრამ არაფერმა უშვე-ლა.

ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს, უბ-ნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი მურთაზ ჩხაიძე იგონებს:

„ელდარ ჩხაიძე სპეტაკი და ალალმართალი ბიჭი იყო. ფორმა ისე უხდებოდა, თუ ფორმას ის უხდებოდა არ ვიცი. მან შემაყვარა პოლიციელი. მაშინ 6-7 წლის ბავშვი ვიყავი, ჩემი ოცნება იყო,

სამხედრო სამსახურის შემდეგ, პოლიციელი გაემხდარიყავი. 1987 წელს დავამთავრე მამათის საშუალო სკოლა, იმავე წელს გამიწვიეს სამხედრო-საველდებულო სამსახურში, თითქოს ჩემი ბედი იყო, მოვხვედი შინაგან ჯარში. ელდარი მპირდებოდა ჯარიდან, რომ ჩამოხვალ აუცილებლად ჩემთან დაგაწყებინებ მუშაობასო. მაგრამ არ დასცალდა. სამხედროდან რომ დავბრუნდი, იგი ლანჩხუთის საავადმყოფოში სარეცელს მიჯაჭვული იყო, რამაც ჩემზე ძლიერ იმოქმედა. მე გადავწყვიტე მისი სურვილი შემესრულებინა, უფრო სუსტად მისი დანაპირებისათვის არ მეღალატნა. უფრო მეტად მომინდა დამეწყო მუშაობა პოლიციაში. 1990 წლის 5 დეკემბერს ახდა ჩემი ოცნება და მუშაობა დავიწყე ლანჩხუთის შს რაიონულ განყოფილებაში. დახლოებით ერთი თვის დაწყებული მქონდა მუშაობა, სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდი ფეხით, თოვლი იყო, ელდარის სახლთან გავიარე. მისმა მეუღლემ ქალბატონმა ნინომ დამიძახა, „მურთაზ სახლში შემოდიო." სახლში შემიყვანა და გადმომილაგა ელდარის ნაქონი მილიციის ფორმის ტანსაცმელი... ამიხსნა, რომ შენ ძალიან უყვარდი ელდარს, შენც გიყვარდა იგი, წაიღე ეს ფორმა და მის სახელზე ატარეო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, არ ვიცოდი რა მექნა, იოლი არ იყო ელდარის ფორმის ტარება, ამას ხომ დიდი დამსახურება სჭირდებოდა. „ვიყავი კი მე ამის ღირსი?"

მას აფასებდნენ უღალატო მეგობრობისათვის, კეთილსინდისიერი შრომისათვის. ბევრი სასიკეთო ოცნება დარჩა განუხორციელებელი. ბედნიერი იქნებოდა ელდარ ჩხაიძე, მისი შვილის, მალხაზის ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას რომ მოსწრებოდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგი მამის პროფესიას გაჰყვა. პოლიციის კაპიტანი მალხაზ ჩხაიძე, ამჟამად ლანჩხუთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად მუშაობს და ღირსეულად აგრძელებს მამის გზას.

მალხაზმა დაამთავრა ქ. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და 1998 წლის მარტის თვეში, ლანჩხუთის პოლიციის იმჟამინდელი უფროსის, თენგიზ კიკვაძის რეკომენდაციით, პოლიციაში დაიწყო მუშაობა. გარკვეული პერიოდი იმუშავა არასრულწლოვანთა ხაზით, მერე – სამძებროში, შემდეგ კი – უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად. ათ წელზე მეტია იგი რაც შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს და არაერთ რთულ ოპერაციაში მიუღია მონაწლეობა. მას დღესაც კარგად ახსოვს 2001 წლის სამთარში ქურდების ჯგუფის დაკავების საქმე. როდესაც ქურდები მიიმალნენ ყველგან ჩაბნელებული იყო, არ იცოდა რა ექნა, ორჯერ თუ სამჯერ ავტომატური იარაღიდან გაისროლა ჰაერში, თავიდან ვერ პოულობდნენ ქურდებს, მერე

ნახეს ერთი ბოროტმოქმედი, გვარად წილოსანი, რომელიც მიწაზე ეგდო. შეეშინდა კიდეც, თუმცა ჰაერში გაისროლა და რა უნდა მომხდარიყო, სუნთქვა შეუმოწმა.

კიდევ ერთი ფაქტი გაიხსენა, — ლანჩხუთის რაიონის სოფ. აკეთში, ძროხის ქურდების აყვანის ოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლიციის უფროსი თამაზ კუნჭულია. ეს ის პერიოდია, როდესაც დიდი თუ პატარა პოლიციას აგინებს და იმასაც აცხადებენ, რომ საქონლის ქურდები პოლიციასთან არიან შეკრულებიო. ამ დროს ოთხი საქონლის ქურდის აყვანა გმირობის ტოლფასი იყო.

მალხაზმა შესანიშნავი ოჯახი შექმნა და ორ ვაჟკაცს უზრდის სამშობლოს, მათ შორის ერთი ელდარი, ბაბუას სეხნია, მხოლოდ 5 წლისაა, ხოლო საბა — სამისაა, რომლებმაც არც კი იციან ვინ იყო მათი პაპა, მაგრამ ნუგეშად ის ეყოფათ, რომ მისი კარგი კაცობით ყოველთვის იამაყებენ.

ცრემლიანი და ტკივილიანია ელდარ ჩხაიძის ქალიშვილის მაკას მოგონება. „ოცი წელი მიიწურა მას შემდეგ ჩვენო საყვარელო მამიკო, რაც შენ ჩვენს გვერდით აღარა ხარ. მაგრამ დროის მსახვრალი ხელი ვერაფერს აკლებს ჩვენს გულში დამჩნეულ იარას და ასე იქნება მანამდე, ვიდრე ამქვეყნად ვიქნებით. რა დაგვაიწყებს შენს მომღიმარ სახეს, ღიმილი რომ ასე საოცრად უხდებოდა. რამ უნდა დაგვავიწყოს შენი გულის სითბო და სიკეთე, რომელსაც შენ უანგაროდ აფრქვევდი ყველას მიმართ. თვალზე ცრემლი არ გვიშრება მამა შენი ტრაგიკულად დაღუპვის გამო. შენ ხომ ჩვენს ბედნიერებაზე ოცნებობდი. ხშირად ამბობდი, მალე შვილიშვილები მეყოლება და ახალგაზრდა ბაბუა ვიქნებიო. მაგრამ ვაი, რომ არ დაგცალდა. თუმცა, შენი გვარი და ჯილაგი გაგრძელდება, პირველ რიგში ჩემი ძმის, მალხაზის ბიჭის, შენი მოსახელე პატარა ელდარის სახით. რომელიც მისი კარგი კაცობით ყოველთვის იამაყებს. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ჩემი ძმა, მალხაზი ლანჩხუთის შს რაიონულ სამმართველოში ღირსეულად აგრძელებს შენს მიერ გაკეალულ გზას.“.

რაც დრო გადის, მით უფრო მტკივნეული და ძნელია მათი ახლობლებისათვის იმის წარმოდგენა, რომ ამქვეყნად აღარ არიან სიცოცხლით სავსე ვაჟკაცები. აშკარად ემჩნევა ოჯახს მათი წასვლა. ორი მამაკაცის თითქმის ერთდროული სიკვდილი (მამა ერთი წლით ადრე დაეღუპათ) ოჯახის წაქცევის ტოლფასია. მაგრამ ეიმედებათ პატარა შვილიშვილები. იმედია ფუძეს გააგრძელებენ. დროს არ წაუშლია არაფერი, დრო მიდის, მაგრამ ვერაფერი კურნავს მამის სიკვდილით დამწუხრებული შვილების,

ოჯახის წევრების და ახლობლების ტკივილს. ელდარის ახლობელი მურთაზი ამ ტკივილს საქართველოს ტკივილთან და სევდასთან აიგივებს და სრულიად სამართლიანადაც, რადგან თითოეული მამულიშვილის სიკვდილი ქვეყნისათვის გულს დამწნეული იარაა.

ელდარ ჩხაიძის დედა – ქალბატონი ნათელა ტაბიძე იგონებს: „მეუღლე, სანამ ეს ტრაგედია დატრიალდებოდა, ერთი წლით ადრე გარდამეცვალა. ელდარი იყო ძალიან კეთილი, თავმდაბალი, მოწესრიგებული, შრომისმოყვარე ბავშვი, ცდილობდა თვითონ შეესწავლა ყველაფერი. განსაკუთრებით აინტერესებდა ისტორიული ხასიათის ნაწარმოებები. სამსახურში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ყველას უყვარდა და აფასებდა. თვითონაც დაუნანებლად გასცემდა სითბოს, სიკეთეს და სიყვარულს. იყო უსაზღვროდ ერთგული, მოსიყვარულე ოჯახსა და მეუღლისადმი. მზრუნველი შვილი და მამა. ელდარის დაკარგვის შემდეგ, ჩემთვის სიცოცხლე დამთავრდა. დავბრმავდი კიდეც. ვაი შენს უბედურ დედას შვილო... შენს უბედურ დედას, მხოლოდ ერთი ნატვრა დარჩენია, ნატვრა და იმედი იმისა, როცა ჩემთვისაც ჩამოჰკრავს საბედისწერო საათი, იმქვეყნად მეუღლესთან და შვილთან ერთად ვიქნები“.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ელდარის დედა 12 წელი უსინათლო იყო. მიუხედავად კატეგორიული უარისა, სამი წლს უკან გაუკეთეს ოპერაცია და ერთ თვალში აღუდგა მხედველობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ელდარის ლამაზი სული, მარადიული სასუფეველის ბინადარი გახდა. წლებმა ოდნავადაც ვერ შეასუსტა ის დიდი ტკივილი, რომელიც მან მეგობრებს, თანამშრომლებს, საყვარელი ოჯახის წევრებს დაუტოვა. თვალცრემლიანი წლები, ვერაფერს აკლებენ მონატრებას ელდარ. შენისთანები კი არ კვდებიან, გარდაიცვლებიან მხოლოდ. შენს მიერ დატოვებულ სიკეთის ნერგს, ვერას დააკლებს ზამთრის თოში და სუსხი. ღმერთმა ნათელში გამყოფოს ეალმოხდილო ვაუკაცო.

ჯუმბერ უჯმაჯურიძე

„ცამეტი წელი გასულა უკვე, რაც ჯუმბერი ამქვეყნად აღარ არის. დღე არ გავა, რომ რაიმე არ გაეიხსენოთ მასზე – კაცზე, რომელშიაც სიკეთე, სათნოება, სიყვარული და ეაუკაცობა ასე ლამაზად ერწყმოდა ერთმანეთს. კაცმა, რომელმაც შესძლო ყოფილიყო კარგი პოლიციელიც და უაღრესად კეთილი ადამიანიც“ – სევდიანი ხმით საუბრობს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი გულთმისან ვასაძე – „ჯუმბერი ყოველთვის და ყველაფერში გამორჩეული პიროვნება იყო. მეგობრებთან და კოლეგებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოებული მაღალპროფესიონალურ დონეზე ასრულებდა ყველა დავალებას. რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის.“

იგი მარტო ოჯახს არ დაჰკლებია. დააკლდა ყველას, საოცრად კეთილი და გულმართალი ვაუკაცი გახლდათ. სტუმართმოყვარე მეგობრებთან და ადამიანებთან საოცრად კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდა. სიკვდილიც გამორჩეული ხვდა წილად თავის კაბინეტში სიმშვიდის სადარაჯოზე მდგომს უმუხთლებელისწერამ. რას ვიზამთ, ძნელია განგების წინააღმდეგ წასვლა მაგრამ, სიცოცხლე გრძელდება მისი შვილებისა და შვილიშვილების სახით და სწორედ ამაშია მარადიული არსებობის საიდუმლოს გასაღები.

ჯუმბერ ჭიჭიკოს-ძე უჯმაჯურიძის ცხოვრება, ნათელი მაგალითია მომავალი თაობისათვის. მან ღირსეულად განვლო თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება. დაიბადა 1938 წლის 21 მარტს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში. აქ აიდგა ფეხი და ეზიარა მშობლიური ქვეყნის სიყვარულსა და მისადმი სამსახურის გრძნობას, რომელიც ბავშობიდანვე, დედის იავნანა სავით შეითვისა, შეისისხლხორცა და არასდროს უღალატია, მთელი ცხოვრების მანძილზე. მშობლიური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ღირსეულად მოიხადა სამხედრო – სავალდებულო სამსახური და მუშაობდა ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო კანტორაში, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციის

მძღოლად. საიდანაც, გადაიყვანეს შს ორგანოში. 1968-1972 წლებში მუშაობდა ჩოხატაურის შს რაიონულ განყოფილებაში საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორად. 1972 წელს დაამთავრა სსრკ შს სამინისტროს თბილისის ფაკულტეტი და მუშაობდა ჩოხატაურის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში უბნის ინსპექტორად. პატიოსნებით, სიკეთითა და მაღალი ზნეობრივი იდეალებით აღსრდილმა ჭაბუკმა, თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის, პატივისცემა და აუტორიტეტი მოიხვეჭა, როგორც თავისი საქმის მაღალ პროფესიულ დონეზე შემსრულებელმა მუშაკმა. არაერთხელ იქნა წახალისებული და დაჯილდოებული. მინიჭებული ჰქონდა პოლიციის მაიორის საპატიო წოდება. ოცდაოთხი წელი იმუშავა შინაგან საქმეთა ორგანოებში და ყოველთვის გამოირჩეოდა საქმისადმი უმწიკვლო დამოკიდებულებით. ერთგულად ასრულებდა განყოფილების ხელმძღვანელობის ყველა დავალებას. მომავალი ნათელ ფერებში ესახებოდა. რომ შეკითხეოდით – ბედნიერი ხარ თუ არა, ჯუმბერ? – უყოყმანოდ გიპასუხებდათ – „დიახ“. მართლაც ასე იყო. ჰქონდა საყვარელი საქმე, ჰყავდა ლამაზი, ქართული ტრადიციების ერთგული და დამცველი ოჯახი, რომელსაც სამი შვილისა და ექვსი შვილიშვილის ჟრიამული, კიდევ უფრო ალამაზებდა. დიახ, ბედნიერი გახლდათ ჯუმბერ უჯმაჯურიძე.

დღეს კი, დღეს ცრემლი და მწუხარება ჩასახლებულა მისი ოჯახის წევრების თვალებში. დრო მიდის, მაგრამ მისი მსახერალი ხელი ვერაფერს აკლებს საყვარელი ადამიანის მონატრების ნათელ გრძნობას. ამიტომ ინთება მოციმციმე სანთლები და ქარს მარადიული სასუფეველისაკენ მიაქვს უფლისადმი აღვლენილი ვედრება და ჩურჩული: „ღმერთო გაანათლე ჩვენი ბაბუას სული, შემწედ და მეოხად ჰყავ მარადიულ სასუფეველში და მიაწედინე ჩვენი ხმა, რომ არასოდეს შევარცხვენო მის სახელს, ვიქნებით ისეთები, როგორიც მის ვაჟკაცობას ეკადრება...“

მათ ხსოვნას საამშობლო
საკითხავად აკითხეს

„ყოველი ადამიანი საკუთარი ცხოვრების ისტორიაა, რომელიც ერთხელ ყოველი გვიანია, ყოველი მაუცხოებელია, ყოველის ანგარიშით ყველა სტუდიელებია
გვეფიქრებოდნენ.“

იულიუს ფუჩიკი

„ჭეშმარიტება ან ადამიანს ჭეშმარიტება, სანამ მათ ცოცხლებში მოიარებენ ახსოვრებენ.“

ანდრეი მიტუა

ერმილე გობრონიძე

ალიოშა გობრონიძე

იდგა ავბედითი ოცდაათიანი წლები. ადამიანის სიცოცხლეს გახერეტილი გროშის ფასიც აღარ ედო. სტაციონალურ თუ სახელდახელო საპატიმროებში ყოველდღიურად ასეულობით ადამიანი შეპყავდათ, რომელთა უმრავლესობა იქედან მხოლოდ დასახერეტად გამოპყავდათ ხოლმე. სასამართლო, მოწმე, საქმის შესწავლა, ადვოკატი, მსაჯული და მისთანანი, ზედმეტ ბარგად იყო მიჩნეული. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს ეგრეთწოდებული სამეული წყვეტდა შესაფერ სასამართლებისამებრ.

დაშინდა ხალხი. პოეტის თქმისა არ იყოს, კაენის სული უმაღლეს მწვერვალამდე იყო აღზევებული.

ცხადია ასეთ დროს ადამიანს გმირობას ვერ მოსთხოვ.

და მაინც იყვნენ გმირები, თანაც საბედნიეროდ არა ერთი და ორი. იყვნენ გაბედულები ადამიანები, რომლებიც სიტყვასაც ამბობდნენ, ხმასაც იმაღლებდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ, უდანაშაულოთა ხსნისათვის გადამჭრელ ზომებსაც ღებულობდნენ.

განსაკუთრებით ძნელი იყო ასეთ გმირობაზე წასვლა ნომენკლატურის მუშაკისათვის, მითუმეტეს, თუ იგი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელი იყო. მათ ისედაც გამადიდებელი შუშით უთვალთვალებდნენ და ასეთთა მიმართ, რისხვა ასმაგად საშინელი იყო.

აი, სწორედ ასეთ გმირობაზე, კრისტალურად სუფთა, პატიოსან ადამიანზე, ბატონ ერმილე გობრონიძეზე უნდა მოგითხროთ ორიოდე სიტყვით.

ნაღობილეველი ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული, უაღრესად ფართო და მრავალმხრივი თვითგანათლებით აღჭურვილი ნიჭიერი ახალგაზრდა, თავიდანვე აქტიურად ჩაება მაშინდელი

ცხოვრების ურთულეს ფერხულში. ნატანების კოლმეურნეობის ერთ-ერთი ნამომყალიბებელი და თავმჯდომარე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის უფროსი, ლაითურის ნაის გიგანტი მეურნეობის დირექტორი, ოზურგეთის რაიონის პროკურორი, პარტიის ოზურგეთის რაიკომის ბიუროს უცვლელი წევრი... და როგორც წესი, ყველგან, ყოველთვის და ყველასთან მართალი, გულისხმიერი, საქმიანი, ობიექტური. ამიტომაც იყო ალბათ, რომ წლების განმავლობაში, ამდენ საპასუხისმგებლო პოსტზე პირველ ხელმძღვანელად მუშაობისას, ერთხელაც არ დაეენებულა ეჭვის ქვეშ მისი პატიოსნება.

თუმცა მარტო სიმართლე და პატიოსნება არ იყო საკმარისი იმისათვის, რათა პირნათელი ყოფილიყო ხელისუფლებისა და რაც მთავარია ხალხის წინაშე. ამ ორი ცნების შეთანწყობა დიდ ზნეობრივ გმირობას მოითხოვდა. შინაგანი ძალა, თანდაყოლილი ვაუკაცობა, გამბედაობა და რწმენა უნდა ჰქონოდა კაცს იმ დროს – რწმენა საამქვეყნიო საქმისადმი და საკუთარი თავისადმი.

ბატონ ერმილეს ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ეს ღვთიური მადლიც გააჩნდა.

საკმარისია მისი პროკურორობის დროინდელი ერთი ტიპიური ეპიზოდი გაეიხსენოთ:

ერთ ნავსიან დღეს, ოსურგეთის შინაგან საქმეთა განყოფილების მაშინდელმა უფროსმა ვინმე ჯაშიამ, პროკურორის თანამდებობაზე ახლადდანიშნულ ერმილეს, რაიონის აქტივის 45 საუკეთესო წარმომადგენლის დაპატიმრების თაობაზე სანქცია მოსთხოვა. ისინი ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ფაქტიურად წყვეტდნენ რაიონის ბედ-იღბალს. განსაკუთრებით ამაზრზენი კი ის იყო, რომ ჯაშია პროკურორს ისე, ფორმალურად სთხოვდა ნებართვას, თორემ როგორც აღმოჩნდა 45 უდანაშაულო აქტივისტი კარგა ხნის დაპატიმრებული ჰყოლია.

ვინაც ჯაშიასა და საერთოდ შინსახკომის ვერაგობას, დაუნდობლობასა და განუსაზღვრელ ძალაუფლებას იცნობდა. ცხადია ვერ გაბედავდა ხალხის მტრებად გამოცხადებულთა გამოსარჩლებას, ასეთი· საქციელი მაშინ თვითლიკვიდაციის ტოლფასი იყო.

ბატონმა ერმილემ გაბედა. მან ხელმოსაწერი ქაღალდი ვითომ დროებით გვერდზე გადადო, ჯაშია რაღაც მოტივით კაბინეტიდან გაისტუმრა და ყველასგან უჩუმრად თბილისს გაემგზავრა.

თითქმის ასპროცენტიან უპერსპექტივო საქმეს მოჰკიდა მა'შინ ხელი ბატონმა ერმილემ. წინ უნდა აღდგომოდა იმ დაწესებულებას, რომლის მესვეურთ, სხვა თუ არაფერი, ის მაინც შეეძლოთ ძალიან იოლად მოენახათ ორი-სამი მოხალისე პროვოკატორი,

რომლებიც „ოფიციალურად“ განაცხადებდნენ, რომ პროკურორი გობრონიძე ხალხის მტერი იყო, რითაც ბატონ ერმილესათვის ყველაფერს ერთი დაკერით დაესმებოდა წერტილი.

გარდა ამისა, რაიონის პროკურორს, წაეიდოდა რა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის წინააღმდეგ, ფაქტიურად დუელში უნდა გამოეწვია რესპუბლიკის შინსახკომის უფროსი. ზნეობრივი თუ სხვა ნებისმიერი თვალსაზრისით სრულიად შეუზღუდავი პიროვნება, თანაც ცენტრალური კომიტეტის, ფუნქციონერებისათვის, (იმათთვის, ვისაც მაშინ საკუთარი ჩრდილისაც ეშინოდათ), უნდა დაემტკიცებინა პატიმრობაში აყვანილი 45 კაცის უდანაშაულობა:

ყველაფერი ეს შორს სცილდებოდა ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარს. მაგრამ, საბედნიეროდ გაბედული, პატიოსანი ეაჟკაცის შესაძლებლობებს არ ჰქონია თურმე საზღვარი. ერმილემ არა მარტო ბრწყინვალედ გაართვა თავი დასახულ ურთულეს ამოცანებს, არამედ ცოტა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ წინასწარ ჩაფიქრებულზეც მეტი გააკეთა. კატეგორიულად დააყენა საკითხი ოზურგეთელი შინსახკომელთა შეფის ჯაშიას დაპატიმრების თაობაზე.

სენსაციურია არა?

შედეგი კიდევ უფრო სენსაციური გახლავთ: ერმილე გობრონიძის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა!

ეს დიდი გამარჯვება იყო. უპირველეს ყოვლისა ეს იყო საკუთარ თავზე გამარჯვება, ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როცა პიროვნება იმარჯვებს სისხლიან დიქტატორზე. უფრო მეტიც: ერმილე გობრონიძის სახით, იმ დროს სიმართლემ, სიკეთემ, ზნეობამ გაიმარჯვა ბოროტებაზე. რაც ითქვა თითქმის საკმარისია, მაგრამ კიდევ ერთ შტრიხს მოგაწვდით ბატონი ერმილეს, როგორც პიროვნების, მოქალაქისა და მამულიშვილის დასახასიათებლად.

ცნობილია, რომ ადამიანის ამქვეყნიური უზენაესი დანიშნულება ქვეყნისათვის ღირსეული ცელის მომზადება — ე.ი. შვილების სწორი აღზრდაა. რაც სამწუხაროდ ყველას /მათ· შორის ნომენკლატურულ მუშაკებსაც, როდი ხელეწიფებათ.

ბატონი ერმილე აქაც სამაგალითო იყო. აღზარდა და მამულის სამსახურში ჩააყენა შესანიშნავი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე /ალიოშა/ გობრონიძე, რომელიც ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის მჩქეფარე ცხოვრებაში. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ალიოშა ეაკის რაიონის კომკავ-

შირული ორგანიზაციის ჯერ მეორე, შემდეგ პირველ მდივნად მუშაობდა. 1952 წლიდან კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. 1952 წელს ქობულეთის რაიმილიციის განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. შემდეგ აჭარის შინაგან საქმეთა პოლიტგანყოფილების უფროსი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და ბოლოს მინისტრი გახდა.

ალექსანდრე გობრონიძე ის იშვიათი საბედნიერო გამონაკლისი გახლდათ, რომლის გენებშიაც არათუ მთლიანად, მოჭარბებულადაც იყო გადმოსული ბრწყინვალე მამის ამაღლებული ადამიანური თვისება. ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ საბჭოთა პირობებში ზემოთ დასახელებულ თანამდებობაზე მომუშავე კაცი, სიცოცხლის ბოლომდე დარჩა გულმართალ, სპეტაკ ადამიანად.

ჯერ კიდევ შემოქმედებითი და ფიზიკური ძალების გაფურჩქვნის პერიოდში, — 60 წლისა, 1984 წლის 20 სექტემბერს გარდაიცვალა მრავალი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე გობრონიძე.

სამგლოვიაროდ იყო მორთული ბათუმის ოფიცერთა სახლი. ქალაქის საზოგადოებრიობა ემშვიდობებოდა მილიციის გადამდგარ გენერალ-მაიორს ალიოშა ერმილეს-ძე გობრონიძეს.

განსვენებულთან გამოსათხოვებლად მივიდნენ მილიციის მუშაკები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, შემოქმედებითი კაშირების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ახალგაზრდობა.

სასაფლაოზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. იგი გახსნა ა. გობრონიძის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა მილიციის გენერალ-მაიორმა ჯ. მიქელაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. თარგამაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ლ. გუგაეა, შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანი მილიციის პოდპოლკოვნიკი გ. სიორიძე, ა. გობრონიძის მშობლიური სოფლის მერიის მშრომელთა წარმომადგენელი, ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ტაკიძე.

მიტინგის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ალექსანდრე გობრონიძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში და მთელი თავისი ნიჭი, ენერგია და გულის მგზნებარება უშურველად მოახმარა ხალხს, თავის საყვარელ საქმეს.

მებრძოლებმა ზალპით მხედრული პატივი მიაგეს ა. გობრონიძის ხსოვნას.

იშვიათია ისეთი გულთბილი გამოთხოვების ცერემონიალი, საყოველთაო აღიარება და ამდენი გულწრფელი ცრემლი, როგორიც ახლდა ბატონ ალიოშა გობრონიძის უკანასკნელ გზაზე გაცილებას. მას ღირსეულად მიაგეს პატივი თანამებრძოლებმა, მთავრობამ და ხალხმა.

დიახ, იყვნენ, არიან და მუდამ იქნებიან ჩვენში ქვეყნისა და ხალხის სამსახურისათვის გულანთებული ზნეობრივი გმირები, რომლებიც ქრისტიანული წესისამებრ, ნებისმიერ სიტუაციაში მზად არიან გვერდში დაუდგნენ და მსხვილად მოველინონ შეჭირვებულ მოყვასს.

სულ მალე ას ათი წელი სრულდება ბატონ ერმილეს დაბადებიდან. 85 წლისა გახდებოდა ბატონი ალიოშაც.

ეჭვი არ გვეპარება, რომ რაიონის საზოგადოებრიობა სათანადო დონეზე აღნიშნავს ამ ლამაზ თარიღებს.

უაღრესად ერუდირებული და პატიოსანი კაცი იყო

ვახტანგ ჩხიკვიშვილი

არიან ადამიანები, თავისი საქმის მოხიყვარულე პროფესიონალები, რომლებიც მუხლისაუხრელად, შრომობენ, უპრეტენზიოდ, უხმაუროდ აკეთებენ თავის საქმეს. მთელი ცხოვრება ფუტკრებივით ფუსფუსებენ და საფასურად ამა ცხოვრების ყოველგვარ სიამეს არ ითხოვენ. ის კი არა, მეტწილად მოკლებულნიც კი არიან მეუდროებასა და სითბოს, თავიანთი შრომის ჯეროვან დაფასებას. მხოლოდ მათი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ გამოიკვეთება და უკვდავების შარავანდედით შეიმოსება ის ბილიკი, რომელსაც არასოდეს დაფარავს სარეველა, რომლითაც თაობები ივლიან და საქმეგაადვილებულები, მისი გამკაფავის მადლიან მარჯვენას დალოცავენ.

უდავოდ ამ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება პოლკოვნიკი ვახტანგ ჩხიკვიშვილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას არც სიცოცხლეში დაჰკლებია სიყვარული და დაფასება იმ ადამიანებისაგან, რომლებიც თავს მის მეგობრებად, თანამებრძოლებად და მოსწავლეებად თვლიდნენ.

მახსენდება, ათიოდე წლის წინ ოსურგეთის რაიონის პოლიციაში სტუმრობისას, რაიონის პოლიციის შეფმა, ბატონმა ვიქტორ გობრონიძემ, ოსურგეთის სამართალდამცავი ორგანოების ისტორიაზე საუბრისას აღნიშნა, ჩვენ რაიონში ლეგენდად დადის ვახტანგ ხიკეიშვილის სახელიო.

ჭეშმარიტი პატრიოტისა და შესანიშნავი მამულიშვილის, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკის, შინაგანი სამსახურის გადამდგარი პოლკოვნიკის ბატონი ვახტანგ ხიკეიშვილის 75-ე წლის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთ „პოლიცია და საზოგადოების" 1999 წლის აპრილ – მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში შეკითხვაზე, გაქვთ თუ არა რაიმე მეტსახელი, ანუ კლიჩკა?

– (იცინის) მაქვს და მერე როგორი. წელი აღარ მახსოვს, ბათუმში ვარ ნასული. მეზობელი შემხვდა და მთხოვა, – ქალი მახლავს თან და მასთან ერთად დაგემგზავრებიო. უარს როგორ ვეტყოდი, მაგრამ მეორე თხოვნაც მოაყოლა: რახან მილიციის ფორმა არ გაცვია, თავი ზესტაფონელ ქურდად, „გიგუცად" უნდა გაასაღოო. ამაზეც დავთანხმდი. გზაში სულ ქურდული ტერმინებით ვლაპარაკობდი. ოსურგეთში რომ შევედით, ისინი ჩამოვსვი, მეშინია ძალლებმა არ დაგიწვანმეთქი. მე კი ნემი გზით წავედი. განყოფილებაში მორიგემ ამბავი დამახვედრა, თბილისიდან დარეკეს, ხვალ 10 საათზე სამინისტროში უნდა იყოო. სახლში ცოტა დავისვენე და თბილისში წასვლის წინ, სამორიგეოში შევიარე, ისევ სამოქალაქო ტანსაცმელი მაცვია, სამორიგეოს, რომ მიეუახლოვდი, ჯვბირს გაღმა ქალის ხმა მომესმა: მოგიკვდა გიგუცა ჩემი თავი, შენც დაგიჭირესო?! თურმე ჩემს არყოფნაში ის ქალი დაუკავებიათ. მის შემდეგ კოლეგები გიგუცას მეძახდნენ. ვახტანგ ხიკეიშვილი ჭეშმარიტად თავისი კუთხის შვილია, იუმორით აღსავსე.

დიახ, ნამდვილად აქტიური სასოგადო მოღვაწე იყო ვახტანგ ხიკეიშვილი, ჭეშმარიტად სახელოვანი გზა განვლო, დაწყებული ოსურგეთის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფბრიკის ახალგაზრდების თაეკაცობიდან, მეორე მსოფლიო ომში გენერალ მიქელაძის ადიუტანტობიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაობიდან, სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსამდე.

1941 წლიდან შინაგან საქმეთა ორგანოებშია. თავდაპირველად მუშაობდა სამინისტროსთან ახლადშექმნილი ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებაში. 1951 წელს დაამთავრა ლენინგრადის მილიციის უმაღლესი სკოლა. შემდეგ გაამწესეს ქ. თბილისის მილიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფი-

ლებაში, დაიწყო ოპერრწმუნებულის თანამდებობიდან და გახდა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი.

ეს ისტორიაც, რომლის მოთხრობაც ვახტანგ ჩხიკვიშვილის ზოგიერთი ადამიანური თვისებების წარმოსაჩენად დამჭირდა, სწორედ მისი სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსად მუშაობისას დაიწყო:

დააკავეს დედაქალაქში ჩასული „გასტროლიორ“ მძარცველთა ჯგუფი. მათში ყველაზე უმცროსი, ასე თოთხმეტიოდე წლის მშვენიერი გარეგნობის ბიჭი, რომელსაც ძმაბიჭები “ბეკოს” ეძახდნენ, რაღაცნაირად თვალში მოუვიდა. დამნაშავეობის მყაყე ჭაობში· საბოლოოდ ჩასაძირად ვერ გაიმეტა, გადაწყვიტა ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებია ცდომილი. ესაუბრა, მამაშვილურად დაარიგა, საიდან აღარ მოუარა. „ბეკო“ გულდასმით უსმენდა, მაგრამ ოპერმუშაკი ხვდებოდა, მის მოუსვენარ თვალებში კითხულობდა, რომ ჯაფა ამაო იყო, ბიჭი არაფერს შეისმენდა და მისი ეს საუბარიც დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა“. მასსე სხვანაირი, არაორდინალური გზით ‘სემოქმედება იყო საჭირო. მაშინ ბატონმა ვახტანგმა წერილი გააგ’ზავნა შესაბამის ორგანოებში, რომელიც გულისხმიერ პედაგოგიურ დაკვირვებას უფრო ჰგავდა. ამ წერილში იგი მოითხოვდა არასასურველ წრესთან ბიჭის ჩამოშორების მიზნით, იგი მამასთან ერთად საცხოვრებლად ოზურგეთის რაიონში მშობლიურ სოფელ’ში გაეგზავნათ რამდენიმე წლით. „ბეკოს“ მშობლები ქირით ცხოვრობდნენ ქ.თბილისში და ვაჭრობით ირჩენდნენ თავს. ვახტანგ ჩხიკვიშვილმა შეატყო, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში დაინტერესდნენ მოზარდის ბედით, ესაუბრნენ „ბეკოს“ მშობლებს. ეს იყო და ეს, მერე აღარაფერი სმენია მის შესახებ

მაგრამ ბუნებაში ხომ არასოდეს არაფერი იკარგება. იტყვიან, „მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ კაცი კაცს, — ყოველთვისო“. ვახტანგ ჩხიკვიშვილისათვის ინტუიციას არ უღალატნია. „ბეკოს“ ბედის ბორბალს ერთთავად არასასურველი მიმართულებით უტრიალია ამ წლების განმავლობაში და მისგან სერიოზული, საშიში დამნაშავე ჩამოუყალიბებია. ამ დროისათვის იგი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა დამნაშავეთა სამყაროში, სადაც გაიელიდა ყველგან აეკაცობის და სისხლის კვალს ტოვებდა.

ვახტანგ ჩხიკვიშვილი კი უკვე ოზურგეთის რაიონის მილიციის უფროსად მუშაობდა. 9 წელი იმუშავა ამ თანამდებობაზე. თვალები დაენისლა, ძარღვებში სისხლი გაეყინა, სული აუფორიაქა, ერთ-ერთი ოპერატიული ინფორმაციის წაკითხვისას ნაცნობი “კლიჩკის” გაელვებამ, რომ „ბეკო“ და მისი დამქაშები სოფ. მერიაში ერთი საკმაოდ ცნობილი ხელოსნის ბინაში ათევდნენ

ღამეს. საქმეში ამ კეთილსინდისიერი ხელოსნის გამოჩენამ განსაკუთრებით დააინტერესა ბატონი ვახტანგი.

დიდხანს სცემდა ბოლთას კაბინეტში. მოგონებებმა დაეიწყების სქელი საბურველი ჩამოაშორეს. თითქოსდა გუშინ იყო მეკირცხლთეალება, პატარა ბიჭი რომ ედგა თაედახრილი, რომ არიგებდა... საკუთარ თავსაც ჰკიცხავდა ვახტანგი, ცოტა მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა შეიძლებოდა "ბეკოც" აღარ ჩავარდნილიყო ამ ყოფაში. ბევრი იფიქრა...

მერე ის იყო ხელოსანი შესაბამის სამსახურში დაიბარეს უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით. იქ კი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ოფიცერი დაუხვდა. არავინ იცის რაზე ისაუბრეს ვახტანგმა და იმ ხელოსანმა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ შუაღამისას სახლს ალყა შემოარტყეს, ოთხი თავზეხელაღებული ბანდიტი „ბეკოს" თაკაცობით, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ჩაბარდა მილიციას.

არ უყვარდა ბატონ ვახტანგს საკუთარ თავზე საუბარი და ეს მარტო თავმდაბლობით არ იყო გამოწვეული, რადგან გმირული თავგანწირვა ამ ადამიანისათვის ჩვეულებრივი პროფესიული მოვალეობის აღსრულება იყო მხოლოდ, ისევე როგორც მაგალითად ქირურგიული ოპერაციის ჩატარება.

უამრავი საშური თვისება ახასიათებდა. იყო გულისხმიერი, კეთილი, გაჭირვებაში უფრო საიმედო თანადგომს ვერ იპოვიდით.

ცნობილი ექიმის ლადო გოგუაძის მოგონება: „ვახტანგ ჩხიკვიშვილი გახლდათ ჭეშმარიტი მამულიშვილი, შესანიშნავი მეუღლე, მამა. კეთილი ბაბუა. მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, პროფესიონალი იურისტი, კეთილშობილი ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებებით შემკული, უაღრესად კეთილი და კაცური კაცი. მე და ვახტანგი პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით 10 წლის მანძილზე, ერთ დღესაც ვერ ვძლებდით ერთმანეთის გარეშე. იგი არა მარტო ჩემდამი, არამედ ყველა თანაკლასელისადმი იყო ყურადღებიანი, დამხმარე და ერთგული, ამგვარი დარჩა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ასე მგონია ვახტანგის შესადარი ჩემს ირგვლივ არავინ იყო, აზრიანი, ჭკვიანი, ფიზიკურად ძლიერი, შორსმჭვრეტელი, დაუღლელი, კაცთმოყვარე და ერთგული მეგობარი, რაც მან სწავლის შემდგომ დაამტკიცა მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, ოჯახში, სამსახურში, მეგობრებში".

რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის აწგარდაცვლილ ბორის შეწირულის ნაამბობიდან:

„ეაგონის კუპეში ორნი ვართ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გენერალი ვარლამ შადური და მე. გენერალთან დიდი ხნის ახლობლობა მაკავშირებდა. ერთ დროს იგი ჩემი ხელმძღვანელი იყო. ახლა ჩვენს შორის თანამდებობრივი დისტანცია აღარ იყო. მაგრამ ის ჩემთვის კვლავაც გენერალი გახლდათ და საკუთარ თავს კი ისევ ახალგამოწეკილ მაიორად ვთვლიდი.

კარგა ხანია ერომანეთი არ გვინახავს და სასაუბროც ბევრი დაგვგროვებოდა. ბატონი ვარლამი ტკბილად მოუბარი კაცი გახლდათ.

— ბორია — შემომხედა ღიმილიანი თვალებით, — ახლაც ვფიქრობ, რომ შენი წასვლა ჩვენგან, დიდი შეცდომა იყო. რედაქცია არ უნდა დაგეტოვებინა.

სამაგიეროდ ვახტანგ ჩხიკვიშვილი დაგიტოვეთ, — მივუგე მე.

— მდაა, ვახტანგი, ვახტანგი... სასწაული პიროვნება. კაცი, რომელსაც შეუძლია ადიდებული მდინარე გადაცუროს და არ დასველდეს. სხვათაშორის ადამიანების შეცნობის გასაოცარი უნარი აქვს. ამ სამიოდე წლის წინ, ერთი ბალღი მომიყვანა — ვიქტორ გობრონიძე, ჩვენებურია, კაი ოჯახის შვილი, ჯარგამოვლილია, ორგანოში უნდაო მუშაობის დაწყება და მთხოვა მიმეღო. ბიჭი საუბარში ძვლივს ჩავითრიე, მაგრამ „საგამოცდო ბილეთი", რომ აიღო, სულ ხუთიანებზე მიპასუხა.. მივიღეთ და ღმერთმა ყველაფერი ისე კარგად აგიხდინოთ, როგორც იმან გაგვიმართლა. ასი კაცი, რომ დააყენო და მათ შორის ერთი დამნაშავე, თვალის ერთი გადაყლებით ზუსტად იმ ერთს გამოიცნობს. ახლახან რიგგარეშე მივეცით პოლიციის ლეიტენანტის წოდება, — თქვა და საათს დახედა. მიეხვედი გენერალი მოსეენებას აპირებდა. ეაგონის დერეფანში გამოვედი.

მატარებელი ხმაურით სტოვებდა გადაჩახჩახებულ ქართლის ველებს და მიაპობდა სიერცეს გურიისაკენ, იმ გურიისაკენ, სადაც ახლა შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს უფროსად სწორედ ის პირტიტველა ლეიტენანტი, ამჟამად პოლიციის პოლკოვნიკი, ვახტანგ გორგასლის ორდენისა და „მხედრული მამაცობისათვის" მედლის კავალერი, ბატონი ვიქტორ გობრონიძე გახლდათ."

ძალ'ზედ საინტერესო იყო ვახტანგ ჩხიკვიშვილის მოგონებები, დაკავშირებული ოქროპირა დოლიძესთან, რომელიც მისი მახარაძის რაიონ'ში მუშაობის პერიოდ'ში განყოფილების პასუხისმგებელი მორიგე იყო. გვიან ღამით ოქროპირა ურეკავს მილიციის უფროსს და ეუბნება ბატონო ვახტანგ მერიის სამხედრო აეროდრომიდან გაიტაცეს სამხედრო თვითმფრინავი ე.წ.

„ისტრიბიტელი“. მერე მე რა შუაში ვარო, რომელი გაის უფროსი მე ვარ, დაურეკე რუბენ შეწირულს გზები გადაკეტოს და გამტაცებლებთან ერთად დააკავოს გატაცებული თვითმფრინავიო, ირონიულად უპასუხა მან.

ოქროპირის მორიგეობისას გაიქცა პატიმარი ვინმე ჭიხვარია, რომელიც მკელელობაზე იყო ბრალდებული. მიკიდა თუ არა ვახტანგი სამსახურში, დაახვედრეს ეს ამბავი. ვახტანგს, თითქოსდა არაფერი მომხდარიყო, საკვირველია კი არ უოქვამს ოქროპირასთვის, უფრო მეტიც.. .რადგანაც იგი წასახალისებელთა სიაში იყო და რიგგარეშე წოდებას ელოდებოდა, დაუძახა და გადასცა წერილი, თან აუხსნა, მიიტან ამას კომენდატურაში, მისცემ უფროსს, და პასუხი, რასაც გეტყვიან, უკან მომიტანეო. ოქროპირამ მადლობა გადაუხადა მილიციის უფროსს, გახარებული წავიდა თბილისში. მიიტანა ეს წერილი კომენდატურაში, როგორც გაირკვა შიგ იყო ბრძანება სამსახურებრივი გულგრილობისათვის 10 დღით ოქროპირას ჰაუპსტაში მოთავსების შესახებ. შეხსნეს ქამარი და შეუშვეს კამერაში. ატუსა ყვირილი, რას შვებით მე ჩოხატაურელი ოქროპირა ვარო.

ერთ-ერთი მოქალაქე დაიხრჩო მდინარე სუფსაში. ვახტანგი ურეკავს პასუხისმგებელ მორიგეს ოქროპირა დილიძეს, დარეკე ფოთში კატერი „ამფიბიო“ გმოაგზავნონო. ოქროპირამ დაურეკა ფოთის მილიციის უფროსს ორი ფიფია გამოუშვიო. მილიციის უფროსმა შოთა ქურდიანმა ვერ გაიგო თუ რაზე იყო საუბარი და გადმოურეკა ვახტანგს, ბატონო ვახტანგ ვინ ფიფიები გჭირდებათ, ვერ ამიხსნა თქვენმა მორიგემო. “ამფიბიო” მინდაო და ამაზე დატუქსეს ოქროპირა, რომელსაც ჰქონდა დაგრძელებული, ჩამოშვებული ტუჩი და მასზე ლექსიც კი დაწერეს:

“ოქროპირა დიდებულო, ჩიჩვირჩამოკიდებულო,
ჭიხვარია გაგეპარა, ვაი შე გაჭირვებულო“.

და ბოლოს, აღნიშნული ნარკვევი მინდა დავამთავრო გადამდგარი პოლკოვნიკის ვიქტორ გობრონიძის მოგონებით: „განსაკუთრებით ძვირფასი და ახლობელი იყო ვახტანგ ჩხიკვიშვილი პირადად ჩემთვის, რადგან მისი ხელით ჩავიბარე ცხოვრების დიდი გზაზე გასასვლელი კარების გასაღები, რომელიც ლამპარიყით აენთებოდა, ყველაზე ურთულეს სიტუაციაში ახალ-ახალი წინაღობების გასაღებად იქცეოდა, ძალას და ენერგიას მანიჭებდა, რათა სრულფასოვნად განმეხორციელებინა ქვეყნისა და ერის მიერ ჩემზე დაკისრებული მოვალეობა.

მარტო ჩემთვის კი არა, ყველასათვის, ვისაც მასთან შეხება ჰქონია, ბატონი ვახტანგი იყო მშობლიური, გულისხმიერი, მზრუნველი და ბოლომდე ერთგული კაცი, რომელსაც არასდროს

ღალატობდა უტყუარი ალღო, შორსმჭვრეტელობა, ადამიანის ხასიათის შეცნობის ბრწყინვალე ნიჭი და ამითაც იყო განპირობებული, რომ მასთან ადვილად ახერხებდა კეთილი ურთიერთობის დამყარებას ადამიანთა ფართო წრე. ამიტომ იყო სე აურაცხელი მისი სამეგობრო, მუდამ ნათელი, ხალისიანი და საქმიანი მისი სამუშაო კაბინეტი. ამიტომ იყო იგი ბრძენთან – ბრძენი, მოყვარესთან – მოყვარე, მტერთან – მტერი, სიძნელეებთან – შეუდრეკელი, უაღრესად ერუდირებული და პატიოსანი კაცი.

მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ჭეშმარიტი ქართველი მშობლიურ ხალხს და ქვეყანას.

უპრეტენზიო კაცის გმირული სახე

ვალერიან თალაკვაძე

მეგონა ადვილი იყო იმ ადამიანზე, რამდენიმე თბილი სიტყვის დაწერა, რომელსაც კარგად ვიცნობდი და პატივს ვცემდი. თურმე ვცდებოდი. ამას მაშინ მივხვდი, როცა ჩემთვის სამაგალითო პიროვნებაზე, ლეგენდარულ ჩეკისტზე ვალერიან თალაკვაძეზე „წერად დავჯექ". არ დაგიმალავთ, ძალიან გამიჭირდა – შევძლებ კი ასეთი დამსახურების მქონე ადამიანის ობიექტურად წარმოჩენას? გავიფიქრე და... ერთი პირობა კიდევ დავემორჩილე არ ვიცი, საიდან მოსულ ეჭვებს. გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, ნათქვამია, ბოლოს და ბოლოს მეც გადავწტვიტე გავქცეოდი საქმეს. მაგრამ თვალწინ წარმომიდგა იუმორით აღსავსე, ალალი და პატიოსანი ადამიანი, ლეგენდარული ჩეკისტი (ბევრს როდი აქვს მიღებული ორგზის „შსს დამსახურებული მუშაკის" სამკერდე ნიშანი). როგორც თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი შვილი, საქმეში პრინციპული და შეუპოვარი. უსამართლობად ჩავთვალე დუმილი ასეთ ადამიანზე. მეც მომიწია მისი ხელმძღვანელობით მუშაობა. ვიცნობდი მას როგორც საოცრად გულმართალ, თბილ პიროვნებას, ოჯახის, ნათესავების და მეგობრების მოყვარულ კაცს.

ბევრს მოძალადე, მარტოოდენ მტრის ჯარისკაცი ჰგონია, ცეცხლითა და მახვილით რომ ანადგურებს ყველაფერს რაც სხვისია. მაგრამ შინაური მტერი გარეშესაგან იმით განსხვავდება, რომ კბილებამდე შეიარაღებული დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს და არავის ინდობს, ვინც წინ აღუდგება. თავისიანებს ძარცვავს, აყაჩაღებს, აუპატიურებს, ხოცავს, სახლ-კარს უწვავს. ასეთ ბანდიტებს და კაცისმკვლელებს ებრძოდა ვალერიან თალაკვაძე 35 წელი.

1947-1948 წლებში თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა აწიოკებული ჰყავდა ვინმე ჯანგავაძის ბანდას, რომელშიც 15 მამაკაცი და 3 ქალი ითვლებოდა. მათგან ყველაზე მეტად აქტიურობდა ბანდის დედოფლად წოდებული ლამაზი ქალი, რომელიც ხშირად დადიოდა თბილისის ქუჩებში, რათა თავისი სილამაზით მოეხიბლა მამაკაცები და ანკესზე წამოეგო. იგი თავის ყველა მსხვერპლს სოფელ ვაშლიჯვარის უკაცრიელი ადგილებისაკენ იტყუებდა, სადაც სამი ჩასაფრებული „თანაგუნდელი“ ბანდიტი ელოდებოდა. ისინი თავს ესხმოდნენ მსხვერპლს, ქალი გაქცევას „ახერხებდა“, მამაკაცს კი ყველაფერს ხდიდნენ და შიშველ-ტიტველს უშვებდნენ ქალაქისკენ. ვინც ივაჟკაცა და შეეწინააღმდეგა, მოკლეს, გვამი კი, დანაშაულის დაფარვის მიზნით, მიუვალ ადგილებში მიმალეს.

ამ გზით ადამიანების გაძარცვის გარდა, ბანდა თავს ესხმოდა თბილისისა და მის ახლომახლო მდებარე სოფლების მოსახლეობას და პირწმინდად „ასუფთავებდა“.

ბანდის ამ თავაშვებულობას და დაუსჯელობას, ვალერიან თალაკვაძე მტკიცენეულად განიცდიდა. რამდენჯერ უნატრია, სადმე პირისპირ გადაჰყროდა ბანდის მეთაურს და თავისი ხელით ღირსეული განაჩენი გამოეტანა მისთვის. მაშინ ჩეკისტებს უფლება ჰქონდათ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები ადგილზე გაენადგურებინათ, – იგულისხმება სპეციალური ნებართვა, ე. წ. „შაკი ქაღალდი“, მაგრამ ბანდის მეთაურები დაცვის გარეშე არსად დადიოდნენ.

ვალერიანმა ისიც იცოდა, რომ მეთაურის მოსპობით ბანდას ვერ გააუვნებლებდა, ერთს მოკლავდი, მეორე უხელმძღვანელებდა ბოროტმოქმედთა ჯგუფს.

მრავალი ჭკვიანურად მოფიქრებული ოპერაციის შემდეგ, ვალერიან თალაკვაძის ხელმძღვანელობით, ბანდიტები შეიპყრეს სოფელ ვაშლიჯვართან ახლოს, ერთ-ერთ გამოქვაბულში, სადაც მათ თავშესაფარი ჰქონდათ, თავს უყრიდნენ ნაძარცვ ნივთებს, ინახავდნენ ცეცხლსასროლ იარაღს და ამუშავებდნენ ახალ-ახალ დანაშაულთა გეგმებს.

შეპყრობამდე, ბოროტმოქმედებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს და მათი გამოქვაბულიდან გამოყვანა გაძნელდა. „რას გავს ეს, მდინარე გადაეცურეთ და მის ნაპირზე ეიხრჩობით?!“ — მწარედ უხუმრია მაშინ ვალერიან თალაკვაძეს. იუმორი ხომ მისი თანდაყოლილი თვისება იყო და ხშირად შველოდა კრიტიკულ სიტუაციებში.

ოპერაციის მეთაურმა მეძებარი ძაღლები მოაყვანინა, რომელთა გამოქვაბულში შეშვება იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ მძარცველებმა იარაღი სწრაფად დაყარეს. შეწყვიტა არსებობა ორი წლის მანძილზე მოთარეშე ბანდამ.

გენერალ ვარლამ შადურის ნაამბობიდან:

“ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი თანამშრომლის, კოლეგის, ახლობლის და მეგობრის დამახასიათებელი თვისებების შესწავლას. ბევრ შემთხვევაში სწორი დასკვნები გამომქონდა, მაგრამ ეცდებოდი კიდევაც. შეცდომა კი, პიროვნების, განსაკუთრებით კი მილიციის თანამშრომლების შეფასებაში ძვირად დამჯდომია, ოპერატიული საქმე ჩაშლამდე მისულა.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება 1966 წლის ზაფხული, როდესაც ახლად დანიშნულ მინისტრთან — ედუარდ შევარდნაძესთან ერთად გურჯაანის რაიონში ვიმყოფებოდი და ვალიკო შავლიაშვილის ბანდის აყვანის გეგმას ვაშალაშინებდი. უეცრად უფროსის კაბინეტში აქაქანებული მორიგე შემოვიდა და მოგვახსენა, რომ შაელიაშვილი, რამდენიმე თანამონაწილით სოფელ წნორის ერთ-ერთ ბინაში ქეიფობსო. გეგმის მიხედვით, სახლში ერთდროულად ოთხი გაშიშვლებული პისტოლეტებითა და ავტომატით, სრულიად მოულოდნელად უნდა შეეჭრილიყავით, მაგრამ საკვირველ სურათს წავაწყდით, ვეებერთელა ოთახის შუა ადგილზე, ჩალაზე ორი სრულიად ტიტველი მთვრალი მძინარე ქალი დაგვხვდა. იქვე ეყარა ღვინის ცარიელი ბოთლები. ვალერიან თალაკვაძეს ამ სანახაობაზე აუტყდა ისტერიული სიცილი და თანაც მეუბნება, ყველა ამ უბედურებას შევარდნაძეს ნუ ვეტყვით, ისედაც ამ ოპერაციამ ორი თანამშრომელი იმსხვერპლაო. უკან რომ ვბრუნდებოდით და სოფელს მიეუახლოვდით მოგვესმა გამალებული სროლის ხმა, ხალხის შემაზრზენი ყვირილი. თურმე ამ სოფლის ერთ-ერთი მცხოვრების სახლისთვის ტყვია შაელიაშვილის ბანდას დაუშენია და მყისვე მიმალულან. ბანდის აქტიურმა მოქმედებამ საშუალება მოგვცა, რამდენიმე დღის შემდეგ, მისი ორი წევრი შეგვეპყრო და სულ მოკლე ხანში თითქმის ყველა მათგანი დაგვეპატიმრებინა. სხვათა შორის ვალიკო შავლიაშვილი ქ. როსტოვის ერთ-ერთ მაღაზიაში შეიარაღებული დავაკავეთ, როდესაც საყვარელთან ერთად წვრილმანებს ყიდუ-

ლობდა. ძალიან დასანანი იყო, რომ ეს ლამაზი, ტანადი ახალგაზრდა ჯელელობიდანვე მოლიპულ გზას დაადგა. ბევრი ცრემლი და ტანჯვა არგუნა უდანაშაულო კახელებს. პირველივე დაკითხვისთანავე აღიარა თავისი მძიმე დანაშაულობანი და ჩაგვაბარა სხვადასხვა ადგილას დამალული ფული დ სამკაულები.

თითქმის იმავე წლებში, თბილისში მოქმედებდა მეორე ბანდა ღარიბოვის მეთაურობით. ეს ცხრაკაციანი ბოროტმოქმედთა ჯგუფი განსაკუთრებული სისასტიკით იყო განთქმული, — გაძარცვეს მრავალი ოჯახი და სახელმწიფო დაწესებულება, მოკლეს მილიციის ორი მუშაკი და ორიც მძიმედ დაჭრეს.

იმ დროს თბილისში იქ, სადაც მტკვრის ერთი ნაპირიდან მეორეზე მგზავრები ბორანს გადაპყავდა, ძირითადად დიღმელები და ვაშლიჯვარელები იყვნენ, რომელთაც ხილი და ბოსტნეული ჩამოპქონდათ გასაყიდად და ნავაჭრი თანხით შინისაკენ, რომ მიდიოდნენ, მაშინ ხვდებოდნენ ბანდიტები და ძარცვავდნენ. ბოროტმოქმედები იმდენად გათავხედდნენ, რომ ერთხელ, გლეხების მორიგი გაძარცვისას, თვალს კი არ მიეფარნენ, იქვე მდებარე სასადილოში "დაამღერეს" ნაშოვნი თანხა, კარგადაც გამოთვრნენ და დღისით მზისით ტყვიებით დაცხრილეს სასადილოს ჭერი.

იმ დროს ვალერიან თალაკვაძე დიდუბის რაიონის მილიციის უფროსად მუშაობდა. ერთხელ იგი, ორი მილიციელის თანხლებით, უბანში „შემოვლაზე იყო". სროლის ხმა, რომ შემოესმა, მყისვე სასადილოსთან გაჩნდა. დაიწყო უთანასწორო ბრძოლა რვა ბანდიტსა და სამ მილიციის მუშაკს შორის, იცოდა თუ არა ვალერიან თალაკვაძემ, რამხელა რისკზე მიდიოდა. მარტოდმარტო რომ მიეჭრა შესარხოშებულ თავითფეხებამდე შეიარაღებულ ბანდიტებს, ნაგანის ტყვიით რომ შეუმტვრია ფანჯარა, სასადილოს ქვის კედელს, რომ ამოეფარა და უბრძანა:

— დაყარეთ იარაღი და დაგვნებდით, თორემ აქედან ვერც ერთი ცოცხალი ვერ გააღწევთ!

იცოდა, მშვენივრად იცოდა, რომ აშკარა სიკვდილზე წავიდა, მაგრამ მაინც გადადო თავი. მილიციის უფროსის ამ გაბედულმა ნაბიჯმა ისე დააფრთხო ბანდიტები, რომ სასადილოს უკანა კარიდან თავქუდმოგლეჯით გაიქცნენ. ვალერიან თალაკვაძე დაედევნა მათ. ბანდიტებმა იარაღი დაყარეს და ჩაბარდნენ.

დაპატიმრებული ბანდის მეთაური მანამდე ოთხჯერ იყო ნასამართლევი, მათ შორის ორჯერ ომის დაწყებამდე. იგი მეოთხე პატიმრობისას გამოიქცა კოლონიიდან და ხელახლა შექმნა ბანდა თავისივე მსგავსი რეციდივისტებისაგან. სწორედ ასეთი უაღრესად საშიში ბანდის მოთოკვა შესძლო მაშინდელმა მილიციის უფროსმა. ამიტომაც აფასებდნენ და ყველაზე საპასუხისმგებლო

უბნებს ანდობდნენ მას ხელმძღვანელები. უადგილო არ იქნება მის ბიოგრაფიასაც შეეეხოთ მოკლედ:

დაიბადა 1915 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისპირში. იქვე დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩაეიდა.

1934-1935 წლებში მუშაობდა რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად. ოპერატიული სამსახური ოპერ-რწმენებულის თანაშემწეობიდან დაიწყო და რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელის პოსტს მიაღწია. 20 წელი იმსახურა ამ თანამდებობაზე და დაძაბულმა შრომამ ადრე შეარყია მისი ჯანმრთელობა, რის გამოც 1970 წელს, იძულებული გახდა პენსიაზე გასულიყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 1970 წლის 14 სექტემბრის №178 ბრძანებაში, რომელიც გამოიცა სპეციალურად მილიციის პოლკოვნიკ ვალერიან თალაკვაძის პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, აღნიშნულია:

„ვ. თალაკვაძემ 25 წელზე მეტი იმუშავა ხელმძღვანელ თანამდებობაზე და ამ პერიოდში ბევრი გააკეთა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მას პირადად არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საპასუხისმგებლო ოპერაციებში. განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა შეპყრობისას, სადაც ყოველთვის გამოუჩენია გმირობა და თავდადება“.

გმირობა იყო, აბა რა, ვალერიან თალაკვაძე ლაგოდეხის ტყეში უიარაღოდ რომ შეხვდა მოსალაპარაკებლად ბანდიტ კოზაევს, ბოროტმოქმედთა სამყაროში დამტკიცებული წესით, სალაპარაკოდ შეხვედრისას ორივე მხარე უიარაღო უნდა იყოს. ვალერიან თალაკვაძემ პირობა შეასრულა, ბანდიტი კოზაევი კი მას შეიარაღებული დაუხვდა.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ბანდიტ ბუწანკალურთანაც.

მისმა მრავალწლიანმა სამძებრო მუშაობის გამოცდილებამ ნაყოფი გამოიღო. მალე მან დამნაშავეთა ადგილსამყოფელს მიაგნო. თიანეთის ერთ-ერთ სოფელში. ვ. თალაკვაძე და ოპერატიული ჯგუფის წევრები გარსშემოერტყნენ სახლს, სადაც ბანდის მეთაური, ადრე რამდენჯერმე ნასამართლევი პირი იმყოფებოდა. ვ. თალაკვაძე გაბედულად შევიდა სახლში და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბანდიტი შეიპყრო. ოპერატიული ჯგუფის წევრებმა მალე მათი ჯგუფის დანარჩენი წევრებიც აიყვანეს და დააპატიმრეს.

ეს უკვე მერამდენედ „ველაპარაკე სიკვდილსო“ – იხსენებდა შემდეგ ვალერიანი. ერთხელ მან ბანდიტ ელერდაშვილს სწორედ

იმ დროს გამოსტაცა ხელიდან რეიოლვერი, როდესაც ის მოკვლას უპირებდა. პირადად შეიპყრო ზესტაფონში ბანდიტი ჯაფარიძე, რომელმაც სამი პოლიციელის სიცოცხლე შეიწირა. გიორგი შელიასთან ერთად, წარმატებით გაართვა თავი ბანდიტ ვასტანგ გიგაურის შეპყრობის ოპერაციას.

ყაჩაღებს არ შეარჩინა სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლის გიორგი ჯაფარიძის მკვლელობა, რომელმაც თიანეთის გზასე, ავტობუსსე ყაჩაღური თავდასხმისას, საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ათობით მგზავრი. რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ვალერიან თალაკვაძე, პირადად ჩაუდგა სათავეში მილიციელის მკვლელის დადგენადაკავების ოპერაციას.

თიანეთის ულრან ტყეში კარგა ხანს დაბორიალობდა ცნობილი ყაჩაღი და კაცისმკვლელი გიგაური. ცხოვრებამ იგი თავ'სეხელაღებული გახადა, ყოველივე ადამიანური ჩაკლა მასში და უფრო ცხოველური, თავდაცვისა და თვით'შენარჩუნების ინსტიქტებს მისცა ფართო გასაქანი. ასეთ ადამიანს სათოფე'სეც არ ეკარებიან ხოლმე, არც სამტროდ და არც სამოყეროდ. ვალერიან თალაკვაძემ, წარმატებით გაართვა თავი გიორგი (ბოჩია) შელიასთან ერთად ბანდიტ გიგაურის შეპყრობის ოპერაციას.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში მოპოვებული წარმატებისათვის მისი გვარი შეტანილი იყო საბჭოთა კავშირისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების საპატიო წიგნებში. მიღებული ჰქონდა სამი ორდენი და რვა მედალი. ასევე არაერთხელ იყო დაჯილდოებული სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრებით. გამოცხადებული ჰქონდა მრავალი მადლობა. რესპუბლიკის პროკურორმა იგი მაჯის საათით დაასაჩუქრა.

ვალერიან თალაკვაძემ დამნაშავეობასთან მებრძოლი მრავალი თაობა აღზარდა, რითაც ერთგვარი ხარკი გადაუხადა უფროს მეგობრებს — ჩეკისტებს: ალექსანდრე მანელაშვილს, გიორგი მაღალაშვილს, ბესარიონ ესებუას, ვასილ სიხარულიძეს, ვლადიმერ მაჭარაშვილს, ტერენტი კაკაურიძეს, ნიკოლოზ ასლანიკაშვილსა და სხვებს.

პირადი ცხოვრებით, შესანიშნავი ოჯახით, ნათესავ-ახლობლებითა და ამხანაგ-მეგობრებითაც გამორჩეული იყო. თვითონ საუკეთესო ზნეობრივი თვისებებით აღსავსე, სამაგალითო გახლდათ სხვებისთვისაც.

ბედნიერია ის, ვინც ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წავა. ვალერიან თალაკვაძეზე ალბათ, უფრო ბევრი და უფრო ერცლად დაიწერება მომავალში.

ადამიანი სხვა არაფერია თუ არა, საქმეების ნუსხა

ლაჟვარდი ბოლქვაძე

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი გარდაცვალებით მხოლოდ თავისთავს უკვდებიან და არიან ისეთებიც, რომლებიც ამ ქვეყნიდან წახელით აუნაზღაურებელ სიცარიელესა და მონატრებას, შეუმსუბუქებელ ტკივილსა და გაუნელებელ სიყვარულს დატოვებენ სააქაო ცხოვრებაში, იმქვეყნად კი კაცურად გავლილი ცხოვრების წლები მიაქვთ.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი ლაჟვარდი ბოლქვაძე, ვისი სახელის გახსენებასთან ერთად, თვალწინ წარმოგვიდგება ახოვანი და ვაჟკაცურად შემარული პიროვნება, ღიმილიანი კაცი, რომლის არსება ერთდროულად შეიცავდა თავმდაბლობასა და კაცურკაცობას, მეგობრებისადმი თანადგომის უნარსა და კოლეგიალობას, პრინციპულობასა და სამართლიანობას. მან შინაგან საქმეთა ორგანოებში 35 წელზე მეტი იმუშავა. მრავალი უძილო ღამე და დაძაბული წლები დაჰყო პოლიციელმა ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. მთელი ამ ხნის მანძილზე ყოველთვის გამოირჩეოდა. საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით. ნიჭმა, უნარმა და წლების განმავლობაში დაგროვილმა გამოცდილებამ, იგი საუკეთესო ოპერმუშაკად ჩამოაყალიბა. ბატონ ლაჟვარდის სანდახან უნებლიედ გაჰკრავდა სინანულის, უმარისობისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა – იქნებ რაღაც დამრჩა გასაკეთებელი, გადასაწყვეტი, ბოლომდე მისაყვანიო.

უშურველი იყო ახალგაზრდების დაკვალიანების დროსაც. მადლიერი აღსრდილები (გურამ ასათიანი, ირმა სიორიძე, მაია ოთხმეზური და სხვები) ცდილობენ მისი ხსოვნა მოგონებებში უკვდავყონ და ცოცხალი ყვავილები არ მოაკლონ მის საფლავს.

ადამიანი სხვა არაფერია თუ არ საქმეების ნუსხა, რომელიც ცხოვრების განმავლობაში შეუსრულებია. მართლაც პოლიციისათვის დაბადებული კაცი იყო ბატონი ლაჟვარდი ბოლქვაძე. ეს ღრმად იგრძნობა მის ბიოგრაფიაში, მასთან ურთიერთობაში.

გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე – გამომძიებელი თენგიზ რუსიეშვილი იგონებს: „ლაჟვარდი ბოლქვაძე იყო ერთ-ერთი გამორჩეული პროფესიონალი. თავის

საქმეზე უსიამოდ შეეყარებული კაცი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ არაერთ ოპერაციაში მიმიღია მონაწილეობა, სადაც იგი გამოირჩეოდა ოპერატიულობითა და საზრიანობით. ყოველთვის მაგალითის მიმცემი იყო ხელქვეითებისათვის. ცხინვალის რეგიონში ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელობდა ბატონი ლაჟვარდი, რა დროსაც არაერთი სიცოცხლე ისხნა სიკვდილისაგან."

დრომ და ეითარებამ საწუხარი მოუმატა შინაგან საქმეთა ორგანოებს. კრიმინოგენურმა სამყარომ ფართოდ გაიდგა ფესვები. მაგრამ, ბოროტებას საძირკველი არ ედგა... პოლიციის მობილიზაციის შედეგად, ცხოვრება ნელნელა ჩვეულ დინებას მიუბრუნდა. თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო. რადგან ტყეებში თავშეფარებული ყაჩაღთა ჯგუფები თავს დროდადრო გვახსენებდნენ.

გოგიეთის ტყეში თავშეფარებული ქორიძის ბანდის შესაპყრობ ღონისძიებას დიდი გამოცდილების პროფესიონალი სჭირდებოდა და აი, პოლიციის პოლკოვნიკ ლაჟვარდი ბოლქვაძის ხელმძღვანელობით, შემუშაედა ყაჩაღთა ბანდის განადგურების გეგმა.

ერთ დღეს სოფ. მაკეანეთის ცენტრში ავტომატებიანი მგზავრებით სავსე ავტობუსი შეჩერდა, თავი ზესტაფონელებად გააცნეს და იქვე მდგომ ახალგაზრდებს სასაფლაოსაკენ მიმავალი გზის სწავლა სთხოვეს, აფხაზეთში დაღუპული თანამებრძოლის საფლავზე მიედიეართო. გარდაცვლილის ვინაობაც დაასახელეს. სოფელში უმალ გავრცელდა ხმები ზესტაფონელების სტუმრობის თაობაზე. ამ ფაქტმა ქორიძის ბანდამდეც მიაღწია. სასაფლაოზე მისულ ზესტაფონელ ჭირისუფლებს ქორიძის ბანდის წევრებიც შეუერთდნენ და ქეიფი გაგრძელდა. სულ მოკლე ხანში განიარაღებული „მასპინძლები" – ქორიძის ბანდის წევრები ოსურგეთის პოლიციაში აღმოჩნდნენ. როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა.

ეს ერთი მათგანია იმ მრავალთაგან, რითაც სავსე იყო ბატონ ლაჟვარდი ბოლქვაძის ცხოვრება. იგი 60 წლისა გავიდა პენსიაში. ეს იყო ისეთი პიროვნება, რომელმაც ღირსეულად განვლო ცხოვრების ყველა ძნელი მონაკვეთი. მისთეის უცხო იყო მშვიდი გარემო, პირადი კეთილდღეობა. ბატონი ლაჟვარდი პირველი ერკინებოდა დამნაშავეთა სამყაროს, გულმართალი და პრინციპული – ასე იცნობდნენ, ასე დაახასიათეს იგი გურიის სამხარეო პოლიციაში. თავად კი ისე გაგვეცნო როგორც ნატანებელი ბოლქვაძეების ძლიერ ფესვებზე ამონაყარი რტო, რომელიც მამისგან მემკვიდრეობით ნაანდერძევ რწმენას სიკეთისას, ერთი წუთითაც არ დაშორებია, რადგან დიდი სურვილი ჰქონდა

ეალმოხდილი და პირნათელი წარმდგარიყო შთამომაელობის წინაშე.

ლაკეარდის მამა ალექსანდრე ბოლქვაძე — სამხედრო პირი გახლდათ, რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მსახურობდა. ცოლ-შვილი თაეისთან ჰყავდა და ომის დაწყების შემდეგ, ისინი საქართველოში გამოისტუმრა. დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ ქალბატონი ლიდა მკირეწლოვან შვილებით ბათუმში დაბრუნდა და შემდეგ ნატანებში მარტოდმყოფ დედამთილს შეეხიზნა, რომელიც ჯანმრთელობაშერყეული დახვდათ. ცხოვრება გაუსაძლისი ხდებოდა. საბედნიეროდ, მის ცხოვრებაში კეთილი ადამიანები ფიგურირებდნენ. როგორც თავად იტყოდა ხოლმე — ჩემთვის გიორგი შელია, ალიოშა გობრონიძე, მამია თარგამაძე ის ადამიანები არიან, რომლებმაც ჩემი ცხოვრების გზა დააკვალიანეს, მათი მეშვეობით სიკეთის ძალა შეეიცანი, რამაც ბოროტებასთან ჭიდილი გამიადვილაო.

და დაიწყო ცხოვრების ახალი ეტაპი. 1966 წლიდან იგი შინაგან საქმეთა ორგანოებშია. წლებთან ერთად ემატებოდა თანამდებობა. ბათუმი თუ ქუთაისი, წყალტუბო თუ გურია, ეს ის რეგიონებია სადაც თანამდებობა პირადი კეთილდღეობისათვის ერთხელაც არ გამოუყენებია. მთელი ცხოვრება სიკეთის გამარჯვებას შეალია. თავდაუსოგავად ებრძოდა შენილბულ ბოროტებას, აეკაცობას, ქურდებს, მკვლელებს, ნარკომანებს. როცა სამშობლოს დასჭირდა, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. და როგორც იტყვიან ბედის ბორბალი ყოველთვის წაღმა არ ტრიალებს. ზოგჯერ დაუმსახურებლად ატკინეს გული, რამდენჯერმე �ხმალი ქარქაშში, მაგრამ როდესაც უსმობდნენ, წყენას ივიწყებდა და გულმართლად აკეთებდა მინდობილ საქმეს. ასე მოხდა ოსურგეთში, როცა ნაკლებად ფიქრობდა უკან მობრუნებაზე. მეგობარს გენადი გიორგაძეს ხათრი ვერ გაუტეხა რადგანაც, "მჭირდებიო" უთხრა და 1995 წლიდან კვლავ ოსურგეთშია, ბოლოს კი გურიის სამხარეო პოლიციის შტაბის უფროსი იყო და აქედან გაეიდა პენსიაზე.

ბატონი ლაკეარდი ყველაფერს აკეთებდა ახალგაზრდა პოლიციელების დაოსტატებისათვის. „პოლიციელობა არ არის ადვილი, ძალზე ძნელი, მძიმე პროფესიაა, ამასთან ვაკაცური, — უხსნიდა მათ — პოლიციელი წარმოუდგენელია ზნეობის, კაცური სიტყვის, ადამიანის სიყვარულის გრძნობის გარეშე. ადამიანის განადგურება დიდი ვაკაცობა არ არის, უნდა შეგეძლოს მისი გზაზე დაყენება, გამოსწორება და დაცვაც კი."

მას არ უყვარდა მომაყლის გეგმებზე საუბარი, თუმცა ყოველთვის იტყოდა "ვიცი მეგობრები არ მიმატოვებენო... „ისე კი ერთხელ წამოცდა, მემუარების დაწერა მსურსო და ცნობილ პროფესიონალ პოლიციელებზე პორტრეტული გალერეის შექმნაზე ოცნებობდა. კიდევ მამისეული ჩამქრალი კერის აღდგენაზე ფიქრობდა, მაგრამ არ დასცალდა. უიმედოდ ერთი წუთიც არ უცოცხლია. მან წუთისოფელი დატოვა მაშინ, როცა ძალიან სჭირდებოდა ოჯახს, მამულს, სამართალდამცავ ორგანოებს.

თავისი დიდბუნებოვნებით ის აკავშირებდა სხვადასხვა მიმართულების ადამიანებს, აახლოებდა ერთმანეთთან თაობებს. ახალგაზრდები მას პატივს სცემდნენ, ანგარიშს უწევდნენ, მაგალითს იღებდნენ. ის კი მათ უანგაროდ ეხმარებოდა პრობლემების გადაწყვეტაში, სჯეროდა მათი. მახსოვს, სამძებროს ახალგაზრდა ინსპექტორის გურამ ასათიანის შესახებ მის მიერ ნათქვამი: „ნახე მისგან როგორი სამძებროს მუშაკი დადგესო". არც შემცდარა. და საერთოდ ერთი სიამოვნება იყო იმ დროს, გემუშავა გურიის სამხარეო პოლიციაში. აქ მაშინ პროფესიონალების მთელი კოჰორტა იყო თაყმოყრილი, ზემოთ დასახელებულთა გვერდით იყვნენ გენადი გიორგაძე, გურამ ჩხაიძე, ვიქტორ გობრონიძე, თამაზ კუნჭულია, გიორგი მათითაიშვილი. ამ დროს ამ ადამიანებისათვის არა მარტო სამხარეო პოლიციის თანამდებობები, არამედ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი უბნები შეიძლებოდა მიგებარებინა.

ბატონი ლაკვარდი განიცდიდა ჩვენი მუშაკების ჩაკარდნებს, გულთან მიჰქონდა მათი გაჭირვება, იცოდა ყოველი შეცდომის მიღმა (შეუცდომელი ვინ არის) პიროვნება იდგა, სახელმწიფოს მსახური შეცდომიანი, მაგრამ სახელმწიფოს ერთგული. პროფესიონალი, გამოცდილი „კადრები გზაში არ ყრიაო", იტყოდა. და ამაში მისი პოზიცია იყო გამოკვეთილი, პოზიცია პროფესიული და ადამიანური.

როგორ გვჭირდება დღეს ლაკვარდისნაირი კაცი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის სულიერად და ფიზიკურად შემართული, თითქოსდა დიდი სპორტული შეჯიბრების სტარტზე მდგომი უბერებელი ვაუკაცი, რომელზედაც ხედგამოჭრილია ამ ცხოვრებიდან უდროოდ წასული ერთი გამოჩენილი პიროვნების მიმართ, პოეტის ფრთიანი გამონათქვამი: „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს."

რაინდული სულის პატრონი იყო

იოსებ (სოსო) უგულავა

მდიდარი და საინტერესო ცხოვრების გზა გაიარა იოსებ უგულავამ. ოსურგეთის რაიონში ძნელად შეხვდებოდით ადამიანს, რომელიც მას არ იცნობდა. იცნობდნენ როგორც ჭეშმარიტ მოქალაქეს, თავისი საქმის მოსიყვარულე პროფესიონალს, პოლიციის ახალგაზრდა მუშაკების მრჩეველსა და დამრიგებელს. იგი მუხლჩაუხრელად შრომობდა, უპრეტენზიოდ, უხმაუროდ აკეთებდა თავის საქმეს. მთელი ცხოვრება ფუტკარივით ფუსფუსებდა და საფასურად არაფერს ითხოვდა. იოსები პოლიციის ერთ-ერთი ღირსეული მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი, საუკეთესო მეუღლე და შვილებისათვის თაყდადებული მამა იყო.

იოსებ (სოსო) ვლადიმერის-ძე უგულავა დაიბადა 1926 წლის 26 დეკემბერს, ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ექვსი მცირეწლოვანი ბავშვი, ერთი ტრაგიკული შემთხვევის გამო, უმამოდ დარჩა. მალე დედასაც უმუხთლა თურმე ბედმა. ბავშვები დარჩნენ მოხუცი ბაბუას ამარა. ობოლმა, მშიერ-მწყურვალმა დაამთავრა საშუალო სკოლა და ღვიისნიერი კაცის წყალობით ქუთაისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სკოლაში მოეწყო.

სკოლა რომ დაამთავრა, ხონის რაიონში მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. ორი წლის შემდეგ, ოსურგეთის რიონის მილიციაში გადმოიყვანეს. მუშაობის პარალელურად დაამთავრა ქრისტოვის პოლიციის აკადემია.

მართალია ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ მისი „ნარჩენები“ – დეზერტირების, მტრის აგენტების, ქურდების, ყაჩაღების სახით კვლავაც აქტიურად მოქმედებდნენ. ერთი სიტყვით, რთული კრიმინოგენური ვითარება იყო. ალბათ ამიტომ, პოლიცია და უშიშროება ფაქტიურად ერთად იყენენ და საქმესაც ერთს აკეთებდნენ.

ფაქტები მართლაც ბევრი ჰქონდა მოსაგონარი. ქალაქში უნიკერმაღი გაძარცვეს. ღამით მილიციის უფროსმა დაურეკა. ქორწილიდან ახალდაბრუნებული იყო და უფროსს მორიდებულად უთხრა, ვერ გამოგადგებითო. შენ ნასვამი კი არა, მკვდარიც რომ იყო გამომადგებიო. უთხრა და რამდენიმე წუთში მანქანამ მოაკითხა.

სხვათა შორის, იმ საღამოს, სანამ სტუმრად წავიდოდა „საეჭვოთა“ უბნები შემოიარა, მაშინ მსუბუქი მანქანები ასე ჭიანჭველასავით არ დაბორიალებდნენ კუთხე-კუნჭულებში. აღნიშნული ფაქტი მოხდა თბილისის მატარებლის გასვლამდე. უნიფორმაღის გაქურდვის ფაქტთან დაკავშირებით ოპერატიული ჯგუფის სელმძღვანელობა მას დაავალეს. საეჭვო ოჯახების გადამოწმება დაიწყო. სამი ეჭვმიტანილის დედის პასუხი ერთიდაიგივე იყო – „შინ არ არის, თბილისშია“ არადა სამივენი იმ საღამოს მატარებლის წასვლის შემდეგ ყავდა ნანახი. იმაქვე ღამეს სამივე ბოროტმოქმედი ერთ მისამართზე, სწორედ იმ დროს დააკავეს, ნადაგლს, რომ ინაწილებდნენ.

რით აღწევდნენ წარმატებას? საქმის ღრმა ცოდნით, პროფესიის უმაღლესი კვალიფიკაციით, საზოგადოების ნდობითა და მხარდაჭერით და კიდევ ერთით – განყოფილების უფროსის დიდი ავტორიტეტით. ვინ არ ენდობოდა დაუღალავ ვახტანგ ჩხიკვიშვილსო, იტყოდა იოსები.

სწორედ საზოგადოების მხარდაჭერით დააკავა მან საშიში დამნაშავე, ერთ-ერთი დიდი ქვეყნის რეზიდენტი, რომლის დაპატიმრებაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება იყო გაცემული.

სოსო უგულავა ადამიანურ ღირსებებს შორის უმთავრესად ნდობის, თანადგომის უნარს აფასებდა. განსაკუთრებით მადლიერებით იხსენებდა სამხარეო პოლიციის იმჟამინდელ უფროსს ვიქტორ გობრონიძეს და მიაჩნდა, რომ იგი ყველაზე საუკეთესო იყო იმ უფროსთა შორის, ვინც მის მეხსიერებაში შემორჩენილა, გურიის მასშტაბით.

სოსო უგულავას მაღალი პროფესიონალიზმი, ორგანიზატორული ნიჭი და მინდობილი საქმისადმი თავდადება, სრულად გამოვლინდა ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქ/განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მუშაობის დროს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიხსნა მრავალი მძიმე დანაშაული, აღიკვეთა მოსალოდნელი დანაშაულობანი. ამიტომაც იგი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა მოსახლეობაში.

მას პირადად არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საპასუხისმგებლო ოპერაციებში, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა შეპყრობისას, სადაც ყოველთვის გამოუჩენია გმირობა და მამაცობა.

აგვისტოს ერთ-ერთ საღამოს, ურეკიდან მიმავალ მსუბუქ ა/მანქანას, წყალწმინდასთან ახლოს ბანდიტები დახვდნენ, ავტომატური იარაღიდან გასროლილი ტყვიებით საბურავები დაუცხრილეს და გააჩერეს. აფთრებვით დააცხრნენ მანქანაში მსხდომ ოთხ

მგზავრს, გაძარცვეს და მიიმალნენ. მეორე საღამოს იგივე ბოროტმოქმედნი სამგზავრო ავტობუსს დახვდნენ სოფ. ნატანებთან, გაძარცვეს მგზავრები, ხოლო მძღოლს, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია, იარაღის კონდახით თავი გაუტეხეს.

დამნაშავეთა აღმოჩენა და შეპყრობა სოსო უგულავას დაევალა.

საქმე დაყოვნებას არ ითმენდა და მანაც სასწრაფო ღონისძიებები მიიღო ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად. სულ მალე მიაგნო შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელის კვალს. იგი ჩოხატაურელი, ვინმე რამიშვილი აღმოჩნდა. ძარცვისა და ყაჩაღობისათვის რამდენჯერმე ნასამართლევი. ისიც გაიგო, რომ ტანად ახმახი, შავგრემანი, ცხვირმოგრეხილი ახალგაზრდა კაცი იყო. თან მუდამ ორ პისტოლეტს ატარებდა. მისი შეყვარებული დადულიკა ქ.თბილისში რუსთაველის ქუჩაზე ცხოვრობდა და რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექთნად მუშაობდა. რამიშვილი ხშირად აკითხავდა მას სამსახურში.

ენერგიულმა შრომამ შედეგი გამოიღო. რესპუბლიკურ საავადმყოფოში შემავალი რამიშვილი, სოსომ გარეგნული ნიშნებით იცნო. საჭირო იყო, როგორმე მოეხერხებინა და განეიარაღებინა ახმახი ბანდიტი. ტელეფონს ეცა და მილიციის მუშაკები იხმო დამხმარედ, მაგრამ სანამ ისინი მოვიდოდნენ, ბანდიტს ხელიდან ხომ არ გაუშვებდა!

რესპუბლიკური საავადმყოფო ავადმყოფებითა და სამედიცინო პერსონალით იყო სავსე, ეზო – ხალხით. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ასეთ ვითარებაში მილიციის მუშაკს არ ეპატიება. ბანდიტი კი არაკითარ კანონს არ ემორჩილება, მან შეიძლება იარაღი იხმაროს და მსხვერპლიც არ არის გამორიცხული... იქნებ თან ახლავს თანამსრახველები, რომლებსაც სოსო არ იცნობს!?

რამიშვილი შუბლზე ჩამოფხატული ქუდით, თვალების ბრიალით აუყვა ქირურგიული განყოფილებისკენ მიმავალ კიბეს. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სოსო დერეფანში, გრძელ სკამზე ჩამომსხდარ მოქალაქეებს შეერია. თან მთავარი ექთნის კაბინეტს თვალს არ აშორებდა...

კაბინეტის კარები გაიღო, სოსო კიბეს დაუყვა... პატარა ბაქანს რომ მიაღწია, მოწყვეტით უკან შემოტრიალდა და ზემოდან მომავალ რამიშვილს პისტოლეტის ლულა მიუშვირა:

– ასწიე ხელები, თორემ გაგათავებ! – ნელი ხმით უთხრა მან ბანდიტს, – გარეთ ჩემი კოლეგები დგანან, წინააღმდეგობა ძვირად დაგიჯდება!

ხელებაწეული ბანდიტი წინ გამოიგდო. გასასვლელ კარებს მიუახლოვდნენ, შარვლის მარჯვენა ჯიბიდან „ნაგანის“ სისტემის

პისტოლეტი ამოაცალა. ამ დროს შეეცადა გარეწარი მილიციის მუშაკისათვის ფეხი ამოერტყა და გაქცეულიყო. მოქნეულ ფეხს სოსომ ხელი აუკრა და ბანდიტი ცხვირპირით ტროტუარზე დაემხო. მერე მთელი ტანის სიმძიმით გაიწია, ფეხი გაითავისუფლა და, როცა კიბის საფეხურიდან იარაღშემართული შემობრუნებას აპირებდა, დასახმარებლად გამოძახებული მილიციის მუშაკები დაადგნენ თავს, იარაღშემართულს ხელი მოუგრიხეს და შებოჭეს. მალე შეიპყრეს რამიშვილის თანამზრახველებიც.

გმირობა იყო აბა რა, სოსო უგულავას მოქმედება ამ შემთხვევაში.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა სოსო გომისმთის ტყეში, კბილებამდე შეიარაღებული ყაჩაღური დაჯგუფების წევრების აყვანისას. ეს უკვე მერამდენედ „ველაპარაკე სიკვდილსო"— იხსენებდა შემდეგ სოსო, თუმცა სანამ აღნიშნული ოპერაციის ჩატარებაზე ნებართვას აიღებდა, მისთვის ცნობილი იყო თითქმის ყველა დეტალი...

ცნობილი იყო, რომ ბანდიტები ტყეს აფარებდნენ თავს, მაგრამ მიგნება და უნებელყოფა დიდ მოხერხებულობასა და გამჭრიახობას მოითხოვდა.

ალიონზე ქარი გაძლიერდა და კოეისპირული წვიმა წამოვიდა. შეიძლებოდა ბანდიტები არც კი გამოჩენილიყვნენ,

ინათა. მზემაც გამოანათა. ყურებს არ დაუჯერა — ქარს ხომ არ მოაქვს ეს ხმაო — მახლობელ მილიციელს ხელით ანიშნა — ხმას მიაყურადეო.

რამდენიმე წუთში შეიარაღებული ბანდიტი განაპირა ხესთან შეჩერდა. მიდამო მიათვალიერ-მოათვალიერა, დაუსტვინა. აღმართს ფრთხილად აუყვა. მილიციის მუშაკებმა სოსოს ანიშნეს, რას უცდიო.

სოსო არ ჩქარობდა, იმ ყაჩაღს მეორე მიპყვა, მეორეს —მესამე და ასე ოთხივე ცალ-ცალკე გამოვიდა. გეზი სოფლისკენ აიღეს.

— ახლა კი დროა — ჩაილაპარაკა სოსომ და პირველივე გასროლით წინ მიმავალი დააკრა მიწას. მილიციის სხვა მუშაკებმაც ტყვიები სეტყვასავით დააყარეს, ერთმა ტყვიამ სოსოს ყურთან გაიზუზუნა... მიხვდა, რომ ზურგიდან ყაჩაღი ეპარებოდა. სწრაფად ისკუპა და ხეს ამოეფარა.

შეტაკებამ გვიანამდე გასტანა.

ბანდის ოთხივე წევრი შეიპყრეს.

ბანდიტების აღმოჩენისა და შეპყრობისათვის ოპერაციის ყველა მონაწილეს, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, მადლობა გამოეცხადათ.

სულ სხვა იყო ქაღალდზე დაუწერელი, თბილი გრძნობით ნათქვამი სიტყვები იმ ადამიანებისა, რომლებსაც ყაჩაღების მიერ წაღებული ნივთები დაუბრუნდათ.

ასე, რომ ცხოვრობდა ჩვენს შორის ღვაწლმოსილი, რაინდული სულის პატრონი კაცი და ამაყობდა, რომ, მთელი მისი ძალა და ენერგია ხალხის სამსახურს მოახმარა. მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის ველზე დახარჯა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც ცხოვრებამ, პოლიციის აკადემიამ ასწავლა, მაგრამ დაუხარჯავიც ბლომად ჰქონდა შემონახული საკუთარ საბრძოლო არსენალში და უანგაროდ და ხალისით სთავაზობდა მას ახალგაზრდა პოლიციელებს.

იოსებ უგულავამ მთელი ცხოვრება უმწიკვლო შრომაში გალია. მან არ ისურვა სხვების მიერ გატკეპნილი ბილიკით სიარული, დამნაშავეთა სამყაროსთან შებმა ამჯობინა, ხმალთან და მახვილთან ერთად კაცურკაცობა და კაცთმოყვარეობა მოიშველია, აკი გაკაფა კიდეც საკუთარი ბილიკი, ამ გზით ახლა ბევრნი დადიან.

მის მაგალითზე თაობები იზრდებიან და მადლიერებით მოიხსენიებენ ზნეობით მაღალი და გულით მებრძოლი კაცის სახელს.

არჩევანი, რომელსაც ტრადიცია ჰქვია

სამშე მჟავანაძე

ბათუმში მთელი ღამე გადაუღებლივ წვიმდა, საომარ მდგომარეობაში მყოფი ქალაქის ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. გამთენიისას, ქალაქის განაპირას, ორსართულიანი სახლის ერთ-ერთი ფანჯრიდან, ვიღაცამ ფარდა ასწია და სინათლის მკრთალმა შუქმა გაიელვა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ლაბადამოხვეული ადამიანის სილუეტი გამოჩნდა, რომელმაც ელვის სისწრაფით გადმოსჭრა ქუჩა და იმ სახლის სადარბაზოს კედელს აეკრა, საიდანაც რამდენიმე წამის უკან სინათლე გამოჩნდა. ორიოდე წუთის შემდეგ, სადარბაზოს შესასვლელთან, ხელჩართული ორთაბრძოლა გაიმართა. ამათგან ერთი მილიციის სერჟანტი ბათუმის ქალაქის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი სამშე მჟავანაძე გახლდათ, ხოლო მეორე – თავზეხელაღებული ბანდიტი და კაცის მკვლელი იყო.

შვილიშვილი შოთა მჟავანაძე

ახალგაზრდა მილიციელის გამჭრიახობამ და ოსტატობამ გაიმარჯვა. საშიში დამნაშავე გაბორკილი მიაბრძანა სამორიგეოში სამშე მჟავანაძემ და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოს, მისი სახით, საიმედო ცვლა ეზრდებოდა. ეს იყო 1945 წლის დეკემბრის სუსხიან ღამეს. ეს იყო მისი პირველი საბრძოლო გამოცდა და ძნელი, მძიმე, მაგრამ სახელოვნად გასაველელი გზის დასაწყისი.

მართლაც, ჭეშმარიტად კაცურად იარა სამართალდამცავის გზაზე 35 წელი ბატონმა სამშემ და თავისი მოქალაქეობრივი პატრიოტული ვალი ღირსეულად მოიხადა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

სულ 27 წლისა იყო, როცა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ოზურგეთის – (მაშინდელი მახარაის)

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილის პოსტი ჩააბარა და ორი წლის თავზე უკვე ჩოხატაურის განყოფილების უფროსის თანამდებობა მიანდეს. მთელი 8 წელიწადი ჩვეული ენერგიით უძღვებოდა ჩოხატაურელ სამართალდამცავებს. 1962 წლიდან კი 10 წელიწადს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების წინამძღოლი იყო და ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩასწერა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა საბრძოლო ისტორიაში.

1972 წლიდან თიქმის 10 წელი სამტრედიის სატრანსპორტო პოლიციას თავკაცობდა და სწორედ აქედან წაიდა დამსახურებულ პენსიაზე ღვაწლმოსილი ოფიცერი, მრავალი ორდენით, მედლითა და წარჩინების ნიშნით მკერდდამშვენებული.

ბატონ სამშეს ბიოგრაფიაში საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სკანდარიკოსავით კი არ იცვლიდა ადგილებს, არამედ ფუნდამენტურად, მყარად იდგა მინდობილ საბრძოლო პოსტზე წლების განმავლობაში.

პენსიაზე გასელის შემდეგაც კი არ შეუწყვეტია მას აქტიური საქმიანობა.

ნათქვამია: მარგალიტებს ძველ ნიჟარაში ეძებენო და, ამაგდარი კაცი გარდაცვალებამდე მშობლიურ მთისპირის სოფელს თაეკაცობდა.

იცხოვრა, იშრომა, იბრძოლა უშიშარმა, და გონიერმა პიროვნებამ და ხალხის სადარაჯოზე ფხიზლად მდგომმა თანამედროვეებს უფლება მისცა სამართლიანად ეთქვათ — სამშე მჟავანაძე კაცი იყო ეაკეაცურიო.

გზები... საით არ უხვევენ ისინი, ყველას როდი მიეყავართ მიზნებისაკენ. იქნებ თავიდანვე იმ ბილიკს დაადგე, რომელიც ცხოვრებაში დაუმარცხებლად გატარებს, იქნებ დიდხანს მოგიხდეს მისი ძიება.

პატარა შოთიკო მჟავანაძისათვის ასეთ ბილიკად იქცა ბაბუას, მილიციის ვიცე-პოლკოვნიკის ცხოვრებისეული გზა, — გზა ღირსეული, გზა საარაკო, სამაგალითო, გზა სიკეთითა და ვაჟკაცობით აღსავსე.

შოთა მჟავანაძე შემთხვევით როდი აღმოჩნდა პოლიციაში, ბაბუამისი შინაგან საქმეთა ორგანოების ღვალმოსილი მუშაკი, სამი ათეული წლის მანძილზე, დაუნდობლად იბრძოდა მკვლელების, ყაჩაღების, მძარცველებისა და სხვა ჯურის დამნაშავეების წინააღმდეგ.

შეილიშვილს კი უყვარდა და უხაროდა ბაბუასთან ყოფნა, ყურადღებით უსმენდა მის ნაამბობს მილიციელთა მუშაობის შესახებ, და...

— მე ბაბუას გაზრდილი ვარ, შეილიშვილი კი არა, მისი პატარა მეგობარი ვიყავი, — ამბობს შოთა მუაკანაძე, — ყოველთვის ვცდილობდი ბაბუასემის გვერდით ვყოფილიყავი... მიყვარდა მისი დინჯი საუბარი და მაოცებდა ამ კაცის ერთგულება, პროფესიისადმი სიყვარული. მისი გრძნობები, აზრები, განცდები ჩემზეც გადმოდიოდა, ახლობელი და გასაგები ხდებოდა. ჰოდა მასთან ერთად ვფიქრობდი და განვიცდიდი ყველაფერს. ხან თანამონაწილე, ხან მოწმე ესდებოდი იმ დიდი საქმისა, რომელსაც იგი ემსახურებოდა.

ბევრი რამ აქვს გასახსენებელი შვილიშვილს ბაბუაზე: ეაჩალური ჯგუფის აყვანა ჩოხატაურის ტყეში, შეიარაღებული ბანდების განაიარაღება ლანჩხუთში, ოსურგეთში. ყველა წარმატებით ჩატარებული ოპერაცია იყო სასრიანობის, გამბედაობის, პროფესიონალიზმის ნიმუში და მილიციის ვიცე-პოლკოვნიკი სამშე მუკანაძე ყოველთვის პროფესიული ცოდნის სიმაღლეზე იდგა.

და ყოველივე ამის შემდეგ, რატომ არ უნდა გამხდარიყო სამშე მუკანაძის შვილიშვილი პოლიციელი, როცა იზრდებოდა ასეთი ვაჟკაცური კაცის გვერდით, როცა უკვე პატარაობიდან სურდა ჩეკისტური სამსახურის რომანტიკა, იქსებით და იგრეკებით სავსე ცხოვრებისეული ამოცანების ამოხსნა.

— მაგრამ პოლიციაში მუშაობა მარტო რომანტიკა კი არა, რეალური სინამდვილეა და... მოქმედი პირებიც — რეალური ადამიანები არიან. ეს ბრძოლაა, ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც კანონის საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩნდა.

მინი დოსიე: შოთა მუკანაძე — 39 წლისაა, შინაგან საქმეთა ორგანოებშია 1995 წლიდან. სხვადასხვა დროს, მუშაობდა საგზაო პოლიციის ინსპექტორად, უფროს ინსპექტორად, საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსად, გურიის სამსახეო შს სამმართველოს ადმინისტრაციული პოლიციის საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსად, ოსურგეთის შსს რაიონული განყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის უფროსად, ასევე განყოფილების უფროსის მოადგილედ კრიმინალური პოლიციის ხასით, გურიის სამხარეო მთ. სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად, ოსურგეთის შს რაიონული განყოფილების უფროსად. 2004-2007 წლებში მუშაობდა სამეგრელოს რეგიონში დაცვის პოლიციაში სამსახურის უფროსად, ფოთის საზღვაო ნავსადგურის დაცვის უფროსად, დაცვის პოლიციის სამსახურის სამორიგეო ნაწილის უფროსად. 2008 წლის 1 თებერვლიდან დღემდე, გურიის სამხარეო მთ, სამმართველოში მუშაობს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად.

თავის მხრივ, ახალგაზრდა პოლიციელი საკმაოდ კარგად ითვისებდა ბაბუას დანატოვარს. თურმე ბაბუას იმითაც დაემსგავსა, რომ ნგრევა კი არა, შენება ჰყვარებია. ბაბუას ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება გაურემონტებია, შვილიშვილმა კი – ოზურგეთის შს რაიგანყოფილების შენობა გაარემონტა და სიამაყით აცხადებდა – სანამ ხარ, მანამ უნდა შესძლო საქმის კეთება, არავინ იცის ხვალ რა იქნებაო. რამდენიმე თვეში ახლგაზრდა პოლიციელი ოზურგეთის მთავარი პოლიცმაისტერი გახდა. საკადრო „წმენდა“ მაშინ განახორციელა, როცა საკარძელში მყარად მოკალათდა. ამის თქმის საშუალებას იძლეოდა ის ფაქტი, რომ ბატონი შოთა მჟავანაძე იმ სკამზე მოთავსდა ოზურგეთის პოლიციაში, რომელზეც ნახევარი საუკუნის წინათ სახელოვანი ბაბუა იჯდა.

როდესაც ბატონი შოთა მჟავანაძე ოზურგეთის პოლიციაში დაინიშნა ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, იმასაც კი ამბობდნენ, ოზურგეთის შს რაიონულ განყოფილებაში ადმინისტრაციული პოლიციის უფროსის „პოსტი“ მას ბაბუამ მემკვიდრეობით გადასცაო.

– ბაბუაჩემი უშიშარი კაცი იყო, პატივს სცემდა ვაჟკაცებს და ვაჟკაცობას. მახსოვს ერთხელ წავიდა მარტო ტყეში ბანდიტთან, ვინმე ბარამიძესთან მოსალაპარაკებლად, ბაბუაჩემის ვაჟკაცობაზე ჩოხატაურში ლეგენდები დადიოდა. ვერ იტანდა უსამართლობას. ხშირად მეტყოდა: „მთავარია სიმართლე და სამართლიანობა. უდანაშაულო ადამიანი არ უნდა დაიჩაგროსო და ცდილობდა ყოველთვის სიმართლისა და სამართლიანობის გზაზე ყოფილ. ბაბუაჩემის დევიზი ჩემს დევიზადაც იქცა...

ერთი სიტყვით, შოთიკოსათვის ბაბუა ის “ძველი ნიჟარა“ იყო, რომლისგანაც ცხოვრებისეულ „მარგალიტებს“ იღებდა.

გავა წლები, შეიძლება შოთა მჟავანაძის ვაჟკაცებმაც ჩაიცვან პოლიციის თანამშრომლის ფორმა და ჩადგნენ ჩვენი სიმშვიდის დამცველთა რიგებში, გააგრძელონ მამისა და დიდი ბაბუის ტრადიციები.

ჯემალ შარაძე

ამბობენ, ადამიანის ბედი განენისთანავე განსაზღვრულიაო. ზოგი ბედნიერ ვარსკვლავზე იბადება, ზოგს კი იღბალი უდროო დროს უმუხთლებს, რაც მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში მოუშუშებელ იარად რჩება.

ჯემალ შარაძე, დედულეთის სულიერი სისპეტაკისა და მადალი ხნეობის საგანძურიდან ყველაზე ღირებულის, მამა-პაპისეული სიბრძნისა და სინდისნამუსის ხალასი შენადნობი იყო. მისი სულის სარკეში ჩანდა ღვთის მიერ შექმნილი ყველაზე სრულყოფილი არსება – ადამიანი. ამიტომ იყო გამორჩეული სოფელშიც და ქალაქშიც, საზოგადოების ყველა ეშელონში. თავისი კაცურკაცობით, ჯერ კიდევ შეუცნობელი მაგიური მიმზიდველობით სიბლაგდა დიდსაც და პატარასაც, ირგვლივ უსაზღვრო სიყვარულს თესავდა. ყველას ენა იცოდა, ყველას გულის გასაღების მოძებნა შეეძლო. ერთნაირად ობილი და ტკბილი იყო, ოჯახისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ნინა და სევერიან შარაძეების მიერ ნაზუქარ მარგალიტებში, ერთი გამორჩეული აღგილი ეჭირა და ნამუსიანად ეწოდა იმ უღელს, რომელიც შარაძეების დიდ საგვარეულოს სიამაყითა და ქედუხრელად უტარებია საუკუნეთა განმავლობაში.

ჯემალ შარაძე დაიბადა 1946 წლის 27 ნოემბერს, ოსურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში. 1964 წელს დაამთავრა მახარაძის 2–ე საშუალი სკოლა. სამსედრო-საველდებულო სამსახურის მოსდის შემდეგ, სწავლა განაგრძო რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. შემდეგ იგი ამთავრებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს.

სხვადასხვა დროს ჯ. შარაძე მუშაობდა გურიანთის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის მდივნად, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის საერთო განყოფილების გამგედ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მახარაძის რაიონული განყოფილების უფროსად, მახარაძის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგედ. ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს

საგამოძიებო დეპარტამენტის ოსურგეთის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

ბატონი ჯემალი, როგორც უაღრესად კომპეტენტური მუშაკი, გამოირჩეოდა დიდი ერუდიციითა და დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით. თავის ნიჭს, ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას უშურველად ახმარდა სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს. რომელ უბანსუდაც არ უნდა ყოფილიყო, თავის კაცურ-კაცობით, მუდამ წარუშლელ კვალს ტოვებდა. საქართველოს უსაზღვრო სიყვარულით, ოცნებით, უკეთეს მერმისსე ფიქრით იყო გამსჭვალული მთელი მისი ცხოვრება. შიში, მისთვის უცხო იყო. არასდროს არიდებდა თავს ხიფათს. ჯემალ შარაძემ 17 წელი იმსახურა შინაგან საქმეთა ორგანოებში. წამითაც არ ჩაუმუხლავს, მუდამ ძიებაში იყო. ცდილობდა ხვალინდელი დღე, დღეგანდელზე უკეთესი ყოფილიყო. უხმაუროდ იმდენ სიკეთეს ჩუქნიდა ადამიანებს, გაოგნებულებს მადლობის თქმაც აკვიწყდებოდათ.

ჯემალი არ იყო ისეთ ადამიანი, ვისსედაც სიკვდილის შემდეგ, „ლეგენდებს“ ჰყვებიან. 53 წლის კაცმა ისე იცხოვრა, რომ დღეს, როცა იგი უკვე ჩვენს გვერდით აღარ არის, ყველა მისი მეგობარი, ვინც გვერდით ედგა, თვალცრემლიანი მისტირის ადამიანობის, სიყვარულის ეტალონად ქცეულ მის სიცოცხლეს.

რა საპასუხისმგებლო პოსტზეც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ გამოირჩეოდა, როგორც მშვიდი და თავაზიანი, ადამიანთა გულის მესაიდუმლე. ურთულეს სიტუაციაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღების უბადლო ნიჭი ჰქონდა და ამიტომ წარუმატებლობა, მისი მოქმედების ლექსიკონში არ ფიგურირებდა.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, ოცნებით, უკეთეს მერმისზე და მისკენ სავალი გზების ძიების სურვილით იყო განმსჭვალული მისი ცხოვრება. დიდი ილია უყვარდა. თავადაც ილიას გზას მიჰყვებოდა. საქართველოში ფართოდ გაშლილ ეროვნულ მოძრაობას, პირველი დღიდანვე აუბა მხარი და ღირსეული წვლილი შეჰქონდა საერთო-სახალხო საქმეში. მამულის უკვდავების რწმენა ასულდგმულებდა. რამდენ ფიქრსა და ოცნებას იტვედა მისი გონება. ალბათ ამ ვეებერთელა ტვირთმა დაღალა და ამიტომაც ისე მოულოდნელად შეჩერდა მისი უღალატო გული, ათასებისათვის სამსახურში რომ იდგა, შენი ოჯახისა და მეგობრებისათვის ქვეყნის იმედად რომ ძგერდა, რომ სანუგეშო სიტყვაც ვერ დაუტოვა ცხოვრების სულიერ მეგობარს ქალბატონ იზოლდას, მის ჭკვიან, დარბაისელ, მოჭირნახულე მეუღლესა და სათაყვანებელ შვილებს ახალგაზრდა მამიკოს სითბო და ალერსი.

ვაგლახ ცხოვრების შუაგზასე წამოგეწია აებედითი შავი ყორანი და უმოწყალოდ დაკორტნა შენი სათუთი და კეთილი გული, ჩვენო ჯემალ.

მზე გიყვარდა, სიცოცხლე გიყვარდა, ადამიანი გიყვარდა. ძნელია უშენობა. მაგრამ შენს ლამაზ შვილებში დაგინახავთ, მათ ქორწილში დაგინახავთ, ქალბატონი იზოს ნაღვლიან თვალებში დაგინახავთ და ის გაგვიადვილებს იმის წარმოდგენას, რომ ჩვენგან წასულმა, შენმა სულმა, ზეციურ სასუფეველში დაიმკვიდა სამარადისო ადგილი.

შენი ლამაზი სახე და საქმე მონატრებულ მოგონებად დარჩება შთამომავლობას.

სიცოცხლე მიდის, ადამიანები კვდებიან, მაგრამ არ კვდება ხსოვნა, საქმე, რომელსაც ეს ადამიანები ტოვებენ

"მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ, სახელი არ შერჩენია"

ანგელინა გიორგაძე

ეაკიჯვარი, სულიერი და ფიზიკური მომხიბველელობით, გულუხვი მასპინძლობითა და შესაშური თანადგომის უნარით გამორჩეული ადამიანებითაა ოდითგანვე ცნობილი.

სწორედ ასეთი შესანიშნავი თვისებებით შემკული ტრადიციული ოჯახის დიასახლისი გახლდათ, ბევრი ოზურგეთელისათვის კარგად ნაცნობი ღვაწლმოსილი ქალბატონი, პოლიციის ამაგდარი მუშაკი, პოლიციის ლეიტენანტი, აწ გარდაცვლილი ანგელინა გიორგაძე.

მისი ხანგრძლივი ცხოვრების ისტორიას, /ქალბატონი ანგელინა 92 წლის ასაკში გარდაიცვალა/ ჭეშმარიტად ამშვენებდა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორად მუშაობა და ათეულობით უზედამხედველო, ძნელად აღსაზრდელი, დამნაშავე მოზარდის გზაზე დაყენება. რაზედაც, ყველაზე დამაჯერებლად, მის სახელზე გამოგზავნილი სამადლობელი ბარათები მეტყველებენ. ყოველივე ამის მიღწევა კი, მილიციის მთელი შემადგენლობის მობილიზაციისა და

საზოგადოებრივობის აქტიურობის გარეშე. შეუძლებელი იყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამ მხრივ მილიციის უბნის რწმუნებულები, რომელთა შორის, არც თუ ცოტანი იყვნენ სულმნათი ნოდარ დუმბაძის უკვდავყოფილი კუკარანას მსგავსად, საქმეზე გულმხურვალედ შეყვარებული პროფესიონალები.

კონსტანტინე ნიკარაძე

სიცოცხლის ბოლო წუთამდე, ქალბატონი ანგელინა ახალგაზრდულად შემართული, მობილიზებული და მსნე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ რა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა ჰქონდა განვლილი.

ცხემლისხიდის საშუალო სკოლისა და ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გაანაწილეს სამუშაოდ და კანცელარიის უფროსად დაინიშნა.

ეს იყო დრო, როცა ქეყანაში მოახლოებული ომის სუსხი იგრძნობოდა. ვინ იცის, ქალბატონი ანგელინას ბედი იყო თუ უბედობა, რომ ამ პერიოდში იგი შესანიშნავი ვაჟკაცისა და მოქალაქის, მაიორ გრიგოლ ნიკარაძის მეუღლე ხდება და ქმრის სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილზე, ქ. კიშინიოვში გადადის საცხოვრებლად.

ქალბატონ ანგელინას, ომის პირველივე დღეებიდან მოუხდა დასცილებოდა ახლად შექმნილ ოჯახს. რის ვაივაგლახით ჩააღწია წყალტუბოს რაიონის სოფ. მარლაკში, სადაც მეუღლის მშობლები ცხოვრობდნენ.

იქვე შეეძინა ვაჟიშვილი კონსტანტინე. მალე იგი, შვილთან ერთად, ვაკიჯვარში მამისეულ ოჯახს დაუბრუნდა.

პასპორტის გამოსაცვლელად მახარაძის რაიმილიციაში მისულ ანგელინას, შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის მისეული გამოცდილების შესაბამისად, ბავშვთა ოთახის ინსპექტორობა შესთავაზეს. ასე დაიწყო მუსლსიაუხრელი შრომითა და მძიმე ცხოვრებით გაწამებულ მოზარდებზე დედობრივი ზრუნვით აღსავსე გზა, რომელზედაც განგებამ ზეგარდმო მადლით დაჯილდოებული ეს ცალუღელა მანდილოსანი ატარა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ზეილების აღზრდა შინ თითქმის მთლიანად დედებს მიეანდეთ, სკოლაში ქალ

მასწავლებლებს. მერე იყარგებს კი საქმის ასე წაყვანა განსაკუთრებით ვაჟებისათვის? ეს კითხვა აწუხებდა ქალბატონ ანგელინას.

„პატარას ძალიან უყვარს გარემო, სადაც ტრიალებს. ეს გახლავთ სკოლა და ოჯახი, ამიტომ ეროგანიც და მეორეგანიც მას თბილი გარემო უნდა ხვდებოდეს. წინაადმდეგ შემთხვევაში შედეგი წარმოუდგენლად მძიმეა. ნნდება მშობელთაგან შვილების გაუცხოების ფაქტორი. უფროსებს აღარ სცალიათ მოზარდთათვის. ყოველივე ეს კი, დამთრგუნველად მოქმედებს ბავშვზე. მიზეზი სხვაც ბევრია. მაგრამ ახლა მთავარია შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა, რადგან მარტო ფაქტების მოყვანა და მათი ანალიზი პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ყოველივე ამას მკაცრი შეფასება და ხასოგადოების მიერ გაკიცხვა სჭირდება.“– იტყოდა ხოლმე ქალბატონი ანელინა.

ჩვენს საზოგადოებას ძალზე აღელვებს დღევანდელი სკოლის წინაშე მდგარი პრობლემები, – თუნდაც მოზარდთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა. მათი კვება, ჩაცმულობა, გოგონებისა და ვაჟებისათვის თითქმის ერთნაირად დამახასიათებელი სიგარეტი, უწიგნურობა, გაუნათლებლობა, აბსოლუტური ნიჰილიზმი სწავლისადმი, მომავალი ცხოვრებისადმი.

ბავშვი ცნობიერების ჩამოყალიბებისთანავე უნდა ითვისებდეს ყოველივე იმას, რაც ადამიანს ამკობს, აკეთილშობილებს, მაგრამ საუბედუროდ ყველამ არ იცის, როგორ აღზარდოს ბავშვი, არც იმის აღიარება უნდათ, რომ ვერ ერკვევიან აღზრდის პრობლემებში. ამიტომ გემართებს დაფიქრება, მშობლებთან ერთად მომავალი თაობის გადასარჩენად ოპტიმალური გზების ძიება.

დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ამბობს: „კარგ სურათს უხეირო მიშტერება აფუჭებს, კარგ წიგნს – ცუდი მკითხველი, კარგ ჩაის – ცუდი ჭურჭელი, კარგ ბავშვს – ცუდი აღმზრდელი“...

იქნებ განგაში უნდა აეტეხოთ, ერთად უნდა შეებრძოლოთ ყველაფერ იმას, რასაც დაღუპვამდე მიჰყავს ჩვენი შვილები. უფროსებმა კარგად ვიცით, რომ გზას, რომელსაც ხშირად ჩვენი შვილები ირჩევენ, ტაძრისაკენ არ მიჰყავს ისინი.

სხვისი შვილების აღმზრდელსა და პატრონს, უპირველეს ყოვლისა საკუთარი პირმშო უნდა ჰყოლოდა სანიმუშო. ანგელინამ ამ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი. კონსტანტინემ წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, შემდეგ ასპირანტურა და, მიხვედრილობა უნდა შევქმნოთ მაშინდელ ხელმძღვანელს, რომელმაც ეს წიგნიერი, შრომისმოყვარე, წესიერი და თავაზიანი ახალგაზრდა თავისთან მიიწვია სამუშაოდ.

ერთი სიტყვით, დედის გზით დაკავალიანდა კონსტანტინე ნიუარაძე და ერთი პერიოდი გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოში სამორიგეო სამსახურის უფროსად მუშაობდა, რომლის საქმისადმი ერთგულებაზე და პროფესიონალიზმზე ბევრად იყო დამოკიდებული პოლიციის ამ ახალი სტრუქტურის, პირადი შემადგენლობის სიწმინდე, ორგანიზებულობა და მობილურობა.

ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად, ბატონ კონსტანტინეს ყველა პირობა გაჩინდა, რომელთაგან აღსანიშნავი იყო დედისეული უდიდესი გამოცდილება და მისი შესანიშნავი ოჯახის თითოეული წევრის მორალური მხარდაჭერა, სულიერი და ზნეობრივი სიწმინდე.

მართლაც და, ნეტავი ბოროტებასთან საბრძოლველად იერიშზე გადასულ ყველა ჯარისკაცს ჰქონოდა ზურგის ისეთი სიმტკიცე, როგორიც ბატონ კონსტანტინეს გააჩნდა, ოჯახის სახით: მეუღლე – ქალბატონი ნანული მორჩილაძე ღვაწლმოსილი მასწავლებელია. სანიმუშო სწავლისა და ეფექტეის ვაუიშვილებმა: გიორგიმ წითელ დიპლომზე დაამთავრა აგრობიზნესის ინსტიტუტი. სამსახური ვერ იშოვა. შემდეგ წავიდა ქ. თბილისში, ნერვიულობდა, გულჩათხრობილი გახდა და ორი წლის უკან დაიღუპა. ვახტანგმა დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, მაგისტრატურა და გურიის სააღმსრულებლო ბიუროში მუშაობს. ხოლო ბექამ, მცირე ბიზნესს მიჰყო ხელი.

– როგორი უნდა იყოს პოლიციელი? – ვეკითხები ვახტანგს.

– ისეთი, როგორიც გენადი ბიძია იყო (გენადი გიორგაძე ქალბატონი ანგელინას ძმისწული გახლდათ).

პოლიციელობა და იურისტობა პირველ რიგში მეცნიერებაა. ესენიც ხომ მეცნიერებიანი იკვლევენ ფაქტებსა და მოვლენებს, აკეთებენ დასკვნებს და მოქმედებენ მათ შესაბამისად. განსხვავება იმაშია, რომ მეცნიერებაში მკვლევარს, სადღაც მაინც თუ ეპატიება შეცდომა. ადამიანის მკვლევარს, რომელსაც ხშირად თანამოძმის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტა უხდება, მცირეოდენი უზუსტობის უფლებაც არა აქვს.

კარგია, რომ ამ ნარკვევის გმირებს ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, უპირველეს იარაღად სიკეთე მიაჩნიათ, ეს ხომ ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის მთავარი ცხოვრებისეული დევიზია.

ნაადრევად დაფერფლილი დიდება

კირილე ბარამიძე

წუთისოფელი ასეა: ცხოვრება ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას შორის, ბოროტსა და კეთილ ადამიანს შორის.

ასე იყო მაშინაც, როცა ოსურგეთის რაიონის მილიციის უფროსი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, კირილე ბარამიძე, ცხოვრების ასპარეზზე გავიდა; ბოროტება მსუყე ნიადაგზე იდგა, როგორც საქართველოში, ისე განსაკუთრებით გურიაში, სადაც დანაშაულობებს, თვითონ მის წინააღმდეგ „მებრძოლნი“ სწადიოდნენ.

ჰოდა, მოდით ეაუკაცურ კაცზე ვისაუბროთ – **კირილე ბარამიძეზე,** ერთ მრავალშვილიან ოჯახში სათნოებითა და სიკეთით აღზრდილ კაცზე, რომელსაც, სანამ ბანდიტის ტყვია 33 წლის ასაკში განგმირავდა, მაშინდელი მახარაძის რაიონის ჯანსაღ ნაწილში უდიდესი აღიარება მოიპოვა თავისი განათლებულობით, კომპეტენტურობით, უშიშრობით, მოუსყიდაობითა და ყველა ჯურის დამნაშავეობასთან უკომპრომისო ბრძოლით განვლო ურთულესი გზა – რიგითი გამომძიებლიდან, მილიციის უფროსის პირველ მოადგილემდე. ამასთანავე, მოასწრო სანაქებო ოჯახის შექმნა და სამი სანიმუშო შვილი დაუტოვა ოჯახსა და ჩვენს საზოგადოებას.

კირილე ბარამიძე, 1915 წელს დაიბადა ჩოხატაურის რაიონის მაღალმთიან სოფელ სურებში, გამრჯე და შრომისმოყვარე ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა ჩოხატაურის საშუალო სკოლა და თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ამ საკმაოდ ნიჭიერი კაცებით გალაღებულ სოფელს რა დიდი ღირსებები უნდა დაენახა კირილე ბარამიძეში, რომ იგი თავიანთი ახალჩამოყალიბებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აერჩიათ, როცა იგი მაშინ, მხოლოდ 19 წლისა იყო.

მან დიდი შრომა და ენერგია მოახმარა მაღალმთიანი სოფლის აღორძინებას.

1936 წელს, მიუხედავად იმისა, რომ მას „ჯავშანი“ ჰქონდა და თავისუფლდებოდა საბჭოთა არმიაში სამსახურისაგან, წავიდა სამხედრო ვალის მოსახდელად, რომლის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, კვლავ მშობლიურ კოლმეურნეობას ჩაუდგა სათავეში.

ნიჭიერი, ორგანიზატორული უნარით, პატიოსნებით გამორჩეული ახალგაზრდა, მილიციის რესპუბლიკურ სკოლაში იქნა გაგზავნილი. სიბეჯითითა და მიღებული ცოდნის წყალობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. მუყაითი სტუდენტი, სახელმწიფო გამოცდებისთვის ემზადებოდა, როცა ქვეყნის ცაზე ომის ღრუბლები წამოიშალა. კირილემაც წიგნის მაგიერად თოფს დასტაცა ხელი და თანატოლებს ფრონტზედაც გაეჯიბრა. იბრძოდა ქერჩი – სევასტოპოლის ტერიტორიაზე, სადაც გამოჩენილი გმირობისათვის დაჯილდოვდა სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით, მიენიჭა ლეიტენანტის წოდება და გახდა ასეულის მეთაური. მან აქაც თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა მეთაურმა და კვლავ დაჯილდოვეს ორდენებითა და მედლებით.

ბრძოლებში მძიმედ დაჭრილი ‘სურგში გადმოგზავნეს. მკურნალობის პერიოდში ომიც დამთავრდა და კირილე ბარამიძეს საშუალება მიეცა სახელმწიფო გამოცდები ჩაებარებინა. უნივერსიტეტის დიპლომით მაშინდელ მახარაძის რაიონში მიელინებულმა, სათანადო განათლებით, ალღოობის, თანმიმდევრობისა და გამომძიებლისათვის სხვა საუკეთესო თვისებების მქონე კირილე ბარამიძემ მალე ისეთი, მანამდე გაუხსნელი საქმეები გახსნა, – ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა. მაგრამ ეს განცვიფრება ნამდვილად ორად იყო გაყოფილი – კეთილნი მოწიწებით და აღტაცებით შეხედნენ ამ ახალგაზრდა, მაღალი პროფესიულობით გამორჩეული გამომძიებლის მიღწევებს. ბოროტნი კი – შიშითა და რეკვიზიის ადების სურვილით.

კირილე სახლში ახალშედამებულზე დაბრუნდა. ცოლმა მაზარა ჩამოართვა, ჩაი დაუდგა და გვერდით მიუჯდა.

იცოდა დარეჯნმა მისი ქმარი სიტყვაძუნწი რომ იყო, მაგრამ მილიციის დღის აღნიშვნის წინ, კირილეს გულში ჩამდგარი სითბოს ნეტარება იგრძნო და არ შეეძლო არ გამოლაპარაკებოდა.

– ხვალ მილიციის დღეს აღნიშნავთ ალბათ, კირილე, ნუღარ დაბრუნდები სამსახურში, ერთი ღამე მაინც დაისვენე ხეირიანად.

– რა ვუპატაკო მილიციის დღეს ხელმძღვანელობას, ჩემო დარეჯან? საქმე კარგად როდი მიდის...

საქმის შესახებ კი ვერაფერი ჰკითხა დარეჯანმა ქმარს. არ უყვარდა კირილეს ოჯახში სამსახურის პრობლემებზე ლაპარაკი. გურიაში კაცისმკვლელთა ბანდა დათარეშობდა. ხან აქ წააწყდებოდნენ თაეგანეხილი და კეფაჩამტვრეული ადამიანების გვამებს და ხან იქ. ყველა ამაზე ლაპარაკობდა.

კარზე კაკუნი გაისმა. ადგომა და კარის გაღება ცოლს კირილემ დაასწრო.

ოთახში ორი მილიციელი შემოვიდა. უფროსს რაღაც გადაულაპარაკეს. წუთიც და სამთავე ღამის სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ერთ–ერთ ოჯახში შეიარაღებული პირები ფულსა და ოქროულობას ეძებდნენ. ოჯახის უფროსს, მათთვის წინააღმდეგობა გაუწევია. ამ დროს, იგი თავში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ჰატარა შვილიშვილს დაუნახავს ყველაფერი და აკვირებულა. ახლომდებარე ტერიტორია კონტროლზე იყო აყვანილი ოპერმუშაკების მიერ.

კირილემ დამნაშავის ჩაცმულობა და გარეგნობა იკითხა.

იმ საღამოს, გატარებული ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ერთერთი საეჭვო ახალგაზრდა, მარჯვენა ხელში ჩასმახშემართული „ნაგანით“ დააკავეს.

„ის არის“ – სამთავეს გაუელვა თავში აზრმა, მაგრამ არ წარმოუთქვამთ. უცნობს ჯიბეში ნაყაჩაღარი ფული და ოქროულობა აღმოაჩნდა.

ეს ის ბანდიტი იყო, რომლის მიერ შექმნილი მკელელთა ბანდა საშინელი აჩრდილივით დაძრწოდა გურიის მხარეში და ყოველი ფეხის ნაბიჯზე სიკვდილს თესდა. საავტომობილო გზებს აკონტროლებდნენ, აყაჩაღებდნენ მოქალაქეებს, იტაცებდნენ ავტომანქანებს. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, სიცოცხლეს ასალმებდნენ.

იმ ღამეს, ბანდის წევრთა უმრავლესობა შეიპყრეს. ორი მათგანი კი, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას, ადგილზე იქნა ლიკვიდირებული.

გაინელდა აღნიშნული ბანდის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრის შეპყრობა. მოხერხებულად იმალებოდა გარეწარი. მაშინ კირილემ ხმა მიაწვდინა: გიჯობს ნებით ჩაგვბარდე, თორემ, სადაც მოგიხელთებთ, შენიცვე ამხანაგების ბედს გაიზიარებო.

ენახავო, ვინ ვის მოჰკლავსო, გაიფიქრა გარეწარმა დ გადაწყვიტა მილიციის უფროსის მოადგილისათვის მახე დაეგო. ერთ-ერთი მოქალაქის ოჯახში ნაშუადღეესოვის დაუნიშნა შეხვედრა, მოდი უიარაღოდ, მოვილაპარაკოთ, თუ შენთან ერთად მოსული სხვა ვინმე დავინახე, ან თუ იარაღით მოხვედი, უკან ცოცხალი ველარ დაბრუნდები! სახლს ბევრი გასაქცევი ჰქონდა, ხელისგულივით მოსჩანდა მიმდებარე ტერიტორია. ფაქტიურად სპეცოპერაციის ჩატარებას აზრი არ ჰქონდა.

ჩაფიქრდნენ მილიციის მუშაკები. დაფიქრდა კირილეც. განა შეიძლება ენდო უდანაშაულო ადამიანების სისხლით ხელებგასერილ გარეწარს?

მილიციის უფროსის მოადგილემ მაინც გადაწყვიტა წასულიყო ამ შეხვედრაზე. იქნებ მოეხერხებინა აეაზაკის შეპყრობა, რათა

გადაერჩინა ისინი, ვისაც ბოროტმოქმედის ხელით დღეს თუ ხვალ დაღუპვა ელოდა. ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად კირილეს საკუთარი სიცოცხლეც კი არ ეწანებოდა...

და ბოროტმა ხელმა, არაკაცმა, კირილე ბარამიძე ლაჩრულად მოკლა. ამით კი, მშრომელ, პატიოსან ადამიანებსაც ესროლეს და გული დაუკოდეს...

კირილე ბარამიძე მოკვდა ისევე გმირულად, როგორც მისი ბევრი თანამებრძოლი ჩვენი მილიციიდან. ჩემი, შენი და ჩვენი მშვიდი ცხოვრებისათვის, 33 წლისა გადავიდა მარადისობაში.

„დიდბუნებოვნება კაცისა იმდენად მაღალხარისხოვანია, რამდენადაც „არცოდვის" სახლვარი უკან შორს დაუგდია და „მადლის" სახლვარს მიახლოებია. ამ გზით წაკარბებული მანძილი ერთად-ერთი სახომია დიდბუნებოვანის კაცისა, ე.ი. იმისთანა კაცისა, რომელსაც ყველა თავისიანად ჰსდის, თავისიანად შაჰხარის, თავისიანსავით ჰგლოვობს." (ილია ჭავჭავაძე).

ბატონ კირილეს დარჩა შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი დარეჯანი, რომელიც გარდაიცვალა 1990 წელს. უფროსი ვაჟიშვილი ივანე – სწავლული აგრონომი, 2006 წელს დაიღუპა. მეორე ვაჟიშვილი ნუგზარი – ოსურგეთის თეატრის მსახიობია, დამსახურებული არტისტი. უყვარს თავისი საქმე, უნდა თავისი წილი სითბო და სინათლე მოჰფინოს მაყურებელს, გაყინული გული გაუთბოს, საკუთარ სულში ჩაახედოს, მშვენიერებას ახსიაროს, იმედის ნაპერწკალი გაუღვივოს. მას ასეულობით როლი აქვს შესრულებული. ამიტომ გამოსდის გულიანად ნამღერი „გუთნისდედური". მეგობრები მას ნუგოთი იცნობენ. იგი უკვე 60 წელს გადასცდა, მაგრამ ეს არც ისე სოლიდური ასაკია მსახიობისთვის. წინ კიდევ უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი, ხნული მოსახნელი, შიგ ახალი რიგები ჩასათესი, მაყურებელთა მწყურვალები დასაპყრობი. ქალიშვილი ნარგიზი ოჯახით ცხოვრობს თბილისში, არის აგრარული უნივერსიტეტის დოცენტი.

მართლაც გამორჩეული ახალგაზრდა კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, თან წაიღო განუხორციელებელი ოცნებები, აქ კი სამუდამო მონატრება დატოვა. მანამ, სანამ მისი ახლობლები იელიან ამქვეყნად, კირილე ბარამიძის ხსოვნას დაეიწყება არ უწერია. ნათელში ამყოფოს განგებამ თავის მეუღლესთან და უფროს ვაჟიშვილ ივანესთან ერთად.

– მადლისმყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიედ იხრის თავს, იერის მუხლსა და განცვიფრებული, სიტყვითა თუ უსიტყვოდ, ქებასა და დიდებას მიაგებს.

ეს კი უსათუოდ მიესადაგება კირილე ბარამიძის ასე ლამაზ, და ხალხის სამსახურში, ნაადრევად დაფერფლილ სიცოცხლეს.

იყო პრინციპული, უშიშარი, ერთგული და თავდადებული

დიმიტრი ქარცივაძე

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებას ისტორია მოწიწებით უნახავს შთამომავლობას.

დიმიტრი ნიკოლოზის – ძე ქარცივაძე, ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. დაიბადა 1901 წელს, ოსურგეთის რაიონის სოფელ თხინვალში. იგი იყო ერთ–ერთი ორგანიზატორი მშობლიურ სოფელში 8-წლიანი სკოლის დაარსებისა. მიღებული ჰქონდა უმაღლესი იურიდიული განათლება. 1936-1937 წლებში მუშაობდა ოსურგეთის რაიონის მილიციის უფროსად.

სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ჩხარის, ხარაგაულის, ქუთაისის, თეთრიწყაროს, კასპის რაიონულ მილიციას.

წლების გამოცდილებამ, საქმისადმი ერთგულებამ, დიმიტრი ქარცივაძე პროფესიონალად ჩამოაყალიბა. უყვარდა საქმე, რომელსაც ბოლო ამოსუნთქვამდე, კაცურად ემსახურა.

იყო მძიმე წუთები, დღეები დიდი ცხოვრებისეული წინააღმდეგობებისა, მაგრამ დიმიტრი ყველაფერს ღირსეულად უმკლავდებოდა.

დიმიტრი ქარცივაძე მონაწილეობდა ბევრ რთულ და საპასუხისმგებლო ოპერაციაში. მისი ხელმძღვანელობით ლიკვიდირებულ იქნა ათეულობით ყაჩაღური ბანდა.

პენსიაში გავიდა ქუთაისის აეტოქარხნის რაიონის მილიციის უფროსის თანამდებობიდან, ასაკობრივი ზღვარის გამო.

ბატონი დიმიტრი მთელი სიცოცხლის მანძილზე ზრუნავდა, რათა, შინაგან საქმეთა ორგანოებში ღირსეული თაობა მოსულიყო. ამ მიზნით მან ბევრი ახალგაზრდა მუშაკი აღზარდა და ჩაუნერგა სიყვარული და ერთგულება შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი. ისინი დღესაც წარმატებით აგრძელებენ მუშაობას პოლიციის ორგანოებში და სათუთად ინახავენ, აღმზრდელისა და მასწავლებლის ნათელ ხსოვნას. დიმიტრი ქარცივაძის შთამომავლები დღესაც ცოცხლები არიან და არ ივიწყებენ დიდი წინაპრის სახელს.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება იმ წლებზე, როცა დიმიტრი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მილიციის უფროსად მუშაობდა. როგორც მისი კოლეგები ჰყვებიან, ყოფილა უშიშარი და პრინციპული.

დიმიტრი ქარციეაძის ქალიშვილი, მედეა იგონებს: „იგი განათლებული, საოცრად სპეტაკი პიროვნება იყო. მახსოვს, რკინის საწოლებს დედა პერიოდულად სხვადასხვა ფერზე აღებინებდა. ერთხელ მან ერთ-ერთი კოლმეურნეობის მიერ გამოგზავნილი ძღვენი, მათ შორის ნესვები და საზამთროები უკან დააბრუნა. რამაც მეც და ჩემს პატარა ბიძაშვილებს ძალიან დაგვწყვიტა გული. ალბათ იმიტომ მახსოვს დღემდე ასე მწარედ.

მამას ჰქონდა გურულებისათვის დამახასიათებელი ხალასი იუმორი. იყო მეტად მკაცრი დამნაშავეთა მიმართ და ამავე დროს, საოცრად თბილი და თანამდგომი, მილიციაში უდანაშაულოდ მოხვედრილი ადამიანებისადმი.

იგი გარდაიცვალა 1976 წელს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (სამჯერ გადაიტანა ინსულტი) და დასაფლავებულია სოფელ თხინვალში.“

უმწიკვლოდ განვლილი გზა

გონერი თედორაძე

ნოხატაურის რაიონის მაღალმთიან სოფელ ქვაბდაში, არმიიდან დემობილიზებული გონერი თედორაძის მილიციაში გამოცხადების ქადალდი მოვიდა, რამაც თანასოფლელთა ათასგვარი ჭორი ააგორა.

საკუთარ სისპეტაკეში დარწმუნებული ახალგაზრდა მშვიდად მოემზადა გასამგზავრებლად. ჯარისკაცის კიტელი მოირგო, რომელსაც ხემდეგის ნინი და ათამდე სამხედრო დამსახურების ჯილდო ამშვენებდა, მათ შორის – სროლაში, ჭიდაობაში, მრავალჭიდში.

მილიციის უფროსი დიდხანს ესაუბრა, შემდეგ კადრების სამსახურის უფროსი იხმო და მომავალი თანამშრომლის პირადი საქმის შედგენა დაავალა. ეს იყო 1971 წლის ივნისში. აქედან მოყოლებული ნოხატაურის რაიონულ განყოფილებას ჰყავდა საიმედო დასაყრდენი, ვერცხლის წყალივით მოძრავი რიგითი მებრძოლი. მაგრამ, ასევე ვერცხლისწყალივით გაცურდა ეს სამი ათეული წელიც და უკვე ვალმოხდილი პოლიციელი პენსიაში გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა სელადებით არ დათანხმდა გამოცდილი მუშაკის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

შევეცადე გონერის დამსახურების გადმოსაცემად მომეშველებინა რომელიმე მისი თანამშრომლის მოგონება, მაგრამ დღევანდელი პოლიცია მეტად ახალგაზრდული აღმოჩნდა. მის პირად საქმეს გავეცანი, რომელშიც დავალებათა დროულად და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის საქართველოს შს სამინისტროს და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მრავალგზის მადლობა-წახალისება არის დაფიქსირებული.

სინამდვილეა და უნდა ვთქვა, რომ ყველა რთულ სიტუაციაში ოპერატიულ-სამებრძო ჯგუფის ხელმძღვანელები ცდილობდნენ მათ გვერდით ყოფილიყო გონერი თედორაძე. როგორც გონიერი, უშიშარი მებრძოლი, ტაქტიკურად ნაწრთობი და თუ საჭირო გახდებოდა უტყუარი მსროლელიც.

ცალკეული მაგალითების მოყოლა შორს წაგვიყვანდა, შეგახსენებთ მხოლოდ ორ ფაქტს, რომელიც მის მამაცობაზე მეტყველებს:

1977 წლის ზამთრის დიდთოვლობისას რაიონის ხელმძღვანელობას მოუვიდა შეტყობინება, რომ ორი უცხოელი ტურისტი ფიქრობს თხილამურებით დალაშქროს გურია-აჭარის მთები და განაგრძოს მათთვის გათვალისწინებული მარშრუტი, რაც გეოგრაფიული მდებარეობისა და ზამთრის სიმკაცრის უცოდინარობით მიღებული, საბედისწერო გადაწყვეტილება იყო. მთაში გაზრდილმა ჭაბუკმა თავად იკისრა დასმარებოდა ტურისტებს. თხილამურებასხმული მარტოდმარტო აუყვა მისთვის ნაცნობ ბილიკებს, სასიფათო ჭიუხებზე გავლით, საშუალას მიდამოებში გზა მოუჭრა სპორტსმენებს და დაიყოლია ისინი უკან დაბრუნებულიყვნენ. ასე იხსნა გონერი თედორაძემ ორი სიცოცხლე აშკარა საფრთხისაგან. აჭარის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ეს მამაცობა აღნიშნა „მედლით სიფხიზლისათვის". ამ ჯილდოს გონერი გამორჩეულად ინახავდა.

1979 წლის ივლისი.

ჩოხატაურის რაიონულ განყოფილებაში ატირებული და შეშინებული რუსი ეროვნების ახალგაზრდა ქალი მივიდა, რომელიც თავიდან ფეხებამდე დასვრილი იყო, ფეხზე რაღაც ძველმანი ეცვა, ტანსაცმელი შემოხეული ჰქონდა და მთელი მისი გარეგნობა იმაზე მეტყველებდა, რომ გაძარცვული და გაუპატიურებული იყო. მორიგემ იგი მაშინვე სამძებროს უფროსთან მიიყვანა, რომელიც გაეცნო თუ არა საქმის ვითარებას, თავისთან გონერი თედორაძე იხმო, რომელსაც ის იყო მუშაობა დაემთავრებინა და საკუთარი ცოლშვილის სანახავად მიეჩქარებოდა.

ქალის ნაამბობიდან გაირკვა, რომ იგი დასასვენებლად ჩამოსულა კურორტ ბახმაროში, სადაც მას ვიღაც ბიჭი გაეცნო და მასთან ერთად დათვალიერების მიზნით იქვე ტყეში განმარტოებულან. სწორედ იქ დაესხა თავს ორი შეიარაღებული ყაჩაღი, რომელთაგან ერთს „ჩიროს" ეძახდნენ. ოპერატიული ჯგუფის უფროსს პირველად როდი ესმოდა ყაჩაღური ჯგუფის ხელმძღვანელის „ჩიროს" შესახებ. ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მისთვის ცნობილი იყო, რომ ბახმაროში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დათარეშობდნენ „ჩირო" და მისი მეგობრები, რომლებიც თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ და შეურაცხყოფდნენ ტყის სიღრმეში განმარტოებულ წყვილებს. დაზარალებულმა აღწერა ბოროტმოქმედები.

ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შედიოდა ზემდეგი გონერი თედორაძე, სამძებრო სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით შემთხვევის ადგილზე გავიდა. ბოროტმოქმედებს უცხოთათვის შეუცნობელი ბილიკებით ეტარებინა დაზარალებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი იქაურობას მშვენივრად იცნობდნენ. გონერის

პროფესიულმა ალღომ უკარნახა – მძარცველები აუცილებლად იქვე ბახმაროსთან ახლოს მდებარე სოფ. ზოტის მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ უახლოეს მეზობელ სოფლელ კაცს შეეძლო ბახმაროს ტყის ბილიკების ასე ზედმიწევნით ცოდნა.

ოპერატიული ჯგუფის მიერ შესწავლილი და შემოწმებული იქნა სოფელ ზოტში ყველა კეთხეკუნჭული, სადაც კი საეჭვო პირთა ადგილ-სამყოფელი ეგულებოდათ. მათმა საზრიანმა და ოპერატიულმა მოქმედებამ მალე შედეგი გამოიღო. ბოროტმოქმედთა კვალს იქვე სოფლის ცენტრში მუშათა სასადილოში მიაგნეს. როგორც შემდგომ გაირკვა, ყაჩაღები იმდენად გათავხედდნენ, რომ მორიგი ოპერაციის შემდეგ თვალსაც კი არ მიეფარნენ, არამედ სასადილოში აღნიშნეს წარმატებული ოპერაცია. ოპერატიული ჯგუფის წევრები ისე მოულოდნელად დაადგნენ ყაჩაღებს თავზე, რომ არც გაუგიათ. რამიშვილი მეტსახელად „ჩირო“ და მისი მეგობრები განიარაღეს და რაიგანყოფილებაში მიაბრძანეს.

„პენსიაზე გასვლის დღეები მისთვის ცოტა არ იყოს ძნელი გამოდგა, – აღნიშნა ჩემთან საუბარში გონერის მეუღლემ, ქალბატონმა ნანულიმ. – რამდენჯერ დილით გაემზადებოდა სამსახურში წასასვლელად და მერე მოდიოდა გონზე. მე ჩემს თავს კვლავ ორგანოს მუშაკად ვთვლი და მუდამ მზად ვიქნები საჭირო დაძახილზე ჩემი პროფესიული გამოცდილება მოეახმარო მართლწესრიგის დაცვასო,“ – იტყოდა ხოლმე.

მას ხშირად სტუმრობდნენ პოლიციის მუშაკები. უხაროდა მათი მოსვლა, მათთან საუბარი. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, მასთან სტუმრად იყო მოსული ნოხატაურის შს რაიონული განყოფილების მაშინდელი შტაბის უფროსი, ვიცეპოლკოვნიკი აბესალომ ჩანტლაძე. ძნელია იმ განცდის გადმოცემა, რომელიც მისი მეგობრის მონახულებამ გამოიწვია. შრომაში გართული, სიხარულის ცრემლებით შეეგება მას. არ იცოდა რა ექნა, ძალიან გახარებული იყო. ერთობ მწვანეში ჩაფლული კარ-მიდამო დაათვალიერებინა, რომელიც მისი გემოვნებით იყო მოწყობილი და სადაც ძირითადად ვაზის ტალავერი ჭარბობდა, რაც ქართულ სტუმართმოყვარეობაზე მეტყველებს. შემდეგ, სქელი ფოტოალბომი გამოუტანა, რომელშიც მისი სამსედრო და შინაგან ჯარში სამსახურის ცალკეული მომენტები იყო აღბეჭდილი. დიდხანს ათვალიერებდნენ ალბომს. ეს კი თავისი საქმის და წარსულის სიყვარულით იყო გამოწვეული. მეუღლე პედაგოგია. ოჯახზე და შვილებზე მზრუნველს დიდი წვლილი მიუძღოდა გონერის სამსახურებრივ წარმატებაში. ორ ქალიშვილსა და ერთ ვაჟკაცს თავისი სწორი გზა აქვთ გაკაფული. ვაჟიშვილმა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დამთავრა და ფიქრობს მამის კვალს გაჰყვეს. ჯერ-ჯერობით ორი შვილი-შვილი და მონაგართა მატების იმედი, სიამაყეს მატებს ოჯახის დიასახლისს, რომელიც ბატონი გონერის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახში კაციცაა და ქალიც. მას უფლება აქვს იამაყოს მისი მეუღლის მიერ განვლილი უმწიკვლო გზით. მითუმეტეს, როცა ამ ახრს ამაგრებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მინიჭებული სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის“, რომელიც მისმა მეუღლემ გონერი თედორაძემ პენსიაში გასვლასთან დაკავშრებით მიიღო.

პოლიციის ღღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, სახეიმო ღონისძიებაზე ხშირად იწვევდნენ გონერი თედორაძეს. მასაც სიამაყის, მადლიერების გრძნობით უბრწყინავდა თვალები. უყვარდა ხოლმე პოლიციის მუშაკებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდობასთან საუბარი საბრძოლო ეპიზოდებზე. რომ შეიძლებოდეს ცხოვრების თავიდან დაწყება, ისევ მილიციაში მოვიდოდიო. – იტყოდა ხოლმე. შემდეგ მხედრულად გაიჭიმებოდა, თავს ოდნავ მაღლა ასწევდა. ჭაბუკური შუქი ჩაუდგებოდა თვალებში, ეტყობოდა ერთხელ კიდევ იხსენებდა თავის წარსულს. ასეთ ადამიანებს კი მოსაგონარი ბევრი აქვთ. მისი სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა. ნათელი ხსოვნა კი სამარადისოდ დაგვეტოვა. ნოხატაურის რაიონის მცხოვრებლები მუდამ კეთილი სიტყვით იხსენებენ წესრიგის დაცვის თავდადებულ მუშაკს.

„საქმემან შენმან გყოსო სახიერად“ – უთქვამთ.

გონერი თედორაძის ომის ბილიკებით წამოსული უმწიკვლო ცხოვრება, ამის უდავო დადასტურებაა.

ნოშრევან ეცადეიშვილი

სიცოცხლესავით ლაღად დადიოდა ამ ქვეყანაზე. მისი ცხოვრება ძიებითა და მისწრაფებებით, მოძრაობითა და გაბედულებით იყო სავსე. დინჯი, უშიშარი, პირდაპირი, კეთილშობილი, ვაჟკაცური ნებისყოფის ნოშრევანი, ყველა მის გარშემო მყოფს ასდენდა გაელენას. სიმპათიით განაწყობდა ქათ. ძნელია კიდევ შესვდე ისეთი მრავალმხრივი, ძლიერი და დახვეწილი ბუნების პატრონს, როგორიც ნოშრევან ეცადეიშვილი გახლდათ.

მას ადამიანის უპირველეს დანიშნულებად მოძრაობა, მოქმედება, აღმასვლა და სალხისათვის, სამშობლოსათვის სარგებლობის მოტანა მიაჩნდა. პირადად მისთვის არ არსებობდა დაბრკოლებებთან კომპრომისი, შიში, უკანდახევა და ღრმად სწამდა კიდეც, რომ ჩვენი ყოფის ძირითადი დანიშნულება, ჩვენი სიცოცხლისუნარიანობა, სიძნელეთა დაძლევისა და სიკეთის დანერგვაში უნდა გამოვლენილიყო.

თინა ხუნდაძე

შექმნა, შენება, მატება, მიღწეულით არდაკმაყოფილება, ნოშრევანის ნათელი ცხოვრების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ამასვე უქადაგებდა იგი ადამიანებს, უქადაგებდა შთამბეჭდავად. ამავე დროს, მკაცრად აკრიტიკებდა ყველას, ვინც ცხოვრების რიტმს ჩამორჩებოდა, ისენდა დაბნეულობასა და ვეღარ გრძნობდა შემოქმე-დებითი შრომით მინიჭებულ ნამდვილ სიხარულს.

ნებისმიერი ოპერაციის დროს ასეთი იყო ნოშრევანი. მთელი სულითა და გულით განიცდიდა ოპერაციის ჩატარებას. არ შეეძლო საქმეს ზერელედ მოჰკიდებოდა. მისი უსაზღვრო ნიჭი და კეთილსინდისიერება, ადამიანური ბუნება, ყველა, დიდი თუ პატარა საქმის

წარმატების მყარ საფუძველს წარმოადგენდა.

ნოშრევან ვლადიმერის-ძე ეცადეიშვილი დაიბადა 1938 წელს სამტრედიის რიონის სოფ. ნოღაში, გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო-საავალდებულო სამსახური. 1961 წლიდან მუშაობა დაიწყო ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში მძღოლ-პოლიციელად. ემსახურებოდა მაშინდელ მილიციის უფროსს ვ. ჩხიკვიშვილს. იმ პერიოდში სწავლა განაგრძო მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტ'ზე, ახლანდელი პოლიციის აკადემიაში.

მომდევნო წლებში, ნ. ეცადეიშვილი, ისევ ოზურგეთის რაიონულ განყოფილებაში მუშაობდა უბნის რწმუნებულად, სპეცკომენდატურაში სამსახურის უფროსად, ოპერრწმუნებულად სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილებაში, სამედიცინო გამოსაფხიზლებლის უფროსად და ბოლოს პატიმრობიდან გათავისუფლებულ პირთა და პირობით სასჯელმიცემულთა შრომითი მოწყობის ინსპექციის უფროსად. 1989 წლიდან გავიდა პენსიაზე, მაგრამ შრომითი საქმიანობა ოზურგეთის შს რაიგანყოფილებაში, არ შეუწყვეტია.

აი, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ენერგიული, შნო-უნარიანი კაცისა, რომელიც გარკვეულ მიზნებთა გამო, პენსიაში ცოტა არ იყოს ნაადრევად რომ არ გასულიყო, სამილიციო იერარქიის უფრო მაღალ საფეხურებსაც მიაღწევდა. მან თავისი პროფესიონალიზმით, საქმისადმი სიყვარულით კარგად დაგვამახსოვრა თავი. იგი სულით ხორცამდე მართალი, პრინციპული პიროვნება იყო. მასთან ხშირად გვქონია საუბარი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პოლიციელი, მისი მოსაზრება ასეთი იყო:

— გააჩნია სიტუაციას და თანამდებობას. თუ პოლიციელი ჩინოსანია, დისციპლინირებული, ობიექტური და მომთხოვნი უნდა იყოს. სოლო თუკი ხელქვეითია — ოპერატიული, დავალების უყოყმანოდ შემსრულებელი, მოხერხებული და საზრიანი. ისე კი საერთოდ პოლიციელს პრინციპულობა, პატიოსნება და სამართლიანობა მართებს...

თავის ცხოვრებაში სიმკაცრეც ბევრჯერ გამოუჩენია და ლმობიერებაც. ამაზე საკმაოდ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ, ამჯერად მხოლოდ ერთს მოგიყვებით:

ოზურგეთში გორელები კომბოსტოს ყიდდნენ. ერთმა მათგანმა, რომელიც საკუთარი მანქანით იყო ჩამოსული, ხელი რომ გაიცალა, 'შინ დაბრუნება გადაწყვიტა და მგზავრებიც ადვილად მოიძია. მაგრამ, მათ სთხოვეს ჯერ სოფელში, გარდაცვლილი მეგობრის საფლავზე წაგვიყვანეო. მძღოლმა ახალგაზრდებს სურვილი შეუსრულა. საფლავთან ცოტა ხნით შეჩერდნენ. შემდეგ

მძღოლი გაძარცვეს. დაზარალებულმა ამის შესახებ მოგვიანებით განაცხადა მილიციაში და გამოძიებისათვის საყურადღებო დეტალებსაც ვერ იხსენებდა. მხოლოდ დამნაშავეთა ამოცნობის იმედი ჰქონდა. საქმის გახსნა სამძებრო სამსახურის უფროს ინსპექტორს ნოშრევან ეცადეიშვილს დაევალა, რომელიც ჩვეული პროფესიონალიზმით მოეკიდა მძარცველთა დადგენა-დაკავების საქმეს. ერთხელ კიდევ აწონ-დაწონა შემოსული ინფორმაციები და მძარცველები დააკავა. ბატონი ნოშრევანი ხუმრობით იტყოდა, ნასეეარი საქართველო მოვიარეთ და მძარცველები აგერ, მთისპირში აღმოვაჩინეთო.

ეს ერთი პატარა დეტალია იმ მრავალთაგან, რითაც სავსე იყო ბატონ ნოშრევანის ცხოვრება. იგი შესანიშნავი პიროვნება იყო. ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე, ამავე გზით ვივლიდი, რადგანაც ჩემი არჩევანი სწორი გამოდგა. პოლიციელობა თუმც ვაუკაცური, მაგრამ სახიფათოდ ძნელი საქმეა, მაგრამ იგი ერთი აუცილებელი რგოლია სახელმწიფოში და იქ მუშაობამ ბევრი კარგი თვისებები შემძინაო. – იტყოდა ხოლმე. ცხოვრება რეალურად დაინახა. მეტი ფასი და მნიშვნელობა შეიძინა ერთგულებამ და თანადგომამ. პოლიციელისათვის უმთავრესი პირობაა, ადამიანის სიყვარული.

სამტრედიაში დაბადებული და დავაუკაცებული ბატონი ნოშრევანი განაწილებით მოხვდა ოზურგეთის პოლიციაში. საკუთარი კერაც აქ მოაწყო. მისი მეუღლე ქალბატონი თინა ხუნდაძე, წლების განმავლობაში საპასპორტო განყოფილებაში მუშაობდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პენსიაზე გასვლამდე, ბატონი ნოშრევანი თითქმის 8 წელი მუშაობდა შრომა-გასწორებისა და შრომითი მოწყობის ინსპექტორად.

ამ სამსახურის მუშაკებს ძირითადად ურთიერთობა აქვთ დამნაშავეთა სამყაროდან დაბრუნებულ მოქალაქეებთან. ე.ი. პიროვნება სასჯელმოხდილი დგას პოლიციელის წინაშე და ახალი ცხოვრების დაწყების საგზურს ელოდება. მათ შორის რა თქმა უნდა იყვნენ ისეთებიც, ჩვეულებრივად რომ მიაჩნდათ სასჯელის მოხდაც და კელავ დანაშაულის ჩადენაც. ბევრისთვის კი განმეორებითი დასჯა ისევ შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში მოსვლას შრომა-გამასწორებელ სამუშაოთა შრომითი მოწყობის ინსპექციაში გამოცხადებას იწვევდა.

აქ კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სასჯელმოხდილს ვინ შეხვდება კანონის დამცველის მუნდირში. ერთმა ალმაცერმა გამოხედვამ, შეიძლება ხელი აგაღებინოს სასიკეთო სურვილზე. გაფიქრებინოს, რომ არ სჯერათ შენი, არავის სურს დაივიწყოს შენს მიერ ჩადენილი დანაშაული. არ ძალუძთ პატივება. საბედ-

ნიეროდ ასეთთა რიცხვი თანდათან მცირდება პოლიციის მუშაკთა შორის.

ვინც ასეთ სიტუაციაში ნოშრევან ეცადეიშვილს შეხვედრია, არც დაივიწყებს იმ წუთებს. თავისუფლებაში დაბრუნებულ კაცს, მასთან ურთიერთობისას, უცებ უქრებოდა უხერხულობის გრძნობა. ეუფლებოდა აზრი იმის შესახებ, რომ შეუძლია გააკეთოს საქმე-ანო საქმე, სჭირდება ოჯახს, საზოგადოებას. შეუძლია თავიც ისახელოს, კეთილსინდისიერი შრომით, ქცევით, ნამოიშოროს ლანდიკით ადევნებული ლაქა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არიან რაიონის მთელი რიგი შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები, რომელთაც არ სურთ სასჯელმოხდილებთან ურთიერთობა, მათი დასაქმება. ამ დროს ისევ ჩნდება უნდობლობა. არადა, რატომ უნდა სედავდე ადამიანში მხოლოდ დამნაშავეს? ამიტომ ბევრჯერ უსდებოდა ბატონ ნოშ-რევანს განეოფილების ხელმძღვანელებთან შეხვედრა და კამათიც. იყო ისეთი ფაქტებიც, როცა გააფორმებდნენ სამუშაო-ზე, მუშაობას კი, ნურას უკაცრავად, არავინ ითხოვდა.

კანონის დამცველს უნდა ესმოდეს, ვინ არის, რა ეკალება. უნდა შეეძლოს სიტუაციაში გარკვევა, ოპერატიული ზომების მიღება, გადამწყვეტი ღონისძიების გატარება. არასოდეს არ უნდა მიატოვოს ზომიერების, ობიექტურობის გრძნობამ.

ნოშრევანის ეს თვისებები გაითვალისწინეს, როცა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანეოფილებიდან შრომა–გამასწორებელ სამუშაოთა და შრომითი მოწყობის ინსპექტორად გადაიყვანეს. მანამდე საკმაო წრთობა მიიღო – იყო რიგითი მილიციელი, უბნის ინსპექტორი.

ასე გაილია ოცდაშვიდი წელი.

კარგ მეგობრად, შესანიშნავი ოჯახის თავკაცად იცნობდნენ ნოშრევან ეცადეიშვილს. კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი მისი ბუნების თვისება იყო. მაღალი ადამიანური ღირსებით, გამაკეთილ-შობილებელ ზეგავლენას ახდენდა იმ კოლექტივზე, სადაც საქმიანობდა. მან არ ისურვა სხვების მიერ გატკეპნილი ბილიკით სიარული. ბოროტებასთან ბრძოლა ამჯობინა. სმალთან და მახვილთან ერთად, კაცურკაცობა და სამართლიანობა მოიშველია. ამ გზით ახლა სხვები დადიან. მის მაგალითზე თაობები იზრდებიან. სიყვარულითა და მადლიერებით მოიხსენიებენ მაღალი ზნეობისა და გულით მებრძოლი კაცის სახელს.

ნოშრევან ეცადეიშვილის მეუღლეს ქალბატონ თინას, ახლაც, ხანდაზმულობის ასაკში, ახალგაზრდული შუქი უდგას თვალებში. დაძაბული შრომით აღსავსე წლების გამოვლისა და ძვირფასი მეუღლის დაკარგვით გამოწვეული მწუხარების მიუხედავად,

კელავ მხნედ არის. მაგრამ ჩვენ მაინც ქალბატონ თინას იმ წლების სურათი შევარჩიეთ, როგორიც დაამახსოვრდათ იგი მის კოლეგებსა და ოსურგეთის საპასპორტოში მისულ მოქალაქეებს, მუდამ მათზე მზრუნველი, მათი ინტერესებისათვის შემართული, სიკეთისათვს მებრძოლი ეაეკაცური სულის ქალი.

დროინ არ უნდა გალიო უძმად...

ბიჭიკო ხარაიშვილი

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ხიშტსა და კალამს, ერთმანეთისაგან თითქოსდა რადიკალურად განსხვავებულ ამ ორ იარაღს, ერთნაირი ოსტატობითა და თანაც ობიექტური აუცილებლობის მიხედვით ხმარობენ. და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ერთ–ერთი ასეთი მართლაც გამორჩეული პიროვნება, ჩვენი თანამემამულე, ომისა და შრომის ვეტერანი, დიდი სამამულო ომის დროინდელი ოფიცერი, შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი და ავტორიტეტიანი წარმომადგენელი, ქართულ სიტყვიერებასა, ქართულ ლექსსა უსიმოდ შეყვარებული პოეტი და მოქალაქე, ბატონი ბიჭიკო ხარაიშვილი გახლდათ.

როგორც მისი თაობის ბევრ წარმომადგენელს, ბატონ ბიჭიკოსაც ძალზე მდიდარი და საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. დაიბადა ოსურგეთის რაიონის ისტორიულ სოფელ ძიმითში. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, სიკეთისადმი დაუოკებელი მიდრეკილებით, ხალასი ნიჭითა და გონებით. ერთადერთი „ნაკლი“ რომლითაც იგი თანატოლებისაგან გამოირჩეოდა, პოეზია გახლდათ. ფანატიურად უყვარდა შოთა, ოლია, აკაკი, ვაჟა... კითხულობდა ბევრს და რაც მთავარია, თვითონაც წერდა. ესმაურებოდა მაშინდელი ურთულესი წინააღმდეგობრივი პერიოდის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. მოსაწონს იწონებდა, საქებარს აქებდა. საჭიროების შემთხვევაში მწარესაც იტყოდა ხოლმე. და რაც მთავარია, სიმართლე, ობიექტურობა, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, მისი მგზნებარე გულის უპირველესი მასაზრდოებელი იყო.

მისი შინაარსიანი ცხოერების ყველაზე ორიგინალური და დამახასიათებელი შტრიხი ის გახლდათ, რომ სამ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა: როგორც პროფესიონალმა სამხედრომ, თავისი მსედრული მოღვაწეობა ბერლინში დაამთავრა. ათკლასდამთავრებული ჭაბუკი ჯარში რომ გაიწვიეს, მამამისი, ბატონი შალვა უკვე კარგა ხნის ჩაბმული იყო გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. თუმცა შეეძლო ესარგებლა თავისი ოჯახური მდგომარეობით და მობილიზაცია აეცილებინა, მაგრამ პატიოსანმა და ალალ-მართალმა გლეხკაცმა უარი თქვა — ახლა კერიასთან ჯდომის და ნაცრის ქექვის დრო არ არის, ჩემი ოჯახის დაცვას სხვას ხომ არ დავაკისრებო. წავიდა და აღარც დაბრუნებულა. უსაფლავო ჯარისკაცების ორდენის წევრი გახდა შინმოუსვლელი. ორი წლის თავზე, 1943 წლის აგვისტოში, ოჯახში დარჩენილი ერთ-ერთი მამაკაცი, სკოლის კურსდამთავრებული ბიჭიკოც გაიწვიეს არმიაში. მსახურობდა 392-ე მოტომსროლელი დივიზიის 802-ე პოლკში, ჯერ ბათუმში, ხოლო შემდეგ ქალაქ გორში უმცროს მეთაურთა სასწავლებელში. ყაზარმული ცხოერების ყველა სიმწარე გაიზიარა. შემდეგ უმცროსი მეთაურის პირველი წოდებაც მიიღო და თავისი მომავალი ცხოერებაც კარგა ხნით მხედრულ გზას დაუკავშირა. 1947 წელს უფროსი ლეიტენანტი ბიჭიკო უკვე დაცემულ გერმანიაშია, იქ დისლოცირებულ საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ისე აითვისა გერმანული ენა, რომ ხშირად, თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა. თითქმის 6 წელი დაჰყო გერმანიაში. პირველი შვილიც აქ შეეძინა.

მშობლიურ ქიმითში დაბრუნებულმა გადატყვიტა სწავლა განეგრძო, რომელიც ომმა შეაწყვეტინა. მან ასევე წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ბუნებრივია მომავალმა იურისტმა, თავისი საქმიანობა იმოავითვე დაუკავშირა შინაგან საქმეთა ორგანოს. თავდაპირველად სასჯელაღსრულების ადგილებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, შემდეგ გადმოიყვანეს ოზურგეთის რაიონულ მილიციაში. მისი, როგორც იურისტის ავტორიტეტსა და კვალიფიკაციაზე ისიც კარგად მიუთითებს, რომ წლების განმავლობაში, როგორც პროფესიონალი და კვალიფიციური სპეციალისტი, ირიცხებოდა განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამოძიების საკავშირო ჯგუფში, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იძიებდა საკმაოდ გახმაურებულ საქმეებს. მილიციის კაპიტანი ბიჭიკო ხარაიშვილი თითქმის ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა იმ საგამომძიებლო ჯგუფში, რომელიც იკვლევდა საკმაოდ რეზონანსულ დანაშაულობებს,

სანკტ-პეტერბურგის, კალინინისა და რუსეთის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში.

1948 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა ფრონტზე მყოფი პოეტების კრებული სახელწოდებით “იერიში”, სადაც ბიჭიკო ხარაიშვილის ორი ლექსიც იყო წარმოდგენილი. 1986 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი სახელწოდებით “შემოდგომა”. მოგვიანებით მოამზადა მეორე წიგნიც, სამწუხაროდ იგი ამ წიგნის მხოლოდ სასიგნალო ეგზემპლარს მოესწრო.

ბიჭიკო ხარაიშვილი მუდამ ამაყობდა არჩეული პროფესიით. თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე ღირსეულად ატარებდა ჯერ სამხედრო მოსამსახურის, ხოლო შემდეგ მილიციის მუშაკის მუნდირს და მუდამ უფრთხილდებოდა მის ღირსებას. თუმცა იმ დამყაყებული რეჟიმის მსხვერპლი მაინც გახდა. და ცოტა გულნატკენი ნაადრევად გამოეთხოვა სამსახურს. პენსიაზე გასვლის შემდეგ საჯარო სკოლაში განაგრძო შრომითი საქმიანობა – ბავშვებს სამხედრო მომზადებას ასწავლიდა.

“დრონი არ უნდა გალიო უქმად,
უნდა იკმარო, ის რაც შენია,
ალალი, თორემ არამი ლუკმა
ქვეყნად არავის არ შერჩენია.”

ამას ამბობდა ერთ-ერთ თავის ლექსში ბატონი ბიჭიკო და პქონდა კიდეც ამის თქმის უფლება. თუ ვინმე იტყვის, ბიჭიკო ხარაიშვილს რაიმე საქმის გადასაწყვეტად ფული მიეცეთო, ახლავე დაეუბრუნებ არა მანეთებში, არამედ ლარებშიო. – ღიმილით იტყოდა ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა მართლწესრიგისა და კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ, როგორც საქართველოს ისტორიაში არაერთგზის მომხდარა ხოლმე, თოფს, ხმალს, საერთოდ იარაღს, ერთი წუთითაც არ შეუშლია ხელი ყოფილიყო უამრავი ლექსის, პოემის, ბალადის ავტორი. მისი ლექსები რეგულარულად იბეჭდებოდა მაშინდელ საკავშირო, რესპუბლიკურ თუ რაიონულ პრესაში, მეორე მსოფლიო ომის დროს გამოცემულ სპეციალურ სამხედრო ავტორთა კრებულებში.

პენსიაზე ყოფნის პერიოდში, მშობლიური ძიმითის მკვიდრს, სულითა და ფიზიკურად ჯანსაღ, ლამაზი კაცის, ისედაც მრავალფეროვან სამოღვაწეო ასპარეზს, კიდევ ერთი „საბრძოლო“ ობიექტი – მამაპაპეული კარ-მიდამო, მადლიანი ქართული მიწა–წყალი შეემატა.

დიახ, იგი სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იყო. ხნავდა, თესავდა, მარგლიდა, თოხნიდა, ღობ-

აედა, ზეინაედა... ერთი სიტყვით, ისევ იმ საქმიანობას ეწეოდა, რითაც ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან, მისი ლამაზი შრომითი ბიოგრაფია დაიწყო. ასე, რომ ბატონი ბიჭიკო ხარაიშვილის მრავალფეროვანი, მართლაც კაცური ცხოვრებისეული გზა, ასეთი ჭეშმარიტად საერთაშორისო მარშრუტით წარიმართა: ძიმითი-ბერლინი-ძიმითი.

ნამდვილად გვაოცებდა შესაშური შემართებით. ნებისყოფის სიმტკიცით, პრინციპულობით. ამასთან, რაც მთავარია, ყოველთვის ინარჩუნებდა ობიექტურობის გრძნობას.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში, მაშინ როცა ჯანმრთელობა სერიოზულად პქონდა შელახული, დიდი ენთუზიაზმით აგროვებდა მასალებს. თითქოს გრძნობდა აღსასრულის მოახლეობას და ცდილობდა თავისი შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის მანძილზე მეხსიერებაში ამოტივტივებული, ოპერაციების კადრს მიღმა დარჩენილი ეპიზოდების მოგონებების სახით გაცოცხლებას. რაიონის ღირსეული პოლიციის მუშაკების გახსენებას.

მის მოზომილ, ზუსტად გამიზნულ მართალ სიტყვას ბევრჯერ დაუფიქრებია უსაგნო პოლემიკით შემართულები იმაზე, რომ წუთისოფელში ყველაფერი წარმავალია, მხოლოდ სიკეთის მოსწრებაა უმთავრესი.

თანადგომის იშვიათი ნიჭი რომ პქონდა, ამას სხვებიც აღიარებენ. თორემ მის გამოხენას სიხარული რომ მოპქონდა და ჩვენთვის კოლეგიალობის, მეგობრობის სიმბოლოდ ჩამოყალიბდა, ამის აღნიშვნა არცაა საჭირო.

ჭეშმარიტი ადამიანის გული მამულის დიდი გულის ნაწილია. ასეთ პიროვნებათა შორის იყო ძიმითელი ბიჭიკო ხარაიშვილი ქართული პოეზიის ერთ-ერთი ჯარისკაცი.

და მაინც მთავარი სათქმელი ბატონი ბიჭიკოს მისამართით ჯერ კიდევ არ თქმულა. საქმე ის გახლავთ, რომ კაცმა თუნდაც ვარსკვლავები მოსწყვეტოს ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, არაფერია იმასთან შედარებით, ვიდრე ლამაზი ქართული ოჯახის შექმნა და ქვეყნისათვის ღირსეული შთამომავალობის აღზრდაა. ბატონი ბიჭიკო კი ამ უმთავრეს საქმეშიაც უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა.

თავად განსაჯეთ: ფართო საზოგადოებაში უაღრესად დაფასებული და პატივცემული, ქართველი მანდილოსნის ყველა სიკეთით უხვად შემკული ქალბატონი, ეთერ ბურკაძე, ის ძირითადი ბურჯი და საძირკველი გახლავთ, რომელმაც თავიდან ბოლომდე განაპირობა ბიჭიკო ხარაიშვილის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. ამ სათნო მანდილოსნის უპირველესი დამსახურება შესა-

ნიშნავი შეილების პოპულარული ჟურნალისტების ლელას, ლალისა და თამაზის აღზრდა-ჩამოყალიბებაა.

მართალია, ბიჭიკო ხარაიშვილმა მრავალი ფარაჯა გამოიცვალა, მაგრმ ბარაქალა, რომ მას არასოდეს გამოუცვლია სიკეთის, კაცობის, ოჯახის თაყვანცემის, მამულისა და უჭკნობი პოეზიისადმი ერთგულების მანტია.

გამარჯვებისა და მილიციის დღეებზე სამხედრო ფორმით თავისი მრავალრიცხოვანი რეგალიებით აღჭურვილი ცხადდებოდა, საზეიმო შეკრებებზე გამოდიოდა სიტყვით, კითხულობდა საკუთარ ლექსებს. 2007 წლის 9 მაისი ბოლო აღმოჩნდა მის სიცოცხლეში — 10 მაისს გარდაიცვალა. წიგნით ხელში.

დაე, ბევრს და ბევრს, დიდ ირაკლი აბაშიძისეულად ენატროს: „ვიცხოვრებ როგორც გლეხი გურული, როგორც ძიმითელ კაცს უცხოვრია“...

„ბედნიერია ის, ვისაც თავისი განვლილი ცხოვრების არ ეშინია“ — ამ სიბრძნით გააცარა მთელი ცხოვრება, კეთილსინდისიერად, უპრეტენზიოდ განვლო მთელი საწუთრო და უხმაუროდ შეუერთდა მარადისობას.

მართალია ცხოვრება ერთი პატარა გაელვებაა, მაგრამ ბიჭიკოს მსგავსი ადამიანების ნაღვაწი, მუდამ დარჩება თაობათა მეხსიერებაში.

ხალხს უყვარდა მამაცი და უშიშარი პოლიციელი

სერგო ტულუში

სერგო ტულუში, სამი ათეული წლის განმავლობაში, კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ლანჩხუთის რაიონში მართლწესრიგის განმტკიცების პასუხსაგებ და კეთილშობილურ საქმეს. ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ უბანზე უხდებოდა მუშაობა. მაგრამ თავი არ შეურცხვენია. ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი სამართლიანობისა და ობიექტურობის გრძნობა ეუფლებოდა. უაღრესად თავმდაბალი იყო. მას ჰქონდა ხმამაღლა ლაპარაკის უფლება, რადგან ისე ცხოვრობდა, როგორც ლაპარაკობდა და ისე ლაპარაკობდა, როგორც ცხოვრობდა – პატიოსნად, უხინჯოდ, ულაქოდ: ჩუმი. უპრეტენზიო, ფუტკარივით მოფუსფუსე ადამიანი, სულ იმის ცდაში იყო, როგორ დაეთესა სიკეთე.

ცხოვრება მართლაც ღრმა შინაარსიანი, მდიდარი და სიყვათებით აღსავსე ჰქონდა. 1960-1970 წლებში მუშაობდა გასამხედროებულ დაცვაში – ავტოფარეხის უფროსად. 1971-72 წლებში კი ქალაქ ბათუმის შინაგან საქალაქო განყოფილებაში „სიშიკის“ /მაიბრის/ თანამდებობაზე. 1974-76 წლებში სუფსის პოლიციის ქვეგანყოფილებაში უბნის ინსპექტორის დამხმარე იყო.

სერგო ტულუშის ცხოვრების კრედო იყო, დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება, პატიოსნება. სამსახურისადმი ერთგულება, ოპერატიულობა და გამბედაობა, თუკი ამას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება მოთხოვდა.

მასთან შეიძლებოდა საიდუმლოს გამხელა. იცოდნენ უბნის ინსპექტორის თანაშემწე არ დაადალატებდა, ნამუსს შეუნახავდა. ამ ნდობამ, ბევრი საქმის გასაღები მისცა სერგო ტულუშს. ბევრს მოაშლევინა აკაცობა და თაღლითობა. ხელი ააღებინა დანაშაულებრივ ქმედებაზე.

30 წლის განმავლობაში ბევრ საინტერესო ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა რიგით მილიციელს, სერგო ტულუშს.

არასდროს გაუცრუებია მშრომელი კაცისა და ხელმძღვანელობის იმედები. მისი ჩეკისტური ცხოვრება, სავსეა საინტერესო ეპიზოდებით.

რაიონში ძალიან გახშირდა საქონლის ქურდობის შემთხვევები. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ვინმე სუფსელი „სიდო“ და გრიგოლეთელი „კოჭო“. საქონლის ქურდების ჯგუფი 4 წევრისაგან შესდგებოდა. მათ მუდამ თან ახლდა არასრულწლოვანი ბიჭი, მეტსახელად „კომბლე“. ერთ დღეს, სერგომ მილიციაში მიიყვანა, ვინმე გვარად გულორდავა. რომელიც სუფსის ფერმაში მწყემსად მუშაობდა. აუხსნა, რომ დაკავებული ჰყავდა მისი შვილი, რომელიც აღიარებდა საქონლის ქურდობის ფაქტებს. თანაც უთითებდა, რომ მამაზემიც საქმის კურსშიაო. როგორც ჩანს, ყოველივე ამან იმოქმედა მასზე. ენდო სერგოს და დაწერილებით მოუყვა მომხდარი ფაქტების შესახებ. როგორც შემდეგში გაირკვა, ნაქურდალ საქონელს ისინი აბარებდნენ ოზურგეთში, ძიმითის სასაკლაოზე.

ეპიზოდი მეორე: სუფსის ცენტრში, ერთ-ერთი მაღაზიის წინ, იდგა დიდი მაცივარი, საიდანაც სისტემატიურად იკარგებოდა ხორცი. მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ქურდობას სჩადიოდნენ დარაჯები. აღნიშნულის შესახებ, სერგომ მოახსენა მილიციის უფროსს. თვითონ კი ჩაუსაფრდა ბოროტმოქმედებს. იმ დროს დააკავა ერთ-ერთი დარაჯი, როდესაც მაცივრიდან გამოიქონდა ხორცი. მეორე დარაჯმა შეამჩნია სერგო, მაგრამ ვერ მოასწრო გაქცევა და ხორცის გადამალვა.

ეპიზოდი მესამე: სერგომ გატარებული ოპერატიული მოქმედების შედეგად დაადგინა საკავშირო ძებნილი გვარად ნაჭყებია, რომელიც ქ. ლენინგრადში პეტრე-პავლოვსკის ციხეში იმყოფებოდა და აღნიშნულის შესახებ მოახსენა მილიციის უფროსს გ. ქურიძეს. მისი საქართველოში ექსტრადაციის მიზნით, მიელინებული იყვნენ დავით ციცვიძე და იური გოგოტიშვილი. მაგრამ მისი ეტაპირება ვერ მოხერხდა. რადგან, მკელელობის მცდელობა, ლენინგრადში ჰქონდა ჩადენილი, იქ გაასამართლეს.

ლანჩხუთის შს სამმართველოს სუფსის განყოფილების უბნის ინსპექტორ–გამომძიებელი პავლე თევზაძე იხსენებს: „გრიგოლეთში გაძარცვულ იქნა უცხოელი მოქალაქე. აღნიშნული საქმის გახსნა შინაგან საქმეთა მინისტრის კონტროლზე იყო აყვანილი. რომ არა სერგო ტულუშის მონდომება და საზრიანი მოქმედება, მე ვერაფერს გავსდებოდი. მან მიიღო ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. შესანიშნავი პიროვნება იყო. უშიშარი. ფლობდა ძალზე ბევრ ინფორმაციას.

კიდევ მრავალი ეპიზოდის გახსენება შეიძლება, რომელიც სერგო ტულუშის ვაჟკაცობას, პრინციპულობასა და ერთგულებას ასახავს. თანაც, რამდენადაც მკაცრი და შეურიგებელი იყო

დამნაშაევთა სამყაროს მიმართ, იმდენად თბილი და ყურადღებიანი იყო, ოჯახში და მეგობრულ წრეში.

პასუხისმგებლობის გრძნობამ და პროფესიულმა ალღომ არაერთი კეთილისმსურველი და დამფასებელი შესძინა მამაც და უშიშარ მილიციონერს არა მარტო რაიონში, არამედ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიაც, სადაც ის პენსიაში გასვლამდე, წლების განმავლობაში მუშაობდა.

„სერგო ტულუში იყო მამაცი და უშიშარი პოლიციელი. პატიოსნების, უმწიკვლობისა და შეუბღალავი სინდისიერების განსახიერება". – ასე ახასიათებენ მას კოლეგები. ორგანოს რიგებში მისი სანიმუშო შრომითი საქმიანობა, მრავალჯერაა აღნიშნული სხვადასხვა წახალისებით, მედლებით, სიგელებით, მადლობებით, ფულადი პრემიებით. ყველა სიკეთე ალალი იყო შეუდარებელი ადამიანური თვისებებით სავსე, შრომით დაკოჟრილხელებიანი მილიციის მუშაკისათვის. მის ყოველ ნაბიჯს, საქმიანობას უმწიკვლობის მადლი ეცხო და სასისარულო იყო ის ფაქტი, რომ თავის ოჯახშიც, ისეთივე ტრადიცია ჰქონდა დამკვიდრებული.

სერგოს მრავალი ახალგაზრდა აღუზრდია. ბევრისთვის გადაუცია თავისი მდიდარი გამოცდილება. მისგან ბევრს უსწავლია და შეუძენია ძვირფასი თვისებები. ახალგაზრდა თანამშრომლები ყოველთვის მადლობის გრძნობით ამბობენ: ძია სერგო იყო ჩვენი ყველაზე ერთგული გულშემატკივარი. მას ყოველთვის გულთან მიჰქონდა ჩვენი მარცხი და გამარჯვება. მუდამ იბრძოდა კოლექტივის სახელისა და ღირსებისათვის." ხშირად შემოივლიდა ხოლმე სუყსის პოლიციაში და იკითხავდა, – ხომ მშვიდობაა?.

იმ დღესაც პოლიციაში მოვიდა. თითქოს ყველას დაგვემშვიდობა. გაბრაზებული ჩანდა. არ იციან თუ ვინ არის სერგო ტულუშიო. ბევრი გეგმები ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა. იქვე სუფსის ცენტრში დალია სული.

უდროოდ წავიდა ჩვენგან. წავიდა მაგრამ ვალმოხდილი კაცის სახელი დატოვა.

სიცოცხლე მიდის. ადამიანები კვდებიან. მაგრამ არ კვდება საქმე, რომელსაც ეს ადამიანები ტოვებენ.

კაცური კაცის სახელი დატოვა

როლანდ (კუკური) ჩხაიძე

მის გვერდით მყოფნი ვერ ეგრძნობდით, საოცრად დიდი სიკეთით რომ გვაჯადოებდა უწყინარი, ხალასი იუმორით აღსავსე, თურმე გულით რამხელა სევდას დაატარებდა. სატკივარს თავს არავის ახვევდა. მისი ალალი გულისა გვწამდა და გვეიმედებოდა, მაგრამ არც უსაზღვრო სიკეთის დატევა შესძლებია თურმე გულს.

თითქმის სამი ათეული წელი იდგა ბატონი როლანდი (კუკური) ჩხაიძე გზებსა და გზაჯვარედინებზე, ტრანსპორტის მიძრაობის უსაფრთხოების სადარაჯოზე და ვინ მოთვლის რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია მოსალოდნელი უბედურებისაგან. არც კი გვახსოვდა, როლანდი რომ ვერქვა. ყველა კუკურის გეძახდით. ესეც სიკვდილმა მოგვაგონა. სიკვდილმა მოგვაგონა შენი განვლილი გზა, რომელიც ორმოცდაცხრამეტ წელიწადში ჩაატიე.

შამხედრო-საჯალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, 1972 წელს, როლანდ ჩხაიძემ მუშაობა დაიწყო გვიმალაურის კოლმეურნეობაში მექანიზატორად. მუშაობის პარალელურად სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ღვთითმომადლებული სიკეთისა და სიმართლის უანგარო გრძნობით. ადამიანის დანაგვრას ვერაფრით ეგუებოდა, ყოველთვის გაჭირვებულის შემწე და მეოხი იყო. მოსვენებას არ აძლევდა ბავშვობიდან გამოყოლილი ოცნება — მთელი თავისი ცხოურება მართლწესრიგის დაცვისთვის მიეძღვნა.

1977 წელს ბატონმა როლანდმა მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის შს რაიგანყოფილებაში სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურის უფროსად და პირველი დღეებიდანვე ყურადღება მიიქცია, როგორც უაღრესად დისციპლინიანმა და მაღალი შინაგანი კულტურის მქონე პიროვნებამ. როლანდ ჩხაიძეს, დიდ შრომისმოყვარეობასა და ენერგიასთან ერთად, ახასიათებდა უაღრესად სანაქებო ადამიანური თვისებები: იყო გულთბილი და ყურადღებიანი, უშურველი და გასაჭირში მუდამ გვერდით მდგომი.

უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, მშობლიური რაიონი და რა თქმა უნდა, თავისი ლამაზი სანაქებო ქართული ოჯახი. იყო არანაკლებ ულამაზესი მეუღლე, მამა და ბაბუა, მეზობელი და მეგობარი, ნათესავი და მოყვარე, მომლხენი და მასპინძელი და რაც მთავარია, იყო კაცური კაცი. მას საამაყო წარმომავლობა ჰქონდა. მისი დედა, ქალბატონი ქეთო კილაძე სოციალისტური შრომის გმირი იყო. სხვათაშორის, კაკაშირის მასშტაბით, ქალბატონი ქეთოს ოჯახი, იმ ათეულში შედიოდა, რომლის ორ წევრს, ქეთოსა და ჟონას, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო ტიტული ჰქონდათ მინიჭებული. იმის თქმა გვინდა, რომ ასეთი გენეტიკის მატარებელი პიროვნება, არ შეიძლება კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და საქმის ერთგული არ ყოფილიყო. იყო კიდეც. სადაც იმსახურა, ყველგან სადაც ბატონ როლანდს უმუშავია, საუკეთესო პროფესიონალისა და შემსრულებლის სახელი დაიმკიცდრა.

ყველაზე მთავარი კი მის ბიოგრაფიაში ის არის, რომ პოლიციის მაიორი როლანდ ჩხაიძე ყველგან და ყოველთვის, როცა ამის საჭიროება არსებობდა, თანამებრძოლებთან ერთად, ცხელ წერტილებში იმყოფებოდა. ბატონი როლანდი, 1990—1991 წლებში, სამაჩაბლოს მოვლენების აქტიური მონაწილე იყო. ბუნებრივია, ვეტერანი პოლიციელი მტკივნეულად განიცდიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებულ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ ცხინვალის მისადგომებთან როლანდ ჩხაიძის სიძე (ქალიშვილის ქმარი) გიორგი სუბაშვილიც იბრძოდა, რომელიც ფეხის არეში დაიჭრა კიდეც.

საზოგადოებას სიბლაკდა სიტყვისა და საქმისადმი მისი ერთგულება. ადამიანური ღირსებით გამორჩეული მთელი სიცოცხლის მანძილზე სიკეთესა და სიყვარულს თესავდა და საბედნიეროდ, ამასვე იმკიდა მადლიერი ადამიანებისაგან. უბრალო და უშუალი იყო, არ უყვარდა გადამეტება, ყველას სიამოვნებას გვრიდა მასთან ურთიერთობა. სიტყვაძვირი არისო, ვამბობდით, ალბათ, იმიტომ, რომ კარგად იცოდა სიტყვის ფასი და რაც მთავარია, საოცარი სიდინჯით გამორჩეულს, ბადალს ვერც საქმის სიყვარულსა და ერთგულებაში უპოვიდით. მომავალი ნათელ ფერებში ესახებოდა. პატარა შვილიშვილების დაფრთიანებაზე ოცნებობდა, მაგრამ არ დასცალდა. გულის უეცარი შეტევით თავისი ყველაზე საყვარელი შვილიშვილების როლანდისა და თორნიკეს ხელში დალია სული. წუთში გათავდა ბრგე ვაჟკაცის სიცოცხლე, კაცისა, რომელიც გულადობის უშიშარი მებრძოლის მაგალითს და ხვალინდელი დღის იმედს გვაძლევდა.

საუკეთესო, დიდი ოჯახი დატოვა როლანდ ჩხაიძემ. მეუღლესთან — ნანასთან ერთად, საზოგადოების სასარგებლოდ

აღზარდა შვილები. ერთ-ერთი – შოთიკო ხხაიძე, რაიონის პროკურორია, შესანიშნავი პიროვნება, გამორჩეული პროფესიონალი. სიცოცხლე გრძელდება, 3 შვილსა და შვილიშვილებს შეუძლიათ სიამაყით მოიგონონ მამა და ბაბუა, ნაბრძოლი და ნაშრომი კაცი, რომელმაც კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 59 წლის ასაკში, მაგრამ მაინც ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. საიწუსაროდ არ მიეცა თავისი ლამაზი ოჯახით ბოლომდე ტკბობის საშუალება.

წავიდა წუთისოფლიდან კიდევ ერთი კარგი ქართველი, რომელსაც სიცოცხლეს უწამლავდა ჩვენი სამშობლოს თავზე დამტყდარ უბედურებათა წყება, მაგრამ იმედს არ კარგავდა და სწამდა, რომ საქართველო ფენიქსისებურად აღდგებოდა. ვაგლახ არ დასცალდა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან და არა მხოლოდ მოსაგონებლად, თავისი ცხოვრება მაგალითად დაგვიტოვა, დაგვიბარა, ვალად დაგვადო, თუ როგორ უნდა იცხოვრო, ვიდრე ცოცხალი ხარ, რომ ამქვეყნად კაცური კაცის სახელი დატოვო.

ეთერ ერისთავი

ქალი პოლიციელის ზნეობრივ – ფსიქოლოგიური პორტრეტი

ქალი – ყველა სიცოცხლის საწყისი, სამყაროს საოცარი არსება. ქალი, რომელსაც ყველა იცნობს, მაგრამ გამოუცნობი რჩება.

ეთერ ერისთავი – ქალი, რომელშიც ქალური ჯადოსნურობაა ჩანერგილი, რომელიც რაღაც სხვანაირი იდუმალი და ნეტარი ბურუსითაა გარემოცული, ძნელია გაუგო მას და გაიგო ვინ არის იგი.

სითბო, სიკეთე, ინტელექტი, თავმოყვარეობა და, რაც მთავარია, დიდი სიყვარული – ყველა ის დადებითი თვისება, რომელიც ამ ქალბატონშია გაერთიანებული.

ძნელია ილაპარაკო ქალზე, მით უმეტეს ქალბატონ ეთერ ერისთავზე. იგი იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარი ბუნების მეპატრონეა, რომ ყოველგვარი ლამაზი სიტყვები მის შესამკობად უფასურია.

კარგა ხანია მქონდა სურვილი, მისდამი განსაკუთრებული მოკრძალება გამომეხატა და დღემდე მიუსღვეეელ ვალად მრჩებოდა.

მაინც ვერ გაეკადნიერდი, მისი პროფესიული ოსტატობის საქებად ეპითეტები შემერჩია. მივიჩნიე ამით ახალს ვერაფერს ვეტყოდი მკითხველს, რომელიც უჩემოდაც კარგად იცნობს დღეს უკვე დამსახურებულ პენსიაზე მყოფს, გამორჩეულ პროფესიონალსა და კრიმინალების რისხვას, ეთერ ერისთავს.

მას სახლში ვესტუმრეთ. ჩემი ყურადღება მიიპყრო მის საწერ მაგიდაზე მრავალ წიგნთა შორის ერთ-ერთმა. ხიბლი ამ წიგნისა გახლავთ ის, რომ ავტორს ერთი წინადადებით მოუხერხებია ეთქვა მრავალთა სათქმელი. ამ წიგნის მთავარ გმირს „ეულოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს!“ მაგრამ მე მახსოვს კიდევ უფრო დიდი და ლამაზი დღესასწაულები, რასაც თქვენ ქალბატონო ეთერ, თქვენს მიერ წარმატებულად ჩატარებულ ოპერაციებს ეძახდით, წარმატებული ოპერაცია, როგორც დღესასწაული, ჩვენ მისი ნამოწაფარები კარგად ვიცნობთ მამაცი პოლიციელის ეთერ ერისთავის ზნეობრივ — ფსიქოლოგიურ პორტრეტს. „სხვისიც ყოფილა, თუ ყოფილა ჩემს თვალზე ცრემლი, ვყოფილვარ სხვისი სიბრალულით მრავალჯერ ჩუმად... — ყოველადძლიერო, გახარება თუ გინდა ჩემი, — უნარი სხვისი გახარების მიბოძე უმალ“. მუხრან მაჭავარიანის ეს სიტყვები თავისი შეგნებული ცხოვრების ყველა ეტაპზე თამამად შეეძლო ეთქვა. ამას მკითხველიც ადვილად ირწმუნებს, როცა ეთერი ერისთავის საგმირო საქმეებს გაეცნობა.

ეთერი აკაკის ასული ერისთავი დაიბადა 1931 წლის 19 მარტს მახარაძეში /ოზურგეთი/. დედა, სონია ერისთავი გამორჩეული დიასახლისი იყო, მამა — აკაკი ერისთავი, მუშაობდა ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახანძრო დაცვის ქვეგანყოფილებაში, დაარსებიდან 1941 წლამდე. 1941 წელს გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც იბრძოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. როცა ბერლინი აიღეს, კედელზე თავისი გვარი და სახელი მიუწერია. ჩამოიტანა ბერლინისა და რაიხსტაგის სურათები, მარ შორის იყო ჰიტლერის სურათები, ერთერთი გერმანული ჟურნალიდან. აღნიშნული გაუგიათ უშიშროების კომიტეტში, დაიბარეს რამოდენიმეჯერ. ბოლოს გაბრაზდა ბატონი აკაკი და უშიშროების უფროსისათვის, ბატონი შალიკო იამანიძისათვის უთქვამს: „მე ცოცხალის არ შემშინებია თქვე გლახებო, სურათმა შეგაშინათო“. შენობიდან რომ გამოვიდა წეიმიანი ამინდი იყო, მწყერი დაუჭერია ხელით და უშიშროების უფროსისათვის უჩუქებია, ამის ხომ არ გეშინია ბიძიაო. ამის შემდეგ უშიშროებაში აღარ დაუბარებიათ.

„როცა მამაჩემი, — იხსენებს ეთერი, — გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი და სწავლა გავაგრძელე მუშა-ახლგაზრდობის საშუალო სკოლაში. დღისით ვმუშაობდი ხილის დამზადების მიმღებ ქარხანაში ყუთების მჭედავად. არასდროს ნაქუსი არ მჭერია ხელში და ხელები სულ დასისხლიანებული მქონდა. უფროსი იყო პეტრე კვაჭანტირაძე. შეეცოდე და გადამიყვანა კონტროლიორად. 1951 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა. ვიზრდებოდი სულ ბიჭებთან. ეთამაშობდით ლახტობანას, ჭადრაკს. ვიხუბობდით, ვჭიდაობდით. ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ ვალერიან და თამარა თუთაიშვილები. მათ ჰყავდათ ორი შვილი, ქალიშვილი ნუნუ — ექიმია დაბა ლაითურში, ვაჟი მამია — ოსურგეთის სახალხო თეატრის მხატვარია. როდესაც ვიჩხუბებდით და ისინი გალახული მივიდოდნენ სახლში, საწყალი მათი დედა მიუვარდებოდა დედაჩემს: სონია მომაშორე შენი ქალბიჭა გოგო, მომიკლა ბაღნებიო. ახლა როცა ვხვდებით მე და მამია, მარცხენა ხელზე იდაყვთან ამჩნევია ნაიარევი, ეს შენი ნახელავიაო, მეუბნება.

ჩემი და, მერი ერისთავი სამი წლით იყო ჩემზე უფროსი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ოსურგეთის სახალხო სასამართლოში მდივნად, დაოჯახების შემდეგ კი — უმაღლეს სასამართლოში.

თუ რაიმე კარგი გამოჩნდებოდა ჩემი დისთვის ყიდულობდნენ, მე კი სულ გამონაცვალი მხვდებოდა, როცა იქნები იმხელა შენც გიყიდითო. ასაკით ვერ დავეწიე, მაგრამ ყველა ახალი რამის ყიდვაზე ცემა გამოწერილი მქონდა.. ერთხელ ჩხუბის დროს შემოგვესწრო მამაჩემის მეგობარი, ძველი მეხანძრე, კოლია შეკვარდნაძე. შემოსვლისთანავე მეცა გასაშველებლად, გახელებული ორს ვეჩხუბებოდი ერთად, ჩვენთან მცხოვრებ დეიდაშვილს ლენა ქაჯაიას და ჩემს დას. ველარ მოეზომე, ტახტზე იდგა სარეცხით სავსე გობი, მოვიქნიე ეს, მოხვდა კოლიას და მანაც ვაი დაიძახა. და მეც გავვარდი ყანაში სახლის უკანა მხარეს, გავძვერი ტრიფოლიატის ღობეში და მივედი მამაჩემის ბიცოლასთან, ლიზა ბერაიასთან.“

ქეთევანმა დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ამჟამად პენსიონერია. მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, 27 წელი, ნაძალადევის რაიონის პოლიციაში, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული კრიმინალებთან ბრძოლაში. ახლაც ეხმარება ახალგაზრდა თანამშრომლებს, მიღებული აქვს ჯილდოები, მადლობები.

„მამა ჯარიდან ახალჩამოსული იყო, ულვაშები ბუდიონივით ჰქონდა გადაგრეხილი. მაღალი, თმახუჭუჭა ლამაზი კაცი იყო.

სადგურთან მაშინ არსებულ ნაეთობბაზის ტერიტორიაზე, რკინიგზაზე იდგა ტყვია-წამლით დატვირთული ვაგონები, იქვე იდგა სამი ციტრუსით დატვირთული ვაგონი. მუშებს ცეცხლი დაუნთიათ და გაჩნდა ხანძარი. ცეცხლი მოედო ვაგონებს. ატყდა წივილ-კივილი. მამამ როგორც კი გაიგონა ხმაური, იქეთკენ გაეშურა. ახლოს რომ მიეიდა დაინახა, მოსახლეობა იმდენად იყო შეშინებული, ტოვებდნენ სახლებს და გარბოდნენ. იქვე იყო უშიშროებისა და პოლიციის უფროსები, რომლებიც ერთმანეთს ეუბნებოდნენ, გავიქცეთ სანამ ეს ტყვია-წამალი აფეთქდებოდესო. მამამ თურმე შეაგინა, სად გარბიხართ, თქვე კურდღლებოო. სიცოცხლის რისკის ფასად გადახსნა ტყვია-წამლით დატვირთული ვაგონები და გააგორა, რითაც გადაარჩინა მოსახლეობა უბედურ შემთხვევას. ამიტომაც მამაჩემმა გინების სანაცვლოდ ქება-დიდება და ფულადი ჯილდო დაიმსახურა

საშუალო სკოლის შემდეგ სწავლა დაეიწყე ქ. თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტში, მაგრამ, დედის ავადმყოფობის გამო, მესამე კურსიდან ავიღე აკადემიური შეებულება და სასწავლებლად აღარ დაებრუნებულვარ.

1954 წელს წარმატებით დავამთავრე ქ. ბათუმის საფინანსო სასწავლებელი და იმავე წელს მუშაობა დავიწყე საქალაქო საბჭოს კომუნალურ მეურნეობაში მოლარე-მოანგარიშედ.

1960 წლის ნოემბერი იყო. ოზურგეთის მილიციის უფროსად დაინიშნა ვახტანგ ჩხიკვიშვილი, რომელიც მე და დედაჩემს შეგვხვდა შემთხვევით აბანოში. მოგვესალმა და დედაჩემს უთხრა, ეს შენი შვილი უნდა გადავიყვანო ჩემთან სამუშაოდო.

სწორედ მისი ინიციატივით, 1961 წლის აპრილის თვეში, დავინიშნე მდივან-მოანგარიშედ. სამი წლის შემდეგ ბუღალტრად.

ყოველ დილით 8 საათიდან 10 საათამდე, საფეხბურთო სტადიონზე ტარდებოდა ვარჯიში მძლეოსნობაში, სირბილში, სამბოში და კარატეში. მეც თანამშრომლებთან ერთად დავიწყე სტადიონზე სიარული და ვარჯიში, შემდეგ ვთხოვე ვახტანგს მონაწილეობა მიმეღო სროლებში, რომელმაც დამრთო ნება, თბილისიდან ჩამოვიდნენ შემოწმებაზე, სადაც მეც დავხვდი თანამშრომლებთან ერთად. გაუკვირდათ. იკითხეს ეს ქალი ვინ არისო. უთხრეს ჩვენი მდივან-მოანგარიშეაო. კარგი გამოგცდით ერთი რა სროლა იციო. გამომცადეს და კმაყოფილი დარჩნენ. შემდეგ, ერთ-ერთმა ამოიღო დანა და წამოიწია ვითომ დასარტყმელად. გადაეუგრიხე ხელი და დანა ჩავარდა იქვე ბალახებში.

1961 წლის 16 დეკემბერს ჩემთან იყო ჩემი მეგობარი ქალი ქსენია ხმელიძე, რომელიც ექთნად მუშაობდა. რადგან სახლში აბანო არ იყო მოდაში, მთხოვა წავყოლოდი აბანოში. მშრალი

ტანსაცმელი წაეიღეთ. აბანო ოყო ორსართულიანი. პირველ სათულზე იყო სალარო. ქალის და კაცის საერთო განყოფილებები. სალაროსთან იდგა შარვალ-კოსტუმში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი, რომელიც ელაპრაკებოდა მორიგეს. მარცხენა მხარეს იყო სამი ნომერი, არსებული უკვე დაკავებული იყო. იქვე იდგა ოთხი ცარიელი სკამი ერთმანეთზე გადაბმული. დაგვეზარა ზემოთ ასვლა, დაეჯექით სკამებზე და დაველოდეთ როდის გათავისუფლდებოდა ნომერი. ამ დროს ის ახალგაზრდა, რომელიც ელაპარაკებოდა მოლარეს, წამოვიდა ჩვენსკენ და დამიჯდა გვერდით. დაიწყო რაღაც ლაპარაკი, მე მას ყურადღებას არ ვაქცევდი. ამაზე დაიბოღმა ალბათ და მთხოვა გარეთ გავყოლოდი, თან მხარიც გამკრა. ძალიან გავბრაზდი, საწვიმარი გავიხადე და წამოდი გარეთ მეთქი. ქსენია მიხვდა რაშიც იყო საქმე და მოლარეს მეუღლესთან, შოთა ანთაძესთან გაიქცა. მაგრამ, სანამ შოთა მოვიდოდა, დაეუთმე გზა ამ ახალგაზრდას, გააღო კარები და გაყო თუ არა თავი გარეთ, გაშლილი ხელი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ჩავარტყი კისერში და გაფრინდა. წაიქცა თუ არა თავი არ ავაწევინე ზემოთ, კარგად დავასისხლიანე. ამ დროს მოვიდა შოთა და შეეცადა ჩვენს გაშველებას. შემოვედი ისევ აბანოში, მაგრამ შემომყვა ის ახალგაზრდაც, ველარ შეეკავე თავი და გაველახე მაგრად. აბანოს კედლები თითქმის მთლიანად გასისხლიანებული იყო, ძელივს გაგვაშველეს. ქსენიამ დარეკა მილიციაში და თანამშრომლებმა იგი წაიყვანეს.

დილით, როდესაც მივედი სამსახურში, დამიძახა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსმა ლევან თოიძემ. შევედი თუ არა მასთან კაბინეტში, ეს ახალგაზრდა ჰყავდა ამოყვანილი. ველარ ვიცანი სახე გალურჯებული ჰქონდა, შარვალი მუხლებზე გადახეული. იცნობ ამ ახალგაზრდასო? მე ვუპასუხე: მან მიიღო ის რაც ეკუთვნოდა და ალბათ ისწავლის ჭკუას მეთქი. ამ დროს დარეკა ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დავით გოგუაძემ და იკითხა ვინმე ზაქარიაძე ხომ არ არის დაკავებულიო, ვიფიქრე მისი ახლობელია დაკავებული მეთქი და უხერხულად ვიგრძენი თავი. თუმცა დავითმა მადლობაც კი გადამიხადა, როგორც გაირკვა ამ ახალგაზრდას ცუდი სიმთვრალე ჰქონია, თურმე აწიოკებული ჰყავდა მთელი სოფელი, მაღარიჩი ჩემზე იყოსო, ხვალ შენ და ქსენიას საჩუქრად თითო მანქანა შეშას და 200-200 კგ. სიმინდს გიგზავნითო და მართლაც გამოგვიგზავნა.

1961 წლის აპრილის თვიდან, 2006 წლის თებერვალამდე, გამოვიცვალე 34 მილიციის უფროსი, მაგრამ როგორიც ჩხიკვიშვილი იყო, ასეთი ზღაპარი კაცი არც მინახავს და არც მსმენია.

ჭკვიანი, ოპერატიული, მეგობარი, ჭირში-ლხინში გვერდში მდგომი. თუკი რაიმე სასარგებლოს გააკეთებდი არ დარჩებოდა აღუნიშნავი. სამსახურში ძალიან უყვარდა წესრიგი. თანამშრომლებს მოწესრიგებულს რომ ნახავდა, უსაროდა. პოლიციაში ქალები ნაკლებად მუშაობდნენ. სულ ვიყავით სამი ქალი – მე და ბაეშვთა ოთახის ინსპექტორები კლარა მოლარიშვილი – ინსპექტორი და ანგელინა გიორგაძე. ერთ დღეს, როცა სამსახურში მოვედი უფროსი ყვირის: ეთერი, ეთერიო! შევვარდი კაბინეტში, ვიფიქრე რა დაემართა მეთქი. იქ დამხვდა ბაეშვთა ოთახის ინსპექტორი კლარა მოლარიშვილი, ქმარ-შვილიანი, ძალიან კარგი ოჯახიშვილი და ვახტანგი მეუბნება: შეხედე ერთი ამ ქალს ჩულქები გაუხდია და ფეხშიშველა მოსულა სამსახურშიო. ძალიან არ უყვარდა უჩულქოდ ჩაცმული ქალები. მეორე დღიდანვე კლარა უჩულქოდ აღარ მოსულა სამსახურში. ერთი კვირის შემდეგ კვლავ მეძახის ვახტანგი, ისევ ციცი ხმით. შევედი, ოთახში ისევ კლარა დამხვდა, შეხედე ერთი თუ ქალი ხარ, რას გავს ეს ქალი, ფეხზე ჩავაცვი და ახლა ტანზე გაუხდიაო. ეცვა დეკოლტე კაბა. ამის შემდეგ ის დეკოლტე კაბით აღარ დაგვინახავს.

ვახტანგი რომ სამსახურში მოვიდოდა კედლებს სანსარი გაჰქონდა. კედლებზე შპალერიეთ ვიყავით გაკრული. რეა წელი იმუშავა ჩვენს რაიონში და 8 პოლიციის უფროსი გამოსარდა და დააწინაურა. რომ მოვიდა სამუშაოზე ბიჭებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ. კორესპოდენცია მისი ხელმოწერის გარეშე არ იგზავნებოდა. წაიკითხავდა, თუ არ მოეწონებოდა დაუძახებდა გამგზავნს, აუხსნიდა როგორ უნდა დაეწერა პასუხი, უკარნახებდა და დააწერინებდა. ასე გამოსარდა და გაწერთნა თანამშრომლები.

პირველი დაწინაურება იყო მისი მოადგილის შოთა ქურდიანის სამტრედიის სახასო პოლიციის უფროსად გადაყვანა. მეორე – შემდგომში მისი მოადგილის იური ნიკოლაიშვილის ჩოხატაურის მილიციის უფროსად დანიშვნა, რომელსაც ჰყავდა მდივან-მოანგარიშე ციური კალანდაძე, რომელიც ახალბედა იყო და ვახტანგს სთხოვა შაბათ-კვირას მათხოვე ერისთავი, აუხსნას კანცელარიისა და საბუღალტრო სამუშაოებიო.

შაბათ დილით წავედი ჩოხატაურში, ვასწავლე საკანცელარიო წარმოება, კორესპოდენციის, განცხადებების გატარება ალფავიტზე.

მეორე დღეს კვლავ წავედი ჩოხატაურში, გავუკეთე ხელფასების უწყისები, ვასწავლე დამსახურების წლებზე ვის რამდენი %-ი ერგებოდა და სხვა.

საღამოს უფროსმა და ავტოინსპექციის შეფმა შალიკო ლომთათიძემ დამპატიჟეს ვახშამზე, მაგრამ უარი ვუთხარი, მეჩქარება

მეთქი. შალიკომ მოიყვანა ავტომანქანა „მოსკვიჩი“ და მძღოლს უთხრა ოსურგეთში წაიყვანეო. დაეემშვიდობე და წამოვედი. შევუდექით ნასაკირალის აღმართს. მარცხენა ფეხთან რაღაც მომეფხაკუნა, ხელში შემრჩა მძღოლის დალეული ხელი. მძღოლს ვუთხარი გადააყენე მანქანა მეთქი. როგორც ეტყობა იფიქრა გამიმართლაო, დამეცა ჯვრის ტუსიანიო. ჩამოვედი დაბლა, გავაღე კარი, მოვკიდე მძღოლს ხელი საყელოში და ჩიტივით გადმოვათრიე მანქანიდან. ამოვარტყი უკანა მხრეს წიხლი მაგრად. ერთი კი დაიძახა ვაი, ღედაო, ალბათ უადგილო ადგილას მოხვდა წიხლი. ჩამოვედი ოსურგეთში, მანქანა შევიყვანე მილიციის ეზოში და მორიგე გავაფრთხილე, მანქანა უნებლად არავისთვის გაეტანებინა.

დილით სამსახურში მისულს უფროსი მეძახის, სად იყავი გუშინ და რა მოხდაო. ხომ არ დავუმალავდი, მოვუყევი როგორც იყო. დაიწყო სიცილი. დილით ჩამოვიდა უფროსთან ნაღები საზოგადოება. დამიძახეს. მე ვუთხარი, ის მიიღო რაც ეკუთვნოდა მეთქი.

ორი კვირის შემდეგ დაუჭერიათ ის მძღოლი, მანქანაში ჰყოლია ვიღაც ქურდი ლომსათიძე. დაეადგინე, რომ იმალებოდა აჭარაში და აჭარაში აიყვანეს ჩვენმა ბიჭებმა.

ერთი კურიოზი გამახსენდა. მახარაძის რაიკომის მეორე მდივანი იყო მამია ლომაძე. ძალიან კარგი კაცი, წარმოშობით ლანჩხუთელი. იმ პერიოდში მილიციის უფროსი იყო იუსა რუსიძე, ისიც ლანჩხუთელი, (ამჟამად გარდაცვლილია) ჩვენი განყოფილების აუტოინსპექციის უფროსს აწ გარდაცვლილ, რეზო ურუშაძეს სტუმრად ჰყავდა როსტოვიდან ცოლ-ქმარი, ორგანოს თანამშრომლები და გვთხოვა მე და ჩემს მეგობარ ქსენია ხმელიძეს არსად წახვიდეთ სტუმრები მყავს როსტოვიდან და რესტორან “გურიაში” ვიყავხშოთო. ჩვენ დაბადების ღღეზე ვიყავით დაპატიჟებული და ვერ მივედით. საღამოს 10 საათზე, როცა სახლში ფეხით მივდიოდი, რესტორნის წინ შემხვდა რეზო ურუშაძე და მისაყვედურა, რატომ აღრე არ მოდიო. სასტუმროს ნომრიდან გამოიყვანა ცოლ-ქმარი, გამაცნო. შევედით რესტორან „გურიაში“, სადაც სხვა სტუმრებთან ერთად დაგვხვდა მილიციის უფროსი იუსა რუსიძე. დაეჯექით მათთან, მაგრამ სტუმრები აღრე წავიდნენ, დავრჩით ჩვენ. 12 საათზე დარეკა უფროსმა, საავადმყოფოში მიყვანილია მთვრალი მძღოლი და შეამოწმებინეო. რეზომ გააჩერა მერიის სამხედრო ნაწილის „ჯიპედა“, ჩავჯექი, მეგონა სახლში წამიყვანდა და წამიყვანა საავადმყოფოში, შეამოწმებინა მძღოლი სიმთვრალეზე. თურმე ეოფილა ლანჩხუთელი ფინგანის გამგის შვილი. უმაღლესი განათლებით, მამამისი

ყოფილა მიელინებაში. გარაჟში ჰყოლია „გაზ-21“, გამოუყვანიათ მას და მის ძმაკაცს, რომელიც ასწავლიდა დოსაავფში და შესძენია ბავშვი. ჩამოვიდნენ ოზურგეთში, იქეიფეს კარგად. მძღოლი ჩამოუგდიათ მანქანიდან და წასულან. ამის შემდეგ მან განაცხადა მილიციაში, მთვრლმა ძმაკაცებმა წამართვეს მანქანაო.

რეზომ გამომიშვა სახლში, როცა აედიოდი აღმართზე, რესტორან „იზაბელასთან“ შევნიშნე თეთრი ვოლგა, რომელიც ჩამოდიოდა დაღმაროში. ეს სწორედ ის მანქანა იყო. მძღოლს ვუთხარი ამ მანქანას გაასწარი მეთქი. ავუწიე ხელი მანქანას, გააჩერეს, გამოვაღე უკანა კარი და ჩავჯექი, ისე, რომ იმ მძღოლისთვის არაფერი მითქვამს. ის კი მისულა მილიციაში და განუცხადებია: თქვენ რომ მანქანას ეძებთ, იმ მანქანაში ეთერი ჩაჯდა და წავიდაო.

არ უკითხავთ ვინ ვიყავი ან რა მინდოდა. ისინი სამნი იყვნენ. კარგ ხასიათზე იყვნენ და ალბათ იფიქრეს გართობა მომინდა. იყო დეკემბრის თვე. მე ვუთხარი, ბიჭებო ამ მანქანის მძღოლი რომ ჩამოაგდეთ მანქანიდან და დატოვეთ, წამოდით ჩავიჯინოთ მანქანაში და წაიყვანეთ მეთქი. ყველაზე მეტი ნასვამი იყო საჭესთან მჯდომი. დაიწყო გინება, რაც შეიძლება ბინძური და უწმაწური სიტყვებით. გავიანგარიშე მანძილი ჩასახვევთან. უცებ წამოვდექი, დავუგრიხე საჭე და ღავუმიზნე ორი ხის ელექტრო ბოძს. ბოძსა და მანქანას შორის მანძილი იქნებოდა 5 სანტიმეტრი, მანქანა დამუხრუჭდა. კვლავ წამოვიდა სართულებიანი გინება. ახლა მინდა ერთ-ერთი ჩამოვიტყუო მანქანიდან, ისინი გვერდით რომ ისხდნენ სულ ბოდიშებს მიხდიდნენ, ჩვენ გვაპატიეთო. მძღოლს ყველა ენაზე ეელაპარაკე, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. მანქანიდან გადმოვედი და გადმომყვა ჩემს გვერდით მჯდომი ახალგაზრდა. ამ დროს მოანათა მანქანის შუქმა და გაჩერდა ჩვენთან, როგორც კი გაიგეს ეს ამბავი, გამოგვედევნენ უკან. სამძებროს განყოფილების უფროსი ინსპექტორი (აწ გარდაცვლილი) იოსებ უგულავა და ორი მილიციელი. მე ისე ვიყავი განერვიულებული, საჭესთან ვერ დავჯექი, წამოვედით.უკვე გახდა ღამის 2 საათი, შევედი კაბინეტში სადაც დამხვდა რაიკომის მეორე მდივანი მამია ლომაძე და ავტოინსპექციის უფროსი. რაიკომის მდივანმა მითხრა: ერთი შენს გულში ჩამახედა, რა გული გაქვს, მარტო ქალს ამ გიუების როგორ არ შეგეშინდაო, არ იფიქრო ამ შუაღამისას აქ იმიტომ ამოვედი, რომ მაგათ რაიმე დავეხმარო, გამორიცხულიაო. მოაყვანინა ყველა და რაც დღე აწიეს იმათ იციან, არ გაუმყეს და აკმარეს 15-15 დღე-ღამის პატიმრობა, რასაც იმ დროს წერილმანი ხულიგნობა ქვიოდა და ვიყენებდით სხვადასხვა ადგილებში სამუშაოებზე. იმ დროს მიმდინარეობდა

პროკურატურის შენობის გადახურვა. იმ დამით რა დამაძინებდა. ჩავედი სამორიგეოში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ და მძღოლს ვუთხარი, შე მათხოვარო, თუ არ შეგიძლია ღვინის მონელება, ყურძნად ჭამე მეთქი და კაი ლამაზად მიებეგვე.

სამხედრო კომისარიატში მძღოლად მუშაობდა ოსურგეოში მცხოვრები საყვარელა სიამაშვილი, ძალიან კარგი პიროვნება, რომელსაც ჰყავდა საკუთარი ავტომაქნანა, „ეოლგა“, და რომელიც მიდიოდა თბილისში შვილთან, რა თქმა უნდა სანოვაგით დატვირთული. წვერის გასაპარსად შევიდა საპარიკმახეროში, უმცროსი ვაჟი დატოვა მანქანაში. ბავშვმა ჩართო სიჩქარეები, მანქანა დაგორდა და დაეჯახა მოქალაქეს, რომელიც გარდაიცვალა. დაიჭირეს საყვარელა და მოიყვანეს მილიციაში. ამ დროს გაჭირვება იყო ქალაქში პურზე და სამუშაოზე ვრჩებოდით გვიან მე და ჩემი მეგობარი ქსენია ხმელიძე. რომ გავიგეთ ავარიის შესახებ, ძალიან გვეწყინა. სახლიდან რაც ჰქონდა გამზადებული საყვარელას მოიტანეს მილიციაში, ახალი წელი ვიღას ახსოვდა. თან სახლში გველოდებოდნენ. გავშალეთ პურ-მარილი სამორიგეოში. ახალი წელი იქ გავითენეთ, რიგ-რიგობით მორიგეს საკნებიდან გამოვაყვანინეთ პატიმრები და საჭმელიც ვაჭამეთ და 3-3 ჭიქა ღვინოც მივაყოლებინეთ. იმ პერიოდში იყო ბრძანებულება რაიონის გარეთ იკრძალებოდა ციტრუსის ბატანა და ამის თაობაზე დაჭერილი იყო ვინმე „წყნეთელი“, ეს მისი კლიჩკა იყო, გავიდა რამოდენიმე ხანი და საკუთარი ავტომანქანით მოვდიეარ თბილისიდან სახლისათვის პროდუქტებით დატვირთული. შაჯაეაზოში დამიშვა საბურავმა. იყო ძალიან ცუდი ამინდი, ქარი და წვიმა. იქნებოდა დამის 11 საათი. მანქანა გაეანერე, ვიფიქრე ვინმე მომეხმარება მეთქი. მართლაც გაჩერდა დიდი სატვირთო ავტომაქნანა. მძღოლი მოვიდა ჩემს მანქანასთან და მკითხა რით დაგეხმაროო. მეც ეუთხარი. გასაღები გამომართვა, მითხრა წვიმაა და მანქანიდან არ გადმოხვიდეო, ამოალაგა ჩემი ბარგი-ბარხანა, საბურავი შეცვალა გასაღები დამიბრუნა და ბზა დამილოცა. შევეკითხე ვინ იყო და მან შემახსენა, მე ის „წყნეთელი“ ვარ ახალ წელს დაჭერილი რომ ვიყავი, საჭმელი რომ მაჭამე და თან ღვინოც დამაყოლებინეო. თავისი მისამართი დამიწერა. შემაწუხე თუ რაიმე დაგჭირდესო. ამის შემდეგ აღარ მინახავს.

როცა პოლიციაში გადავედი სამუშაოდ, პოლიციის უფროსი ძალიან მკაცრი კაცი იყო. სადაც წავიდოდა მიბარებდა სად იყო საჭიროების შემთხვევაში. მე ახალგაზრდა ვიყავი და თუ კი ვნახავდი დროს გავძვრებოდი სამსახურიდან, მისი მოსვლის დროს კი დავხვდებოდი. ერთხელ დამასწრო და რომ ნახა არ ვიყავი, დაურეკა დედაჩემს, სონია დეიდა ერთი მითხარი, აქ მე ვარ

უფროსი თუ, მაგიო, როგორც კი სადმე წაეალ დამესკენება ზურგშიო. ეს იყო ჩემი პირველი გაფრთხილება და საყვედური. სამაგიეროდ ურნა საესე იყო ქაღალდებით, რასაც ებეჭდაედი ყველაში შეცდომა იყო. როცა კარგ ხასიათზე იყო ვუთხარი: აწი ნელარ მიყვირებთ თორემ ურნა საესეა ქაღალდებით, ყველაფერს უკეღმა ებეჭდაე მეთქი. გაეცინა. არაფერი უთქვამს.

ერთხელ, თბილისიდან ჩამოსული იყო მინისტრის მოადგილე შადური. ვახტანგმა დამიძახა და მითხრა, რესტორან „გურიაში" მომიმზადე 16 კაცზე პურ-მარილიო. ღვინო ვიცოდი სახლში იყო, დეგუსტატორები ვიყავით მე და მისი ოჯახობა, ქალბატონი ლამარა. გვიშლიდა შაქრიანი ღვინო არ დაიყენოთ თორემ დაგხოცავთო, მაგრამ ქალების ამბავი მოგეხსენებათ, მაინც ჩვენსას ვაკეთებდით. ვახტანგი ტრაბახობდა სუფთა ყურძნის წყენიაო. ბაზარში ვიყიდე კარგი ყველი, მანქანით ავიტანე სოფ. ბახვში, ჩვენი ოჯახის ახლობელს. გამოვაცხობინე კეცის ხაჭაპურები. მაგიდა რომ გავაწყობინე ყველაფერი მოვასწარი, გამოვატანინე ტაბაკა ქათმებზე მთელ-მთელი ხაჭაპურები, ყველა გაოცებული უყურებდა. ბატონმა შადურმა ერთი ცალი ხაჭაპური გაახვია და თან წაიღო, ისე მოეწონა. როცა ჩემი სადღეგრძელო დალიეს, ვახტანგმა თქვა, ასეთი მდივანი უნდა გყავდეს, გამაფრთხილა არ მიყვირო და არ მისაყვედურო თორემ ერთი კვირა ყველაფერს უკეღმა ვაკეთებო. და ატყდა სიცილი. სამაგიეროდ რასაც დაავალებ 5-ზე აკეთებს ყველაფერსო.

1961 წლის აგვისტოში, საღამოს 8 საათზე, დაბლა ჩამოვედი და დამიძახა მორიგემ აკაკი ბურჭულაძემ, რომელიც ტელეფონით ელაპარაკებოდა აჭარის შს მინისტრს კოტე კეთილაძეს იმის შესახებ, რომ ლაითურის პატიმართა კოლონიდან მოხდა ორი პატიმრის „ფრიგასა" და „კოროლის" გაქცევა და მთელი მილიციის შემადგენლობა გასული იყო სხვადასხვა ადგილებში. დარჩენილი იყო მხოლოდ მორიგე და საკნების დამცველი სერგო ენდელაძე.

მე ველაპარაკებოდი ლიხაურში მცხოვრებ რაზმელს კვიროსი სალუქვაძეს, რომელმაც მითხრა, რომ სოფელში შემჩნეულია ორი საეჭვო პიროვნება ფეხშიშველები არიან და რაღაც იღლიაში აქვთო. მიეხედი, რომ ესენი უნდა ეოფილიყვნენ სწორედ კოლონიიდან გაქცეული პატიმრები და აღნიშნულის შესახებ ვუთხარი მორიგეს.

მილიციაში დავტოვე მხოლოდ საკნების დამცველი. უფროსის მოადგილის შოთა ქურდიანის იარაღი – „მაკაროვი" ინახებოდა სეიფში მორიგესთან. ვთხოვე და მომცა. გამოვედით ქუჩაში მე და ბურჭულაძე, გავაჩერეთ მანქანა, რომელშიც იჯდა ვიღაც პრარაბი,

ჩამოესვით მანქანიდან და წავედით ლიხაურის მიმართულებით. ბენზოგასამართ სადგურზე დაგვხვდა ორი ხიშტიანი სამხედრო პირი და დაიწყეს ჩვენი მანქანის ჩხრეკა, ჩვენ აეუხსენით მდგომარეობა და ეთხოვეთ ისინიც გამოგვყოლოდნენ. მართლაც მიატოვეს მათი ობიექტი და წამოვიდნენ. ჩავედით ლიხაურში სადაც დაგვხვდა კვიროსი სალუქვაძე და გვითხრა საეჭვო პირები წავიდნენ ჩაის პლანტაციებისკენო. სამივენი წავიდნენ იმ მიმართულებით, მე კი დავრჩი ლიხაურის ცენტრში, იმიტომ რომ ზოგჯერ მოქალაქეები იძლევიან არასწორ ინფორმაციას. ამ დროს მოტოციკლეტით მოვიდა იქვე მცხოვრები ომარ ქავჟარაძე. მიეიღე ინფორმაცია, რომ პატიმრები მიდიოდნენ ჰესის მიმართულებით, მას ეთხოვე წასულები უკან მოებრუნებინა. მე კი კოლონიის უფროსს ვთხოვე ხალხის დახმარება.

უკვე დაღამდა. წავედით ჰესის მიმართულებით. ლიხაურში შესვლამდე "შევნიშნე ერთი მოხუცი კაცი, რომელმაც მითხრა ორი ახალგაზრდა ფეხშიშველი, იღლიაში რაღაც ამოჩრილი ჰქონდათ, ჰესს ქვემოთ შემხვდაო. სამხედროებს, რომლებიც მანქანის ძარაზე იდგნენ ვუთხარი ძარაზე დაწოლილიყვნენ და ჩვენი ნიშნის მიღებამდე თავი არ აეწიათ.

ომარი მოტოციკლით წავიდა წინ, უკან ეჯდა ბურჭულაძე. დაახლოებით ჰესიდან 200-300 მეტრში შევნიშნეთ ორი მამაკაცის ლანდი, მიეუახლოვდით, ბურჭულაძემ უბრძანა დაგვნებდით, დააგდეთ იარაღიო, მაგრამ გატაცებული კარაბინიდან გაგვიხსნეს ცეცხლი. იმარჯვა ომარმა და მოტოციკლის ფარი მიუშვირა თვალებში, რამაც ორიენტაცია დააკარგვინა და ტყვია მოხვდა მოტოციკლეტის ფარს. მაგრამ კარაბინს მიზანი რად უნდა 32 ტყვიიდან ერთი მაინც მოგხვდება. ამ დროს „ფრიგა" წაიქცა. სამხედროები არც კი გაგვხსენებია, ისე უცებ მოხდა ყველაფერი. „ფრიგა" იყო დაჭრილი ფილტვში. როგორც ონკანიდან, ისე სდიოდა სისხლი. სამხეროებმა დაუწყეს ცემა, მაგრამ არ დავანებე. ამ დროს მოვიდა კოლონიიდან უფროსი, 3 მანქანა სამხედროებით. ძალიან გაუხარდათ, ვინ ვის კოცნიდა ვერ ვარჩევდით. დაჭრილი კი საავადმყოფოში გადავიყვანეთ. ხოლო მეორე გადაგვიხტა და მიიმალა.

ამ დროს, მილიციის უფროსი ვახტანგ ჩხიკვიშვილი იმყოფებოდა მივლინებაში თბილისში. ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი მოქმედებით. მეორე დღესვე ჩაერთო ოპერაციაში და მეორე გაქცეული „კაროლიც" დავაკავეთ.

შემთხვევა მოხდა დაბა ნარუჯის ტერიტორიაზე, სადაც კოლონიიდან ჩაის საკრეფად გამოყვანილი ჰყავდათ პლანტაციაში პატიმრები. იმ დღეს წყლის მზიდავად ჰყავდათ გამოყვანილი

წულუკიძის ქუჩაზე მცხ. ლეონიდე ლომთათიძე, რომელმაც მოიმიზეზა კუჭის ტკივილი და დააბრუნეს კოლონიაში.

პატიმრები ითხოვდნენ წყალს და სამხედრომ, არხიპოვმა, რომელიც იცავდა პატიმარს, წაიყვანა ორი პატიმარი „ფრიგა“ და „კოროლი“ წყლის მისატანად, რომელიც იყო ცოტა ახლო ჩასასველელი ბილიკით. „ფრიგა“ დაიხარა ვედროთი წყლის ამოსაღებად, ხოლო „კაროლმა“ ისარგებლა არხიპოვის ყურადღების მოდუნებით და ვედრო, რომელიც ეჭირა ხელში, ჩამოაცვა მას თავზე, ეცნენ ორთავე. კარაბინის ტარი, ხელები, ფეხები ურტყეს თავში, ეგონათ მოკედაო და გადაისროლეს ბარდებში, თვითონ კი გაიქცნენ და, თან გაიტაცეს კარაბინი 32 ტყვიით. არხიპოვი, რამოდენიმე ხნის შემდეგ, მოვიდა გონს და აცნობა მომხდარის შესახებ ხელმძღვანელობას.

ასე, რომ ძალიან ცუდ დროს გაუტყდათ კოკა წყალზე.

მეორე დღესვე ატყდა ქალაქში მომხდარის შესახებ ერთი ამბავი. დამიბარა გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქტორმა გურგენიძემ, რაიკომის მდივანმა, პროკურორმა. მომხდარის შესახებ გაზეთში დაიწერა სტატია ფოტოსურათებით. სამინისტროდან და კოლონიიდან მივიღეთ ფულადი ჯილდოები, მინისტრის მადლობები.“

ძნელია განსაზღვრო, თუ რამხელა მამაცობაა ჩადებული თავზეხელაღებული ბოროტმოქმედების შეპყრობისათვის ჩადენილ თავგანწირვაში – როცა პოლიციის მუშაკი და ისიც მანდილოსანი წინ აღუდგება სხვათა მოსაკლავად, დასაყაჩაღებლად მიმავალ გარეწრებს და მოსალოდნელ დარტყმებს თავის თავზე იღებს. განა მოინახება ისეთი საზომი, რომლითაც ხალხისადმი მისი სიყვარული გაიზომოს? არა, ასეთი საზომი არ არსებობს. ამიტომაცაა, ასე რომ უყვართ ეთერი თანაქალაქელებს, ყოფილ კოლეგებს, ახლობლებს, ისიც ყველას ღიმილით ესალმება. გულმოდგინედ უსმენს, შეძლებისდაგვარად ეხმარება ქალბატონი ეთერი ერისთავი – ვალმოხდილი ქვეყნისა და ერის წინაშე.

P.S. როცა მასალა მზად იყო დასაბეჭდად, შევიტყვეთ, რომ ქალბატონი ეთერ ერისთავი გარდაიცვალა. სამწუხაროდ ეს ინტერვიუ მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ კრიმინალებთან ბრძოლაში დაღუპული პოლიციელების მოგონებებით გულანთებული ვაუკაცი ქალი, დღეს თვითონ გახდა მოსაგონარი.

წიგნის აეტორი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს დამწუხრებულ ოჯახს, ხოლო წერილს ღვაწლმოსილ მუშაკზე უცვლელად ტოვებს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი — 4

ავტორისეული წინათქმა — 9

ბოროტებასთან სიკეთით მებრძოლნი

ყველა თავის წილ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს... — 14

რასაც ვაკეთებთ, სიყვარულით ვაკეთოთ — 21

თუ კაცი არა ხარ, სამოთხეშიც არ გეცხოერება — 25

ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის — 33

ქალი პოლიციელის ცხოერების კრედო — 39

პოლიციელისათვის აუცილებელია პროფესიონალიზმი — 42

პოლიციელი საქმით პროფესიონალი უნდა იყოს, გულით კი ადამიანი — 48

მთავარია საქმის ცოდნა და სიყვარული... — 53

სიტყვისა და ფიცის კაცი — 60

რწმენით, მხურვალე გულით — 68

სამომავლო ლამაზი მუშაობის დასტური — 73

„გაბულო“ და მისი ბიჭები — 78

დღევანდელ პოლიციას მეტი ინტელექტი და პროფესიონალები სჭირდება — 83

საქმეში ნაღდი, მეგობრობაში უბადლო — 88

სიმართლის სადარაჯოზე — 90

სულის გამოცდა — 98

ძლიერი სულის პატრონი კაცი — 102

თავისი საქმის პროფესიონალი — 105

წესიერი, პროფესიის ერთგული — 112

კარგი ავტორიტეტით სარგებლობს — 117

„მზრუნველი“ დედის გულგრილობამ განაპირობა, ნათია „მზრუნველ“ მამინაცვალთან ყოფილიყო... — 120

ოპერაცია წარმატებით დასრულდა — 122

ერთი დღეც არ მამყოფოს პოლიციის გარეშე — 126

პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით — 128

ხვალინდელი დღის რწმენითა და იმედით — 132

საუკეთესო კოლეგა, მეგობარი, დამრიგებელი — 136

ერთგული, დისციპლინიანი, საქმის მცოდნე — 140
ბაეშობიდან გამომძიებლობაზე ეოცნებობდი — 144
კაცი გამორჩეული — 149
წინ სიმართლის ძიების გზებია — 152
პოლიციას მძიმე დანაშაულის გახსნაში „ჯულბასი“
დაეხმარა — 157
ჩვეულებრივი რიგითი დეტექტივ-გამომძიებელი. — 161
მძიმე დანაშაულს მხოლოდ პროფესიონალები ხსნიან — 164
წინ კიდევ დიდი გადასახედია — 168
ღირსებისა და უფლებების დამცველი — 172
გამომძიებლობა რჩეულთა ხვედრია — 175
იმედითა და რწმენით აღსავსე დღე — 178
სუფთა სინდისით, სიამაყის გრძნობით — 182
მე პოლიციელი ვარ და მეამაყება კიდეც — 186
სიკეთით განელილი გზა — 190
გაიცანით: მზიანი გულის და ძმები — 193
„ლეკვი ლომისა სწორია“ — 199
ჩემთვის მთავარი საყვარელი საქმის კეთებაა — 204
საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული — 208
გაიხსნა ბნელით მოცული საქმეები — 211
პროფესიის ბოლომდე ერთგული... — 217
32 წელი სამსახურის ერთგულებაში — 221
მოგონებანი გარდასულ დღეთა
უდიდესი მეგობრობისა და გულის კაცი — 226
პრინციპული, პროფესიონალი და გულისხმიერი ადამიანი — 244
ვაჟკაცობითა და კაცთმოყვარეობით გაკაფული ბილიკი — 248
დიდი საგანძურის მფლობელი — 254
ჭეშმარიტი პროფესიონალი და ღირსეული მოქალაქე — 259
გზა, რომელმაც ტაძართან მიიყვანა — 264
ჩემი სკამი სათადარიგო იყო — 274
ბრძოლისათვის ახლაც მზადაა — 280
ფუტკარივით მშრომელი ადამიანი — 284
სიკეთე არასდროს არ იკარგება... — 290

ლამაზად განელილი გ'სა — 298
ძალზე ძნელია იყო პოლიციელი, მაგრამ — 301
რაინდები აუხდენელი ოცნების სამყაროდან
საქართველოს ეროვნული გმირი — 310
სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ — 313
მოუსვიდავი და მართალი კაცი იყო — 324
„გიო, ჩემი წილი საძმო შენთვის დამილოცნიაო“ — 333
მე ამას შეკლებ, გეფიცები მამა — 337
გულმართალი და ნამდვილილი ვაჟკაცი იყო — 340
სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდი — 344
დაუნდობელი ბოროტმოქმედის ტყვეის მსხვერპლი გახდა — 349
წუთისოფელს კაცად შერჩა ბოლომდე
რატომ იყავი ასეთი თბილი და კეთილი — 358
ბედი ჭირვეული გამოდგა მისთვის — 362
მომავალი ნათელ ფერებში ეხატებოდა — 367
კეთილშობილურ საქმეს შესწირა თავისი სიცოცხლე — 371
ცოტახანს იცხოვრა, მაგრამ ლამაზი ცხოვრებით — 374
სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული კაცი — 376
სიხარული ცრემლმა შეცვალა — 379
„საცალფეხო ბილიკი, ჩემთვის ამირჩევია“ — 381
„აი, მომავალი უფროსი!“ — 385
სამშობლოსათვის დაცემული ვაჟკაცი — 389
უშიშარი და ლაღი ვაჟკაცი — 391
შენ ყველას მუდამ ემახსოვრები — 395
ოთხი დის ერთი საფიცარი ძმა — 400
სხვების გადასარჩენად სიცოცხლე გასწირა — 403
გურულ "კუკარაჩას" ეძახდნენ (ეძიე ვარსკელავი შენი) — 407
საქმისა და სიმართლის ერთგული — 412
არავის შეუძლია მისი დავიწყება — 415
რაინდული სულით გაჟღენთილი ვაჟკაცი იყო — 419
ჭეშმარიტი მეგობარი — 423
საქმეში აღელვენილი სული — 429
ხვალინდელი დღის იმედს გვაძლევდა — 432

მისი კარგი კაცობით ყოველთვის იამაყებენ... — 435
სიკეთილიც გამორჩეული ხვდა წილად — 440
მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს
ზნეობრივი გმირები — 444
უაღრესად ერუდირებული და პატიოსანი კაცი იყო — 448
უპრეტენზიო კაცის გმირული სახე — 454
ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა, საქმეების ნუსხა — 460
რაინდული სულის პატრონი იყო — 464
არჩევანი, რომელსაც ტრადიცია ჰქვია — 469
ადამიანები კვდებიან, მაგრამ არ კვდება ხსოვნა — 473
"მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ, სახელი არ შერჩენია" — 475
ნაადრევად დაფერფლილი დიდება — 579
იყო პრინციპული, უშიშარი, ერთგული და თავდადებული — 483
უმწიკვლოდ განვლილი გზა — 485
სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებენ — 489
დრონი არ უნდა გალიო უქმად... — 493
ხალხს უყვარდა მამაცი და უშიშარი პოლიციელი — 498
კაცური კაცის სახელი დატოვა — 501
ქალი პოლიციელის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტი — 504

წლები და ადამიანები

ავტორი – ჯემალ გაბელია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 01.06.2009
ქაღალდის ზომა 60X84 1/8
შეკვეთა №11, ტირაჟი 300

გამოცემლობა "ალიონი"
დაიბეჭდა შპს "GAMAprint"-ის სტამბაში
ბათუმი, მ. აბაშიძის 35